

კახა კვაშილავა

გაბა კვაშილავა ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან

ისტორიული
სამურზაყანოს
წარსულიდან



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოების
ა ჯ ხ ა ზ მ თ ი ს ო რ ბ ა ნ ი ზ ა ც ი ა

კახა კვაშილავა

ისტორიული სამურჯაყანოს წარსულიდან.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2011

უაკ (UDC) 94(479.224)
კ-447


წიგნში მონოგრაფიულადაა გამოკვლეული საქართველოს ერთ-ერთი ფეოდალური სამფლობელოს – სამურზაყანოს ისტორია, მისი ჩამოყალიბებიდან ვიდრე 1840 წლამდე. მასში პირველადაა წამოწეული, ახლებურად გააზრებული და დაზუსტებული საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული არაერთი საკვანძო საკითხი; სათანადო პირველწყაროებზე (მათ შორის სხვადასხვა არქივთსაცავებში ახლად გამოვლენილ დოკუმენტურ მასალებზე) დაყრდნობით დამაჯერებლადაა გაქარწყლებული სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევართა ფალსიფიკატორული მცდელობები, გამოაცხადონ სამურზაყანო ისტორიულად აფხაზური ეთნოსის სამკვიდროდ.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზურაბ პაპასქირი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თამაზ ბერაძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი **ბეჟან ხორავა**



წიგნი გამოცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

შინაარსი

შესავალი	9
თავი I. სამურზაყანოს წარმოქმნის ისტორიული ფონი	31
§1. აფხაზთა ექსპანსია ენგურისაკენ XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში და აფხაზეთის ე. წ. „ისტორიული“ საზღვრის „აღდგენის“ საკითხისათვის	31
§2. ყვაპუ შარვაშიძე და მისი საუფლისწულო სამფლობელო	74
თავი II. დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVIII-XIX საუკუნის დამლახსა და სამურზაყანო	101
§1. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა XVIII ს. I ნახევარში და ქართული პოლიტიკური სამყარო. <i>მურზაყან შარვაშიძის მოღვაწეობა</i>	101
§2. სამურზაყანო ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდში	159
§3. რუსეთის „მფარველობის“ მიღება	191
თავი III. სამურზაყანო 1805-1840 წლებში	203
§1. სამურზაყანოს მფლობელობიდან – სამურზაყანოს მოურავობამდე (1805-1812წწ.)	203
§2. სამურზაყანო ლევან V დადიანის უშუალო მმართველობის ქვეშ (1813-1840წწ.)	249
თავი IV. ისტორიული სამურზაყანოს სოსიალური და ეთნო-კულტურული იერსახე	303
§1. სოციალური ვითარება	303
§2. სამურზაყანოს ეთნო-კულტურული იერსახე	323
დასკვნა	339

სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნა – 1840	
<i>რეზიუმე ინგლისურ ენაზე</i>	344
სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნა – 1840	
<i>რეზიუმე რუსულ ენაზე</i>	368
დანართი	394
1. სამურზაყანოს მფლობელი შარვაშიძეები	394
2. ისტორიული რუკები	395
3. საისტორიო დოკუმენტები	411
ბიბლიოგრაფია	417
საკუთარ სახელთა საქმიანობა	446
საკუთარ სახელთა საქმიანობა <i>(ინგლისურ ენაზე)</i>	464
საკუთარ სახელთა საქმიანობა <i>(რუსულ ენაზე)</i>	467
შემოკლებანი	473

CONTENTS

INTRODUCTION	9
CHAPTER I. THE HISTORICAL BACKGROUND OF THE ORIGIN OF SAMURZAKANO	31
§1. The Abkhazian Expansion to the Enguri in the Last Quarter of XVII Century and to the Problem of “Restoration” of the so-called “Historical” Frontier of Abkhazia	31
§2. Quapo Sharvashidze and His Princely Demesne	74
CHAPTER II. DOMESTIC AND FOREIGN POLICY SITUATION IN WEST GEORGIA IN XVIII – IN THE BEGINNING OF XIX CENTURY AND SAMURZAKANO	101
§1. The Caucasian Policy of Russia in the First Half of the XVIII Century and the Georgian Political World. <i>The Activity of Murzakan Sharvashidze</i>	101
§ 2. Samurzakano during Levan Sharvashidze’s Governance	159
§3. The Adoption of the Russian “Patronage”	191
CHAPTER III. SAMURZAKANO IN 1805-1840	203
§ 1. From the Ruler to Mouravi of Samurzakano (1805-1813)	203
§ 2. Samurzakano Under the Rule of Levan V Dadiani (1813-1840)	249
CHAPTER IV: A BRIEF SOCIAL AND ETHNO- CULTURAL SURVEY OF THE HISTORICAL SAMURZAKANO	301
§1. Social State	301
§2. Ethno-Cultural Status of Samurzakano	321
EPILOGUE	339

FROM THE HISTORICAL PAST OF SAMURZAKANO. THE TURN OF XVII-XVIII CENTURIES – 1840	
<i>Summary in English</i>	344
FROM THE HISTORICAL PAST OF SAMURZAKANO. THE TURN OF XVII-XVIII CENTURIES – 1840	
<i>Summary in Russian</i>	368
APPENDIX	394
1. Sharvashidzes – the Lords of Samurzakano	394
2. Historical Maps	395
3. Historical Documents	411
BIBLIOGRAPHY	417
INDEXES OF PERSONAL NAMES (<i>in Georgian</i>)	446
INDEXES OF PERSONAL NAMES (<i>in English</i>).....	464
INDEXES OF PERSONAL NAMES (<i>in Russian</i>)	467
ABBREVIATIONS	473

ОГЛАВЛЕНИЕ

ВВЕДЕНИЕ	9
ГЛАВА I: ИСТОРИЧЕСКИЙ ФОН ВОЗНИКНОВЕНИЯ САМУРЗАКАНО	31
§1. Абхазская экспансия к Ингури в последней четверти XVIIв. и к вопросу о «восстановлении» т.н. «исторической» границы Абхазии	31
§2. Квапу Шарвашидзе и его княжеская вотчина	74
ГЛАВА II: ВНУТРЕННЕЕ И ВНЕШНЕЕ ПОЛИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В XVIII – В НАЧАЛЕ XIX ВЕКА И САМУРЗАКАНО	101
§1. Политические процессы в Западной Грузии в I половине XVIIIв. и Самурзакано. <i>Правление Мурзакана Шарвашидзе</i>	101
§2. Самурзакано во времена правления Левана Шарвашидзе	159
§3. Принятие российского «покровительства»	191
ГЛАВА III. САМУРЗАКАНО В 1805-1840гг.	203
§1. От владельца до моурава Самурзакано (1805-1812гг.)	203
§2. Самурзакано под управлением Левана V Дадиани (1813-1840гг.)	249
ГЛАВА IV. КРАТКОЕ ОБОЗРЕНИЕ СОЦИАЛЬНОГО И ЭТНОКУЛЬТУРНОГО ОБЛИКА ИСТОРИЧЕСКОГО САМУРЗАКАНО	303
§1. Социальное состояние	303
§2. Этнокультурное состояние Самурзакано	323
ЗАКЛЮЧЕНИЕ	339

ИЗ ИСТОРИЧЕСКОГО ПРОШЛОГО САМУРЗАКАНО. РУБЕЖ XVII-XVIII ВЕКОВ – 1840 ГОД	
<i>Резюме на английском языке</i>	344
ИЗ ИСТОРИЧЕСКОГО ПРОШЛОГО САМУРЗАКАНО. РУБЕЖ XVII-XVIII ВЕКОВ – 1840 ГОД	
<i>Резюме на русском языке</i>	368
ПРИЛОЖЕНИЯ	394
1. Шарвашидзе – владельцы Самурзакано	394
2. Исторические карты	395
3. Исторические документы	411
БИБЛИОГРАФИЯ	417
УКАЗАТЕЛЬ СОБСТВЕННЫХ ИМЁН	
<i>(на грузинском языке)</i>	446
УКАЗАТЕЛЬ СОБСТВЕННЫХ ИМЁН	
<i>(на английском языке)</i>	464
УКАЗАТЕЛЬ СОБСТВЕННЫХ ИМЁН	
<i>(на русском языке)</i>	467
СОКРАЩЕНИЯ	473

შესავალი

საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრი ხალხების, ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრება XXს. მიწურულს სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. რუსეთის ფედერაციის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა წარმატებით „დააგვირგვინეს“, და ეს ძირძველი კუთხე დროებით მოწყვეტეს დედა-სამშობლოს.

1992-1993 წლებში, აფხაზეთში კონფლიქტის დასრულების შემდეგ, ეს მხარე თითქმის მთლიანად დაიცალა ქართული მოსახლეობისგან. აფხაზეთის ქართველობა აბსოლუტური უმრავლესობით განსაკუთრებით გალის რაიონში იყო წარმოდგენილი, სადაც 1989წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, ადგილობრივი მცხოვრებლებიდან 74 712 (93,8%) ქართველი იყო, ხოლო აფხაზი კი მხოლოდ 627 (0,8%).¹

გალის რაიონი, ძირითადად, ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიას მოიცავს. სამურზაყანო კი, როგორც ცალკე ფეოდალური სამფლობელო, რომელსაც სათავეში აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები ედგნენ, წარმოიქმნა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ეს სახელი შემდგომში ეწოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციას სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთში.² XIXს. 40-იან წლებში ისტორიული სამურზაყანოს საზღვრები რამდენადმე შემცირდა, ვინაიდან მასში შემავალი ცალკეული სოფლები აფხაზეთისა (ილორი, ოხურეი, რეკა, აგუბედია)³ და სამეგრელოს სამთავროებს (ფახულანი, ჭალე, განარჯიას მუხური)⁴ გადასცეს.

1993 წლის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელი-

¹ **Т. А. Ачурба.** О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии, – ელექტრონული ვერსია: <http://www.abkhaziya.org/books/samurzaq-an/samurz1.html>; ეს მონაცემები, ბუნებრივია, ეხება საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ გალის რაიონს. მასში შედის 1 საქალაქო (გალი) და 24 სასოფლო საბჭო 90 სოფლით. ამის შესახებ იხ.: **ვ. ზუხბაია.** გალი. რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ პოლიტიკური ვითარება. თბ., 2002, გვ. 6-7.

² გეოგრაფები ამ ტოპონიმით მოიხსენიებენ კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, რომელიც გაცილებით ვრცელ ტერიტორიას – კელასურ-ენგურის შუამდინარეთს – მოიცავს (**დ. უკლება.** სამურზაყანოს დაბლობი, – ქსე. ტ. 9. თბ., 1985, გვ. 37).

³ ამჟამად ოჩამჩირის რაიონის ფარგლებშია.

⁴ თანამედროვე ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების ფარგლებშია.

სუფლებამ კიდევ უფრო შეამცირა გალის რაიონის ტერიტორია ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების¹ გაზრდის ხარჯზე. კერძოდ, ოჩამჩირეს სოფელი შეშელეთი, სოფელ რეფისა და გინძეენერის ნაწილები გადაეცა, ტყვარჩელს კი – გალის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ მხარის დასახლებული პუნქტები.²

გალის რაიონის ტერიტორიის შემცირება აფხაზ სეპარატისტთა მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო და მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობისა და, შესაბამისად, ქართული „ანკლავის“ ხელოვნურად შემცირებას. „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ (სოხუმი) წარმომადგენელი ვიაჩესლავ ჩირიკბა³ სტამბულში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე (14-15 ივნისი, 2007წ.) მიუთითებდა სეპარატისტთა ხელისუფლებისათვის გალის რაიონში დაბრუნებულ ქართველთა მხრიდან მომავალი საფრთხის შესახებ, რადგან ისინი საქართველოს სახელმწიფოს მხარდამჭერები არიან.⁴ სეპარატისტების ემისრის შეფასება გადაჭარბებულია თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზური მხარის მტკიცება, თითქოს გალის რაიონში 60 000⁵ ქართველი დაბრუნებულიყოს,⁶ აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს, რასაც ადასტურებენ კიდევ საერთაშორისო ორგანიზაციები.⁷

ამ უკანასკნელ ხანს სეპარატისტული ხელისუფლებისთვის „სასიცოცხლო“ მნიშვნელობა შეიძინა გალის რაიონის „ავტოქტონური“ მოსახლეობის დადგენის საკითხმა. როგორც აფხაზი

¹ ტყვარჩელის რაიონი აფხაზი სეპარატისტების მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. საბჭოთა პერიოდში ქ. ტყვარჩელი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი იყო.

² ვ. ზუხბაია. გალ. რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ პოლიტიკური ვითარება, გვ. 6.

³ ამჟამად, სეპარატისტული აფხაზეთის „პრეზიდენტის“ მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში.

⁴ *Аспекты грузино-абхазского конфликта*. Возможные последствия вступления Грузии в НАТО для Грузино-Абхазского мирного процесса. Т. 14. Редакторы: **П. Гарб, В. Кауфманн**. Берлин, Ирвайн, 2007, გვ. 103.

⁵ **В. Ардзинба**. Мы хотим иметь самые добрые отношения с Россией, – *«ЦАиК»*. №2(8), 2000, გვ. 22.

⁶ „*ჰუმანიტარულ პროგრამათა ცენტრის*“ (სოხუმი) წარმომადგენლის ა. ინალიფას გამოსვლა (*Аспекты грузино-абхазского конфликта*, გვ. 164); ზოგადად, კი აფხაზეთში ქართული მოსახლეობის სრულად დაბრუნების საკითხი ადგილობრივი სეპარატისტების მიერ არც განიხილება (**В. Ардзинба**. Мы хотим иметь самые добрые отношения с Россией, გვ. 22).

⁷ ამის შესახებ იხ.: „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ (ბრიუსელი, ბელგია) წარმომადგენლის მ. ფრიჩოვას გამოსვლა (*Аспекты грузино-абхазского конфликта*, გვ. 139).

ისტორიკოსი თ. აჩუგბა აღნიშნავს, ეს პრობლემა „ხელოვნურადაა შექმნილი“.¹ რა თქმა უნდა, ამ დასკვნაში მას სავსებით დავეთანხმებოდით, რომ არა მისი ერთმნიშვნელოვნად „გარკვეული“ პასუხი აფხაზთა სასარგებლოდ. ბუნებრივია, ისიც აფხაზეთისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიული სიმართლის გაყალბებას ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ერებს შორის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ამ ტრაგედიამდე მიყვანა, ასევე, განაპირობა აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარმა ისტორიკოსთა ნაწილმა. მათ შესაშური მონდომებით გააგრძელეს ჯერ კიდევ 1907წ. ვინმე ნ. ვორონოვის ცნობილი ბროშურით *«Абхазия не Грузия»* „გაკვალი“ ბილიკებით სვლა, რომლის კურსიც „ნაშრომის“ სათაურშივე იყო ნათლად გაცხადებული.²

როგორც ცნობილი ქართველი ეთნოლოგი ს. ბახია-ოქრუაშვილი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, თ. აჩუგბას საკითხის ამგვარი დასმისკენ უბიძგა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისა და მისი მფარველი რუსეთის შიშმა – არ მოხდეს ქართველთა მიერ აფხაზეთის „ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედროსტრატეგიული რეგიონის ანექსია“ (*თ. აჩუგბას სიტყვებია*).³

¹ **Т. А. Ачугба.** О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии, – ელექტრონული ვერსია: <http://www.abkhaziya.org/books/samurzaq-an/samurz1.html>.

² აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი.** საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული ე.წ. „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“, – *ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „საქართველო“* ბიულეტენი, №2. თბ., 1994; **ზ. პაპასქირი.** „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა, – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 76-101; **ზ. პაპასქირი.** ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა, გვ. 169-177; **З. В. Папаскири.** Историческое прошлое Грузии-Абхазии в т.н. «абхазской историографии». – *Картвелологический научный симпозиум на тему: «Сакартвело» (Грузия).* Бюллетень, №2-3. Тб., 1994; **З. В. Папаскири.** Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора, – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 224-246; **З. В. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 3-7.

³ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, – კრებ.: *ნოდარ მენგელია 75.* თბ., 2008, გვ. 56; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. *ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა.* თბ., 2010,

1993წ. სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, გალის რაიონის მოსახლეობა არაერთხელ გახდა საკუთარ სახლ-კარიდან აყრისა და გამოძევების ობიექტი. ეს, რასაკვირველია, აფხაზ სეპარატისტთა მიერ ამ კუთხის ქართველებისგან განმეიდის მცდელობაა. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ, საქართველოს მხრიდან „მოსალოდნელი აგრესიის“ პრევენციისა და მდ. ენგურზე „სახელმწიფო საზღვრის“ დაცვის უზრუნველსაყოფად გალის რაიონში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების განთავსებამ და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის იძულებამ „აფხაზეთის მოქალაქეობის“ მისაღებად, რაც, პერსპექტივაში, ამ კუთხის ქართული მოსახლეობის სრულ დენაციონალიზაციას ნიშნავს, საფრთხე შეუქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენას. ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ, მწვავედ აყენებს საქართველოს ამ ისტორიული მხარის წარსულის ობიექტურად შესწავლის აუცილებლობას, რასაც მიზნად ისახავს წარმოდგენილი ნაშრომი.

ჩვენი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს პერიოდს სამურზაყანოს ფეოდალური სამფლობელოს ჩამოყალიბებიდან (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა) 1840 წლამდე, როცა ამ მხარეზე დანესდა რუსეთის იმპერიის საოკუპაციო-კოლონიალური რეჟიმის პირდაპირი და უშუალო მმართველობა სამურზაყანოს საბოქაულოს სახით. ამასთანავე, ეს იყო შარვაშიძეთა სამთავრო-საგვარეულოს გვერდითი შტოს პირველობის ხანა სამურზაყანოში, რომელიც გაგრძელდა 1812 წლის შემოდგომამდე, რის შემდეგაც 1840 წლამდე ამ მხარეზე უშუალოდ სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა.

ისტორიული სამურზაყანოს წარსული პოლიტიკური და სოციალური ვითარება საგანგებო მონოგრაფიული შესწავლის საგანი აქამდე არ ყოფილა. მართალია, 2004 წელს ეთნოლოგმა ი. კვაშილავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამურზაყანოზე,¹ მაგრამ ის ქრონოლოგიურად მხოლოდ XIX-XX საუკუნეებს შეეხება და საკითხის დასმის კუთხითაც (მკვლევარი მხარის ეთნოგრაფიული კვლევით იფარგლება) არა აქვს სამურზაყანოს ყოვლისმომცველი ისტორიის შესწავლის პრეტენზია. მასში მხო-

გვ. 294.

¹ ი. კვაშილავა. სამურზაყანო XIX-XX საუკუნეებში. *ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა*. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2004.

ლოდ ზოგადაა განხილული ისტორიული სამურზაყანოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხები. წინამდებარე ნაშრომი კი სწორედ ამ ხარვეზის შევსების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. ჩვენი ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების, ტოპონიმიკური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მონაცემებს და პრობლემის ირგვლივ არსებულ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას.

სამურზაყანოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალები მეტად მწირია. პირველ რიგში ეს ეხება XVII-XVIII საუკუნეებს. XIX საუკუნეში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. რად ღირს, თუნდაც, „კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები“, რომლებშიც არაერთი ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტია დაცული.¹ საქართველოს არქივებში თავმოყრილი მასალები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია სხვადასხვა კრებულებში.² ზოგიერთი საბუთი ჩვენს მიერ პირველადაა შემოტანილი მიმოქცევაში სამურზაყანო-აფხაზეთის ისტორიის კუთხით. ესაა მაგალითად, შ. ბურჯანაძის მიერ გამოქვეყნებული „წყალობის წიგნი სოლომონ მეფისა მარიამ ჯაფარიძის ქალს“³ რომელშიც, ჩვენი აზრით, დაფიქსირებულია აფხაზეთის სამთავრო სახლის მხრიდან სამურზაყანოს დადიანთა გავლენიდან გამოყვანის მცდელობა. ჩვენთვის საინტერესო საარქივო მასალების ნაწილი გამოყენებულია ბ. ხორავას,⁴ თ. ქადარიას,⁵ ნ. თაკალანძის,⁶ ჯ. გა-

¹ *Акты*: Т. I. Тфл., 1866; Т. II. Тфл., 1868; Т. III. Тфл., 1869; Т. IV. Тфл., 1870; Т. V. Тфл., 1873; Т. VI, ч. I. Тфл., 1874; Т. VI, ч. II. Тфл., 1875; Т. VII. Тфл., 187; Т. VIII. Тфл., 1881, Т. X. Тфл., 1885.

² **ე. თაყაიშვილი.** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, – ნგნ: *ძველი საქართველო. ე. თაყაიშვილის* რედაქციით. ტ. III, ტფ., 1914; **ე. თაყაიშვილი.** საქართველოს სიძველენი. ტ. I, ტფ., 1920; **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. I. ტფ., 1921; **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. II. ტფ., 1921; *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები.* ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებით და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა **შ. ბურჯანაძემ.** თბ., 1953; *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა* (1466-1770წწ.). ნგნ. I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო **შ. ბურჯანაძემ.** თბ., 1958; *ქსდ.* ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ.** თბ., 1970.

³ *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა* (1466-1770წწ.). ნგნ. I., გვ. 113-114.

⁴ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.). თბ., 1996.

⁵ **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2003.

⁶ **ნ. თაკალანძე.** მიხეილ შარვაშიძე: *ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტი-*

მახარიასა და ბ. გოგიას შრომებში.¹

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზუგდიდის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში, საქართველოს ეროვნული არქივის ისტორიულ არქივსა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მუშაობისას, ჩვენ წავაწყდით ზოგიერთ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ საბუთებს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლისათვის.² სხვათა შორის, ესაა აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის ერთ-ერთი წერილი, სადაც იგი ოფიციალურად აცხადებს, რომ სამურზაყანო ოდიშის სამთავროს შემადგენელი ნაწილია. ამასთან, ჩვენს მიერ მიკვლეულ საბუთებში ჩანს, რომ, ოდიშისაგან სამურზაყანოს ჩამოშორებიდან უკვე მესამე წელს, მთავარმართებლის აპარატში აღიარეს ამ აქტის მცდარობა, თუმცა იმპერიის „ღირსების“ შენარჩუნების გამო, სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვეს.

საკვლევი პრობლემის შესწავლაში არსებული საარქივო დოკუმენტების სიმწირეს ნაწილობრივ ავსებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მოგზაურთა და თვითმხილველთა თხზულებები, რომელთა შორისაა, აგრეთვე, რუსული საოკუპაციო-კოლონიური არმიის ოფიცერთა მემუარებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჟან შარდენის,³ ჟაკ ფრანსუა გამბას,⁴ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს,⁵ ედუარდ აიხვალდისა¹ და ფ. ტორნა-

კური მოღვაწეობა. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999; **ნ. თაკალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, – ჟურნ.: „*მაფშალია*“, №5, 1999.

¹ **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (ლს. – 1921წ.). თბ., 2005; *წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი.* კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ჯ. გამახარია**. თბ., 2007; **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века.* Тб., 1997.

² **ზსიემ** – ხელნაწერთა ფონდები. *დადიანთა ფონდი*, №13, დოკ. № 2172; *დადიანთა ფონდი*, №13, დოკ. №7312; *დადიანთა ფონდი*, №190, დოკ. №7486; *დადიანთა ფონდი*, №196, დოკ. № 7487; **სეასა** – ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 311; ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 345; ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357; **სხეც** — დოკ. Ad-1508; დოკ. Ad-2229; დოკ. Ad-2232; დოკ. Hd-10595; დოკ. Hd-10597.

³ *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.* ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მ. მგალობლიშვილმა**. თბ., 1975.

⁴ **ჟაკ ფრანსუა გამბა.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო **მ. მგალობლიშვილმა**. ტ. I, თბ., 1987.

⁵ **Ф. Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. Т. I. Сухуми, 1937.

უს მოგონებები.²

ნაშრომში საგულდაგულოდაა გაანალიზებული ეს მასალა და შესაძლებლობისამებრ დაზუსტებულია ზოგიერთი მათგანის ცალკეული ცნობის შინაარსი. ამ თვალსაზრისით ყურადღება გავამახვილეთ ჟან შარდენის „*მოგ ზაურობის*“ ერთი ადგილის მ. მაგალობლიშვილისეულ გაგებაზე.³ კერძოდ, ჩვენ დაგვაეჭვა შარდენისეული *les Abcas*-ის მ. მაგალობლიშვილისეული თარგმანის სისწორემ. ისევე, როგორც მისმა წინამორბედებმა – ვ. ბარნოვმა,⁴ ს. ვ. ბახუტოვამ, დ. პ. ნოსოვიჩმა⁵ – მ. მაგალობლიშვილმაც ის თარგმნა როგორც „აფხაზეთი“. ამასთან, არც ერთ მთარგმნელს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევია მისი მეორე მნიშვნელობისთვისაც – „აფხაზები“.

შესაბამისად, მთარგმნელთა ვერსიით, გამოდიოდა, რომ XVIII. II ნახევარში ბიჭვინთა აფხაზეთის სამთავროს საზღვრებს გარეთ იყო. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მცდარ თარგმანზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება დასახელებულ პერიოდში ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ოდიშის მნიშვნელოვან ტერიტორიულ გაფართოების თაობაზე.⁶ შესაბამისი საისტორიო წყაროების მონაცემებისა და ჟ. შარდენის თხზულების ორიგინალში⁷ გაცნობის შედეგად, ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ზემოდასახელებულ მთარგმნელთა მიერ ამ ადგილის თარგმნის სიმცდარე და წარმოგვედგინა აღნიშნული ფრაგმენტის სწორი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც XVIII. II ნახევარში ბიჭვინთაში, რომელიც აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში იმყოფებო-

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი მესამედი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2005.

² Ф. Ф. Торнау. Воспоминания кавказского офицера. Под редакцией и со вступительной статьей С. Э. Макаровой. М., 2000.

³ ჟან შარდენის მოგ ზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის., გვ. 137.

⁴ დონ-ჟოზეფ-მარი ზამპი. როდის მიიღეს კოლხთა ქრისტეს სარწმუნოება და პირველად ვინ დარგო იგი სარწმუნოება მათ ქვეყანაში (ფრანგულად). თარგმანი ვ. ბარნოვისა, – ჟურნ.: „მწყემსი“, 1887, №2, გვ. 10.

⁵ Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг. Перевод С. В. Бахутовой и Д. П. Носовича (Из журнала «Кавказский Вестник» за 1900 и 1901гг.). С пятью рисунками. Тфл., 1902, გვ. 45.

⁶ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა., გვ. 250.

⁷ Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient, enrichis d'un grand nombre de belles figures en tailles-douces, représentant les Antiquités et les choses remarquables du pays. – Nouvelle édition, Soigneusement conférée sur trois éditions originales, augmentée d'une Notice de la Perse, depuis les temps les plus reculées jusqu'à, de Notes, etc. par L. Langlès. Tome premier. Paris, 1811.

და, ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები.¹

გარდა ამისა, ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი იქნა ერთი საინტერესო დაუთარილებელი აფხაზური ხალხური ლექსი.² ისტორიული რეტროსპექტივის გათვალისწინებით და ლექსის შინაარსის შესწავლით, ვფიქრობთ, მასში გადმოცემული უნდა იყოს XVIII. II ნახევრის ამბები, როცა ხდებოდა აფხაზთა ექსპანსია კოდორი-ენგურის შუამდინარეთში.

აღსანიშნავია, რომ სამურზაყანოს მოკლე ისტორიული მიმოხილვაა მოცემული ცნობილი რუსი გეოგრაფის და სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სემიონოვ-ტიან-შანსკის რედაქტორობით გამოცემულ „*რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის*“ IV ტომში.³ თუმცა, სამურზაყანოს შესახებ მოცემული ცნობების ისტორიული ნაწილი სავსებით მცდარია. „*ლექსიკონის*“ მიხედვით, სამურზაყანო წარმოქმნილა 1761წ., როცა მურზაყან შარვაშიძე გამოეყო სამეგრელოს სამთავროს. ამასთანავე, ავტორებს. ლევან V დადიანი სამურზაყანოს უკანასკნელი მფლობელის მანუჩარ შარვაშიძის სიძედ მიაჩნიათ. სინამდვილეში კი – პირიქით იყო. თუმცა, მათ იციან და ეს აღნიშნულიც აქვთ, რომ სამურზაყანოს ტერიტორია ადრე სამეგრელოს კუთვნილება ყოფილა. ამასთანავე, სავსებით სწორად აქვთ მოცემული აღნიშნული ტოპონიმის ეტიმოლოგიაც. მაგრამ ავტორები თავს არიდებენ იმის აღიარებას, თუ რომელი ენის საფუძველზე აიხსნება იგი როგორც „მურზაყანის კუთვნილება“.

სამურზაყანოს ისტორიის კვლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და სწავლულის ნიკო დადიანის თხზულებას.⁴ ამ წყაროს მნიშვნელობას უდავოდ ზრდის ის გარემოება, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების თანამედროვე და, რიგ შემთხვევაში, მონაწილეცაა (ვგულისხმობთ XIXს. I მეოთხედის ამბებს). რასაკვირველია, ყოველივე ეს სულაც არ ათავისუფლებს მკვლევარს საკითხისადმი

¹ დანვრილ. იხ.: **კ. კვაშილავა**. ჟან შარდენის „მოგზაურობის“ ერთი ადგილის ნაკითხვისათვის, – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. ტ. XI. თბ., 2006, გვ. 162-171.

² *კავკასიის ხალხთა ფოლკლორი*. პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი **ნ. გელაშვილი**. კრებული შეადგინა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო სპეცრედაქტორმა **ლ. ჩლაიძემ**. თბ., 2008, გვ. 204-205.

³ *Географическо-статистический словарь Российской Империй*. Составил по поручению Императорскаго русскаго географическаго общества **П. Семенов**. Т. IV. СПб., 1873, გვ. 422-423.

⁴ **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო **შ. ბურჯანაძემ**. თბ., 1962.

კრიტიკულად მიდგომისაგან. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ ნ. დადიანი ოდიშის სამთავრო სახლის წევრი იყო და ავტორმა „ქართველთა ცხოვრება“ დაწერა იმ პერიოდში, როცა შარვაშიძეებისა და დადიანების სამთავრო სახლებს შორის ურთიერთობა ენგურ-ღალიძგას შუამდინარეთის გამო უკიდურესად დაძაბული იყო. ლევან V დადიანმა ამ დროს არაერთხელ შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ აფხაზეთის მთავარ გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძეს სამურზაყანოზე ოდიშის მთავრის სიუზერენიტეტი ეცნო. შესაბამისად, ნ. დადიანიც დაჟინებით ცდილობდა ხაზი გაესვა ამ მხარის ოდიშისადმი კუთვნილებისათვის. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში ნ. დადიანის თხოულება გაცილებით უფრო ზუსტია და მეტ კონკრეტულებას შეიცავს, ვიდრე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი ნაშრომი,¹ რომელსაც ჩვენი ოდიშარი მემატრიანე თითქმის ზუსტად მისდევს ვიდრე XVIII ს. II ნახევრამდე.

სამურზაყანოს ისტორიის შემსწავლელი ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის თეიმურაზ ჭიჭინაძის მიერ მოპოვებულ საისტორიო მასალებს.² „სიგელი“³ ხელნაწერი დოკუმენტია, რომელიც მისთვის სამურზაყანოელ შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენელს გადაუცია 1897 წელს ბედიში. სამნუხაროდ, ამ საბუთის შედგენის თარიღის გარკვევა ვერ ხერხდება. პირველი მცდელობა, ამ მხრივ, თავად წყაროს მომპოვებელ თ. ჭიჭინაძეს ჰქონდა, რომელსაც იგი მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისადმი დაწერილად მიიჩნევდა.⁴ როგორც ცნობილია, მ. ვორონცოვის, კავკასიის პირველი მეფისნაცვლის, მმართველობის ხანაა 1844-1854 წლები. ირ. ანთელავა კი ამ დოკუმენტს 1813 წლამდე პერიოდით ათარიღებდა და არგუმენტად მოჰქონდა ის, რომ მანუჩარ შარვაშიძე, რომელზეც საუბარია წყაროში, ცოცხლად მიიჩნევა. მეცნიერი მანუჩარის მკვლევლობის თარიღად 1813 წელს მიიჩნევდა.⁵ სინამდვილეში იგი 1812 წლის შე-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV. თბ., 1973.

² თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. სიგელი, – ჟურნ. „კვალი“, №20, 1897; თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. წარწერა, – ჟურნ.: „კვალი“, №28, 1897.

³ წინამდებარე ნაშრომში ჩვენც იმავე სახელითვე ვიხსენიებთ აღნიშნულ დოკუმენტს, რაც მას თ. ჭიჭინაძემ უწოდა. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ იგი არ არის სიგელი მისი ტრადიციული გაგებით.

⁴ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. სიგელი, გვ. 393.

⁵ И. Г. Антелива. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Второе, исправленное издание. Сухуми, 1951, гв. 42.

მოდგომას დაილუპა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ პროფესორ ირ. ანთელავას ეს არგუმენტი არამყარია, ვინაიდან წყაროში ნათქვამია: „*მანუჩარ უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოსა*“.¹

შესაბამისად, თუკი მკვლევარს ვენდობით, მაშინ დოკუმენტის ავტორის „წინასწარმეტყველური“ ნიჭის აღიარება მოგვიწევს, ვინაიდან მხოლოდ წინასწარმეტყველს თუ ეცოდინებოდა, რომ სამურზაყანოს უკანასკნელი მფლობელი მანუჩარ სოლომონის ძე იქნებოდა. თუკი ჩავთვლით მაინც, რომ ეს საბუთი მანუჩარის სიცოცხლეშივეა შედგენილი, მაშინ, ალბათ, ტექსტი ასე უნდა დანერილიყო: „*მანუჩარ მფლობელი სამურზაყანოსა*“ ან „*მანუჩარ ამჟამინდელი/ანინდელი მფლობელი სამურზაყანოსა*“. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია თ. ჭიჭინაძისეული დათარიღება, ვინაიდან მ. ვორონცოვის პერიოდში გაიმართა საკმაოდ მწვავე ტერიტორიული დავა სამურზაყანოელ შარვაშიძეებსა და სამეგრელოს მთავარს შორის.² ამ კონფლიქტის მოგვარებაში, ბუნებრივია, კავკასიის მეფისნაცვალს იყო ჩართული. ადგილობრივი შარვაშიძეები არ აღიარებდნენ, რუსეთის ხელისუფლების მიერ, დადიანისათვის ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთის ზოგიერთი სასაზღვრო სოფლის გადაცემა-დამტკიცებასა და XIX ს. 40-იან წლებში ამ ნიადაგზე ისინი ძალისმიერად ცდილობდნენ ამ დასახლებული პუნქტების დაკავებას.³ დოკუმენტშიც აშკარად იგრძნობა, რომ საუბარია სამურზაყანოზე ყვაპუ შარვაშიძის მემკვიდრეთა უფლებებზე, რაც სარწმუნოს ხდის თ. ჭიჭინაძის მოსაზრებას წყაროს სავარაუდო დათარიღებასთან დაკავშირებით. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ის უნდა შედგენილიყო 1844-1848 წლებს შორის, ვინაიდან 1849წ. 4 იანვარს ეს დავა, ფაქტობრივად, დადიანების სასარგებლოდ დასრულდა.⁴

სამურზაყანოს მიწათმფლობელობისა და სოციალურ ურთიერთობათა შესწავლისთვის მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება პ. ჭარაიასა⁵ და ს. ესაძის პუბლიკაციებში.⁶ საინტერესოა პ. პ. ჭარაიას დასკვნები, რომ სამურზაყანოელები ეთნიკურად მეგრელები არიან, თუმცა სამიწათმოქმედო სისტემა აფხაზების

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 393.

² ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში. – *სიგ.*, ტ. VII, თბ., 1989, გვ. 98-101.

³ *Акты*, Т. X, დოკ. №257-258, გვ. 249-250; დოკ. №262-263, გვ. 254-258.

⁴ ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 98-101.

⁵ *ჭაპაძე*, მიწათმფლობელობა აფხაზეთში, – *ჟურნ.*: „*კვალი*“, №11, 1897.

⁶ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, Тфл., 1907.

მსგავსი ჰქონიათ.

ისტორიოგრაფიაში სამურზაყანოს ისტორიის საკითხები უმთავრესად ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობათა ან საკუთრივ აფხაზეთის თუ დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის შესწავლის ჭრილშია განხილული. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს მასალა.

მ. დუმბაძის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელშიც შესწავლილია სამეგრელოს ისტორია XIX ს. პირველ ნახევარში, შესაბამისად, განხილულია ამ პერიოდის სამურზაყანოს ცხოვრებაც, რომელიც ნაშრომის VI თავშია მოცემული და სულ ხუთიოდე გვერდი (74-79) უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ზოგადაა ნარმოჩენილი, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ მიმართულებით განეული პირველი კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში.¹ მოგვიანებით, მკვლევარი ისევ მიუბრუნდა ამ საკითხს, მაგრამ საკანდიდატო ნაშრომში მიღებული დასკვნები აქაც უცვლელად დატოვა.² თუმცა, იქვე მ. დუმბაძემ წარმოადგინა სამურზაყანოს სოციალური მდგომარეობის ანალიზიც XIX ს. I ნახევარში.

ასევე, ნაწილობრივ ეხება სამურზაყანოს ისტორიას, განსაკუთრებით ყვაპუ შარვაშიძის მმართველობის პერიოდს, ზ. ანჩაბაძის საკანდიდატო დისერტაცია.³ ავტორი, ძირითადად, მართებულად შენიშნავს, რომ ოდიშარ-იმერთა წინააღმდეგობამ ალკვეთა ყვაპუს მხრიდან ენგურის მარცხენა სანაპიროს ექსპანსიის მცდელობა. ასევე ზოგადად ეხება სამურზაყანოს ისტორიას ზ. ანჩაბაძე სხვა ნაშრომებშიც.⁴

მანუჩარ შარვაშიძის მოღვაწეობის შესასწავლად საინტერესო ცნობები და მოსაზრებები აქვს წარმოდგენილი ირ. ანთელავას.⁵ საკითხის შესწავლისას, მკვლევრის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრების მიმართ გარკვეული ეჭვი გაგვიჩნდა და შევეცადეთ ჩვენი ხედვის დასაბუთებას.

¹ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა. თბ., 1942.

² მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*). თბ., 1957.

³ З. В. Анчабадзе. Мегрелия и Абхазия в XVII веке. Диссертационная работа на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тб., 1947.

⁴ З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959; З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964.

⁵ И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Второе, исправленное издание. Сухуми, 1951.

XIXს. I ნახევრის სამურზაყანოს ცხოვრება შედარებით ვრცლად და საინტერესო საარქივო დოკუმენტების მოშველიებით შესწავლილი აქვთ ნ. თაკვალანძესა¹ და თ. ქადარიას.² თუმცა, ამ მკვლევართათვის ეს საკითხი არ ყოფილა კვლევის მთავარი ობიექტი და იგი განხილულია ზოგადად აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროების ისტორიის ქრილში.

საკვლევი პერიოდის სამურზაყანოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე უაღრესად საყურადღებო დაკვირვებებია მოცემული ცნობილი მკვლევრების თ. ბერაძეს,³ ბ. ხორავას,⁴ ზ. პაპასქირის,⁵ ჯ. გამახარიას¹ ნაშრომებში.

¹ ნ. თაკვალანძე მიხეილ შარვაშიძე: *ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა*. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999; ნ. თაკვალანძე. სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, – *ჟურნ.: „მაფშალია“*, №5, 1999.

² თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2003.

³ თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №3, 1971; თ. ბერაძე. გალის რაიონის წარსულიდან, – *გაზ.*: „*ლენინელი*“, №103, 28.VIII.1973; თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, – *წგნ.*: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. *ილ. ანთელავას* საერთო რედაქციით. თბ.-ზუგდიდი, 1999. გვ. 216-247; ბერაძე თ., სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, – *წგნ.*: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. *ილ. ანთელავას* საერთო რედაქციით. თბ.-ზუგდიდი, 1999; თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი. *მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა*, – *კრებ.*: „*საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*“. ტ. VIII. თბ., 2005; Т. Бердзэ. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.). თბ., 1996; ბ. ხორავა. ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარსახელები), – *ჟურნ.* „*არტანუჯი*“, №10, 2000; ბ. ხორავა. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე. – *წგნ.*: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. *ჯ. გამახარიას* რედაქციით. თბ., 2007, გვ. 197-202; ბ. ხორავა. აფხაზეთი XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში“, – *წგნ.*: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი, გვ. 203-218; ბ. ხორავა. რუსეთის ბატონობის განმტკიცების მცდელობანი. *1810-1820წწ.*, – *წგნ.*: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი, გვ. 219-226; ბ. ხორავა. სახალხო აჯანყებები და რუსეთის მიერ გატარებული სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებები. *XIX ს. 20-იანი წლები*, – *წგნ.*: *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი, გვ. 226-239; ბ. ხორავა. აფხაზეთი XIX ს. 30-50-იან წლებში, – *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი, გვ. 240-249.

⁵ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსუ-

სამურზაყანოს ისტორიის მოკლე მიმოხილვას ვხვდებით ბ. ქავშბაიას² და თ. მიზჩუანის³ საგაზეთო პუბლიკაციებში.

სამურზაყანო-აფხაზეთის ეთნოგრაფიისა, ანთროპონიმიის, ონომასტიკისა და ტოპონიმიკის საკითხების კვლევა-ძიებების უახლოესი შედეგები წარმოდგენილია ს. ბახია-ოქრუაშვილის,⁴ პ. ცხადაიას,⁵ თ. გვანცელაძის,⁶ კ. ოკუჯავას,⁷ ნ. აბაკელიას⁸ და ი. კვაშილავას¹ ნაშრომებში.

ლიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004; **3. Папаскири**. Абхазия. *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010.

¹ **Дж. Гамахария, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века*. Тб., 1997; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (იხ. – 1921წ.). თბ., 2005.

² **ბ. ქავშბაია**. სამურზაყანო, – გაზ.: „*ლენინელი*“ (საქართველოს კპ გალის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა გალის რაიონული საბჭოს ორგანო), №83 (6845), 11.VII.1989.

³ **თ. მიზჩუანი**. სამურზაყანო, – გაზ.: „*ლიტერატურული საქართველო*“, №35 (3188), 28.VIII.1998; **თ. მიზჩუანი**. ეგრის-აფხაზეთის ტრაგედია (XVII საუკუნე), – ჟურნ.: „*ციცკარი*“, №3, 1999.

⁴ **С. Бахиа-Окруашвили**. Абхазы. Этнографический очерк. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 329-346.

⁵ **პ. ცხადაია**. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. ნაწ. I. თბ., 1999; **პ. ცხადაია**. ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზეთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, – კრებ.: *ქართველური მეცნიერება*, №3, 1999; **პ. ცხადაია**. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით). დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. *ხელნაწერის უფლებით*. თბ., 2001; **პ. ცხადაია**. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004; **პ. ცხადაია**. ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში, – ჟურნ. „*არტანუჯი*“, №10, 2000.

⁶ **თ. გვანცელაძე**. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997; **თ. გვანცელაძე**. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, – წგნ.: *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*. შემდგენლები და რედაქტორები: **გ. ალასანია** და **ვ. ვაშაქიძე**. თბ., 1998; **თ. გვანცელაძე**. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, – ჟურნ. „*არტანუჯი*“, №10, 2000.

⁷ **კ. ოკუჯავა**. კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ჰიდრონიმები და ტოპონიმები თეათინელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე, – *სდ*. ტ. II. თბ., 1999; **კ. ოკუჯავა**. ბედია და მისი შემოგარენი XVII საუკუნეში. *ტოპონიმიკური და ონომასტიკური დაკვირვებები*, – *სდ*. ტ. III. თბ., 2000; **კ. ოკუჯავა**. აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002.

⁸ **Н. Абакелия**. О местных культовых терминах и святилищах в Западной Грузии (Абхазия), – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 353-362.

წინამდებარე ნაშრომი უკვე, ფაქტობრივად, დაკაბადონებული იყო, როცა დღის სინათლე იხილა მ. ნაჭყეებისა და მ. ტაბიძის ერთობლივმა კვლევამ — „აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები“, რომლის I თავში — „გალის რაიონის (სამურზაყანოს) ისტორიული და ეთნო-ლინგვისტური დახასიათება“, ავტორები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ადგილობრივი ტოპონიმისა და ონომასტიკა, ძირითადად, ქართველური წარმოშობისაა.² სამურზაყანოს ტოპონიმის შესწავლის საკითხში ყურადღებას იმსახურებენ თ. მიბჩუანისა³ და ნ. შონიას⁴ დაკვირვებებიც.

ენგურ-ლალიძის შუამდინარეთის ეთნოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით, გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს ეთნოგრაფ ს. ბახია-ოქრუაშვილის ერთ-ერთი უახლესი პუბლიკაცია, რომელშიც კომპლექსურად და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გამონვლილვითი ანალიზის ფონზე წარმოდგენილია ამ კუთხის ეთნოგრაფია.⁵ ამ მხრივ, აღსანიშნავია, ასევე, მეცნიერის ადრინდელი მონოგრაფიები — «Абхазская «Абипара» – патронимия (Грузино-абхазские параллели)» და „აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები“, სადაც ხაზგასმით დასაბუთებულია, რომ სამურზაყანო უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული.⁶

სამურზაყანოს X-XVII საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მხოლოდ ქართული წარმოშობისაა, სათანადოადაა

¹ ი. კვაშილავა. სამურზაყანოს წარსულიდან (XVI-XVIII სს), – ჟურნ.: „რინა“, №3-4, 2000; ი. კვაშილავა. სამურზაყანოს გვარსახელების გეოგრაფიიდან, – ჟურნ.: „ისტორიულ-გეოგრაფიული შტუდიები“, №6, 2003; ი. კვაშილავა. სამურზაყანო XIX-XX საუკუნეებში. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2004.

² მ. ნაჭყეია, მ. ტაბიძე. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბ., 2010, გვ. 3-34.

³ თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989.

⁴ ნ. შონია. ცნობები სოფელ წარჩეს წარსულიდან, – აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. გამოც. III. სოხუმი, 1958; ნ. შონია. გალის რაიონის ტოპონიმები, – გაზ.: „ლენინელი“ (საქართველოს კპ გალის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა გალის რაიონული საბჭოს ორგანო), №105 (6867), 31.VIII.1989.

⁵ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, – კრებ.: ნოდარ მენგელია 75, გვ. 56-75.

⁶ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия (Грузино-абхазские параллели). Тб., 1986, გვ. 20; ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, გვ. 294-340.

შესწავლილი ლ. ახალაძის მონოგრაფიაში.¹ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო მხარის მასალები მოცემულია I ნაწილის პირველ („ბედიის ტაძრის ეპიგრაფიკა“) და მეორე („ისტორიული სამურზაყანოს წარწერები“) თავებში.

გალის რ-ნის და, შესაბამისად, სამურზაყანოს მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები და სტატიები გამოქვეყნებული აქვს ვ. ზუხბაიას.²

XIX ს. შუახანებიდან, როცა სამურზაყანოზე რუსეთის პირდაპირი მმართველობა დაწესდა და სამეგრელოს მთავარი ამ მხარეს მაინც ვერ თმობდა, კოლონიურმა ხელისუფლებამ ხელოვნურად წამოაყენა სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი. კვლევის მიზანი იყო „დაემტკიცებინათ“ ამ მხარის მოსახლეობის არაქართული წარმომავლობა. ამ „სახელმწიფო შეკვეთის“ პირველი „პროდუქტის“ ავტორია მ. სელეზნევი, რომელმაც სამურზაყანოელები აფხაზებად გამოაცხადა.³ მსგავსი იდეებია გატარებული ა. ბერჟეს,⁴ ს. დუხოვსკის,⁵ ნ. დუბროროვინის,⁶ გ. ფილიპსონისა⁷ და ნ. ალბოვის⁸ მიერ. მათგან განსხვავებით, ზემოთ ხსენებულ „რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის“ IV ტომში აღიარებულია სამურზაყანოელთა „ქართული წარმომავლობა“, მაგრამ ავტორების თქმით, ისინი უფრო აფხაზებს ჰგვანან.⁹

¹ ლ. ახალაძე. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVIII სს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. ტ. I (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბ., 2005.

² ვ. ზუხბაია. აფხაზეთო ჩემო. თბ., 1998; ვ. ზუხბაია. ვახუშტი ბაგრატიონი და აფხაზეთი. თბ., 2000; ვ. ზუხბაია. სამეგრელო-აფხაზეთი, – გაზ.: „მახარია“, №5 (5), 2000; ვ. ზუხბაია. სამურზაყანო, – გაზ.: „მახარია“, №1 (6), 2001; ვ. ზუხბაია. ენგურიდან-ფსოუმდე, – გაზ.: „მახარია“, №11 (16), 2001; ვ. ზუხბაია. აფხაზეთის თავადური გვარები ქართულია, – გაზ.: „მახარია“, №2 (7), 2001; ვ. ზუხბაია. გალი. რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ პოლიტიკური ვითარება. თბ., 2002.

³ М. Селезнев. Руководство познанию Кавказа. Кн. 2. СПб., 1847.

⁴ А. Берже. Краткий обзор горских племен на Кавказе. Абхазское племя (азега), – «Кавказский календарь за 1858». Тфл., 1857.

⁵ С. Духовский. Материалы для описания войны на Западном Кавказе. СПб., 1864.

⁶ Н. Дубровин. История войны и владычества на Кавказе. Т. I: Очерк Кавказа и народов его населяющих. Книга II: Закавказье. СПб., 1871, გვ. 2.

⁷ Воспоминания Г. И. Филиппсона, – «Русский архив». Кн. 2. М., 1885.

⁸ Н. М. Альбов. Этнографические наблюдения в Абхазии, – «Живая старина». Вып. III, 1893.

⁹ Географическо-статистический словарь Российской Империй..., Т. IV, გვ. 423.

ცარიზმის აპოლოგეტ მეცნიერთა კვალს დაადგა ქართველი რენეგატი კ. მაჭავარიანიც, რომელიც თავისი „მოსაზრებების“ ტირაჟირებას შავრაზმული გაზეთში – «Черноморский вестник» ახდენდა.¹

1892 წელს გამოქვეყნდა რუს ი. პანტიუხოვის კვლევა, რომლის ანთროპოლოგიურმა „ძიებებმა“ თურმე გამოაჩინა მნიშვნელოვანი განსხვავებები სამურზაყანოელებსა და მეგრელებს შორის.²

ზემოხსენებულებისაგან განსხვავებული მოსაზრება სამურზაყანოელთა წარმოშობის შესახებ დაფიქსირებულია გაზეთ «Кавказ»-ში გამოქვეყნებულ ვრცელ მასალაში ამიერკავკასიის მოსახლეობაზე, სადაც, მართალია, სამურზაყანოელები ცალკე ტომად არიან მოხსენიებული, თუმცა ავტორის აზრით, ისინი მეგრელებისაგან მომდინარეობენ.³ იმავე გამოცემაში 1860 წელს დ. ბაქრაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამურზაყანოელები მეგრელებისა და აფხაზების ნარევის წარმოადგენენ.⁴

სამურზაყანოს ეთნოგრაფიის საკითხებში გარკვეული გამოკვლევები ჩაუტარებია თანამედროვე რუს მკვლევარს ლ. სოლოვიოვს, რომლის მართებული დაკვირვებით ამ მხარეში აფხაზები გვიან შუა საუკუნეებში გამოჩნდნენ. თუმცა, შემდგომი დასკვნებით მან ახალი ეთნიკური სუბიექტის – „სამურზაყანოელის“ – ჩამოყალიბება დაუშვა.⁵

¹ **К. Д. Мачавариани.** Имеют ли право самурзаканцы называть себя мингрельцами, – «**ЧВ**», 1899, №72-75; **К. Д. Мачавариани.** Ответ Самурзаканцу, – «**ЧВ**», 1899, №101-102; **К. Д. Мачавариани.** Очерки Абхазии, – «**ЧВ**», 1899, №224, 229, 233, 254, 279; **К. Д. Мачавариани.** Очерки Абхазии, – «**ЧВ**», 1900, №31, 34; **К. Д. Мачавариани.** Сухум и Абхазия, – «**ТВ**», 1879, №250, 252; **К. Д. Мачавариани.** Религиозное состояние Абхазии, – «**КВ**», 1889, №22, 24; **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. С историко-этнографическим очерком Абхазии. Сухум, 1913.

² **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы, – გაზ. «Кавказ», 1892, №77; **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы. Тфл., 1892.

³ *Главнейшие сведения о горских племенах, на которых распространяется деятельность Общества восстановления Православного Христианства на Кавказе,* – გაზ. «Кавказ», №44, 1868.

⁴ *Очерки о Мингрелии, Самурзакани и Абхазии,* – გაზ. «Кавказ», №48-49, 1860.

⁵ **Л. Т. Соловьева.** Роль миграционных процессов в этническом развитии Самурзакано, – *Межэтнические контакты и развитие национальных культур.* Сборник статей. М., 1985; **Л. Т. Соловьева.** Языковые процессы в этноконтактной зоне (по материалам Юго-восточной Абхазии), – *Проблемы изучения традиций в культуре народов Мира.* Вып. I, М., 1990; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა

XIXს. რუსული ისტორიოგრაფიის „დასკვნებს“ სამურზაყანოელთა „აფხაზობის“ შესახებ წინ აღუდგნენ ქართველი მეცნიერები და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შორის იყო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ამ კუთხის მოსახლეობას ცალსახად ქართველებად აღიარებდა.¹ სამურზაყანოზე მისი შეხედულებების გაცნობა შესაძლებელია ცნობილი სახელმძღვანელოს „*ბუნების კარის*“ მეშვეობით. ამ მხრივ საინტერესოა დასახელებული ნაშრომის პირველი გამოცემები, სადაც ცნობები ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის შესახებ შედარებით ვრცლად არის მოცემული.

ი. გოგებაშვილი მიმოიხილავს სამურზაყანოს გეოგრაფიულ მდგომარეობას, საუბრობს სამურზაყანოელთა წეს-ჩვეულებებზე, წარსულზე. ისტორიის მონახაზი, ძირითადად, სწორია, ვინაიდან ამ მხარის წარმოქმნას ი. გოგებაშვილი სამართლიანად უკავშირებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას და ოსმალეთისა და მთიელ კავკასიელთა მხარდაჭერით აფხაზთა გაძლიერებას, რომლებმაც შეძლეს ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება. სამურზაყანოს შექმნას ავტორი 1671 წლით ათარიღებს.² თუმცა, შემდგომი კვლევებით ეს თარიღი გაზიარებული არ იქნა, რადგან აფხაზთა შემოჭრა სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და მისი ანექსია XVIIIს. 80-90-იანი წლებით თარიღდება.³

სამურზაყანოელთა სარწმუნოებრივი ვითარების მიმოხილვისას, ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავიდანვე ქრისტიანი ყოფილა, მაგრამ, თავსგადამტყდარი ისტორიული ქართველების გამო, ეს რელიგია შესუსტებულა.⁴ თუმცა, მომხდურს ისლამის დამკვიდრება მაინც ვერ მოუხერხებია, ვინაიდან სამურზაყანოში არსად მოიპოვება მეჩეთი. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ სამურზაყანოელთა სარწმუნოებაში, წარმართობის გარკვეული ელემენტებიც გაჩენილა, რაც სამჭედლოს კულტს უკავშირდება.⁵ ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ი.

ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 58; ს. **ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, გვ. 298-299.

¹ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*. უმცროს კლასებში სახმარებელი. შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან. მეოთხე შეცვლილი გამოცემა. თფ., 1882, გვ. 316.

² *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 317.

³ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии..., გვ. 270.

⁴ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 318.

⁵ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 318-319.

გოგებაშვილს, ამ საკითხზე მუშაობისას, უნდა ესარგებლა იმერეთის მღვდელმთავრის წმიდა გაბრიელის (ქიქოძე) ანგარიშებით, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს სამურზაყანოს შესახებ¹ და ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები „*რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის*“ IV ტომით.

ისტორიული სამურზაყანოს წარსული, ბუნებრივია, არ დარჩენილა აფხაზ ისტორიკოსთა ყურადღების მიღმა. აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ, ახალი ძალით განახლდა სამურზაყანოელთა ეთნიკური წარმოშობის „შესწავლა“. ამ პერიოდის მკვლევარი ს. ბასარია მათი მეგრული წარმომავლობის საკითხს დასაშვებადაც კი არ მიიჩნევდა.²

XXს. 50-იანი წლების დასაწყისში ხ. ბლაჟბამ ტოპონიმიკის მოშველიებით სცადა სამურზაყანოელთა ეთნიკური ვინაობის დადგენა. მეცნიერის მტკიცებით, გალის რაიონის ტოპონიმიკაში აფხაზური შრე ადგილს „უთმობს“ მეგრულს.³ როგორც სავსებით სწორად მიუთითებს პ. ცხადაია, ხ. ბლაჟბამ უბრალოდ მიჩქმალა ამ რეგიონში ქართველური ტოპონიმიკური შრის პირველადობა.⁴

სამურზაყანოს ანთროპონიმიკისა და ტოპონიმიკის „შესწავლის“ მცდელობა ჰქონდა აბაზური წარმოშობის რუს ეთნოგრაფს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს მ. თხაიციუხოვს. ამ მიმართულებით განეული მისი კვლევები რეგიონში არსებული შესაბამისი მასალის ქართველური წარმომავლობის გაყალბების ამკარა მცდელობას წარმოადგენს. მ. თხაიციუხოვი, საერთოდ, სამურზაყანოში დაფიქსირებული ამკარად ქართველური ანთროპონიმიკისა და ტოპონიმიკის არათუ აფხაზური, საერთოდ აბაზური წარმოშობის „დამტკიცებას“ შეეცადა.⁵

სამურზაყანოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საკითხები გაშუქებული ჰქონდა გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. გ. ძიძარიას.⁶

¹ *Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходов*, – გაზ.: «Кавказ». №13-15, 1869.

² **С. Басария**. Абхазия в географическом, этнографическом и этнокультурном отношении. Сухум-Кале, 1923.

³ **Х. С. Бгажба**. Некоторые вопросы этнонимии Абхазии, – *Труды АБИЯЛИ*. Т. XXVII, 1956; **Х. С. Бгажба**. Этюды и исследования. Сухуми, 1974.

⁴ **პ. ცხადაია**. საკუთარი სახელი კოლხურ., გვ. 203-205.

⁵ **М. Тхайцухов**. Абазины. *Страницы древней и средневековой истории*. Черкесск – Карачаевск, 2006, გვ. 142-159.

⁶ **Г. А. Дзидзария**. Социально-экономический строй Абхазского княжества в XIX

ცნობილი აფხაზი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი შ. ინალ-იფა თავდაპირველად სავსებით სამართლიანად აცხადებდა, რომ აფხაზებმა, მეგრელებთან ფეოდალური შინაომების პირობებში, დაიკავეს კოდორი-ენგურის შუამდინარეთი.¹ თუმცა, მოგვიანებით მან რადიკალურად შეცვალა ეს მოსაზრება და სამურზაყანოს ავტოქტონ მოსახლეობად მხოლოდ აფხაზები მიიჩნია.²

უკანასკნელ პერიოდში აფხაზური ისტორიოგრაფია „წარმატებით“ აგრძელებს სამურზაყანოს ისტორიული წარსულის სრულიად უცერემონიო გაყალბებას. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ზემოთნახსენებმა თ. აჩუგბამ, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ისტორიული სამურზაყანოს მკვიდრთა „ეროვნული თვითშეგნების“ პრობლემებს.³ მასში ავტორი ყოველნაირად ცდილობს სამურზაყანოელთა აფხაზური წარმომავლობა დაამტკიცოს, თუმცა საამისოდ წარმოდგენილ საისტორიო საბუთებს შორის ყველაზე „უძველესი“ მხოლოდ 1788 წლით თარიღდება და მკვლევარი რატომღაც არ დაინტერესებულა, თუ რა ხდებოდა XVIII ს. მიწურულამდე ამ მხარეში.

სამურზაყანოს ისტორიის საკითხები მთლიანად თავდაყირაა დაყენებული ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას აფხაზეთის ისტორიის „სახელმძღვანელოში“, სადაც სამურზაყანო მიჩნეულია მხოლოდ აფხაზთა საცხოვრის ტერიტორიად.⁴ თუმცა, ამ მხარეში (და ეს სათანადოდ იქნება ნაჩვენები წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის ნაწილში) XVIII ს. დამდეგამდე აფხაზთა განსახლების არავითარი ნაკვალევი არ ჩანს და აქ მათი დაფუძნება მოხდა

веке, – ნგб.: *Очерки истории Абхазской АССР*. Ч. I, Сухуми, 1960; **Г. А. Дзидзария**. Присоединение Абхазии к России и его историческое значение, – ნგб.: *Очерки истории Абхазской АССР*. Ч. I, Сухуми, 1960; **Г. А. Дзидзария**. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1975.

¹ **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки*. Второе переработанное, дополненное издание. Сухуми, 1965.

² **Ш. Д. Инал-ипа**. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976; **Ш. Д. Инал-ипа**. Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1976; **Ш. Д. Инал-ипа**. Об изменении этнической ситуации в Абхазии в XIX в. – «СА». 6.VII.1989; **Ш. Д. Инал-ипа**. О моем народе, его истории и Отечестве. – «СА». 16.IX.1989.

³ **Т. А. Ачугба**. О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии, – ელექტრონული ვერსია: <http://www.abkhaziya.org/books/samurzaqan/samurz1.html>.

⁴ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы*. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006; **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. *С древнейших времён до наших дней*. Сухум, 2007.

მას შემდეგ, რაც ის ოდიშის მთავრებს წაართვეს შარვაშიძეებმა XVIII ს. მიწურულს. 1805 წლის 9 ივლისს სოფ. ბანძაში ლევან V დადიანი სამეგრელოს მთავრად დამტკიცების ცერემონიაში მონაწილეობდნენ სამურზაყანოს მმართველი საგვარეულოს წარმომადგენლები ლევან და მანუჩარ შარვაშიძეებიც, რომლებმაც, ოფიციალურად დაადასტურეს რა, რომ ოდითვანვე „სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადის დადიანის“ მორჩილები იყვნენ, ასევე დაიფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.¹ ეს ნიშნავდა სამურზაყანოს, როგორც სამეგრელოს ნაწილის, შესვლას რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.

ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა ყოველივე ამას არაფრად აგდებენ და ამ ფაქტის წარმოჩენას იმგვარად ცდილობენ, რომ სამურზაყანომ დამოუკიდებლად მიიღო რუსეთის „მფარველობა“, სამეგრელოს მთავარი კი მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა. აფხაზი ისტორიკოსები უბრალოდ ცრუობენ, როცა 1840წ. სამურზაყანოს რუსულ ადმინისტრაციულ ერთეულად — საბოქაულოდ გადაქცევას ამ კუთხეზე მიხეილ შარვაშიძის უფლებების დადასტურებად აცხადებენ.² ამ მტკიცებას არანაირი საფუძველი არ აქვს. რუსებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს არა აფხაზეთის მთავრის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, არამედ საკუთარი საოკუპაციო-კოლონიური რეჟიმის პოზიციების გასამყარებლად ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც პერსპექტივაში ითვალისწინებდა აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროების ავტონომიური არსებობის მოსპობას. ეს რომ ასეა, დასტურდება იმითაც, რომ 1840 წლამდე რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება სამურზაყანოს კატეგორიულად მხოლოდ სამეგრელოს კუთვნილებად განიხილავდა.³

¹ *Акты*. Т. II, док. №1031, გვ. 527.

² **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы*, გვ. 245.

³ ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას „სახელმძღვანელოს“ პროპაგანდისტული დანიშნულება სრულიად აშკარაა. შემთხვევითი არაა, რომ ეს წიგნი ფართოდ ვრცელდება დასავლეთელ მეცნიერებში, პოლიტოლოგებში, ჟურნალისტებში, რისი თვითმხილველი და მონაწილეც ამ სტრუქტურების ავტორიც იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს 2007 წელს. როგორც ჩანს, ამ „შედეგურის“ ერთადერთი ამოცანა მხოლოდ ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას „თვალებით“ ლაჟვარდოვან ფერებში დანახული აფხაზეთის „ჰეროიკული“ ისტორიის წარმოჩენაა. ამ მიზანს ბრმადა ადევენებული ავტორები ამ გზით ისევ და ისევ საკუთარი ერის ისტორიას ამახინჯებენ და მკითხველიც შეცდომაში შეჰყავთ. მათი „ნაშრომი“ არც აფხაზეტში იწვევს ერთსულოვან მხარდაჭერას, რისი დასტურიცაა ისტორიკოს ალექსი პაპასკირის წერილი «Школьный учебник или первый блин комом» (გაზ. «Единая Абхазия», №15, 2.11.2010). „სახელმძღვანე-

ამრიგად, როგორც ამ მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან ჩანს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სამურზაყანოს წარსული, მთლიანობაში, ნამდვილად არ არის ჯეროვნად შესწავლილი. და ეს იმ ფონზე, როდესაც სეპარატისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ ამ ძირძველი ქართული კუთხის ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ისტორიის მრუდე სარკეში წარმოსაჩენად, და მისი, ისევე როგორც მთელი ამჟამინდელი აფხაზეთის, საერთო-ქართული ისტორიული პროცესიდან მოსაწყვეტად. სწორედ ამიტომაც საშური სამურზაყანოს ისტორიის მონოგრაფიული დამუშავება, რომლის პირველ ცდასაც წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი.

გარდა საკუთრივ მონოგრაფიული შესწავლისა, ჩვენ პირველად წამოვნიეთ, ახლებურად გავიაზრეთ და დავაზუსტეთ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, კერძოდ:

- სამურზაყანოს სტატუსთან დაკავშირებით, ნაშრომში პირველადაა გამოყენებული „კონდომინიუმის“ ფორმულა;
- უარყოფილია ამ ბოლო დროს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ყვაპუ შარვაშიძის მოღვაწეობის სეპარატიზმად შეფასების თაობაზე;
- პირველადაა მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქებული სამურზაყანოს მფლობელების ლევან და მანუჩარ შარვაშიძეების მოღვაწეობა, დაზუსტებულია ამ ლიდერთა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირე-

ლოს“ ავტორები აღაშფოთა ახლად გამომცხვარი „მეცნიერი-ისტორიკოსის“ ასეთმა „არაკოლეგიალურმა“ რეცენზიამ და ო. ბლაჟბამ მას მოუწოდა საქმეს მიუდგეს ციცირონის მონოდებისამებრ ანუ «писать без пристрастия и без предвзятой враждебности» (გაზ. «Нужная», №43, 9.11.2010). რაოდენ მისასალმებელი იქნებოდა, რომ მათაც სწორედ ამ პრინციპის დაცვით ემოქმედათ ამ დასახელებულ ნაშრომზე მუშაობისას (ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას „სახელმძღვანელოს“ ამომწურავი კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასკირი**. ცრუ ისტორია. *რეცენზია ოლეგ ბლაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე*. – შრომათა კრებული. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ტ. 2. თბ., 2010, ელექტრონ. ვერსია: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia/>; **3. Папаскири**. Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» «Истории Абхазии»* О. Х. Бгажба и С. З. Лакоба. – *Кавказ и мир*. Международный научный журнал, №8, 2010, გვ. 69-90. ელექტრონ. ვერსია: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia-ru/>; აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **3. Папаскири**. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 455-491).

ბული ზოგიერთი ფაქტის ქრონოლოგია;

- პირველადაა ყურადღება გამახვილებული მანუჩარ შარვაშიძის მნიშვნელოვან ინიციატივაზე გაეთავისუფლებინათ ბათუმი ოსმალთაგან XIX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს და ამ საქმეში აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრების მონაწილეობის საკითხზე, რომელიც ისტორიოგრაფიაში აქამდე ერთგვარად მიჩუმათებული იყო;
- კრიტიკულად გაანალიზებული და უარყოფილია მოსაზრება სამურზაყანოზე აფხაზეთის მთავრის ქელემ-ბეის სრული კონტროლის დანესებისა და ამ კუთხის დადიანის გავლენის სფეროდან გასვლის თაობაზე;
- ნაშრომში წარმოჩენილია რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანი, რომელიც ქართველთა და აფხაზთა საუკუნეობრივ თანაცხოვრებაში ბზარის შეტანით ორი მოძმე ერის გათიშვას ისახავდა. ამ გზაზე პირველ ნაბიჯს სწორედ სამურზაყანოს სამეგრელოსაგან ჩამოშორება წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენს მიერ პირველადაა გამომზეურებული საბუთები, სადაც ჩანს, რომ უკვე 1843 წლისათვის მთავარმართებლის აპარატში ოდიშისაგან სამურზაყანოს ჩამოშორების უკანონობა აღიარეს.

წინამდებარე მონოგრაფიის გამოსაცემად მომზადებისას განეული რჩევა-კონსულტაციებისა და დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ წიგნის რედაქტორს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ზურაბ პაპასქირს**; რეცენზენტებს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თამაზ ბერაძესა** და ისტორიის დოქტორს, პროფესორ **ბეჟან ხორავას**; აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: **სალომე ბახიაოქრუაშვილსა** და პროფესორ **გიორგი ანჩაბაძეს**; ისტორიის დოქტორებს, პროფესორებს: **ლია ახალაძეს**, **ჯამბულ ანჩაბაძესა** და **ავთანდილ კილასონიას**; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ოლღა პეტრიაშვილს**; ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორ **ემა კილანავას**; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამომცემლობის თანამშრომლებს: **რობერტ მესხსა** და ფილოლოგიის დოქტორს **ლელა მირცხულავას**.

თავი I. სამურზაყანოს წარმოქმნის ისტორიული ფონი

§1. აფხაზთა ექსპანსია ენგურისაკენ XVIII. უკანასკნელ მეოთხედში და აფხაზეთის ე. წ. „ისტორიული“ საზღვრის „აღდგენის“ საკითხისათვის.

XVIII. უკანასკნელ მეოთხედში განსაკუთრებით გართულ-და ოდიშის სამთავროს მდგომარეობა. ლევან III (შამადავლე) და-დიანი (1661-1681¹), ქართულ ისტორიულ წყაროებში „სრულიად ოდიშისა და აფხაზეთის მპყრობელ-მქონებელის“ ტიტულით მოხსენიებული,² ვერ გამოდგა სახელოვანი ბიძის ლევან II დიდის (1611-1657), რომლის სახელიც გამთავრებისთანავე დაირქვა,

¹ თ. ბერაძე ლევან III-ს გამთავრების თარიღად 1662 წლის შემოდგომას მიიჩნევს (თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რეგი, — ჟურნ.: „ანალები“. 2, 2000, გვ. 31). ლევან III-ის გარდაცვალების თარიღად კი ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ვახუშტის დათარიღება — 1680წ. (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 844). ბ. ხორავამ ყურადღება მიაქცია ოდიშში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის გაეტანო ტურკოს 1681წ. 12 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ წერილს, სადაც ის დადიანის გარდაცვალების თარიღად „გასულ თვეებს“ ასახელებს (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით. XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., 1902, გვ. 208). აქედან გამომდინარე, ის მიიჩნევს, რომ ოდიშის მთავარი 1681წ. ზაფხულში უნდა გარდაცვლილიყო (ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 108). ვფიქრობთ, მკვლევრის მოსაზრება სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, ვინაიდან ოდიშში იმხანად მყოფ გ. ტურკოს ამ ფაქტთან დაკავშირებით უფრო ზუსტი მონაცემები ექნებოდა. აღსანიშნავია, რომ ბ. ხორავას ვარაუდის მართებულობას ასევე უნდა ადასტურებდეს ნიკო დადიანიც, რომელიც წერდა: „შემდგომად მცირედისა ხანისა მოკვდა დადიანი ლეონ ნელს ქრისტესით 1681“ (ნ. დადიანი ქართველთა ცხოვრება, გვ. 164). თუმცა, ნ. დადიანის თხზულების გამომცემელმა შ. ბურჯანაძემ ეს თარიღი რატომღაც შეცდომად მიიჩნია და ვახუშტისეულ დათარიღებას დაუჭირა მხარი (ნ. დადიანი ქართველთა ცხოვრება, გვ. 236, შენ. 386). მართალია, ნ. დადიანი თავისი ნაშრომის დიდ ნაწილში, ფაქტობრივად, ვახუშტი ბატონიშვილს მიჰყვება და იმეორებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, განსხვავებული თარიღი მიუთითა, რაც ნამდვილად არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეტყობა მას საამისო საფუძველი გააჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უპირატესობა ნ. დადიანისეულ ქრონოლოგიას უნდა მიენიჭოს. ამ დათარიღებას იზიარებს თ. ბერაძეც და მას კიდევ უფრო აკონკრეტებს — 1681 წლის I ნახევარი (თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა..., გვ. 31).

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. II. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. თბ., 1993, გვ. 9.

ღირსეული მემკვიდრე.

1672წ. სექტემბერში¹ იგი ახალციხის ფაშამ იხმო ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში გამწვავებული შინააშლილობით გამეფებული ანარქიის წყალობით და ფეოდალთა ხელშეწყობით 1669 წლიდან ქუთაისში უკვე ოსმალთა ჯარი იდგა.² „ჩხვიძე სეხნიაშ არა ინება მეფობა ბაგრატიისა³ და აღილო მოპარვით და ზაკვთ ქუთათისის ციხე და მისცა ოსმალთა და მიერით უპყრავთ დღემდე“.⁴

ვარაუდობენ, რომ ოსმალებს ლევან III-ის ნაცვლად ახალციხის ფაშის კარზე აღზრდილი ლევან II დადიანის შვილიშვილის გამთავრება სურდათ.⁵ თურქების ამ ქმედებას გარკვეული ლეგალური საფუძველიც ჰქონდა. როგორც თ. ბერაძემ კათოლიკე მისიონერის ანდრეა ბორომეოს 1658 წლით დათარიღებული რელაციის მიხედვით გაარკვია, იგი (მისი სახელი უცნობია), თურმე, ერთხანს (1657 წელს, ერთი-ორი თვე), ლევან II-ს ანდერძის თანახმად, სამეგრელოს მთავრად მჯდარა. თუმცა, ამ დროს იგი მცირეწლოვანი ყოფილა.⁶ მალე იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა და, დედამისთან ერთად, ახალციხის საფაშოში გაიქცა.⁷ ლევან III დადიანი მიუხვდა ამ „მიპატიჟების“ რეალურ არსს და წინააღმდეგობის გასაწევად მოემზადა. სამეგრელოს მთავარმა დახმარებისათვის აფხაზებს უნმო. 19 სექტემბერს შარვაშიძე თავისი მხედრობით შევიდა ოდიშში.⁸ თუმცა, დადიანს დამხმარე რე ძალის ნაცვლად, ერთ-ერთ ამნიოკებლად მოევლინა.

მკვლევართა ვარაუდით, ეს უნდა ყოფილიყო კათოლიკე მისიონერთა წერილებში „სუსტარ სარაზიად“⁹ მოხსენიებული საუსტან (ბაგრატი) შარვაშიძე.¹⁰ აფხაზებმა თითქმის მთელი სა-

¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 108.

² ის, რომ ქართველ ფეოდალთა ამ უგუნურ აქტს დასავლეთ საქართველოს გამაჰმადიანება არ მოჰყოლია სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ნ. ბერძენიშვილი ოსმალთა იმპერიის დასუსტება-დაცემის პროცესის დაწყებად მიიჩნევდა (ნ. ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, – ნგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. თბ., 1973, გვ. 274).

³ ბაგრატი IV, რომელსაც ოთხჯერ ეჭირა იმერეთის სამეფოს ტახტი: 1660წ., 1663-1668წწ., 1669-1678წწ. და 1679-1681წწ.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 839.

⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 108; თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 30-31.

⁶ თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 30.

⁷ თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 30.

⁸ Voyages du Chevalier Chardin..., გვ. 336-337; Путешествие Шардена по Закавказью..., გვ. 104; თან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 207.

⁹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 208.

¹⁰ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 108; ზ. პაპასქირი. ნარკ-

მეგრელო მოარბიეს.¹ ისინი საკმაოდ დიდხანს ანიოკებდნენ ოდიშს (თითქმის 13 ოქტომბრამდე), რომლის შედეგად მათ „ნა-უყვანიათ ათას ორასი კაცი, ბევრი პირუტყვი და დიდი ნადავლი ნაულიათ; დაურბევიათ ერთი თეათინელის სახლი, საიდანაც სამი ტყვე ნაუყვანიათ“.² საუსტანის დროს განსაკუთრებით გახშირდა აფხაზთა მარბიელი თავდასხმები სამეგრელოზე და, როგორც ზ. ანჩაბაძე აღნიშნავდა, აფხაზები უკვე მუდმივ საცხოვრებლადაც რჩებოდნენ კოდორი-ლალიძგას შუამდინარეთში.³ „იყო ძირი დიდი ოდიშსა, ვითარცა აღვსნერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნენ ნავებითა და ჯმელითა და სტყუენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდნენ თვთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“, — წერდა ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბების შესახებ.⁴

როგორც ჩანს, ამ მოვლენებს უნდა ეხმაურებოდეს ერთი აფხაზური ხალხური ლექსი, სადაც ყურადღებას იქცევს ის, რომ დედისერთა სათბეი მიჰყავთ ოჩამჩირეში.⁵ კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის მიჰყავთ საომრად მეტად საშიშ მხარეში, რასაც არ მალავენ სათბეი და დედამისი. ამასთავე, შეიმჩნევა, რომ ოჩამჩირეს მხარეში საომარი კონფლიქტი პერმანენტულ ხასიათს ატარებს. ფინალში კი ვიგებთ, რომ სათბეიმ „ჯგერდას თემის“ „ხალხისათვის განირა თავი“ და ბრძოლაც იმ მიდამოებში მომხდარა.

ნაწარმოებში არ არის დაკონკრეტებული, თუ ვის ებრძვიან აფხაზები ოჩამჩირეში და არც ისტორიული ეპოქაა განსაზღვრული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაჰმადიანი სათბეი (ყოველ შემთხვევაში, მისი თურქული წარმომავლობის სახელი ამ სარწმუნოებაზე მიგვითითებს) გაგზავნილია ოჩამჩირეში ოდიშართა წინააღმდეგ საომრად. ნაწარმოების გმირის სარწმუნოება და ბრძოლის გეოგრაფია გვაფიქრებინებს, რომ საუბარია XVIII. II ნახევრის მოვლენებზე, როცა აფხაზთა სამთავრო წარ-

ვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 102.

¹ **ზ. პაპასქირი.** ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე..., გვ. 47.

² *Voyages du Chevalier Chardin...*, გვ. 350-351; *Путешествие Шардена...*, გვ. 110-111; *ჟან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 215-216; ერთი თვის შემდეგ კი ოდიშის მოსახლეობა ახალი განსაცდელის წინაშე დადგა. ამჯერად სამთავროში ოს-მალეები შეიჭრნენ, რომლებმაც საშინლად დაანოკეს სამეგრელო (**ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 108-109).

³ **ზ. ვ. ანჩაბაძე.** *Мегрелия и Абхазия в XVII веке*, გვ. 142.

⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 845; იხ. აგრეთვე: **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 165; **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1992, გვ. 106.

⁵ *კავკასიის ხალხთა ფოლკლორი*, გვ. 204-205.

მატებით ახდენდა ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი მიწების დაუფლებას. თუმცა ეს ბრძოლები არც ისე იოლი იყო აფხაზთათვის და იქ საომრად წასვლა მათთვის დიდი საშიშროებას წარმოადგენდა. ჩანს, იმ მხარეში მეომართა გაგზავნა უფრო იძულების ხასიათს ატარებდა. სავარაუდოა, რომ ლექსში ასახული მოვლენის დროს, აფხაზეთ-ოდიშის საზღვარი ჯგერდასა და ოჩამჩირეს შორის გადიოდა, რადგან როგორც ვნახეთ, სათბეიმ თავი განირაჯგერდას თემის მოსახლეობისთვის ანუ, ეს ხალხი მისთვის მშობლიური იყო.

აღსანიშნავია, რომ 1672წ. მოვლენები კ. ოკუჯავას საფუძველს აძლევს აფხაზეთის სამთავროს საბოლოო ჩამოყალიბება XVIIს. 70-იანი წლებით დაათარილოს, რადგან ამ სამხედრო აქტით „შარვაშიძეებმა საბოლოოდ მოიშორეს სამთავრო ვალდებულებები და სიუზერენის ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ“.¹ ვფიქრობთ, რომ შარვაშიძის ამ „ვერაგულ მოქმედებებს“² საფუძვლად სულ სხვა რამ ედო:

XVIIს. დასაწყისში აფხაზეთში ძლიერდება ოსმალეთის გავლენა ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში არსებულ სხვა პოლიტიკურ ერთეულებში. თურქები იქ, განსაკუთრებით სოხუმში, დამკვიდრებასაც ცდილობენ. იწყება აფხაზი დიდებულების მიერ ისლამის მიღება, რაც, თავისთავად, ნიშნავდა სტამბოლის პოლიტიკური კურსის აღიარებას. უკვე იმავე ასწლეულის 30-იანი წლებისათვის წყაროები აფიქსირებენ ერთ-ერთ შარვაშიძეს, რომელიც აშკარად თურქული წარმოშობის სახელს – ყარაბეი (Carabey) – ატარებს.³ აფხაზეთი ოსმალეთის მოხარკე ხდება.⁴

ეტყობა, 1672წ. ამბების წინ ოსმალო დიპლომატებმა კარგად იმუშავეს აფხაზეთის მთავართან და უზრუნველყვეს მისი მხრიდან გარანტია იმისა, რომ აფხაზები ოდიშართ, ამ შემთხვევაში, დახმარებას არ გაუწევდნენ. ალბათ, შეუძლებელიც იყო, რომ ახალციხის ფაშას ეს სამხედრო ოპერაცია წამოეწყო დასავ-

¹ კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 24, 26; ზოგადად, ეს საკითხი ჯერ კიდევ სამეცნიერო დავის საგანია და ამ პრობლემის გარშემო სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (ნ. ჯიქია. აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნის საკითხისათვის, – სძ. ტ. IV. თბ., 2001. 120-142).

² *Voyages du Chevalier Chardin...*, გვ. 350-351; *Путешествие Шардена...*, გვ. 110-111; *ქან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 215-216.

³ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 273, 289; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 196.

⁴ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 273; **მ. რეხვიაშვილი.** დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში. თბ., 1978, გვ. 94.

ლეთ საქართველოში პოტენციური მოკავშირის ძიების გარეშე. შარვაშიძის აგრესია დადიანის წინააღმდეგ კი მოწმობს იმას, რომ ის უკვე არ ელოდა ოსმალთა შემოსევას საკუთარ სამთავროში. რაც შეეხება აფხაზეთის სამთავროზე დადიანის ხელისუფლების დაკარგვას, როგორც ჩანს, აქტიურ ფაზაში ეს პროცესი ლევან II დადიანის გარდაცვალების (1657წ.) შემდეგ უნდა შესულიყო.

სამეგრელოს ეს ძლევამოსილი ხელისუფალი თითქმის მთელი თავისი მთავრობის მანძილზე ოდიშზე აფხაზთა შეტევების შეკავებით იყო დაკავებული. როგორც ცნობილია, თავისი მმართველობის გარიჟრაჟზე, ლევან II დაქორწინდა სეტემან შარვაშიძის¹ ქალიშვილზე, რომელსაც კრ. კასტელი „დარეჯანად“ (Darincia)² მოიხსენიებს. პროფესორ ილ. ანთელავას ვარაუდით, ეს ქორწინება 1614-1615 წლებში უნდა მომხდარიყო.³ ასევე, მისივე შენიშვნით, ამ შეუღლების საფუძველი სავსებით პრაგმატული იყო: ახალგაზრდა მთავარი აფხაზეთზე კონტროლის დანესებას ისახავდა მიზნად.⁴ თუმცა, საფიქრებელია, რომ ლევანს სხვა ამოცანაც ჰქონდა: სეტემანი აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილის გამგებლად ჩანს.⁵ კასტელის ცნობების მიხედვით, სეტემანს უფროსი ძმები ჰყოლია: დონ ბასლაკუსი (Don Baslacus) და სალამონი (Salamon).⁶

დონ ბასლაკუსს ავტორი, გაურკვეველი მიზეზების გამო, სხვა ფორმითაც წარმოგვიდგენს: ბეზალუს ჩარასინო (Besalus

¹ ლამბერტი მას „შარაშიად“ მოიხსენიებს (**დონ არქანჯელო ლამბერტი**. სამეგრელოს აღწერა. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო **ილ. ანთელავამ**. თბ., 1991, გვ. 23). ამგვარი ფორმით მოიხსენიებს შარვაშიძეებს ლამბერტის თანამედროვე კრისტოფორო კასტელიც (**დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები და აღბოძირი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ბ. გიორგაძემ**. თბ., 1976, გვ. 177, 178). ამასთანავე, კასტელი „შარაშია“-ს ლათინურ-იტალიზირებული ფორმით – „ჩარასინო“ (Ciarasino), „ჩირვასია“ (Ciruasias) – გადმოგვცემს (**დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები.., გვ. 177, 178, 395). ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ბ. ლომინაძემ (**ბ. ლომინაძე**. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, *სენიორიები*. თბ., 1966, გვ. 193, შენ. 43). როგორც ჩანს, საკუთრივ შარვაშიძეებიც მისიონერებს სწორედ შარაშიებად ეცნობოდნენ და არა შარვაშიძეებად ან ჩაჩბებად. კასტელსა და ლამბერტს მათი გვარის აფხაზური ფორმა რომ სცოდნოდათ, ისინი, ალბათ, ამას აუცილებლად აღნიშნავდნენ.

² **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები.., გვ. 79, 90.

³ **ილ. ანთელავა**. ლევან II დადიანი. თბ., 1990, გვ. 55.

⁴ **ილ. ანთელავა**. ლევან II დადიანი, გვ. 55.

⁵ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 79.

⁶ **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები.., გვ. 194, 411.

Ciarasino),¹ ბესლაკუს ჩირვასია (Beslacus Ciruasias).² თავის დროზე, ამ გარემოებას ყურადღება ბ. ლომინაძემაც მიაქცია, თუმცა მისი პოზიცია ამ საკითხისადმი გარკვეულ წილად ბუნდოვნად დარჩა, რადგან მკვლევარი მათ ან ერთი და იგივე პირებად ან ძმებად მიიჩნევდა.³

ძმები შარვაშიძეები კასტელს დაუხატავს კიდევაც, თუმცა ეს ნახატი შემორჩენილი არაა და შემონახულია მხოლოდ მინაწერი. როგორც წესი, კასტელი ყველა თავის ნახატს აუცილებლად თან ურთავდა ახსნა-განმარტებითი სახის მინაწერს. ამ დაკარგული სურათის მინაწერში ასეთი ცნობაა დაცული: „ეს არის აფხაზეთის მთავრის სამი ძმის სურათი: უფროსს ჰქვია დონ ბასლაკუსი, მეორეს – სალამონი, მესამეს და უკანასკნელს სეტემანი“.⁴ აქ ისე ჩანს, თითქოს აფხაზეთის მთავარს სამი ძმა ჰყავს, ანუ ისინი ოთხნი ძმანი იყვნენ, ვინაიდან ამგვარი თარგმანით „აფხაზეთის მთავარი“ ცალკე დგას, ხოლო დანარჩენი ძმები კიდევ ცალკე. უნდა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჩვენც ოთხი ძმის არსებობა ვივარაუდეთ.⁵ თუმცა, ზემოთ მოტანილი ამონარიდის შემდგომმა ანალიზმა აღნიშნული დასკვნის მცდარობა გვიჩვენა. კერძოდ, ვითარების გასარკვევად ისევ ლათინურენოვან ორიგინალს მივმართეთ, სადაც წერია: *“He sunt imagines trium fratrum Principis Abasgorum major dicitur Don Baslacus, secundus, Salamon tertius, et ultimus Settemani”*.⁶

“Trium fratrum Principis Abasgorum” ითარგმნება როგორც „სამი ძმა — მთავრები აფხაზთა“ (რუსულად: «Три брата – князя афхазов»), ვინაიდან აქ “Principis⁷ Abasgorum” დგას ნათესაობით ბრუნვაში (Genetivus),⁸ რომელიც სწორედ განსაზღვრავს წინადა-

¹ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 177, 395; ამასთანავე, ბეზალუსის შესახებ მისონერი წერს, რომ მას ხალხში, ასევე, ანტონესაც უწოდებდნენ (დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 177, 395).

² დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 177, 395

³ ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური..., გვ. 194, შენ. 44.

⁴ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 194.

⁵ იხ.: ვ. კვაშილავა. ისტორიული სამურზაყანო (XVII-XVIII სს. მიჯნა – 1840წ.). საკვალიფიკაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის /Ph.D/ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2009, გვ. 47.

⁶ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 411.

⁷ მრავლობითი რიცხვი სიტყვისა “Princeps”: *Mediae Latinatis Lexicon Minus*. Composuit J. F. Niermayer, in Universitate Amsterdamiensi professor. Lexique Latin Médiéval-Français/Angles. A Medieval Latin-French/English Dictionary. Fasciculus I, Leiden, 1976, გვ. 850; И. Х. Дворецкий. Латинско-русский словарь. Издание второе, переработанное, дополненное. М., 1976, გვ. 810.

⁸ Genetivus/genetivus – (ლათ.) ნათესაობითი ბრუნვა: *Oxford Latin Dictionary*.

დადების მთავარი ნევრისადმი (ჩვენს შემთხვევაში, “Principis Abasgorum”) დამოკიდებულის მიმართებას,¹ რომელსაც ზემოთ მოყვანილ წინადადებაში წარმოადგენს “trium fratrum”. აქედან გამომდინარე, უფრო მართებული იყო ამ ციტატის პირველი ნაწილის თარგმნა ამგვარად: „ეს არის **სამი ძმის, აფხაზთა მთავრების**, სურათი“. ასეთი ვარიანტი კი ზემოთ ნახსენებ ერთგვარ უხერხულობას თავისთავად გამორიცხავდა.

როგორც ჩანს, XVIII. შუახანებისთვის აფხაზეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა, სადაც სამთავრო დომენის გვერდით იყო ორი საუფლისწულო სამფლობელო. სალამონი და სეტემანი სწორედ ამ საუფლისწულოების მიმართველები იყვნენ, ხოლო ბეზალუს-ბესლაკო კი მათ შორის უპირველესი, იყო სამთავრო დომენის მფლობელი, რადგან ის ჩანს აფხაზეთის „სამთავროს“ პირველ პირად კასტელის საქართველოში ყოფნის ჟამს, ვინაიდან კათოლიკე მისიონერი მას, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოიხსენიებს ტიტულით „უდიდესი მთავარი“.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთში, ტრადიციულად, სამფლობელოებს შორის მიჯნებად მდინარეები იდებოდა,² მაშინ სამთავრო დომენის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი გაივლიდა რომელიმე მდინარეზე, რომელიც ბიჭვინთის აღმოსავლეთით მიედინება, რადგან ბ. ხორავას სავსებით მართებული ვარაუდით, აღნიშნული საკათედრო ტაძარი, რომელიც ბეზალუსმა მისიონერებს გადასცა,³ სწორედ მის დომენში უნდა ყოფილიყო.⁴

აქედან გამომდინარე, ბეზალუსის უმცროსი ძმების, სალამონისა და სეტემანის საუფლისწულოების აღმოსავლეთ მიჯნად მდ. ბესლეთი უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან XVIII. I მესამედში, ლათინი მისიონერების ცნობით, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი მდ. აბსეზე ფიქსირდება, რაც მკვლევართა აზრით, თანამედროვე ბესლეთს უნდა შეესაბამებოდეს (ამ და სხვა საკითხს, რომელიც XVIII. აფხაზეთ-ოდიშის საზღვართა ცვალებადობის პრობლემას შეეხება, ცოტა ქვემოთ განვიხილავთ). ამრიგად, სეტემანი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ოდიშს და ლევან II და-

Oxford University Press. Oxford, 1968, გვ. 758; **И. Х. Дворецкий**. Латинско-русский словарь, гв. 453.

¹ *Латынский язык*. Учебник для студентов педагогических вузов. Под редакцией **В. Н. Ярхо, В. И. Лободы**. М., 1998, гв. 146-147.

² **თ. ჭიჭინაძე**. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394.

³ **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები..., გვ. 177, 395.

⁴ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 79.

დიანის სიმამრიც იყო,¹ ალბათ, მართავდა მხარეს, რომელსაც, აღმოსავლეთით მდ. ბესლეთი საზღვრავდა.

სეტემანის პიროვნებასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს კასტელის თხზულების კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ასევე სეტემან შარვაშიძეს შეეხება. მხედველობაში გვაქვს ლათინი მისიონერის მინაწერი მე-16 სურათზე, რომელსაც ბ. გიორგაძე ასე თარგმნის: „აფხაზთა მოხუცი მთავარი. მეგრელებზე უფრო ამაყი ერის, აფხაზეთის მთავრის სეტემანის პორტრეტი, ბატონიშვილი დარეჯანის მამა“.² თავად ავტორი ამ ცნობას უკვე არა ლათინურად, არამედ იტალიურ ენაზე გვანვდის:³ *“Ppe (ქარაგმა სიტყვისა Principe – კ.კ.) de abassa il Vecchio. Il Ritrato di Settemani, Principe de populi Abaza natione fiero del Mengrelo e Padre della Principessa Darincia”*. აქ თვალნათლივ ჩანს, რომ ზემოთ მოყვანილი თარგმანი მთლად ზუსტად ვერ გადმოსცემს კასტელის ამ იტალიურენოვან ცნობას. კერძოდ: 1) **“Settemani, Principe de populi Abaza”** ნიშნავს არა „აფხაზეთის მთავარს სეტემანს“, არამედ – „აფხაზი **ხალხის** მთავარს სეტემანს“; 2) **“Abaza natione fiero del Mengrelo”** ითარგმნება არა როგორც აფხაზები „მეგრელებზე უფრო ამაყი ერი“, არამედ – „აფხაზები, **მეგრელების საამაყო ერი**“. შესაბამისად, ზემოთ მოტანილი კასტელის ციტატის დაზუსტებული თარგმანი ასე გამოიყურება: „აფხაზთა მოხუცი მთავარი. **აფხაზი ხალხის – მეგრელების საამაყო ერის — მთავრისა და ბატონიშვილი დარეჯანის მამის სეტემანის პორტრეტი**“.

აქვე, არაკლებ საინტერესოა კასტელისეული ფორმულა „აფხაზთა მთავარი“, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ეხმიანება ვახუშტის ერთ ცნობას, სადაც ჩვენი მემკვიდრე ჩიხორის ბრძოლის (1462წ.) შემდეგ განვითარებული მოვლენების აღწერისას ამბობს, რომ „დადიანმან მიიღო ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ **აფხაზნი** (და არა **აფხაზეთი – კ.კ.)** და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი“.⁴

¹ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი..., გვ. 79, 90; დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 23.

² დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 79.

³ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები..., გვ. 314.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 806; ამის შესახებ ასევე იხ.: **ზ. პაპასქირი**. აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. *XI-XV საუკუნეები*, – ნგნ.: **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 160; **ზ. პაპასქირი**. ვახუშტი ბაგრატიონი — შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფის გიგანტი, — *სდ. ტ. 1*, თბ., 1998, 249; **З. Папаскири**. Территория Абхазии в XI-XV вв., – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 191; **ზ. პაპასქირი**.

მაგრამ მივუბრუნდეთ სამეგრელოს სამთავრო სახლის დამოკიდებულებას სეტემან შარვაშიძისადმი. აშკარაა, რომ დადიანს, რომლის სამფლობელო აფხაზთაგან თავდასხმებისა და შემოსევების პერმანენტული საფრთხის ქვეშ იყო, სეტემანთან დანათესავებით სურდა ამ პრობლემის მოგვარება. კერძოდ, ის ცდილობდა სიმამრი და მისი სამფლობელო ერთგვარად „ბუფერად“ ექცია ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მომდინარე საშიშროებისაგან. ამით ლევანს, ჩანს, აფხაზთა მხრიდან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზება უნდოდა. თუმცა სიძე-სიმამრს შორის იდილია დიდ ხანს არ გაგრძელებულა და, როგორც ცნობილია, მალე ისინი ერთმანეთის დაუძინებელ მტრებადაც იქცნენ.¹

ზ. ანჩაბაძის აზრით კი, აფხაზეთის დამოკიდებულება ოდიშისადმი ლევან II დადიანის მმართველობის პერიოდში ნომინალური იყო.² მეცნიერმა ეს დასკვნა ლამბერტის ერთ ცნობაზე ააგო, სადაც იტალიელი მისიონერი წერს, რომ ლევანმა აფხაზებს „ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მეძებარი და მიიმინო“.³ ის, რომ ზ. ანჩაბაძის დასკვნა, ამ შემთხვევაში, მთლად დამაჯერებელი არაა, საკუთრივ ლამბერტის მონათხრობიდანაც ირკვევა. კათოლიკე სასულიერო პირი წერდა, რომ აფხაზებისაგან სხვა სახის ხარკის მიღება შეუძლებელი იყო, რადგან „ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი“.⁴ აფხაზები რომ ფულს არ ხმარობდნენ, ამას ჯოვანი და ლუკა⁵ და ევლია ჩელებიც⁶ ადასტურებენ. XIXს. 20-იან წლებში იგივეს აღნიშნავდა ჟ. ფრანსუა გამბა: „აფხაზებს... წარმოდგენაც კი არა აქვთ ოქროსა და ვერცხლის მონეტების ღირსებებზე, რომელთაც ისინი მრავლად პოულობენ თავიანთ მხარეში და ჩვეულებრივ გადაადნობენ ხოლმე“.⁷

მართალია, ლევან II დადიანის მეცადინეობა აფხაზთა შემოსევების შესაჩერებლად, შედარებით, წარმატებული აღმოჩნ-

ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 84; **3. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 73-74.

¹ **დონ კრისტოფორო დე კასტელი.** ცნობები..., გვ. 79, 90; **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, გვ. 23.

² **3. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 264-265.

³ **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, გვ. 28.

⁴ **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, გვ. 28.

⁵ **ილ. ტაბალუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში /XIII-XXსს. პირველი მეოთხედი/. ტ. III (1628-1633). თბ., 1987, გვ. 170.

⁶ **ევლია ჩელების „მოგზაურობის ნიგნი“.** თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო **გ. ფუთურიძემ.** ნაკვ. I, ქართული თარგმანი. თბ., 1971, გვ. 103.

⁷ **ჟაკ ფრანსუა გამბა.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 88.

ნდა, თუმცა, მხოლოდ დროებით, რადგან მის მემკვიდრეებს უკვე ნაკლებად შესწევდათ უნარი ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების შენარჩუნებისა. 1661 წელს სოლომონ შარვაშიძემ უარი შეუთვალა ვამეყ III დადიანის მეუღლეს ელენე გურიელს, ოდიშარებთან ერთად შებრძოლებოდა ქართლის მეფეს ვახტანგ V შაჰნავაზს (1658-1675).¹ ვამეყის დამარცხების შემდეგ, შაჰნავაზი ზუგდიდში ჩავიდა, დადიანობა შამადავლე იოსების ძეს (ზემოხსენებული ლევან III) უბოძა და სოლომონ შარვაშიძესაც, რომელიც მას ზუგდიდში ეახლა,² ოდიშის ახალი მთავრის მორჩილება (ვასალობა) დაუბარა.³

როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა ლევან III-ის ზემოთხსენებული ტიტულატურა. სხვა არანაირი ისტორიული საბუთი არ არსებობს იმისა, რომ გავიგოთ, თუ როგორ გახდა ის „აფხაზეთის მპყრობელ-მქონებელი“. ეტყობა, აფხაზებს გარკვეული ძალების მოკრება სჭირდებოდათ ოდიშზე შეტევების დასაწყებად და ამიტომ დამორჩილდა სოლომონ შარვაშიძე შაჰნავაზს. სავარაუდოა, რომ საკუთრივ აფხაზეთის სამთავროში მიმდინარე შიდა სოციალურ-პოლიტიკური პროცესები – ურთიერთობები საკუთრივ შარვაშიძეთა სახლის წევრებს შორის, სხვა ადგილობრივ დიდგვაროვნებთან – არ იძლეოდა შესაძლებლობას ოდიშის წინააღმდეგ, ენგურს გამოღმა მაინც საომარი ოპერაციების განსახორციელებლად. მართლაც, სულ მოკლე ხანში, აფხაზებმა განაახლეს მარბიელი შეტევები სამეგრელოზე: „*შამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან*“, აღნიშნავს ვახუშტი ამ წლების მოვლენების აღწერისას.⁴ ისინი თავს დაესხნენ ცაიშის ტაძარს, წალენჯიხის მონასტერს.⁵ ის, რომ აფხაზთა თაღმჯობეობები აფხაზეთ-ოდიშის საზღვრებიდან ესოდენ მოშორებულ ტერიტორიებზე განხორციელდა, ალბათ, შარვაშიძეთა ურჩობას მიუთითებს. მით უფრო, ეს ცხადი ხდება ჟან შარდენის ერთი ცნობის მიხედვით, სადაც ნათქვამია, რომ ლევან III-ის მიერ დასახმარებლად „მონვეულ“ შარვაშიძეს ოდიშის მთავრისათვის „აღთქმა და ფიცი“ მიუცია, რომ ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებას აღმოუჩენდა.⁶

როგორც ჩანს, რომ არა ასეთი გარანტიები, დადიანი, ალ-

¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 103.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 849-850.

³ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 100-101.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 842

⁵ ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 188, 222; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 110.

⁶ Voyages..., გვ. 350-351; Пыреевские..., გვ. 110-111; შარდენის..., გვ. 215-216.

ბათ, არც დაუკავშირდებოდა შარვაშიძეს. მართალია, „ალექსა და ფიცა“ ჩვეულებრივი მოვლენაა სიუზერენისა და ვასალის ურთიერთობებში, მაგრამ ის წინავითარება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევას უძღვოდა, მიგვანიშნებს, რომ თავად ლევან III „აფხაზეთის მპყრობელ-მქონებელი“ მხოლოდ ამ ტიტულატურით თუ იყო. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, ეს ტიტულატურა მიუთითებს იმაზე, რომ, ლევან III დადიანის დროსაც კი, აფხაზეთი „ქართულ პოლიტიკურ-კულტურული სამყაროს“ ნაწილად ითვლებოდა.¹

ვიზიარებთ რა, რომ აფხაზეთი ქართული სამყაროს ნაწილად რჩებოდა მომდევნო საუკუნეებშიც კი, ჩვენთვის გაუგებარი მაინც რჩება, თუ რატომ დააკავშირა მეცნიერმა ეს დასკვნა ლევან III-ს ტიტულატურასთან. საბოლოოდ, ვასალობის ნომინალური ვალდებულების ჩამოშორება შარვაშიძეებმა, ეტყობა, ლევან III გარდაცვალების შემდეგ ოდიშში ამტყდარი შინააშლილობის დროს მოახერხეს. განთავისუფლებული ოდიშის ტახტისათვის უმწვავესი ბრძოლა გაჩაღდა. ტახტის ერთადერთი მემკვიდრე მანუჩარი გიორგი III გურიელმა (1664-1684) მოკლა, რომელსაც თავად მოუხდა ამ „ვაკანსის“ დაკავება.² როგორც ჩანს, გურიის მმართველმა მაინც მოახერხა სამეგრელოს დაუფლება, რადგანაც 1682 წლით დათარიღებულ ორ საეკლესიო საბუთში იგი ოდიშისა და იმერეთის მფლობელად მოიხსენიება.³ ამ არეულობით ისარგებლა ზემოხსენებული საუსტან შარვაშიძის შვილმა სორეხმაც (სავარეხმა),⁴ რომელმაც 1681წ. გაილაშქრა ოდიშში და თავი მთავრად გამოაცხადა, რადგან კათოლიკე მისიონერის, გაეტანო რასპონის ცნობით, „იმას დაეპყრო იქაურობა“.⁵

თუმცა, სავარაუდოდ, ის მაინც ოდიშის სამთავროს ენგურს-გაღმა (მომავალი სამურზაყანოს ტერიტორია) უნდა დამკვიდრებულიყო, ვინაიდან გამოღმა მხარეს, როგორც ჩანს, გი-

¹ **Д. Мухелишвили.** Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 140.

² **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 844.

³ **თ. ბერაძე.** ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, გვ. 218-219; **თ. ბერაძე.** ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური..., გვ. 31.

⁴ ლათინ მისიონერთა რელაციების „სარეკ სარაზია“ /Sarrech Sarrasia/ (**მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 208); საუსტან და სორეხ შარვაშიძეები მოხსენიებული არიან ბიჭვინთის სახარების ერთ-ერთი მინაწერში – *ხელნაწერთა აღწერილობა* (კოლექცია), ტ. V. შედგენილი და დასაბუთდად მომზადებულია **ლ. მეფარიშვილის** მიერ **ალ. ბარამიძის** რედაქციით. თბ., 1949, გვ. 74; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 111-112; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული..., გვ. 102.

⁵ **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 208.

ორგი გურიელი აკონტროლებდა. სორეხი საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი პირი იყო, არა მარტო საკუთრივ აფხაზებსა თუ ოდიშარებში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ალანებშიც (Alani). როგორც კათოლიკე მისიონერი რასპონი რომში გაგზავნილ წერილში იუწყება, ოსებთან მიმავალ რასპონისათვის სორეხს საკმაოდ დიდი ამაღლა გაუყოლებია და ალანთა მთავარს ბუსლასაც (Buslak) ის დიდი პატივით მიუღია, როგორც სორეხის წარმომადგენელი.¹ ივარაუდება, რომ სორეხის დედა ოდიშის სამთავრო სახლიდან იყო და ეს აძლევდა მას ლეგიტიმურ უფლებას სამეგრელოს მთავრის ტახტზე პრეტენზია განეცხადებინა.² თუმცა, მისი მთავრობა ოდიშართათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

საბოლოოდ, სორეხმა თავისი ხელისუფლების განმტკიცება მხოლოდ მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე შეძლო. ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოს გავლენიანი დიდებულებისათვის და არც გიორგი ლიპარტიანისათვის მისაღები არ უნდა ყოფილიყო გიორგი გურიელის აგრეირგად გაძლიერება, რომ მან ოდიშისა და იმერეთის გაკონტროლებაც შეძლო. მის წინააღმდეგ მალე მძლავრი კოალიცია შეიკრა გიორგი აბაშიძის, გიორგი მიქელაძის, რაჭის ერისთავ შოშიტასა და გიორგი ლიპარტიანის სახით. მათი ინიციატივით და ოსმალეთის სულთნის ხელდასმით, ოდიშის დადიანობა, 1682წ. ლევან III დადიანის უკანონო შვილმა – ლევან IV-მ – მიიღო.³ ამის შესახებ ცნობები შემონახულია, იმავე 1682 წლით დათარიღებულ პატრიარქ დოსითეოსის მიერ სტამბოლიდან მოსკოვში გაგზავნილ წერილში არჩილ მეფისადმი. ამ საკითხის დათარიღებასთან დაკავშირებით არსებობს ოდნავ განსხვავებული მოსაზრებაც (ბ. ხორავა, ზ. პაპასქირი), რომლის თანახმად, ახალციხეში მყოფი ლევან IV დადიანი სამეგრელოს სამთავროს პირველ პირად 1683წ. გამხდარა.⁴ როგორც ირკვევა, სორეხ შარვაშიძემ ხანგრძლივად ვერ შეძლო ამ მხარის ფლობა და ამ მხარეს ზეგნაყ შარვაშიძე დაეუფლა.⁵

¹ **З. В. Анчабадзе** Мегрелия и Абхазия в XVII веке. გვ. 143.

² **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 114.

³ **თ. ბერაძე**. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, გვ. 219; **თ. ბერაძე**. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 32.

⁴ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 114; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*, გვ. 103.

⁵ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 114; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*, გვ. 102-103.

ლევან IV-ის გამთავრების მიუხედავად, რეალური ძალაუფლების მატარებელი და ფაქტობრივი მმართველი იყო გიორგი ლიპარტიანი, რომლის მამა, კაცია ჩიქვანმა – ჭყონდიდელი ეპისკოპოსის გაბრიელის (თავისივე ძმის) მეშვეობით – დიდი გავლენა მოიპოვა ლევან მესამის კარზე. დადიანმა მას სალიპარტიანო და ვეზირობა უბოძა. 1689წ. მასთან ზუფუს (ლიხნის) რეზიდენციაში „*ჟამრაოდენმე*“ სტუმრობდა არჩილ შაჰნავაზის ძე, რომელიც იმ პერიოდში იმერეთის ტახტზე მორიგ ასვლას ცდილობდა. მას „*მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე*“.¹ როგორც ჩანს, აფხაზეთის მთავარი უკვე აღიარებული მოთამაშე იყო საქართველოს პოლიტიკური „ჭადრაკის დაფაზე“ და იგი იმერეთის მეფის უზენაესობას აღიარებდა.² წყაროები უკვე არაფერს ამბობენ მის ვასალურ დამოკიდებულებაზე დადიანის წინაშე ანუ არჩილს არ მიუთითებია შარვაშიძისათვის დამორჩილებოდა ოდიშის მთავარს. ამიტომ, ვფიქრობთ, ნ. ჯიქია მართებულად ათარიღებს აფხაზეთის სამთავროს მიერ ოდიშისაგან დე-იურე დამოუკიდებლობის მოპოვებას XVIII ს. 80-იანი წლებით.³ ამავე პერიოდით ათარიღებდა ამ მოვლენას აფხაზი ისტორიკოსი შალვა ინალ-ივაც.⁴

აფხაზეთის სამთავროს საბოლოო ჩამოყალიბების საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ შარვაშიძეც, როგორც სხვა ამავე სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის მქონე ქართველი ფეოდალი, მიისწრაფვოდა საკუთარი ძალაუფლების გაძლიერება-განმტკიცებისაკენ და საერთო ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი ადგილის დაკავებისაკენ. ეს პროცესი, სულ ცოტა XIV ს. მიწურულიდან მაინც უნდა დაწყებულიყო. მაგალითად, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ვამეყ I დადიანის (1474-1482) ჯიქეთში ლაშქრობის ერთ-ერთი მოტივს (გარდა ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების განმტკიცებისა) შარვაშიძის დამორჩილება წარმოადგენდა, რომელიც, ჩანს, „უკვე იწყებდა ბრძოლას დადიანის ვასალური დამოკიდებულებისაგან თავის დასახსნელად“.⁵

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 851; ნ. დადიანი ქართველთ..., გვ. 166.

² კ. ოკუჯავა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში, – წგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, გვ. 159.

³ ნ. ჯიქია. აფხაზეთის სამთავროს..., გვ. 140.

⁴ Ш. Д. Инал-ица. Абхазы..., გვ. 142.

⁵ ზ. პაპასქირი. აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. XI-XV საუკუნეები, გვ. 153; ე. მამისთვალისძვილი. ოდიშის ისტორიიდან, – თსუ შრო-

კ. ოკუჯავა მიიჩნევს, რომ „თავისი უფლებრივი მდგომარეობით XVIII. 60-ინ წლებამდე შარვაშიძე თავადის დონეზე იდგა“.¹ როგორც ჩანს, შარვაშიძე იყო მთავარი, მაგრამ იგი არ იყო „ტოლი“ არც გურიელისა და, მით უფრო, არც – დადიანისა, მაგრამ ის, რანგით, უფრო მაღალი სტატუსის მატარებელი იყო, ვიდრე რომელიმე მეფის თუ მთავრის თავადი. შარვაშიძეთა „სრული“ გამთავრება აფხაზეთის რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც მთავრის ძალაუფლება რუსეთის მხარდაჭერამ გააძლიერა.

რატომ ვერ მოხდა მათი „სრული“ გამთავრება მანამდე? ამის მიზეზი საძიებელია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში მიმდინარე ეთნო-სოციალური ხასიათის ცვლილებებში, როდესაც კავკასიიდან ჩამოსულ ხალხებს „თან მოჰყვა“ მათი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომელმაც აქ მანამდე არსებული მაღალგანვითარებულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა დეგრადაცია-დაქვეითება გამოიწვია.² ამის გამო, შარვაშიძე შეიძლება განვიხილოთ, როგორც „პირველი თანასწორთა შორის“, კერძოდ – მარშანიებთან, არბებთან, ემხვარებთან მიმართებაში. სწორედ ეს ვითარება უნდა იყოს ასახული ზემოთ მოტანილ კასტელისეულ ფორმულირებებში: „აფხაზთა მთავრები“ და „აფხაზთა მთავარი“.

ახლა შევეხოთ უშუალოდ XVII საუკუნის მინურულის მოვლენებს, რომელთა ფონზე, აფხაზეთ-ოდიშის საზღვრად მდინარე ენგური დადგინდა და აფხაზეთიც, ფაქტობრივად, თანამედროვე საზღვრებში გაფორმდა.³ კოდორ-ენგურის შუამდინარეთის მოსახლეობას ურთულესი მდგომარეობა შეექმნა: „მოსახ-

მები. ტ. 310, თბ., 1992, გვ. 49.

¹ კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 21.

² ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მეორე გამოცემა. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1990, გვ. 614-616.

³ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან., გვ. 103; რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ მომდევნო ხანებში აფხაზეთის სამთავროს საზღვარი, ვიდრე XXს. 20-იან წლებამდე, არასდროს გადიოდა მდ. ენგურზე, მაგრამ ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, რომ XVIIIს. მინურულს შარვაშიძეთა სახლმა დადიანს ეს მიწები მდ. ენგურამდე ჩამოაჭრა. ამ პერიოდიდან ამ მიწებზე დასახლება დაიწყო აფხაზურმა ეთნიკურმა ელემენტმა, და ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი შარვაშიძეთა გვერდითი შტოს დომენი გახდა. ეს უცილობელი ფაქტია. ეს მოსაზრება გაზიარებულია ირ. ანთელავას, ზ. ანჩაბაძის, ბ. ხორავას, ზ. პაპასქირის და სხვათა მიერ. თვით ქართულ წერილობით დოკუმენტებში (მაგ., სამეგრელოს მმართველის ნ. ბაგრატიონი-დადიანისას წერილები, ნიკო დადიანის თხზულება და სხვ.) სამურზაყანოს მიმართ ნახმარია ფორმა: „სამურზაყანო-აფხაზეთი“.

ლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა – დაიღუპა, გაინიხნა, ან მონად გაიყიდა. დაიწყო დაცარიელებული ტერიტორიის ათვისება აფხაზების მიერ, რომლებიც ჩამოდიან კოდორის გაღმიდან... რაც შეეხება უფრო სამხრეთით – ლალიძგასა¹ და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას, მისი ისტორია ამგვარად წარმართა: ეს ტერიტორია დაიპყრეს აფხაზებმა“.²

გ. ანჩაბაძე მართებულად აფასებს ვითარებას, როცა აღნიშნავს, რომ მოხდა ამ ტერიტორიის **დაპყრობა** (აქ და ქვემოთ ხაზგასმა ჩვენია – ვ. ვ.) აფხაზთა მიერ. ამ შემთხვევაში, ის იმეორებს და ეთანხმება ზ. ანჩაბაძისეულ ანალოგიურ შეფასებას: «Абхазские феодалы... в начале 80-х гг. XVIIIв. вторглись на территорию Мегрельского княжества и **захватили** его северные районы вплоть до р. Ингури*».³

თუმცა, აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პროფესორ ზ. ანჩაბაძის ერთ საეჭვო დასკვნას, რომელსაც, ასევე, იმეორებს გ. ანჩაბაძე.⁴ მხედველობაში გვაქვს მეცნიერის მტკიცება იმის შესახებ თითქოს შარვაშიძეები მუდამ ცდილობდნენ სამხრეთ აფხაზეთზე საკუთარი მფლობელობის **აღდგენას**.⁵ ზ. ანჩაბაძის ეს დასკვნა დამყარებული იყო თამარ მეფის ანონიმი მემატიანის ერთი ცნობაზე. კერძოდ, საუბარია იქ ჩამოთვლილ ერისთავთა სიაზე.⁶ ამ სიაში ცხუმის ერისთავ ოთალო შარვაშის-ძესა და ოდიშის ერისთავ ბედიანს შორის ნახსენებია ამანელის-ძე.⁷ მის

¹ ძველი ქართული მატიანებისეული ეგრისწყალი (**3. В. Анчабдзе**. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), გვ. 7; **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I. თბ., 197, გვ. 112; **ვ. ზუხბაია**. აფხაზეთო ჩემო, გვ. 11-12). ეგრისწყლის ლოკალიზაციისა და იდენტიფიკაციის პრობლემების შესახებ იხ. აგრეთვე: **გ. არახამია**. მდ. ლალიძგა ისტორიულ ქრონიკებში, – წგნ.: **გ. არახამია**. საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები. თბ., 2009, გვ. 101-117.

² **გ. ანჩაბაძე**. გალის ფენომენი. *აქ არც აფხაზია მტერი და არც ქართველი*, – წგნ.: **გ. ანჩაბაძე**. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები (*სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები*). თბ., 2006, გვ. 226.

* „აფხაზი ფეოდალები... XVIIIს. 80-იანი წლების დასაწყისში შეიჭრნენ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და **დაიპყრეს** მისი ჩრდილოეთი რაიონები მდ. ენგურამდე“ (თარგმანი ჩვენია – ვ. ვ.).

³ **3. В. Анчабдзе**. Из истории средневековой Абхазии..., გვ. 270.

⁴ **გ. ანჩაბაძე**. გალის ფენომენი, გვ. 226.

⁵ **3. В. Анчабдзе**. Из истории средневековой..., გვ. 237-238, 241-242.

⁶ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. II, გვ. 33-34.

⁷ გ. არახამიას მოსაზრებით, სწორი ფორმა უნდა იყოს „ამუნელისძე“ და „ამუნ-ამუნასკირი“ (**გ. არახამია**. ცხუმის საერისთავოს..., – წგნ.: **გ. არახამია**. სა-

საგამგებლო რეგიონზე იქ არაფერია ნათქვამი. კ. კეკელიძემ მიიჩნია, რომ ერისთავის საგამგებლო ტერიტორია უნდა ყოფილიყო არგვეთი,¹ რაც შემდეგ ს. ყაუხჩიშვილმაც გაიზიარა.²

აქედან გამომდინარე, ზ. ანჩაბაძემ ჩათვალა, რომ თამარის დროს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილი უნდა ჰქონოდა ცვლილებებს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში, რაც გამოიხატა აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოების ტერიტორიების გაერთიანებაში ცხუმის საერისთავო ფარგლებში. ეს ცვლილება კი, თურმე, განაპირობა ეთნიკურმა ფაქტორმა, კერძოდ იმან, რომ ორივე საერისთავოს ტერიტორიაზე სახლობდნენ ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსუური) ტომები.³

თამარის ისტორიკოსის ქრონიკის შემდგომი ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად კარგა ხანია შეტანილია სავსებით დასაბუთებული კორექტივი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის კ. კეკელიძე – ს. ყაუხჩიშვილისეულ ნაკითხვაში.⁴

ამის საფუძველზეც გამოირიცხა ცხუმისა და აფხაზეთის

ქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, გვ. 32).

¹ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის* (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941, გვ. 79.

² *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის*, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. II, გვ. 34.

³ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 177-178.

⁴ **გ. ცქიტიშვილი.** „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“-ს ერთი ადგილის ნაკითხვისათვის, – კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 222-227; **ილ. ანთელავა.** მასალები „ისტორიანი და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის, – წგნ.: **ილ. ანთელავა.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 13-14; **ილ. ანთელავა** შეტანილი აქვს შესაბამისი კონიექტურა თამარის ისტორიკოსის თხზულების ტექსტში, მის მიერვე განხორციელებულ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში (*ქართლის ცხოვრება* „ძველი ქართლის ცხოვრება“). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა **ილ. ანთელავამ** და **ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1996, გვ. 327). **გ. ცქიტიშვილის** ვარაუდი მისაღებად მიაჩნია აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძესაც (**მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავრობოების წარმოქმნა, – **სინ.** ტ. II, თბ., 1973, გვ. 419, შენ. 4.). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს **გ. არახამია**ც (**გ. არახამია.** ცხუმის საერისთავოს ისტორიისათვის, გვ. 30-33). აქვე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ უახლეს გამოცემაში **გ. ცქიტიშვილი-ილ. ანთელავას** კონიექტურა რატომღაც იგნორირებულია და დატოვებულია ამ ფრაგმენტის ტრადიციული (კ. კეკელიძე-ს. ყაუხჩიშვილისეული) ნაკითხვა (*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის*, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**. თბ., 2008, გვ. 408).

საერისთაოების გაერთიანება შერვაშიძეთა მესვეურობით.¹

ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ერისთავთა სიის ვახუშტი ბატონიშვილისეულ ვარიანტს: „**დალათო შარვაშისძე აფხაზთა; ამუნელისძე ცხოშისა; ბედიელი ოდიშისა**“.² სავარაუდოა, რომ მას ხელთ ჰქონდა „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანის“ გადამწერთა მიერ დაუმახინჯებელი ხელნაწერი, სადაც ამანელის-ძის საერისთაო აუცილებლად აღნიშნული იქნებოდა. წყაროებში მისი მოუხსენიებლობა მხოლოდ გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომით თუ აიხსნება.

აქვე დავამატებთ იმასაც, რომ ცხუმ-აფხაზეთის გაერთიანებას სხვა მემამულიანთა ცნობებიც გამორიცხავენ. კერძოდ, ჟამთააღმწერელი წერს, რომ ლაშა-გიორგი „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, და განაგნის საქმენი მანდაურნი“.³ მკვლევართა დაკვირვებით, ეს ცნობა პირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ აღნიშნული საერისთაოთა გაერთიანებას ადგილი არ ჰქონია.⁴

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებს ამ მხარეში ადგილი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფის დავით რუსუდანის ძე ნარინის (1247-1293) გარდაცვალების შემდგომ პერიოდში უნდა ჰქონოდა, როცა მის მემკვიდრეს კონსტანტინეს ძმა მიქაელი აუჯანყდა: „და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა-შლილობა და შფოთი და ჯდომა ურთიერთთა და იყო ოჯრება ქუეყნისა“.⁵ ამით ისარგებლეს დიდებულებმა და „დადიანმა გიორგიმ... მიიტაცა საერისთო ცხოშისაცა და დაიპყრა თვთ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი“⁶ და და ასე შემდეგ. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი V ბრწყინვალემ, ფაქტობრივად, აღიარა შექმნილი ვითარება: „მისცა ცხოშის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხოშისა იყო“.⁸ ამის საფუძველზე პროფესორი ზ. პაპასქირი ასკვნის, რომ შარვაშიძის სა-

¹ დ. გოგოლაძე. „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ., 1995, გვ. 12-14; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 245-247;

² З. Папаскири. Территория Абхазии в XI-XV вв., гв. 179, შენ. 13.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 172.

⁴ ჟამთააღმწერელი. ასწლიანი მატიანე, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, გვ. 156; ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, გვ. 526.

⁵ З. Папаскири. Территория Абхазии в XI-XV вв., гв. 185.

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 801.

⁷ გიორგი I დადიანი (1345-1384წწ., მანდატურთუხუცესი).

⁸ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 801.

⁹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 258.

განმგებლო ტერიტორიას ცხუმში არ წარმოადგენდა.¹

ზურაბ და გიორგი ანჩაბაძეებისგან განსხვავებული მოსაზრებაა განვითარებული ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას მიერ გამოცემულ აფხაზეთის ისტორიის განმაზოგადებელ წიგნში, რომელშიც საგანგებოდაა გამოყოფილი ქვეპარაგრაფი მრავლისმეტყველი სათაურით: «Граница по р. Ингур». მათი განცხადებით: **«В результате всех этих событий этническая граница между абхазами и картвелами, проходившая до начала II тыс. н. э. по р. Ингур, была восстановлена. Она приобрела одновременно и государственный политический статус, сохраняющийся уже более 300 лет*»** (ხაზგასმა ავტორებისაა – ვ.ვ.).²

¹ **3. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XV вв., გვ. 186-187.

* „ყველა ამ მოვლენის შედეგად აფხაზეთსა და ქართველებს შორის ეთნიკური საზღვარი, რომელიც ახ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის მდ. ენგურზე გადიოდა, იქნა აღდგენილი. მან იმავდროულად მიიღო სახელმწიფო პოლიტიკური სტატუსიც, რომელიც უკვე 300 წელიწადზე მეტია შენარჩუნებულია“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

² **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времен до наших дней.* Сухум, 2007, გვ. 168; ავტორები, თავიანთი „ნაშრომის“ ამ და სხვა ადგილებში, ცდილობენ გაატარონ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართველები და მეგრელები სხვადასხვა ეთნოსები არიან. სხვათა შორის, ანალოგიური „სიბრძნეს“ ამ ბოლო დროს უხვად „აფრქევს“ ცნობილი ბრიტანელი ქართველოლოგი ჯ. ჰიუიტიც. ის წერს: «Я никогда не считал мегрелов и сванов грузинами, и они только с 1930 [года] (ჩამატება ჩვენია – ვ.ვ.) официально стали относиться в этой категории» /„მე არასდროს მივიჩნევდი მეგრელებსა და სვანებს ქართველებად, და მათ მხოლოდ 1930 [წლიდან] დაიწყეს ამ კატეგორიასთან მიკუთვნება“, (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.)/ («Джордж Хьюитт отвечает за нас», – ჟურნ.: «Гражданское общество», Сухум, №79, 2007, გვ. 28-29). მეორეგან ავტორი არამეგრელებსა და არასვანებს „ეგრეთ წოდებულ გრუზინებად“ («так называемые грузины», – «Джордж Хьюитт..», გვ. 27) მოიხსენიებს და ამით, როგორც ჩანს, ახალი „ცნება“ შემოაქვს ქართველოლოგიაში. ჯ. ჰიუიტი მკითხველს თავის ამ „დასკვნებს“ ყოველგვარი კომენტარის გარეშე აწვდის. თუმცა, სხვა ადგილას იმასაც აღნიშნავს, რომ «менгрельский язык является родственным грузинскому» /„მეგრული ენა ქართულის მონათესავეა“, (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.)/ («Джордж Хьюитт..», გვ. 26). ქართულ ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ კოლხური (მეგრულ-ზანური) და სვანური (ქართის ენასთან ერთად) საერთო ფუძე-ენიდან მომდინარე ქართველური ენებია. უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს, ზოგიერთი მკვლევარი კოლხურს (მეგრულ-ზანურს) და სვანურს, საერთოდ, ქართული ენის დიალექტებად აცხადებს (ამ მიმართულებით განეული უახლესი ლინგვისტური კვლევა-ძიებების შესახებ იხ.: **ტ. ფუტკარაძე.** ქართველები. ნაწ. I, ქრისტიანობამდელი ეპოქა. ქუთაისი, 2005; **თ. გვანცელაძე.** ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში. თბ., 2006; **მ. ნაჭყებია.** საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები. თბ., 2006; **ტ. ფუტკარაძე.** ქართველთა დედაენა და დიალექტები. ქუთაისი, 2008;

ცნობილი აფხაზი მხარეთმცოდნე ვ. ფაჩულია კი თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიას „უხსოვარი“ («с незапамятных времен») დროიდან აფხაზეთის ისტორიულ ნაწილად აცხადებდა.¹

იმისთვის, რომ გავერკვიოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში –

ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია. „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო. თბ., ქუთაისი, 2010; **T. Putkardze, E. Dadiani, R. Sherozia.** “European Chapter for Regional or Minority Languages” and Georgia (Sakartvelo). Kutaisi, 2010). ქართველი ერის დანაწევრების მცდელობის უშედეგო პროცესში, რომელიც საქართველოში ცარისტული რუსეთის კოლონიალური პერიოდიდან იღებს სათავეს და დღესაც გრძელდება, ჯ. ჰიუიტი მარტო არ არის: აფხაზი სეპარატისტები და მათი დამქაშები კრემლიდან ამჟამადაც აქტიურად ცდილობენ ამ საკითხის აჟიტირებას (იხ.: **В. Шпиря.** Мегрельский вопрос, – გაზ.: *Эхо Абхазии.* №29 (734), 21 სექტემბერი, 2010, გვ. 5, – ელექტრ. ვერსია: http://era-abkhazia.org/data/echo/2010/echo_29.pdf; **А. Елифанцев.** Национальные окраины Грузии. *Условия распада*, – ელექტრ. ვერსია: <http://www.warandpeace.ru/ru/analysis/view/43767/>); ქართველთაგან ე. ნ. „არაქართველებს“ (მეგრელები, სვანები, თუშები, აჭარლები და სხვ.) „დაცვის“ მისიას „ღირსეულად“ უძღვებიან თანამედროვე რუსი ეთნოლოგებიც (მათი „ღრმა მეცნიერული“ „დაკვირვებით“, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია, თურმე, მხოლოდ რუსეთთან შეერთების (ე. ი. XIXს.) შემდეგ დაიწყო და «завершился только в течение XXв.» /„დასრულდა მხოლოდ XXს. მანძილზე“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.)/ (**А. В. Гадло.** Этнография народов Средней Азии и Закавказья: *традиционная культура.* Учебное пособие. СПб., 1998, გვ. 75. იხ. ელ. ვერსია: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/gadlo/09.php). ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გალის რაიონში, სადაც ყოველნაირად ცდილობენ ე.ნ. „მეგრული სეპარატიზმის“ გაღვივებას და ამ საქმისთვის საგანგებო ბეჭდვითი ორგანოც — გაზეთი „გაღ“-იც კი — შექმნეს, რომელიც აფხაზურ-რუსულ-მეგრულად გამოიცემა, მაგრამ სამურზაყანოელი მეგრელების „კულტურული განვითარებისათვის“ შექმნილ გამოცემაში რატომღაც რუსულენოვანი მასალების სიჭარბეა თვალში საცემი. ამის მიზეზი კი, მ. ნაჭყებია და მ. ტაბიძე სავსებით სამართლიანად შენიშვნით არის ის, რომ „რუსმა უნდა იცოდეს, რას წერენ მისი ფულითა და გეგმით დაარსებულ გაზეთში“ (**მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე.** აფხაზეთის (გალის რაიონის).., გვ. 81). მიუხედავად რუსი ეთნოლოგების დიდი ნაწილის მცდელობისა, „აკადემიური“ საფუძველი მოუძებნოს ქართველთა ეთნიკური დეზინტეგრაციის კრემლისეულ გეგმას, ისინი მაინც იძულებულნი არიან აღიარონ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ისტორიული და კულტურული ერთობა და ხაზი გაუსვან, რომ: «С историей и культурой грузинского народа тесно связана и культура абхазов» /„ქართველი ერის ისტორიასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირშია აფხაზთა კულტურაც“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.)/(**А. В. Гадло.** Этнография народов Средней Азии и Закавказья.., გვ. 85. იხ. ელ. ვერსია: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/gadlo/10.php), რასაც ვერ ან არ ხედავენ თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები.

¹ **В. П. Пачулия.** Древняя, но вечно молодая Абхазия. Сухуми, 1991, გვ. 301.

ტერიტორიების დაპყრობა თუ აფხაზებსა და ქართველებს შორის „ეთნიკური საზღვრის“ აღდგენა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ახ.წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის არსებული ეთნიკური ვითარება და ქართულ-აფხაზური ეთნიკური საზღვრის მდგომარეობა.¹

თანამედროვე „აფხაზური ისტორიოგრაფიის“ მესვეურები ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიას მხოლოდ აფხაზურ ეთნოსის საცხოვრისად მოიაზრებენ. ამ „ღრმა აკადემიური სწავლების“ აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტი იყო ანგანსვენებული ი. ვორონოვი, რომელმაც XXს. 80-90-იან წლებში სახელი „გაითქვა“ საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის უხეში გაყალბებით. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია 1992წ. გამოცემული მორიგი „შედევი“: *«Абхазы – кто они?»*,² რომელიც უცვლელად შეიტანა 1993წ. გამოცემულ წიგნში *«Белая книга Абхазии»*.³

ი. ვორონოვისეულ „გაკვალულ“ გზას „ღირსეულად“ მიჰ-

¹ შეიძლება მკითხველმა აქ შენიშნოს, რომ აღნიშნული პრობლემის განხილვა ერთგვარად სცილდება ჩვენი ძირითადი კვლევის მიმართულებას. მაგრამ ამ საკითხზე შეჩერება, რომელიც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით, რადგან, სამწუხაროდ, აფხაზი და მათი მომხრე რუსი ისტორიკოსები შესაშური მონდომებით აგრძელებენ აფხაზეთის და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიის დამახინჯებას. შემდგომში კი მათ მიერ ამგვარი „პროდუქციის“ მასობრივი ტირაჟირება ხდება უცხოეთში, სადაც მათი მკითხველები, ძირითადად, პოლიტიკოსები, დიპლომატები, ჟურნალისტები ხდებიან, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი ცოდნა აფხაზეთ-საქართველოს ისტორიაში. შესაბამისად, ასეთი საინფორმაციო ომის შედეგი კი აფხაზეთში კონფლიქტისადმი მცდარი პოზიციების ჩამოყალიბებაა, რაც ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად გვესახება. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია ქართველ ისტორიკოსთა ახალ ნაშრომებში მოხდეს სათანადო რეაგირება და კიდევ ერთხელ გამახვილდეს ყურადღება ამ ე. წ. „სადავო საკითხების“ სწორ გაგებაზე.

² **Ю. Н. Воронов.** *Абхазы – кто они?* (экспресс-очерк). Гагры, 1992.

³ **Ю. Н. Воронов, П. В. Флоренский, Т. А. Шутова.** *Белая книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. 1992-1993.* М., 1993; – http://www.abhazia.com/book/?page=book&cat=wb_00; ამ 30-გვერდიანმა ბროშურამ იმთავითვე გამოიწვია სპეციალისტთა მხრიდან დამსახურებული კრიტიკა. ზ. პაპასქირი წერდა: „ეს არის ავტორის მოურიდებელი სწრაფვა, თავდაყირა დააყენოს მთელი მსოფლიოს ისტორიაც კი, ოღონდაც არ წარმოაჩინოს რეალური სიმართლე აფხაზთა და ქართველთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ“ (**ზ. პაპასქირი.** „უმეცრობის ფართი-ფურთი“, გვ. 78; **З. В. Папаскири.** *Парад невежества.*, გვ. 224-226). ამის შესახებ იხ. აგრეთვე ნ. ლომოურის პუბლიკაცია (**Н. Ломоури.** *Подлинное лицо лжеученного и фашиствующего экстремиста, – «СТ», №72(675), 5.V.1994.*

ყვებიან ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, რომელნიც თანამედროვე ქართველთა წინაპრებს არც კი მოიაზრებენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ძვ.წ. V საუკუნემდე ისინი ქართველურ ტომებს კოლხეთშიც კი არ ხედავენ და საცხოვრისს თანამედროვე თურქეთში, მდ. ყიზილ-ირმაკის (ისტ. – *ჰალისი*) მიდამოებში „გვიბოძებენ“.¹ ისე, ამ ეპოქაში ქართველურ ტომთა, განსაკუთრებით მესხთა, გავრცელების არეალში მდ. ჰალისის მიმდებარე მიდამოები მართლაც შემოდიოდა.²

აფხაზ ისტორიკოსთა მტკიცებით, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია აფხაზეთის ჩათვლით, თურმე, მხოლოდ აფხაზთა წინაპრებითა (რომელთა შორის ავტორები ჰენიოხებს, კორაქსებსა და სხვებს ასახელებენ) და ბერძენი კოლონისტებით ყოფილა დასახლებული.³

ამასთან დაკავშირებით, სავსებით სამართლიანად შენიშნავს მ. ინაძე, აფხაზი და პროაფხაზურად განწყობილი მკვლევრები ყოველგვარი საფუძვლისა და არსებულ მონაცემთა სათანადო წყაროთმცოდნეობითი ანალიზის გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე ბერძენ-რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა მიერ დასახელებულ ტომებს აფხაზურ-ადილურ სამყაროს მიაკუთვნებენ.⁴ აქვე დავამატებთ იმასაც, რომ აფხაზური სეპარატიზმის ზოგიერთი იდეოლოგი (მაგ., იგივე ი. ვორონოვი) იქამდეც კი მიდიოდა, რომ აფხაზებს ჩვენი პლანეტის ყველა ერის ნათესავეებად აცხადებდა.⁵ ისტორიოგრაფიაში არსებული წერილობითი და არქეოლოგიური წყაროები აღნიშნულ პერიოდში ამ ტერიტორიაზე საკმაოდ ძრელ ეთნიკურ სურათს წარმოგვიდგენენ, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს, როცა ხდებოდა პალეოკავკასიური ეთ-

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 61.

² **М. Инадзе.** Вопросы этнополитической истории древней Абхазии, – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 67.

³ **Д. Гулия.** История Абхазии. Т. 1. Тфл., 1925, გვ. 71; **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 61.

⁴ **М. Инадзе.** Вопросы этнополитической..., გვ. 67.

⁵ **Ю. Н. Воронов.** Абхазы – кто они? (экспресс-очерк). Гагры, 1992; ი. ვორონოვის ფალსიფიკატორული ნაღვანის კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი.** ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“, ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“, — ნგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა, გვ. 56-75; **ზ. პაპასქირი.** „უმეცრობის ფართი-ფურთი“, გვ. 76-101; **Н. Ломоури.** Подлинное лицо лжеученного и фашиствующего экстремиста, – «*СГ*», №72(675), 5.V.1994; **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность. *Абхазская проблема в конфликтологическом аспекте.* Тб., 1996, გვ. 17, 23.

ნო-კულტურული ერთობის მოშლა.¹

ბერძნულ წყაროებში ჯერ კიდევ ელინისტურ პერიოდში დაფიქსირებული ტომები – ჰენიოხები,² კოლხები, კოლები, კორაქსები,³ მოსხები¹ – ქართველური სამყაროს წარმომადგენლე-

¹ **О. М. Джапаридзе.** К этнокультурной ситуации Северо-Западного Закавказья в эпоху камня и раннего металла, – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 13.

² მკვლევართა უმრავლესობა მათ ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს (**И. А. Орбели.** Город близнецов «Диоскурия» и племя возниц «Гениохов», – *«ЖМНП»*. СПб., апрель, 1911, გვ. 200, 208; **Н. Я. Марр.** К истории термина «абхаз», – *Известия АН.* СПб., 1913, გვ. 327; **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე. *მწერალი X საუკუნისა*. თბ., 1954, გვ. 135; **მ. ინაძე.** შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 17-18; **გ. მელიქიშვილი.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 63-68; **ბ. გიგინეიშვილი.** ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის, – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის... სერია, №1, 1975, გვ. 115-124; **Г. А. Меликишвили.** К вопросу об этнической принадлежности населения древней Грузии. *Основные этапы этно-социального развития грузинского народа*, – *ОИГ*. Т. I, Тб., 1989, გვ. 183; **თ. მიზჩუანი.** დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 56-64; **გ. გასვიანი.** ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 212; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 25-26). განსხვავებული მოსაზრება აქვს ნ. ლომოურს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ჰენიოხთა მოსახლეობას კოლხეთში და შესაბამისად არ იზიარებს ჰენიოხ-სანიგთა იდენტიფიკაციას (**Н. Ломоури.** Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпоху. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 93). ზ. ანჩაბაძის და შ. ინალ-იფას მოსაზრებით, ჰენიოხებში აფხაზურ ფესვები უნდა დავინახოთ (**З. В. Анчабадзе** История и культура древней Абхазии, გვ. 136-137, 173-176; **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 188). იგივეს იმეორებენ ო. ბლაჟუბა და ს. ლაკობა, თუმცა არანაირი არგუმენტებით ამ ვარაუდებს არ ამაგრებენ (**О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 61-67). როგორც ზ. პაპასქირი აღნიშნავს, 1991წ. გამოცემულ აფხაზეთის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, ო. ბლაჟუბასა და ს. ლაკობას ოდნავ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ დაფიქსირებული, როდესაც გამოკვეთილად არ მიუთითებდნენ ჰენიოხთა კავშირზე აფხაზურ-ადილურ სამყაროსთან (**ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე..., გვ. 251, შენ.10).

³ ო. ბლაჟუბა და ს. ლაკობა კორაქსებს „უძველეს აფხაზურ ტომებად“ მოიხსენიებენ (**О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 61). ივ. ჯავახიშვილი ამ ეთნონიმის წარმოშობას ქართული ენის თვისებებზე („რ“-ს გადასვლა „ლ“-ში) დაყრდნობითა და ჰიდრონიმიკის (მდ. მტკვარის ბერძნულ-რომაული ვარიანტი „კირ-ოს“, „კორ-ოს“, „კურ-ოს“) და ტოპონიმიკის („კოლა“ – სამხრეთ საქართველოს ისტორიული პროვინცია, სადაც მდ. მტკვარი სათავეს იღებს) მოშველიებით ცდილობდა და მათ კოლხებთან აიგივებდა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბ., 1951, გვ. 396-397; **М. Инадзе.** Вопросы этнополитической..., გვ. 62).

ბი არიან, რაც სათანადო წერილობითი, არქეოლოგიური, ტოპონიმიკური და ლინგვისტური მონაცემებითა და კვლევებით დასტურდება.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ზემოაღნიშნული ეთნიკური სურათი ჩვ. წ. I საუკუნეში ცვლილებას განიცდის. რეგიონში (ძველი ნელთალრიცხვის მიწურულიდან მომდინარე: კოლხეთისა და პონტოს სამეფოების გაქრობა, მეზობელი იბერიის დასუსტება, „მითრიდატეს ომები“ და რომის იმპერიის შემოსვლა) განვითარებულმა რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელ-ფეხი გაუხსნა მეზობელ მთიელებს ბარის რაიონებზე წარმატებული შეტევისათვის. ეს პროცესი იმდენად დამანგრეველი ყოფილა, რომ წყაროები (სტრაბონი, პლინიუს უფროსი),² სხვა ფაქტებთან ერთად, ბიჭვინთის გაძარცვასა და დიოსკურიის დაცარიელებას გვამცნობენ. შედეგად ხდება ის, რომ ანტიკური წყაროები (პლინიუს უფროსი და ფლავიუს არიანე) აქ უკვე, ძველ ანუ ადრევე მობინადრე ტომებთან ერთად, ახლებსაც – სანიგებს,³ აფსილებსა და აბაზგებს – აფიქსირებენ. ამავე პერიოდში, აფსილ-აბაზგთა გვერდით, ანტიკური ისტორიული წყაროები ასახელებენ სანიგებსაც, რომლებიც პირველად მემნონთან (ძვ. წ. II ს.) სახელდებიან.⁴

¹ **М. Инадзе.** Вопросы этнополитической..., გვ. 66-67; ფსევდო-სკილაქსი თავის „პერიპლუსში“ მოიხსენიებს, აგრეთვე, მელანხლენებსაც, რომელთაც კოლხებსა და კოლხებს შორის განათავსებს. ამ ტომის ეთნიკური იდენტიფიცირების საკითხი ისტორიოგრაფიაში ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა (**Д. Мухелишвили.** Исторический статус..., გვ. 115). მ. ინაძე ფიქრობს, რომ მელანქლენების მოხსენიება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თავად ავტორისეული შეცდომაა (**М. Инадзе.** Вопросы этнополитической..., გვ. 65), თუმცა მასვე საყურადღებოდ მიაჩნია გ. ქავთარაძის მიერ 1985 წ. გამოთქმული მოსაზრება, მელანქლენებისა და მოსხ/მესხების იდენტიფიკაციის შესახებ (**გ. ქავთარაძე.** ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბ., 1985, გვ. 82-84; **М. Инадзе.** Вопросы..., გვ. 66).

² **გ. მელიქიშვილი.** ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. I საუკუნეებში. *ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება*, – სინ. რვა ტომად. ტ. I. თბ., 1970, გვ. 538; **Г. А. Меликишвили.** Население исторической Колхиды в первые века н. э. *Возникновение и укрепление Лазского царства*, – *ОИГ.* Т. I, გვ. 325.

³ სანიგები პირველად ჩნდებიან ძველი ბერძენი ისტორიკოსის მემნონ ჰერაკლიელის ნაშრომში. ავტორი მათ ასახელებს პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორთან (ძვ. წ. 121-63წწ.) რომის II ომის (ძვ. წ. 83-81წწ.) ამბების აღწერისას და აღნიშნავს, რომ „პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთის მხარეებში... სახლობდნენ სანეგები (Σάνηγες) და ლაზები (Λαζοί)“ (*ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **თ. ყაუხჩიშვილმა**. ტ. VI. თბ. 1987, გვ. 46, 160).

⁴ ჩვენი ნელთალრიცხვის დასაწყისში და ასევე გვიანდელ შუა საუკუნეებში

საფიქრებელია, რომ ისინი გარკვეულ ტომთა გაერთიანებებს, ე. წ. „სამეფოებს“ წარმოადგენდნენ¹ და მათი ბელადები („მეფეები“), როგორც ამას არიანე თავის „პერიპლუსში“ გვიდასტურებს, რომის იმპერატორისადმი დაქვემდებარებული ხელისუფლები იყვნენ: იულიანე აფსილელს „მეფობა“ იმპერატორ ტრაიანესგან (98-117წწ.) მიუღია, ხოლო რისმაგ აბაზგიელს კი – კეისარ ადრიანესგან (117-138წწ.). არიანეს ამ ცნობას სიტყვა-სიტყვით იმეორებს V ს. ანონიმი ისტორიკოსიც.²

აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის დათარიღებას პირველად ს. ჯანაშია შეეხო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ფლავიუს არიანეს ამ ცნობას და მიიჩნია, რომ ეს სამეფოები უნდა შექმნილიყო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ახ. წ. II ს. მეორე ნახევრისა.³

ამ გაერთიანებათა წარმოქმნის დათარიღების დაზუსტების შემდგომი მცდელობა გ. მელიქიშვილს ეკუთვნის, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ მოსაზრებას არიანეს ცნობაში დაცულ „მეფეთა“ სახელებზე აგებდა და მიიჩნევდა, რომ აფსილიის ხელისუფალთა დამტკიცება რომაელი კეისრებისაგან შედარებით ადრინდელი უნდა იყოს, განსხვავებით სანიგებისა და აბაზგებისა, ვინაიდან აფსილთა „მეფის“ სახელი – იულიანე – აშკარად რომაული წარმოშობისაა, განსხვავებით მისი მეზობელი ლიდერებისა, რომელთა სახელები ადგილობრივი იერის მატარებელი უნდა

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა და მათ მონათესავე ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ხალხთა გადმოსახლებაზე, ს. ბახია-ოქრუაშვილის მოსაზრებით, ნათლად მიუთითებს აფხაზური და აბაზური ფოლკლორი. აფხაზურ ნართულ ეპოსში, ეთნოგენეტიურ ლეგენდებში, აფხაზურ საგვარეულოთა წარმოშობის შესახებ თქმულებებში ჩანს, რომ მათი პირველსაცხოვრისი ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, კერძოდ კი – მდ. ყუბანის დაბლობი ყოფილა (**С. Бахиа-Окруашили**. Абхазы..., გვ. 331; **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 9-30).

¹ აფსილ-აბაზგთა „სამეფოებს“ გ. მელიქიშვილი სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახების მქონე ტომთა კავშირებად მიიჩნევდა, ხოლო მათ „მეფეებს“ კი – ამ ტომთა ბელადებად (**Г. А. Меликишвили**. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 375; **გ. მელიქიშვილი** ისტორიული კოლხეთის..., გვ. 539; **Г. А. Меликишвили**. Население исторической..., გვ. 335). ამავე აზრისაა ნ. ლომოურიც (**ნ. ლომოური**. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 25). ამ შეხედულებას არ იზიარებდა ზ. ანჩაბაძე, რომელიც თვლიდა, რომ დასახლებულ პოლიტიკურ ერთეულებში ადრემონათმფლობელური ურთიერთობები იყო გაბატონებული (**З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой..., გვ. 203, 204).

² ანონიმი V საუკუნისა. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, – გეორგიკა. ტ. II. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 1965, გვ. 8.

³ **ს. ჯანაშია**. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, – შრომები. ტ. I. თბ., 1949, გვ. 210; **ნ. ლომოური**. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 10-11).

იყოს.¹ გაიზიარა რა ეს მოსაზრება, ნ. ლომოურმა ყურადღება მი-
აპყრო კორნელიუს ტაციტუსის ცნობას ახ.წ. 70-იან წლებში
პონტოში მომხდარი ანიკეტის აჯანყების თაობაზე. კერძოდ კი
იმ ეპიზოდს, სადაც საუბარია სედოხეზების მეფის (Sedochezorum
regis) მიერ ანიკეტის შეფარებაზე მდ. ხობის (რომლის ლოკალი-
ზაციის საკითხი დავის საგანს წარმოადგენს)² მიდამოებში.

ნ. ლომოური ეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში მი-
ღებულ შეხედულებას, რომ აღნიშნულ ამონარიდში რეალურ-ის-
ტორიულად საუბარია ლაზების მეფეზე და, შესაბამისად, ტაცი-
ტუსი შეცდომით გადმოსცემს ამ ტომის სახელს ან კიდევ, შეიძ-
ლება, „სედოხეზები ერთ-ერთი ლაზური ტომი იყოს“.³ აქედან
გამომდინარე, მეცნიერი ასკვნის: „ასეთ ვითარებაში გამოდის,
რომ უკვე ახ. წ. სს. 70-იან წლებში ლაზებს თავისი მეფე ჰყავთ და
ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სამეფოს წარმოქმნა
ქრონოლოგიურად ტრაიანეს ხანასთან კი არ არის დაკავშირე-
ბული, არამედ უფრო ადრეულ ეპოქასთან, შესაძლოა სს. შუა
წლებთან... სრულიად დასაშვებია, რომ ჩამოთვლილ მეფეთა წი-
ნამორბედებსაც თავისი ხელისუფლება უფრო ადრე, სხვა იმპე-
რატორთაგან მიეღოთ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა,
რომ ამ სამეფოთა წარმოქმნის post quem non თარიღად უნდა მი-
ვიჩნიოთ სს. დასასრული“.⁴ ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ აღ-
ნიშნულ პოლიტიკურ წარმონაქმნებსა და ლაზეთს შორის უფ-
ლებრივი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო და თუ იყო რაიმე
განსხვავება, ალბათ, ის მათ რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ
მნიშვნელობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.⁵

ამ უკანასკნელ ხანებში განსხვავებული მოსაზრება განავი-

¹ **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии, გვ. 372; **ნ. ლომოური.** ეგ-
რისის სამეფოს ისტორია, გვ. 11.

² მეცნიერთა ნაწილი – ს. ჯანაშია, ა. ბოლტუნოვა – საკუთრივ დღევანდელ
მდ. ხობს მიიჩნევს; მეორე ნაწილი – მ. ივამჩენკო, ლ. ელნიცი – ფიქრობს,
რომ საუბარი უნდა იყოს მდ. ენგურის შესახებ (ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **გ.
მელიქიშვილი.** ისტორიული კოლხეთის..., გვ. 542; **Г. А. Меликишвили.** Насе-
ление исторической Колхиды..., გვ. 332).

³ **ს. ჯანაშია.** ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალი-
ზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში, – *შრომები*, ტ. I, გვ. 190; **გ.
გოზალიშვილი.** რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირ-
ველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, – *თსუ შრომები*, ტ. 37,
თბ., 1949, გვ. 131-152; **А. И. Болтунова (Амираншвили).** Восстание Аникета.
– *ВДИ*. №2, 1939, გვ. 59.

⁴ **ნ. ლომოური.** ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 11-12.

⁵ **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. I, – *თხზულებანი თორმეტ
ტომად*, ტ. I, თბ., 1979, გვ. 213.

თარა კ. ფიფიამ, რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა ზემოთ დასახელებულ „მეფეთა“ მიერ რომის იმპერატორებისაგან ხელისუფლების („მეფობის“) მიღება ტრაიანეს პერიოდამდე.¹ თუმცა, ის მხარს უჭერს ნ. ლომოურის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არიანეს მიერ დასახელებული ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებათა „ბასილევსები“ არსებითად რომის იმპერიის ადმინისტრატორები იყვნენ და რეგიონში რომაული ადმინისტრაციის ინტერესებს ატარებდნენ.²

ზოგადად, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია შეხედულება, რომ დასახელებულ ტომთა გამოჩენა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ახ. წ. I-II საუკუნეებში ფიქსირდება. ოდნავ განსხვავებული მოსაზრებას აფიქსირებს ნ. ლომოური, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სანიგ-აფსილ-აბაზგები, შესაძლოა, ამ ტერიტორიაზე მანამდეც სახლობდნენ, თუმცა, ალბათ, შედარებით ადრეულ წყაროებში არ ფიგურირებდნენ, ვინაიდან „კოლხი“ და „კოლხიდა“ აღნიშნავდა არა მარტო საკუთრივ კოლხების ეთნონიმს, არამედ მას წყაროებში სხვადასხვა ტომთა გაერთიანების (კავშირის), ანუ პოლიტიკური დატვირთვაც ენიჭებოდა.³

¹ კ. ფიფია. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 31-32.

² Н. Ю. Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпоху. Тб., 1997, გვ. 27; ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 33; კ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-III სს. პოლიტიკური ურთიერთობები. თბ., 2005, გვ. 117-118; კ. ფიფია. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, გვ. 33-34.

³ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 16-17; Н. Ломоури. Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпоху, – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 94; შ. ინალ-იფა არ იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმად, „კოლხი“ ძველ ქართულ ტომთა კრებსით სახელს წარმოადგენს (Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной..., გვ. 200-201). საინტერესოა, რომ მას ამ დასკვნის გასამყარებლად „საინტერესო“ არგუმენტები შემოაქვს: 1952წ. ივნისში ვინმე 70 წლის დახაირა ხიბასაგან ეშერაში ჩაუნერია ლეგენდა, რომლის თანახმად, კავკასიის შავიზღვისპირეთს „კალხა“ ერქვა. ამ ქვეყნის მოსახლეობა აფხაზურ ენაზე საუბრობდა, ხოლო საკუთრივ ქვეყნის საზღვრები ძალიან შორს ვრცელდებოდა სამხრეთით და ჩრდილოეთით. კალხას მეფეს ძღვევამოსილი არმია ჰყოლია და 360 ციხე-სიმაგრეს ფლობდა (Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной..., გვ. 202). შ. ინალ-იფა ეთანხმება ა. გლეიეს, რომელიც კოლხთა ენას ახასიათებდა, როგორც აფხაზთა და მათ მონათესავე ტომთა (უბიხები, ჩერქეზული ტომები) წინარე ენად, ხოლო საკუთრივ აფხაზებს კოლხიდელთა პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევდა (А. К. Глейе. К праистории северо-кавказских языков, – *СМОМПК*. Вып. 37. Тфл., 1907, გვ. 49-50; Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной..., გვ. 200-201). და ბოლოს, შ.

ეს მოსაზრება კატეგორიულად მიუღებელია პროფესორ თ. გვანცელაძისთვის და მას უფრო სასურველის რეალურად წარმოადგენად მიიჩნევს, ვიდრე ემპირიული მასალის ობიექტური მეცნიერული კვლევის შედეგს.¹ ჩვენც ასევე მოგვაჩნია, რომ ეს დასკვნა დამატებით არგუმენტებს საჭიროებს.

ამ ტომების განსახლების არეალად ლალიძგა-კელასურის შუამდინარეთი მიიჩნევა, კერძოდ, ფლავიუს არიანეს ცნობის მიხედვით: სანიგები დიოსკურია-სებასტოპოლისიდან თანამედროვე სოჭი-ტუაფსეს მიდამოებამდე იყვნენ განფენილნი, მათ სამხრეთით აბაზგები და ამათ შემდეგ კიდევ უფრო სამხრეთით – აფშილები მოსახლეობდნენ.²

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული უთანხმოებაა განსახლების კონკრეტიკასთან დაკავშირებით: ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი და ნ. ლომოური მიიჩნევენ, რომ აფსილები და აბაზგები ზღვისპირა ზოლში იყვნენ განსახლებულნი.³ პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ აფსილები სახლობდნენ მდ. კელასურის ზემო ნელში.⁴ მ. ინაძეც გამორიცხავს მათ მოსახლეობას შავი ზღვის სანაპირო ზოლში და მიიჩნევს, რომ აფსილები და აბაზგები ჩრდილოეთ კოლხეთის მთისწინა და მთიან ზოლში ცხოვრობდნენ.⁵ ზ. ანჩაბაძე აფსილთა აღმოსავლეთ საზღვარს მდ. ლალიძგაზე (ეგრისწყალი) ავლებდა.⁶ ამ მოსაზრებას იზიარებს გ. გასვიანიც.⁷ დ. მუსხელიშვილი, ეთანხმება რა ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილსა და ნ. ლომოურს და, თავის მხრივ, ცდილობს დააზუსტოს ამ ტომების განსახლების არეალი. მეცნიერის ვარაუდით, აფსილები კელასურ-გუმისთის შუამდინარეთში ცხოვრობდნენ, ხოლო აბაზგები კი – მდ. გუმისთასა და მდ. ფსოუს შორის, ანუ იმ ოლქებში, სადაც მათ ვპოულობთ V და VI საუკუნეებში.⁸

ინალ-იფა გ. ტურჩანიანოვსაც იშველიებს, რომელიც, აგრეთვე, კოლხებს ძველ აფხაზებად მიიჩნევდა (**Г. Ф. Турчанинов.** Памятники письма и языка народов Кавказа и Восточной Европы. Л., 1971, გვ. 6-26; **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этно-культурной., გვ. 202). ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность., გვ. 6-34.

¹ **თ. გვანცელაძე.** აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბ., 2008, გვ. 25, შენ. 23.

² **Н. Ломоури.** Абхазия в позднеантичную., გვ. 95; **გ. მელიქიშვილი.** ისტორიული კოლხეთის., გვ. 540.

³ ამის შესახებ, დანვრ. იხ.: **Д. Мухелишвили.** Исторический статус., გვ. 122.

⁴ **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე, გვ. 135-136.

⁵ **М. Инадзе.** Вопросы этнополитической., გვ. 73, 79.

⁶ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии., გვ. 7.

⁷ **გ. გასვიანი.** აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, გვ. 143.

⁸ **Д. Мухелишвили.** Исторический статус., გვ. 123.

ამის მტკიცების საფუძველს მას აძლევს პლინიუს უფროსისა და ფლავიუს არიანეს ნაშრომებში არსებული ერთგვარი უთანხმოება სებასტოპოლის კუთვნილების თაობაზე. დ. მუსხელიშვილის თქმით, რომ პლინიუსი ჯერ ასახელებს ტომს, შემდეგ კი დასახლებულ პუნქტს მათ სამოსახლოში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი აფსილთა ტერიტორიაზე მოიაზრებს სებასტოპოლისს.¹ მაგრამ, არიანე ნათლად აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი სანიგთა მიწაზე მდებარეობს.² დ. მუსხელიშვილი დაკვირვებით, არიანეს შემთხვევაში, საქმე უნდა გვექონდეს ან თავად დასახლებული რომაელი ჩინოსანის ან ამ ნაშრომის შემდგომ გადამწერთა მხრიდან დაშვებულ შეცდომასთან.³ თუმცა, საკუთრივ პლინიუსიც კი სებასტოპოლისს აფსილებსა და სანიკებს (სანიგებს) შორის ათავსებს.⁴ ამიტომ, ბუნებრივია, დ. მუსხელიშვილის მოსაზრება შემდგომ დასაბუთებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ზ. ანჩაბაძე⁵ აფსილთა განსახლების სამხრეთ საზღვარს მდ. ლალიძგაზე ვარაუდობდა. ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა აფსილთა განსახლების არეალს კიდევ უფრო „აფართოებენ“: «В I-III вв. они заселяли значительную часть Колхиды к северу от Фасиса до Севастополиса*».⁶ ბუნებრივია, მათ ამ მოსაზრებას არ გააჩნია არანაირი მტკიცებულება ისტორიულ წყაროებში, თუმცა, როგორც მთელი მათი „ნაშრომიდან“ ჩანს, ეს მათთვის მთავარი მაინცდამაინც არ უნდა იყოს. რაც შეეხება აბაზგთა განსახლების არეალს I-II საუკუნეებში, აქ მათ რაიმეს თქმა უჭირთ, უკვე პირდაპირ VI საუკუნეზე გადადიან და აცხადებენ, რომ ისინი ცხოვრობდნენ მდ. გუმისთასა და ანტიკური წყაროე-

¹ **დ. მუსხელიშვილი.** Исторический статус..., გვ. 121.

² **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. ქართული თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა **ნ. კეჭალმაძისა.** თბ., 1961, გვ. 43; ამასვე იმეორებს ზემოთ ნახსენები ანონიმი ავტორიც (*ანონიმი V საუკუნისა.* მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 8). თუმცა, უკვე საქართველოში მურვანყრუს შემოსევის დროისათვის (735წ.) ის უკვე აფსილ-აფშილთა სამოსახლო ტერიტორიაზე მდებარეობდა: „ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“ (**ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 235; **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. – *ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი,** გვ. 235-236).

³ **დ. მუსხელიშვილი.** Исторический статус..., გვ. 123.

⁴ **დ. მუსხელიშვილი.** Исторический статус..., გვ. 121.

⁵ **ზ. ვ. ანჩაბაძე.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 7.

* „I-III სს. ისინი მოსახლეობდნენ კოლხეთის ვრცელ ნაწილზე ფაზისის ჩრდილოეთიდან სებასტოპოლისამდე“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

⁶ **ო. ხ. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 82.

ბის მდ. აბასკოსს (რომელსაც ხაშუპსესთან ან ბზიფთან აიგივე-ბენ) შორის.¹

სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც გრძელდება კამათი სანიგებისა და აფსილ/აფშილ-აბაზგების ეთნიკური იდენტიფიკაციის თაობაზე. მოკლედ შევეხებით ამ პრობლემასაც. ქართულ ისტორიოგრაფიაში (ი. ორბელი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი, ბ. გიგინეიშვილი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, თ. მიბჩუანი, გ. გასვიანი, ე. ხოშტარია-ბროსე, ზ. პაპასქირი, თ. გვანცელაძე და სხვ.) მიღებულია შეხედულება, რომ სანიგები ქართველური ეთნიკური სამყაროს წარმომადგენლები არიან.² ამასთან, მკვლევართა ნაწილი სანიგებს სვანურ ტომებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი მათი მეგრულ-ჭანური (ზანური) წარმომავლობისკენ იხრება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ლომოურის ხედვა,³ რომელიც ფიქრობს, რომ მათ სახელწოდებაში ამკარად გამოიყოფა „სან-ზან“ ძირი. განსხვავებული მოსაზრებაა აფხაზურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, ო. ბლაჭბა და ს. ლაკობა, ე. ენდოლცევა და სხვ.), სადაც სანიგები აფხაზურ-ადილური წარმომავლობის საძების წინაპრებად არიან მიჩნეულნი.⁴ თუმცა, ამ შეხედულებას აქვს ერთი სერიოზული ხარვეზი, რომელზედაც სავსებით მართებულად მიუთითა მ. ინაძემ. ეთნონიმ „სანიგების“ ამდაგვარი ინტერპრეტაციის მომხრენი არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ წყაროების მიხედვით საძები

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 87.

² **И. А. Орбели.** Город близнецов..., გვ. 200-208; **Н. Я. Марр.** К истории термина «абхаз», გვ. 327; **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე, გვ. 135; **ს. ჯანაშია.** თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, – *შრომები*. ტ. III. თბ., 1959, გვ. 11-15; **გ. მელიქიშვილი.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 67; **თ. მიბჩუანი.** დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის..., გვ. 84-89; **გ. გასვიანი.** ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 200; **მ. ინაძე.** ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, — *მაცნე*, ისტორიის... სერია, 2, 1992, გვ. 46; **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность..., გვ. 49; **М. Инадзе.** Вопросы..., გვ. 69-70; **ნ. ლომოური.** ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, გვ. 30-34; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, გვ. 26; **თ. გვანცელაძე.** აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 43.

³ **ნ. ლომოური.** ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, გვ. 33; **Н. Ломоури.** Абхазия в позднеантичную..., გვ. 95.

⁴ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической..., გვ. 36; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы, გვ. 90; **Г. К. Шамба.** Древний Сухум (Поиски, находки, размышления). Сухум, 2005, გვ. 92, 104, 129; **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 91-93; **Е. Ендольцева.** Дорога к храму, – *ჟურნ.: Новый взгляд*. Сухум, №1, 2008, გვ. 50.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ჩნდებიან მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან – XVIII.¹

რაც შეეხება აფსილ/აფშილ-აბაზგების იდენტიფიკაციის პრობლემას, ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უეჭველად იყო აღიარებული დასკვნა იმის შესახებ, რომ აფსილ-აფშილები და აბაზგ-აფხაზები თანამედროვე აფხაზთა წინაპრები იყვნენ.² თუმცა XXI. 50-იან წლებში იყო მცდელობა ამ საკითხის რევიზიისა. კერძოდ, ცნობილმა მეცნიერმა-ფილოლოგმა პ. ინგოროყვამ თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ გამოთქვა მოსაზრება ზემოდასახელებული ტომების ქართველურ წარმოშობაზე.³ მაგრამ ამ შეხედულებამ ვერ ჰპოვა აღიარება ქართულ საისტორიო მეცნიერებაში და მკვლევართა დიდი ნაწილი კვლავ მხარს უჭერს აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადიღურ ნარმომავლობას. თუმცა, დავა ამ საკითხის ირგვლივ ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს.

ამ საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სპეციალურ ლიტერატურაში ამ ბოლო დროს გამოთქმულ ერთ თვალსაზრისს აფსილებთან დაკავშირებით. მხედველობაში გვაქვს დ. მუსხელიშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ „აფსუა“ „აფსილის“ ექვივალენტი არაა და ეს უკანასკნელი არა აფხაზურ-ადიღურ, არამედ – ქართველურ ეთნიკურ სამყაროს უნდა მივაკუთვნოთ.⁴ სხვა არგუმენტებთან ერთად ამ მოსაზრების განმტკიცებას მეცნიერი ცდილობს წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმით „ზიხახორეოს“-„ჯიხახორა“ (Ζιχαχαρεως; a praedio Zichachorio), რომელიც აფსილთა მიწაზე მდებარეობდა და რომელშიც „ლაზთა ქვეყნის ქემშარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლი“ მდებარეობდა.⁵ აქ აშკარად თვალში საცემია, რომ აღნიშნული ტოპო-

¹ М. Инадзе. Вопросы..., გვ. 71; ლ. ლიულიეს ცნობით, საძენებად იწოდებოდა აფხაზ-აზეგთა ერთ-ერთ ტომი, რომელიც მდ. ხამიშიდან გაგრამდე ცხოვრობდა (Л. Я. Люлье. Общий взгляд на страны, занимаемые черкесами, абхазами и другими смежными с ними народами, – ЗКОРГО. Тфл., 1870, გვ. 181).

² ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 28.

³ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 118-189.

⁴ Д. Мухелишвили. Исторический статус..., გვ. 123-125. ანალოგიურ მოსაზრებას აფიქსირებს ზ. ხორავაც (ზ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 26).

⁵ თეოდოსი განგრელი. მოგონებებიდან, – გეორგიკა. ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1940, გვ. 50; მიუხედავად იმისა, რომ ძველბერძნული და ბიზანტიური საისტორიო წყაროები აქტიურად აფიქსირებენ აფსილ-აბაზგ ტომებს ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზთა წინაპრებს პირდაპირი კონტაქტები არ უნდა ჰქონოდათ ძველბერძნულ და ბიზანტიურ სამყაროსთან, რადგან ბერძნული ქრისტიანული ტერმინები და სხვა დარგის

ნიმი ახსნას ჰპოვებს მეგრულ მეტყველებაში, სადაც „ჯიხა“ არის ციხესიმაგრე, ხოლო „ხორა“ კი — სახლი.¹ მართალია, აღნიშნული ტოპონიმი აშკარად მეგრული წარმოშობისაა, მაგრამ ვფიქრობთ, აფსილთა ქართველობის დასადასტურებლად მხოლოდ ეს არგუმენტი ვერ გამოდგება.

აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მოსაზრებით, „აფსილი“ არ არის შედგენილი ტერმინი, არამედ იგი მარტივ, განუყოფელ ფუძეს უნდა აღნიშნავდეს, რომელიც განსაზღვრულ ეთნოსს, ტომს უნდა წარმოდგენდეს, რაც ერთმნიშვნელოვნად უნდა მტკიცდებოდეს ძველქართული ქორონიმით „აფშილეთი“ (აფშილთა ქვეყანა), სადაც „ეთ“ გეოგრაფიული დეტერმინანტია, ანალოგიურად „რუს-ეთ-ი“ (რუსთა ქვეყანა). „თუკი აფშილს „მეორადი წარმოების“ ეთნიკურ სახელად ჩავთვლით, როგორც ეს, მაგალითად, პ. ინგოროყვას ჰგონია „კახელის“ მიმართ (ეთნ. „კახი“ — გეოგრ. „კახეთი“ — ეთნ. „კახელი“),² მაშინ ამ შემთხვევაშიც შესაბამისად უნდა გვქონოდა „აფშიეთი“ და არა „აფშილეთი“, რაც არ დასტურდება ისევე, როგორც არ დასტურდება „აფ-

ბერძნული ლექსიკაც აფხაზურში შესული უნდა იყოს „ქართულისაგან, ანდა კოლხური ენის მეგრული დიალექტისაგან“ (თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 27, 162; თ. გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, გვ. 51-66). რა თქმა უნდა ვიზიარებთ იმ თეზას, რომ ეს ტერმინები, აფხაზურში, მართლაც, უმთავრესად, ქართულიდან/მეგრულიდან შევიდა, მაგრამ ვფიქრობთ, ალბათ, შეუძლებელია კატეგორიული უარყოფა აფხაზთა წინაპრების უშუალო კონტაქტებისა ძველბერძნულ და ბიზანტიურ სამყაროსთან. ქართულმა ენამ, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, ბერძნულის მეშვეობით, არა ერთი ებრაული წარმოშობის სიტყვა შეითვისა. ბუნებრივია, ეს არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მანამდე არ არსებულა უშუალო ქართულ-ებრაული ურთიერთობები. პირიქით, როგორც ქართული საისტორიო წყაროები მოწმობენ („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“), ასეთი ურთიერთობები არსებობდა ჯერ კიდევ ძვ. წ. II საუკუნიდან და ქართლის არა ერთ ქალაქში (მათ შორის დედაქალაქ მცხეთაშიც) არსებობდნენ ებრაული კოლონიები. ვინაიდან აფხაზთათვის საეკლესიო და სამწერლობო ენად, ყოველ შემთხვევაში IX საუკუნიდან მაინც, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და ჩამოყალიბდა ქართულ საეკლესიო ორგანიზაციად (მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, — სინ. რვა ტომად. ტ. II, გვ. 422-423; ნ. პაპასქირი. „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დანესების ქრონოლოგიისათვის, — შოთა მესხია-90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ., 2006, გვ. 201-212) ქართული იყო, შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ ქრისტიანული საეკლესიო ტერმინები ამ ენიდან შესულიყო აფხაზურ მეტყველებაში.

¹ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, гв. 99.

² პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 139.

სნელი“ და „აფსარი“.¹

ვფიქრობთ, ეთნონიმი „აფშილი“ ნამდვილად შედგენილი უნდა იყოს, ვინაიდან ქართულ ენაში გვაქვს, ასევე, „მეგრელი“, რომელიც ეგრისის მკვიდრისაგან (ეგრ-ის-ი→ეგრ-ის-ელ-ი→მ-ეგრ-ის-ელ-ი→მ-ეგრ-ელ-ი) არის წარმოებული.²

„მეგრელთა ქვეყანა“ ქართულ ენაში, განსხვავებით, მაგალითად იგივე კახელ-კახეთისაგან, „სამეგრელოდ“ იწოდება: სამ-ეგრ-ელ-ო.³ ესე იგი, ამ შემთხვევაში, ქორონიმი „სამეგრელო“ ზუსტად „მეგრელისაგან“ არის წარმოებული. შესაბამისად, „აფსილ“-„აფშილეთის“ შემთხვევაში ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე. თუმცა სხვა ადგილას დ. მუსხელიშვილი აღიარებს „აფს-არ“-„აფს-უა“-„აბაზას“ იდენტურობას.⁴

¹ დ. მუსხელიშვილი. აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, – ჟურნ.: „არტანუჯი“, 10, 2000, გვ. 21.

² თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, – კრებ.: სიკვ. ტ. III. თბ., 1967, გვ. 142.

³ ეს ქორონიმი წერილობით წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება („ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისა“), – თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 142.

⁴ დ. მუსხელიშვილი. Исторический..., გვ. 132; ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“ იშლება როგორც „აფს+უა“, სადაც „უა“ – არის ადამიანის გამომხატაველი ფუძე (სუფიქსად ქცეული) (დ. მუსხელიშვილი. Исторический статус..., გვ. 123). გამოდის „აფს-უა“ იდენტურია „აფს“-ადამიანისა. თუმცა, სრულიად გაუგებარი ხდება, რატომ არ უნდა ნიშნავდეს ანალოგიურს „აფსილი“, მაშინ, როცა იგივე წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსით („ილ“) სხვა ეთნომები მრავლად გვაქვს ქართულ ენაში: კახელი, რაჭველი, ქართლელი და ა. შ. რაც შეეხება „აფსარს“ („აფსართა ენითა“ / ისტორიანი და აზმანი..., – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, გვ. 58/; ფსევდო-სკილაქსის (ძვ. წ. IVს.) მიერ დაფიქსირებული მდინარე აფსაროსი). სავარაუდოა, რომ ეს არის „აფსილის“ მეგრულ-ზანური ფორმა (მ. ინაძე. Вопросы..., გვ. 72), რადგან, მაგ., მეგრულში „ქართლელი“ და „თბილისელი“ გამოიხატება ფორმით „ქართალი“ და, შესაბამისად, აქ საქმე უნდა გვექონდეს მხოლოდ სუფიქსებში – „არ“-„ალ“ – ფონეტიკურ ცვლილებასთან. თუმცა, დ. მუსხელიშვილმა იქვე ყურადღება მიაქცია, აგრეთვე, იმ გარემოებასაც, რომ ყუბანის-იქითა აბაზინელთა ენაში, რომლებიც იმ მხარეში შავი ზღვის სანაპიროებიდან XIV–XVIIსს. გადასახლდნენ, არსებობს ძველქართულიდან ნასესხები სიტყვა „არ“, რაც „მხედრობას“ ნიშნავს (დ. მუსხელიშვილი. Исторический статус..., გვ. 131). აფსილ-აბაზგთა პერიოდის, ანუ ადრეული შუა საუკუნეების ძველქართულ ენაში „ერი“ მართლაც ანალოგიური მნიშვნელობისა იყო (С. Джанашиа. Краткий исторический очерк, – შრომები. ტ. VI. თბ., 1988, გვ. 359; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 352). აქედან გამომდინარეც კი, „აფსარი“ „აფს“-ური წარმოშობის ადამიანს/ადამიანებს უნდა ნიშნავდეს. ქართულ მატრიანეში დაფიქსირებული ეს ეთნონიმი აფხაზთა სატომო სახელად მიიჩნდა ს. ჯანაშიასაც და მას აფსილ-აფშილის იდენტურად აღია-

ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულ-აფხაზური ეთნიკური საზღვარი, რომელიც ყოველთვის არ გულისხმობდა პოლიტიკურ ანუ სახელმწიფოებრივ საზღვარს, უმთავრესად, ლალიძგა-კელასურის შუამდინარეთის ტერიტორიაზე „მოძრაობდა“. ასე, მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზის სამეფოს ტერიტორია ეგრისწყლამდე ვრცელდებოდა: „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“.¹ ამგვარი ვითარება რჩება ვახტანგ გორგასლის პერიოდამდე.

ახ. წ. III საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ძლიერდება ლაზიკის-ეგრისის სამეფო, რომელიც IV ს. დასასრულისათვის იერთებს აფსილიას, აბაზგიასა და სანიგიას.² თუმცა, V ს. II ნახევარში ვახტანგ გორგასალისა და ბიზანტიის კეისარს შორის მიღწეული შეთანხმებით, საზღვარი ბიზანტიასა და ქართლს შორის მდ. კელასურზე დაიდო: „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღვს პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აქ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. ან იგი უკუე მოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა“. და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“.³ მკვლევართა (პ. ინგოროყვა, დ. მუსხელიძე-

რებდა (ს. ჯანაშია. საენციკლოპედიო მასალა, – *შრომები*. ტ. VI. თბ., 1988. გვ. 245). ოდნავ ფრთხილი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი გ. ამიჩბას, რომელიც წერს: «Этноним «апсар» является вероятно, синонимом «апсуа» (самоназвание абхазов)» /„ეთნონიმი „აფსარი“ სავარაუდოდ „აფსუას“ (აფხაზთა თვითსახელწოდება) სინონიმს წარმოადგენს“ (თარგმანი ჩვენია – პ.პ.)/ (*Собрания средневековых грузинских письменных источников об Абхазии*. Тексты собрал, перевел на русский язык, предисловием и комментариями снабдил Г. А. Амичба. Сухуми, 1986, გვ. 51, შენ. 7). ზოგადად, მაინც მკვლევართა უმრავლესობა (მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია, ზ. ანჩაბაძე, ხ. ბლაჭუა, მ. ინაძე, გ. წულაია, თ. გვანცელაძე, ზ. პაპასქირი, და სხვ.) აღიარებს „აფსილ“-„აფსარ“-„აფსუა“ იდენტურობას (დანვრ. იხ.: **3. Папаскири**. Территория Абхазии в XI-XV вв., გვ. 185, 200; **М. Инадзе**. Вопросы..., გვ. 73, 76, 84).

¹ **ლეონტი მროველი**. ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I, გვ. 24; **ლეონტი მროველი**. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**, გვ. 43.

² **ს. ლომოური**. ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V საუკუნეებში, – *სინ*. რვა ტომად. ტ. II, გვ. 161.

³ **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, – ქართლის

ვილი) ვარაუდით, ამ ამონარიდში ნახსენები „შუა ქვეყანა“, რომელიც მოიცავს ღალიძგა-კელასურის შუამდინარეთს, იგივეა, რაც XVIII. მიწურულში წარმოქმნილი ტოპონიმი „აბჟუა“, ¹ რომელიც ქართულად „შუა სოფელს“ ნიშნავს.² დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, ამ ტოპონიმის წარმოქმნა სწორედ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში უნდა მომხდარიყო, ხოლო ის, რომ წყაროში გვაქვს „ქუეყანა“ ნაცვლად „სოფლისა“, ამის მიზეზს მკვლევარი გვიანდელი ხანის გადამწერის ან რედაქტორის ჩასწორებაში ხედავს.³ VII საუკუნეში საზღვარმა ისევ ეგრისწყალზე გადაინაცვლა: „ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიულო ერეკლეს კეისარმან⁴ კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასუეს ბერძენთა ერისთავი თუსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა“.⁵ თუმცა, ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ოდნავ განსხვავებულ ცნობას ვხვდებით ანონიმი სომეხი გეოგრაფოსის თხზულებაში⁶: «Между Болгарами⁷ и Понтийским морем живут народы: Гарши, Куты и Сваны⁸ до города Питуунта (Pitius) на морском берегу страны Авазов (Abasgi), где живут Апишлы и Абхазы до приморскаго своего города Севастополиса (Dioscurias), и далее до реки Дракона, ...отделяющей Абхазию от страны Егеръ*».¹

ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, გვ. 177, 203-205, 235, 242; **ჯუანშერი**. ცხორება ვახტანგ გორგასლისა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**, გვ. 192, 220, 222.

¹ **ბ. დადიანი** ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; **პ. ქ-ა.** მიწათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 394; **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ ისტორიული ნარკვევი*, – შრომები. ტ. VI, გვ. 44.

² **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე, გვ. 128; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., გვ. 112.

³ **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული..., გვ. 113.

⁴ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე I (610-641).

⁵ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 795.

⁶ ამ თხზულების სავარაუდო დათარიღებაა VIII. დასასრული – VIIIს. დამდეგი (**К. Патканов.** Из новаго списка географии, приписываемой Моисею Хоренскому, – *ЖМНП.* СПб, март, 1883, გვ. 22).

⁷ სავარაუდოდ, ესენი თანამედროვე ბალყარელები არიან.

⁸ ზ. ანჩაბაძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ლეთოდიანი ანონიმისეულ „სვანებს“ სანიგებთან აიგივებენ (**З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 65; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული..., გვ. 98-99; **დ. ლეთოდიანი.** აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIIIსს-ში. თბ., 1991, გვ. 82).

*„ბულგარებსა და პონტის ზღვას შორის ცხოვრობენ ხალხები: გარშიები, კუტიები და სვანები ქალაქ პიტიუნტამდე (Pitius) ზღვის სანაპიროზე ავაზების

დღემდე დავას იწვევს მდ. დრაკონის იდენტიფიკაციის საკითხი. ზ. ანჩაბადემ იგი მდ. კოდორთან გააიგივა. თუმცა არ მოუტანია საამისო არგუმენტები და, როგორც ჩანს, დასკვნა ამ დასახელებულ ჰიდრონიმთან მსგავს ბგერობრივ უღერადობაზე ააგო.² ამ მოსაზრებას ემხრობა დ. მუსხელიშვილიც და ის, ამ ჰიდრონიმის ლოკალიზაციისათვის იშველიებს თეოდოსი განგრელის ნაშრომში დასახელებულ აფშილეთის ციხეს „სკოტორი“³, რომელიც სადღაც მდ. კოდორის⁴ ხეობაში უნდა ყოფილიყო.⁵ ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებას უნდა ამაგრებდეს თეოდოსი განგრელის ქართულ თარგმანში „სკოტორის“ ნაცვლად „კოტორის“ ხმარება: „...შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი“.⁶

როგორც ჩანს, მთარგმნელმა ერთგვარად შეასწორა თეოდოსი განგრელის მიერ დაშვებული შეცდომა ადგილობრივი ტოპონიმის გადმოცემისას. საყურადღებოა, ასევე, ვახუშტის შენიშვნაც, რომ ამ ჰიდრონიმმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“.⁷ დრაკონ-კოდორის იდენტიურობას ზ. პაპასქირი⁸ და ს. ბახია-ოქრუაშვილიც⁹ იზიარებენ. თუკი, დრაკონს კოდორთან გავაიგივებთ და გავიზიარებთ სომეხი ანონიმის ამ ცნობასაც, მაშინ ის აშკარა წინააღმდეგობაში მოვა ვახუშტისთან. ამ ნიუანსს, თავის დროზე, ყურადღება მიაქცია დ. ლეთოდიანმა, რომელიც, შესაბამისად, შეეცადა ეს ორი ცნობა ერთმანეთისათვის მიესადაგებინა. შესაბამისად, მკვლევარის მოსაზრებით, მდ. დრაკონში ეგრის-

(Abasgi) ქვეყანამდე, სადაც ცხოვრობენ აფშილები და აფხაზები მათ ზღვისპირა ქალაქ სებასტოპოლისამდე (Dioscurias), და შემდეგ მდინარე დრაკონამდე, ... [რომელიც] გამოჰყოფს აფხაზეთს ეგერის (ეგრისის – კ.კ.) ქვეყნიდან“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

¹ **К. Патканов.** Из новаго списка географии..., გვ. 29.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 65.

³ **თეოდოსი განგრელი.** მოგონებებიდან, გვ. 42, შენ. 4.

⁴ ამ ჰიდრონიმის სახელი აშკარად ქართველური წარმოშობისაა (**ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 194-195).

⁵ **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული..., გვ. 98-99, 119-121.

⁶ **თეოდოსი განგრელი.** მოგონებებიდან, გვ. 43, შენ. 4; ხაზგასმა ს. ყაუხჩიშვილისაა – კ. კ.

⁷ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 781.

⁸ **ზ. პაპასქირი.** ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“, – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა..., გვ. 430-431.

⁹ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 193.

წყალი უნდა ივარაუდება.¹

ამ უკანასკნელ ხანს, საერთოდ რადიკალურად განსახვავებული მოსაზრება წამოაყენა აფხაზმა მკვლევარმა ვ. ბუთბამ, რომელმაც აღნიშნული ჰიდრონიმი მდ. ცხენისწყალთან გააიგივა და ამით „ავაზა“-ს ქვეყნის საზღვარი ძალიან შორს გადასწია სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით.² რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ანონიმის გეოგრაფიამ, ჩვენამდე ძალიან დამახინჯებული სახით მოაღწია და საჭიროა შემდგომი კვლევა-ძიების წარმოება ამ ტექსტის არქეტიპის აღსადგენად,³ ვფიქრობთ, ის მაინც უნდა წარმოადგენდეს ქართულ-აფხაზური ეთნიკური საზღვრის ფიქსაციას ვახუშტისეულ ცნობასა და ჯუანშერის ერთ ცნობას შორის არსებულ პერიოდში. კერძოდ, აღწერს რა ცნობილი არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის (მურვან-ყრუ) ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში,⁴ ის წერს: „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისასა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი, და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“.⁵

ვახუშტის ცნობაში დაფიქსირებული მოვლენა თარიღდება VIII. I ნახევრით (ჰერაკლე კეისრის ზეობის ქრონოლოგიიდან გამომდინარე), ჯუანშერისა კი – VIIIს. 30-იანი წლების II ნახევრით (მურვან-ყრუს ლაშქრობა საქართველოში). თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ, ამ პერიოდში, დაახლ. 641-730წწ. ადგილი ჰქონია ქართულ-აფხაზური საზღვრის გარკვეულ ცვლილებას კიდევ

¹ დ. ლეთოდანი. აფხაზეთის, აფშილეთის..., გვ. 15-16, 179, 182.

² В. Ф. Бутба. Племена Западного Кавказа по «Ашхарацуйцу». Сухум, 2001, გვ. 104 (ამ მოსაზრებას გავეცანით მ. თხაიციხოვის ნაშრომით: М. Тхайцухов. Абазины. Страницы древней и средневековой истории, გვ. 47);

³ К. Патканов. Из новаго списка географии..., გვ. 23.

⁴ ამის შესახებ: ზ. პაპასქირი. დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. VIII საუკუნის I ნახევარი, – წგნ.: ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა, გვ. 111-114 (იქვე, მითითებები სხვა ლიტერატურაზეც); ზ. პაპასქირი. ქართული პოლიტიკური სამყარო VIII საუკუნეში, – წგნ.: ზ. პაპასქირი. და აღმოცისკრდა საქართველო, გვ. 166-167; ზ. პაპასქირი. კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008, გვ. 449-453; ზ. В. Папаскири. Абхазия. История без фальсификации, გვ. 38-40.

⁵ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 235.

უფრო ჩრდილო-დასავლეთით – ეგრისწყლიდან კოდორის მიმართულებით, თუმცა ეს ფაქტი არ ასახულა ქართულ მატრიანეებში. ვფიქრობთ, ვახუშტისეული ეგრისწყლიდან ჯუანშერისეულ კლისურამდე საზღვრის გადანევვის ლოგიკაში უნდა ჯდებოდეს ჩვენი მოსაზრებაც. მაგრამ ამ ვარაუდის საბოლოოდ დასამტკიცებლად, აუცილებელია ანონიმი სომეხი გეოგრაფოსის ტექსტის დასაზუსტებლად შემდგომი კვლევის წარმოება. შემდგომ საუკუნეებში (აფხაზეთის საერისთაო, „აფხაზთა“ სამეფო და ერთიანი საქართველოს სამეფო) საზღვარი ისევ ეგრისწყალზე ფიქსირდება (საზღვარი ცხომისა და ბედიის საერისთაოებს შორის).¹ ეს ვითარება ძალაში რჩება ვიდრე XIIIს. დასასრულამდე, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ.

ქართულ-აფხაზური ეთნო-პოლიტიკური საზღვრის ახალ რევიზიას უკვე XVIIIს. დასაწყისიდან ვხედავთ. XVIIIს. I მეოთხედი-სათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ტომებისა და ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერით ზურგგამაგრებული აფხაზეთის სამთავრო, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი ანაკოფიასთან² გადიოდა,³ სარგებლობს ოდიშში განვითარებული შინაარეულობით და იწყებს პერმანენტულ და წარმატებულ ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით – სამეგრელო-ოდიშის სამთავროს სიღრმეში.⁴ ამ პროცესის შეჩერება, მიუხედავად ოდიშართა ცალკეული სამხედრო და პოლიტიკური წარმატებებისა,⁵ ფაქტობრივად, შეუძლებელიც ხდება. საქმეს ვერ უშველა ლევან II დადიანის მიერ „აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს“⁶ აგებულმა ე. წ. „კელასურის კედელმაც“. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის დანიშნულება რომ აფხაზთა შემოსევებისაგან სამეგრელოს დაცვა იყო, ამას უცხოელი ავტორებიც მოწმობენ: არქ. ლაბერტი,⁷ ჟ. შარდენი.⁸

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 796.

² ამჟამინდელი ახალი ათონი – კ.კ.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 776, 783; ვახუშტის ამ ცნობას ნ. დადიანიც იმეორებს, თუმცა მის დროს ეს უკვე ანაქრონიზმი იყო (ნ. დადიანი ქართველთა ცხოვრება, გვ. 150, 151).

⁴ ზ. პაპასქირი. ზოგი რამ..., გვ. 47; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე..., გვ. 97; ბ. ხორავა ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 75-76.

⁵ დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 23; ზ. პაპასქირი. ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე..., გვ. 14.

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 782; თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ 1611-1615 წლებისთვის აფხაზეთ-ოდიშის საზღვარი უკვე მდ. კელასურზე გადიოდა (Т. Берაძе. Этнополитические процессы..., გვ. 208).

⁷ დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 152.

⁸ Voyages..., გვ. 149-150; Путешествие..., გვ. 21; ჟან შარდენის..., გვ. 107.

სხვადასხვა წყაროების, პირველ რიგში კი, უცხოელ ავტორთა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება რეგიონის საერთო პოლიტიკური და ეთნიკური ვითარების ზოგადი სურათის წარმოდგენა.

იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარს 1630წ. მდ. აუს¹/აბსეზე² აფიქსირებდა: „21 მაისსას მოვედით ძველ ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“³ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს ილ. ტაბალუა ქ. სოხუმთან აიგივებს.⁴ ამ ვარაუდს ბ. ხორავაც ემხრობა.⁵ თუმცა, პ. ინგოროყვას მოსაზრებით, აქ საუბარი უნდა იყოს ანაკოფიაზე, რაც საეჭვოდ მიიჩნია ნ. ბერძენიშვილმა.⁶

ჯოვანი და ლუკას ცნობით, დრანდის ეკლესია ოდიშის შემადგენლობაშია: ნმ. ანდრიას სახელობის ეკლესია „ახლოა აფხაზებთან, რომლებთანაც ქართველებს ძრიელ ცოტა მეგობრობა აქვსთ“⁷

თუმცა, ამ ხალხებს შორის რომ გამწვავებული ურთიერთობა იყო, მან სამეგრელოში მისვლამდე უკვე იცოდა. სკისორნუმში ადგილობრივმა თავადმა⁸ პუტომ მას უთხრა, რომ „აქ ახლოს მეზობლად ქართველები⁹ არიან, მაგრამ მათთან ბევრი ურთიერთობა არა მაქვსო“¹⁰ სამეგრელოს პირველ დასახლებულ პუნქტად დომინიკანელი მისიონერი ასახელებს სკურჩას (Scourcia, Scorua), რომელიც მდ. კოდორთან მდებარეობს.¹¹

როგორც ჩანს, ოდიშარნი სულ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით იხევდნენ მომხდურ აფხაზთა შემოტევების გამო. თუმ-

¹ ასეა მ. თამარაშვილთან (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 144).

² ბ. ხორავას მოსაზრებით, საუბარია მდ. ბესლეთზე და არა მდ. კოდორზე, როგორც ამას ილ. ტაბალუა მიიჩნევს: ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 94; ილ. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში., ტ. III, გვ. 160.

³ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 144; ილ. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში. ტ. III, გვ. 157.

⁴ ილ. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა., ტ. III, გვ. 157.

⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 94.

⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 134; ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 618.

⁷ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 149.

⁸ ასე აქვს მ. თამარაშვილს: მ. თამარაშვილი. ისტორია., გვ. 145.

⁹ მართალია, კონტექსტის მიხედვით, აქ სასულიერო პირებზეა საუბარი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

¹⁰ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 145.

¹¹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 145.

ცა, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა და, შესაბამისად, დასახლებული პუნქტის არსებობა დრანდაშიც უნდა ვივარაუდოთ, რადგან ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ადგილობრივი მონასტერი, რომელიც დრანდელი არქიეპისკოპოსის (Driandelli)¹ li)¹ საკათედრო ტაძარიცაა.²

შემდგომი ოცი წლის მანძილზე აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარი კიდევ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით იწევს: 1640წ. 6 თებერვალს ოდიშში მყოფმა რუსმა ელჩებმა ფ. ელჩინმა და პ. ზახარიევმა დრანდის მონასტერიც («Дандрепанский монастырь») მოინახულეს.³ თუმცა ამ პერიოდის ოსმალთა ავტორის ქათიბ ჩელეების რუკაზე საზღვარი მდ. კელასურთანაა დაფიქსირებული.⁴

რამდენიმე წელიწადში საზღვარმა ორ სამთავროს შორის კიდევ განიცადა ცვლილება და მან მდ. კოდორზე გადაინაცვლა.⁵ ვლა.⁵ XVIIIს. 50-იანი წლების დასაწყისისათვის ჩამოყალიბებული

¹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 146.

² თ. ბერაძე ეჭვით უყურებს იტალიელ მისიონერთა ამ ცნობებს, რადგან დრანდის მონასტერი, ამ შემთხვევაში, ოდიშის საზღვრის გარეთ ჩანს (Т. Берадзе. Этнополитические процессы..., გვ. 210).

³ Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию (1639-1640). Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Дж. Гамахория. Тб., 2005, გვ. 269; ბ. სორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 93; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 197-198.

⁴ გ. ალასანია. ჯიჰან ნუმას რუკები, – ნგნ.: ქათიბ ჩელეების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978, გვ. 56; როგორც ქათიბ ჩელეების თხზულების ქართული თარგმანის გამომცემელი, პროფ. გიული ალასანია ნაშრომის შესავალ ნაწილში ჯიჰან ნუმას რუკის კომენტარებისას აღნიშნავს, ეს ნყარო XVIIIს. 57-80-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი (გ. ალასანია. ჯიჰან ნუმას რუკები, გვ. 56). თუმცა, მეცნიერის აზრით, აფხაზეთ-ოდშიის საზღვრებთან დაკავშირებით გარკვეული შეუთავსებლობაა ქათიბ ჩელეების თხზულებასა და რუკის მონაცემებს შორის. თუ რუკის მიხედვით, საზღვარი მდ. კელასურზე გადის, თხზულებაში იგი მდ. კოდორზე ჩანს (გ. ალასანია. ჯიჰან ნუმას რუკები, გვ. 56; ქათიბ ჩელეების ცნობები საქართველოსა..., გვ. 132). როგორც ვხედავთ, რუკის შემდგენელი გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არქ. ლამბერტი, რომელიც ოდიშში XVIIIს. შუახანებში იმყოფებოდა, სავსებით ნათლად აღნიშნავს, რომ საზღვარი მდ. კოდორზე გადის (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 11-12).

⁵ დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 11-12; როგორც მ. მაგალობლიშვილი შენიშნავს, არქ. ლამბერტი ოდიშიდან 1649წ. გაემგზავრა (ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 15). იმავე პერიოდის მეორე ოსმალთა ავტორი ევლია ჩელეები წერს: მდინარე ფაშა „პირდაპირ სამხრეთისაკენ მიედინება და სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის შუა ზღვას ერთვის... მთლიანად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდი-

ლი ვითარება შედარებით სტაბილური აღმოჩნდა (საუკუნის მიწურულამდე). მართალია, აფხაზთა პერმანენტული თავდასხმები სამეგრელოზე მაინც გრძელდებოდა,¹ მაგრამ საზღვრის ცვლილებას ეს არ იწვევდა.

თუმცა, ქართული მოსახლეობა საკუთრივ აფხაზეთის საერისთაოს და სამთავროს ტერიტორიაზეც ცხოვრობდა. ბიჭვინთაში XVIIIს. 40-50 წლებში, როცა აფხაზეთ-ოდიშის საზღვარი უკვე მდ. კოდორზე გადიოდა, ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები და არა – აფხაზები.² მკვლევართა ნაწილს (ბ. ლომინაძე, კ. ოკუჯავა, ზ. პაპასქირი) მიაჩნია, რომ XVIIIს. შუახანებში ბიჭვინთასა და კოდორს შორის მეგრელები და აფხაზები ჯერ კიდევ თანამოსახლებოდნენ.³ როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფხაზ/აფსუების მხრიდან აქტიურად არ ხდებოდა ოდიშართა მიწების დაკავება.

მათი ჩამოსახლება სამეგრელოს მიტაცებულ ტერიტორიაზე ერთბაშად არ მიმდინარეობდა. შარდენიც მოწმობს, რომ აფხაზთა შემოსევებს უფრო მარბიელი ხასიათი ჰქონდა: აფხაზები „არბევენ და სწვავენ ყველაფერს, იტაცებენ ხალხს და პირუტყვს“.⁴ მეგრელთა აყრა გუმისთა-ენგურის შუამდინარეთიდან სწორედ ამ პირობებში ხდებოდა. შინააშლილობებით, მეზობელ სამეფო-სამთავროებთან ომებითა და ოსმალების თავდასხმების მოგერიებით დაკავებულ ოდიშს უკვე ძალა არ შესწევდა საკუთარი მოსახლეობის დასაცავად.⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, სრული-

ნარე ფაშა და საზღვრის დასასრულია დასავლეთით ორმოცდაორი დღის სავალზე კაფას ვილაიეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსადგური“ (ეველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 96, 97). მკვლევართა (გ. ანჩაბაძე, ბ. ხორავა) მოსაზრებით მდ. ფაშაში მდ. კოდორი იგულისხმება (გ. ანჩაბაძე, ეველია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ, – *საისტორიო კრებული*, VI, თბ., 1976, გვ. 77; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 92).

¹ *Voyages du Chevalier Chardin...*, გვ. 336-337, 350-351; *Путешествие Шардена...*, გვ. 104, 110-111; *ჟან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 207, 215-216; აფხაზები მარტო სამეგრელოთი არ კმაყოფილდებოდნენ: გიორგი გურიელმა (სამთავროს სათავეშია 1669 წლიდან) „მოსრნა მეკობრედ მოსრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის“ (**ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა..., გვ. 840).

² **კ. კვაშილავა**, ჟან შარდენის „მოგზაურობის“..., გვ. 164.

³ **ბ. ლომინაძე**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, გვ. 222, 224-225; **კ. ოკუჯავა**, აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 54; **ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 104-105.

⁴ *Voyages du Chevalier...*, გვ. 336-337, 350-351; *Путешествие Шардена по Закавказью...*, გვ. 104, 110-111; *ჟან შარდენის მოგზაურობა...*, გვ. 207, 215-216.

⁵ **კ. კვაშილავა**, ჟან შარდენის „მოგზაურობის“..., გვ. 165.

ად ამკარაა, რომ არავითარი საფუძველი არაა ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთი მაინცდამაინც აფხაზი ეთნოსის ისტორიულ საცხოვრისად მივიჩნით.¹ ასე რომ, ზ. ანჩაბაძის მიერ სიტყვების „დაპყრობა“- «захватить»² გამოყენება შარვაშიძეთა მიერ ოდიშის სამთავროს ტერიტორიის ნაწილის — შემდგომი სამურზაყანოს ტერიტორიის დაკავებასთან დაკავშირებით სრულიად მართებულია.

ე. წ. ენგურის გასწვრივ „აფხაზეთ-საქართველოს“ ისტორიული საზღვრის არსებობის თვალსაზრისს ამ ბოლო დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიდევ ერთი მხარდამჭერი – აფხაზი ისტორიკოსი თ. აჩუგბა – გამოუჩნდა. ისიც ყოველნაირად ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ „ნარსული საუკუნეების“ წერილობითი წყაროების მიხედვით, „ეთნიკური საზღვარი“ აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდ. ენგურზე გადიოდა.³ თუმცა, ყველაზე „უძველესი“ წყარო, რომელიც მკვლევარმა ამ თეზისის დასაბუთებისათვის წარმოადგინა 1788 წლით თარიღდება.⁴

ერთი სიტყვით, მიუხედავად ამ და სხვა მსგავსი მცდელობებისა, დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ XVII საუკუნემდე აფხაზურ ტომთა განსახლების უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ღალიძგას არ გასცდენია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამაზე პირდაპირ უნდა მიუთითებდეს ადგილობრივი ჰიდრონიმებიც, კერძოდ, ღალიძგა — მეგრულად: ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა, მიჯნის წყალი. სწორედ ღალიძგა უნდა ყოფილიყო ერთი პერიოდი მაინც ე. წ. „ეთნიკური საზღვარი“ აფხაზებსა და მეგრელებს შორის. ამასთანავე, ჩვენი კვლევისთვის

¹ კ. კვაშილავა. როდის გახდა მდ. ენგური ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი, – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. V. თბ., 2008, გვ. 461-486.

² აღსანიშნავია, რომ სიტყვებს: „დაპყრობა“-«захватить» ქართულ და რუსულ ენებში ერთი გაგება აქვთ: ესაა სხვისი მიწა-წყლის ძალისმიერი გზით მიტაცება „დაპყრობა სახელი დაიპყრობს ზმნის მოქმედებისა“ (*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ერთტომეული. არნ. ჩიქობავას რედაქციით. ნაკვ. I, თბ., 1990, გვ. 404), „დაიპყრობს ძალით (ომით...) აიღებს, ხელში ჩაიგდებს, დაიმორჩილებს (ქვეყანას, ხალხს)“ (*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, გვ. 378); «Захватить... 2. кого-что. Силой овладеть кем-чем-н. 3. чужую территорию. 3. пленных» (С. И. Ожегов, Н. Ю. Шведова. Толковый словарь русского языка (Е-Л). Издательство «Азъ», 1992; – http://lib.ru/DIC/OZHEGOW/ozhegow_e_l.txt).

³ Т. А. Ачугба. О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии, – <http://www.abkhaziya.org/books/samurzaqan/samurz1.html>.

⁴ *Новый и Полный Географический Словарь Российскаго Государства, или Лексикон*. Ч. I (А-Ж). М., 1788, გვ. 3.

საინტერესო რეგიონი, მკვლევართა შენიშვნით, მდიდარია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით, რომელთა ქრონოლოგია X-XVII საუკუნეებს მოიცავს.¹ როგორც ვხედავთ, აფხაზ ისტორიკოსთა მიერ მდინარე ენგურის გამოცხადება „საქართველო-აფხაზეთის ისტორიულ საზღვრად“ მეცნიერული თვალსაზრისით სრულიად უსუსურია და, შესაბამისად, ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. მას მხოლოდ პროპაგანდისტული დანიშნულება გააჩნია, რომლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სეპარატისტთა ქმედებებისათვის ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა და გამართლებაა.

სორეხ შარვაშიძის მიერ ოდიშის სამთავროს ნაწილის (მდ. ენგურის მარჯვენა სანაპირო) დაპყრობის შემდეგ, ინტენსიური სახე მიიღო ამ ტერიტორიაზე აფხაზთა გადმოსახლება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ამ ეტაპისთვის კოდორ-ღალიძგის შუამდინარეთი იმყოფებოდა, ვინაიდან ეს მხარე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ფაქტობრივად, ოდიშ-აფხაზეთის დაპირისპირების ფრონტისპირა ხაზს წარმოადგენდა. შესაბამისად, მთავარი დარტყმაც სწორედ მასზე მოდიოდა. ამ პროცესის გამომწვევ მიზეზად, ზ. ანჩაბაძე XVIII ს. შუახანებისთვის აფხაზეთის ძირითად რაიონებში მოსახლეობის სიჭარბეს მიიჩნევდა.² ავტორი არ აღნიშნავდა იმას, თუ რა ფაქტორმა გამოიწვია იქ მოსახლეობის სიჭარბე, თუმცა იმას კი სამართლიანად მიუთითებდა, რომ წარმოებების დაბალ დონეს უნდა აეძულებინა აფხაზები ახალ მიწებზე გადასახლებულიყვნენ.³

ექსტენსიური მეურნეობა დაბალი სოციალური განვითარების პირობებში მყოფი მთის მოსახლეობისთვისაა დამახიასიათებელი. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნას: „სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შევცლილიყო, დანინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შევცლილიყო“.⁴ ამის გამომწვევ მიზეზად მეცნიერი აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობის („მთიელი აფხაზები“) ახალი ნაკადის ჩამონოლას ასახელებდა.⁵

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზეთ-ოდიშის ბრძოლა

¹ ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა..., ტ. I, გვ. 75.

² **З. В. Анчабадзе** Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 143.

³ **З. В. Анчабадзе** Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 143.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი**. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 615.

⁵ **ნ. ბერძენიშვილი**. მასალები..., გვ. 616.

განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარე შინაომებისგან, ვინაიდან აფხაზი წარჩინებულების ექსპანსია მიმართული იყო კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის მიტაცებისაკენ და თავისი არსით „ქართველობის“, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა.¹

სავსებით მართებულია შენიშვნა, რომ აფხაზეთ-ოდიშის დაპირისპირება რამდენადმე განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სხვა შინაომებისაგან. თუმცა, ტერიტორიული შენაძინები სხვა შინაომებსაც თან სდევდა, ხოლო ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მოშლა იყო ამ ბრძოლის **შედეგი** და არა – მიზანი. ამგვარი შედეგი მოჰყვა კოდორ-ენგურის შუამდინარეთში აყრილი ქართველების ადგილზე მოსულ ახალ მოსახლეობას, რაზეც ზემოთ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა. სწორედ ამ ახალი, დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მოსვლა და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აყრა იყო ამ ბრძოლების დამახასიათებელი ნიშანი. ამ პროცესების შედეგად, თ. ბერაძის მოსაზრებით, კელასური-ღალიძგის მონაკვეთზე ძველი ქართული მოსახლეობიდან ადგილზე მხოლოდ 10-20% დარჩა, რომელიც თანდათან ახლად ჩამოსახლებულ აფხაზებში გაითქვიფა და დღევანდელი გულრიფშის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების მეგრული გვარსახელის მატარებელი აფხაზები მათი შთამომავლები არიან.²

აფხაზეთა წინსვლა ამით არ შეჩერებულა. ისინი შესანიშნავად სარგებლობდნენ ოდიშში დანყებული შინააშლილობით და ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთისაკენ მიიწვევდნენ. როგორც ზემოთ ვნახეთ, XVIII ს. მიწურულამდე არ ივარაუდება ღალიძგის მარცხენა სანაპიროზე აფხაზ ტომთა განსახლება. სწორედ ამ დროიდან ჩნდება აფხაზური ეთნოსი ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში. ს. მაკალათია, ყოველგვარი მტკიცების გარეშე, ამ მოვლენას XVIII ს. 10-იანი წლების შუახანებით ათარილებს და მას გიორგი ლიპარტიანსა და მის შვილებს შორის ამტყდარი კონფლიქტის შედეგად დანყებულ არეულობებს უკავშირებს.³ ამგვარ დათარილებას მტკიცე საფუძველი არ მოეძებნება. თუნდაც 1702წ. აფხაზეთში იმერელ-ოდიშართა ლაშქრობის აღწერიდან ჩანს, რომ ამ დროის ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთი უკვე აფხაზთა ხელშია.

¹ ი. კვაშილაძე. სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 24.

² თ. ბერაძე თანამედროვე აფხაზეთი..., გვ. 242.

³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია..., გვ. 124.

§2. ყვაპუ შარვაშიძე და მისი საუფლისწულო სამფლობელო

ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის დაუფლება აფხაზთა მიერ განსაკუთრებით ინტენსიურად ზეგნაყ შარვაშიძის შვილის – ყვაპუს (Quappo Sarrasia)¹ – დროს მიმდინარეობდა. თ. ჭიჭინაძის მიერ მოპოვებულ „სიგელში“ დაცული ცნობის თანახმად, ზეგნაყ შარვაშიძემ აფხაზეთი თავის შვილებს შორის დაანაწილა: უფროსმა როსტომმა მიიღო ჩრდილოეთი ნაწილი – ტერიტორია მდ. ბზიფსა და მდ. კოდორს შორის;² შუათანა ჯიქეშიას ერგო კოდორ-ღალიძგას შუამდინარეთი, რომელსაც „აბჟუა“ ეწოდა; ხოლო უმცროსის ვაჟის, ყვაპუს, სამფლობელო ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთი გამხდარა.³ როგორც გ. ანჩაბაძე აღნიშნავს, როსტომისეული წილი სამთავრო დომენი იყო, ხოლო დანარჩენი ორი კი საუფლისწულოებს წარმოადგენდა, რომლებსაც აჰიფები (მთავრის შვილები) განაგებდნენ.⁴

თ. ჭიჭინაძის მიერ მიკვლეულ დოკუმენტში ასახული ცნობისაგან განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს კ. მაჭავარიანი: «Первым абхазским владетелем из фамилии «Шервашидзе» был Квап Шервашидзе, ничем особенно не проявивший себя кроме тихого и кроткого нрава. От него произошли три сына: Росто, Леван и Мурзакан. По смерти Квапа владение Абхазией принял старший сын его Росто и, по принятии им на себя правления абхазским народом, он наделил уделами братьев своих, т. е. Левана и Мурзакана – первому предоставил Абживский округ, а последнему – Самурзакан, почему и самая местность названа «Самурзаканью», а так как в это время и в Самурзакани было самое ничтожное население, то для увеличения онаго было взято из Бзыбскаго округа, нынешняго Гудаутскаго участка, по 1 и по 2 семейства княжеских и дворянских фамилий с их подвластными, которыя и по настоящее время существуют там. Владетель Абхазии Росто постоянное место жительства имел в Соук-Су, нынешнее селение Лыхны, близь м. Гудауты. Летняя резиденция у него была в Очемчирах. Леван Шервашидзе, пра-

¹ **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით. *XIII საუკუნეიდან ვიდრე XX საუკუნემდე*, გვ. 209.

² XVIII საუკუნეში ამ მხარეში ახალი სამკვიდრო – გუმა – გამოიყო, რომელიც მოიცავდა გუმისთა-კოდორის შუამდინარეთს (**З. В. Анчабдзе.** Очерк этнической истории абхазского народа, გვ. 71).

³ **თ. ჭიჭინაძე.** საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394.

⁴ **გ. ანჩაბაძე.** გალის ფენომენი, გვ. 226.

витель Абживскаго округа, скоро умер бездетным, а владетель Рос-
то после смерти своей оставил 7 сыновей: Хутуниа, Элкан, Торкан,
Джигешия, Шерван-бей, Сулейман-бей и Зураб*».¹

როგორც ჩანს, კ. მაჭავარიანი ამ ამბების აღწერისას რომე-
ლიდაც ხალხურ გადმოცემას უნდა ეყრდნობოდა, რომელშიც
ერთმანეთში აშკარად აღრეულია სხვადასხვა დროის მოვლენე-
ბი. ამ „ისტორიას“ შემოკლებულად იმეორებდა ს. ბასარია.²
ამასთანავე, ისტორიული წყაროებით არ დასტურდება ყვაპუ
შარვაშიძის „მშვიდი ხასიათი“ და აქ არაა დასახელებული მისი
შვილი ავთანდილი, რომლის არსებობა დოკუმენტურად დას-
ტურდება.³ ამიტომ, ბუნებრივია, უპირატესობა ენიჭება თ. ჭიჭი-
ნაძისეულ დოკუმენტს, რომელიც სამურზაყანოელ შარვაშიძეთა
კარზეა შედგენილი.

სამურზაყანოსთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიაა
შემონახული ლევენდაში, რომლის თანახმად, მურზაყანი არა
შარვაშიძეების, არამედ აჩბების წარმომადგენელია.⁴ ამ საგვა-
რეულომ „აფსჰას“ მისი მინები წაართვა, ხოლო თავად ძველი მე-
პატრონე ენგურსგალმა გაიხიზნა, სადაც აჩბებმა გადასვლა ვერ
გაბედეს.⁵

* „პირველი აფხაზი მფლობელი „შერვაშიძეთა“ საგვარეულოდან ყვაპ შერვა-
შიძე იყო, რომელსაც არაფრით განსაკუთრებულით თავი არ გამოუჩენია,
გარდა იმისა რომ წყნარი და თვინიერი ხასიათისა იყო. მას სამი ვაჟი ჰყავდა:
როსტო, ლევანი და მურზაყანი. ყვაპის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზეთის
მფლობელობა ჩაიბარა მისმა უფროსმა ვაჟმა როსტომ და, გახდა რა აფხაზი
ხალხის მმართველი, მან მამულები მისმა მის ძმებს, ე. ი. ლევანსა და მურზა-
ყანს – პირველს ერგო აბჟუას ოლქი, ხოლო უკანასკნელს კი – სამურზაყანო,
რის გამოც ამ მხარეს „სამურზაყანო“ ეწოდა, მაგრამ, ვინაიდან ამ დროს სა-
მურზაყანოში ძალზე მწირი მოსახლეობა იყო, მისი გაზრდისათვის ბზიფის
ოლქიდან, დღევანდელი გუდაუთის უბნიდან, გადმოყვანილი იქნა თავადთა
და აზნაურთა 1 და 2 ოჯახი მათივე ქვეშევრდომებით, რომლებიც დღესაც იქ
ცხოვრობენ. აფხაზეთის მფლობელ როსტოს მუდმივი საცხოვრებელი ადგი-
ლი ჰქონდა სოუკ-სუში, დღევანდელი სოფელი ლიხნი, გუდაუთის მახლობ-
ლად. მისი საზაფხულო რეზიდენცია იყო ოჩამჩირეში. ლევან შერვაშიძე, აბ-
ჟუის ოლქის მმართველი, მალე გარდაიცვალა უძეოდ, ხოლო მფლობელ როს-
ტოს, მისი გარდაცვალების შემდეგ, 7 ვაჟიშვილი დარჩა: ხუტუნია, ელყანი,
თორყანი, ჯიქეშია, შერვან-ბეი, სულეიმან-ბეი და ზურაბი“ (თარგმანი ჩვენია
– კ.კ.).

¹ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму., გვ. 244.

² **С. Басария.** Абхазия в географическом, этнографическом., გვ. 98.

³ **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს., წ. I, გვ. 88; **ჯ. გამახარია.** აფხაზე-
თი და მართლმადიდებლობა., გვ. 279-280.

⁴ **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971,
გვ. 229; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის., გვ. 36.

⁵ **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов, გვ. 229; **ს. ბა-**

საინტერესოა, რომ აჩბები, ამ თქმულებების მიხედვით, სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსულები და ძალისმიერი გზებით იჭერენ ახალ მიწებს შავი ზღვის ნაპირზე.¹

ყვაპუს სამფლობელო, არეულობების გამო, მნიშვნელოვნად გაუკაცრიელებულა. როგორც ჩანს, აფხაზთა მონოლის გამო, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მშობლიური კერა და ენგურის მარჯვენა სანაპიროს აფარებდა თავს. საისტორიო წყაროები მიუთითებენ ადგილობრივთა მიმართ აფხაზთა სისასტიკეზე.² მართალია, ეს მონაცემები უფრო კოდორი-ლალიძგის შუამდინარეთს ეხება, მაგრამ სავსებით გამართლებულია მისი გადმოტანა ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთშიც. ადგილი ჰქონდა ქართული მოსახლეობის როგორც აყრას, ასევე – მათი მონებად გაყიდვას ოსმალოებზე.³

ხია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 36.

¹ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 36.

² *Voyages du Chevalier Chardin*, გვ. 350-351; *Путешествие Шардена по Закавказью..*, გვ. 110-111; *ჟან შარდენის მოგზაურობა..*, გვ. 215-216; **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 845.

³ აფხაზებში გავრცელებულ ტყვეთა სყიდვას ლამბერტიც ადასტურებს. თუმცა ეს პრობლემა აფხაზეთისათვის აქტუალური პრობლემა XIXს. დასაწყისშიც იყო: *«Среблолюбие есть отличительная черта характера сих народов – недостаток промышленности и торговли, могущих некоторым образом удовлетворить оной, заставляет их часто прибегать к способам весьма предосудительным: в особенности абазинец, будучи руководствуем сильным желанием удовлетворить оной, достигает до своей цели самыми гнусными поступками. Страсть сия и до сих пор поджигает оного к продаже туркам не только своих пленников, но и ближних соседей и даже родственников своих. Гнусный торг сей и донныне имеет свое действие в Абхазии, – удобностям оного способствует столь вездерасыпанные проповедники корана, как и приходящие с разных мест Турции купеческие суда»* /„ვერცხლისმოყვარეობა ამ ხალხების ხასიათის გამორჩეული თვისებაა – უკმარისობა მრეწველობისა და ვაჭრობის, რომელსაც შეუძლია, გარკვეულწილად, მათი დაკმაყოფილება, ხშირად აიძულებს მათ, მისდიონ საძრახის ხერხს: განსაკუთრებით აბაზი კაცი, განსაკუთრებით შეპყრობილი ძლიერი სურვილით დაიკმაყოფილოს ვერცხლისმოყვარეობა, თავის მიზანს აღწევს ყველაზე საძაგელი ქცევებით. ეს ვნება დღემდე აიძულებს მას თურქებისთვის არა მხოლოდ ტყვეთა მიყიდვას, არამედ – მისი უახლოესი მეზობლებისა და ნათესავებისაც კი. ეს საზიზღარი ვაჭრობა დღემდე მოქმედებს აფხაზეთში, – მის არსებობას ხელს უწყობენ როგორც ყურანის მქადაგებელნი, ასევე თურქეთის სხვადასხვა ადგილებიდან მოსული სავაჭრო გემები“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.)/ (*Краткое обозрение Имеретии, Гурии, Мингрелии и Абхазии*, сочиненное Его И. В. по квартирмейстерской части кап. **Энсольмом**, 1819г., – წგნ.: **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии, გვ. 53). ენსგოლმის

თურქთა აგრესიამ ტყვეთა სყიდვას კიდევ უფრო მეტი გა-
ქანება შესძინა.¹ უცხოეთში ტყვეთა გადინების ცენტრი იყო ის-
გაური (სკურჩა).² იმ პერიოდში მსგავსი „სტატუსი“ შეიძინეს
სხვა ქალაქებმაც: ახალციხემ, ბათომმა, სოხუმმა და ქუთაის-
მაც.³ დონ კრისტოფორო დე კასტელი დასავლეთ საქართველოს
სხვა ქალაქებსაც ასახელებს: ქობულეთი, გონიო, განაკოპია.⁴
ჩანს, ეს იგივე ანაკოფია უნდა იყოს, თუმცა ტოპონიმ „ანაკოფი-
ას“ კასტელი უშეცდომოდ ორგან ხმარობს.⁵ XVIII. ტყვის სყიდ-
ვამ დასავლეთ საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო:
ყოველწლიურად ოსმალეთში იყიდებოდა მთელი მოსახლეობის
ბუნებრივი ნამატი.⁶

ტყვე-მონების მომხმარებელი ოსმალეთი მათ მიღებას ორი
გზით ახერხებდა: ხარკი და პირველადი მოთხოვნილების საგნე-
ბის (მარილი, რკინა) სანაცვლოდ.⁷ ტყვეთა სყიდვით დაკავებუ-
ლი იყვნენ არა მარტო მთავრები და თავადაზნაურობის წარმო-
მადგენლები, არამედ საკუთრივ გლეხთა წრიდან გამოსული მე-
კობრეებიც.⁸ ადამიანებით ვაჭრობას აფხაზეთში იმდენად მა-
სობრივი სახე მიუღია, რომ მისი აღკვეთის საქმეში აფხაზეთის
კათალიკოსი ჩარეულა. ამკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს
სულიერი ლიდერის რიდი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ეკლესია

მართველი შენიშვნით, დასავლეთ საქართველოში არსებული სხვა სამეფო-
სამთავროებისთვისაც უცხო არ იყო ეს პრობლემა, რომელმაც განსაკუთრე-
ბით მძიმე სახე XVII საუკუნიდან მიიღო (**მ. რეხვიაშვილი**, დასავლეთ საქართ-
ველო XVII საუკუნეში, გვ. 110).

¹ **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 143; **Р. О. Агрба**. Миграционные процессы с Западного Кавказа в западноевропейские и ближневосточные страны, – ჟურნ.: *Новый взгляд*. Сухум. №4, 2007, გვ. 52; **Р. О. Агрба**. Миграционные процессы с Западного Кавказа в западноевропейские и ближневосточные страны, – *Абхазоведение. История, археология, этнология*. Вып. 2. Сухум, 2003. ელექტრონული ვერსია: http://www.kolhida.ru/index.php3?path=_abigi/book&source=agrba.

² *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, Собранные и пополненные **С. Броневским**. Ч. I. М., 1823, გვ. 346; **Р. О. Агрба**. Миграционные процессы с Западного Кавказа в западноевропейские и ближневосточные страны, გვ. 52.

³ **ნ. ბერძენიშვილი**. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 274.

⁴ **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები.., გვ. 171.

⁵ **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები.., გვ. 82, 195..

⁶ **ნ. ბერძენიშვილი**. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 274.

⁷ **მ. დუმბაძე**. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 25.

⁸ **ნ. ბერძენიშვილი**. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 274; **მ. დუმბაძე**. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 25.

მკაცრად ილაშქრებდა ტყვის მსყიდველთა წინააღმდეგ და მათ შერყენება-განკვეთით დამუქრებია.¹ თუმცა, იმ მიწებიდან, რომელიც საკათალიკოსო სოფლებსაც (ნაჟანევი/ნაჟანეული, ხორი/ოხურეი)² მოიცავდა, მოსახლეობის აყრა-განადგურებას თუ ტყვედ გაყიდვას ზიანი მოჰქონდა საკუთრივ ეკლესიისა და მისი ეკონომიკური მდგომარეობისათვისაც. მაგალითად, სოფელ ნაჟანევიში მხოლოდ „ექვსი მოსახლე კაცი“ დარჩენილიყო,³ რადგან გან „სამოცი მოსახლე კაცი“ „აფხაზს აეყარა“.⁴ გამოდის, რომ სოფელი მოსახლეობისაგან დაახლოებით 90%-ით დაცლილა.

აფხაზეთის კათალიკოსმა დავით ნემსაძემ ყვაპუ შერვაშიძესა და მისი ოჯახის წევრებს კატეგორიულად მოსთხოვა დარჩენილი მოსახლეობის ხელშეუხებლობა. გარდა ამისა, იგი, შეიძლება, აპირებდა დარჩენილების გადაყვანას სამეგრელოს შიდა რაიონებში. მან თავის დროზე მოახერხა სორეხ შარვაშიძის ტყვეობიდან დაეხსნა ბიბია ბოლქუაძე ოჯახით, რომელიც შემდეგ ნოჯიხევიში დაასახლა.⁵

დასავლეთ საქართველოს სულიერი ლიდერის მოთხოვნა საკმაოდ პრინციპული და კატეგორიული ყოფილა, რაც ჩანს იქიდან, რომ შარვაშიძეებმა მას არა უბრალოდ პირობა, არამედ ფიცის წიგნი მისცეს: *„მტკიცე, უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი დაგინერეთ და მოგართვით ჩვენ შერვაშიძემან ბატონმან ყვაპუ და ჩემმან ძმამან ქერქეიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედა, რომელ ნაჟანეული და ხორიული კაცები, რომელიც ახალ იყოს, ის შეუცოდებლად და თქუენდა უკითხვად აღარც გავყიდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ და არც თქვენი ბეგარა და სარგო, რომელიცა ემართოს, ...როდესაც მობრძანდეთ, როგორათაც სხვას ძველს კათალიკოზებს ემსახურებინოს და ეხმაროს, თქვენც ასრე გემსახუროთ და გერგებოდეს“.*⁶ კათალიკოსი, ეტყობა, დააკმაყოფილა შარვაშიძეთა მიერ მიცემულმა ფიცმა და, როგორც მომდევნო კათალიკოსი გრიგოლ ლორთქი-

¹ ა. კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. *ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები*. თბ., 2006, გვ. 142.

² ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 279; ნაჟანეული, სავარაუდოდ, თანამედროვე სოფ. ოტობაიაა, ხოლო ხორი კი ამჟამინდელი სოფ. ოხურეი უნდა იყოს (კ. ოკუჯავა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში, გვ. 164).

³ *ქსდ. ტ. III*, 647-648; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 118.

⁴ *ქსდ. ტ. III*, 670.

⁵ *ქსდ. ტ. III*, 677.

⁶ ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 35-36.

ფანიძე წერს, ეს ხალხი „*წეფსაძე კათალიკოსს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა*“¹

აღსანიშნავია, რომ ამ წინადადებაში შეცდომაში შეიყვანა აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე, რომელიც ასეთ დასკვნას აკეთებს: „ეს დოკუმენტი ერთ საინტერესო გარემოებაზეც მიანიშნებს, მომხდურ აფხაზთაგან დარბეულ ქართველ გლეხებს კათალიკოსი შერვაშიძეს მიაბარებს, ის მომხდური აფხაზები სხვები არიან და შერვაშიძე სხვაა, ისიც ცდილობს ამ მომხდურთაგან თავის დაცვას“.² როგორც ქვევით დავინახავთ, ყვაპუ შარვაშიძესა და „მომხდურ აფხაზთა“ შორის არანაირი სხვაობა არ შეიმჩნევა. არც ის ჩანს, რომ ყვაპუ „მომხდურ აფხაზთაგან“ თავს იცავდეს, როგორც ამას მ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია იმის აღიარება, რომ ყვაპუ შარვაშიძე „კულტურულ-პოლიტიკური ქართველია“, მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართული ეკლესიის წევრია, მეტყველებს და წერს ქართულად, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, მისი და „მომხდურ აფხაზთა“ ინტერესები დადიანის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლე ქართველების მიმართ, ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, ყვაპუ იყო ქართული მოსახლეობის მიმართ აფხაზთა აგრესიული პოლიტიკის გამგრძელებელი და ლიდერი.

ყვაპუ შარვაშიძე ნამდვილად არ ცდილობდა „მომხდურთაგან თავის დაცვას“. პირიქით, მას არც უფიქრია საკუთარი ფიცის პირობების სრულად შესრულება. სავარაუდოა, რომ მეზობელ ოდიშთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ის ერთგვარად ანგარიშს უწევდა „აფხაზეთის“ კათალიკოსს, ვინაიდან ამ სასულიერო იერარქის იურისდიქცია მთელს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და მას გარკვეული გავლენა ჰქონდა ადგილობრივ სამეფო-სამთავროების კარზე, ამიტომ, ბუნებრივია, მასთან კავშირის განყვეტა შარვაშიძისათვის მიზანშეწონილი ნამდვილად არ იყო. ლამბერტიც ადასტურებს აფხაზეთის კათალიკოსის, „ოდიშის პატრიარქის“, მნიშვნელოვან გავლენას დადიანის კარზე.³ საბოლოოდ, კათალიკოსს დავით ნემსაძეს მაინც არაფერი გამოსვლია ყვაპუ შარვაშიძესთან.

ასევე უშედეგო ყოფილა ამ მთავართან მომდევნო კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მცდელობანიც: „*ის კათალიკოსიც⁴ ბევრს ედავა* (ყვაპუ შარვაშიძეს – ვ.კ.) და ჩუენც, მაგრამ

¹ *ქსდ.* ტ. III, 670.

² მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990, გვ. 23.

³ დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 105.

⁴ დავით ნემსაძე – ვ.კ.

არც მას და არც ჩვენ პასუხი მოგუცა“.¹ მიუხედავად იმისა, რომ ყვაპუსაგან ფიცის წიგნი ამ კათალიკოსსაც ჰქონია მიღებული: „ესე საფიცარი ფიცი და წიგნი მოგეცით ჩვენ შარვაშიძემან ყვაპუ და ჩვენმა შვილმა ავთანდილ თქვენ ქათალიკოზს ბატონს გრიგოლს ასე და ამა პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარებით ქვეყანა ამონყდა და საქათალიკოზო ნაჟანეური და ხოირული კაცები ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ. ...რომელიც ნაჟანეური და ხოირული კაცები ჩვენ გვყავს, თავს ხატისთვის... თქვენთვის სასამსახუროთ მომირთმევია, თავს ერთი მოსახლე კაცი ბაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე ხუცესი ღრუბელაია, მესამე მოსახლე კაკა ელიშია, მეოთხე მოსახლე ზუმალეი კოდია, მეხუთე მოსახლე ჯიმადიში უჩაძე, მეექვსე მოსახლე მამაკოჩი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ობოლი ციცორია, მოჯალაბე ბაძლალეი მარკოზია, ამას გარეთ ერთი მოსახლე სახოირო მამია ბიგვავა. ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც სხვა კათალიკოზს სახურებდა, აგრე გამსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არც ჩვენგან ამ კაცებს არც აყრით და არც გაყიდვით არა უშავდეს რა“.²

ამ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს, ყვაპუს განცხადება: „ჟამთა ვითარობით ქვეყანა ამონყდა და... ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ“. ზ. პაპასქირის შენიშვნით, ეს შარვაშიძეების მხრიდან დანაშაულის დაფარვის მცდელობაა, თუმცა მკვლევარს ნამდვილად ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ყვაპუსა და ავთანდილს სინდისი ქეჯნიდათ.³

ყვაპუ მთლად მართლმორწმუნე და ღვთისმოშიში ქრისტიანი არ ჩანს. უფრო პირიქით. როგორც იტალიელი მისიონერების რელაციებიდან ჩანს, მას, წმიდა სტეფანეს ძვირფასი თვლებით შემკული ვერცხლის ქანდაკების მოპარვის ბრალდებით, ასზე მეტი მართლმადიდებელი მღვდელი სიკვდილით დაუსჯია.⁴ რა თქმა უნდა, სადაო არ არის ის, რომ აქ მოტანილი ცნობა აშკარად ტენდეციური და გადაჭარბებული უნდა ჩანდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის, გარკვეულწილად, მაინც უნდა ასახავდეს ყვაპუს სასტიკ და არაღვთისმოსავ ბუნებას.

ის, რომ ყვაპუ და იმ პერიოდის შარვაშიძეთა სახლის სხვა წევრები ნამდვილად არ ყოფილან მტკიცე ქრისტიანები, დოკუმენტებიდან ჩანს. ეტყობა, იმ ხანებში ძალიან მოისუსტებდა აფ-

¹ ქსდ. ტ. III, 647-648; **ბ. სორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 118.

² **ს. კაკაბაძე**. დასავლეთ საქართველოს..., ნ. I, გვ. 88; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 279-280.

³ **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე..., გვ. 106.

⁴ **მ. თამარაშვილი**. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 209.

ხაზეთის მთავრის ოჯახში ქრისტიანული განათლების დონე. შარვაშიძეთა ზოგიერთი წარმომადგენელი იმ პერიოდში უკვე ისლამის მიმდევარიც ხდება.

როგორც ჩანს, მათთვის უკვე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა დოგმატიკურ განსხვავებებს ორ ქრისტიანულ დენომინაციას შორის. მაგალითად, სორეხ შარვაშიძე ყოველდღე ესწრებოდა ლათინ მისიონერთა მესებს.¹ აფხაზეთის „უდიდეს მთავარს“ ბეზალუს ჩარასინოს,² კასტელისა და ლათინი მისიონერებისათვის გადაუცია ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარი და ახალი მისიონერების გამოგზავნაც უთხოვია.³

როგორც ჩანს, ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც აღნიშნული საკათედრო ტაძარი, რომელიც პირველხარისხოვანი საკულტო ნაგებობა იყო „აფხაზთა“ კათალიკოსთათვის აფხაზეთში ამ უკანასკნელებმა მიატოვეს და გელათში გადავიდნენ. ის რომ, ტაძარი მიტოვებული იყო, საკუთრივ კასტელიც ადასტურებს.⁴ მისიონერის ცნობით, იქ მხოლოდ „ძველი ჯვ[არია] შემორჩენილი“.⁶

ბიჭვინთის ტაძართან დაკავშირებით განსხვავებულ ცნობას ვაწყდებით, კასტელის თანამედროვე მისიონერის იოსებ მარი ძამპის რელაციაში. ეს უკანასკნელი, ანმყო დროში ყვება, რომ ბიჭვინთაში არის „აფხაზ“ კათალიკოსთა „სამიტროპოლიტო“ ტაძარი.⁷ თუმცა, სავარაუდოდ, ძამპის ცნობა უფრო ისტორიულ მეხსიერებას ასახავს იმისა, რომ ეს საკულტო ნაგებობა ადგილობრივი ეკლესიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის იყო და, აქედან გამომდინარე, კასტელის ცნობა, რა თქმა უნდა, უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, ვინაიდან მან თვითონვე იხილა და ჩაიბარა კიდევაც ეს ტაძარი. კასტელის ბიჭვინთაში

¹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა., გვ. 209.

² ბეზალუს/ბესლაკო მის სამთავროში მასპინძლობდა ოდიშში მოღვაწე ცნობილ სასულიერო პირს, იმხანად არქიმანდრიტის ხარისხში მყოფ ნიკოლო ირბახს (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი), – იხ.: დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 171, 178, შენ. 40.

³ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 177, 395.

⁴ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 177, 395.

⁵ ბ. გიორგაძის აღდგენილია, — იხ.: დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 177.

⁶ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 177, 395.

⁷ *Voyages du Chevalier...*, გვ. 204-205; დონ-ჟოზეფ-მარი ზამპი. როდის მიიღეს კოლხთა ქრისტეს სარწმუნოება., გვ. 10; *Путешествие Шардена...*, გვ. 45; *ჟან მარდენის მოგზაურობა...*, 1975, გვ. 137.

ყოფნას ძამპიც აღნიშნავს.¹

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ცნობამ იმ სახით, როგორც იგი ბ. გიორგაძემ წარმოადგინა: „ამ ეკლესიაში თაყვანისცემა აღარაა, ან უკეთ რომ ვთქვათ მიტოვებული იყო კულტის ნაკლოვანებების გამო“.² აქ ერთგვარ გაუგებრობას ჰქმნის განმარტება „**კულტის ნაკლოვანებების გამო**“. ამ ციტატას უკრიტიკოდ იყენებს პროფესორი ჯ. გამახარია.³ აღნიშნული ფრაგმენტის უფრო გამართულ თარგმანს გვთავაზობს ბ. ლომინაძე: „...ამ ეკლესიაში, რომელსაც პატივს არ სცემენ (რომელიც პატივისაცემში არ არის) ან უკეთ რომ ვთქვა, მიტოვებული იყო იმის გამო, რომ **კულტის შემსრულებელი არ იყო**“.⁴ ჩვენ გადავხეხედეთ ამ ცნობის ორიგინალურ, ლათინურენოვან, ვერსიას, რომელიც იმავე წიგნშია მოყვანილი. აი, კასტელისეული ვარიანტი: *“In qua Ecclesia cum non veneraretur seu ut melius dicam derelicta esset propter indigentiam cultorum”*.⁵ სიტყვას “cultor”, რომლის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის (Genetivus) ფორმაა “cultorum” ლათინურში რამდენიმე გაგება აქვს: *დამმუშავებელი, მინათმოქმედი, მცხოვრები, მოძღვარი, თაყვანისმცემელი*.⁶ აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ლათინურ ენაში კონტექსტიდან გამომდინარე ხდება სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა.⁷ ამიტომ, ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მნიშვნელობიდან მხოლოდ ბოლო ორს შორის გვინევს არჩევანის გაკეთება: მოძღვარი და თაყვანისმცემელი.

როგორც ირკვევა, XVIII ს. შუახანებში, როცა აფხაზეთ-ოდიშის საზღვარი მდინარე კოდორზე გადიოდა, ბიჭვინთასა და კოდორს შორის ქართველები და აფხაზები ჯერ კიდევ თანამოსახლეობდნენ.⁸ შესაბამისად, ვარიანტი „თაყვანისმცემელი“, როგორც მრევლის სინონიმი, ჩვენს შემთხვევაში ვერ გამოდგება, რადგან, ჩანს, მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანულია, ვინაი-

¹ ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური..., გვ. 191.

² დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 177.

³ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 202.

⁴ ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური..., გვ. 193.

⁵ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 395.

⁶ *Oxford Latin Dictionary*, გვ. 466; **И. Х. Дворецкий**. Латинско-русский словарь, გვ. 276.

⁷ *Латынский язык*, გვ. 147.

⁸ ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის..., გვ. 222, 224-225; **კ. კვაშილავა**. ჟან შარდენის „მოგზაურობის“ ერთი ადგილის ნაკითხვისათვის. – ქართული ნყაროთმცოდნეობა. ტ. XI. თბ., 2006, გვ. 164-165.

დან, როგორც აღვნიშნეთ, ბეზალუსს კასტელისთვის უფრო მეტი მისიონერის გამოგზავნა უთხოვია. მართალია, იმ პერიოდში კათოლიკე მისიონერები განიხილებოდნენ არა მარტო როგორც სასულიერო პირები, არამედ როგორც ევროპის, პირველ რიგში კი – პაპის, ელჩები, ამიტომ, ცხადია, ბეზალუსი, კათოლიკური მისიონის მოწვევით, ევროპასთან დაახლოებას უფრო ცდილობდა, ვიდრე – მოსახლეობის სულიერ მდგომარეობაზე ზრუნვას. მით უფრო, რომ, როგორც კასტელი სხვა ადგილას აღნიშნავს, იგი „*მთელი თავისი ოჯახით უფრო მაჰმადიანია,¹ ვიდრე სხვა სარწმუნოების*“ მიმდევარი.² სწორედ პოლიტიკური სარჩული განაპირობებდა კათოლიციზმის ერთგვარ პოპულარიზაციას იმ ხანებში დასავლეთ საქართველოში და, მათ შორის, აფხაზეთში. ამგვარად, ადგილობრივი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ცდილობდა ევროპის მხარდაჭერის მოპოვებას რეგიონში გაძლიერებული ისლამური (ოსმალეთი, სპარსეთი, ყირიმის სახანო) გარემოცვის პირობებში.

თუმცა, კასტელის თანამედროვე აფხაზები არც ისლამის მტკიცე მიმდევრები ყოფილან. ევლია ჩელების ცნობით, აბაზას ხალხს „*რომ ქაფირი უნოდონ, კაცს მოკლავენ, მუსლიმი რომ უნოდონ, გაეხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ქაფირი არ უყვართ და მუსლიმს კი სულს მისცემენ*“³ მათ მსგავსად, ართების ტომშიც არ სცოდნიათ ისლამი და ყურანი.⁴ ჩაჩებში ყველა ერთი სარწმუნოების არ ყოფილა.⁵ როგორც არქანჯელო ლამბერტი შენიშნავდა, აფხაზები მხოლოდ სიტყვით იყვნენ ქრისტიანები.⁶ მას ეთანხმება ჯოვანი და ლუკაც: აფხაზები „*სარწმუნოებით ქრისტიანები არიან, მაგრამ ქრისტიანულ რიტუალებს არ ასრულებენ*“.⁷ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც ორჯერ (1658-1659 და 1681 წლებში) იყო საქართველოში, წერდა, რომ „*აფხაზების რელიგია ისეთივეა, როგორც ალანებისა და ზიკების*“⁸ (ანუ, ჯიქების –

¹ იტალიურენოვან ორიგინალში წერია „თურქული“ სარწმუნოების: „...la sua famiglia essendo prima più Turco che d'altra fede“. – **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 389.

² **დონ კრისტოფორო დე კასტელი**. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 171.

³ ევლია ჩელების „*მოგ ზაურობის წიგნი*“, გვ. 106.

⁴ ევლია ჩელების „*მოგ ზაურობის წიგნი*“, გვ. 101.

⁵ ევლია ჩელების „*მოგ ზაურობის წიგნი*“, გვ. 100.

⁶ **დონ არქანჯელო ლამბერტი**. სამეგრელოს აღწერა, გვ. 12.

⁷ **ილ. ტაბალუა**. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში /XIII-XXსს პირველი მეოთხედი/. ტ. III (1628-1633), გვ. 170.

⁸ „*იერუსალიმის პატრიარქების ისტორია*“, – წგნ.: **ე. მამისთვალიშვილი**. სა-

კ.კ.). ანალოგიური მონაცემებია პატრიარქ მაკარიოსთან,¹ პავლე ალექსოვლთან,² ნიკოლაი ვიტსენთან.³

აღნიშნულ ავტორთა ამ ცნობების ერთგვარ დადასტურებას ვაწყდებით ვახუშტისთანაც, რომელიც ამბობს: აფხაზები „სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვან, ვითარცა კერპნი, ვინაჲთგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ემმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულადა მერმესა მას“.⁴ თუმცა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს, აფხაზებს გარკვეული კავშირი შეუნარჩუნებიათ ქრისტიანობასთან, რადგან „უნყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხუა, აქუთ სასოება მღუდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება“.⁵

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში, როგორც აფხაზური საზოგადოება, ისე – მთავრის ოჯახში, ქრისტიანობისადმი გარკვეული გაუცხოება ნამდვილად შეიმჩნეოდა, თუმცა გარკვეული რიდი მაინც არსებობდა. პროფესორ ჯ. გამახარიას სამართლიანი შენიშვნით, ასეთი გაორებული სარწმუნოებრივი მდგომარეობის „ახსნა ისტორიული რეალობითა შესაძლებელი – ერთის მხრივ, ღრმა ტრადიციული კავშირით ქრისტიანულ სამყაროსთან, გენეტიკური მახსოვრობით; მეორეს მხრივ, მთის და, ნაწილობრივ ოსმალეთის ზეგავლენით, რომელმაც ძლიერ დაასუსტა, მაგრამ ბოლომდე ვერ წააღწია ქრისტიანობა“.⁶ რაც შეეხება

ქართველო-იერუსალიმის ურთიერთობების ისტორიიდან (XVI-XVIII სს). თბ., 2008, გვ. 181.

¹ П. Жузе. Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария. Казань, 1905. გვ. 43; კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. გვ. 127; მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, – წგნ.: არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მ. თოდუა. თბ., 1982. გვ. 110-111; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 251.

² ნ. ასათიანი. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 75; კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 127; აღსანიშნავია, რომ გვიანდელი შუა საუკუნეების აფხაზების რელიგიის შესწავლაზე ნაყოფიერად მუშაობს ეთნოლოგი კობა ოკუჯავას. იხ. მისი: კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 125-137; კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. თბ., 2005.

³ Николай Витсен о черкесах и абхазах (1692г.). – წგნ.: Дж. Гамахрия, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 268.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 786; ამასვე ადასტურებს ევლია ჩელებიცი (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 104).

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 786.

⁶ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 205.

ლათინ მისიონერებთან კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, ამას განაპირობებდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის, რომ კათოლიკეები როგორც აფხაზეთში, ისე, ზოგადად, იმ პერიოდის საქართველოში, მოიაზრებოდნენ არა მარტო როგორც სასულიერო პირებად, არამედ – ევროპის დიპლომატებად. ამიტომ უფრო ცდილობდნენ მათთან კარგი და მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის – შარვაშიძეებიც.

სასულიერო იერარქთა დავა-ჭიდილი ყვაპუ შარვაშიძესთან მხოლოდ ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო დასრულებულა. 1706 წელს კათალიკოსი გრიგოლი ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი შეწირულობის წიგნში წერდა: „რომ შარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი აღარ იყო და ის ნამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერიითა: ღრუბელაია ამხსნელი და მისი სახლიკაცი ელიშია ხუტალა და მისი ძმები კიდევ ელიშია ხუხა და მისი ძმები ზუმალა, კოღია და მისი შვილები. კიდევ ჯგუბურია სუბუქია და ბიგვაა; კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჯღერეიას ნაყმევი პაპა ხუცობავა და მისი ძმა შარვაშიძისაგან სადგო კაცი იყო. ჩუენი და იმაშედ ნამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანია ყვაპსეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ. კიდევ ელიშახუ ნანაისშვილი ეგერის გაღმიდან ნამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“.¹

„ნიშანი“ იყო ერთდროული გადასახადი: გარდაცვლილის პირადი იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული, რომელიც მართებდა მიცვალებულის პატრონს.² საფიქრებელია, რომ „ნიშანში“ კათალიკოსმა სწორედ წყაროში ჩამოთვლილი ხალხი მოითხოვა. აქ ყურადღებას იქცევს პირველ წინადადებაში გამოყენებული ნაცვალსახელი „ის“. სავარაუდოა, ეს ნაცვალსახელი მიუთითებს, რომ „ექუსი მოსახლე კაცი“ და „ნიშანი მართებული“ ერთი მეორის პირობაა და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან. სხვა შემთხვევაში, ალბათ, მართებული ფორმა იქნებოდა „ისიც“.

ექვსი წლის შემდეგ, 1712წ., იგივეს, ცოტაოდენი განსხვავებით, გრიგოლ კათალიკოსი იმეორებს ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი შეწირულობის წიგნში: „შარვაშიძე რუხს მოკვდა, ნავედით და უწირეთ, ნიშანიც მართებული ავიღეთ. მეტი აღარ იყო, შვიდი მოსახლე კაცი ნამოვიყვანე მათის ყოვლისფერიითა: ღრუ-

¹ ქსდ. ტ. III, გვ. 647-648.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 122.

ბელაია ამხსნელი და მისი სახლიკაცი ელიშია ხუბა და მისი ძმები კოდია, ზუმალა, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვავა და უჩაია და ერთი მოჯალაბე. სხვა კიდევ ელიშიხუ ნანაისშვილი, ნარმანია და ხუცობავა პაპა ენგურიდალმი ყველა ფასით ამოვიყვანე. ზოგი ხიბულას დავასახლე, ზოგი ხობს“.¹ ამ საბუთში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დატყვევებულის გამოსხნისათვის აფხაზები გამოსასყიდს ითხოვდნენ და კათალიკოსი იძულებული ხდებოდა მათი ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

სორეხ და ყვაპუ შარვაშიძეები აქტიურად უწყობდნენ ხელს ქართული მოსახლეობისაგან ლალიძგა-შუამდინარეთის დაცვას. ამ პერიოდში ჯიქეთუბანში გადასახლებულა თავადი მერაბ ჯაიანი, რომელიც სოფელ ჭალას (თანამ. ჭლოუ) მფლობელი ყოფილა: „ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა“.² ეს სოფელი ჯერ კიდევ ლევან II დადიანს ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს.³ როგორც ცნობილია, სიტყვას „თათარი“ ქართულ ენაში ზოგადად მუსლიმთა მიმართ ხმარობენ. როგორც ჩანს, მომხდურ აფხაზებში საკმაოდ ყოფილან მაჰმადიანებიც. სავარაუდოა, რომ მათში ისტორიული ჯიქეთის მოსახლეობა ვიგულისხმოთ. როგორც ზ. ანჩაბაძე ვარაუდობს, ისლამის სწრაფი გავრცელება სწორედ მათში მომხდარა.⁴ აღსანიშნავია, რომ სოფ. ჭლოუში (ისტ. ჭალა) დღესაც არის უბანი „ნაჯაიანი“.⁵ სანაცვლოდ, ყვაპუმ უფროსი ძმის სამფლობელოდან ჩამოასახლა აფხაზ დიდებულთა რამოდენიმე გვარი: ანჩაბაძე (ანჩა),⁶ ემუხვარი

¹ *ქსდ.* ტ. III, გვ. 670; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 118.

² **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. 1, გვ. 149-150.

³ **ვ. ზუხბაია.** სამეგრელო-აფხაზეთი, გვ. 11.

⁴ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа, გვ. 74.

⁵ **ვ. ზუხბაია.** სამეგრელო-აფხაზეთი, გვ. 11.

⁶ ანჩაბაძე და შარვაშიძე მკვლევართა ნაწილს ქართულ გვარ-სახელებად მიაჩნიათ და მათ დაკავშირებას აფხაზ ეთნოსთან (ანჩა, ჩაჩა) გვიანი შუა საუკუნეების მოვლენებად მიაჩნიათ (**ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 264). პროფესორ ზ. პაპასქირს დასაშვებად მიაჩნია „ჭაჭას-ძე“-„ჩაჩას“- იგივეობა, მაგრამ ამ უკანასკნელის „შარვაშიძესთან“ დაკავშირება უჭირს (**ზ. პაპასქირი.** შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური იერ-სახის შესახებ, – „სპეკალი“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი. 1, 2010. – ელექტრონული ვერსია: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/8>). თუმცა, ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში მაინც ჯერ გადაწყვეტილი არაა (მ. ბროსე, ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, ნ. მარი, დ.

(ემხა),¹ ინალიშვილი (ინალ-იფა), მარლანია (აფხაზური — „მაან“-ის მეგრული ვარიაცია)², ლაკირბაია, ზვანბაია (ზვანბა),³ აქირთავა.⁴ სავარაუდოდ, აქირთავები თავდაპირველად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ გვარის ძირი — *აქირთ*, რადგან სიტყვა „აქირთუა“ (Ақырта) აფხაზურ ენაში „ქართველს“ ნიშნავს.⁵ „აქირთუა“-ში ამკარად იკითხება მისი მეგრული ძირი, რაც მეგრული სიტყვიდან „ქორთუ“ — „ქართველი“ მომდინარეობს. შესაბამისად, „აქირთავა“ „ქორთუას“, „ქართველიშვილის“ ანალოგიურია.⁶ როგორც ჩანს, ამის ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე სამურზაყანოში დაფიქსირებულ მეორე აფხაზურ გვართან დაკავშირებით

გულია, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ზ. და გ. ანჩაბაძეები, გ. ნულაია, თ. მიზჩუანი, ო. ჭურღულია, თ. გვანცელაძე, ს. ბახია-ოქრუაშვილი და სხვ.). რაც შეეხება „შარვაშიძეებს“, როგორც ჩანს, სავსებით მართებული უნდა იყოს ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ ამ გვარის გვიანდელი და უძველესი მატარებლები ერთმანეთთან დაკავშირებული არ უნდა იყვნენ (**ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ ისტორიული ნარკვევი*, გვ. 28). სავარაუდოდ, ამ გვარს მოგვიანებით აფხაზეთის მფლობელის/მთავრის სახელოს მნიშვნელობა უნდა შეეძინა.

¹ ს. ბახია-ოქრუაშვილის შენიშვნით, ამ აფხაზური საგვარეულოს დამფუძნებელი ყოფილა ქართველ თავად ამილახვართა საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი XIX საუკუნეში გადასახლებულა აფხაზეთში და თან წაუღია ყურძნის ერთი ჯიში, რომელსაც აფხაზები „ამილახვ“-ს უწოდებენ (**ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზეთის თავად-აზნაურული გვარები, — *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*. ტ. XI. თბ., 2009, გვ. 83; **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 267). ვფიქრობთ, ამილახვართა ნაწილის გააფხაზება გაცილებით ადრინდელ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, ვინაიდან სამურზაყანოელ შარვაშიძეთა მიერ შედგენილ ზემოხსენებულ დოკუმენტში, რომელიც, როგორც ვთქვით, 1848 წელზე გვიან არ უნდა იყოს შედგენილი, ნათლადაა აღნიშნული, რომ ყვაპუს მიერ ბზიფიდან ჩამოყვანილ წარჩინებულებს შორის ემხვარებიც იყვნენ (**თ. ჭიჭინაძე**. საქართველოს ისტორიის მასალა., გვ. 394). ამასთან, ძნელი წარმოსადგენია, რომ XIX საუკუნეშივე აფხაზეთში გადასახლებული ქართველი წარჩინებული აფხაზ თავადად მოეხსენებინათ.

² მაანები ერთ-ერთ ოსმალურ ფირმანში მაანიძებად არიან მოხსენიებული (**მ. დუმბაძე**. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 73).

³ მკვლევარები ზვანბაია-ზვანბას-ჟვანბას მეგრულ გვართან (ჟვანია) აკავშირებენ (**ვ. ზუხბაია**. აფხაზეთის თავადური გვარები ქართულია, გვ. 7).

⁴ **თ. ჭიჭინაძე**. საქართველოს ისტორიის მასალა., გვ. 394; **გ. ანჩაბაძე**. გალის ფენომენი., გვ. 227; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 117.

⁵ **თ. გვანცელაძე**. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I, ნაწილი II: *აფხაზურ-ქართული ლექსიკონი*. თბ., 2003, გვ. 154.

⁶ **ბ. ხორავა**. ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარსახელები), გვ. 46.

— ქირთბაია.¹ არაა გამორიცხული, რომ „ქირთბაია“ და „აქირთავა“ ერთი და იგივე გვარსახელის ვარიაციები იყოს.² სავარაუდოდ, ოდნავ მოგვიანებით, სამურზაყანოში დასახლებულან აფხაზეთის სამთავროს ერთ-ერთი გავლენიანი საგვარეულოს ძიაფშ-იფათა წარმომადგენლებიც. აქ უკვე ისინი ძაპშიშვილებად ქცეულან.³

რაც შეეხება ანჩაბაძეების ჩამოსახლებას, სავარაუდოდ, ამ საგვარეულოს ერთი ნაწილი ან შტო ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში თავიდანვე ცხოვრობდა. წყაროებმა შემოინახეს იოანე ანჩაბაძის სახელი, ვინც ლევან II დადიანმა მზითვეში გააყოლა თავის დას მარიამს, რომელიც ქართლის მეფეს, როსტომს, ცოლად მიათხოვა და, ჩანს, იგი დადიანის ვასალი უნდა ყოფილიყო.⁴ 1680წ. დათარიღებულ საბუთში ნახსენებია მურზაყან ანჩა-

¹ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით), გვ. 211; **ვ. ზუხბაია.** გალი. *რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ პოლიტიკური ვითარება*, გვ. 73.

² მსგავსი ვითარებაა ზოგიერთ სხვა აფხაზურ გვართან დაკავშირებითაც, რომელნიც ამჟამად ქართულ სამყაროსთან კავშირს ავლენენ: „აგრბა“ მომდინარეობს სიტყვიდან „აგირუა“ (Агыруа – მეგრელი ადამიანი), ანუ აგრბათა წინაპარი წარმოშობით მეგრელი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში აფხაზეთში ეს გვარი გავრცელებული ყოფილა ფორმით „აგირბა“, რომელიც ამჟამად რუსიფიცირებული ვარიაციით — „აგირბოვ“ — აბაზეშია შემორჩენილი (**М. Тхайцухов.** *Абазинь. Страницы древней и средневековой истории*, გვ. 142-143). მ. თხაიციუხოვი აგრბა/აგირბას აბაზურ წარმომავლობაზე მიუთითებს, მაგრამ სრულიად ამკარაა, რომ „აგირბა“ ამჟამად მიანიშნებს მისი წარმოშობის ძირზე აგირ-მეგრელი: აგირ-ბა=მეგრელიშვილი/მეგრელიძე; „ჭანბა“ – ჭანი, „ლაზბა“ – ლაზი (**ბ. ხორავა.** ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარსახელები), გვ. 46). ეთნონიმ „ჭან“-იდან „ჭანბას“ წარმომავლობის საკითხი შეიძლება, გარკვეულწილად, სადაოც იყოს, რადგან ევლია ჩელები აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლებული ჰყავს ჩანდების ტომი (*ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“*, გვ. 100-101). დასაშვებია, რომ ეს ეთნონიმი უღერდა როგორც „ჭანდი“. თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია ჩელებისეული „ჩანდების“ შესაძლო უღერადობასთან დაკავშირებით.

³ **К. Чернышев.** Еще об Абхазии, – გაზ.: «Кавказ», №83, 1854; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 72-73; ერთ-ერთ დოკუმენტში ძიაფშ-იფები დაფიქსირებული არიან ზაბშიბაძეებად, რომლებიც ბედიის მახლობლად სოფ. ქობათში («Кобати») ცხოვრობდნენ (*Акты*, Т. II, დოკ. №1795, 1796, გვ. 872; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 72-73).

⁴ **ნ. ჯავახიშვილი.** ჩერქეზიშვილთა და აფხაზთა საგვარეულოების წარმომავლობის ისტორიისათვის, — *დიდაჭარობა*. საერთაშორისო სამეცნიერო

ბაძის სახელი, რომელიც კაცია ჩიქუანთან ერთად ერთ-ერთი დავის გარიგებაში მონაწილეობდა.¹

ანჩაბაძე-აჩბების ურთიერთმიმართება დღემდე საბოლოოდ გადაუჭრელი პრობლემაა. როგორც ჩანს, „აჩბა“ ანჩაბაძეებს გვიან შუა საუკუნეებში უნდა მიეღოთ ან ეს პროცესი პირიქით უნდა მომხდარიყო იმავე პერიოდში, ვინაიდან ქართულ საისტორიო წყაროებში „ანჩაბაძე“ XV საუკუნიდან ჩანს ფორმით „ამჩაბაძე“. ს. ბახია-ოქრუაშვილის განმარტებით, „...თითქოს აჩბა იყო გვარსახელ ანჩაბაძის საფუძველი, ზეპირსიტყვიერი გადმოცემის გარდა, სხვაგან არსად დასტურდება“.² თუმცა, მთავარია ის, რომ აჩბა-ანჩაბაძეები იყვნენ პოლიტიკურ-კულტურული ქართველები, რომლებიც საკუთარ თავს ერთიან ქართულ ეთნო-კულტურული და პოლიტიკური სამყაროს ნაწილად აღიქვამდნენ და ამჟამადაც ასე გრძელდება ამ საგვარეულოს ჩვენს თანამედროვე წარმომადგენელთა უმრავლესობაში.

რა თქმა უნდა, ყვაპუ შარვაშიძის მიერ ახალმოსახლეთა ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზანი, ბუნებრივია, შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლების პოზიციების გამყარებაც იყო, ვინაიდან მათ აქ არასაიმედო გარემო დახვდა. მსგავსი პრეცედენტები საქართველოს ისტორიაში ადრეც იყო:

ამ მხრივ, პირველია აზოსთან დაკავშირებული ამბები, როცა მცხეთის ახალმა ხელისუფალმა, მშობლიური მხარიდან, არიან-ქართლიდან³ დასაყრდენი ძალა ჩამოიყვანა.⁴ თუმცა, აქ არ აქვს მნიშვნელობა იმას, ეს მოვლენები ისტორიული ფაქტია თუ მითი.

ყვაპუს მიერ ჩამოსახლებულთა შთამომავლებს არ დავინწყნიათ, რომ იქ ჩამოსულები არიან. სოფ. ზემო ღუმურიშში მცხოვრები 71 წლის იასონ ზუხბაიასგან 1974წ. პ. ცხადაიას ჩაუნერია:

კონფერენციის მასალები. ხულო-დიდაჭარა, 2010, გვ. 141. იოანეს შვილმა, გიორგიმ, საფუძველი დაუდო კახეთში ახალ სათავადო საგვარეულოს – აფხაზიშვილს (აფხაზი).

¹ *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*. XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: **დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, ვ. ჯანდიერმა**. თბ., 1991, გვ. 160.

² **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 260, 264.

³ რ. თოფჩიშვილის მოსაზრებით, „არიან-ქართლში“ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარე, არსიანის ქედის მიმდებარედ. შესაბამისად, ამ ტოპონიმის თავდაპირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო „არსიან-ქართლი“ (**რ. თოფჩიშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზი, — ნგნ.: *საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია*. **რ. თოფჩიშვილის** საერთო რედაქციით. თბ., 2010, გვ. 18).

⁴ **რ. თოფჩიშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზი, გვ. 16-17.

„ჩერქეზები ვართ და არა აფხაზები. ჯინჯინატი „შაგნობა“ ყარაჩაში გვაქვს. ჩვენი წინაპრების აქ გადმოსვლა ასე მომხდარა: ლალიძგასა და ენგურს შუა ქვეყანას პატრონი არა ჰყოლია, ნარ-ეკლითა და მალალი ბალახით ყოფილა დაფარული, ხალხი აქა-იქ თუ ესახლა. მურზაყან შარაშია და დადიანი ეცილებოდნენ თურმე ერთმანეთს ამ ადგილებს. შეთანხმებულან, ფალავნები ვაბრძოლოთო. შარაშიას ერთი ემხვარი უპოვია, დიდი ძალ-ლონით განთქმული. ჭიდაობა გამართულა გაუმარაპიტაში, კობორის ქვემოთ, სადაც დღეს „შოსე“ გადის. ემხვარს ნაუქცევია დადიანის ფალავანი და მისთვის მენჯის ძვალიც ამოუგდია. დარჩენია მთელი ეს ტერიტორია მურზაყან შარაშიას. მას კი ემხვარისათვის უბოძებია რეჩხი, ღუმურიში, ჩხორთოლი. ამ ემხვარს დედა ჩერქეზი ჰყოლია, ნასულა და ჩამოუყვანია დედის ძმისშვილები... ღუმურიშელი ზუხბაიები მათი შთამომავლები ვართ. ჩვენზე უნინ ახლომახლო მხოლოდ ქვაჩახია და მელიავა სახლებულან“.¹ როგორც ვხედავთ, აქ ლეგენდის სახითაა გადმოცემული გვიანდელი შუასაუკუნეების ეპოქაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ჩრდილოკავკასიიდან, ჩერქეზეთიდან მოსახლეობის გადმოსახლება, აფხაზთა მიერ ლალიძგა-ენგურის სექტორის დაპყრობა.

ბუნებრივია, ზემოდასახელებული აფხაზი დიდგვაროვანები საკუთარ გლეხობასაც წამოიყვანდნენ. როგორც პ. ცხადაია აღნიშნავს, ხიტუმ მუხურში მცხოვრებ კაკალიებს ახსოვთ, რომ მათი წინაპრები „ყარაჩიდან“ იყვნენ; ბზიფის მხრიდან ჩამოსულა ეზუგბაია, ნაყოფია, ქეცბაია და ქვაცბა (წინაპარი ქეცბა ყოფილა), ყოლბაია,² გვაგვალია, აკიშბაია, ხუტკუბია, დოჩია,³ ბუთბაია, აბუხბაია, გერზმავა, კონჯარია, ზვამბაია, ცობეხია (წინაპარი – ცვეიბა);⁴ ფსხუდან – თარბა, გვარამია, არშბა, ქიშ-

¹ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით), გვ. 211.

² ამ გვარის სამურზაყანოში ბზიფის აფხაზეთიდან ჩამოსახლებასთან (XVIII ს. მიწურულს) დაკავშირებით აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დ. გულია აღნიშნავდა, რომ „ყოლბაია“ არის სამურზაყანოული ვარიანტი „აფხაზეთში ფართოდ გავრცელებული გვარისა“ „Колхи-ყოლი“ (Д. Гулия. История Абхазии, გვ. 81). დ. გულიას მოსაზრებით, ეს ყოლლები უნდა ყოფილიყვნენ ძველი კოლხების შთამომავალნი, თუმცა ამ უკანასკნელთ ის თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევა (Д. Гулия. История Абхазии, გვ. 71, 81).

³ ეს სამი გვარი ერთად ჩამოსულა გუდავაში, ერთმანეთისთვის ძმობა შეუფიცავთ და ამიტომ მათ შორის ქორწინება აკრძალული ყოფილა (**პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით), გვ. 211-214).

⁴ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონი-

მარია, თანია, ფაჩულია, ხაშბა, ჯინჯოლია;¹ ლიხნიდან – მიქელბაია, ქირთბაია, შარია, ეშბა.² ვ. ზუხბაიას ნაშრომშიც გვხვდება, აგრეთვე, მერმინდელ სამურზაყანოში ჩამოსახლებულ აფხაზთა გვარების ჩამონათვალი: ზუხბაია, კაკუბავა, ყოლბაია, აკიშბაია, ბუთბაია, ქეცბაია, ეზუგბაია, წარალბაია, წუნბაია, ცხუცხუბაია, თარბაია, ივანბაია, ხინთბაია, ქვაცაბაია, ქირთბაია.³

პროფესორ გ. ანჩაბაძის განმარტებით, აფხაზური წარმოშობისაა „ბაია“-ზე დამთავრებული გვარები: ზუხბაია, ეზუგბაია, ქეცბაია, თარბაია და სხვ., სადაც აფხაზურ დაბოლოებას „-ბა“, რომელიც აფხაზურად „ძე“-ს ნიშნავს, დაერთო მეგრული დაბოლოება „-ია“.⁴ მკვლევართა ნაწილი (ი. გამსახურდია, ს. ბახია-ოქრუაშვილი, ი. კვაშილავა) კი დასახელებულ გვართა (ზუხბაია, ქეცბაია, ლაკერბაია⁵ და სხვ.) აფხაზურ წარმოშობას უარყოფს და მიიჩნევენ, რომ ამ გვარების ჩამოყალიბებული ფორმა არის ზანურიდან ზოგად ქართულისაკენ მიმავალი გზა, ვინაიდან ჭანურ-ზანურში და შემდგომ კი მეგრულში გამოიყოფა გვარების ექვსი ძირითადი სუფიქსი: სქირი, უა, ში, თური, ია, ბა (ვა), ხოლო ეს უკანასკნელი კი ჭანურში ნიშნავს „ძეს“ და ამავე დიალექტში „ბ“ ყოველთვის მამაკაცზე მიემართება.⁶ ამასთანავე, ქართველური წარმოშობის გვარ-სახელებს უფრო დიდი და ტრადიციული განვითარების ისტორია გააჩნიათ, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურსა და თანამედროვე აფხაზურ გვარ-სახელებს, რომელთა უმეტესობაც XVIII-XIXსს. ფორმირებული.⁷

მიის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით), გვ. 211-214.

¹ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით), გვ. 211-214; გვარი „ჯინჯოლია“ ქართული წარმოშობისაა: „ჯინჯი“ — მეგრ. „მკვიდრი“. შემდეგ მისგან მიღებული იქნა აფხაზური ფორმა — „აჯინჯალ“ (**ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 273).

² **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით), გვ. 211-214.

³ **ვ. ზუხბაია.** გალი. *რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ პოლიტიკური ვითარება*, გვ. 73.

⁴ **გ. ანჩაბაძე.** გალის ფენომენი..., გვ. 230.

⁵ *ლაკერბაია* — ლა = მეგრ. პრეფიქსი + მეგრ. კირბი//კრბი = ბატკანი, კრავი (**ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 272-273).

⁶ **ი. გამსახურდია.** მოგონებები კონსტანტინე გამსახურდიაზე. სოხუმი, 1991, გვ. 16; **ი. კვაშილავა.** სამურზაყანოს გვარსახელების გეოგრაფიიდან, გვ. 124; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 272.

⁷ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 274.

რა თქმა უნდა, ეს მიგრაცია დროში განელილი პროცესი იყო, რომელიც მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა. თუმცა, საეჭვოა, პ. ცხადაიას მიერ ჩამოთვლილი ამ გვარების წარმომადგენლები ყველანი იმთავითვე აფხაზები ყოფილიყვნენ. მაგალითად, აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლების დავთარში (1621წ.) ჩამოთვლილ გლეხებში დაფიქსირებულია ვინმე „გუაგუალა შარინავა“ სოფელ თილითიდან.¹ როგორც ვხედავთ, ამ სახელის მატარებელი ეთნიკური ქართველია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ პ. ცხადაიას მიერ დასახელებული „გვაგვალია“ ჟამთა ვითარებით გააფხაზებული ქართველი უნდა იყოს. უდავოა, რომ ამგვარივე ვითარება ფიქსირდება, აგრეთვე, ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ სხვა გვართან (ნაყოფია, გვაგვალია, კაკალია, დოჩია, ფაჩულია, ჯინჯოლია, შარია, გვარამია, ქირთბაია და სხვ.) მიმართებაში. როგორც ჩანს, მათში ამკარად იგრძნობა ქართული საწყისები. ცნობილი ეთნოლოგის ს. ბახია-ოქრუაშვილის მოსაზრებით, გააფხაზებული ქართველური ზოგიერთი გვარის მოსახლეობა შესაძლებელია თავის წარმომავლობას ჩრდილოეთ კავკასიის სხვა გვარების წამხედურობით და მიზაძვით უკავშირებდა, რათა მისი „ახალი ეთნიკურობა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო“.²

ამ ხალხის, ანუ მისი მხარდამჭერების მომრავლებით, ჩამოყვანით ყვაპუ შარვაშიძე საკუთარ მდგომარეობას იმყარებდა სამფლობელოში. ეს მისთვის უაღრესად აქტუალური საკითხი იყო, ვინაიდან ოდიშის მფლობელი, ბუნებრივია, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, თავად მასაც ჰქონდა სურვილი იმ ხანად სამეგრელოში აწინილი პოლიტიკური ვითარებით ესარგებლა და ენგურის მარცხენა სანაპიროზეც გადასულიყო.³ ბუნებრივია, იყო დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ფაქტორიც, ვინაიდან ის პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებასთანაც, რაც ასევე ფეოდალ ყვაპუ შარვაშიძისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო.

ენგურის მარცხენა სანაპიროზე კი ამ დროს მართლაც ურთულესი ვითარება იყო. იქაურობას გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. ლევან IV-ს დადიანობა მხოლოდ ფიქტიური იყო. მან დახმარების მიღება თურქთაგან გადანყვიტა და სტამბოლში ჩავიდა, თუმცა მისი მეცადინეობა ამ მხრივ უშედეგო აღმოჩნდა.⁴ ჩანს,

¹ *ქსდ.* ტ. III, გვ. 419-435; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 149.

² **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 53.

³ **З. В. Анчабадзе.** Мегрелия и Абхазия в XVII веке, гв. 144.

⁴ ისტორიაგრაფიაში მიღებულია (მ. ბროსე, ს. მაკალათია, გ. ჯამბურია), რომ

აქაც ლიპარტიანის ინტრიგების ხელი ერია,¹ რომელსაც თავად უნდოდა დადიანის ტახტზე ასვლა, მაგრამ არსებულ ვითარებაში ეს მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. სადადიანოში ისევ გაჩენილი მნიშვნელოვანი „ვაკანსია“ დიდხანს არ დარჩენილა ღიად: ოსმალეთის სულთანმა დადიანობა მამია III გურიელს (1689-1711) მისცა. თუმცა, სამეგრელოში ხელისუფლების მიღება მანაც ვერ მოახერხა, ვინაიდან „დადიანობა გურიელს მამიას დარჩა და თავობა გიორგი ლიპარტიანს“.²

იმ ხანებში არეულობა იყო იმერეთშიც, სადაც შაჰნავაზის ძე არჩილი კვლავ უშედეგოდ ლამობდა ტახტის დაჭერას.³ საბოლოოდ, ეს ბრძოლა დასრულდა იმით, რომ ტახტზე აღმოჩნდა იმდროინდელი იმერეთის, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი თავადი გიორგი აბაშიძე.⁴ რომლის სიძეც იყო გიორგი ლიპარტიანი.⁵ აბაშიძის სიძეობამ კიდევ უფრო განამტკიცა ლიპარტიანის ძალაუფლება სამეგრელოში. 1701 წელს წყაროებში ფიქსირდება მისი ახალი ტიტულატურა – „დადიან-ლიპარტიანი“.⁶ ბ. ხორავას სამართლიანი შე-

ლევან IV ტახტიდან გადადგა და ოსმალეთში გადაიხვეწა 1691 წელს (თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 32; იქვე მითითება შესაბამის ლიტერატურაზეც). ამ დათარიღებას იზიარებს ბ. ხორავაც (ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 120). თუმცა, ოსმალურ წყაროზე დაყრდნობით, თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ ეს, სავარაუდოდ, 1695/96 წლების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო (თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 32).

¹ „არამედ განძლიერდა ლიპარტიანი გიორგი კვლითა და ტყვსა ყიდვითა. არღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისა თანა. შემდგომად წარვიდა სტამბოლს და მოკუდა მუნ, და დაიპყრა ოდიში ლიპარტიანმან და არა ინოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადვე“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 856).

² ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. I, გვ. 101; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 120.

³ საერთო ჯამში, არჩილი 5-ჯერ გამეფდა იმერეთში: I – 1661-1663წწ; II – 1678წ; III – 1690-1691წწ; IV – 1695-1696წწ; V – 1698წ. აღსანიშნავია, რომ ამ უიღბლო მონარქს უმაღლეს შეფასებას აძლევდა მარი ბროსე: „არჩილი შეუდარებლად მაღლა იდგა ყველა იმათზედ, რომელთაც... ედავებოდა გვირგვინს კახეთიდან წამოსვლის შემდეგ (მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. ნაწილი II. მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით. ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ. ტფ., 1900, გვ. 215; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810). თბ., 1989, გვ. 145).

⁴ მეფობდა 1702-1707წწ. მ. ბროსე მის გვირგვინოსნობას 1701-1706წწ. ათარიღებს; თუმცა, ვახუშტი წერს, რომ გიორგი „მთავრობდაო“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 862), ესე იგი, მისი მეფედ კურთხევა არ მომხდარა.

⁵ მისი მეუღლე თამარ აბაშიძე მანამდე იმერეთის ორი მეფის – ალექსანდრე IV-სა (1683-1690 და 1691-1695) გიორგი IV „გოჩიას“ (1996-1698) – მეუღლედ იყო.

⁶ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. I, გვ. 86; ბ.

ნიშნით, გიორგი ლიპარტიანი (გიორგი IV დადიანი) მაინც ამკარად ვერ ბედავდა დადიანის ტიტულის მიღებას.¹

დადიან-ლიპარტიანმა გიორგიმ, სიმამრის დახმარებით, ენგურის მარჯვენა სანაპიროდან აფხაზთა განდევნა გადამწყვიტა. 1702 წლის ზამთარში² „ევედრა ლიპარტიანი აბაშიძეს, რათა შეენიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიელოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოჯრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა“.³

აქ ყურადღებას იქცევს, „მიელოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე“. გიორგი ლიპარტიანს, როგორც ჩანს, „ეგრისის მდინარის“ გაღმა ტერიტორიაზე უკვე პრეტენზია აღარ ჰქონია. ნ. დადიანი კი ამ ამბების გადმოცემისას მოკლედ აღნიშნავს, რომ „ჟამსა ამას ანუხებდნენ დიდათ აფხაზნი ოდიშსა ტყვის ყიდვითა და კაცის კლვითა“.⁴

ოდიშარ-იმერელთა მხედრობამ დალაშქრა აფხაზეთი. მათ ამ ეტაპზე წარმატებას მიაღწიეს. შარვაშიძემ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.⁵ როგორც ჩანს, მან ვერ მოახერხა მხარდამჭერთა მობილიზება ოდიშარ-იმერელთა ალიანსისათვის დასაპირისპირებლად.

საკუთრივ აფხაზეთის სამთავრო, რომელიც, იმ დროს ყვაპუს სამფლობელოსაც მოიცავდა, არ იყო ერთიანი კონსოლიდირებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ბზიფის ოლქს, რომელიც სამთავრო დომენი იყო, დანარჩენი ორი საუფლისწულო ნომინალურად ემორჩილებოდა და მათ შორისაც ხშირი იყო ფეოდალური შინაომები.⁶

გიორგი აბაშიძემ და ლიპარტიანმა დაიკავეს ყვაპუს სამფლობელო⁷ და „მოსტყუვენეს აფხაზეთი“,⁸ რაც სავსებით სწორად გადაჭარბებულ შეფასებად მიაჩნია თ. ბერაძესაც.⁹ ის, რომ საუ-

ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 121; 1701 წლიდან დადიანობა ჩიქვანთა საგვარეულომ მიიღო.

¹ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 121; თ. ბერაძე, გიორგი მეოთხის მმართველობაში ოთხ „ეტაპს“ გამოჰყოფს: 1) 1682-1696წწ. — ოდიშის ფაქტობრივი გამგებელი ლიპარტიანის ტიტულით; 2) 1696-1700წწ. — „ოდიშის თავი“; 3) 1700-1703წწ. — „ლიპარტი-დადიანი“; 4) 1704-1714წწ. — დადიანი (თ. ბერაძე, ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 33).

² როგორც ვახუშტისთან ჩანს კონტექსტით, 1702 წლის მიწურული იგულისხმება (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 862).

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 862-863.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 863.

⁶ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории..., гв. 71-72.

⁷ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169.

⁸ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოს საქართველოსა..., გვ. 863.

⁹ **Т. Берадзе.** Этнополитические процессы..., гв. 211.

ბარია არა მთლიანად აფხაზეთის სამთავროს დამორჩილებაზე, არამედ იგულისხმება მხოლოდ ყვაპუს სამფლობელო, ამას ნ. დადიანი აკონკრეტებს: „დაიპყრა ლიპარტიანმა ოდიშის საზღვრის აფხაზეთი“.¹

მკვლევარ ჯ. გამახარიას დაკვირვებით, ამ ლაშქრობაზეა საუბარი, ასევე, ერთ-ერთ იმდროინდელ გუჯარში: „ქ. ეჭა შენცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უნმიდესო... ცათა მობაძვაო ხობისა ღვთისმშობელო... ნინამძღვარმან ზებედე, შემოგწირე მცირე ესე შესანირაავი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ამას ნინათ ხობს ვიდექით... მერმე ლიპარტიანი ქვემოთ ნაბრძანდა აფხაზეთს ლაშქრად, და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძღებად ვიყავით, და დავბრუნდით, და აქ ხობს მოვედით“.²

როგორც ჩანს, გამარჯვებულებს მაინც მოუხდათ იქ ხელისუფლად ყვაპუ შარვაშიძის დატოვება, თუმცა მან ლიპარტიანის უზენაესობა აღიარა:³ ლიპარტიანმა „გაირიგა შარვაშიძე“.⁴ ყვაპუ შარვაშიძის სიტყვას სიძე-სიძამრი მაინც არ ენდო და გიორგი აბაშიძემ მას მძევლები ჩამოართვა.⁵ ამასთანავე, იმერეთის მმართველმა, მძევლებთან ერთად, „აღიღო ალაფი დიდი“.⁶

მოკლე ხანში ყვაპუმ, ისარგებლა რა 1703წ. აგვისტოში დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მორიგი შემოსევით, დაარღვია აბაშიძე-ლიპარტიანისათვის მიცემული სიტყვა და კვლავ შეუტია ოდიშს. თუმცა, ამ მიმართულებით, ეს მისი უკანასკნელი და ხანმოკლე გამარჯვება აღმოჩნდა. ზ. ანჩაბაძის სავსებით მართებული შეფასებით, 1702წ. ოდიშარ-იმერელთა სამხედრო ოპერაციამ იმ ეტაპზე წერტილი დაუსვა აფხაზეთა ექსპანსიას ოდიშის მიმართულებით,⁷ მაგრამ მათ მყარად შეძლეს კოდორენგურის სექტორში დამკვიდრება.⁸

მალე, 1704წ. მიწურულს, ის რუხში გარდაიცვალა. „ყვაპუ გარდაცვალებულა რა, დაშთენილა ქე მისი მურზაყან, რომელსაც საზღვარი ესე მცხოვრებლებითა აღუყვავილებია ადგილი და უწოდნია მურზაყანისავე სახელსა ქვეშე სამურზაყანო და

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169.

² ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 35-36; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921წ.), გვ. 279.

³ Т. Берадзе. Этнополитические процессы, გვ. 211.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169; ამგვარ კონკრეტიკას ისევ ნ. დადიანი იძლევა.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა., გვ. 863.

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა., გვ. 863.

⁷ З. В. Анчабадзе. Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 144.

⁸ З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии., გვ. 271.

უუფლნია სამურზაყანოში“.¹ როგორც ამ მასალიდან ჩანს, ის საკმაოდ წარმატებული მმართველი ყოფილა, რომელსაც თავის სამფლობელოში მშვიდობიანობა დაუმყარებია, რასაც შედეგად ამ მხარის აყვავილება-აღშენება მოჰყოლია.

როგორც ზემოთ მოყვანილ გრიგოლ კათალიკოსისადმი ყვაპუ შარვაშიძის მიერ მიცემულ ფიცის წიგნში ჩანს, ყვაპუ ფიცს თავის ვაჟიშვილ ავთანდილთან (ათანდელ) ერთად დებდა. სავარაუდოა, რომ ის ყვაპუს ძირითადი მემკვიდრე იყო, ვინაიდან ფიცის წიგნში ავთანდილია მოხსენიებული და, შესაბამისად, ისიც იღებდა პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას კათალიკოსის წინაშე. ამის შემდეგ ავთანდილი საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. ჩანს, ყვაპუ შარვაშიძის ოჯახში რალაც მომხდარა ისეთი, რამაც პირველობა მურზაყანს მიანიჭა: ალბათ, ავთანდილი მამაზე ადრე დაიღუპა.

არსებული მასალების მიხედვით ვერ ხერხდება მურზაყან შარვაშიძის ზეობის თარიღის დადგენა, თუმცა, შესაძლებელია მიახლოებით განსაზღვრა. დასაწყისი მისი მმართველობისა, ბუნებრივია, არის 1704წ. მიწურული. შემდგომი სამურზაყანოელი შარვაშიძე, რომელიც წყაროებში მოიხსენიება, არის ხუტუნია, რომელიც მონანილეობდა ხრესილის ბრძოლაში (1757წ.).² ტოპოპონიმი „სამურზაყანო“ უცნობია ვახუშტისათვის, რომელმაც თავისი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაამთავრა 1745წ. 20 ოქტომბერს³ და იქ მას ეს ქორონიმი არ უხმარირია, თუმცა XVIIIს. 20-იანი წლების შუახანებამდე ვახუშტი საქართველოში ცხოვრობდა. ამიტომ, თ. ბერაძის მოსაზრებით, იგი XVIIIს. 50-იან წლებამდე არ უნდა წარმოშობილიყო.⁴

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლებული ქორონიმი დაახლოებით მურზაყანის ზეობის უკანასკნელი პერიოდისთვის მაინც უნდა ყოფილიყო წარმოქმნილი, რადგან, ბუნებრივია, მურზაყანის მმართველობით კმაყოფილ მოსახლეობას, მისსავე სიცოცხლეში, ამ მხარისათვის „სამურზაყანო“ ეწოდებინა.⁵ აქეთკენ

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. სიგელი, გვ. 394.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178; მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982, გვ. 62.

³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა., გვ. 014, 12; ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წგნ. I, ტფ., 1907, გვ. 67-72.

⁴ თ. ბერაძე. გალის რაიონის წარსულიდან, გვ. 3.

⁵ ერთი საარქივო ცნობის მიხედვით, მურზაყანი არ ემორჩილებოდა აფხაზეთის მთავარს. მას თავი სამეგრელოს მთავრად მიაჩნდა და საკუთარ სამფლობელოს თვითონ უწოდა „სამურზაყანო“ (ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნო-

იხრება ს. ბახია-ოქრუაშვილიც, რომელიც ამ ტოპონიმის შექმნას ვარაუდობს XVIIIს. 40-იან წლებში,¹ ხოლო ზ. ანჩაბაძე კი XVIIIს. I ნახევარს ასახელებს.² ესე იგი, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთისათვის „სამურზაყანოს“ წოდება ივარაუდება XVIIIს. 20-იან წლების დასასრულიდან ან ოდნავ მოგვიანებით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მურზაყან შარვაშიძის მოღვაწეობის ქრონოლოგია დაახლოებით XVIIIს. I მესამედით შემოიფარგლოს.

„სამურზაყანო“ ისტორიულ მატრიანეებში პირველად ნ. დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“ გვხვდება.³ რუსულ წყაროებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში ამ ქორონიმის რამდენიმე, ფაქტობრივად, უმნიშვნელოდ განსხვავებულ ან იგივე ვარიანტს ვხვდებით: Самурзакано, Самурзакань,⁴ Самурзахань,⁵ Самурзакан. ამ სამივე ვარიანტს იყენებენ ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, თუმცა, ისინი თავს არიდებენ მკითხველისთვის ამ ქორონიმის ეტიმოლოგიის ახსნას.⁶ მსგავსი სურვილი თავის დროზე არც ს. ბასარიას გასჩენია, რომელიც სამურზაყანოელებს ერთმნიშვნელოვნად აფხაზებად აცხადებდა.⁷ მათ, ეტყობა, გაუძნელდათ ამკარად ქართული წარმოშობის ქორონიმისთვის რაიმე „გონივრული“ და „მტკიცე“ არგუმენტის მოძიება. ვარიანტი Самурзакан დაფიქსირებულია, აგრეთვე, ჩვენს მიერ დადიანების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მოძიებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1839წ. 26 აპრილითაა დათარიღებული.⁸ თითქმის მსგავსი ვარიანტია აფხაზურ ენაშიც: Самырзакан.⁹ საყურადღებოა, რომ სამურზაყანოელ შარვაშიძეთა მიერ 1805წ. 9 ივლისს რუსეთის იმპერატორისადმი დადებულ ფიცის ტექსტში მსგავსი ვარიანტია მოცემული „სამირზაყანო“.¹⁰ ეს არის ოფიციალურ დოკუმენ-

ლოგიური პრობლემა, გვ. 63).

¹ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 63.

² ზ. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа, გვ. 68.

³ ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 180.

⁴ И. И. Пантюхов. Самурзаканцы, – გაზ. «Кавказ», №77, 1892; И. И. Пантюхов. Самурзаканцы, გვ. 1.

⁵ Географическо-статистический словарь Российской Империй..., Т. I. СПб., 1863, გვ. 228; Географическо-статистический словарь Российской Империй..., Т. IV. СПб., 1873, გვ. 422.

⁶ О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии..., გვ. 176-177.

⁷ С. Басария. Абхазия в географическом, этнографическом и..., გვ. 98-99.

⁸ დადიანთა ფონდი, 13, დოკ. №2172, ფ. 17.

⁹ ბ. სორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 116, შენ. 98.

¹⁰ Акты. Т. II. დოკ. №1031, გვ. 526-527.

ტებში ამ ქორონიმის პირველი ფიქსაცია. რაც შეეხება „სამურზაყანო“-„სამირზაყანოს“, ეს ერთი და იგივე ტოპონიმის ორი უბრალო ვარიანტია.

როგორც აღვნიშნეთ, „სამურზაყანო“ წარმოდგება მამაკაცის სახელისგან – მურზაყან. ხ. ბლაჟბას მტკიცებით, ეს ანთროპონიმი ადიღეური წარმოშობისა იყო და სიტყვა-სიტყვით „მურზას შვილს“ ნიშნავს.¹ არის სხვა მოსაზრებაც, რომელიც უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება. კერძოდ, ზ. ჭუმბურიძის შენიშვნით, „მურზაყან“ იგივეა, რაც „მირზახან/მირზაყან“.² ამასთანავე, ამ სახელის ორივე ვარიანტი გავრცელებულია საქართველოში.³ ნათელია, რომ რუსულში არსებული სახესხვაობები ქართული ენიდანაა შესული. რაც შეეხება აფხაზურ ვარიანტს, მასაც აშკარად ეტყობა, რომ ქართულიდანაა შესული. ჩანს, რომ სამურზაყანოში მოსახლეობის საურთიერთობო ენა ქართული ყოფილა, ვინაიდან აღნიშნული ქორონიმი ამ ენაზეა შედგენილი.

უკანასკნელ ხანს ახალგაზრდა მკვლევარმა ნ. ბაგაფშმა ქორონიმ „სამურზაყანოს“ ეტიმოლოგიის ახალი „ახსნა“ წარმოადგინა. მან 2004წ. მოსკოვში გამოსცა წიგნი *«Этно-политический конфликт в Абхазии»*,⁴ სადაც ის წერს: «Абхазское название этой территории «Самырзайан» происходит от имени владельца Мурзакана (абх. Мырзайан) Чачба... Префикс «са-» в абхазском языке указывает на принадлежность к местоимению первого лица единственного числа (от «сара» - «я»)».⁵

აშკარაა, რომ ეს „ეტიმოლოგიური ძიებები“ სრული აბსურდია, რადგან აფხაზურ ენაში არასდროს არ არსებულა ქორონიმი „სამირზაიან“. ნ. ბაგაფში არათუ ქორონიმის ეტიმოლოგიას ვერ ხსნის, მან ამ სახელის ეტიმოლოგიაც კი არ იცის. მურზაყან/მირზაყან/მირზახან სპარსულ-არაბული წარმომავლობისაა და ნიშნავს „მთავრის (ამირას) შვილს“.⁶ როგორც ჩანს, თვით აფხაზ მეცნიერებს საეჭვოდ მიაჩნიათ ახალგაზრდა მკვლევარის

¹ **Х. С. Бгажба.** Бзыбский диалект Абхазского языка. Тб., 1964, გვ. 238.

² **ზ. ჭუმბურიძე.** რა გქვია შენ. თბ., 1992, გვ. 132.

³ **ზ. ჭუმბურიძე.** რა გქვია შენ, გვ. 132.

⁴ **Н. Багапш.** Этно-политический конфликт в Абхазии. М., 2004. ელექტრონული ვერსია: <http://www.fuadiye.com/Bagapsh-1.html>.

⁵ „ამ ტერიტორიის აფხაზური სახელწოდება „სამირზაიან“ წარმოდგება მფლობელ მურზაყან (აფხ. მირზაიან) ჩაჩბას სახელიდან... პრეფიქსი „სა-“ აფხაზურ ენაში მიუთითებს კუთვნილებას მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელისადმი („სარა“ – „მე“)“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

⁶ **Н. Багапш.** Этно-политический конфликт в Абхазии. М., 2004. ელექტრონული ვერსია: <http://www.fuadiye.com/Bagapsh-3.html>.

⁷ **ზ. ჭუმბურიძე.** რა გქვია შენ, გვ. 131-132.

ეს „აღმოჩენა“, რისი მიმანიშნებელია ის, რომ აღნიშნული თეზისი არ აისახა მოგვიანებით (2007წ.) გამოცემულ ისეთ პროპაგანდისტული დატვირთვის ნაშრომში, როგორც არის ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას *«История Абхазии»*. ამ „ნოვაციაზე“ არც გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არ ხდებოდეს მისი აქტიური პროპაგანდა და გავრცელება სხვადასხვა საიტებისა და ფორუმების მეშვეობით, რაც, ბუნებრივია, ჩვენს საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ეპოქაში ხელს უწყობს ქართულ-აფხაზურ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიის ნაკლებად ან არმცოდნე საზოგადოებისათვის დამახინჯებით მიწოდებას.

სამურზაყანოელ შარვაშიძეებს რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდათ: ბედიში, ფახულანში, ბარბალოში (კოკი), საბერიოსა და ნაბაკევში.¹ ძირითადი რეზიდენცია და, შესაბამისად, სამურზაყანოს ცენტრი 1840 წლამდე სოფელი ბედია იყო.

სამფლობელოს ბუნებრივ საზღვრად მდინარეები – ლალიძგა და ენგური – დადგინდა. როგორც ძირძველი სამურზაყანოელები იხსენებდნენ (1975წ.), მათი კუთხე *„მდებარეობს ენგურსა და ლალიძგას შუა. ენგურს იქით არის სამარგალო, ხოლო ლალიძგას იქით – აბჟუა“*.²

ამრიგად, XVII-XVIII სს. მიჯნაზე ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, ოდიშისგან მიტაცებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის სამთავროს ფარგლებში ჩამოყალიბდა საუფლისწულო სამფლობელო — სამურზაყანო, რომელსაც შარვაშიძეთა გვერდითი შტო ჩაუდგა სათავეში. როგორც კვლევამ გვიჩვენა, აბსოლუტურად უსაფუძვლოა სეპარატისტულად განწყობილ ისტორიკოსთა (ი. ვორონოვი, ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, თ. აჩუგბა და სხვ.) მტკიცება, თითქოს XVIII ს. მიწურულს აფხაზეთის „ისტორიული“ საზღვრების აღდგენა მოხდა. არ არსებობს ისტორიული საბუთი, რომელიც ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში აფხაზი ხალხის წინაპართა მოსახლეობას დაადასტურებდა XVIII ს. II ნახევრამდე. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი ჩამოსახლება აქ, რაც დასტურდება როგორც ისტორიული წყაროებით, ასევე სამურზაყანოს მოსახლეობაში გავრცელებული ზეპირი გადმოცემებით, რომლებშიც საუბარია მოსახლეობის ნაწილის იქ მოსვლაზე როგორც ბზიფის აფხაზეთიდან, ასევე – ჩრდილოეთ კავკასიიდან, ჩერქეზეთიდან.

ამავე დროს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სორეს და ყვაპუ შარვაშიძეები იყვნენ „კულტურულ-პოლიტიკური ქართ-

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394; **პ. ცხადაია**. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ)..., გვ. 149.

² **პ. ცხადაია**. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ)..., გვ. 144-145.

ველები“ ანუ ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ორგანული ნაწილი. ყვაპუ შარვაშიძის ერთ-ერთი ვაჟი ავთანდილის სახელს ატარებდა. აქედან ჩანს, რომ შარვაშიძეების სახლის უმთავრეს ლიტერატურულ საგანძურს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა და მათ არ გამოუჩენიათ ამ სამყაროს დატოვების სურვილი,¹ მაგრამ ლალიძგა-ენგურის სექტორის ქართული მოსახლეობის მიმართ გარკვეულ აგრესიულობას მაინც ამჟღავნებდნენ. ამ აგრესიის მიზანი კი ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და გამოთავისუფლებულ მიწებზე აფხაზეთის სამთავროში (კერძოდ, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) ჩრდილოკავკასიელთა ჩამოსახლების შედეგად გაჩენილი ჭარბი მოსახლეობის საცხოვრებლად განთავსება იყო. ამან, ბუნებრივია, რამდენადმე შეცვალა რეგიონის ეთნო-დემოგრაფიული სახე.² მიუხედავად ამისა, ეს აგრესია ზოგადად მაინც ფეოდალური შინაომების ბუნებაში თავსდება და გულისხმობდა, მეზობელი ფეოდალის, დადიანის სამფლობელოს ნაწილის მიტაცებით საკუთარი სამფლობელო ტერიტორიის გაზრდას.



ოდიშის გერბი³



აფხაზთა გერბი⁴

¹ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 109.
² ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 104.
³ საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით. შემდგენლები: ნ. გამცემლიძე, თ. კიკნაძე. თბ, 1991, გვ. 31.
⁴ საქართველოს დროშები და გერბები..., გვ. 35.

თავი II. დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVIII-XIX საუკუნის დამდგამსა და სამურზაყანო.

§1. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა XVIII ს. I ნახევარში და ქართული პოლიტიკური სამყარო. *მურზაყან შარვაშიძის მოღვაწეობა.*

XVIII ს. დასაწყისი ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. რეგიონში ამ ერთგვარი სიახლის შემომტანი ენერგიული პეტრე I დიდის (1672-1725) მიერ აღორძინებული რუსეთი იყო. ახალგაზრდა მონარქს ამბიციური გეგმა ჰქონდა დასახული: რუსეთი იმდროინდელი მსოფლიოს ანგარიშგასაწევ ძალად ექცია. პეტრე არა მარტო შვედეთთან აპირებდა „ურთიერთობების“ გარკვევას, არამედ – სპარსეთთან და ოსმალეთთანაც.

ამ უკანასკნელის წინააღმდეგ კი რუსეთი 1686 წლიდან საომარ მოქმედებაში იმყოფებოდა ევროპელ მოკავშირეებთან – ავსტრია, რეჩ პოსპოლიტა, ვენეციასთან ერთად ანტიოსმალურ სამხედრო ბლოკში – „საღვთო ლიგაში“ იყო გაერთიანებული. უკვე 1701 წლისათვის პეტრეს მზად ჰყავდა შავ ზღვაზე გასასვლელად გათვალისწინებული 100 დიდი და მცირე გემისაგან შემდგარი ფლოტი.¹ 1696 წელს კი რუსეთის მეფემ მნიშვნელოვანი სამხედრო და სტრატეგიული წარმატება მოიპოვა: 18 ივლისს თურქებს აზოვის ციხე წაართვა² და ამით რუსეთი შავ ზღვაზე გასასვლელ კარიბჭეს მიუახლოვდა.³ თუმცა, საბოლოო მიზანი

¹ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, – *სინ.* რვა ტომად. ტ. IV. თბ., 1974, გვ. 456-457; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 149.

² *Русская военная сила.* История развития военного дела от начала Руси до нашего времени. С рисунками одежды и вооружения, картами, планами сражений и укреплений. Издание второе *И. Н. Кушнерева* и *А. Е. Пирогова*, исправленное и дополненное под редакцией Члена Военно-ученого комитета Главного Штаба, Генерального Штаба Генерал-Майора **А. Н. Петрова**. Т. 2. М., 1892, გვ. 7; **В. А. Мякотин.** История России в конце XVII-го и в первую половину XVIII-го столетия, – წგნ.: *Годишникъ на Софийския Университетъ.* Историко-филологически факултетъ. Книга XXXIV. София, 1938, გვ. 40; **В. С. Бобылев.** Внешняя политика России эпохи Петра I. М., 1990. გვ. 22; **Н. Н. Молчанов.** Дипломатия Петра Великого. 3-е издание. М., 1990, გვ. 62.

³ მოგვიანებით პეტრე I იგონებდა, რომ ბავშვობისას წაკითხული ჰქონდა ნეს-

ჯერ მიღწეული მაინც არ იყო. პეტრეს მოკავშირეები სჭირდებოდა კავკასიის ქედს გამოღმა. ამას კი საკუთარ თავზე იღებდა მასთან მყოფი იმერეთიდან დევნილი მეფე არჩილი, მაგრამ საამისოდ ჯერ საჭირო იყო მისთვის ტახტის დაბრუნება. რუსთა ხელმწიფემ დევნილ ქართველ ვიზავის ამ საქმეში დახმარება აღუთქვა.¹

რუსეთის ხელისუფლების ეს ინტერესი კავკასიისადმი არ იყო ახალი. მოსკოვის დაინტერესებამ რეგიონით ჯერ კიდევ XVII ს. შუა წლებიდან იჩინა თავი, როცა მან ვოლგის აუზში გაბატონება შეძლო და რუსეთის საზღვრები კავკასიას მიუახლოვდა.² 1556 წ. ასტრახანის აღებით ივანე IV მრისხანემ (1530-1584) კასპიის ზღვაზე გასასვლელი და მნიშვნელოვან სავაჭრო-სანაოსნო არტერიად კონტროლი მოიპოვა.³ XVI საუკუნეში მოსკოვის სამეფო ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და, თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, იმ დროის ოსმალეთზე და ირანზე წინ იდგა.⁴

ბუნებრივია, რუსეთის სახელმწიფოს დაინტერესება კავკასიით არ შეიძლებოდა მოსწონებოდა ოსმალეთსა და სპარსეთს, რომლებიც თვითონ აცხადებდნენ პრეტენზიას რეგიონზე და 1555 წლის ამასიის ზავით ამიერკავკასია შუაზე გაიყვეს.⁵ როგორც დ. ჯოჯუა მიიჩნევს, XVII ს. I ნახევარი — XVIII ს. I ნახევარი ეს არის ამიერკავკასიაში „ამასიის გეოპოლიტიკური ეპოქა“, რომელმაც შექმნა რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტრატეგიული სტაბილურობის გარკვეული მოდელი, რომელსაც მკვლევარი „ამასიის პარიტეტს“ უწოდებს და ის ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური გეოპოლიტიკის ორპოლუსიან სისტემას, რომელთა ცენტრები (ირანი და ოსმალეთი) და მათ მიერ შექმნილი კოალიციები და ერთმანეთს აწონასწორებდნენ და აბალანსებდნენ.⁶ პეტრე I-ს კი თავისი აქტიურობით სამხრე-

ტორის მატიანე, სადაც მოთხრობილი იყო კიევის მთავრის, ოლეგის ლაშქრობა ცარგრადზე (კონსტანტინოპოლზე). იხ.: **Н. Н. Молчанов.** Дипломатия Петра Великого, გვ. 57.

¹ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 148.

² **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России. Издание подготовил С. С. Дмитриев. М., 1989, გვ. 696.

³ **ბ. ასათიანი.** გზა გამოსსნა-აღდგომისაკენ. *რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე.* თბ., 1983, გვ. 46.

⁴ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 76.

⁵ **ვ. გუჩუა.** ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVII ს. I ნახევარში, — *სინ.* ტ. IV, გვ. 113.

⁶ **დ. ჯოჯუა.** რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. *2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები.* თბ., 2010, გვ. 19.

თის მიმართულებით ამ ბალანსში მნიშვნელოვანი დისონანსი შეჰქონდა.¹

თუკი ოსმალთა და სპარსთათვის რუსთა გამოჩენა კავკასიაში შეშფოთების მიზეზი იყო, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქართველებისათვის, ახალი იმედის მომცემი გახდა.² მას შემდეგ, რაც 1453წ. 29 მაისს კონსტანტინეპოლის წმიდა სოფიას ტაძარში ცხენზე ამხედრებული ოსმალეთის სულთანი მეჰმედ II ფათიჰი (1432-1481) შევიდა, ხოლო ამბიონიდან კი მოლამ ისლამური მრწამსი წარმოთქვა, ყველასთვის ცხადი შეიქმნა ბიზანტიის ათასწლოვანი არსებობის დასასრული.³ საქართველო ქრისტიანული სამყაროსგან, ანუ ევროპისგან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა.⁴

უკვე ერთი წლის შემდეგ თურქებმა პირველი თავდასხმა მოაწყვეს აფხაზეთზე. მათ „აღაოჯრნეს და მოსწყვდეს ცხომი და აფხაზეთი“.⁵ მეფე გიორგი VIII-მ,⁶ როგორც კი გაიგო ამ ექსპედიციის შესახებ, მაშინვე წამოემართა აფხაზეთისკენ, თუმცა მტერს ვერ მიუსწრო. საბოლოოდ, მხოლოდ მან ის შეძლო, რომ „მკვდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი“.⁷ ვახუშტი ბატონიშვილი ამ მოვლენას 1451 წლით ათარიღებს და მას სულთან მურად II-ს (1401-1451) სახელს უკავში-

¹ დ. ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, გვ. 19.

² შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975, გვ. 34.

³ T. Gregory. A History of Byzantium. Oxford, 2005, გვ. 337.

⁴ ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, „დას. ევროპა ასეთი მიზნებისათვის აღარ გამოდგებოდა. მთავარ პარტნიორებს (ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გარდამავალ სახელმწიფოებს) იქ უკვე ოსმალეთთან პოლიტიკური მორიგების კურსი აეღოთ“ (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, – ჟურნ. „მნათობი“. №6, 1954, გვ. 128). ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ოსმალეთის გაძლიერება მათთვის ისეთს ცხადად საგრძნობსა და დასანახს საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც მთელი თავისი არსებით შეიძლება ეგრძნოთ და დაენახათ ქართველებს. მათთვის ეს განყენებული და შორეული გეგმა იყო“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. XV-XVIII საუკუნეები. დასაბეჭდად მოამზადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1967. გვ. 74; ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა – კ.კ.). ამ საკითხის შესახებ, აგრეთვე, იხ.: რ. კიკნაძე. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, – წგნ.: რ. კიკნაძე. საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1995, გვ. 108-110; შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, გვ. 26.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 284.

⁶ ერთიანი საქართველოს მეფე იყო 1446-1466 წლებში. შემდგომი 10 წელი (1466-1476წწ) მხოლოდ კახეთში მეფობდა.

⁷ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 284.

რებს.¹ ამ თარიღს იზიარებს შ. ინალ-იფაც.²

თუმცა, ირკვევა, რომ ამ თავდასხმას ადგილი ჰქონია 1454 წელს მომდევნო სულთნის, მეჰმედ II-ის დროს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ ზ. ანჩაბაძე, გ. შამბა, რ. აგრბა, თურქი ისტორიკოსი ფ. ყირზიოღლუ, მ. სვანიძე, ბ. ხორავა, ზ. პაპასქირი, ზ. ნურნუშია.³ აფხაზეთის სანაპიროზე პოზიციების შედარებით განმტკიცება სტამბოლმა მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ შეძლო. თურქებმა 1578 წელს ცხუმი დაიკავეს და აქ საბეგლარბეგო შექმნეს. თუმცა, მათ იმ ხანად ამ კუთხის დაჭერა დიდი ხნით ვერ შეძლეს და ეს ოსმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ორ წელიწადში გაუქმდა.⁴

ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ქართული სამეფო-სამთავროებისათვის პროტენციურად ძლიერი მოკავშირე რუსეთი ჩანდა.⁵ XVI საუკუნიდან ქართულ პოლიტიკურ სამყაროს ოსმალეთისა და სეფევიდური ირანის მხრიდან დიდი საფრთხე შეექმნა. საქართველოს უპირისპირდებოდნენ დაბალი კულტურისა და ექსტენსიური მეურნეობის მქონე ტომები. „ქართველობისთვის“ ბრძოლა გულსხმობდა უფრო მონინავე სოციალურ-ეკონომიკური წყობის შენარჩუნება-განვითარების, ქართული თვითმყოფადობისა და კულტურის დაცვას.⁶

აღნიშნული დაპირისპირება სარწმუნოებრივ ხასიათსაც ატარებდა, ვინაიდან ქრისტიანულ საქართველოს გადაშენებით ემუქრებოდნენ მაჰმადიანური ოსმალეთი და სპარსეთი. ამ ფონ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 284.

² Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 142.

³ З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII вв.), გვ. 252; Г. К. Шамба. Древний Сухум (Поиски, находки, размышления), გვ. 94; Р. О. Агрба. Абхазия и Высокая Порта, – ელექტრონული ვერსია: <http://www.abkhaziya.org/server-articles/article-99ce0b0dcfc7d5f2eb7f84cac2377b2f.html> (იქვე მითითებები მ. ყირზიოღლუს ნაშრომზეც); მ. სვანიძე. ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. – წგნ.: მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.). თბ., 1990, გვ. 111-113; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 47-48; ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 82-83; ზ. ნურნუშია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, – სტ. ტ. V. თბ., 2002, გვ. 123; ელექტრონული ვერსია იხ.: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2002>.

⁴ თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი..., გვ. 241.

⁵ შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, გვ. 31; შ. ლომსაძე. მესხები და მესხეთი, თბ., 2000, გვ. 16; И. И. Полосин. П. И. Багратион. М., 1948, გვ. 7.

⁶ ნ. ასათიანი. გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე, გვ. 47.

ზე კი რუსეთის გამოჩენა მასთან დაკავშირების კიდევ ერთ დამატებით მოტივს ჰქმნიდა. კერძოდ, მოსკოვის სახელმწიფო ისევე, როგორც საქართველო, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელი იყო. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ევროპასთან ურთიერთობებს ხშირად რელიგიური მომენტი განსაზღვრავდა.

იმ პერიოდში, როცა ოსმალეთი ბიზანტიის იმპერიის წაღვეკვით იმუქრებოდა, კათოლიკური დასავლეთი აღმოსავლელი ქრისტიანებისგან სარწმუნოებრივ საკითხებში კომპრომისებსა და რომის პაპის უპირატესობის აღიარებას მოითხოვდა.¹ სწორედ ამიტომ 1439წ. 6 ივლისს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების აქტი, რომელიც კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებას, უნიას ადგენდა, მიუღებელი აღმოჩნდა კრების მუშაობაში მონაწილე ქართული სამღვდელოების წარმომადგენლებისთვის.² ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემ (1437-1442).³ თუმცა, რუსეთის ბერძენი ეროვნების მწყემსმთავარი მარტო აღმოჩნდა უნიისადმი ერთგულებაში: მრევლმა იგი არ მიიღო.

რომის საყდარი, რომელიც სარგებლობდა ოსმალთა გარემოცვაში მყოფი ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების მძიმე მდგომარეობით, აქტიურ პროზელიტურ პოლიტიკას ახორციელებდა აღმოსავლური ქრისტიანობის აღმსარებლობის ხალხებში. XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში აქტიურად მოღვაწეობენ კათოლიკე მისიონრები, რომლებიც, როგორც ზე-

¹ პაპი ალექსანდრე VI-ის წერილი ქართველთა მეფეს კონსტანტინეს (დოკ. №21). – წგნ.: **ილ. ტაბაღუა**. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVსს.). თბ., 1984, გვ. 217-219.

² დანვრილ. ის.: **ო. ყუყუნაძე**. XVს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*. I, თბ., 1970, გვ. 5-71; ქართველთა მონაწილეობა ფერარა-ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. *ნაწყვეტი ფლორენციის წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან* (დოკ. №19). – წგნ.: **ილ. ტაბაღუა**. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVსს.), გვ. 214-215; **ნ. ასათიანი**. გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ., გვ. 46; **იოანე ბატონიშვილი**. ხუმარსწავლა (კალმასობა). ტ. II, თბ., 1991, გვ. 350; *Путешествие Исидора Митрополита на Флорентиской Собор, в 6945 (1436) году*, – წგნ.: **ДРВ**. Содержащая в себе Собрание Древностей Российских, до Истории, Географии и Генеалогии Российская касающихся; Изданная **Н. Новиковым**, Членом Вольнаго Российскаго Собрания при Московском Университете, Издание Второе, Вновь исправленное, умноженное и в порядок Хронологической по возможности приведенное. Часть VI. М., 1788. გვ. 37.

³ **Concilium Florentinum. Documenta et scriptores**. Series B. Volumen V – fasciculus II. Roma, 1953. ელექტრ. ვერსია: <http://catholictube.ru/media/document/925.pdf>.

მთ ალვნიშნეთ, მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ როგორც წარჩინებულთა, ისე სასულიერო პირთა და მდაბიოთა გადაბირებას კათოლიციზმში. როგორც ჩანს, ოსმალები და სპარსელები რომის პაპის მრევლის რაოდენობის გაზრდას ამიერკავკასიაში ნაკლებ საშიშროებად აღიქვამდნენ, ვიდრე მართლმადიდებლობას, რომელიც აშკარად გზას უხსნიდა რუსეთის ექსპანსიას ამიერკავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში მოსკოვში, საერო და სასულიერო ხელისუფლება აქტიურად ამუშავებდა „მესამე რომის“ მესიანისტურ იდეას და რუსეთს მაჰმადიანთაგან ჩაგრული მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთადერთ დამცველად წარმოაჩინდა.² სწორედ ამიტომ ამიერკავკასიაში შემოსასვლელად რუსეთის მესვეურებმა შესანიშნავად გამოიყენეს ერთმორწმუნეობის ფაქტორი. ამ მიმართულებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში პირველი მნიშვნელოვანი აქტი გახდა კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) მიერ 1587წ. 28 სექტემბერს „ფიცის წიგნის“ მიღება, რომლითაც კახეთზე რუსეთის პროტექტორატი წესდებოდა.³ ორი წლის თავზე მას გადასცეს მოსკოვის დიდი მთავრისა და სრულიად რუსეთის მეფის თეოდორე I (1584-1598) „წყალობის სიგელი“,⁴ რომლითაც რუსმა მონარქმა დაამტკიცა „ფიცის წიგნის“ პირობები.⁵

მართალია, ეს მნიშვნელოვანი აქტი იყო, მაგრამ იმდროინ-

¹ **ლ. ტუხაშვილი.** პოლიტიკური ვითარება XVIIIს. პირველ ოცეულში, – *სინ.* ტ. IV, გვ. 406.

² **Ф. И. Успенский.** История Византийской империи XI-XV вв. *Восточный вопрос.* М., 1997, გვ. 656-697.

³ **С. А. Белокуров.** Сношение России с Кавказом (1578-1613г.). М., 1888, გვ. 32-33; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVI საუკუნეში, – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI, გვ. 209; **გ. ჟუჟუნაშვილი.** საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის უმთავრესი დოკუმენტების რაობისათვის, – *ქდ.* ტ. 3. თბ., 1996, გვ. 145.

⁴ საყურადღებო დაკვირვება აქვს პროფესორ გ. ჟუჟუნაშვილს. მკველვარი მიიჩნევს, რომ «Жалованная грамота» უნდა ითარგმნოს არა როგორც „წყალობის სიგელი“, რომელიც, ძირითადად, რუსეთის საშინაო ურთიერთობათა მოგვარებისათვის იყო შემუშავებული, არამედ როგორც „ოქრობეჭედი“, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, რუსეთი ამ დოკუმენტს უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობისათვის გამოიყენებდა. ეს ტერმინი, რომელიც ბიზანტიური ანალოგიის „ხრუიზოვულო“ პირდაპირი თარგმანია, გამოიყენებოდა ბიზანტიური ოქროსბეჭდიანი სიგელების აღსანიშნავად (**გ. ჟუჟუნაშვილი.** საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის უმთავრესი დოკუმენტების რაობისათვის, გვ. 142).

⁵ **ვ. გუჩუა, მ. სვანიძე.** საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალეთის მიერ, – *სინ.* ტ. IV. გვ. 145.

დელი მოსკოვის სახელმწიფოს რთული საშინაო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ფიცის წიგნი“ მხოლოდ ფორმალურ აქტად დარჩა. მოსკოვის სამეფოს ის მიზერული სამხედრო აქციები კავკასიაში 1594 და 1605 წლებში, რომელსაც იგი აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად ასრულებდა და, რომლებიც, ფაქტობრივად, მარცხით დასრულდა, არ იყო საკმარისი რეგიონში შექმნილი რთული სიტუაციის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად.¹

რუსეთ-კახეთის ამ პოლიტიკურ კავშირს ის შედეგები არ მოჰყვა, რასაც ჩვენში მოელოდნენ. მოსკოვის სამეფოს იმ ხანებში ძალა არ შენედა, რომ კავკასიის ასპარეზიდან ოსმალეთი და ირანი გაედევნა.² მაგრამ, საკუთრივ თეოდორე ივანეს ძისტვის ამას ხელი არ შეუშლია თავის ტიტულატურაში ჩაემატებინა „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფე“,³ რომელიც ამიერიდან მუდამ დარჩება რუსეთის მეფეთა თუ იმპერატორთა ტიტულატურაში. სამაგიეროდ, კახეთის მეფეთა რუსეთისკენ მზერამ ქვეყანას მძიმე შედეგი მოუტანა. XVIII. I მეოთხედში კახეთს თავსდამტყდარი ტრაგედიის მიზეზებს მკვლევარები სწორედ ამ პოლიტიკურ ორიენტაციაში ხედავენ.⁴

ქართული პოლიტიკური სამყაროს დამოკიდებულება რუსეთისადმი და რწმენა იმისა, რომ ჩრდილოეთის ამ დიდი სახელმწიფოდან მოემართებოდა „გზა გამოსხნისა“ ისლამური რკალიდან, არ შეცვლილა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზეც. თუმცა კი, მოსკოვში ჯერ კიდევ საამისოდ არ იყვნენ მზად, მაგრამ, იმავედროულად, იქ არც კავკასიელი მოკავშირეების დაკარგვა სურდათ, რადგან ამ რეგიონში დამკვიდრება რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო და ამიტომ, ქართველების კეთილგანწყობისა და მათი ამ იმედების შენარჩუნების მიზნით, მოსკოვში უხვ დაპირებებს ნამდვილად არ იშურებდნენ.

¹ **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVI საუკუნეში, გვ. 209-211; **ბ. ასათიანი.** გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ. *რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე*, გვ. 59-62; **М. Гаммер.** Шамиль. Мусульманское сопротивление царизму. *Завоевание Чечни и Дагестана*. М., 1998, – ელექტრონული ვერსია: http://militera.lib.ru/research/gammer_m/index.html.

² **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVI საუკუნეში, გვ. 210.

³ «И Государя Иверския земли, Карталинских и Грузинских Царей» (*Статейной список Посольства Ближняго Боярина и Наместника Вятскаго Бориса Петровича Шереметева в Краков, Венецию, Рим и Мальту 7205 (1697) года*, – ნგნ.: **ДРВ.** Часть V, გვ. 252).

⁴ **ლ. ტუხაშვილი.** პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ., გვ. 406.

რუსეთში კი საკუთარ კავკასიურ პოლიტიკასა და მის ნამდვილ არსს საკმაოდ მოხერხებულად ნიღბავდნენ. როგორც ცნობილი ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი წერდა: «*Россия, призываемая на помощь христианским народонаселением, не могла позволить усилиться здесь магометанскому влиянию, особенно турецкому*».¹ როგორც ამ ამონარიდში ჩანს, ავტორი ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოს სვლა სამხრეთის მიმართულებით სარწმუნოებრივი-იდეოლოგიური ფაქტორით აეხსნა, მაგრამ პეტრე I-ს უფრო შორსგამიზნული და ამბიციური, თანაც მისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებზე ზრუნვა: ბუნებრივია, ეს იყო აღმოსავლეთში შეღწევა.² თუკი ევროპა აზიას ზღვითა და თანაც შორეული გზებით უკავშირდებოდა, რუსეთი მისკენ პირდაპირ ხმელეთით და კასპიის ზღვით გადადიოდა. ეს გზა კი გაცილებით უსაფრთხო და იაფი იყო, ვიდრე – საზღვაო კავშირები. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ამ შესაძლებლობებით დაინტერესება ინგლისელებმა ჯერ კიდევ XVII ს. II ნახევარში გამოავლინეს.³ ამიტომ პეტრემ მიზნად დაისახა მისი ქვეყანა აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სატრანზიტო სახელმწიფოდ ექცია.⁴ XVI-XVIII სს. ირანი და ინდოეთი მრავალფეროვანი ადგილობრივი ნაწარმითა და ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლით მეტად მიმზიდველი ბაზარი აღმოჩნდა იმდროინდელი ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისათვის.⁵

* „რუსეთს, რომელსაც ქრისტიანული მოსახლეობა დახმარებისათვის მოუწოდებდა, არ შეეძლო ნება მიეცა აქ მაჰმადიანური, განსაკუთრებით თურქული, გავლენის გაძლიერებისათვის“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

¹ **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 696.

² **J. M. Mackie.** Life of Shamil and Narrative of the Circassian War of Indenpedence Against Russia. Boston, 1856, გვ. 12.

³ *Русские водные пути и судовое дело в до-петровской России.* Историко-географическое исследование **Н. П. Загоскина.** Казань, 1910, გვ. 432-433.

⁴ **Н. П. Ламбин.** История Петра Великаго. СПб., 1843, გვ. 651; **С. О. Хан-Магомедов.** Дербент. М., 1958, გვ. 21; **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, – წგნ.: **ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი.** ისტორიული რარიტეტები. თბ., 1989, გვ. 71-72; პეტრე წინამორბედ მონარქთა პოლიტიკას აგრძელებდა. XVII ს. 90-იანი წლებში მოსკოვის მეფეებსა და ირანის შაჰებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების საგანი იყო ბაქო-დარუბანდი (**ბ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI, გვ. 302).

⁵ **გ. ზედგინიძე.** რა იცოდნენ ევროპელებმა XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ, – *ქდ.* ტ. 3, გვ. 209.

„ევროპა-ინდოეთის“ სავაჭრო გზის მიმართულება უძველესი დროიდან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ტექნიკური მიზეზების გამო ბევრჯერ შეცვლილა, მაგრამ აქტუალურობა და ინტერესი არასდროს დაუკარგავს, მით უფრო, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ.¹ საფრანგეთი და ინგლისი აქტიურად ცდილობდნენ სპარსეთში საკუთარი ვაჭრებისათვის პროტექციონისტული მდგომარეობა შეექმნათ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ ისპაჰანთან ურთიერთობების მოწესრიგებაში.² ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც (ვახტანგ V შაჰნავაზი, გიორგი XI, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი) კარგად ესმოდათ ამ სავაჭრო-ეკონომიკური გზის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და ევროპასთან ურთიერთობაში ცდილობდნენ საქართველოს მიმართ მათი დაინტერესება ამ არგუმენტებით განემტკიცებინათ.³ საკუთრივ ევროპელებიც ნათლად ხედავდნენ საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას აღმოსავლეთისა (სპარსეთი, ინდოეთი) და ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებისათვის.⁴

ბუნებრივია, რუსეთის ამგვარი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გაზრდიდა როგორც მის პოლიტიკურ წონას, ასევე ის ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებასაც.⁵ თუმცა, ეს პეტრეს დიდი გეგმის მხოლოდ ნაწილი იყო.

რუსეთისათვის კავკასიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა შავ ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად და ყირიმის სახანოს დასაქვემდებარებლად, რომელიც მისთვის მუდმივ „თავის ტკივილს“ წარმოადგენდა, ვინაიდან უკვე XVI. ბოლოდან ყირიმელი თათრები პერმანენტულ მარბიელ თავდასხმებს აწყობდნენ რუსულ მიწებზე და მათ დიდ ზიანსაც აყენებ-

¹ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 301.

² *საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან* (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი). ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო **ილ. ტაბალუამ.** თბ., 1975, გვ. 77.

³ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 301.

⁴ „მემორანდუმი საქართველოს შესახებ“ (დოკ. №39), – ნგნ.: *საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან*, გვ. 216.

⁵ რუსეთის ამგვარი სწრაფვა საკუთრივ ევროპელებსა (განსაკუთრებით, ამ მიმართულებით, ინგლისელთა აქტიურობა შეინიშნებოდა) და სპარსელებსაც შქონდათ უკვე შემჩნეული. სწორედ ამიტომ ორივე მხარე აქტიურ დიპლომატიას მიმართავდა მოსკოვთან დასაახლოვებლად (**გ. ყუყუნაშვილი.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში, – *ქდ. ტ.* 2. თბ., 1995, გვ. 284).

დნენ.¹ ამასთანავე, რუსეთს სჭირდებოდა შავი ზღვა იმისთვისაც, რომ შემდეგ, სრუტეების გავლით, ხმელთაშუაზღვის მდიდარ ბაზარში შესულიყო.²

ამიტომ, ვიდრე შავი ზღვა და ყირიმი ოსმალეთის სულთნის კონტროლქვეშ იქნებოდა, ყოველგვარ აზრს კარგავდა რუსეთის სამხრეთისკენ ლტოლვის ამბიციები. აქედან გამომდინარე, კავკასიას მნიშვნელოვანი პლაცდარმის როლი ენიჭებოდა რუსეთის ამ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში.³ აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ყაბარდოული წარმოშობის რუსი თავადი და დიპლომატი ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკი⁴ 1714წ. პეტრე I-ს მოუწოდებდა სასწრაფო ზომები მიეღო კავკასიელ ხალხების მისამხრობად, რაც შემდეგ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ოსმალეთსა და სპარსეთზე.⁵

„ბრწყინვალე პორტას“ მდგომარეობა ამ დროისათვის არც ისე ბრწყინვალედ და სახარბიელოდ გამოიყურებოდა: „საღვთო ლიგასთან“ განცდილმა მარცხმა სერიოზულად შეარყია მისი საერთაშორისო მდგომარეობა.⁶ მაგრამ მუსტაფა II (1664-1703) ნამდვილად არ აპირებდა კავკასიის დაკარგვას და თვითონაც შეუდგა სამხედრო ფლოტის გაძლიერებას შავ ზღვაზე და პოზიციების გამყარებას დასავლეთ საქართველოში;⁷ ისპაჰანიც კი ამ ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვნად დასუსტებულიყო, რასაც რუსეთის ხელმწიფეს აუწყებდა ირანიდან ელჩი არტემი ვოლინსკი (1689-1740).⁸ ამგვარი რეალობა შეიქმნა ამიერკავკასიაში XVIIIს. დასაწყისისთვის: ახლო და შუა აღმოსავლეთის ორი დიდი

¹ **ბ. ასათიანი.** გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ..., გვ. 50; **ვ. გუჩუა.** საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში, – *სიბ.* ტ. IV, გვ. 121.

² *Русская военная сила*, გვ. 8; *Государя из дома Романовых. 1613-1913.* Жизнеописание Царствовавших Государей и очерки Их Царствования. Под редакцией доктора русской истории **Н. Д. Чечулина.** Т. 2. М., 1913, გვ. 166.

³ **შ. ლომსაძე.** სამცხე-ჯავახეთი, გვ. 40.

⁴ მართლმადიდებლურად მონათვლამდე – დევლეთ-გირეი ბეკმურზინი – **Ш. Б. Ногмов.** История адыгейского народа. Составленная по преданиям кабардинцев. Вступительная статья и подготовка текста доктора исторических наук, академик Адыгской (Черкесской) Академии профессора **Т. Х. Кумыкова.** Нальчик, 1994, გვ. 150.

⁵ **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 697; **Н. П. Ламбин.** История Петра Великаго, გვ. 653.

⁶ კარლოვიცის ზავით (1699წ. 26 იანვ.), ოსმალეთმა მოკავშირეთა სასარგებლოდ ევროპის კონტინენტზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგები განიცადა; ხოლო კონსტანტინეპოლის ზავით (1700წ. 3 ივლისი) კი, რუსეთმა აზოვი და მიმდებარე ტერიტორიები მიიღო.

⁷ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ., გვ. 457.

⁸ **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 700.

იმპერიის (ოსმალეთი და სპარსეთი) უკვე დაღმავალი დიდების ფონზე, კავკასიაში აქტიურად იწყებდა შემოსვლას რუსეთის აღმავლობის გზაზე შემდგარი იმპერია, რომელსაც ბედად ეწერა ადგილობრივი ქვეყნებისა და მოსახლეობის ბედის განსაზღვრა შემდგომი საუკუნეების მანძილზე.

საქართველოში მოუთმენლად ელოდნენ ჩრდილოეთიდან მომავალ ხსნას და ქართველებმა რუსეთისთვის დახმარების განევის პირობაც კი მისცეს სტამბოლში რუსეთის ელჩ პეტრე ტოლსტოის (1761-1844).¹ როგორც ჩანს, იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გარდამეტებული წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიონის გადაღმა მიმდინარე პროცესებზე და მოსკოვ-სტამბოლის ომს უმოკლეს ხანებში ელოდნენ, რათა თურქთა უღლისაგან გათავისუფლებულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ სტამბოლსა და ისპაჰანს განსხვავებული პოლიტიკური მიდგომები ჰქონდათ: დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს სულთანი ამტკიცებდა, მაგრამ ის მათგან ისლამის მიღებას არ მოითხოვდა. ამგვარი „ლიბერალური“ დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავებოდა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარებისაგან, სადაც ქართლსა და კახეთში მეფედ დამტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო სპარსეთის ვასალობის აღიარება, არამედ – მაჰმადიანობის მიღებაც. თუმცა, სტამბოლის ეს „ლიბერალიზმი“ ნამდვილად არ იყო განპირობებული ქრისტიანობისადმი სულთნის „ტოლერანტული“ დამოკიდებულებით. ოსმალეთის პოზიციები დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მყარი იყო და ის აქედან ღებულობდა, როგორც ხარკს, ასევე, არც ხელი ეშლებოდა ტყვეთა სყიდვას. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფალთათვის ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებით, სულთანი შორსმიმავალ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა: ის ცდილობდა უზრუნველყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მხრიდან ლოიალობა.

ოსმალეთის ხელისუფლება რევანშისათვის ემზადებოდა მაგრამ „საღვთო კავშირთან“ განცდილი მარცხის შემდგომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი იყო, ჯამაგირს ვერ უხდიდნენ იანიჩარებს, რომლებიც თავიანთ უკმაყოფილებას პერმანენტული ამბოხებებით გამოხატავდნენ.² ანტითურქული აჯანყებებისათვის ემზადებოდა ბალკანეთის მოსახლეობაც.³ ამ ვითარებაში, დასავლეთ საქართველოში მიიჩნეეს, რომ თურქეთის საწინააღ-

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 149.

² ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 457.

³ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 149.

მდეგოდ გამოსვლა შესაძლებელი იყო. 1703წ. გიორგი აბაშიძემ სტამბოლს შეუწყვიტა ყოველწლიური გამოსაღები – საური, რომელსაც საქართველოში „ქრთამს“ ეძახდნენ:¹ „ვითარ განდიდნა აბაშიძე და არლარა ეგოდენ მორჩილებდა ფაშასა და არცაღა აქუნდა ქრთამნი ეგოდენნი იმერეთისაგან“.²

მეფე-მთავრები „ქრთამით“ ახალციხის ფაშას უგზავნიდნენ „ტყვეებს“ (ახალგაზრდა ქალ-ვაჟები) და სხვა მისართმეველებს (ძვირფასი ნივთები, ტილო, ქორ-შევარდნები და სხვ.), რომელიც ყოველივე ამას შემდეგ სულთანს მიართმევდა. „ყოველწლიური „ქრთამის“ გაგზავნაზე უარის თქმა თურქეთის ვასალობიდან გამოსვლას ნიშნავდა“.³ გიორგი აბაშიძის ამ დემარშს მხარი დაუჭირეს გიორგი ლიპარტიან-დადიანმა და მამია III გურიელმა.⁴ ოსმალთა მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თურქ ვაჭრებს აყაჩაღებდნენ.⁵ ომში დამარცხებული სულთანისთვის ქართველთა ეს დაუმორჩილებლობა ნამდვილი გამოწვევა იყო, რომელიც სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებას საჭიროებდა. თურქებმა საჭიროდ ჩათვალეს განდგომილ ქართველთა დასჯა და დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის კონტროლის გაძლიერება, რათა იქ რუსეთს დასაყრდენი არ ეპოვა.⁶ სტამბოლში ვარაუდობდნენ, რომ პეტრე I-ს, პირველ რიგში, ადგილობრივი ნავსადგურები დააინტერესებდა.⁷ რუსეთის მეფეს სტამბოლში მივლინებული დიპლომატ პ. ტოლსტოისაგან უკვე 1702წ. ჰქონდა ცნობები შავი ზღვის პორტების შესახებ („შავი ზღვის აღწერილობა“).⁸

როგორც ჩანს, ქუთაისსა და სოხუმში დისლოცირებულ ოსმალურ გარნიზონთა შესაძლებლობებს აღემატებოდა განდგომილთა დასჯა და მუსტაფა II-მ („განრისხნა ხონთქარი მუსტაფა“) არზრუმის ბეგლარბეგ ქოსა ხალილ ფაშას მთავარსარდლობით დასავლეთ საქართველოში 80 ათასიანი არმია დაძრა. ვახუშტი არ ასახელებს შემოსულ ოსმალთა არმიის რაოდენო-

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 148.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

³ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 472.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863; ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 458.

⁵ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო (1462-1810), გვ. 458.

⁶ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 294.

⁷ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 457.

⁸ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 149.

⁹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

ბას მხოლოდ ამბობს ზოგადად – „სპითა დიდითა“.¹ აქ მოტანილ ციფრს მხარს უჭერს მ. რეხვიაშვილი,² რომელიც ეყრდნობა დ. ბაქრაძის მიერ მოძიებულ ე. წ. „ვრცელი ჟამნ-გულანის ასწლიანი კვინკლოსის“ ცნობას, სადაც საუბარია ხონთქრის მიერ გამოგზავნილ „ხალი-ფაშაზე“, რომელიც „პ (80 – კ. კ.) ათასი“ კაციტ შემოსულა.³ მართალია, დოკუმენტით, ეს მოვლენები XVIII ს. XVIII ს. 20-იანი წლების II ნახევრით ფიქსირდება, მაგრამ, როგორც თავად დ. ბაქრაძე შენიშნავდა, ამ თარიღით მსგავსი ფაქტები მატიანეებით არ დასტურდება.⁴ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მ. რეხვიაშვილის მიერ ამ წყაროში მოტანილი ციფრის დაკავშირება 1703 წ. თურქთა აგრესიასთან ისტორიულ რეალობასთან ახლოს უნდა იყოს. 1703 წლის ზაფხულში თურქები შემოვიდნენ „სპითა დიდითა ზღვით და ჯმელით, რათა დაჰყონ წელი შკდი იმერეთს და მოაოჭრონ სრულიად ციხეებითურთ“.⁵ ოსმალთა ეს შემოსევა იმდენად საშინელი ყოფილა, რომ, როდესაც მათ მოულოდნელ უკან გაბრუნებაზე საუბრობს, ვახუშტი წერს: „შეინყალა ღმერთმან კუალად ქუეყანა ესე“.⁶

მტერი ქვეყანაში სამი მხრიდან შემოვიდა: საკუთრივ სერასკირმა ხალილ-ფაშამ ჭოროხი გადალახა და ბათომი დაიკავა, ხოლო მისი მოადგილე (ქეჰაია), ახალციხის ფაშა ისაყთან ერთად, იმერეთში შეიჭრა; მესამე ნაწილი ზღვით სამეგრელოში შევიდა,⁷ სადაც აიღეს რუხის ციხე,⁸ რომელშიც შეიარაღებული რაზმი დატოვეს და ანაკლიაში კი ახალი ციხე ააშენეს.⁹ აღსანიშნავია, რომ რუხის აღებაში ყვაპუ შარვაშიძეც მონაწილეობდა. სავარაუდოდ, ამაზე უნდა იყოს საუბარი „ვრცელი ჟამნ-გუ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

² მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 150.

³ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმნა ა. ტოტოჩავამ. ბათუმი, 1987, გვ. 176.

⁴ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 177.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 864.

⁷ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ..., გვ. 458.

⁸ აღსანიშნავია, რომ ვახუშტი წერს, ოსმალებმა „შემუსრეს ციხე რუხი“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 864). ნ. დადიანი კი გვამცნობს, მტერმა „აღიღო რუხის ციხე“ (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169). ამ განსხვავებას, თავის დროზე, ყურადღება მიაქცია შ. ბურჯანაძემ და სამართლიანად მიუთითა, რომ ვახუშტი, ამ შემთხვევაში, ცდებოდა, „ვინაიდან თავის გეოგრაფიულ თხზულებაში იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ რუხის ციხე, აგებული 1647 წელს, თურქებმა დაანგრიეს მხოლოდ 1725 წელს“ (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 238, შენ. 404).

⁹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 169; Т. Бердзэ. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989, გვ. 221.

ლანის ასწლიან კვინკლოსში“, სადაც ნათქვამია, რომ „თეროსანი აფხაზმა მაშინ აგვართვა“. ¹ ქართული სამყაროსთვის ამ საყოველთაო სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის პერიოდში აფხაზებს საკმაოდ მოშორებით, თანამედროვე ქობულეთის რაიონში, მდებარე ეკლესიაც გაუძარცვავთ. ²

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყვაპუმ ისარგებლა ოსმალთა ამ ლაშქრობით და 1702წ. განცდილი მარცხის გამო გადაწყვიტა შური ეძია დადიანზე. იგი ეახლა სამეგრელოში შემოსულ თურქებს და მათ დახმარება შესთავაზა. ჩანს, მისი ეს გადაწყვეტილება შარვაშიძეთა სახლის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ისინი იმ პერიოდში, როგორც ზემოთ ვნახეთ, აშკარა ანტიოსმალურ მოქმედებებს ახორციელებდნენ, რის გამოც დასავლეთ საქართველოში შემოსულ ოსმალთა ფლოტის ნაწილი აფხაზთა წინააღმდეგობის ჩასაქრობად გაუგზავნიათ. ³ თუმცა, აღსანიშნავია, რომ მ. რეხვიაშვილი სარგებლობს ტერმინით „აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე“. ⁴ ვფიქრობთ, რომ აქ სწორედ ყვაპუ შარვაშიძეზე უნდა იყოს საუბარი, რომელიც ერთი წლით ადრე იმერელ-ოდიშართა მიერ იქნა დამარცხებული. ჩვენს ვარაუდს, რომ ეს ნამდვილად ყვაპუ შარვაშიძე იყო, ამაგრებს მოვლენათა შემდგომი განვითარების ანალიზი.

კერძოდ, 1703წ. ივნისში სტამბოლში იანიჩართა აჯანყება დაიწყო კუთვნილი ჯამაგირის მოთხოვნით. ⁵ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „იქმნა შფოთი დიდი სტამბოლს“. ⁶ ანალოგიური მოთხოვნით კი ოსმალეთში იანიჩართა ამბოხებები გახშირდა სწორედ მუსტაფა II-ს ზეობის დროს. აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყების მოთავენი სწორედ იმ სამხედრო ნაწილებში

¹ **დ. ბაქრაძე.** არქეოლოგიური მოგზაურობა..., გვ. 176; „თეთროსანი – ყველაზე სახელგანთქმული ეკლესია ჩურუქ-სუში, ამჟამად დანგრეულია“ (დ. ბაქრაძის შენიშვნა: **დ. ბაქრაძე.** არქეოლოგიური გურიასა და აჭარაში, გვ. 176).

² ტაძარი მდებარეობს ქობულეთის რ-ნის სოფ. ხუცუბანში (**ი. სიხარულიძე.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი 2. ბათუმი, 1959, გვ. 108-109; **რ. სურმანიძე.** თეთროსანი. ბათუმი, 2007, გვ. 130).

³ **ილ. ტაბალუა.** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი). თბ., 1972, გვ. 63; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 123.

⁴ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 150-151.

⁵ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIII სს., გვ. 459; აჯანყება დასრულდა 1703 წლის 22 აგვისტოს, როცა მუსტაფა II-მ ტახტი მისი ძმის აჰმადის სასარგებლოდ „დათმო“. აჰმად III-მ (1703-1730) ჯარს რამდენიმე წლის მანძილზე გაუცემელი კუთვნილი ჯამაგირი დაურიგა (**ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 123). აჯანყებულებმა ოსმალეთის იმპერიის დიდგვირად კი გურჯი აჰმედ ფაშა დასვეს (**ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი..., გვ. 459).

⁶ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 864-865.

ყოფილან, რომელსაც ფადიშაჰი მუსტაფა დასავლეთ საქართველოში დამატებით ძალებად აგზავნიდა.¹ ამბობენ იმდენად მასშტაბური იყო, რომ სულთანს დამხმარე ძალა დასჭირდა. ამიტომ მან დასახმარებლად არზრუმის ბეგლარბეგ ხალილ ფაშას უხმო. ვახუშტი ამბობს, „ამისთვის მოუწერეს სარასკირსა, რათა უკუნ-იქცეს“.²

მართალია, უფლისწული ისტორიკოსი ამას წერს მას მერე, რაც გვამცნობს, რომ სტამბოლში სულთანად აჰმადი დაჯდაო.³ მაგრამ, სავარაუდოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს უბრალოდ მოვლენათა გადმოცემაში ქრონოლოგია აერია. ვფიქრობთ, რომ ოსმალთა ძალიან სწრაფი გაბრუნება სამშობლოში, სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს. სხვა მხრივ, საეჭვოა, რომ ახალ ხელისუფალს გაუეჭმებინა მისი წინამორბედის ეს სამხედრო კამპანია, რომელიც ჯერჯერობით ოსმალთათვის წარმატებით ვითარდებოდა და, ბუნებრივია, რომ მას არც იმის სურვილი ექნებოდა, რომ ქვეყანაში დამატებითი შეიარაღებული ძალები ჰყოლოდა, მით უფრო, რომ საჭირო გახდებოდა სულთნის ხაზინიდან დამატებით ხარჯების განევა ჯამაგირით მათ დასაკმაყოფილებლად. ოსმალთა იანიჩრები კი მათ ამ მატერიალურ-ფინანსურ „ზარალს“ ერთგვარად იკმაყოფილებდნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ძარცვით. თურქთა სარდლობისათვის იმდენად მოულოდნელი იყო სტამბოლში განვითარებული ამბები, რომ სასწრაფოდ აიბარგნენ და მალევე დატოვეს დასავლეთ საქართველო. თუმცა, რიგ მნიშვნელოვან (ფოთი, ანაკლია, რუხი) ციხეებში ოსმალთა შეიარაღებული რაზმები დარჩნენ.⁴

უკან გაბრუნებამდე, ხალილ ფაშას ბრძანებით, ქეჰაია დაეზავა გიორგი აბაშიძეს, რომლისათვის ეს ზავი შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო, მით უფრო, რომ ოსმალთა შემოსვლისთანავე ერთი მოკავშირე მალევე დაკარგა.⁵ კერძოდ, მტრის მხარეს გადავიდა მამია III გურიელი.⁶ თუმცა, ქეჰაიასა და გიორგი აბაშიძის „მეგობრობას“ დიდი ხანი არ ეწერა ბედად, მალევე ქართველებისთვის ცნობილი გახდა ოსმალთა

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 151.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 864.

⁴ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. ნახევარში, გვ. 459.

⁵ ზავის პირობებში, ოსმალებმა მოითხოვეს სიმონ მეფის ძმის გიორგი VI ალექსანდრეს ძის გამეფება, რომლის მეურვედ თავად გიორგი აბაშიძე დანიშნეს; იმერეთის მმართველის მიერ შესრულდა სხვა მოთხოვნებიც: შორაპნის ციხე დაანგრია, მძევლები მისცა და „ქრთამის“ გადახდა აღდგენაც ივალდებულა (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 865).

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865

გაბრუნების მიზეზი.

ამით შეგუღლიანებულმა გიორგი აბაშიძემ თურქთა განადგურების ბრძანება გასცა: „ხოლო იმერთა ბრძანებითა აბაშიძისათა შეჰკრეს მთა ფერსათი და მოსრვიდენ მრავალთა ოსმალთა. კუალად ენივნენ იმერნი, მოკლეს კოლის ფაშა და დაკოდეს ბელსა შინა ისაყ ახალციხის ფაშა, აოტნეს ოსმალნი და აღიღეს ალაფნი ურიცხუნნი, ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი და მოვიდნენ წინაშე აბაშიძისა“.¹ ოსმალებმა ძლივს გააღწიეს სამშვიდობოს.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებს უნდა ეხებოდეს ერთი ცნობა ჰეტმან ივანე მაზუპას (1687-1709) წერილში გრაფ თევდორე გოლოვინისადმი (1650-1706), სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში თურქთა ჯარი გაანადგურეს და ქართველთა წინააღმდეგ ახალი არმია და ერთი ფაშა მიავლინესო: «В земли Грузинской гораздо побито войска Турского; и один паши и новые Турские войска туда посланы против Грузинцов*».² თუ გავითვალისწინებთ XVIII ს. დასაწყისში ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეს და მანძილს სტამბოლიდან თანამედროვე უკრაინამდე, სავარაუდოა, რომ ის ივლისის შუა პერიოდის (ყველაზე გვიან ვადებად ეს თარიღი რომ მივიჩნიოთ) ამბებს უნდა ასახავდეს.

როგორც ჩანს, ყვაპუმ, ამის შემდეგ ივარაუდა, რომ ოდიშის მთავარი მას მაინც არ შეეშვებოდა. თან გიორგი ლიპარტიან-დადიანის ძალაუფლება კიდევ უფრო განამტკიცა სიმამრის აღნიშნულმა სამხედრო წარმატებამ ოსმალებზე. ყვაპუმ გადაწყვიტა, დაესწრო მოვლენების მისთვის არასასურველი მიმართულებით განვითარებისათვის და პირველმა გადადგა ნაბიჯი და ახლა უკვე დადიანს შესთავაზა დახმარება თურქთა წინააღმდეგ. როგორც ჩანს, შარვაშიძის ამ წინადადებაზე ოდიშის მმართველს უარი არ უთქვამს.

1704 წლის ზაფხულში ოდიშარებმა და აფხაზებმა შეუტიეს რუხის თურქ მეციხოვნეებს და მალე ციხეც გაათავისუფლეს. ქუთაისის ყადის ელჰაჯ ომერის 1704წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ „ქუთაისის კაზასადმი დაქვემდებარებული ოდიშისა და სამეგრელოს ვილაიეთში დადიანის სახელწოდების ქაფირები და აფხაზი ქაფირები, ფორმალურად

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865.

* „საქართველოს ქვეყანაში თურქთა ლაშქარი ძლიერ დამარცხდა; ერთი ფაშა და თურქთა ახალი ჯარები გაიგზავნა იქ ქართველთა წინააღმდეგ“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

² Письма и Бумаги Императора Петра Великаго. Т. 2, (1702-1703). СПб., 1889. გვ. 576.

მორჩილნი რომ იყვნენ, მორჩილებიდან გამოვიდნენ“.¹ ყვაპუ აქვე გარდაიცვალა (1704წ. მინურულს): გრიგოლ კათალიკოსის 1712წ. ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი შეწირულობის წიგნში აღნიშნულია, რომ ყვაპუ „შარვაშიძე რუხს მოკვდა“.²

თურქებმა, რუხთან ერთად, ანაკლიაც დაკარგეს.³ როგორც ზემოაღნიშნული ოსმალური წყაროდან ირკვევა, ამ ციხეზე შეტევა ორი მიმართულებიდან მომხდარა: დადიანის ხალხი ხმელეთიდან მიადგა, ხოლო ზღვიდან შეტევაზე აფხაზები გადასულან.⁴ აქ არ კონკრეტდება აფხაზთა ვინაობა, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ისევე ყვაპუ შარვაშიძის ხალხი იყო, ვინაიდან ორივე სამხედრო კამპანია ერთსა და იმავე პერიოდში ხდება.

უნდა აღნიშნოს, რომ დადიანთა მიმართ შარვაშიძეთა სახლის პოლიტიკა, ანუ ოდიშის სამთავროსგან დამოუკიდებლობის მოპოვება, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ზოგადად ქართული სამყაროსაგან პოლიტიკური სეპარატიზმის მცდელობა მსგავსად იმისა, როგორც ამას ჩვენს თანამედროვე ეპოქაში აქვს ადგილი. მკვლევართა ნაწილი, ამ შემთხვევაში, შარვაშიძეთა ქმედებებს „პოლიტიკურ სეპარატიზმად“ აფასებს.⁵ თუმცა, მართებულად გვეჩვენება სხვა შეფასება: „მათი მთავარი მიზანი (ისევე, როგორც ოდიშელ დადიანთა და გურიის მთავარ გურიელთა) იყო, დაწინაურებულიყვნენ სწორედ რომ შიდაქართულ პოლიტიკურ არენაზე და დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები საერთოქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში“.⁶ სწორედ ამიტომაც არც ჰქონიათ შარვაშიძეებს ქართული ეკლესი-

¹ ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIIIსს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა **ბ. შენგელიამ**. თბ., 1982, გვ. 21; **Т. Берадзе**. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 222.

² **ქსდ**. ტ. III, გვ. 670; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 118; **З. В. Папаскири**. Абхазия. История без фальсификации, გვ. 90.

³ ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 21; თუმცა, მალევე ოსმალეთის ხელისუფლებამ დაკარგული ციხეების დასაბრუნებლად ზომები მიიღო და 1706 წლისათვის უკვე ორივე მათგანს აკონტროლებდა (ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIIIსს.), გვ. 21; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 124).

⁴ ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 21; როგორც ვახუშტი მიუთითებს, აფხაზები „ზღუასა შინა მავარნი და ძლიერნი“ ყოფილან (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა..., გვ. 786).

⁵ **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 278.

⁶ **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, გვ. 109.

საგან გამოყოფის მცდელობა, როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს ჯ. გამახარია.¹ ამიტომ, ყვაპუ შარვაშიძის მოქმედებებში ანალოგიური ტენდენციები უნდა დავინახოთ. იგი ხომ მის მიერ დადებული ფიციებისადმი ერთგულებით მაინცდამაინც დიდად არ გამოირჩეოდა.

ყვაპუს ადგილი მისმა ძემ მურზაყანმა დაიკავა, რომელმაც მოახერხა შედარებითი სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება და „აღუყვავილებია ადგილი“ (ანუ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი).² მას აუკრძალავს ტყვეთა სყიდვა, რითაც „განთქმული“ იყო მამამისი. მურზაყანს ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ყვაპუს პოლიტიკური კურსი აუცილებლად გარკვეულ ცვლილებას საჭიროებდა: ოდიშთან დაძაბული ურთიერთობა და ტყვეთა სყიდვის წახალისება მისი ქვეყნისათვის მხოლოდ გაჩანგების მომტანი იყო. ამიტომ ტყვეთა სყიდვის აკრძალვამ და დადიანთან მშვიდობიანმა დამოკიდებულებამ სამურზაყანოში მოსახლეობის ხელახალ მოდინებას შეუწყო ხელი. სავარაუდოდ, ეს პროცესი განსაკუთრებული აქტივობით სწორედ მურზაყანის ზეობაში უნდა მომხდარიყო. თ. ბერაძის მოსაზრებით, ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ძირძველი მოსახლეობა ყვაპუს მმართველობის პერიოდშიც, ძირითადად, ადგილზე იყო დარჩენილი.³ თუმცა, სოფლების ნაწილი მნიშვნელოვნად იყო დაცარიელებული. ბუნებრივია, გადატანილი კატაკლიზმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აყრის, დამონებისა თუ უცხოელებზე მონებად გაყიდვის შემდეგ, ენგურ-ლალიძგას შუამდინარეთში ჩამოსახლებული აფხაზების რაოდენობა მაინც ვერ იქნებოდა იმდენად საკმარისი, რომ მურზაყანს დამატებითი მოსახლეობის მოზიდვა აღარ დასჭირვებოდა ადგილობრივი ეკონომიკური და სამეურნეო ცხოვრების გასამართავად. ქართველები/მეგრელები ადგილობრივი მეურნეობის წამყვან ძალას წარმოადგენდნენ, რის გამოც სამურზაყანოში ჩასახლებული აფხაზი დიდგავროვნები საგანგებოდ უწყობდნენ ხელს სამეგრელოდან გლეხობის მოზიდვას. აღსანიშნავია, რომ მათთვის სიტყვა „აგრუა“-„მარგალი“ (მეგრელი) „მინის მუშას“ ნიშნავდა. აღსანიშნავია, რომ გვიანდელ ხანაში „მარგალი“ თვით სამეგრელოშიც გლეხის სინონიმად იხმარებოდა.⁴

მეგრული მოსახლეობა, ძირითადად, სამურზაყანოს დაბალ

¹ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 278.

² თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. სიგელი, გვ. 394.

³ თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი..., გვ. 243.

⁴ გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს. – სინ. ტ. IV, გვ. 200.

სოციალურ ფენასა და სასულიერო იერარქიას წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება, ხელს უწყობდა სამურზაყანოში, აფხაზურთან ერთად, ქართული ენისა და, განსაკუთრებით, მეგრული ენა-კავის კიდევ უფრო განმტკიცებას. მართალია, ვახუშტის ცნობის მიხედვით, აფხაზებს „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“¹; ვინაიდან მათთვის ქართული ენა კულტურისა და ღვთისმსახურების ენის როლს ასრულებდა.² როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, აფხაზეთის სამთავროში „ქართული ენა კულტურის მთავარი ენაა“ (ხაზგასმა ს. ჯანაშიასი – კ. კ.).³

შარვაშიძეთა კარზე ქართული ყოფილა ოფიციალური საქმეთწარმოების ენაც.⁴ ამასვე ადასტურებს ა. ტულუშის მიერ ზუგდიდის მუზეუმში მიკვლეული ერთი ბეჭედი.⁵



ამ ბეჭედზე დატანილი წარწერა, ქარაგმების გახსნის შემდეგ, ასე იკითხება: „მონა ღვთისა შარვაშიძე ლევან“⁶. აღნიშნული დოკუმენტი თვალნათლივ და ყოველგვარი მცირე დაეჭვების გარეშე ადასტურებს, რომ შარვაშიძეთა სამთავრო საგვარეულო

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 786.
² З. В. Анчабадзе. Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 145; გ. ანჩაბაძე. გალის ფენომენი..., გვ. 227.
³ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი, გვ. 33.
⁴ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი, გვ. 34.
⁵ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი, – გაზ.: „საქართველო“, №39 (1477), 26 აგვისტო – 2 სექტემბერი, 1996, გვ. 5; მაღლობას მოვასხსენებთ პროფესორ ბ. ხორავას, რომელმაც მიგვითითა ამ უაღრესად საყურადღებო ისტორიულ წყაროზე.
⁶ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი, გვ. 5.

თავს „პოლიტიკურ-კულტურულ“ ქართველად მიიჩნევდა. თ. ჭიჭინაძის მიერ მიკვლეული ე.წ. „სიგელიც“ შედგენილია ქართულ ენაზე მხედრული ასოებით.¹

თუმცა, სავარაუდოა, რომ ქართული ენა არა მარტო აფხაზმა წარჩინებულებმა იცოდნენ. კუნძულ მალტაზე ევროპიდან მობრუნებულმა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725) ნახა ტყვე აფხაზი, რომელიც ქართულად საუბრობდა: „აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული“.² ამ ცნობაზე დაყრდნობით, ს. ჯანაშია ასკვნიდა, რომ იმ ხანებში პერიფერიას უფრო ჰქონდა კულტურული კავშირი ცენტრთან შენარჩუნებული, ვიდრე – პირიქით.³ ჯ. გამახარია კი მიიჩნევს, რომ „სულხან-საბამ აფხაზი ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ქართველად ჩათვალია, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი თანამედროვე წარმართი აფსუები, ...ქართველები არ იყვნენ; აფხაზეთი, მისი წარმოდგენით, სოხუმს იქით მდებარე ტერიტორიაა. ამიტომაც გაუკვირდა, „რატომ იცოდა“ ქართული, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. 1714 წლისათვის ჩრდილო-დასავლეთი სამეგრელო აფსუათა მიერ 25-30 წლის ოკუპირებულია; იქ დარჩენილ ქართულ მოსახლეობას ენა და სარწმუნოება შენარჩუნებული ჰქონდა. ტყვეებადაც სწორედ ქართველ აფხაზებს ყიდიდნენ⁴ და არა აფსუებს. ერთი სიტყვით, სულხან-საბა მალტაში, სავარაუდოდ, ქართველ აფხაზს შეხვდა“.⁵ სავსებით მართებულია შენიშვნა, რომ ს.-ს. ორბელიანმა აფხაზი, ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართველად ჩათვალია: „ქართველნიც ვნახე – ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი“.⁶ მაგრამ ზემოთ მოყვანილ ამონარიდში თვალნათლივ ჩანს, რომ აფხაზს, ს.-ს. ორბელიანის წარმოდგენით, ქართული, ალბათ, არ უნდა სცოდნოდა. თუკი ამას შევუსაბამებთ, ვახუშტისეულ ცნობას, მაშინ ის აფხაზი, რომელიც ს.-ს. ორბელიანმა მალტაში ნახა, მდაბიოთა წრიდან უნდა ყოფილიყო, რომელსაც, ბუნებრივია, არ ექნებოდა განათლების მიღების შესაძლებლობა და, შესაბამისად, ქართულიც არ ეცოდინებოდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, იმ პერიოდში ქართული ენის ცოდნის საკითხი სავალალო მდგომარეობაში ყო-

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელიც*, გვ. 393.

² სულხან-საბა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში, – *ქართული მწერლობა*. ოცდაათ ტომად. ტ. VII. თბ., 1989, გვ. 272.

³ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. *კულტურული ისტორიული ნარკვევი*, გვ. 27.

⁴ აქ შეიძლება ვერ დავეთანხმოთ მკვლევარს, ვინაიდან, როგორც წინა თავში ვაჩვენეთ, ნყაროებში დადასტურებულია აფხაზთა მიერ თანამოდმეთა ტყვედ გაყიდვის ფაქტებიც.

⁵ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 301.

⁶ ს.-ს. ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში, გვ. 272.

ფილა საკუთრივ ოდიშში.¹ მართალია, ს. ჯანაშიას შენიშვნით, ლათინი მისიონერის ეს ცნობა დიდად გაზვიადებული ჩანს,² მაგრამ, ვფიქრობთ, გარკვეულ რეალობას ის უეჭველად ასახავს.

ბუნებრივია, ეს ნათქვამი შეიძლება განვავრცოთ სამურზაყანოელ შარვაშიძეებზე და მათ სამფლობელოზეც. მით უფრო, რომ სამურზაყანოში, როგორც ზემოთ ვთქვით, შესაძლებელია ქართული ეთნოსის გარკვეულად მაღალი წილის ვარაუდი, მიუხედავად იმ ქართველებისა, რომელიც ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთში მცხოვრებმა ქართველებმა გადაიტანეს XVII ს. II ნახევარში. სწორედ ამ ვითარებას უნდა განეპირობებინა ქორონიმ „სამურზაყანოს“ ქართულენოვანი, და არა აფხაზური, წარმომავლობა. თუკი ამ კუთხეში მეგრული წარმომშობის მოსახლეობის სიმრავლეს მივიღებთ მხედველობაში, სავარაუდოა, რომ იგი უფრო მეგრული წარმომშობისა იყოს, ვინაიდან მასაც ახასიათებს ტოპონიმის წარმოქმნა „სა-ო“ პრეფიქს-სუფიქსებით. მაგალითად, სამეგრელოში გვხვდება ანალოგიური ტიპის ტოპონიმები: სა-ჩიქობა-ო, სა-გვაზა-ო, სა-ხოჭოლა-ო, სა-გუგუნა-ო, სა-ცხვიტა-ო, სა-მიქა-ო, სა-ღვამიჩა-ო, სა-ტყებუჩა-ო, სა-ბოკუჩა-ო, სა-ჯიჯა-ო, სა-ელიავ-ო, საბერულავ-ო, სა-ბეჭვაი-ო, სა-ადანი-ო, სა-შურღაი-ო, სა-ნაჭყები-ო, სა-ბუკი-ო, საბესელი-ო, სა-გრიგოლი-ო, სა-ჭურღული-ო, სა-ადანი-ო, სა-ფაჩული-ო, სა-ადამი-ო, სა-გვარამი-ო, ზედა სა-ლომი-ო, სა-კვიკვინი-ო, სა-კილასონი-ო, ბია – სა-შონი-ო, სა-გუნი-ო, სა-ოდიშარი-ო, სა-გაბესკირი-ო, სა-წულეისკირი-ო, სა-ქირი-ო, სა-ქორქ-იო, საგვიჩი-ო, სა-მესხი-ო, სა-ლხინ-ო;³ აფხაზეთში (გალის რ-ნი) – სა-ბუთბაი-ო, სა-მელაი-ო, სა-ხახუბი-ო, სა-შამუგი-ო, სა-ბერი-ო, სა-ბულისკერი-ო, სამარქვალ-ო, სალხინ-ო.⁴

მურზაყან შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობა შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას ისახავდა მიზნად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებში რაიმე დაპირისპირება არ ჩანს. სავარაუდოა, რომ ყვაპუ შარვაშიძის წინააღმდეგ 1702წ. ლაშქრობის შემდეგ, სამურზაყანოზე ერთგვარი „კონდომინიუმი“ დაწესდა. ამის შედეგად შეიქმნა იმგვარი ვითარება, როდესაც ეს მხარე, იყო რა ოდიშის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში, რადგან დადიანმა არ მოახდინა იქ ხელისუფლების შეცვლა და იმ კუთხის გამ-

¹ დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 150.

² ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. *კულტურული ისტორიული ნარკვევი*, გვ. 37.

³ შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია. ქართული ოიკონიმები, – წგნ: *ტოპონიმოლოგია*. პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით. ტ. II. თბ., 1980, გვ. 145-149, 154.

⁴ შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია. ქართული ოიკონიმები, გვ. 148-150, 154.

გებლობა ისევ შარვაშიძეთა სახლის უმცროსს შტოს დაუტოვა, რომელიც, როგორც ჩანს, ამის სანაცვლოდ, იძულებული გამხდარა სამეგრელოს მთავრის უზენაესობა ელიარებინა, მაგრამ, ამავე დროს, ადგილობრივ შარვაშიძეებზე აფხაზეთის სამთავრო სახლსაც უნდა შეენარჩუნებინა ერთგვარი გავლენა, ვინაიდან შარვაშიძეთა ორივე შტო ერთ ოჯახს წარმოადგენდა. სამურზაყანოელი შარვაშიძე იყო რა დადიანის ყმადნაფიცია,¹ იმავედროულად, იგი ბზიფისკენაც იხედებოდა.

აქ ხაზს ვუსვამთ, რომ **აღნიშნულ ტერმინს ვხმარობთ პირობითად და არა მისი კლასიკური გაგებით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამართალშია მიღებული.**² რა თქმა უნდა, სავსებით ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი რამ სამურზაყანოზე არც დამყარებულა. ჩვენ მხოლოდ ამ სამფლობელოს ერთგვარ შუალედურ მდგომარეობაზე მივანიშნებთ, როცა სამურზაყანოელი შარვაშიძე, ფაქტობრივად, ორი სამთავრო სახლის (ოდიში და აფხაზეთი) გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ის, რომ XVIII საუკუნეში სამურზაყანოელი შარვაშიძეები დადიანის ვასალები არიან, ჩანს რამდენიმე ფაქტითაც. კერძოდ, ეს არის 1703 წელს თურქთა წასვლის შემდეგ ყვავუ შარვაშიძის კვლავ დადიანისკენ მიბრუნება და მასთან ერთად ანაკლიისა და რუხის ციხის გათავისუფლება ოსმალთაგან, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ; 1757 წლის 14 დეკემბრის ხრესილის ბრძოლაში იმერეთის ახალგაზრდა მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) გვერდით იბრძოდა მისი ცოლისძმა კაცია,³ ოტია დადიანის შვილი, რომელიც საბრძოლველად გამოცხადდა, ნიკო დადიანის თქმით, „სპითა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზთა“.⁴

აფხაზთა რაზმს ხელმძღვანელობდა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე, რომელიც გმირულად დაიღუპა ბრძოლაში. როგორც ჩანს, ოდიშარ-ლეჩხუმელ-აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის სარდალი დადიანის ოჯახის წევრია ანუ სამურზაყანოს რაზმი ცალკე სუბიექტად არ მონაწილეობს და ხუტუნიაც კაციას ემორჩილება. საეჭვოა, რომ ეს საგანგებოდ შექმნილი

¹ მართალია, როგორც ცნობილია, „ყმადნაფიცობით“ მხოლოდ საქართველოსა და მუსლიმურ სახელმწიფოთა ურთიერთობები გამოიხატებოდა. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, მას მხოლოდ „ვასალობის“ სინონიმად განვიხილავთ.

² კონდომინიუმ-ი [ლათ. condominium] – საერთაშორისო სამართალში: ერთი და იმავე ტერიტორიის მართვა ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ (*უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., 1989, გვ. 246).

³ სამეგრელოს მომავალი მთავარი – კაცია II დადიანი.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

სამხედრო „ბლოკი“ ყოფილიყო. ის ამკარად ასახავს იმ პერიოდის ოდიშ-სამურზაყანოს ურთიერთობათა ფორმას – სამურზაყანოელი შარვაშიძე ემორჩილება დადიანს. სავარაუდოდ, ამგვარი ურთიერთობები მისაღები იყო როგორც შარვაშიძეთა, ისე დადიანის სახლისთვის: სამურზაყანოელი შარვაშიძეები არ მონყვეტილან ძირითად ოჯახს, მაგრამ დადიანის მორჩილებაში იმყოფებოდნენ. სამურზაყანო ამ პერიოდში წარმოადგენდა გარკვეულ „ბუფერულ ზონას“, რომელზედაც ორივე სამთავრო სახლის (შარვაშიძე, დადიანი) „კონდომინიუმი“ ვრცელდებოდა. შესაბამისად, სამურზაყანოელი შარვაშიძეები დამოუკიდებელი მმართველები არ ყოფილან. თუმცა ამ ვითარებაში ოდიში ამკარად უპირატესობით სარგებლობდა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის მიმართ სამურზაყანოს ყმადნაფიცობით იყო განპირობებული.

ამ მდგომარეობის გამომხატველი უნდა იყოს დადიანთა ტიტულატურა აღნიშნულ პერიოდში: ცაიშის გულანის მინაწერში (1709წ.) აღნიშნულია, რომ ის „დაინერა და გაკეთდა... პატრონისა შინა დადიანის კაცისათა და თანამეცხედრისა მათისა... ოდიშთაჲ, სუანთაჲ და აფჯაზეთთა მეფლობელისა, ბატონის დადიანის ძედ მოსათვლელისაჲ და ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებლისა, დადიანის ასულის ბატონის დედოფლის მარიამის ბრძანებითა“.¹ ოტია დადიანის (1728-1758) მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, კერძოდ შეწირულობის წიგნში გარესჯასადმი, ასევე, ანალოგიური ტიტულატურაა ნახსენები: „დიდის ოდიშის, სვან-თაკვერისა მპყრობელ-მქონებელი“ (1748წ. 11 ივლისი).² როგორც ჩანს, აქ „დიდი ოდიშის“ ფორმულირებით, დადიანებმა ძველი ოდიშის ანუ იმ სამთავროს, რომელიც ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე არსებულ მხარეს ფლობდა, აღდგენის პრეტენზია გამოხატეს. სწორედ ამიტომ დაერთო ოდიშს მსაზღვრელი „დიდი“. აქ შეიძლება გავიხსენოთ ვახუშტისეული ფორმულირებაც – „სრულიად ოდიში“, რომლითაც ის განსაზღვრავს დადიანის სამფლობელო – ოდიშის ტერიტორიას, რომლის საზღვარი ანაკოფიამდე უწევდა: „დადიანმან გიორგიმ (გიორგი I დადიანი – ვ.ვ.)... მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თუთ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“.³ როგორც ჩანს, ოტია დადიანის ტიტულატურაში დაფიქსირებული „დიდი ოდიში“ ვახუშ-

¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 126.

² შეწირულობის წიგნი ოტია დადიანის გარესჯას (დოკ. 159), – ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770წწ.). წიგნი I, გვ. 154.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 801.

ტისეული „სრულიად ოდიშის“ სინონიმად უნდა განვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ 1745წ. სანქტ-პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „*რუსეთის იმპერიის ატლასის*“ შემდგენელ რუს კარტოგრაფთა ყურადღების ცენტრში მოხვდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი.¹ ამ რუკაზე ჩვენთვის საინტერესო მხარე ოდიშის შემადგენლობაში შედის, ხოლო აფხაზეთი, რომელიც ქართული ფორმითაა გადმოცემული – «*Анказеби*», მდ. გუმისთის გადაღმაა მდებარეობს ცენტრით ზუფუში – «*Зуфу*». ამკარაა, რომ 1745 წლისთვის ამგვარი პოლიტიკური გეოგრაფია უკვე ანაქრონიზმია. სამწუხაროდ, ვერ ხერხდება „*ატლასის*“ ავტორთა ხელთ არსებული წყაროების და მათი ავტორების ვინაობის დადგენა. თუმცა, №11 რუკასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ რუკების შედგენისას გამოუყენებიათ „*გეოგრაფიულ დეპარტამენტში არსებული განსაკუთრებული ცნობები*“.² სავარაუდოა, რომ ავტორებს, გარკვეულ წილად, უნდა ესარგებლათ იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის³ დესპანის, ქუთათელი მიტროპოლიტის, ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ და რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს ასულისადმი (1730-1740) გადაცემული ლიხთ-იმერეთის სამეფოს რუკითა⁴ და, აგრეთვე, კონსულტაციები უნდა ჰქონოდათ იმ პერიოდში რუსეთში მყოფ ვახუშტი ბატონიშვილთანაც, რადგან ამ ორი რუკის შედარებისას იკვეთება მათ შორის ამკარა მსგავსებები.⁵ მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული

¹ *Положение мест между Черным и Каспийским морями представляющее Кубань, Грузинскую землю и достальную часть реки Волги с ея устьем*, – ნგნ.: *Атлас Российской*, состоящей из девятнадцати специальных карт представляющих Всероссийскую Империю с Пограничными Землями, сочиненной по правилам Географическим и новейшим обсервациям, с приложенною при том генеральною картою Великия Сея Империи, старанием и трудами Императорской Академии Наук. СПб., 1745, რუკა №11 (იხ. აქვე: დანართი „*ისტორიული რუკები*“).

² *Атлас Российской, состоящей из девятнадцати специальных карт представляющих Всероссийскую Империю с Пограничными Землями, сочиненной по правилам Географическим и новейшим обсервациям, с приложенною при том генеральною картою Великия Сея Империи, старанием и трудами Императорской Академии Наук*, გვ. 8.

³ ტახტზე სამჯერ იჯდა: I – 1720-1741წწ., II – 1741-1746; III – 1749-1752წწ.

⁴ **შ. ბურჯანაძე**. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*. I. თბ., 1959, გვ. 177-198; **ი. მათურელი**. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990. გვ. 29-35; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 293.

⁵ იხ. აქვე დანართში „*ისტორიული რუკები*“ „ფრაგმენტი ვახუშტი ბატონიშვილის რუკიდან“.

სურათიც, გარკვეულ წილად, ასახავს ოდიშსა და სამურზაყანოს შორის არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. თუმცა, ბუნებრივია, ამგვარი ვითარება დროებითი იყო და ის აუცილებლად გადაჭრას მოითხოვდა.

იმერეთ-გურია-ოდიშის მესვეურები კი ამ დროს კვლავ ძმა-თამკვლელი ომებით იყვნენ დაკავებულნი. ქვეყანაში ისევ ანარქია ბატონობდა. მთავრები და თავადები იმერეთის ტახტს მათთვის სასურველ კანდიდატს „უბოძებდნენ“ ან სამეფოს ერთმანეთში ინანილებდნენ სამართავად. ოსმალთა მიერ იმერეთის მეფედ დატოვებული გიორგი VI-ის ზეობა¹ მყარი არ აღმოჩნდა. იგი თურქთა ნასვლისთანავე ქუთაისის ციხეში ჩაიკეტა.²

ოთხი წლის მანძილზე ქვეყნის გამგებლად კვლავ გიორგი აბაშიძე რჩებოდა,³ რომელმაც იქ გარკვეული „ნესრიგიც“ დაამყარა. „დაამყდა აბაშიძემ იმერეთი ჯდომა-ოჭრებითაგან ფრიად, რამეთუ ვერვინ იკადრებდა პარვად რისამედ, კუალად ვერცალავინ იკადრებდა განყიდვად ტყვსა, თვნიერ მისსა“, – ირონიულად შენიშნავს ვახუშტი.⁴ ნ. დადიანი კიდევ უფრო მეტ კონკრეტიკას იძლევა და აღნიშნავს, რომ აბაშიძის გამგებლობის დროს იმერეთში კაცის კვლა და ავაზაკობაც მოისპოო.⁵ როგორც პროფესორი ა. კილასონია შენიშნავს, „საჭიროების შემთხვევაში“ გიორგი აბაშიძე ადამიანებით ვაჭრობას არ უკადრისობდა.⁶

აბაშიძის გამგებლობის დღეებიც მალე მიიწურა. მისი განდიდებით უკმაყოფილო დიდებულები, ქართლის ჯანიშინის ვახტანგ VI-ის⁷ მხარდაჭერით ზურგგამაგრებულებმა, 1707 წელს მეფედ გიორგი VI დასვეს,⁸ თუმცა უკვე 1711წ. ფეოდალთა ერთ-

¹ იმერეთის ტახტი ოთხჯერ ეჭირა: I – 1707-1711წწ., II – 1712-1713წწ., III – 1714-1716წწ., IV – 1719-1720 წლებში. მართალია, ოსმალებმა ის 1703წ. მეფედ დატოვეს, მაგრამ 1707 წლამდე, აბაშიძის შიშით, ტახტი ვერ დაიჭირა (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 866-867). იგი ყოფილა „ცუნდრუკი, მომხუჭელი, ანგარი, ვეცხლისმოყუარე“ (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 870). როდესაც ბეჟან ლეჩხუმის ბატონმა მეფეს მამამისის, გიორგი IV დადიანის, წინააღმდეგ დახმარება სთხოვა და ამისთვის ქრთამიც მისცა, ვახუშტის შენიშვნით, „მეფემან არღარა გამოიძია უმჯობესი ვეცხლისათჳს“ (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 875).

² **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 866.

³ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 153.

⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა სამეფოსა.., გვ. 867.

⁵ **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 170.

⁶ **ა. კილასონია**. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. *ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები*, გვ. 173.

⁷ გიორგი VI-ის სიმამრი.

⁸ **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 867; **ნ. და-**

მა ნაწილმა იმერეთის ტახტი მამია III გურიელს გადასცა.¹ გარკვეული პერიოდის მანძილზე მისი მემკვიდრე – გიორგი IV გურიელიც მეფობდა იმერეთში. თუმცა იყო ისეთი პერიოდებიც XVIII ს. I მეოთხედის იმერეთის ისტორიაში, როცა დასავლეთ საქართველოს გავლენიან დიდებულებს, ზურაბ აბაშიძეს, ბეჟან დადიანსა და შოშიტა რაჭის ერისთავს ფიქტიური მეფეც კი აღარ დასჭირვებიათ და იმერეთი თვითონვე გაუწაწილებიათ 1716 და 1720 წლებში.²

როგორც ფარსადან გოგირჯანიძე შენიშნავდა, „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მანყინარნი“.³ ამგვარი ვითარება კი ძალზედ ხელსაყრელი მხოლოდ სტამბოლისთვის იყო, რომელიც, ახალციხის ფაშის მეშვეობით, ძალას არ იშურებდა დასავლეთ საქართველოში გაჩაღებული შინაურეულობების ცეცხლი არ ჩამქრალიყო.⁴

ოდიშშიც, მთავრის სახლშიც არეულობა იყო. 1704წ. გიორგი IV დადიანს მისი ძმა, ლეჩხუმის მმართველი, იესე განუდგა. იგი იმერეთის მეფე გიორგის მიემხრო,⁵ რომელსაც ბიძად ერგებოდა (მამიდამისის, მარიამის, მეუღლე).⁶ გიორგის დადიანობა საკუთრივ ოდიშართათვისაც მაინცდამაინც მისაღები არ უნდა ყოფილიყო და მან ეს პატივი, როგორც ჩანს, სამთავროში ერთგვარი დაძაბულობის მოსახსნელად თავის უფროს ვაჟიშვილს – კაციას⁷ – „გადასცა“, რომელსაც ცოლად ესვა დადიანთა ძველი საგვარეულოს წარმომადგენელი მარიამი.⁸ ლეჩხუმის გამგებლობა კი შუათანა ვაჟიშვილს, ბეჟანს, დაავალა, ხოლო თვითონ მხოლოდ ლიპარტიანობა „დაიტოვა“.⁹ თუმცა, ამ ერთგვარ „სა-

დიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 170; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 153.

¹ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 154.

² **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 877, 880; **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 173-174; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 156.

³ *ფარსადან გოგირჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა.* ტფ., 1926, გვ. 7.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 344.

⁵ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 866.

⁶ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 866.

⁷ **ო. სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ნაწ. 1. *სათავადოები.* თბ., 1973, გვ. 317; **ც. ბერაძე.** კაცია I დადიანი, – *ქსე.* ტ. 5. თბ., 1980, გვ. 444.

⁸ **ე. თაყაიშვილი.** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 59; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 126.

⁹ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 866.

კადრო ცვლილებათა“ რეალური არსი ნომინალური იყო და ოდიშის პირველგამგებელად კვლავ გიორგი IV დადიანი, ან უკვე „ლიპარტიანის“ პატივში მყოფი, რჩებოდა.¹

ამ მოვლენებს ვახუშტი 1704 წლით ათარიღებს, თუმცა ბ. ხორავა, რომელმაც ყურადღება მიაქცია 1706წ. 23 მაისით დათარიღებულ „გიორგი დადიანის შეწირულობის წიგნს დოდოს მონასტრისადმი“, სადაც გიორგი IV კვლავ დადიანად მოიხსენიება, ხოლო კაცია ყოველგვარი ტიტულის გარეშეა მოხსენიებული, და ერთ კინკლოსს, რომლის ცნობით 1709წ. დეკემბერში გიორგი კვლავ დადიანია, მიიჩნევს, რომ კაცია I-ის გადადიანებაც 1709წ. უნდა მომხდარიყო.² ჯ. გამახარიაც იზიარებს ამ დათარიღებას.³ ბას.³ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტისეული თარიღის რევიზია უმართებულოა, ვინაიდან ის გარკვევით ხაზს უსვამს ამ „საკადრო ცვლილების“ ნომინალურ ხასიათს და არ გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ კაცია რეალურად იყო სამეგრელოს მთავარი. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან იმ ხანებში იმერეთს ნომინალურად ჰყავდა მეფედ გიორგი VI. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებშიც, ჩანს, აისახა რეალური ვითარება, რომელსაც არანაირად არ გამოორიცხავს ვახუშტის ზემოთ დასახელებული ცნობაც.

ამ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე გიორგი დადიანის მიერ „პაიკებად“ მოაზრებულმა შვილებმა მალევე მამის გათვლილ სვლებში ერთგვარი „კორექტივები“ შეიტანეს და ისინიც, მათი ბიძის მსგავსად, გიორგი VI-ს ბანაკში აღმოჩნდნენ. ლიპარტიანის შვილებმა მამას ვერ აპატიეს მათი დედის (მიქელაძის ასული) გაშვება და გიორგი აბაშიძის ქალიშვილზე დაქორწინება.⁴ 1709წ. დეკემბერს ფარცხანაყანევთან გ. აბაშიძის მოკავშირეების, გიორგი ლიპარტიანისა და რაჭის ერისთავის დამარცხების შემდეგ, გიორგი VI-მ ოდიში დალაშქრა. ლიპარტიანმა აფხაზეთს შეაფარა თავი.⁵ იმერეთის მონარქს შარვაშიძემ წინააღმდეგობა გაუწია. მეფე მას დაეხაზა, უკან მობრუნდა და დადიანობა კაციას ჩააბარა.⁶

წყაროები არ აზუსტებენ, თუ, რომელ შარვაშიძეზეა აქ საუბარი, მაგრამ, როგორც ვახუშტის ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, ეს უნდა ყოფილიყო მდ. ღალიძგას იქით მდებარე აფხაზე-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა., გვ. 866.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 125-126.

³ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა., გვ. 294.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 869.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 870.

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 870.

თი, ვინაიდან ჩვენი მემატრიანე ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთს ოდიშის ტერიტორიად მიიჩნევდა.¹ ნ. დადიანიც არ აპროტესტებს ვახუშტის ამ ცნობას და, ალბათ, ისიც ლალიძგას გაღმა აფხაზეთს გულისხმობს.²

როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფხაზეთის მთავარსა და გიორგი IV დადიანს შორის ძალიან თბილი ურთიერთობები ყოფილა, რადგან ოდიშის დევნილმა ხელისუფალმა თავშესაფარი მასთან ჰპოვა. სავარაუდოდ, ამ ურთიერთობებს უნდა ასახავდეს შემოქმედის გულანის კვინკლოსში შემონახული ერთი ცნობაც, რომელიც 1706 წლითაა დათარიღებული: „ამა ქორონიკონსა აფხაზი და მეგრელი მოუხდა ჩოჩხათს და ჯუმათელს შარვაშიძეს მაქსიმეს გაემარჯვა“.³ აქ მოხსენიებული პირი ჯუმათის ეპარქიის მღვდელმთავარი მაქსიმე III შარვაშიძეა.⁴ როგორც ირკვევა, ამ საგვარეულომ, რომელიც, ვახუშტის ცნობით, გურიაში აფხაზეთიდან ჩამოსულა,⁵ XVII-XVIII საუკუნეებში შეძლო ამ ეპარქიის ის მმართველობის დამკვიდრება. უკანასკნელი კვლევების მიხედვით გამორკვეულია, რომ ჯუმათელ ეპისკოპოსთა რიგში მაქსიმე შარვაშიძის სახელით ორი მღვდელმთავარი ყოფილა: მაქსიმე II და მაქსიმე III.⁶

წყაროების სიმწირის გამო, რთულდება მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენა. თუმცა, ამ მხრივ გარკვეული მცდელობა ჰქონდა თ. ქართველიშვილს, რომელმაც მაქსიმე II-ს მღვდელმთავრობა 1677-1685 წლებით, ხოლო მაქსიმე III-სა კი – XVIII საუკუნის 40-50წწ. დაათარიღა.⁷ მაგრამ მკვლევარის მიერ მოცემულ ქრონოლოგიასთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ მოყვანილი გულანის კვინკლოსის ცნობაც. ამასთანავე, ერთი წყაროს ცნობით, XVIII ს. დასაწყისში ჯუმათის მღვდელმთავარი ყოფილა გიორგი ლიპარტიან-დადიანის შვილი გაბრიელ ჩიქვანი, რომელიც იმავდროულად ჭყონდიდელ-გაენათელიც ყოფილა.⁸ ის, როგორც „ჭყონდიდელ-გენათელ-ჯუმათელი გაბრიელი“, მოხსენიებულია გიორგი IV გურიელის მიერ ბოძებულ

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 170.

³ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 137.

⁴ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები). თბ., 2006, გვ. 36, 38.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 37.

⁶ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები), გვ. 36, 38.

⁷ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები), გვ. 36, 38.

⁸ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები..., გვ. 36.

ერთ სიგელში.¹ ვახუშტის ცნობით, ის 1704 წლიდან იდგა ამ ეპარქიის სათავეში.² მაგრამ, როგორც ბ. ხორავამ გამოარკვია, გაბრიელ ჩიქვანს ჭყონდიდლობა 1701 წლიდან მაინც უჭირავს.³ აღსანიშნავია, რომ თ. ქართველიშვილი გაბრიელის ჯუმათელობის კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ 1714წ. იგი მისმა ძმამ ბეჟანმა გადააყენა ჭყონდიდის მღვდელმთავრობიდან. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ვარაუდობს, „...რომ მან ჭყონდიდელობასთან ერთად ჯუმათელობაც დაკარგა“.⁴

მაშინ რა ხდება აქ, როგორ უნდა გავიგოთ გულანის კვინკლოსის ზემოთ მოტანილ ამონარიდში დაცული ცნობა? ვფიქრობთ, რომ მისი შემდგენელის არაკომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ვინაიდან მას, პრინციპში, ზუსტად მოჰყავს სხვა ისტორიული მოვლენების ქრონოლოგია (მართალია, კვინკლოსის ავტორს დაცული არ აქვს საკუთრივ ქრონოლოგიური რიგი, თუმცა ეს წყაროს დიდ ნაკლად მაინც არ უნდა მივიჩნიოთ).⁵ შესაბამისად, კვინკლოსის ავტორის ხელთ არსებული მისთვის სანდო მონაცემებით, მაქსიმე III უკვე ჯუმათელი ეპისკოპოსია XVIIIს. პირველ ათწლეულში. მაშინ როდის ხდება გიორგი ლიპარტიანის ძე ამ ეპარქიის მმართველი? როგორც ჩანს, 1706-1714წწ. ადგილი ჰქონდა ამ სამღვდელმთავრო ტახტზე მსხდომთა ცვლილებას გაბრიელ ჩიქვანის სასარგებლოდ. სავარაუდოდ, 1706 წელს ჯუმათზე განხორციელებული ზემოთ ნახსენები თავდასხმა ამ პროცესის ერთ-ერთი ნაწილი იყო. როგორც ჩანს, გიორგი ლიპარტიან-დადიანი ცდილობდა ჯუმათის მდიდარ ეპარქიაზე კონტროლი დაენესებინა და მისი სასულიერო ნოდების მქონე ვაჟიც ამ მიზნის განხორციელებისთვის ფრიად შესანიშნავი საშუალება იყო. როგორც ცნობილია, გურიის სამთავროში მდებარე ჯუმათის მონასტერი საკმაოდ მდიდარი და, ამასთანავე, მძლავრი ფეოდალური ერთეული და კულტურულ-მნიგნობრულ კერას წარმოადგენდა.⁶ სოფეფელი ჩოჩხათიც მასვე ეკუთვნოდა.⁷ თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს თავდასხმა, ალბათ, უფრო ძარცვა-ტაცების ხასიათს ატარებდა,

¹ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 247.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 866.

³ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 125.

⁴ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები), გვ. 36.

⁵ იხ.: დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა..., გვ. 136-138.

⁶ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები), გვ. 76.

⁷ თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები), გვ. 76.

ვიდრე მაქსიმე III-სათვის მღვდელმთავრის ტახტის წართმევას, რადგან ამ მდიდარი მონასტრის და მისთვის შეწირული მამულე-ბის კონტროლი მრავალი ფეოდალის სასურველი ოცნება იქნებოდა. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, მეუფე მაქსიმე შარვაშიძე საკმაოდ ძლიერი სასულიერო ფეოდალი ყოფილა, რადგან მის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთგვარი კოალიციის შეყრაც გამხდარა საჭირო.

მაღე ისევ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება სამეგრელოს სამთავროში, ვინაიდან კაცია I-ის დადიანობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მოკლე ხანში, 1710წ., იგი ხუნავით¹ დაავადდა და ამ ავადმყოფობამაც შეიწირა მისი სიცოცხლე. ვითარებით ისარგებლა გიორგი IV დადიანმა, რომელიც აფხაზეთიდან გადმოვიდა და მან კვლავ შეძლო ხელისუფლების დაბრუნება.² ბეჟანი, ლეჩხუმის ბატონი, იძულებული გახდა მამას შერიგებოდა,³ მაგრამ, დედამისთან გაყრის გამო, მის დასჯაზე ფიქრი მაინც არ შეუწყვეტია. თუმცა, სანადელს მან მხოლოდ 1714წ.⁴ მიაღწია, როცა, ბოლოს და ბოლოს, შეძლო გიორგი IV დადიანის ჩამოშორება ხელისუფლებიდან და „დაიპყრა ოდიში თვით და იწოდა დადიანად“.⁵

XVIIIს. 20-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ძვრები მოხდა სამხრეთ კავკასიაში, რომელშიც ამჯერად აქტიურად ჩაერთო რუსეთის იმპერატორი პეტრე I. სპარსეთში გაჩაღებული შინაომების გამო, რეგიონში ისპაჰანის „მემკვიდრეობისათვის“ ბრძოლა დაიწყო: სტამბოლმა და სანქტ-პეტერბურგმა სამხედრო ძალები კასპიის ზღვის სანაპიროსკენ დაძრეს.⁶ პეტრეს ამ პერიოდისთვის, შვედეთთან ხანგრ-

¹ „ხუნავი სასის გასივება“ – იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. ტ. II. თბ., 1993, გვ. 434.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 870.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 870.

⁴ ბეჟან I-ის გადადიანებას ვახუშტი 1715 წლით ათარიღებს. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში, ბეჟან დადიანის ჭყონდიდის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნის მონაცემებზე დაყრდნობით (ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წგნ. I. გვ. 113), გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მოვლენას ადგილი ერთი წლით ადრე უნდა ჰქონოდა ადგილი (თ. ბერაძე. ბეჟან I დადიანი, – ქსე. ტ. 2. თბ., 1977, გვ. 311; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 127; ბ. ხორავა. დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია. თბ., 2001, გვ. 34); ბეჟან დადიანის პირდაპირი შთამომავალია (შვილიშვილის შვილი) ისტორიკოსი ნიკო დადიანი (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 10).

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 876.

⁶ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის

ძლივ „ჩრდილოეთის ომში“ (1700-1721) წარმატებით გადაჭრილი ჰქონდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელის საკითხი. აქედან გამომდინარე, მან გადაწყვიტა ბალტიის ზღვისთვის „შეეერთებინა“ კასპიის ზღვა.¹

რუსეთის იმპერატორისათვის, რომელსაც კონკრეტული ამოცანები ჰქონდა აღმოსავლეთში გადასატრელები, მიუღებელი იყო, რომ აღმოსავლეთის „ჭიშკარს“ („ალბანური ჭიშკარი“) ოსმალეთი დაპატრონებოდა.² ამიტომ 1723 წლისთვის დაგეგმილი ლაშქრობა პეტრე I-მა ერთი წლით ადრე, 1722წ. ივნისში, დაიწყო.³ ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად, რუსეთმა, რომელმაც შესანიშნავად ისარგებლა სპარსეთის ურთულესი საშინაო ვითარებით, რაზეც ჰქონდა სწორედ გათვლები რუსი იმპერატორის, და შეძლო კასპიის დასავლეთ სანაპიროს დაკავება.⁴ მაგრამ, ამ ეტაპზე ეს რუსეთის დროებითი წარმატება იყო. ამ ტერიტორიე-

პირველ ნახევარში, გვ. 303; **Н. П. Ламбин.** История Петра Великого, гв. 653; **С. О. Хан-Магомедов.** Дербент, гв. 21; **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 499; სპარსეთში მოსალოდნელი შინაომების გაჩაღების თაობაზე პეტრე I-ს ჯერ კიდევ 1717წ. ატყობინებდა მისი დესპანი ისპაჰანში ა. ვოლინსკი (**С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории, гв. 699-700).

¹ **ალ. ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 40.

² **ბ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 304; **А. Г. Брикнер.** Иллюстрированная история Петра Великого. Т. 2. СПб., 1905, гв. 170; **С. О. Хан-Магомедов.** Дербент, гв. 21; **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, гв. 707-708; **J. M. Mackie.** Life of Shamil and Narrative of the Circassian War of Independence Against Russia, гв. 12.

³ **ბ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 304.

⁴ *Русская военная сила*, гв. 44; **В. А. Мякотин.** История России, гв. 60; **Н. П. Ламбин.** История Петра Великого, гв. 662, 668; **А. Г. Брикнер.** Иллюстрированная история Петра Великого..., гв. 174; **С. О. Хан-Магомедов.** Дербент, гв. 22; ამ სამხედრო კამპანიისათვის პეტრე I-მა საბაბად გამოიყენა 1712წ. შირვანის მთავარ ქალაქ შემახაში 300-მდე რუსი ვაჭრის ამოუღებელი (**ვ. დონდუა.** დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, – ნგნ.: **ვ. დონდუა.** საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1985, გვ. 104) ადგილობრივი ფეოდალების აჯი-დაუდისა და სურხაი-ხანის მიერ, რომელთა დასჯა, თურმე, სპარსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო და შაჰის კარს ეს აქცია უნდა განეხილა, როგორც შაჰისა (ისინი ოსმალეთის სულთნის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ) და რუსეთის მტრების წინააღმდეგ მიმართული და არა როგორც რუსეთის ომი სპარსეთთან (**Н. П. Ламбин.** История Петра Великого, гв. 658; **ბ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 303-304). როგორც **ნ. ლამბინი** შენიშნავდა, ეს იყო საბაბი, რომელსაც უნდა უზრუნველყო რუსეთის ბატონობა კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე მდებარე სპარსეთის მდიდარ რაიონებზე (**Н. П. Ламбин.** История Петра Великого, гв. 658).

ბის მტკიცედ დაკავებისთვის მას ჯერ საკმაოდ არასაკმარისი ძალები გააჩნდა.¹ თუმცა, კავკასია უკვე ბუფერულ ზონად იქცა მოქიშპე სამ დიდ იმპერიას შორის.²

რუსეთის ამ წარმატებამ კავკასიაში თავსატეხი ისევ და ისევ საქართველოს, კერძოდ კი, ქართლს, გაუჩინა. პეტრე I, მხოლოდ საკუთარი ძალებით, როგორც სამხედრო, ისე – მატერიალური, რომელიც შვედეთთან ხანგრძლივი ომის გამო მეტად გამოფიტული იყო, ადგილობრივი მოკავშირის გარეშე კავკასიურ ლაშქრობას ვერ წამოიწყებდა. ასეთ პარტნიორად მისთვის ბუნებრივია, საქართველო, კერძოდ კი – ქართლის სამეფო ჩანდა. პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ფარული შეთანხმება ირანის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების შესახებ.³

ქართლის მეფეს, სამნუხაროდ, გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე და რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში ჩასართავად. ვახტანგმა სათანადო პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინა და სპარსეთში შექმნილი ვითარება ხელსაყრელად მიიჩნია ქვეყნის გასათავისუფლებლად. მის ამ საბედისწერო შეცდომაში გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ ამ საქმეში დახმარებას რუსეთიც სთავა-

¹ **Л. В. Милов, Н. И. Цимбаев.** История России XVIII-XIX веков. Учебное пособие. М., 2006, გვ. 106.

² **А. Цуциев.** Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М., 2006, გვ. 11.

³ **ბ. ასათიანი.** გამოხსნა-აღდგომისაკენ. *რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე*, გვ. 102; **ვ. დონდუა.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, – ნგნ.: **ვ. დონდუა.** საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 6; **ვ. დონდუა.** დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, გვ. 102-106; **Н. П. Ламбин.** История Петра Великого, გვ. 662; **А. Г. Брикнер.** Иллюстрированная история Петра Великого, გვ. 168; ვახტანგ VI-მ, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ა. ვოლინსკისთან კავშირების დამყარება ჯერ კიდევ 1718წ. სცადა. თუმცა ისპაჰანში პეტრეს დესპანი არ ენდო ვახტანგს, როგორც სპარსეთის არმიის მთავარსარდალს (*„ყეენის სპასალარია“* – **დ. გურამიშვილი.** დავითიანი. თბ., 1964, გვ. 51; **ვ. დონდუა.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 62), და თავი შეიკავა რუსეთსა და ქართლს შორის სამხედრო კავშირებზე საუბრისაგან (**С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 700-701). ამასთან ერთად, რუსეთი ჯერ კიდევ შვედეთთან ომით იყო დაკავებული და კავკასიაში გართულებები არ სჭირდებოდა. მით უფრო, რომ 1710-1713წწ. თურქეთთან წარმოებულმა ომმა პეტრეს ნათლად უჩვენა რუსეთისთვის ორ ფრონტზე ერთდროული საომარი მოქმედებების წარმოების მიზანშეუწონლობა (**В. А. Мякотин.** История Петра Великого, გვ. 56-57).

ზობდა.¹

ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან რეალური დახმარების მიღებისადმი იმედი კიდევ უფრო გაცხოველდა ვახტანგ VI-ს პირადი წარმომადგენლის, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში უშედეგო ელჩობის შემდეგ. ამით შეგულიანებულმა ქართლის მეფემ უარი შეუთვალა ისპაჰანს აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად და არც ოსმალეთთან (რომელიც ცდილობდა ქართლში გამაგრებას, რათა აქ რუსები არ შემოეშვა) მოკავშირეობა (ყმობის პირობებით) ირჩია.² არადა, ამის სანაცვლოდ, სულთანი აჰმედ III ვახტანგის ხელისუფლებას ცნობდა ქართლში, კახეთსა და სამცხე-საათაბაგოში.³ ქართლის მეფე 40 000 კაციანი ლაშქრით განჯაში დადგა,⁴ სადაც უნდა შეხვედროდა რუს იმპერატორს, მაგრამ სამთვიანმა ლოდინმა უშედეგოდ ჩაიარა.

თბილისში დაბრუნებულ ვახტანგს პეტრეს წარმომადგენელმა ი. ტოლსტოიმ აცნობა, რომ რუსეთი ქართლს მომავალი წლის გაზაფხულზე აუცილებლად დაეხმარებოდა.⁵ ისპაჰანთან გაფუჭებული ურთიერთობების ფასის კარგად მცოდნე ქართლის მეფემ „უსაფრთხოების გარანტიისათვის“ რუსეთისაგან

¹ ვახტანგ VI-ს გუნდში, რომელშიც ცნობილი პოეტი დავით გურამიშვილიც შედიოდა, გაიდელბულის წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთის იმპერატორზე, რასაც ეს სიტყვებიც ადასტურებს: „*კურთხეულმცა არს ღვთისაგან პეტრეს ჯელმნიფის ხსენება! რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება*“ (დ. გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 48). როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რუსეთის იმპერიის დიპლომატიამ იმდენად წარმატებით იმუშავა ქართლის მეფის კარზე, რომ კავკასიაში პეტრე I-ს მიზნად მათ მხოლოდ და მხოლოდ ერთმორწმუნე ქართველების ხსნა წარმოადგინა (ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 72). თუმცა, ამ ხედვას ყველა არ იზიარებდა თბილისში. მონიანაღმდეგე ფრთა კი, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შეფასებით, სალი შორსმჭვრეტელობით მეფეს ურჩევდა უფრო მეტ სიფრთხილეს გამოეჩინა რუსეთთან კავშირში, რადგან „...მტრები შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების. ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვკდების“ (დ. გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 50; ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 501; ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 73; ვ. დონდუა. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, გვ. 107-108). მაგრამ მეფეს მიღებული ჰქონდა უკვე გადანყვეტილება რუსეთთან ერთობლივი სამხედრო კამპანიის შესახებ: „*ბევრნი ბერს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა? მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!*“ (დ. გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 51).

² ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 304.

³ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 304.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს..., გვ. 75.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 501; ნ. ასათიანი. გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ, გვ. 103-104.

დამხმარე სამხედრო რაზმი მოითხოვა.¹ მაგრამ რუსი გვირგვინოსანი არ ჩქარობდა მისი მიზეზით დიდი განსაცდელის წინაშე მდგარ ქართლში ჯარის გამოგზავნას. თუმცა, იგი ბოლოს მაინც იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოში 2 000 კაცისგან შემდგარი ჯარის გაგზავნაზე და სათანადო ბრძანებაც კი გასცა 1723წ. 19 აპრილს.² როგორც ჩანს, იმპერატორი დაურწმუნებიათ, რომ არზრუმის ფაშა ყარსში ჯარებს თავს უყრის და ქართლში შემოჭრას აპირებსო.³

ამასობაში ქართლის დედაქალაქი კახეთის მეფე კონსტანტინე მამადყულიხანმა (1722-1731) დაიკავა, რომელსაც ვახტანგზე განრისხებულმა შაჰ თამაზ (თაჰმასპ) II-მ (1722-1740) 1723წ. 10 იანვარს ქართლიც ჩააბარა:⁴ „*ჯერ კახეთი, მერმე ქართლი, ორივე ერთად მას უბოძა*“.⁵ ხოლო ოსმალეთის სულთანმა (პეტრეს მსგავსად) გადანყვიტა ესარგებლა იმ ვითარებით, რომ შინაარეულობებით დასუსტებული სპარსეთი ქართლიდან გაეგდო და ამით კიდევ უფრო განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები რეგიონში.⁶ მას მერე, რაც თბილისი კონსტანტინე მეფემ აიღო, მეჭმედ III-მ ქართლის დედაქალაქის დაკავება ბრძანა. თურქი იანიჩარები თბილისში 1723წ. ივნისში შემოვიდნენ.⁷ ვახტანგი დაპირებულ დახმარებას ელოდა, თუმცა, პეტრე ვერც აქ წაადგა მას: როგორც კი თურქთა მიერ ქართლის დედაქალაქის დაკავება ცნობილი გახდა, რუსები უკან გაბრუნდნენ ისე, რომ თბილისამდე არც მისულან.⁸

აღსანიშნავია, რომ პეტრეს მიერ ნაჩქარევად მომზადებულ სამხედრო კამპანიაში მალევე თავი იჩინა გართულებებმა: სტი-

¹ გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში, – სინ. ტ. IV, გვ. 419.

² გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი..., გვ. 419;

³ გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი..., გვ. 419; **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 726.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 306.

⁵ **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 53; კონსტანტინეს დაღესტნელმა მოკავშირეებმა ისე სასტიკად გაძარცვეს ქალაქი, რომ შემდეგ მას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია ძველი კეთილდღეობა (**ვ. დონდუა.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 7).

⁶ **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს..., გვ. 75.

⁷ „*ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ. საცა შეხედისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ*“ (**დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 70); **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 504-505.

⁸ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 307; **ნ. ასათიანი.** გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ..., გვ. 104; **ალ. ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 75.

ქიური უბედურებების გამო რუსული არმია სასურსათო მხარდაჭერის გარეშე დარჩა.¹ თუმცა, ეს ფაქტორი მაინც არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემა, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა ქართლელი მოკავშირე მიატოვა. იმ ეტაპზე, სანქტ-პეტერბურგის კარს სპარსეთი სჭირდებოდა არა საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად, არამედ მხოლოდ საშუამავლო-სავაჭრო საქმიანობისათვის.² რუსეთს ჯერ მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციები იზიდავდა. სწორედ ამიტომ რუსეთს არ აწყობდა სერიოზული გართულებები ამ აღმოსავლურ სახელმწიფოსთან.³ მეორე მთავარი პრობლემა კი ოსმალეთის ფაქტორი იყო, რომლისთვის დაუშვებელი იყო რუსეთის მოახლოება მისი საზღვრების სიახლოვეს. ამასთანავე, სულთანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ინგლისელი, ავსტრიელი, ვენეციელი და ფრანგი დიპლომატები, რომელიც აქეზებდნენ „ბრწყინვალე პორტას“ არ დაეშვა ამიერკავკასიაში (განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ექცეოდა) რუსთა დამკვიდრება.⁴

ევროპას აშინებდა პეტრეს მმართველობის პერიოდში რუსეთის ძლევამოსილების პროგრესირებადი ზრდა და, ამასთანავე, მისთვის დაუშვებელი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება რუსეთის მეშვეობით, თუკი ეს უკანასკნელი ამ სავაჭრო გზის კონტროლს განახორციელებდა. ინგლისელი დესპანი აგულიანებდა აჰმედ III-ს ამიერკავკასიაში რუსეთთან ომის დასაწყებად და პირობას აძლევდა, რომ მისი სახელმწიფო, დანიასთან ერთად, რუსეთთან ომს დაიწყებდა ევროპაში.⁵ მიუხედავად იმისა, რომ პეტრე აპირებდა ქართლში შემოსვლას,⁶ თურქეთთან ომის დაწყების შიშით, ის იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ განზრახვაზე.⁷

1724წ. 12 ივნისს სტამბოლში დადებული ხელშეკრულებით, ოსმალეთი ცნობდა კასპიისპირეთის (დარუბანდიდან ასტრახა-დამდე) რუსეთთან შეერთებას. პეტრე I-მა კი, თავის მხრივ, აღი-

¹ **Н. П. Ламбин.** История Петра Великого, გვ. 663; **Б. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 305; **Б. ასათიანი.** გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ, გვ. 102.

² **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 74.

³ **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს., გვ. 74.

⁴ **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 724; **А. Г. Брикнер.** Иллюстрированная история..., გვ. 172; **Б. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 305.

⁵ **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 731.

⁶ **Н. П. Ламбин.** История Петра Великого, გვ. 663.

⁷ **Б. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო., გვ. 305.

არა თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობა.¹

როგორც ნ. ბერძენიშვილი წერდა, „მჭმუნვარე ვახტანგის“ საგარეო პოლიტიკურმა კურსმა მარცხი განიცადა: *„სამს დიდს ჯელმნიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყეენის სპარსალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა! რუსთ ჯელმნიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!“*² ვახტანგს უფრო მეტი ტი დიპლომატიურობა რომ გამოეჩინა ამ მიმართულებით და არ განემუდღავებინა თავისი აშკარა პრორუსული ორიენტაცია, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ის ოსმალეთთან მაინც აიცდენდა გართულებებს.⁵

სტამბოლის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, 15 ივლისს, „პეტრე I-საგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმნეოდ მიტოვებულს“⁶ ქართლის მეფედყოფილს თავისი ახლობლებით, ოჯახის წევრებითა და 1200 კაციანი ამალით რუსეთში გადახვენა-ლა დარჩენოდა.⁷ თუმცა მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი იმისა, რომ ჩრდილოელი მოკავშირის დახმარებით მალე დაბრუნდებოდა სამშობლოში და სამეფოსაც დაიბრუნებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგს ეს მხოლოდ ოცნებად-ლა დარჩა, რადგან მალე, 1725 წლის 28 იანვარს პეტრე დიდმა, რომელსაც ის ასე ენდობოდა, გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრეები ველარ ატარებდნენ თანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკურ კურსს სამხრეთის მიმართულებით.

რუსი მკვლევარები ნ. მოლჩანოვი და ვ. ბობილევი, პეტრეს „კავკასიურ ლაშქრობებში“ ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა

¹ ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 76; გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, გვ. 421; ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 306; Н. П. Ламбин. История Петра Великого, гв. 668.

² ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 306.

³ რაყამი – წერილი (უფლებრივად უფრო მაღლა მდგომი პირისაგან), ბრძანება, ბეჭედდასმული სიგელი (ივ. გიგინეიშვილი. ლექსიკონი, – წგნ.: ქართული მწერლობა. ტ. VII. თბ, 1989, გვ. 731).

⁴ დ. გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 51.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს..., გვ. 75.

⁶ ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს..., გვ. 75.

⁷ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 307; ნ. ასათიანი. გამოსხნა-აღდგომისაკენ. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრანსკავკასიამდე, გვ. 105-106; „ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჭაზედ ვარდაიარა“ (დ. გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 69); ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა, გვ. 507.

მონაწილეობის საკითხის განხილვისას, ცდილობენ ან მიჩქმა-
ლონ ქართველების წვლილი ამ პროცესში (ნ. მოლჩანოვი) ან, სა-
ერთოდ, უგულვებელსყოფენ (ვ. ბობილევი). ნ. მოლჩანოვი აღნიშ-
ნავს, რომ ამის შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული
გახდა რუსეთში წასულიყო, თუმცა ის არაფერს ამბობს იმის თა-
ობაზე, თუ რამ აიძულა ქართველი მონარქი სამეფო დაეტოვებინ-
ა.¹ ვ. ბობილევი კი საერთოდ ცრუობს, როცა ამტკიცებს, რომ
რუსეთის იმპერატორს არანაირი ვალდებულება არ აუღია ამი-
ერკავკასიის ქრისტიანი ხალხების, პირველ რიგში, ქართველე-
ბის მიმართ.²

აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობამდე, ოსმალეთმა
მის დასავლეთ ნაწილში გარკვეული „პრევენციული ღონისძიე-
ბები“ გაატარა, რაც ამ მხარეში თურქეთის პოზიციების გამყა-
რებას ისახავდა მიზნად. ღრმა შინაგანი კრიზისის მიუხედავად,
ოტომანთა იმპერია იმ ხანებში მაინც ახერხებდა დასავლეთ სა-
ქართველოში თავისი ბატონობის შემდგომ გაძლიერებას.³ იმე-
რეთის მეფედ ამ დროს ვახტანგის აღზრდილი ალექსანდრე V
იჯდა, რომელიც იძულებული იყო, ტახტის შენარჩუნების მიზ-
ნით, თურქებთან, რომელთა ხელდასხმითაც გამეფდა, „მეგობ-
რული“ ურთიერთობები შეენარჩუნებინა და, ამასთან ერთად,
იგი, იზიარებდა რა აღმზრდელის საგარეო პოლიტიკურ კურსს,
თავადაც ამყარებდა რუსეთთან კონტაქტებს.⁴ კერძოდ, 1724წ.
ალექსანდრე V თურქეთისა და ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ
დახმარება და იმერეთის მფარველობაში მიღებას სთხოვდა
სანქტ-პეტერბურგს.⁵ იმერეთის მეფე რუსეთის იმპერატორს
ფულად დახმარებას ითხოვდა და საჭიროდ მიაჩნდა საქართვე-
ლოში პეტრე I-ის ჩამოსვლა.⁶ თუმცა, ქ. ჩხატარაიშვილის სამარ-
მართლიანი შეფასებით, იმერეთის გვირგვინოსნის ეს იდეა არა-
რეალური იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, სტამბოლის
შეთანხმების საფუძველზე, რუსეთმა საქართველო ოსმალეთის
გავლენის სფეროდ აღიარა.⁷

რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის

¹ Н. Н. Молчанов. Дипломатия Петра Великого, გვ. 419-420.

² В. С. Бобылев. Внешняя политика России эпохи Петра I, გვ. 154.

³ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 26.

⁴ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 157.

⁵ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 173-174.

⁶ ტ. გაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1956, გვ. 080.

⁷ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 474.

დროს (1735-1739წწ.), ალექსანდრემ ისევ სცადა რუსეთთან კონტაქტების დამყარება და იქიდან კონკრეტული სამხედრო და პოლიტიკური დანიშნულების დახმარებების მიღება (1737-1740 წლებში ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა). მაგრამ ამ ომის შედეგი რუსეთისთვის ის იყო, რომ 1739წ. ბელგრადის ზავით, მას შავ ზღვაზე ფლოტის ყოლა აეკრძალა.¹ ამის გამო ალექსანდრეს ეს მცდელობანი კვლავ უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის საიმპერატორო კარიდან მას აცნობეს, რომ ამჯერად დახმარების განეევას ვერ შეძლებდნენ, რადგან თურქეთთან საზავო პირობებით იყვნენ შეკრულები.²

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარების გაუარესებას ხელი შეუწყო ვახტანგ მეფის რუსეთში წასვლამ. მას ნათესაური კავშირი ჰქონდა გურიისა და იმერეთის მფლობელებთან და, როგორც დიდად განათლებული და უნარიანი მმართველი, მთელ საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. ვახტანგ VI-ის კარზე თავს იყრიდნენ საქართველოს თითქმის ყველა მხარის მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენლები. იგი XVIIIს. დასაწყისის ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში ქართველებისთვის მებრძოლ პროგრესულ ელემენტთა წინამძღოლი იყო. ამიტომ მის მიერ საქართველოს მიტოვებამ ამ ძალებს იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი მოაკლო.³ სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი, რომომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უარს არ ამბობდა ოსმალების დახმარებაზე მოწინააღმდეგე ფეოდალებთან თუ იმერეთის მეფესთან ბრძოლაში, ცდილობდა, რომ თურქებს მის სამთავროში თავი „კომფორტულად“ არ ეგრძნოთ.⁴ ოდიშარებს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ოკუპანტების შენახვა. 1714წ. მეგრელები და აფხაზები ანიოკებდნენ ანაკლიისა და რუხის ოსმალურ გარნიზონებს.

თურქები, ფაქტობრივად, ხმელეთიდან და ზღვიდან ბლოკადაში იყვნენ მოქცეულნი. საქმე იმდენად გართულდა, რომ ოსმალოებს ციხიდან გამოსვლისაც კი ეშინოდათ. ბოლოს, 182 იანუარმა საერთოდ დატოვა რუხის ციხე. ადგილობრივებისაგან კარგი დღე არც თურქ ვაჭრებს დაადგათ, რომელნიც თავს უსაფრთხოდ არც ზღვაზე და არც ხმელეთზე არ გრძნობდნენ.⁵

¹ Л. В. Милов, Н. И. Цимбаев. История России..., გვ. 210.

² მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 175.

³ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ..., გვ. 463.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 882; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 127.

⁵ ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის..., გვ. 90-92.

საშიშროება ემუქრებოდა ყველას, ვინც ოსმალეთის ტერიტორიიდან შემოდოდა. მაგალითად, 1715წ. მაისში ევროპიდან სამშობლოში მომავალ ს.-ს. ორბელიანს ათინაში უარი უთხრეს მის გურიამდე მიყვანაზე: „აფხაზი აშლილია, მეშინიანო“.¹

ამ მოვლენების აღწერისას რ. აგრბა ვერ უძლებს ცდუნებას, თავი შეიკავოს გადაჭარბებული შეფასებისაგან და აღნიშნავს, რომ აფხაზური ფლოტი სრულად აკონტროლებდა საზღვაო აკვატორიას ტრაბზონ-ანაპას შორის.² აღსანიშნავია, რომ ის აფხაზური „სამხედრო-საზღვაო ფლოტის“ (!) არსებობას XVII საუკუნიდან მაინც იწყებს.³ ავტორის ფანტაზია ამით არ ამოიწურება და ის წერს: «В начале XVIIIв. турецкое правительство приняло широкомасштабную операцию против единственного соперника – Абхазии. Операция проходила по суше и морю*».⁴ რ. აგრბა არ ათარიღებს ამ მოვლენას. საქმე არც 1703 წლის აგრესიას ეხება. მასზე ავტორი რამდენიმე წინადადების შემდეგ იწყებს საუბარს, მაგრამ ისტორიკოსი არ აკონკრეტებს იმასაც, თუ სად – შავ ზღვაზე თუ დასავლეთ ამიერკავკასიაში – მიიჩნევდა „ბრწყინვალე პორტა“ აფხაზეთს „თავის მნიშვნელოვან მეტოქედ“, როგორც ამას რ. აგრბა გვიმტკიცებს. თუმცა, ავტორისთვის ასეთი კონკრეტული მის აშკარად პროპაგანდისტული დანიშნულების ნაშრომში საჭირო ნამდვილად არ იყო.

ისე კი ისტორიულად, არც შავ ზღვაზე და არც დასავლეთ ამიერკავკასიაში აფხაზეთის სამთავრო არ წამოადგენდა ოსმალეთისთვის „მნიშვნელოვან მეტოქეს“. ასე, რომ ეს დაუთარილებელი „ოსმალეთ-აფხაზეთის ომი“ მხოლოდ ავტორის წარმოსახვის შედეგად თუ შეგვიძლია ჩავთვალოთ. თურქებმა პრობლემის მოგვარება მხოლოდ 1719 წლისათვის შეძლეს, რუხში კი წინანდელთან შედარებით სამჯერ შემცირებული გარნიზონი (65 მეციხოვნე) ჩააყენეს.⁵ როგორც ჩანს, ბეჟან დადიანს ჯერ კიდევ

¹ ს.-ს. ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში, გვ. 287.

² Р. О. Агрба. Абхазия и Высокая Порта, – ელექტრონული ვერსია: <http://www.-abkhaziya.org/server-articles/article9ce0b0dfc7d5f2eb7f84cac2377b2f.html>

³ Р. О. Агрба. Абхазия и Высокая Порта, – ელექტრონული ვერსია: <http://www.-abkhaziya.org/server-articles/article9ce0b0dfc7d5f2eb7f84cac2377b2f.html>

* „XVIII საუკუნის დასაწყისში თურქეთის მთავრობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ოპერაცია ერთადერთი მეტოქის – აფხაზეთის წინააღმდეგ. ოპერაცია მიმდინარეობდა ხმელეთსა და ზღვაზე“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁴ Р. О. Агрба. Абхазия и Высокая Порта, – ელექტრონული ვერსია: <http://www.-abkhaziya.org/server-articles/article9ce0b0dfc7d5f2eb7f84cac2377b2f.html>

⁵ ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIIIსს.), გვ. 97; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 127.

არ შეწევდა ძალა სამეგრელოს დედაქალაქთან ახლოს მდგარი ოსმალოები განედევნა, თუმცა მტრის გარნიზონის სამჯერ შემცირება, ეტყობა, სამეგრელოს მთავრისათვის მისაღები იყო.

1721წ. ბეჟანს თურქებმა ალექსანდრე V-ს მეურვეობა დააკისრეს,¹ რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის გამგებლობას გულისხმობდა.² სამეგრელოს მთავრის გავლენა მეფეზე კიდევ უფრო გაძლიერდა მას მერე, რაც თავისი ასული მარიამი ალექსანდრეს მიათხოვა. „არამედ, თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე“, აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი და იქვე განმარტავს, რომ დადიანმა ეს პატივი 12 ქესა ქრთამის სანაცვლოდ მოიპოვა ახალციხის ფაშასაგანო.³ ქ. ჩხატარაიშვილი მიიჩნევს, რომ სამეგრელოს მთავრის ესოდენი დანინაურება თურქების მხრიდან დიპლომატიური სვლა იყო.⁴ ვფიქრობთ, რომ, ამ შემთხვევაში, ფაშა უბრალოდ დახარბდა ამ თანხას და დადიანი მეფის მეურვედ დატოვა. ბეჟანი იძულებული გახდა ორმაგი პოლიტიკა ეწარმოებინა: ერთი მხრივ, იგი თურქეთს „ერთგულედა“, მეორე მხრივ კი – ანტითურქულ ძალებთან კავშირის დამყარებასაც ცდილობდა.

ოსმალებმა განსაკუთრებული მცდელობა დასავლეთ საქართველოს მტკიცედ გასაკონტროლებლად სწორედ პეტრე I-ის კავკასიური ექსპედიციის დროს განახორციელეს, როცა სტამბულმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან მის წინააღმდეგ მოსალოდნელი რეალური საფრთხე შეიგრძნო. 1723 წელს თურქებმა კიდევ უფრო გაამაგრეს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხეები: ციხისძირი, ქობულეთი, სეფი, გრიგოლეთი, ანაკლია, ბათომი, ჩაქვი, ბიჭვინთა, ანაკოფია და ფოთი,⁵ სადაც ორთულიანი ფაშა დასვეს და მას დასავლეთ საქართველოს საზღვაო სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს.⁶ საყურადღებოა, რომ 1727წ. ერთ

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 882.

² ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 461-462.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 881-882.

⁴ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 462.

⁵ ფოთის ციხის აშენებას ვახუშტი 1725წ. ათარიღებს (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 883), თუმცა ტ. გაბაშვილისეული რუკის წარწერებში ეს ფაქტი 1723 წლითაა დათარიღებული (მ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის..., გვ. 196; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 232, შენ. 335).

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 883; ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 345; ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 461-462; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო., გვ. 158.

ოსმალურ საბუთში აღნიშნულია, რომ ფოთის ციხე „აფხაზეთის სანაპიროზე მდებარეობს“.¹ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დოკუმენტის ავტორისთვის, ამ შემთხვევაში, „აფხაზეთი“ შავი ზღვის სინონიმი ყოფილიყო. აქ, აშკარად, საქმე უნდა გვექონდეს ძველი ტრადიციის მეხსიერებასთან, როცა საკუთრივ ტოპონიმი „აფხაზეთი“ სრულიად საქართველოს სინონიმს წარმოადგენდა. ამგვარი ვითარება გვხვდება ბიზანტიელი, არაბი, სპარსელი, რუსი და სომეხი მემამულიანების ნაშრომებში.²

ამასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვთ აფხაზ და რუს ისტორიკოსთა ნაწილს,³ რომელნიც ძველ რუსულ

¹ *ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.)*. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს **ა. ველკოვმა** და **ნ. შენგელიამ**. ტ. II. თბ., 1989, გვ. 104.

² დაწვრილებით ამის შესახებ: **ნ. ლომოური**. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, – კრებ.: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ., 1993, გვ. 83-88; **გ. ჯაფარიძე**. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები, – კრებ.: *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, გვ. 132-134; **გ. ბერაძე**. მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ-ისფანდიარის თხზულებაში, – კრებ.: *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროები*. ნ. I. თბ., 1976, გვ. 10; **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVII სს.). თბ., 1956, გვ. 65-67; **ი. ცინცაძე**. ძველი რუსული მასალები (XI-XVII სს.) საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 15-26; **ე. ცაგარეიშვილი**. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X-XI საუკუნეებში, – კრებ.: *„მრავალთავი“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი)*. ტ. II. თბ., 1973, გვ. 176; **ზ. პაპასქირი**. აზინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან., გვ. 141-142; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე., გვ. 67-70; **შ. ა. Месхия, Я. З. Цинцадзе**. Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958, გვ. 12; **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии., гв. 15-16; **Н. Ф. Котляр**. Грузинские сюжеты древнерусских летописей, – *Из истории украинско-грузинских связей*. Т. III. Тб., 1975, гв. 7-19; **Г. В. Цулая**. «Обези» по русским источникам, – *Журн.: «Советская этнография»*, №2, 1975, гв. 103-104; **Цулая Г. В.**, «Обези» по русским источникам, – *ნგნ.: Г. В. Цулая*. Силуэты Грузии-2, гв. 6-21; **З. В. Папаскири**. К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII в. – *«Проблемы истории СССР»*. Вып. V. М., 1976, гв. 121-123; **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, гв. 111-123; **Г. Г. Пайчадзе**. Названия Грузии в русских письменных источниках. Тб., 1989, гв. 11-60.

³ **С. Басария**. Абхазия в географическом, этнографическом и этнокультурном отношении, гв. 6; **М. О. Скрипиль**. Сказание О Вавилоне граде, – *ნგნ.: Труды отделения древнерусской литературы*. Т. IX. М., 1953, гв. 130-135; **Ш. Д. Инал-Ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки*, гв. 137; **Ш. Д. Инал-Ипа**. Вопросы этно-культурной истории абхазов, гв. 416-417; **А. Л. Папаскири**. Пробле-

საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულ – «Обезь»,¹ «Обези», «Обезы»,² «Обежанин» – მოიაზრებენ “აფხაზეთად” და „აფხაზე-ბად“ თანამედროვე გაგებით.³ თუმცა, გვიანდელი შუა საუკუნე-ების ეპოქაში დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა შექმნილი დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში. „აფხაზეთის კათალიკოსი“ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს ნიშნავს და არა – საკუთრივ აფხაზეთისას.⁴ ჩანს, რომ XVIII ს. I ნახევარში მაინც

мы изучения русско-абхазских литературных связей, – «Труды Абхазского государственного университета». Т. VI. Сухуми, 1988, გვ. 114-129; **В. Кожин**. Южная Русь и Абхазия, – გაზ.: «Абхазия», 13.VIII.1991, გვ. 3; **М. Тхайцухов**. Абазини. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 39-54; **О. Х. Бгажба**, **С. З. Лакоба**. История Абхазии..., გვ. 129; ამ საკითხთან დაკავშირებით, მ. ტიხომიროვის მოსაზრების (*Полное собрание русских летописей*. Т. XXV. М.-Л., 1949, გვ. 440) არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა შ. ინალ-იფა, თითქოს-და რუსი ისტორიკოსი „ობეზებს“ თანამედროვე აფხაზეთთან აიგივებდა (**Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 137). აფხაზი ისტორიკოსის ეს მსჯელობა, თავის დროზე, გააკრიტიკა ზ. პაპასქირმაც, რომელმაც, მ. ტიხომიროვის სხვა ნაშრომების მოშველიებით, დაამტკიცა, რომ დასახელებულ რუს მკვლევარს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სავსებით ნათელი წარმოდგენა ჰქონდა და ის რუსული მათიანების „ობეზებს“ ქართველებად მიიჩნევდა (**М. Н. Тихомиров**. Киевская Русь, – წგნ.: **М. Н. Тихомиров**. Древняя Русь. М., 1975, გვ. 36-37; **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, გვ. 120).

¹ **М. Д. Приселков**. Троицкая летопись. *Реконструкция текста*. М.-Л., 1950, გვ. 237, 307, 368.

² ზემოთ მოყვანილი ორი პოზიციისაგან განსხვავებულ შეხედულებას ავითარებდა ლ. ლავროვი, რომელიც ძველი რუსული წყაროების ამ ეთნონიმში ჩრდილოეთ კავკასიის აბაზებს მოიაზრებდა (**Л. Лавров**. «Обезы» русских летописей, გვ. 170; დანვრ. იხ.: **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических..., გვ. 117-118). ამ მოსაზრებას, ერთგვარად, მხარს უჭერს ე. ალექსეევა, რომელიც მიიჩნევს, რომ ახ. წ. I-II ათასწლეულების მიჯნის რუსული წყაროების „ობეზებში“ მოიაზრებოდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა – „ქართველები, აფხაზები და აბაზები“; ხოლო ნ. ვოლკოვა შენიშნავს, რომ ეს ეთნონიმი, რუსულ წყაროებში, „აფხაზებსა და დასავლეთელ ქართველებსაც“ აღნიშნავს (**Е. П. Алексеева**. Абазини, – წგნ.: *Очерки Истории Карачаево-Черкессии*. Т. I: *С древнейших времен до Великой Октябрьской социалистической революции*. Ставрополь, 1967, გვ. 135-136; **Н. Г. Волкова**. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, გვ. 51-52).

³ როგორც ამ პრობლემატიკის ირგვლივ ჩატარებულმა უახლოესმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, ზოგიერთ არაბულ და სომხურ წყაროებში ეთნონიმი „აფხაზი“ მიემართება იმიერ-კავკასიაში მოსახლე ჯიქებსაც, აფხაზ-აფსუთა მონათესავე ტომებს (**ვ. გოილაძე**. „აფხაზი“ ძველ არაბ და სომეხ ავტორთა თხზულებებში, – კრებ.: *სდ*. ტ. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 107-123. – ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>).

⁴ *Акты*, Т. I, დოკ. №13, გვ. 62; *ქსდ*. ტ. III. გვ. 764; **ს. კაკაბაძე**. დასავლეთ სა-

ოსმალეთში დასავლეთ საქართველოს აფხაზეთადვე მოიხსენიებდნენ.

1725წ. ოსმალოებმა რუხის ციხე დაანგრიეს, ხოლო მისი ქვებით „ალაშენეს უმჯობესად“ ანაკლია, რომელსაც რედუტ-კალე უწოდეს.¹ როგორც ჩანს, ზღვიდან საკმაოდ მოშორებულმა ამ ციხემ მათთვის ინტერესი დაკარგა. მით უფრო, ოსმალთა წინააღმდეგ დადიანს, პირველივე შემთხვევაზე, სწორედ რუხზე მიჰქონდა შეტევა. ამასთანავე, ციხის დარღვევით, რა თქმა უნდა, თურქებმა ოდიშართ მისი დაკავების და გამაგრების შესაძლებლობა მოუსპეს.

ამავე ხანებში თურქებმა გამაგრებითი ღონისძიებები აფხაზეთშიც განახორციელეს. 1724 წელს მათ ააგეს ბასტიონის ტიპის ციხესიმაგრე, რომელსაც სუხუმ-კალე² (ქართ. სოხუმის ციხე) უწოდეს.³ საძირკვლის გარეშე აშენებული ოთხკუთხა ციხის ერთი კედელი ზღვას ებჯინებოდა, დანარჩენი სამი კი ქაობით ყოფილა გარშემორტყმული. ეს ნაგებობა თითქოს თვალნათლივ გამოხატავდა ოსმალთა იმპერიის ან უკვე დაღმავალი დიდების სურათს.⁴

აფხაზურ ისტორიოგრაფიაში (ვ. ფაჩულია, ო. ბლაჟუბა და ს. ლაკობა) მიღებულია ამ ტოპონიმის ძალიან საეჭვო ეტიმოლოგია. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ: «Турки осмысливали это название по-своему, как «су» – вода, «хум» – песок, «кала» – крепость, город*».⁵ მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამდაგვარი ეტიმოლოგია სრულიად დაუსაბუთებელია და მიზნად ისახავს მხოლოდ მიიჩქმალს ტოპონიმ „სოხუმის“ წარმომავლობა შუა საუკუნეების ქართული სახელწოდებიდან – ცხუმი.⁶ ვინაიდან არაბულსა და

ქართველოს საეკლესიო საბუთები. წგნ. II, გვ. 41, 48.

¹ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 883; *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, გვ. 134-135.

² ქართ. „სოხუმის ციხე“ – ვ.ვ.

³ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 175; **Г. К. Шамба.** Древний Сухум (Поиски, находки, размышления), გვ. 95.

⁴ **Л. Н. Соловьев.** Диоскурия-Сébastopolis-Цхум, – წგნ.: *Труды Абхазского государственного музея.* Вып. I. Сухуми, 1947, გვ. 146.

* „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ“ - წყალი, „ხუმ“ - ქვიშა, „კალა“ - ციხესიმაგრე, ქალაქი“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁵ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии, გვ. 224; **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии, გვ. 175; **Г. К. Шамба.** Древний Сухум (Поиски, находки, размышления), გვ. 94; აღსანიშნავია, რომ გ. შამბა, სხვა დასახელებულ ავტორებთან შედარებით, ამ საკითხში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს.

⁶ **ს. ჯანაშია.** საენციკლოპედიო მასალა, გვ. 218; **ვ. ოკუჯავა.** აფხაზეთი XVII

თურქულ ენებში არ არის ასო-ბგერა „ც“ და თანაც სიტყვის დასაწყისში ეს ენები ორ თანხმოვანს ვერ იტანენ (მაგალითად, „თბილისი“ თურქულად უღერს როგორც “Tiflis”),¹ შესაბამისად, „ცხუმი“ გარდაიქმნა „სუხუმად“ და ამ ფორმით გავრცელდა ის ევროპულ ენებში და შემდეგში ქართულშიც.²

თუმცა, საკუთრივ „ცხუმის“ წაკითხვა მხოლოდ „სუხუმად“ მთლად სწორიც არ არის. 1923 წლამდე თურქული დამწერლობა არაბულ ანბანზე იყო დაფუძნებული, რომელიც, როგორც ცნობილია, კონსონატური ტიპისაა და, ძირითადად, მხოლოდ თანხმოვან ასო-ნიშნებს შეიცავს. ამიტომ „ცხუმის“ თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე, არაბული ასო-ნიშანი – و (wāw), რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია: v, o, ō, ö, u, ū, ü.³ შესაბამისად, „ცხუმი“ თურქულად შეიძლებოდა წარმოეთქვათ როგორც „სუხუმ“, ასევე – როგორც „სოხუმ“. სხვათა შორის ნიშანდობლივია, რომ XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ წყაროში წერია სწორედ: «Сокум-Кала»,⁴ «Согум-Кала».⁵ დ. გულია მიიჩნევდა, რომ ქალაქს თურქებმა „სუხუმ“ კი არ უწოდეს, არამედ „სუგუმ“, რაც, მისი აზრით, ნიშნავდა „გუმის (მდ. გუმისთა) წყალს“ და ამის დადასტურებას ცდილობდა იმით, რომ ჯიქები გუმისთას უწოდებდნენ „გუმ-ფსი“.⁶

საკუთრივ ტოპონიმ „ცხუმის“ ეტიმოლოგიას კი, როგორც ცნობილია, ქართულ ენობრივ სამყაროში, სვანურში, აქვს ახსნა და ის „რცხილასგან“ მომდინარეობს.⁷ თუმცა, განსხვავებულ

საუკუნეში, გვ. 86.

¹ <http://tr.wikipedia.org/wiki/Tiflis>

² **კ. ოკუჯავა**. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 86.

³ იხ.: http://ka.wikipedia.org/wiki/ოსმალური_ენა; იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Arabic_alphabet. მაღლობას მოვასხენებთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ანჩაბაძეს ამ საკითხში განეული კონსულტაციისათვის.

⁴ *Новый и Полный Географический Словарь Российскаго Государства, или Лексикон*. Ч. I (А-Ж), გვ. 3.

⁵ *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 294.

⁶ **Д. Гулия**. История Абхазии. Т. 1, გვ. 148.

⁷ **თ. მიძნეუანი**. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის.., გვ. 264; **გ. გასვიანი**. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, გვ. 206; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 27; **კ. ოკუჯავა**. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 86; „ცხუმის“ სვანური წარმომავლობაზე ვარაუდს ნ. ბერძენიშვილიც გამოთქვამდა (**ნ. ბერძენიშვილი**. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 431); ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია მეგრული წარმომავლობისაა: ცხელი (*მეგრ.* ჩხე) – ცხუმი (**ა. დიაჩკოვ-ტარასოვი**. გაგრა

მოსაზრებას გამოთქვამს ზ. პაპასქირიცი, რომელიც არ გამოორიცხავს, რომ „ცხუმი“ შეიძლება ხის ჯიშების მეგრული სახელწოდებებისგან – „თხუმუ“/„ცხიმური“ მომდინარეობდეს.¹ შესაბამისად, „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“ გავრცელებულ „სოხუმ-კალეს“ ე. წ. ეტიმოლოგიას არც ისტორიული და არც ლინგვისტური საფუძველი არ გააჩნია.

სოხუმ-კალეში იჯდა ორთულიანი ფაშა 100 მეციხოვნითა და 10 ზამბურაკით (საციხო თოფი).² მისი პასუხისმგებლობის სფერო ანაკლიის ციხის ხელმძღვანელობასაც მოიცავდა. თუმცა, ოსმალთა ეს სამხედრო-სამშენებლო სამუშაოები მათთვის მშვიდ გარემოში ნამდვილად არ მიმდინარეობდა.

1725წ. სოხუმში ანტიოსმალურმა აჯანყებამ იფეთქა.³ როგორც თურქული წყაროები მოწმობენ, აფხაზები თურქებს ხმელეთიდან და ზღვიდან უტევდნენ.⁴ დამპყრობლებს დიდი ძალისხმევის ფასად მოუგვარებიათ ეს პრობლემა.⁵ ასევე უშედეგოდ დასრულდა აფხაზთათვის მათი მორიგი ანტითურქული აჯანყება 1728 წელსაც.⁶ როგორც მიიჩნევენ, აფხაზთა 1725წ. აჯანყება კავშირში უნდა ყოფილიყო ბეჟან დადიანის, რაჭის ერისთავისა და ზურაბ აბაშიძის ერთობლივ ანტიოსმალურ გამოსვლასთან, რომელიც იმავე წელსვე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვერ განხორციელებულა.⁷

მომდევნო 1726წ. სამეგრელოსა და აფხაზეთში ოსმალებს კვლავ სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ამ არეულობების მოთავე ისევ და ისევ ბეჟან დადიანი ყოფილა.⁸ სულთნის კარზე

და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ზ. პაპასქირმა და ბ. ხორავამ. თბ., 2003, გვ. 65).

¹ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 27.

² *Новый и Полный Географический Словарь Российскаго Государства, или Лексикон.* Ч. I (А-Ж), გვ. 3; შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, გვ. 182; ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 462; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 128.

³ ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии..., გვ. 74.

⁴ ნ. შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974. გვ. 110.

⁵ ნ. შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 110.

⁶ ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии..., გვ. 74.

⁷ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 128.

⁸ ი. გ. პაიჩაძე. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века. Тб., 1977. გვ. 79; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 128.

მიიჩნევდნენ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ანტიოსმალური ამბოხებებისაკენ რუსეთიდან აქეზებდნენ, კერძოდ კი – ვახტანგ VI.¹ სტამბოლში რუსეთის წარმომადგენელს ამის გამო პროტესტიც კი განუცხადეს.²

ანტიოსმალური ქმედებებისათვის „ბრწყინვალე პორტაში“ სამეგრელოს მთავრის მოშორებაც განიზრახეს და 1728 წელს აღასრულეს კიდევაც. ის გეგუთში ახალციხის ფაშას – ისაყის – ძემ იუსუფმა ღალატით მოაკვლევინა.³ ს. მაკალათიას ვარაუდით, ბეჟანის მოკვლით დაინტერესებული თავად იმერეთის მეფე ყოფილა, რომელიც ურჩი ფეოდალების დამორჩილებას ცდილობდა.⁴ როგორც ქ. ჩხატარაიშვილი მიიჩნევს, ოსმალეთის გალიზიანება ბეჟან დადიანის ხელისუფლებით გამონვეული ყოფილა ამ უკანასკნელის მიერ ოდიშში ტყვეთა სყიდვის ნინაალმდეგ ბრძოლით, რომელიც მას 1715წ. დაუწყია.⁵ თუმცა, წყაროებით ეს არ დასტურდება. როგორც 1717წ. ნოემბრით დათარიღებულ გრიგოლ აფხაზთა კათალიკოსისადმი მიცემულ „პირობის წიგნიდან“ ირკვევა, ბეჟან დადიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი ამ დრომდე ნამდვილად არ ყოფილან ტყვეთა სყიდვის ნინაალმდეგ მებრძოლთა რიგებში.⁶

სამეგრელოს ახალი მთავარი ბეჟანის ძე ოტია გახდა.⁷ ამ მოვლენებიდან ორი წლის შემდეგ, 1730წ.⁸ გაზაფხულზე, დასავ-

¹ Г. Г. Пайчадзе. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, გვ. 79; ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 469; ზ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 128.

² ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 475.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 884.

⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 125.

⁵ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 467.

⁶ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო..., ნგნ. II, გვ. 173.

⁷ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 885.

⁸ ვახუშტი ამ მოვლენას 1733წ. ათარიღებს (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 886-887). ამ თარიღს მხარს უჭერენ მ. ბროსე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ინალ-იფა, ო. ბლაჟბა, ს. ლაკობა (მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. ნაწ. II, გვ. 232; ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 345; ო. ხ. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии..., გვ. 175). თუმცა, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად, ეყრდნობა ს. კაკაბაძის მიერ მიკვლეულ ერთ დოკუმენტს, რომელიც ამ ლაშქრობას 1730წ. ათარიღებს (ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 465; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 159; ზ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIს.), გვ. 129; ზ. შაპასჯირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 112).

ლეთ საქართველო კვლავ შეიქნა თურქეთის აგრესიის ობიექტი. სტამბოლში გადაწყვიტეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საბოლოო დაპყრობა და, ამასთან ერთად, აფხაზეთსა და აზოვის ციხეს შორის მცხოვრები მთიელი ტომების, ჯიქების დამორჩილება.¹ რა თქმა უნდა, ამ ოპერაციის მიზანიც რეგიონში, ოსმალეთ-რუსეთ-სპარსეთს შორის არსებული დაპირისპირების პირობებში, სათანადო სტრატეგიული პოზიციების დაკავება იყო, რათა მაქსიმალურად ხელი შეშლოდა რუსეთის გასვლას შავ ზღვაზე და მის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზების კონტროლში ჩართვას.² სანქტ-პეტერბურგის გავლენის გაზგაზრდა ამ რეგიონში, როგორც უკვე ითქვა, ევროპულ სახელმწიფოებსაც არ ეპიტნავებოდათ. ინგლისი და საფრანგეთი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ოსმალეთი რუსეთთან საომრად წაექეზებინათ, მაგრამ სტამბოლი ჯერ კიდევ თავს იკავებდა.³ იმ იმ ხანებში ის შინააშლილობებით მოცულ სპარსეთთან არკვევდა „ურთიერთობებს“ (ამ პერიოდში მათ შორის ორ ომს ჰქონდა ადგილი: 1723-1727 და 1730-1736 წლებში), სადაც რუსეთს ისპაჰანის მხარე ეჭირა.⁴

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა იმთავითვე აუღო ალღო თურქთა მიზნებს და როდესაც ამ სამხედრო კამპანიის ხელმძღვანელმა ფოთის ფაშამ იმერეთის მეფე ალექსანდრე V ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია, ოტია დადიანმა მას ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავშეკავება ურჩია, ვინაიდან ზღვაზე გასასვლელის დაკარგვა ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნებოდა და თან ოსმალთა გამარჯვება ამ სამხედრო კამპანიაში საქართველოზე ბატონობის განმტკიცებასა და კიდევ უფრო დამძიმებას გამოიწვევდა: „*არა კეთილ არს დაპყრობა მათგან ზღვს კიდისა ჩუენთვის*“.⁵ აქედან კარგად ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ მთავრები და თავადები (ცენტრიდანული ძალები) საკუთარ სამფლობელოებში განმტკიცებისათვის ზრუნავდნენ და ამის გამო ებრძოდნენ კიდევაც მეფეს (ცენტრისკენული ძალა), საგარეო ფაქტორიდან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ მათ საერთო-პოლიტიკური ინტერესიც გააჩნდათ. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ასეთი რამ კი სწორედ „ქართველობა“ იყო.⁶ აქ მნიშ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 886; ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 465.

² ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო, გვ. 346.

³ Л. В. Милов, Н. И. Цимбаев. История России XVIII-XIX веков, гв. 205.

⁴ Л. В. Милов, Н. И. Цимбаев. История России XVIII-XIX веков, гв. 205-206.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 886.

⁶ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 347.

მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენ „საქართველოს“ ითვლიდნენ, ამ შემთხვევაში, ლიხთ-იმერელი ფეოდალები. ეს შინა პოლიტიკური საქმე იყო. ოსმალთა მიმართ კი ყველა ეს „საქართველოები“ მაინც ერთი იყო.¹ მაგრამ, ამ ვითარებაში, იმერეთის მეფეს განსხვავებული მოსაზრება აღმოაჩნდა და იგი, ოსმალოების ძალებით, განდგომილი დიდებულების დამორჩილებას იმედოვნებდა.² განსაკუთრებით, მას ოდიშის მთავრის დასჯა სურდა.³ როგორც მარი ბროსე მიიჩნევდა, ალექსანდრე ოსმალთა ლაშქრობას დადიანთან მტრობის გამო შეუერთდა.⁴ ოტიას იმთავითვე დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა იმერეთის მეფესთან და შურისძიებაც კი უნდოდა მამამისის მკვლელობისთვის.⁵ მართალია, ურჩ ფეოდალთა ალაგმვა და ქვეყნის გაერთიანების მცდელობა ურიგო საქმე არ იყო, მაგრამ მან მაშინ ვერ შეძლო იმ საფრთხის დანახვა, რაც მისმა მტერმა, ოტია დადიანმა დაინახა.

თურქებმა მოარბიეს სამეგრელო, რადგან ოტია დადიანი ოსმალებს არ შეუერთდა, გადანვეს წმიდა გიორგის სახელობის ილორის განთქმული ეკლესია⁶ და აფხაზეთში შეიჭრნენ. აფხა-

¹ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 346-347.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 886; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 159; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 129.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა, გვ. 886

⁴ მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. ნაწ. II, გვ. 232.

⁵ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 162-163.

⁶ XI საუკუნეში აგებული ეს ტაძარი აბჟუასა და სამურზაყანოში ყველაზე ძლევამოსილ, სამართლიან და სასწაულმოქმედ საკულტო ნაგებობად ითვლებოდა (Н. Абакелия. О местных культовых..., გვ. 361; Д. Туманишвили. Средневековая церковная архитектура в Абхазии, – კრებ.: *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, გვ. 385). მას დიდძალ და ძვირფას შესანიშნავებს უგზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (*Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходоов.* – გაზ.: *«Кавказ»*. № 13, 1869, გვ. 3). 2010წ. სეპარატისტულ აფხაზეთში განხორციელდა ილორის ეკლესიის „რესტავრაცია“. ბუნებრივია, ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სეპარატისტებსა და მათ დამკაშებს კრემლიდან და საჭირო იყო მათთვის ამ „ლაფსუსის“ „გამოსწორება“, რაც ვანდალური მეთოდებით განხორციელდა კიდევაც. ამ „რესტავრაციის“ შედეგად, ტაძრის ფასადი შეეთურებული იქნა, რის შედეგად დაიფარა ქართული წარწერები და ეკლესიას დაედგა რუსული ეკლესიისთვის დამახასიათებელი გუმბათი. ამასთან ერთად, ტაძარს დამატებული აქვს ქართული არქიტექტურისთვის უცხო რელიეფური ელემენტები (იხ.: *საქართველო აფხაზეთში ილორის ეკლესიის მიმართ განხორციელებული ვანდალიზმის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს*, – ელ. ვერსია: http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=59465). რა თქმა უნდა, ოკუპანტები და სეპარატისტები ამგვარი ვანდალური ქმედებებით ცდილობენ აღმოფხვრან აფხაზეთში ქართველთა მოსახლეობისა და

ზებმა ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწიეს ილორ-კოდორის მიდამოებში, თუმცა დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ მტერს დამორჩილებოდნენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ გაამაჰმადიანეს აფხაზეთის მთავარი¹ ლევან შარვაშიძე² და „ყოველნი მასთან მყოფნი სრულიად“.³

საბოლოოდ, ოსმალთა ეს ლაშქრობა თავად ორგანიზატორთათვის სავალალოდ დამთავრდა: ფოთის ფაშას აფხაზეთიდან გამოეცა იმერეთის მეფე, რომელსაც ჯიქეთსა და აზოვში გალაშქრება მოსთხოვეს.⁴ ეს მოთხოვნა კი, ნიკო დადიანის თქმით, „გარნა მძიმედ აღუჩნდა ესე მეფესა“.⁵ ის მიხვდა, რომ ამ კამპანიაში თურქთა გამარჯვება მათი უღლის კიდევ უფრო დამძიმებას გამოიწვევდა.⁶ ეს სურათი მისთვის მით უფრო ნათელი მას შემდეგ შეიქმნა, როცა დაინახა, თუ რა დაემართა ოსმალთაგან დამარცხებულ შარვაშიძესა და მის ხალხს.⁷ შემდეგ ოსმალოებს აუჯანყდა ძალად გაამაჰმადიანებული შარვაშიძე. აჯანყებულმა აფხაზებმა დაამარცხეს მტერი. ოსმალთა მცირე ნაწილი გადაურჩა ტყვეობას თუ სიკვდილს.⁸

ამის შემდეგ, ვახუშტის ცნობით, „დაიპყრეს აფხაზთა თჳსივე სჯული“.⁹ ქ. ჩხატარაიშვილი აღნიშნავს, რომ აფხაზები ქრისტიანობას დაუბრუნდნენ,¹⁰ ჯ. გამახარია კი ცდილობს, კიდევ უფრო დააკონკრეტოს ეს და ვარაუდობს, რომ „ამ შემთხვევაში საუბარია არა ახლადჩამოსახლებულ დრანდისა და მოქვის გამანადგურებელ წარმართ აფსუებზე, არამედ შუა სოფელში, აბჟუ-ში ბლომად დარჩენილ ქრისტიან ქართველ აფხაზებზე“.¹¹

მათი კულტურის ყველანაირი კვალი.

¹ ამ დაზუსტებას ნ. დადიანი იძლევა, როცა შარვაშიძის გვერდით წერს: „ზუფუს მპყრობელი“ (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 175).

² ლევან შარვაშიძეს ჰამიდი უწოდეს (Ю. Чиковани. Род Абхазских Князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование). Тб., 2007, გვ. 37).

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 886-887.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 887.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 175.

⁶ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 159.

⁷ ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო..., გვ. 347.

⁸ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 887; ნ. ბერძენიშვილი. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 345-346; „არამედ ძლევისა ამას იტყოდინ სასწაულსა წმიდისა გიორგისა ილორისასა, რამეთუ ლამესა ამას ეტყოდა აფხაზთა განსლვად და განადლიერებდა მათ ბრძოლად“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 887-888).

⁹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 887.

¹⁰ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ..., გვ. 470.

¹¹ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 296-297.

ვფიქრობთ, ამგვარი კატეგორიული დასკვნები მთლად მისაღები არ უნდა იყოს. აქ გასათვალისწინებელია ვახუშტი ბატონიშვილის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ის აღნიშნავს, რომ აფხაზთათვის ისლამის მიღება მტრის მიერ თავს მოხვეული და ძალდატანებითი აქტი იყო.¹ ამასთანავე იგი არ აკონკრეტებს, თუ რას გულისხმობდა ის აფხაზთა „სჯულში“. აქვე უნდა გავიხსენოთ მისი ცნობები აფხაზთა სარწმუნოების შესახებ, რომელსაც ის ერთგვარი გაორების (ქრისტიანობა და წარმართობა) თვისებით ახასიათებს.² ამასთანავე, თურქებმა გაამაჰმადიანეს „ზუფუს მპყრობელი“ შარვაშიძე, ანუ იმ მხარისა, რომელიც იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულთა სიმრავლით გამოირჩეოდა (გგულისხმობთ იმას, რომ შარვაშიძის ლაშქარში მხოლოდ აბუუსის მოსახლეობა როდი იქნებოდა, თუმცა მათ შორისაც საკმაოდ იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელებიც). ამიტომ, არაა გამორიცხული თავად წარმართებსაც უარი ეთქვათ ძალად თავს მოხვეულ სარწმუნოებაზე. თუმცა, საკუთრივ მთავარი, აშკარაა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ აფხაზეთში დაბრუნებული გამაჰმადიანებული ზურაბ შარვაშიძის ხელახალი მონათვლა და მთავრად გამოცხადება ილორის ტაძარში ხდება **აფხაზთა** მიერ.³ როგორც ჩანს, ქრისტიანული აღმსარებლობა აფხაზეთის მთავრობის მიღების ჯერ კიდევ აუცილებელი წინაპირობა იყო.

აფხაზეთში ამ წარუმატებლობის მიუხედავად, მოკლე ხანში ოსმალებმა მაინც შეძლეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება. აფხაზეთი იყო ის ერთადერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოსი, სადაც თურქებმა მოახერხეს ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალურად დამორჩილება და აქაური პოლიტიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლები კონტროლი.⁴ ისინი სულ უფრო აქტიურად ერეოდნენ სამთავროს საშინაო საქმეებში და მხარს უჭერდნენ ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების მონინაალმდეგე ძალებს.⁵ ასეთად ძიაფშ-იფათა ძლიერი და გავლენიანი საგვარეულო ჩანდა. თურქებმა მოახერხეს მათი ნაქეზება აფხაზეთის მთავრის, მანუჩარ შარვაშიძის, წინააღმდეგ ასაჯანყებლად.⁶ როგორც ჩანს, ძიაფშ-იფებმა სტამბოლიდან დაპირება

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 887.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 786.

³ К. Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии., გვ. 361-362.

⁴ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში., გვ. 26.

⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 131.

⁶ И. Г. Антелава. Очерки по истории..., გვ. 75-76; О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.

დაპირება მიიღეს, რომ აფხაზეთის მფლობელობას ხელთ ჩაიგდებდნენ. მათ მალე შეექმნათ საამისოდ ხელსაყრელი პირობები, ვინაიდან ოსმალებმა დაუმორჩილებელ შარვაშიძეთა სახლის პირველი პირები – მანუჩარი მისი ძმებითურთ (შერვანი და ზურაბი) თურქეთში წაიყვანეს და ისლამის მიღება აიძულეს კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.¹ ამ ვითარებაში, აფხაზეთის გამგებლობა კი სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის – ასლან-ბეი გეჩისა და შარვაშიძეთა მეტოქეების თავად ძიაფშ-იფების ხელში გადავიდა.²

მათ დაიკავეს სოხუმის მიმდებარე მხარე და აიძულეს მოსახლეობა, რომ სამთავრო გადასახადები მათთვის მიეცათ.³ როგორც ჩანს, ძიაფშ-იფათას გაძლიერებამ აფხაზეთის სხვა წარჩინებულებში უკმაყოფილება გამოიწვია და სტამბოლს გარკვეული სირთულეები შეექმნა იქ პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით. აფხაზები სულთნისაგან შარვაშიძეების დაბრუნებას ითხოვდნენ, «чтобы владетельския права не выходили из фамилии Шервашидзе*».⁴ ამიტომ ოსმალები იძულებული გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ და შარვაშიძეებმაც მალე მოახერხეს მათთან შეთანხმება. თუმცა მანუჩარ შარვაშიძეს, სულეიმან-ფაშად ქცეულს,⁵ აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ მისცეს და იგი ბათუმის ბეგად დასვეს,⁶ ხოლო შერვანი კი,

История Абхазии, გვ. 176.

¹ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, часть 2. Тфл., 1904, გვ. 539-540; **С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 97-98.

² **ქ. ჩხატარაიშვილი**. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 469.

³ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, часть 2, გვ. 540.

* „რათა სამთავრო უფლებები შარვაშიძეთა გვარისაგან არ გასულიყო“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

⁴ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, часть 2, გვ. 540.

⁵ **Ю. Чиковани**. Род Абхазских Князей Шервашидзе (*Историко-генеалогическое исследование*), გვ. 37.

⁶ აფხაზეთის სამთავრო სახლის ეს შტო ადგილობრივ ოსმალურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს – ბათუმის საბეგლარბეგოს ჩაუდგა სათავე-

ფაშის ტიტულით, განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოღმა“.¹

მანუჩარისა და მისი ძმების ოსმალეთში გადასახლებას ირ. ანთელავა ხრესილის ომის შემდგომი წლებით ათარილებდა და ვარაუდობდა, რომ ეს იყო მათი სასჯელი იმისთვის, რომ ხელი არ შეუშალეს მათ ნათესავს, სამურზაყანოს მფლობელს ხუტუნია შარვაშიძეს, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მხარეს ბრძოლაში.² ბ. ხორავა და ზ. პაპასქირი კი ამ ამბებს უკავშირებენ თურქთა გავლენის გაძლიერებას აფხაზეთში XVIII საუკუნის 30-იან წლებში.³ გადამეტებულად გვეჩვენება ირ. ანთელავას მოსაზრება, რომ ეს იყო სასჯელი სამურზაყანოს მფლობელის ანტიოსმალური ორიენტაციისთვის. საეჭვოა, მათ დაესაჯათ მთელი ოჯახი, მით უფრო, რომ სამურზაყანო არ შედიოდა აფხაზეთის სამთავროს შემადგებლობაში.

აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ ზურაბმა შეძლო, რომელმაც სოხუმის ბეგობა ჩაიბარა.⁴ იგი ფაქტობრივად აფხაზეთის მთავარი გახდა, როდესაც კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათვლით და მოსახლეობამ მთავრად აღიარა.⁵ ჩანს, ოსმალოები არ შეეწინაღმდეგნენ მათი ვასალის ქრისტიანობისკენ შებრუნებას. ამასთან

ში (რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე. ბათუმი, 1998, გვ. 3). აჭარაში მოსახლე შარვაშიძეების მეხსიერებაში შემორჩენილია ცნობა, რომ მათი წინაპარი აფხაზეთიდან იყო მოსული (რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე, გვ. 13). შარვაშიძეთა ერთი ნაწილი, რომელიც შუახვევის რაიონის სოფელ ნაბლანაში ცხოვრობს, განსხვავებულ ცნობებს ინახავს და წინასამშობლოდ საქართველოს სხვა ისტორიულ კუთხეს – ტაო-კლარჯეთს ასახელებს (რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე, გვ. 6). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მკვლევარიც, რომელიც აჭარელ შარვაშიძე-შერვაშიძეებს XV-XVII სს. სწორედ სამხრეთ საქართველოდან მოსულად მიიჩნევს (რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე, გვ. 13). აღსანიშნავია, აჭარაში მოსახლე შარვაშიძეებისგან გვარის ამ ფორმას მხოლოდ ზემოხსენებულ სოფ. ნაბლანაში მცხოვრებნი ატარებენ, სხვები კი – შერვაშიძეებად იწოდებიან (რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე, გვ. 4).

¹ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ... გვ. 469.

²И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 75-76.

³ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 131; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული..., გვ. 112.

⁴Утверждение Русскаго..., გვ. 540; ნიშანდობლივია, რომ ზურაბისადმი კეთილგანწყობილი იყვნენ ქართველებიც, რასაც ადასტურებს ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ბესიკ გაბაშვილის სიტყვები: „მასში-ოდა, ზურაბ, შენისა სიბრძნისა სიბერე, და ამაღ მიყვარდი, რომ შენის ძველის სახლის ზღუდესა ახლის შენობის პირი ედგა“ (ბესიკი. რუხის ბრძოლა, – წგნ.: ბესიკი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი და რედაქცია ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიასი. თბ., 1962. გვ. 124).

⁵ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 131.

ერთად, მისი მონათვლა ილორშიც, რომელიც სამურზაყანოს ტერიტორიაზე მდებარეობდა, ეტყობა, სტამბოლსაც ანუცობდა, რადგან მათი ვასალის ავტორიტეტის გაზრდა ქრისტიანულ ენგურ-ლალიძგის შუამდინარეთში, ერთგვარად უნდა ნადგომოდა ოსმალეთის ინტერესებს ამ მხარეში და, რაც, ალბათ, საფუძველი იქნებოდა მომავალში ოდიშზე აგრესიისათვის. მაგრამ ზურაბი მორჩილი ვასალის როლის მორგებას როდი გეგმავდა. ის ხელსაყრელ სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნას ელოდა ახალი ანტიოსმალური აჯანყებისათვის. ის, რომ შარვაშიძეები ისევ ქართული მიწების (ბათუმის, ფოთის) გამგებლებად დააყენეს, გამონვეული იყო იმით, რომ ოსმალებს უნდოდათ ადგილობრივი მოსახლეობის და მისი ენის მცოდნე ჩინოსნის მივლინება იქ. ამასთანავე, საკუთრივ ძმებიც მონადინებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ, თუნდაც ამ გზით, დაბრუნებოდნენ სამშობლოს. როგორც ჩანს, შერვანთან და ზურაბთან შედარებით, მანუჩარი უფრო გავლენიანი და ძლიერი პიროვნება იყო და სტამბოლს მისი მეტად ეშინოდა. ამიტომ მას ბათუმი ჩააბარეს და არა ფოთი, საიდანაც შეიძლებოდა აქტიური კონტაქტები დაემყარებინა დასავლეთ საქართველოს ანტიოსმალურ ძალებთან. ამასთან, მას, როგორც უფროს ძმას, ბეგის ტიტული მისცეს, მაშინ როცა უმცროსი, შერვანი, ფაშა გახდა. ოსმალები ამ გზით ძმებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ შარვაშიძეთა ეს შტო თურქთა სამსახურში ჩადგა, ოსმალთა საბოლოო მორჩილებას მაინც არ აპირებდა.¹ მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს იმერეთის მეფესთან და სამეგრელო-გურიის მთავრებთან. მათ შორის მოყვრული კავშირი გაიბა, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. შარვაშიძეთა ასულები შეირთეს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა,² კაცია II დადიანმა და გურიის თავადმა გიორგი თავდგირიძემ. სამნუხაროდ, ამას საბოლოოდ რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. აფხაზეთიდან თურქთა განდევნა ვერ მოხერხდა.³ მსგავსად საქართველოსათვის წართმეული სამხრეთი კუთხეებისა (სამცხე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა), იქაც ოსმალთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობდა.⁴

აფხაზეთის ფეოდალური დაქუცმაცეულობის პირობებში

¹ ჯიქეშია შარვაშიძის უფროსი ძის – ლევანის – შვილები იყვნენ (Ю. Чикова-ни. Род Абхазских Князей Шервашидзе, გვ. 37).

² ტახტი სამჯერ ეჭირა: I – 1752წ., II – 1753-1766წწ., III – 1768-1784წწ.

³ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (სს. – 1921წ.), გვ. 297.

⁴ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 26.

ოსმალთა დამპყრობელთა ძალადობამ ამ მხარის დაქვეითება გამოიწვია.¹ თურქებმა იქ ისლამის დამკვიდრებისათვის დაიწყეს ზრუნვა. მართალია, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთში მაჰმადიანობამ ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ ქრისტიანობაც შესუსტდა და, ამ მდგომარეობაში, შესანიშნავი ნიადაგი შეიქმნა ძველი, წარმართული სარწმუნოების ასაღორძინებლად.² ეს ვითარება შეშფოთებას იწვევდა საეკლესიო წრეებში. დასავლეთ საქართველოს ანუ „აფხაზთა“ კათალიკოსმა გრიგოლ II ლორთქიფანიძემ (1712-1742) კათოლიკე ბერს ჟან რიშარს, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანთან ერთად, ევროპაში მიემგზავრებოდა, მისიონერების გამოგზავნა სთხოვა, „რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში“.³ საყურადღებოა, რომ ქრისტიანობას ყველაზე მძიმე მდგომარეობა აფხაზეთში ჰქონდა და ის უკვე წარმართულ მხარედაც მოიხსენიება. ნაკლებად დამაჯერებელი უნდა ჩანდეს ის, რომ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოში სავალალო მდგომარეობა ყოფილა სასულიერო კადრების მხრივ, რადგან მისი მეთაური, ასე რომ ვთქვათ, „დამხმარე ძალებს“ ითხოვდა სამისიონერო მოღვაწეობისათვის.

ვფიქრობთ, ამ საკითხს სხვა კუთხით უნდა შევხედოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კათოლიკე მისიონერები, გარკვეულ წილად, ევროპის სახელმწიფოთა და რომის პაპის ელჩებად და წარმომადგენლებად მოიაზრებოდნენ. როგორც ჩანს, კათალიკოსი გრიგოლ II კათოლიკე მისიონერთა მოზიდვით ცდილობდა დასავლეთ საქართველოს მიმართ რომის პაპისა და ევროპის გავლენიან სახელმწიფოთა (განსაკუთრებით – საფრანგეთის) ყურადღება მიეპყრო. ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა აბჭუეულ აფხაზთა ქრისტიანობას საეჭვოდ მიიჩნევენ.⁴ მაგრამ ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში ზურაბ შარვაშიძის მონათვლის ფაქტი, ვფიქრობთ, აფხაზ ისტორიკოსთა ამ დასკვნას ეჭვის ქვეშ აყენებს.

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 41; **Г. З. Анчабадзе.** Князья Шервашидзе-Чачба (*К истории феодального рода*), – წგნ.: **Ю. Чиковани.** Род Абхазских Князей Шервашидзе (*Историко-генеалогическое исследование*), გვ. 10.

² **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 65.

³ **მ. თამარაშვილი.** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს **ზ. ალექსიძემ** და **ჯ. ოდიშელმა.** თბ., 1995, გვ. 649-651; დოკ. №17, 21, 30, 56. – *საბჭოთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი).* ნაწილი I, გვ. 128, 149-150, 184, 304-305.

⁴ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времен до наших дней*, გვ. 178.

თურქთა გაბატონებისა და ქრისტიანობის ფაქტიური განდევნით აფხაზეთის კულტურული ცხოვრებაც დაქვეითების გზით წავიდა ისევე, როგორც ეს საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მოხდა, რომელიც უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოექცნენ. აფხაზეთში საქალაქო ცხოვრებაც დაკნინდა, რამაც შედარებით ჩამორჩენილ მთიან მხარეთა მნიშვნელობის გაზრდა გამოიწვია.¹

ამ სავალალო ვითარებას, ერთგვარად, გარიდებული იყო სამურზაყანო, სადაც, XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სამხედრო-პოლიტიკური ქარტიცილების ჩაცხრობის შემდეგ და მურზაყან შარვაშიძის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შედეგად, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს უბრუნდებოდა. მის გარკვეულ დაწინაურებას აფხაზეთის სამთავროს დანარჩენი ნაწილებთან შედარებით, განაპირობებდა სამურზაყანოზე სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური ზეგავლენა. ამასთან ერთად, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ის ოდიშსა და სხვა სამთავროებთან, თუ იმერეთის მეფესთან მიმდინარე შინაომებს მოშორებული იყო. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, სამურზაყანო ამისგანაც, გარკვეულ წილად, გარიდებული ჩანს ოდიშის გავლენის ქვეშ ყოფნის გამო. სწორედ ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის მთავარმა 1730წ. აგრესიის დროს ოსმალებს წინააღმდეგობა ილორ-კოდორის მონაკვეთში ანუ აბჟუს ტერიტორიაზე გაუმართა.

XVIII ს. II ნახევრის დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც დაუკავშირდა იმერეთის ტახტზე ალექსანდრე V-ის უფროსი შვილის, 17 წლის, სოლომონ I-ის ასვლას. მტკიცე ნებისყოფის, მხნე და მამაცი ახალგაზრდა მონარქი მამის პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი იყო. სოლომონმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ქვეყანაში ისლამის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო.² ეს ის მნიშვნელოვანი პრობლემები იყო, რომელიც იმერეთის სამეფოს აწუხებდა. ყოველივე ეს ქმნიდა საფუძველს იმისათვის, რომ ხალხი მეფის ირგვლივ დარაზმულიყო. ამით მეფემ თავის მოღვაწეობას მტკიცე დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისათვის იბრძოდა დასავლეთში,³ ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ამას აკეთებდა ერეკლე II.

¹ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 470.

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VI, გვ. 409–410.

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, 410.

სოლომონმა თავის ქვეშევრდომებს მკაცრი ჯარიმითა და სიკვდილით დასჯით აუკრძალა ტყვეთა მიყიდვა ოსმალთათვის.¹ მიუხედავად ამისა, ტყვეთა სყიდვა მაინც გრძელდებოდა და 1759 წლის დეკემბერში სოლომონმა თავის ქვეშევრდომებს კვლავ ჩამოართვა ფიცია „საქმიანობის“ შეწყვეტისათვის: „*მოგართვით თქუჴნ მეფეს სოლომონს მე დადიანმან კაციათ, მე გურიელმან მამიამ,² ბატონის-შვილმა გიორგიმ, ბატონის-შვილმა თეიმურაზ, ერისთავმან როსტომ, დადიანის-ქემ მანუჩარ, ნიკოლოზ, გიორგიმ, გურიელის-ქემ გიორგიმ, ნულუკიძემ, ერთობით წერეთელმან, ერთობით მიქელაძემ, ერთობით აბაშიძემ, ერთობით ნიჟარაძემ, ამის შვილმან, იასშვილმან, ლორთქიბანიძემ, მხეიძემ, ლოლაბერიძემ, მაჭავარიანმა, მესხმან, ავალიან-იოსელიანმან და ერთობით იმერმან, დიდმან და მცირემან; ოდიშართ-ლეჩხუმთა ჩიჩუამ გიორგი, ჩიქუანმან, ფალავამ, ახვლედიან, ასათიან, აფაქიძე, მხეიძე, და ჩიქუანმან, დგებუაძე, ჩიჯავაძე, ჯაიან-ქოჩაქიძე, მიქაძე, ჯოლიამ, შელიამ, ქართველის-შვილ³ საჯაიამ და ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან; გურულ-ერისთავ მაჭუტაძემ, ნაკაშიძემ, შალიკაშვილმა, ერთობით ჟორდანიამ, გუგუნავა და ერთობით თათის-შვილმა, გურულმან, დიდმან და მცირემან“.⁴*

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალში არსად ჩანან სამურზაყანოს მფლობელები. მართალია, აქ არც შარვაშიძეთა სახლის სხვა წამომადგენლები და არც აფხაზეთის სამთავროს დიდებულების გვარებია ნახსენები, მაგრამ სამურზაყანოელ შარვაშიძეთა არყოფნა მაინც ყურადღებას იქცევს, ვინაიდან ისინი, ფაქტობრივად, ოდიშის მფლობელობის ქვეშ იყვნენ. მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, რომ ისინი მოიაზრებოდნენ იმ ზოგად ფორმულაში, როგორცაა „ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან“. როგორც ჩანს, მურზაყანის შთამომავლები (მისი შვილი ხუტუნია, შვილიშვილი ლევანი) წინაპრის საქმის ღირსეული გამგრძელებლები ყოფილან და გარიდებული იყვნენ ამ „საქმიანობას“.

ამგვარი აქტიური სვლებით, ბუნებრივია, ახალგაზრდა მეფემ მტრები გაიჩინა როგორც ოსმალებში, ასევე – ქართველ ფე-

¹ **ზ. ცქიტიშვილი.** საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი. XVIIIს. II ნახევარი – XIX საუკუნის დამდეგი. თბ., 1980, გვ. 6-7; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 181.

² მამია IV გურიელი.

³ რუსულ თარგმანში ამ გვარს გვერდით კითხვის ნიშანი უდგას.

⁴ *Акты*, Т. I, დოკ. №7, გვ. 56-57.

ოდართა იმ ნაწილში, რომელიც ტყვეთა სყიდვით იყო დაკავებული.¹ 1757 წლის 14 დეკემბერს ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე, სოლომონსა და მასთან გაერთიანებულ პროგრესულ ძალებს დაუპირისპირდა ოსმალთა და ქართველ მოღალატე დიდებულთა ალიანსი.² ბრძოლა მეფის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ამ ომმა 22 წლის სოლომონის შესაშური მხედართმთავრული ნიჭიერება გამოავლინა.³ იმერეთის მეფემ ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა დაიწყო თავისი ქვეყნის გასათავისუფლებლად.⁴

ხრესილის ბრძოლაში გამიჯნულად დაიღუპა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე, „რომელმანცა სამაგალითოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალნი“.⁵ როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, სამურზაყანოს მფლობელი და მისი რაზმი ოდიშართა ლაშქრის შემადგენლობაში იყვნენ: „გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათვან მხლე მისი შარვაშიძე ხუტუნია მოკლეს“,⁶ რაც ხაზს უსვამს სამურზაყანოს დამოკიდებულ, ვასალურ, მდგომარეობას ოდიშის მიმართ. სამურზაყანოს სახელოვანი გმირი ბედიის მონასტრის ეზოში დაკრძალეს.⁷

ეს ფაქტი კიდევ უფრო უნდა ამაგრებდეს ჩვენს მოსაზრებას სამურზაყანოზე ოდიშ-აფხაზეთის „კონდომინიუმის“ თაობაზე, თუმცა – სამეგრელოს ერთგვარი უპირატესობით:⁸ დადია-

¹ ა. კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, გვ. 195.

² რამდენიმე ისტორიულ წყაროში (შემოქმედის გულანი და ერთ-ერთი კინკლოსი) ხრესილის ბრძოლა 1758 წლითაა დათარიღებული (დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 137; **Е. С. Такайшвили.** Исторические приписки двух кинклосов и хронологический перечень по некоторым другим источникам, – **СМОПК.** Вып. 21. Тфл., 1896, გვ. 63). თუმცა, ერთ „კონდაკზე“ მიწერილ ქრონოლოგიურ ჩამონათვალში 1756 წელია მოცემული (**Е. С. Такайшвили.** Исторические приписки двух кинклосов и хронологический перечень по некоторым другим источникам, გვ. 55).

³ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 178; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 412-413.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 413.

⁵ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

⁶ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

⁷ **ჯ. შონია.** ბედია-საქართველოს ერთიანობის სიმბოლო, – გაზ.: „იბერია-სპექტრი“. №348, 20-26.XII.2000.

⁸ **ა. ტულუში.** აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის. არარსებული აფხაზეთის სამთავროს საკითხი. ზუგდიდი, 2001, გვ. 70; **თ. ბერაძე.** ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, სამ-

ანის პოლიტიკური გავლენა ვრცელდება სამურზაყანოს ტერიტორიაზე, რომლის მმართველი არის „მხლე“ დადიანისა და სამეგრელოს მთავრის ლაშქრობაში ლეზულობს მონაწილეობას.



ბედის ბარძიმი

თავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 224; აკ. ჩიქობავა. ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689წ. იტალიური რუკის მიხედვით, – სძ. ტ. VIII-IX, გვ. 159. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>.

§2. სამურზაყანო ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდში

ხუტუნიას ორი ვაჟიშვილი დარჩა: ლევანი (ლეონ) და სოლომონი.¹ მამის გარდაცვალების შემდეგ სამურზაყანოს სათავეში მისი უფროსი ძე ლევანი ჩაუდგა, რომელიც ისტორიაში მეტად აქტიური პოლიტიკოსის სახელით შევიდა.

ხუტუნია შარვაშიძის მემკვიდრეებს, როგორც ჩანს, გარკვეული უთანხმოება მოსვლიათ სახასო მამულების ფლობასთან დაკავშირებით. ამ კონფლიქტის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს თ. ჭიჭინაძის მიერ მოპოვებულ საბუთში მოცემული მინიშნება ხუტუნიას შემდგომ ძმების მიერ სახასო მამულების განაწილების თაობაზე. დოკუმენტის ავტორი არ ამბობს, რომ ამ გადაწილების საფუძველი იყო მათი მამის ანდერძი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ძმებს შორის მართლა ჰქონდა ადგილი გარკვეულ უთანხმოებას, მაგრამ ეს დავა მათ, საბოლოოდ, ყოველგვარი გართულების გარეშე გადაუჭრიათ: ლევანსა და მის მემკვიდრეების წილად დადგენილა სოფელი ბეღია, სოლომონისა და მისი შთამომავლებისთვის კი – ბარბალო (კოკი).

მესამე სოფელი – ფახულანი – უშუალოდ არც ერთის პირადი საკუთრება არ გამხდარა. ძმები შეთანხმებულან, რომ ის იქნებოდა სამურზაყანოს მმართველის საზაფხულო რეზიდენცია.² ვინაიდან იმ პერიოდში მმართველი ლევანი იყო, ამიტომ ფახულანსაც, როგორც საზაფხულო რეზიდენციას, ის ფლობდა: „*სოფელი ფახულანი დაშთენილა [და]³ გაუნანილებითა მფლობელობასა ქვეშე უხუცესის ძმისა ლეონისას ვითარცა სამურზაყანოისა მთავრობის [სამყოფელი]⁴ საზაფხულო*“.⁵ თუმცა, საფიქრებელია, რომ ეს პირობა არ შესრულებულა და სოფელი ფახულანი ლევანსა და მის მემკვიდრეებს შერჩენიათ, როგორც ეს 1846წ. შედგენილი ერთი დოკუმენტიდან ჩანს.⁶ მაგრამ აღნიშნული წყაროც ადასტურებს „სიგელის“ ცნობას იმის თაობაზე, რომ ფახულანი ლევანს სწორედ სამურზაყანოში პირველობის – „*საუფროსოდ*“ – გამო გადასცემია.⁷

სოლომონს ექვსი ძე დარჩენია, რომელთაგან თ. ჭიჭინაძი-

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394.

² თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394.

³ ჩვენი ჩამატება – კ.კ.

⁴ ჩვენი ჩამატება – კ.კ.

⁵ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიგელი*, გვ. 394.

⁶ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ, გვ. 5.

⁷ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ, გვ. 5.

სეულ საბუთში მხოლოდ სამია დასახელებული: მანუჩარი – „უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოისა“, ბეჟანი და სორეხი.¹ ვინაობა დარჩენილი სამისა, რომელიც ამ წყაროში არ დასახელებულან, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებშია შემორჩენილი: ესენია – ბათუ (ერისთო)² დალევანი.³ რაც შეეხება მეექვსეს, მისი სახელი უცნობია. ი. ჩიქოვანიც მის მიერ შექმნილ სოლომონ შარვაშიძის გენეალოგიურ ტაბულაში მხოლოდ 5 მემკვიდრეს ასახელებს.⁴

ლევანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. სამურზაყანოს ახალი ხელისუფალი, მამამისის მსგავსად, დასავლეთ საქართველოს ანტიოსმალური ორიენტაციის ლიდერთა გვერდით იდგა და 1771 წელს, ოდიშარებთან ერთად, იბრძოდა ოსმალთაგან ფოთის გასათავისუფლებლად.⁵ დასავლეთ საქართველოს ლიდერებმა ისარგებლეს საქართველოში რუსთა სამხედრო კორპუსის ყოფნით და მათი დახმარებით ამ ციხესიმაგრეიდან თურქთა განდევნას შეეცადნენ. მაგრამ თუ ქართველებს ფოთის განთავისუფლება უნდოდათ, რუსებს, პირიქით, თავად სურდათ მისი დაკავება. საქართველოში გამოგზავრებამდე სანქტ-პეტერბურგში კორპუსის სარდალ, გენერალ ა. სუხოტინს აუხსნეს, რომ ამ ციხეს რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.⁶ ამასთანავე, მას მთავარ ამოცანად დაუსახეს თურქების წინააღმდეგ ქართველთა ძალებით ე.წ. „დივერსიების“ მოწყობა და რეგულარულ სამხედრო ოპერაციებისგან თავის შეკავება. გენერალს იმაზეც მიუთითეს, რომ ქართული მიწების უშუალო შემოერთება რუსეთის იმპერიას ჯერ არ სურდა.⁷ საბოლოოდ, ფოთის განთავისუფლების ოპერაცია მაშინ უშედეგოდ დამთავრდა.

საფიქრებელია, რომ აფხაზეთში XVIII ს. 30-იან წლებში მომ-

¹ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. *სიველი*, გვ. 394.

² ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის..., გვ. 100; იხ. ტაბ. №17 – ნგნ.: **Ю. Чиковани. Род Абхазских Князей Шервашидзе...**, გვ. 75.

³ *Акты*. Т. II, док. №1047, 1048, 1049, გვ. 537.

⁴ იხ. ტაბ. №15 – ნგნ.: **Ю. Чиковани. Род Абхазских Князей...**, გვ. 71.

⁵ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 131; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 113; **З. Папаскири.** *Абхазия. История без фальсификации*, გვ. 92.

⁶ *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии*. Т. I (с 1768 по 1774 год). Под редакцией **А. А. Цагарели**. СПб, 1891, გვ. 469; **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, – *სინ.* ტ. IV, გვ. 657.

⁷ **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების..., გვ. 656.

ხდარი მოვლენების შემდეგ, როცა ოსმალეთში წაიყვანეს შარვაშიძეთა სამი წარმომადგენელი, სამურზაყანოს მფლობელები ამ ვითარებით სარგებლობას შეეცადნენ და შესაძლოა აფხაზეთის სამთავრო სახლის გავლენას თავი დააღწიეს კიდეც, რითაც სტატუსით და გავლენით, შარვაშიძეთა უფროს შტოს გაუტოლდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ ამ დროს სამურზაყანოელმა შარვაშიძეებმა სრული ავტონომია მოიპოვეს.¹ თუმცა, ამ თვალსაზრისის ავტორს არ აქვს ახსნილი, თუ რაში მდგომარეობდა ამ „სრული ავტონომიის“ არსი. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ლევანი უკვე აღარ სჯერდებოდა მამისა და ბაბუის მშვიდ პოლიტიკურ კურსს. ის, გარკვეულ წილად, აქტიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროშიც, რომელიც ზურაბ შარვაშიძის მთავრობის პერიოდში შინაგანად დასუსტებული იყო.² სამურზაყანოს მფლობელი ცდილობდა ესარგებლა ამ ვითარებით და აფხაზეთის სამთავროში მეტი გავლენა მოეპოვებინა. სავარაუდოდ, ამას ლევანმა მიაღწია კიდეც, ვინაიდან წყაროები მას და აფხაზეთის მთავარს, ზურაბს, „ძმებად“ მოიხსენიებენ,³ თუმცა, სინამდვილეში ეს ასე სულაც არ იყო. ლევანისათვის ზურაბი იყო დიდი ბაბუის ძმის შვილიშვილი.⁴

საკუთრივ აფხაზეთში ლევანის პოლიტიკური გავლენის გაზრდისთვის ხელსაყრელი პირობაც მალე შეიქმნა. 1770წ. 20 აპრილს ასპინძაში ერეკლე II-ს სარდლობით ქართველთა მიერ ოსმალთა არმიის სასტიკი განადგურებით შეგულიანებული აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე 1771წ. ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა. ამ ბრძოლაში მან მხარდაჭერა ლევან სამურზაყანოელს სთხოვა, რომელიც თავისი ლაშქრით გამოემართა აფხაზეთში ოსმალთა ცენტრალური ფორპოსტისაკენ. ამბოხებულმა შარვაშიძეებმა ერთობლივად შესძლეს სოხუმ-კალეს აღება.⁵

ამ გამარჯვების შემდეგ, სავარაუდოდ, ლევანი დააშინა ზურაბის გაძლიერებამ, რომელიც, ალბათ, შეეცდებოდა სამურზაყანოზე თავისი გავლენის გამყარებას. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ზუფუს სამთავრო კარი არ იყო კმაყოფილი სამურზაყანოზე ოდიშ-აფხაზეთის „კონდომინიუმით“, სადაც მაინც სამეგრელოს უპირატესობა იგრძნობოდა, ხოლო აფხაზეთის მთავ-

¹ ი. კვაშილავა. სამურზაყანოს წარსულიდან..., გვ. 25.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 80; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии..., гв. 71-72.

³ ი. რაინესი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 109.

⁴ იხ. ტაბ. №2 – ნგნ.: Ю. Чиковани. Род Абхазских Князей..., გვ. 10.

⁵ И. Г. Антелава. Очерки..., гв. 79; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы..., гв. 143.

რის გავლენა მინიმუმამდე იზღუდებოდა და დღის წესრიგიდან არ ხსნიდა ამ მხარეზე მისი სრული უფლებების აღდგენის შესაძლებლობას. როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, 1767წ. ახლო ხანებში სამეგრელოზე აფხაზებს განუხორციელებიათ შეტევა. სავარაუდოა, რომ მათ სამურზაყანო დალაშქრეს. როგორც სოლომონ I-ის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლის მარიამ ჯაფარიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნშია (1767წ.) აღნიშნული, „დადიანს აფხაზისაგან საქმე გაუჭირდა“.¹ კაცია II დადიანის თხოვნით, იმერეთის მეფე მას სამხედრო ძალით დახმარებია და მათ ერთობლივად აფხაზეთიც დაულაშქრავთ.² ამ სამხედრო ექსპედიციიდან სოლომონ I-მა იმერეთში წამოიყვანა „მოჯალაბე აფხაზი გიორგი და ძლინკი მათის ცოლ-შვილით“ და მარიამ ჯაფარიძეს უბოძა.³

ზურაბის მხრიდან სამურზაყანოზე სავარაუდო პოლიტიკური გავლენის გაზრდის პრევენციისთვის, ჩანს, ლევანმა მის მიერ განეული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ სოხუმის ციხე მოითხოვა. დ. ზაქარაია, ი. რაინეგსის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, რომელშიც ნათქვამია, რომ ლევანს დარჩა სოხუმი და რამდენიმე სოფელი, ვარაუდობს სამურზაყანოს მფლობელის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.⁴

მაღევე ზურაბმა, რომელიც ვერ შეეგუა შექმნილ ვითარებას, რაც აშკარად უარყოფითად მოქმედებდა მის, როგორც აფხაზეთის მთავრის პოლიტიკურ იმიჯზე, ლევანისგან ციხის დაბრუნება მოითხოვა. სამურზაყანოს მფლობელმაც გათვალა, რომ ხანგრძლივი პერიოდით ის, საკუთარი ძალებით, სოხუმის ციხის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა. მას სამი არჩევანი ჰქონდა საკუთარი პოზიციები გასამყარებლად: 1) კავშირი იმ ხანებში საქართველოში მყოფ რუსულ არმიასთან, 2) ოდიშთან, ან 3) მიმხრობოდა თურქეთს, რომლისთვისაც სოხუმი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთვის ციხე იყო.

პირველი ვარიანტი გამორიცხული იყო ლევანის უშედეგოდ

¹ წყალობის წიგნი სოლომონ მეფისა მარიამ ჯაფარიძის ქალს (დოკ. №124), – ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა., წგნ. I. გვ. 113-114.

² კ. კვაშილავა. სამურზაყანო ლევან შარვაშიძეს მმართველობის პერიოდში. 1757-1789, – სდ. ტ. X-XI, თბ, 2008, გვ. 147.

³ წყალობის წიგნი სოლომონ მეფისა მარიამ., გვ. 113.

⁴ ი. რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110; დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ., – სდ. ტ. VI. თბ., 2003, გვ. 63; – ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2003>

გატარებული პრორუსული ორიენტაციის გამო. კერძოდ, ოდიშის გავლენის შესუსტებისა და შემდგომში გათავისუფლების მიზნით, მან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება სცადა. იმხანად, სოლომონ I აქტიურად თანამშრომლობდა იმერეთში შემოსულ რუსული არმიის ხელმძღვანელობასთან და მათი სამხედრო ძალებით იმერეთის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას იმედოვნებდა, რაც ურჩ ფეოდალთა დამორჩილებას, ქვეყნის გაერთიანებასა და ოსმალთა განდევნას გულისხმობდა.¹

მეფის ამგვარი მეცადინეობა კაცია II დადიანს მხედველობიდან არ გამოჰპარვია და სიფრთხილით აკვირდებოდა იმერეთში მყოფ რუსებს.² ამასთან ერთად, თავადაც ცდილობდა რუსებთან დაახლოებას სოლომონ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით და საკუთარი პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სამეგრელოს მთავარმა, ს. მაკალათიას სამართლიანი შენიშვნით, სოლომონ I-ის შიშით, რუსეთის მფარველობის მიღებაზე დაიწყო ზრუნვა.³ იგი ცდილობდა სანქტ-პეტერბურგის დარწმუნებას იმაში, რომ სამეგრელოს სამთავრო, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ფონზე, იმპერატორისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორი იქნებოდა, ვიდრე – იმერეთის სამეფო, ვინაიდან ოდიშს, დასავლურქართული მონარქიისაგან განსხვავებით, შავ ზღვაზე ჰქონდა გასასვლელი.⁴

სამურზაყანოს მფლობელმაც არ დაახანა მისთვის ამ შესანიშნავ შესაძლებლობის გამოსაყენებლად. 1770 წელს ლევან შარვაშიძე ა. სუხოტინის წინამორბედ გენერალ გრაფ გ. ტოტლებენს⁵ დაუკავშირდა და მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა

¹ **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 127.

² **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 161.

³ **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია..., გვ. 127, 128.

⁴ *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии.* Т. I. გვ. 66-68, 300; **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. გვ. 127-128, 131.

⁵ გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ფონ ტოტლებენი ცნობილი გერმანელი (ტიურინგიიდან) ავანტიურისტი იყო, რომელსაც იმდროინდელი ევროპა იცნობდა როგორც უნამუსოს, მექრთამეს, მფლანგველს და ჯაშუშს. ასეთი „საქმიანობისთვის“ ის არაერთხელ იხდიდა სასჯელს, ხოლო 1762წ. რუსეთში მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სამხედრო ჯაშუშობისათვის. თუმცა, ეკატერინე II დიდმა (1762-1796) იგი შეიწყალა და რუსეთიდან გააძევა. 1769წ. ეკატერინემ უკან დააბრუნა ტოტლებენი და საქართველოში ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედი კორპუსი ჩააბარა (**ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 425; **ბ. ასათიანი.** გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ, გვ. 125-126).

სამურზაყანოსათვის რუსეთის პროტექტორატის მოპოვების თაობაზე.¹ მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან აფხაზები მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ოსმალთა ფაშაზე არანაკლებ ხარბ და მცირე ხალხების დამპყრობელთან.² როგორც ჩანს, ტოტლებენთან ურთიერთობით უკმაყოფილო ლევანმა თავის რაზმელებს რუს ჰუსართა და კარაბინერთა ცხენების გატაცება უბრძანა, რაც განხორციელდა კიდეც, და, პროფესორ გ. ანჩაბაძის შენიშვნით, რუსი კავალერისტები უმალ ქვეითებად იქცნენ.³ ს. ბრონევსკი მოლაპარაკებათა ჩაშლის მიზეზად სწორედ აფხაზთა მიერ ცხენების გატაცებას ასახელებს.⁴ უდავოა, რომ ეს ფაქტი რომც არ მომხდარიყო, ლევან სამურზაყანოელი მაინც ვერ მიიღებდა რუსეთის პროტექტორატს, რადგან სანქტ-პეტერბურგის კარის ინტერესებში ჯერ ეს არ შედიოდა.⁵

დადიანთან კავშირი ლევან შარვაშიძისთვის მიუღებელი იყო, რადგან მას სამეგრელოს მთავრის გავლენიდან გამოსვლა უნდოდა. ამიტომ რჩებოდა ისევ თურქეთი, რომელსაც საამისოდ ძალა შესწევდა. თუკი ლევანი მას დაუახლოვდებოდა, გარკვეულ წილად, მოახერხებდა აფხაზეთში თავისი პოზიციის განმტკიცებას. ჩანს, მას ზურაბის მიერ ბათუმიდან ჩამოყვანილი და აფხაზეთის მთავრის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული უფროსი ძმის მანუჩარის (სულეიმან-ფაშას) შვილი ენერგიული ქელაიშ-აჰმედ-ბეგის (ქელემ-ბეის) პიროვნებაც აფიქრებდა, რომელსაც, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმს, კარგი ურთიერთობები ჰქონდა „ბრწყინვალე პორტასთან“.⁶ ამ ვითარებიდან გამომდი-

¹ *Новейшие географические и исторические известия...*, გვ. 346; *Переписка Российской Императрицы Екатерины Вторья с г. Вольтером, с 1763 по 1778 год*. Перевел М. Антоновский. Часть I. СПб., 1802, გვ. 94; *Статистическое описание Закавказскаго края*. В двух частях. Составитель О. Евецкий. СПб., 1835, გვ. 170; **И. Г. Антелава**. Очерки..., გვ. 79; **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы..., გვ. 144.

² **Г. Анчабадзе**. Абхазская хроника XIX века..., – ნგნ.: **გ. ანჩაბაძე**. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები..., გვ. 12.

³ **Г. Анчабадзе**. Абхазская хроника XIX века..., გვ. 12.

⁴ *Новейшие географические...*, გვ. 346; ს. ბრონევსკი, შეცდომით, ლევანს აფხაზეთის შემდგომი მთავრის ქელემ-ბეის მამად აცხადებს. ამაზე ყურადღება ირ. ანთელავამ გაამახვილა და აღნიშნა, რომ ქელემ-ბეის მამა მანუჩარი იყო (**И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 79).

⁵ **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი**. 1768-1774 წლების..., გვ. 656.

⁶ **დ. ზაქარაია**. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 75; რადგან ზურაბს საკუთარი შვილები არ ჰყავდა და ის, მანუჩარის შვილობით, შარვაშიძეთა იმ შტოს წარმომადგენელი იყო, რომელსაც ზურუს მფლობელობა ანუ აფხაზეთის მთავრობა ერგო წილად (**ირ. ანთელავა, გ. ძიძარია**. მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, – ნგნ.: *საის-*

ნარე, ერთადერთ გამოსავალად ლევანს თურქებთან მორიგება რჩებოდა, რაც მოახერხა კიდევაც. მან სოხუმის ციხე ისევ მტერს ჩააბარა, ოღონდ გარკვეული სასყიდლის ფასად (20 თურქული ქესა).¹

სოხუმის ციხის თურქებისადმი გადაცემას მკვლევართა ნაწილი (გ. ძიძარია, ბ. ხორავა, ზ. პაპასქირი, ზ. ნურნუშია) ციხის გაყიდვად აფასებს.² ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს დ. ზაქარაია, რომელიც მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ამ ციხის დროებით გადაცემას ოსმალებისთვის.³ ამ შემთხვევაში მკვლევარი ეყრდნობა ი. რაინეგის ცნობას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ: „*ლევან შარვაშიძე შეუთანხმდა თურქებს და წლიური საზღაურის, ოცი ქისა (ექვსი ათასი მანეთი) – ფასად გადასცა იანიჩრებს სოხუმის ციხე: ამ ციხისათვის უკეთ რომ ეპატრონათ*“.⁴ დ. ზაქარაიას აზრით, ამასვე ადასტურებს ფ. ტორნაუ, რომელიც, მართალია, თანხას არ ასახელებს, მაგრამ ისიც ციხის გადაცემაზე საუბრობს.⁵ ჩვენი აზრითაც, ი. რაინეგის ცნობა უფრო სანდოა, ვინაიდან იგი ამ ამბების თანამედროვეა, თანაც, სავარაუდოა, რომ ლევანს ამგვარი ნაბიჯისაკენ ზურაბთან კონფრონტაციამ უბიძგა,⁶ მაგრამ, არც ისაა გამოსარიცხი, რომ თურქები და ლევანი უნდა შეთანხმებულიყვნენ სოხუმ-კალეს ერთობლივ ფლობაზე. რაინეგისეული ცნობა „*წლიური საზღაურის*“ შესახებ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ლევანი ოსმალთა სამსახურში ჩადგა და მას გარკვეული ჯამაგირი (წლიურად 20 ქისა) დაენიშნა.⁷

ტორიო მოამბე. ტ. 7. თბ., 1953. გვ. 243, 292.; დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 75).

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии..., გვ. 80; **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России, – წგნ.: *Г. А. Дзидзария.* Труды. Т. I, გვ. 17-18; **Ф. Дюбуа де Монпере.** Путешествие, გვ. 117.

² **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России, გვ. 17-18; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 161; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 113; **З. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 92; **ზ. ნურნუშია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 128.

³ **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 64.

⁴ **ი. რაინეგისი.** მოგზაურობა საქართველოში. გვ. 110.

⁵ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания кавказского офицера, გვ. 35.

⁶ **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 64.

⁷ ა. დიაჩკოვ-ტარასოვი მიიჩნევდა, რომ ლევანმა ეს ოქროზე დახარბების გამო ჩაიღინა (**ა. დიაჩკოვ-ტარასოვი.** გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 90).

ამ დასკვნას უნდა ადასტურებდეს ს. ბრონევსკის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ლევანს ისლამი მიუღია და თურქებს ის სოხუმის ციხის უფროსად დაუნიშნავთ.¹ ეს იყო სოხუმის ბეგის სახელო, რომელიც, ოდნავ მოგვიანებით, ქელემ-ბეიმ დაიკავა. სამურზაყანოს მმართველის მხრიდან ისლამის მიღება, ალბათ, პოლიტიკური სვლა უფრო იყო და თურქების ნდობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. როგორც ს. ბრონევსკი აღნიშნავს, ამ აქტით ორივე მხარე დარჩენილა კმაყოფილი: თურქები თავიდან იცილებდნენ სოხუმ-კალეს გარნიზონზე ზრუნვასა და გასანეგ მატერიალურ ხარჯებს, ხოლო ლევანი კი, ამ გზით, აძლიერებდა საკუთარ გავლენას აფხაზეთში.² ს. ბრონევსკი აგრძელებს მსჯელობას და ამბობს, რომ ყოველივე ეს კი ლევანს სჭირდებოდა მომავალში მისი სამფლობელოს თურქეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.³ როგორც ჩანს, ლევან შარვაშიძის მიერ ისლამის მიღება ოსმალთათვის თვალის ასახვევად იყო გამიზნული.

ლევან სამურზაყანოელის მიერ ისლამის მიღება თითქოს ეჭვს ქვეშაც დგება ა. ტულუშის მიერ ზუგდიდის მუზეუმში მიკვლეული ზემოთ ხსენებული ბეჭედის მიხედვით, მაგრამ ეს დოკუმენტი ვერ უარყოფს ლევანის გამაჰმადიანებას, რადგან როგორც თვით ა. ტულუში აღნიშნავს, ვერ ხერხდება ბეჭდის დათარიღება,⁴ რომელზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, და იმავე წერილში, ამასთანავე, ერთ-ერთ სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით, მკვლევარი ადასტურებს, რომ ლევანმა, სოხუმის ბეგის სახელოს მისაღებად, ისლამი მიიღო და, ამასთანავე, ეს მხოლოდ გარეგნული აქტი იყო.⁵ აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ანალოგიურ დასკვნამდე ჩვენ დამოუკიდებლად მივედით.⁶

ხუტუნია შარვაშიძის მემკვიდრეთა შორის მხოლოდ ლევანი გამაჰმადიანდა. მისი ძმა მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა. ეს ჩანს გენერალ ჰავლე ციციანოვის /ციციშვილი/ (1802-1806) წერილებიდან სოლომონის შვილების, ლევანისა და ბეჟა-

¹ *Новейшия географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 346-347; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 328.

² *Новейшия географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 347.

³ *Новейшия географическая и историческая известия о Кавказе*, გვ. 346, 347; აქ ს. ბრონევსკი აფხაზეთის სამთავროს გულისხმობს, რაშიც ის აშკარად ცდება, მიუხედავად იმისა, რომ სწორად უთითებს ლევანის საცხოვრისს – სოფ. ბედიას.

⁴ **ა. ტულუში**. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი, გვ. 5.

⁵ **ა. ტულუში**. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ..., გვ. 5.

⁶ **კ. კვაშილავა**. ისტორიული სამურზაყანო, გვ. 97.

ნისადმი, სადაც წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ლევანი და ბეჟანი დაიბადნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში (ე. ი. ოჯახში) და იმჟამადაც (ანუ 1805წ.) ამ რელიგიის მიმდევრები ყოფილან.¹

ამის შემდეგ ლევანმა სოხუმი მალევე დატოვა, რადგან აფხაზები ვერ ეგუებოდნენ იქ მტრის დაბრუნებას და პერმანენტულ თავდასხმებს აწყობდნენ, რომელთა მოთავე ისევ ზურაბ შარვაშიძე იყო. ლევანმა ანაკლიის ციხეს შეაფარა თავი, სადაც 1772 წლიდან ისევ თურქული გარნიზონი იდგა.² სოხუმში ოსმალთა შემოყვანით და ისლამის მიღებით, მან ორი მტერი გაიჩინა: დასავლეთში – ზურაბ შარვაშიძე, აღმოსავლეთში – კაცია დადიანი. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს, რამდენადაც წყაროები ამის გარკვევის საშუალებას იძლევა, რატომღაც არ უცდია სამურზაყანოს მმართველად ახალი კანდიდატის მოყვანა. ეტყობა, ლევანზე თურქეთის მფარველობა ორივე მთავრისთვის საკმაო შემაკავებელი ძალა იყო.

საბოლოოდ კი, სამურზაყანოს მფლობელის ამ ქმედებას, ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, სავსებით სამართლიანად, დალატად მიიჩნევენ.³ ლევანი, ამ შემთხვევაში მოიქცა ისევე, როგორც იქცეოდა XVIII ს. I ნახევარში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ფეოდალი, როცა მონინალმდევე დიდებულთან, თუ მეფესთან ქიშპობის გამო, ამა თუ იმ ციხე-სიმაგრეს თუ ქალაქს ოსმალებს გადასცემდა, როგორც ეს მოხდა ქუთაისთან, ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებთან დაკავშირებით.⁴ სამურზაყანოს მფლობელმა საკუთარი ფეოდალური ამბიციები მისი ხალხის ინტერესებზე მალლა დააყენა.

ლევანის მიერ ისლამის მიღებამ უარყოფი გავლენა იქონია სამურზაყანოს სასულიერო ცხოვრებაზე. როგორც ჩანს, ხელისუფალის მიერ მართლმადიდებლობის უარყოფამ (თუნდაც, მოჩვენებითად), მხარის ისლამიზაციის საფრთხე გააძლიერა.

¹ *Акты*. Т. II, док. №1048, 1049, გვ. 537.

² **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 65.

³ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии, გვ. 196; ამ ფაქტის გაშუქებისას ავტორები არ ასახელებენ ლევანის სახელს და უბრალოდ აღნიშნავენ ერთ-ერთი ჩაჩბას ლაღატს. ძნელი სათქმელია, თუ რატომ არ უმხელენ მკითხველს მოლაღატე შარვაშიძის ვინაობას როცა ეს ცნობილია ისტორიული წყაროებით და სხვადასხვა ისტორიკოსთა (მათ შორის, საკუთრივ აფხაზთა) ნაშრომებით.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 345.

როგორც ჩანს, ამ დროისათვის სამურზაყანოში ქრისტიანობის პოზიციები, ერთგვარად, შესუსტებული იყო, რაც გზას უხსნიდა ჩამოსახლებულ აფხაზთა მიერ ჩამოტანილი წარმართული წეს-ჩვეულებების დამკვიდრებას მოსახლეობაში. ერთ დოკუმენტში, რომელიც 1770 წლის აპრილში უნდა იყოს შედგენილი, ბედია მოხსენიებულია საყდრად, სადაც ეპისკოპოსი არ იჯდა.¹ ამასვე ადასტურებს გერმანელი მეცნიერი ი. გიულდენშტედტიც, რომელიც 1771-1772წწ. საქართველოში იმყოფებოდა. იგი ბედიას ყოფილ საეპისკოპოსო ცენტრად მოიხსენიებს.² ყოველივე ამის შედეგად, XIX-ის 50-იანი წლების დასაწყისისათვის სამურზაყანოელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანობის მიმდევარი ყოფილა.³ ამავ პერიოდის ერთი სტატისტიკური ცნობით, სამურზაყანოში 5 900 ქრისტიანი ყოფილა, მუსლიმანი კი – 4 200.⁴ თუმცა, ზოგადად, მაინც სამურზაყანოში ქრისტიანობა მოსახლეობის ძირითად სარწმუნოებად დარჩა, რაც უდავოდ განპირობებული იყო ოდიშის პოლიტიკური გავლენითა და იმით, რომ ადგილობრივ მაცხოვრებელთა უმრავლესობას ქართული მოსახლეობა (მეგრელები) შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ბედიის ეპარქიის უკანასკნელი ეპისკოპოსი მიტროპოლიტი მაქსიმე (იაშვილი) ამ კათედრას XVIII ს. 50-60-იან წლებში განაგებდა.⁵ მეუფე მაქსიმე პატრიოტი მწყემსმთავარი იყო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს ცხოვრებაში და სოლომონ I-ს ერთგულ მხარდამჭერთა შორის ჩანდა. კერძოდ, მაქსიმე ბედიელი მონაწილეობდა სოლომონ I-ის ინიციატივით 1759წ. დეკემბერში მოწვეულ დასავლეთ

¹ **გ. კალანდია.** ეპისკოპოსობა და ოდიშის საეპისკოპოსოები. – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული. ტ. VII. თბ., 2000, გვ. 502; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, – *სდ*. ტ. III. თბ., 2000, გვ. 41, – ელექტრონული ვერსია: <http://sai-storiodziebani.googlepages.com/dziebani2000>

² *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო **გ. გელაშვილმა**. ტ. I, თბ., 1962, გვ. 171; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 41.

³ *Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходо́в*, – გაზ.: «Кавказ». 15, 1869, გვ. 3.

⁴ **Д. Романовский.** Кавказ и кавказская война. М., 2004, გვ. 258; აღნიშნული სტატისტიკური ცნობები ავტორს მოტანილი აქვს ჟურნალში «Военный сборник» (№8, 1858წ.) გამოქვეყნებული სტატიიდან «Общий обзор Кавказского края».

⁵ **ლ. ახალაძე.** ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVIII სს., გვ. 33; **ლ. ახალაძე.** აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. ტ. I (*ლაპიდარული და ფრესკული წარწერები*), გვ. 51; **გ. კალანდია.** ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, – ჟურნ.: „არტანუჯი“, №4, 1995, გვ. 36; **ბ. ხორავა.** ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 41.

საქართველოს საეკლესიო კრებაში, რომლის მიზანიც საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება და ტყვის სყიდვის აკრძალვა იყო. 1761 წელს მეუფე მაქსიმე ჩანს იმ საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის, რომლის გადაწყვეტილებითაც აღდგა ხონის საეპისკოპოსო.¹ ბედიის საეკლესიო სტატუსის დაკნინებას, სამნუხაროდ, ღვთისმსახურების შეწყვეტაც მოჰყვა.² ამას ადასტურებს დადიანების კარის მოძღვრის მამა იოანე იოსელიანის 1809 წლის 23 დეკემბერს შედგენილი წერილით გენ. ალექსანდრე ტორმა-სოვისადმი.³

სოხუმი დიდხანს არ ყოფილა ლევანის მფლობელობაში. სულთნის კარი მაინც ბოლომდე არ ენდო მოულოდნელად გამუსლიმებულ ყოფილ ანტიოსმალ პოლიტიკოსს და აფხაზეთში მოქმედებების თავისუფლება მისცა მისთვის სანდო მოკავშირეს

¹ *Акты*, Т. I, დოკ. №7, გვ. 56-58; *ქსდ.* ტ. III, გვ. 845; **ბ. ხორავა**. ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 40.

² **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 331.

³ *Акты*, Т. IV, დოკ. №557, გვ. 416; ბედიის ტაძარი და საეპისკოპოსო ერთიანი საქართველოს, „აფხაზთა და ქართველთა“ პირველი მეფის ბაგრატ III-ს (978-1014) სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც, შემდეგ იქვე დაიკრძალა: „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჴევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“ (მატიანე ქართლისა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I, გვ. 281; *მატიანე ქართლისა*. – წგნ.: ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**, გვ. 273). ბაგრატის ეს ღონისძიება IX-Xსს. მიმდინარე იმ პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან გავლენისაგან საბოლოო ჩამოშორებას. „აფხაზთა“ მეფეები, ბერძნული საეპისკოპოსოების გვერდითა და მათ ნაცვლად ქმნიდნენ ქართულ საეპისკოპოსოებს და, ამგვარად, კანონიკური საფუძვლების დაურღვევლად, საბოლოოდ აქრობდნენ დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ეკლესიას (**ბ. ხორავა**. ბედიის საეპისკოპოსო, გვ. 22). „აფხაზთა“ და „ქართველთა“ პირველი მეფის მიერ ბედიის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, ზ. პაპასქირს აფიქრებინებს, რომ ბაგრატი ამით სიმბოლურად მიანიშნებდა „აფხაზთა“ მეფობით ეგროს-ქუჯის მემკვიდრეობის პრიორიტეტზე (**ზ. პაპასქირი**. ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო, – *სდ.* ტ. III, გვ. 3, – ელექტრონული. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2000>); თანამედროვე აფხაზი ავტორები, ბედიის, ილორის, მოქვისა და სხვა ტაძრებს ერთმნიშვნელოვნად აფხაზური კულტურისა და ხუროთმოძღვრების ძეგლებად აცხადებენ და ამ ყალბი დასკვნების ფართო პროპაგანდირება ხდება. ვინმე ნინო ძიაფშ-იფამ, სეპარატისტული ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით, 2006წ. მოსკოვში 2000-იანი ტირაჟით გამოსცა ამ „სულისკვეთებით“ გაჟღერებული „ნაშრომი“ «Православные храмы Абхазии» (იხ: <http://www.abkhazian-churches.ru/kniga.html>).

ქელემ-ბეის, რომელმაც 1774წ. დაიკავა ციხე.¹ ის საკმაოდ აქტიურ მოღვაწეობას იწყებს აფხაზეთში გავლენის გასაძლიერებლად. ოსმალეთისათვის არც ზურაბი იყო სანდო პირი, მაგრამ მას ავტორიტეტი ჰქონდა ანტიოსმალურად განწყობილ აფხაზურ მოსახლეობაში, ამიტომ თავიდანვე მისი ჩანაცვლება ისეთი პროთურქული პოლიტიკოსით, როგორც ქელემ-ბეი იყო, როგორც ჩანს, სულთნის კარმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. მან ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებით შავ ზღვაზე თავისუფალი მოქმედების საშუალება მოიპოვა.² ეს პეტერბურგისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა, რომელიც მან წარმატებით გადაჭრა, რადგან 1739 წლის 18 სექტემბერს ბელგრადში ხელმოწერილი ზავის თანახმად, სანქტ-პეტერბურგს აეკრძალა როგორც სავაჭრო, ასევე – სამხედრო ფლოტის ყოლა შავ ზღვაში.³ ამიტომ, გასაგები ხდება რუსეთის მიერ ის შუალედური დახმარება დასავლეთ საქართველოსადმი, რომელიც მან სავსებით წარმატებით გამოიყენა საკუთარი მიზნების მისაღწევად. როგორც ზ. ავალიშვილი და ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდნენ, საიმპერატორო კარის ამოცანა იყო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გამოყენებით კავკასიის ფრონტზე თურქთა გარკვეული სამხედრო ძალის დაკავება მოეხდინათ.⁴ ეს მოსაზრება მ. რეხვიაშვილმაც გაიზიარა.⁵

ამ ხელშეკრულების XXIII არტიკული საქართველოს საკითხებს ეხებოდა. ამ ზავით იმერეთი და ოდიში რუსეთმა ოსმალეთის ვასალურ ტერიტორიებად ცნო და დათანხმდა თურქთა მიერ ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეების დაჭერას.⁶ „ბწყინვალე პორტამ“, თავის მხრივ, კი ივალდებულა, რომ არ დასჯიდა ომში მის წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთსა და ოდიშს,

¹ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 66.

² Е. И. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение). М., 1955, გვ. 356.

³ Г. А. Санин. Проблема черноморских проливов во внешней политике XVIII России в., – წგნ.: *Россия и Черноморские проливы (XVIII-XX столетия)*. Ответственные редакторы: доктор исторических наук Л. Н. Нежинский, доктор исторических наук А. В. Игнатъев. М., 1999, გვ. 49.

⁴ З. Авалов. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, გვ. 100-101; ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს., გვ. 82.

⁵ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 222.

⁶ ოსმალებმა ეს ვერ შეძლეს, რადგანაც, სოლომონის ბრძანებით, ისინი აღებისთანავე მოთხარეს. თურქთა მიერ მათი ხელახალი აგების მცდელობა შეუპოვარ ომს გამოიწვევდა (მ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 433).

უარს ამბობდა ქრისტიანობის დევნაზე და აღარ მოითხოვდა ხარკს ნატურით, სხვადასხვა გადასახადებითა და ქალ-ვაჟებით.¹ პროფესორ ა. კილასონიას სამართლიანი შენიშვნით, ქუჩუკ-კაინარჯის ზავს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან რუსეთმა, ამ ხელშეკრულების პუნქტებში საქართველოს საკითხების ჩართვით, საჯაროდ აღიარა საკუთარი ინტერესების არსებობა საქართველოში.²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1702 წლიდან მოყოლებული აფხაზეთის მთავრებისთვის მუდამ დღის წესრიგში იდგა სამთავროს, ასე ვთქვათ, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ საკითხი, რაც გულისხმობდა სამურზაყანოდან ოდიშის გაძევებას და ამ კუთხის საბოლოოდ მტკიცედ შემოერთებას.

ახალი ეტაპი ამ საკითხის გადაწყვეტაში სწორედ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ დადგა. ს. მაკალათიას შეფასებით, ამ ტერიტორიების ოსმალეთის გავლენის სფეროდ ცნობამ, სტამბულს ირიბად მისცა კარტ-ბლანში მათ დასასჯელად და მკვლევარიც, სამართლიანად, ამაში ხედავს რუხის ომის მიზეზს.³ მისი ვარაუდით, ოსმალეთმა აფხაზები ოდიშის წინააღმდეგ წააქეზა.⁴ ეს მოსაზრება, რომელსაც მხარს უჭერენ ბ. ხორავა,⁵ ზ. პაპასქირი⁶ და ჯ. გამახარია,⁷ დასტურდება კიდევაც ერთი ისტორიული საბუთის ცნობით: „აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ“.⁸ მ. რეხვიაშვილის მოსაზრებით, ამ ომის მიზანი იყო ოდიშის მონყვეტა იმერეთისაგან.⁹ ერთი შეხედვით, იმ ხანად კაცია II დადიანსა და სოლომონ მეფეს შორის არსებული დაძაბუ-

¹ *Пункты вечного примирения и покоя между Империями Всероссийскою и Портою Оттоманскою, заключенные в лагере при деревне Кючук-Кайнарджие, в четырех часах от города Силистрии*, – ნგნ.: **Е. И. Дружинина**. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение), გვ. 356; **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 433; **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო., გვ. 255.

² **ა. კილასონია**. ადამიანებით ვაჭრობა., გვ. 303-304.

³ **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და., გვ. 131-132.

⁴ **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და., გვ. 132.

⁵ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 162.

⁶ **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 113-114; **З. Папаскири**. Абхазия. История без фальсификации, გვ. 93.

⁷ **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა., გვ. 330.

⁸ **ქ. ჩხატარაიშვილი**. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში, – *სინ*, ტ. IV, გვ. 665.

⁹ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982, გვ. 154; **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო., გვ. 267-268.

ლი ვითარება დადიანის წინააღმდეგ სალაშქროდ კარგი პირობებს ჰქმნიდა. ნ. დადიანის თქმით, „დიდი შური იყო მეფესა და დადიანს შუა“.¹

ისტორიოგრაფიაში დავის საგანს წარმოადგენს ამ სამხედრო კამპანიის უშუალო ხელმძღვანელის ვინაობის საკითხი. ირ. ანთელავა მიიჩნევს, რომ ლაშქარს აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე სარდლობდა.² ნ. დადიანთან ეს საკითხი ერთობ ბუნდოვანია: „ჟამსა ამას ჰფლობდნენ აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ და ბექირ-ბეგ... და წარმოემართნენ დადიანსა ზედა“.³ როგორც ვხედავთ, ამ ზოგადი ხასიათის ცნობით, ლაშქრობის მოთავე ლიდერის გამორკვევა ძირს და ისე ჩანს, რომ ეს კოლექტიური გადაწყვეტილება იყო. ამის შემდეგ, ნ. დადიანი ეხება მათთან სამურზაყანოელთა მიმხრობას: „განუდგნენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ⁴ წოდებული, და მიერთვნენ მათ“.⁵ გამოდის, რომ ლევან შარვაშიძე მათ შეუერთდა. ნიკო დადიანისგან განსხვავებით, ხალხურ მომღერალსა და ლოტბარ ი. გეგეჭკორს ოთხივე შარვაშიძე მოთავედ ჰყავს გამოყვანილი: „ოთხ ძმათა შარვაშიძეთა, შური შეექმნათ მრავლად, ქელემ-ბეის, ზურაბს, ბექირ-ბეგს და ერთს უხმობენ ლევანად“.⁶

ამ საკითხში ერთგვარი სინათლე შემოაქვს ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბესიკ გაბაშვილს (1750-1791), რომელიც ამ ამბების მონაწილე იყო და ამ ომს პოემა „რუხის ბრძოლა“ მიუძღვნა. იგი აფხაზთა ამ სამხედრო კამპანიის მოთავეებად ქელემ-ბეგსა და ლევან სამურზაყანოელს ასახელებს: „ბექირ-ბეგს ასტეხს ქელემ-ბეგ და ზურაბს აღძრავს ლევანი“.⁷ ამ ამონარიდებში ნიშანდობლივია მათ გვერდით სამურზაყანოს მფლობელის სახელის გამოჩენა. სოხუმის ციხეში კვლავ თურქების შეშვების შემდეგ, ლევანის ავტორიტეტი აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობაში მკვეთრად დაეცა. იგი, ი. რაინეგის დამონმებით, აფხაზი ხალხის მიერ იყო შეძულებული.⁸

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 80-81.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴ ქართულ საისტორიო მატერიალებში პირველად აქ გვხვდება ქორონიმი „სამურზაყანო“.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁶ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა. თქმული იოანე გეგეჭკორისგან (გრიგოლ დადიანი). გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1895, გვ. 5-6.

⁷ ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 123.

⁸ ი. რაინეგისი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 110; დ. ზაქარაია. პოლიტი-

როგორც ჩანს, ოსმალეთს, ამ ვითარებაში, ორი ძლიერი მმართველის კავშირი სჭირდებოდა, მით უფრო, რომ აფხაზეთის შეტევა სამეგრელოს წინააღმდეგ XVIIIს. დასაწყისიდან მოყოლებული, მუდამ ამ პირველის მარცხით მთავრდებოდა. ამასთან, ამგვარი ნაბიჯი ლევანს შარვაშიძეებთან შეარიგებდა. პორტას ზეგავლენით, ქელემ-ბეგი და ლევანი შერიგებულან და მათ ბეჟირ-ბეი და ზურაბიც მიუმხრონათ.

აქ საყურადღებოა ის, რომ ბეჟირბეის მისამხრობლად ქელემ-ბეი მოქმედებს, ხოლო ზურაბთან კი ლევანი. როგორც ჩანს, აქ ასაკით უმცროს (ქელემ-ბეი და ბეჟირ-ბეი)¹ – უფროსობით (ლევანი და ზურაბი) მიხედვით მომხდარა მათი გადაწინააღმდეგობა. გრ. დადიანი კიდევ უფრო აკონკრეტებს სარდლის ვინაობას: „თანაგამზრახად, ლაშქართა სარდლად, ქელაიშ-ახმედ-ბეგ ხელში უჭირავს“.² მკვლევართა ნაწილი (ბ. ხორავა, ზ. პაპასქირი), რომელმაც ყურადღება მიაქცია ზურაბ შარვაშიძის ერთგვარ პასიურ პოზიციას ამ პროცესებში, ფიქრობს, რომ სწორედ ქელემ-ბეი უნდა ყოფილიყო ლაშქრობის მოთავე და სარდალი.³ ამ ვერსიას უნდა ამაგრებდნენ მოვლენები, რომლებიც რუხის ომის შემდეგ გაიმართა. კერძოდ, ქელემ-ბეისა და ზურაბის დაპირისპირების დროს, დადიანმა აფხაზეთის მთავრის მხარე დაიჭირა. მან ზურაბის დასახმარებლად თავისი ძმის, გიორგის⁴ მეთაურობით ოდიშართა ლაშქარი გაგზავნა „ცხოშის ციხეს, სადა მამაცად ბრძოდენ ციხით გამო მეციხოვნენი ქელაიშ-ახმედ-ბეგისანი. გარნა სიმხნე-მამაცობითა საქებელითა აღილო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე“.⁵ როგორც ჩანს, კაცია II-მ ამგვარად იძია შური 1780წ. მის სამთავროზე თავდასხმისათვის.

სამეგრელოს დასალაშქრად შარვაშიძეებმა ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებული რაზმები ჩამოიყვანეს: „ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მახუმა“.⁶ ნ. დადიანის ეს ცნობა დოკუმენტურადაც

კური ვითარება აფხაზეთში XVIIIს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 65.

¹ **დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIIIს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.*, გვ. 68-69.

² **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, – ყურნ.: „აია“. №2, 2002, გვ. 11.

³ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), გვ. 162; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 114.

⁴ ისტორიკოს ნიკო დადიანის მამა (**ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 10).

⁵ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 179-180.

⁶ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

დასტურდება: „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი, სხვანი კიდეც უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით“.¹ ბესიკის ცნობით, ლაშქარში ყირიმელი თათრებიც ყოფილან: „ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კერმუგელთ ამცნეს ცნობითა, ყივჩალთა შემოინვევდენ, ინდობდენ სჯულის ძმობითა, აფხაზნი შეეფიცოდენ ქრთამით და აგრეც ძღვნობითა. ...ექვსნი გვარნი ექვს ენითა ერთ-ხმაობდენ ბევრის ბევრად“.²

აფხაზ-ჩრდილოკავკასიელთა მრავალათასიან ლაშქრისათვის³ დასაპირიპირებლად კაცია დადიანმა მეფე სოლომონს სთხოვა შენვენა და ხრესილის ომის დროს თავისი დახმარებაც შეახსენა: „ნუ მოიხსენიებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა და მოვედ შემნედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა უამი მოიხსენო მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა“.⁴ იმერლები ხშირად რად გამოდიოდნენ ოდიშართა მხარდამხარ აფხაზეთთან საომრად. გავიხსენოთ 1702წ. ამბები და იგივე სოლომონისათვისაც არ იყო ეს პირველი შემთხვევა, რასაც ზემოთ მოყვანილი „შენი-რულობის წიგნიც“ ადასტურებს. ამიტომ, ერთი შეხედვით, გასაკვირიც კი ხდება, რადგან სოლომონს თითქოს „გადახდილიც“ კი აქვს ეს „ვალი“ დადიანის მიმართ. მაგრამ ამ ამონარიდში საყურადღებოა მინიშნება ხრესილის ომზე, რომელიც გვიბიძგებს დავუკვირდეთ არა მხოლოდ ამ ომის ფაქტს, არამედ – საკუთრივ მის მნიშვნელობას იმერეთის ისტორიაში. როგორც ჩანს, რუხის კამპანია განსხვავდებოდა აფხაზ-ოდიშართა სხვა ომებისაგან. ამიტომაც დაიკავა მან განსაკუთრებული ადგილი როგორც მა-

¹ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველო XVIIIს. 70-80-იან წლებში, გვ. 665.

² **ბესიკი.** რუხის ბრძოლა, გვ. 124.

³ ბესიკი 10 000-ს კაცის ასახელებს: „მოკრბა დას-დასად მწყობრ ბევრ-ათასად“ (**ბესიკი.** რუხის ბრძოლა, გვ. 123). როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სიტყვა „ბევრი“ რიცხობრივად 10 000-ს უდრიდა (**ს.-ს. ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. *ორ წიგნად.* წ. I. თბ., 1966. გვ. 99). ისტორიოგრაფიაში სახელდება სხვა ციფრებიც: 11 000 (**Е. С. Такайшвили.** Исторические приписки двух кинклосов и хронологический перечень по некоторым другим источникам, გვ. 17; **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132; **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, გვ. 11) და 40 000 (**დ. ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIIIს. ბოლო მეოთხედში. *ქელემ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.,* გვ. 69-70).

⁴ **ბ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება. გვ. 180; შდრ. ბესიკთან: „ქუთაისს მორჭმით მჯდომელსა, ომისა მომანდომელსა, მეფესა ჰკადრეს: „მეგრული მოჭფრინავს, ჰგავს ნაკრთომელსა“. მოვიდა, წიგნი მოართვა, ფიცი აქვს სწორეთ რომელსა. გალიძდა: „ვალი ხრესილის ან უთხოვია მშრომელსა!“ (**ბესიკი.** რუხის ბრძოლა. გვ. 125).

ტიანეებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურასა თუ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.¹ ამ განსაკუთრებულობაზე მიაწინებებს ერთი ადგილი სოლომონისადმი ოდიშის მთავრის წერილში, სადაც კაცია დადიანი მეფის ყურადღებას რელიგიურ ფაქტორზე ამახვილებდა: „მოვიდენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოსა ჩემისა და შებლაღვად ქრისტიანობისა“.² როგორც ვხედავთ, ეს ლაშქრობა სხვა ელფერსაც ღებულობდა, ანუ ამ კონფლიქტმა „თათარ-ოსმალ-ყიზილბაშობისა“ და „ქართველობის“ დაპირისპირების ხასიათი მიიღო.

1780წ.³ მარტში სოლომონისა და დადიანის კოალიციამ რუხის მიდამოებში ბრძოლა გაუმართა მომხდურთ და სასტიკად დაამარცხა: „აფხაზნი ვერ წინააღუდგენ, და ივლტოდენ აფხაზნი, და განემარჯვათ სახელოვანად მეფესა და დადიანსა“.⁴ ი. გეგეჭკორი ამას კიდევ უფრო ექსპრესიულად აღწერს: „აირივნენ აფხაზები, ძალა არ ჰქონდათ მეტია, აღარ ვახსენებ ქელემბეგს,⁵ ზურაბ და ლევანს მეტია ბეჩირ-ბეგ ბრძოლით ინევა, ვით

¹ ბესიკი. რუხის ბრძოლა; ნ. ლორთქიფანიძე. რაინდები, – წგნ.: ნ. ლორთქიფანიძე. ერთგომეული. თბ., 1981. გვ. 7-37; ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა; რუხის ომის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ასახვის თაობაზე იხ.: ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 163.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

³ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, მიღებულია ეს თარიღი, რომელიც ნ. დადიანის ნაშრომშია დაფიქსირებული (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 132; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 162; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 114; ზ. Папаскири. Абхазия. История без фальсификации, გვ. 93; И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии..., გვ. 80-81). ასევეა ერთ საისტორიო დოკუმენტშიც (Е. С. Такайшвили. Историческая приписка..., გვ. 57). არის მეორე დათარიღებაც: 1779წ. მიწურული (ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში, გვ. 665). მ. რეხვიაშვილიც ამ თარიღს უჭერს მხარს (მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 268.). ამ თარიღს იზიარებდა ა. ტულუშიც (ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ..., გვ. 5); თუმცა, იგი თავდაპირველად ამ ომს 1780 წლით ათარიღებდა (მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 154). ერთ ქრონოლოგიურ ჩამონათვალში ეს ბრძოლა 1769 წლითაა დათარიღებული (Е. С. Такайшвили. Историческая приписка двух кинклов..., გვ. 55).

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁵ თ. ბლაჟბა და ს. ლაკობა, რომლებიც ქელემბეგის მოღვაწეობას ერთ პარაგრაფს უთმობენ და ის აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ეროვნულ გმირად ჰყავთ წარმოჩინებული, გაკვრითაც კი არ ახსენებენ რუხის ომს (§12. Владетель Абхазии Келешбей Чачба, – წგნ.: О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии..., გვ. 194-201).

ვეფხვი სისხლის მხვრეტია და მეფე იძახის: „ვა მაგას“ მტერთა გაქცევის მჭვრეტია“.¹

რუხში სასტიკად დამარცხებულ ქელემ-ბეის ფარ-ხმლის დაყრა არც უფიქრია და ის აგრძელებდა ბრძოლას სამურზაყანოს დასაუფლებლად, რომელსაც თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა.² მიუხედავად ამისა, რუხის ომს საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობებში. 1780წ. საბოლოოდ დაესვა წერტილი აფხაზთა მცდელობას ენგურის მარცხენა სანაპიროს დასაკავებლად.

თ. ბერაძე ნიკო დადიანის ცნობაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც „განუდგნენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ ნოდებული, და მიერთვნენ მათ“³, ვარაუდობს, რომ XVIII ს. 70-იანი წლების ბოლოდან, რუხის ომის წინ, სამეგრელომ დაკარგა კონტროლი სამურზაყანოზე და ამიერიდან, დაახლოებით ნახევარი საუკუნე ეს მხარე, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა.⁴ ჩვენ ეს შეფასება გადაჭარბებულად გვეჩვენება. ნ. დადიანის ეს ცნობა მხოლოდ რუხის ომის წინ შექმნილ ვითარებას უნდა გამოხატავდეს. თუმცა, აშკარაა, რომ ამ პერიოდიდან შეინიშნება სამურზაყანოზე სამეგრელოს გავლენის შესუსტების დაწყება.

ლევან შარვაშიძეც, როგორც ვნახეთ, დამარცხებული გაიქცა ამ ომიდან. მისი მცდელობა გათავისუფლებულიყო როგორც დადიანის, ისე აფხაზეთის მთავრის გავლენისაგან, ორჯერვე მარცხით დასრულდა. ამიტომ სამურზაყანოს მფლობელს დადიანთან შერიგება სჭირდებოდა. მართალია, სოლომონსა და კაციას, გამარჯვების შემდეგ არ დაულაშქრავთ სამურზაყანო მდ. ლალიძგამდე (ყოველ შემთხვევაში, წყაროებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი), როგორც ჩანს, ეს არც იყო საჭირო. სამურზაყანო ჯერ კიდევ დადიანის გავლენის სფეროდ რჩებოდა. ამიტომ, ლევანისთვის აქტუალური იყო კაციასთან ურთიერთობების გამოსწორება. ზურაბ შარვაშიძის შეწვევის მიზნით ქელემ-ბეის წინააღმდეგ სოხუმში ლაშქრობა, რომელსაც ზემოთ

¹ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა, გვ. 14; შდრ. ბესიკთან: „სით გაგვეპარე, ქელემ-ბეე? რას ელდით გარდგვეკარგე, რა/ს/ თუ სადმე ნახო ზურაბი, უთხარ: „მეფეა აგერა/ს/!“ ...რა ნახეს მეფე მიჭრილი, გულსა შეაქნეს ბაბანი, დაყარნეს ყოვლნი სახმარნი, გზა ძიეს გასასწრაფანი“ (ბესიკი. რუხის ბრძოლა. გვ. 129). სამტროდ მოსულ ბექირ-ბეის მხედრულ ღირსებასა და მამაცობას არც ბესიკი უკარგავს: „მოყმედ კარგი ძმა მყოთხე... ბექირ-მხნევან“ (ბესიკი. რუხის ბრძოლა, გვ. 126).

² К. Мачавариани. Описательный путеводитель..., გვ. 248.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴ თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი..., გვ. 243.

უკვე შევცხეთ, დადიანსა და ზურაბს შორის შერიგებაზე მიუთითებდა. „ნარმოვიდა ზურაბ შარვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანის თანა“.¹

ამის შემდეგ ნ. დადიანი გვამცნობს გიორგი დადიანის ძის სოხუმში ლაშქრობას და შემდეგ კი ავტორი წერს, რომ სამეგრელოს და აფხაზეთის მთავრები დამოყვრდნენო: კაციას ძეს მანუჩარმა, რომელიც იმ ხანად, სავარაუდოდ, 12-13 წლის თუ იქნებოდა, ზურაბის ქალიშვილი შეირთო.² აქ კი მემატინეს ამკარად ეშლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბს შვილი არ ჰყავდა. მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ მანუჩარი ლევან სამურზაყანოელის სიძე იყო.³

რა თქმა უნდა, გასაკვირია, როგორ უნდა დაეშვა ასეთი შეცდომა ნ. დადიანს მისი უახლოესი ნათესავის⁴ ოჯახური მდგომარეობის აღწერისას? მემატინე ამ ამბების უშუალო მომსწრე არ ყოფილა. სავარაუდოდ, ის ამ დროს 4-5 წლის ბავშვი იყო. მანუჩარ დადიანის ძისა და ელისაბედ⁵ ლევანის ასულ შარვაშიძის ქორწინების შესახებ, ნ. დადიანი მის ოჯახში არსებული ზეპირი გადმოცემებით თუ შეიტყობდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აქ მოვლენათა აღრევასთან გვაქვს საქმე და, როგორც ჩანს, ზურაბ შარვაშიძის სახელთან ამ ქორწინების დაკავშირება შემთხვევითაც არ უნდა მომხდარიყო. სავარაუდოდ, აფხაზეთის მთავარმა, რომელმაც რუხის ომის შემდეგ შარვაშიძეთაგან დადიანთან პირველმა მოაწესრიგა ურთიერთობები, შუამავლის როლი იკისრა და ლევან სამურზაყანოელი და კაცია ერთმანეთს შეარიგა, რაც ზემოთხსენებული ქორწინებით განმტკიცდა კიდევაც. ეს 1781-1783წწ. უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამის შემდეგ ნ. დადიანი ჩაქვის ბრძოლაზე⁶ საუბრობს, რომელიც 1784წ. 9 მარტს მოხდა.⁷ ბ. ხორავას შეფასებით, ამ ნაბიჯით კაცია და-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181; მისი უფროსი ძმა, გრიგოლი, 1788წ. 18 წლის ასაკში გახდა სამეგრელოს მთავარი. შესაბამისად, მანუჩარი მასზე, ყველაზე მცირე, ერთი წლით უმცროსი თუ იქნებოდა.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ., 1968, გვ. 277-278; ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ნაწ. III. სათავადოები. თბ., 1990, გვ. 93; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164.

⁴ სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი ნ. დადიანის მკვიდრი ბიძა (მამის, გიორგის, ძმა) იყო, შესაბამისად, მანუჩარი მისი ბიძაშვილი იყო (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 10).

⁵ ნ. დადიანი მას რუსუდანის სახელით გვამცნობს (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181).

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

⁷ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 278.

დიანს სამურზაყანოს შემომტკიცება სურდა.¹ მოგვიანებით შესამჩნევი ხდება ლევან შარვაშიძის გამოსვლა ქელეშ-ბეის მოკავშირეობიდან, ხოლო სამეგრელოში, როგორც ჩანს, გრძნობდნენ, რომ ბრძოლა სამურზაყანოსათვის ჯერ დასრულებული არ იყო. ამიტომ, ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ორმხრივი სურვილი უფრო ჩანს. შესაბამისად ვერ დავეთანხმებით დ. ზაქარაიას, რომელიც აქ მხოლოდ დადიანის მიერ ლევანის დამორჩილებას ხედავს.² ეს უკვე რუხის ომის შემდეგ მომხდარი ფაქტი იყო და ამას ხელახალი გამეორება ნამდვილად არ ესაჭიროებოდა. აქ დადიანი, ლევანთან დამოყვრების გზით, უფრო მის განეიტრალებას ცდილობდა.

XVIII ს. 80-იანი წლების მიწურულს სამურზაყანოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, რომელმაც თავისი გავლენა იქონია ამ კუთხეზეც. როგორც ზ. წურწუმია შენიშნავს, თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა კვლევებმა აჩვენა, რომ რუსეთის მიერ 1783წ. 8 აპრილს ყირიმის სახანოს შეერთებისა და იმავე წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შემდეგ ოტომანთა იმპერია დიდ ყურადღებას უთმობს კავკასიის მიმართულებას.³ მით უმეტეს, რომ სანქტ-პეტერბურბურგმა ლეგალური მოქმედების საშუალება მიიღო შავ ზღვასა და ამიერკავკასიაში. თუმცა, ალბათ, ეს თეზისი გარკვეულ წილად სადაო ჩანს, რადგან სულთნის კარის ყურადღება ამ რეგიონის მიმართ, როგორც დავინახეთ, განსაკუთრებით მძაფრდება საკუთრივ XVIII ს. დასაწყისიდან, როცა ამიერკავკასიას ყურადღება პეტრე დიდმა მიაპყრო. ბუნებრივია, რეგიონში ისეთი მოკავშირის დაკარგვა, როგორსაც ყირიმის სახანო წარმოადგენდა, ოსმალეთისათვის მტკივნეული იყო, რადგან, ამიერიდან, სულთნის კარს უნდა აეღო იმ ფუნქციების შესრულება, რაც ადრე ყირიმის ხანისათვის ჰქონდათ „დელეგირებული“.

შავ ზღვაზე რუსული სამხედრო ფლოტის გამოჩენა ოსმალეთის უსაფრთხოებას ემუქრებოდა. ეკატერინე II-ს კარზე საკმაოდ სერიოზულად ფიქრობდნენ ოტომანთა სახელმწიფოს განადგურებასა და ბიზანტიის იმპერიის აღდგენის გეგმებზე (ე. წ. „ბერძნული პროექტი“).⁴ ამ პირობებში თურქეთისთვის სასი-

¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 165.

² დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 75.

³ ზ. წურწუმია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი..., გვ. 129.

⁴ Н. В. Коршунова. Восточный вектор геополитики Екатерины II: «Греческий проект». – Вестник Челябинского университета. Сер. 10. Востоковедение. Евразийство. Геополитика. 2003, №1, гв. 62-68. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://www.lib>

ცოცხლო მნიშვნელობა მიეცა დასავლეთ საქართველოში გაძლიერებას და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მტკიცედ ჩაგდებას ხელში.¹ ამავე პერიოდში ოსმალეთი ციხეს აგებს ანაპაშიც.² ყურადღების გარეშე, ბუნებრივია, სოხუმის ციხეც არ დარჩენილა, რომელიც სულთნის კარისთვის სტრატეგიული დანიშნულებისა იყო და იქ გემთსაშენიც კი ჰქონდათ.³

ზურაბ შარვაშიძისა და კაცია II დადიანის შერიგებამ და ოდიშართა მიერ ქელემ-ბეის დამარცხებამ, ოსმალეთის შემფოთება გამოიწვია. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება „ბრწყინვალე პორტას“ ნამდვილად არ აწყობდა. მით უფრო, რომ მნიფდებოდა ახალი ომი რუსეთთან. ქელემ-ბეის მარცხი კი აფხაზეთის ტერიტორიაზე ოსმალეთის გავლენის შესუსტებას გამოიწვევდა. საჭირო იყო კონტრზომების მიღება. 1785წ. ქელემ-ბეგი სტამბულში იმყოფებოდა.⁴ ჩანს, მას აფხაზეთის მთავრად ამზადებდნენ. 1786 წელს ის უკვე აფხაზეთშია.⁵ თუმცა, მთავრად ჯერ კიდევ ზურაბია, ხოლო „აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშაჰმედ-ბეგი და ეპყრნა მახლობელნი მისნი“.⁶

1787წ. აგვისტოში ახალი თურქულ-რუსული ომი (1787-1791) დაიწყო.⁷ უკვე 21 აგვისტოს ოსმალები პირველ წარმატებასაც მიაღწიეს. ეტყობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ქელემ-ბეიმ სულთან სელიმ III-ის (1761-1808) კარის „დავალების“ შესრულება. ხელახლა გაქრისტიანებული ზურაბის ნაცვლად მართლმორწმუნე მუსლიმი ქელემ-ბეის გამთავრებას აფხაზეთში, რომელმაც სულთნის კარს ანტიოსმალური აჯანყებებით დაამახსოვრა თავი, თურქეთის პოლიტიკური ინტერესების გავლენის გაძლიერება უნდა გამოეწვია.⁸ იმერეთში სოლომონ II-ის⁹ გა-

.csu.ru/vch/10/2003_01/006.pdf.

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 157; მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო., გვ. 270.

² ზ. ნურნუშია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 130.

³ ზ. ნურნუშია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 130.

⁴ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო., გვ. 297.

⁵ დ. ზაქარაია. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში., გვ. 77.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 183-184.

⁷ А. Н. Петров. Вторая турецкая война в царствование императрицы Екатерины II, 1787—1791. ТТ. 1-2, СПб., 1880; *Русская военная сила*, გვ. 128; К. Пигарев. Суворов. М., 1948, გვ. 20.

⁸ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში. – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II. თბ., 1965, გვ. 402.

⁹ იგივე დავით არჩილის ძე. იმერეთის ტახტი ორჯერ ეჭირა: I – 1789-1790წწ.; II – 1790-1810წწ.

მეფების დროისთვის (1789წ. 12 ივლისი) კი, ქელემ-ბეი უკვე აფხაზეთის მთავარია: „*იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ, ძე არჩილისა... ხოლო ჟამსა მას მთავრობდა... აფხაზეთა შორის ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძე*“.¹ ირ. ანთელავასა და ზ. ანჩაბაძის მოსაზრებებით, ქელემ-ბეის გამთავრება XVIIIს. 80-იან წლებში უნდა მომხდარიყო.² ასევე ვარაუდობს პროფ. ზ. პაპასქირიც.³ ბ. ხორავა ამ ფაქტს XVIIIს. 80-იანი წლების დასაწყისით ათარიღებს.⁴ ეს მოსაზრება გაიზიარა ზ. ნურნუშიამაც.⁵ გ. ანჩაბაძე ქელემ-ბეის გამთავრებას 1784 წლით ათარიღებს.⁶ უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხის დაზუსტების მცდელობა ჰქონდა დ. ზაქარაიასაც, რომელმაც მისი ქრონოლოგიური ჩარჩო 1786-1789 წლებით განსაზღვრა.⁷ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქელემ-ბეის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება აფხაზეთის სამთავროში 1787წ. შემოდგომის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამ პერიოდში, როგორც ვნახეთ, შეიქმნა მეტად ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ფონი აფხაზეთში პროთურქული ძალების პოზიციების გამყარებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სამურზაყანოს აღმოსავლეთითაც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. 1784წ. 23 აპრილს, გიორგობას, ტრაგიკულად დაიღუპა სოლომონ I, „*ქრისტეანობისა ნათელი*“.⁸ ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორი კანკანდიდატი, ორი დავითი, ერთგვარად, XVIII საუკუნის მინურულის „ულუ“ და „ნარინი“: სოლომონ მეფის ბიძაშვილი, 29 წლის დავით გიორგის ძე და სოლომონისვე ძმისშვილი, 12 წლის დავით არჩილის ძე, რომელიც, დედის მხრივ, ერეკლე II-ს შვილიშვილი იყო. ეს უკანასკნელი ტახტის მემკვიდრედ სოლომონმა თავისივე სიცოცხლეში აღიარა.⁹ შექმნილი ვითარებით ისარგებლეს სოლომონ I-ის პოლიტიკით უკმაყოფილო მთავრებმა და დიდებულებმა. მათთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, რადგან დავით

¹ **ბ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

² **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии. გვ. 82; **ზ. ანჩაბაძე.** ქელაიშ აჰმედ-ბეგ (ქელემ-ბეი) შარვაშიძე, – *ქსე*. ტ. 10. თბ., 1986, გვ. 689.

³ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და..., გვ. 114-115; **З. Папаскири.** Абхазия..., გვ. 93.

⁴ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164.

⁵ **ზ. ნურნუშია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 129.

⁶ **Г. З. Анчабадзе.** Князь Шервашидзе-Чачба..., გვ. 14.

⁷ დ. **ზაქარაია.** პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 77.

⁸ **Е. С. Такайшвили.** Исторические приписки..., გვ. 18.

⁹ **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთი XVIII საუკუნეში. გვ. 163; **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო..., გვ. 280.

გიორგის ძე კაცია დადიანის მამიდაშვილი იყო.¹ ოდიშის მთავრისა და გავლენიანი იმერელი ფეოდალის, პაპუნა წერეთლისა და ბერი წულუკიძის, შეწევნით მეფე გახდა უფროსი დავითი.²

1788წ. 6 დეკემბერს კაცია გარდაიცვალა და ოდიშის მთავარი მისი 18 წლის შვილი გრიგოლი გახდა.³ სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული კაცია, როგორც ჩანს, მისი ხელშეწყობით გამეფებულ დავითს ბოლომდე არ ენდობოდა, ამიტომ მეფეს, 3 დეკემბერს, ფიცი ჩამოართვა, რომ „შეენიოს ძეთა მისთა“.⁴

სამეგრელოს სამთავროში შექმნილი ვითარებით სარგებლობა სამურზაყანოს მმართველმა ლევანმაც მოინდომა. კაციასთან შერიგების მიუხედავად, მისი მიზანი მაინც ოდიშის გავლენის მოშორება იყო. ზუგდიდსა და ბედიში ჩამოყალიბდა „მანუჩარის პარტია“, რომელიც კაცია II-ს უმცროსი ძის გამთავრებას ისახავდა მიზნად. თვითონ არც მანუჩარი იყო წინააღმდეგი უკანონოდ დაეკავებინა დადიანის ტახტი. როგორც ჩანს, ამ პარტიის წევრები საკმაოდ გავლენიანი ოდიშარები და სამურზაყანოელები იყვნენ. არაა გამორიცხული, რომ ამ საქმეში ქელეშ-ბეის ხელიც ყოფილიყო გარეული, რადგან მასაც სამურზაყანოზე ეჭირა თვალი.

1789წ. 14 ივნისით დათარიღებულ დავით მეფის წერილში იმერეთის ელჩ ბესარიონ გაბაშვილისადმი აღნიშნულია, რომ ქუთაისში ჩასულა აფხაზ დიდებულთა დიდი დელეგაცია: „შარვაშიძენი, მპყრობელნი ყოვლისა აფხაზეთისანი, ყოვლითა ჩინებულთა თავადითა და აზნაურთა“.⁵ „ზემო აფხაზეთის მპყრობელმა“ ლევან შარვაშიძემ⁶ მეფეს სთხოვა, სამეგრელოს მთავრობა მისი სიძისათვის, მანუჩარისთვის ებოძა.⁷ სამურზაყანოს მფლობელი კი, ამის სანაცვლოდ, აღიარებდა იმერეთის მეფის უზენაეს ხელისუფლებას.⁸ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ დავითი ქორწინების გარეშე იყო შობილი და, შესაბამისად, კანონიერი გზით ის მეფე ვერ გახდებოდა.⁹ თუმცა კი, სოლომონმა იგი მეურვედ დაუყენა არასრულწლოვან ტახტის მემკვიდრე დავით

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 181.

² მეფე დავით II-ს იმერეთის ტახტი 2-ჯერ ეჭირა: 1784-1789წწ. და 1790წ..

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 184.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 184; კაციამ მეფეს შეახსენა, რომ იმერეთის ტახტი მან სამეგრელოს მთავრის დახმარებით დაიჭირა.

⁵ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277.

⁶ ამგვარადაა იგი მოხსენიებული (ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277).

⁷ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277-278.

⁸ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277-278.

⁹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო, გვ. 280.

არჩილის ძეს.¹

როგორც ჩანს, ლევანმა იცოდა დავით მეფის ამგვარი არამყარი პოზიცია და, „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით, მისი გეგმის რეალიზაციაში დახმარება მოითხოვა. შემოთავაზებული ვარიანტი დავითსაც დაუჯდა გონებაში. თუკი ის სამურზაყანოს ხელისუფლის იდეას ხორცს შეასხამდა, მაშინ ლევან შარვაშიძის სახით ძლიერ მოკავშირეს შეიძენდა და სამეგრელოზე კონტროლსაც შეძლებდა. დავითმა კარგად იცოდა, რომ ოდიშის სამთავრო იმერეთის მეფეთათვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა და ამიტომ მხოლოდ მისი დამორჩილების შემდეგ თუ გაძლიერდებოდა იმერეთის მონარქის ხელისუფლება და პოზიციები. მით უფრო, რომ მანუჩარი ერთგულ სამსახურს ჰპირდებოდა.² ლევანი, თავის მხრივ, იმერეთის მეფეს ქელემ-ბეისთან კონტაქტების დამყარებაში ხელშეწყობას დაჰპირდა. ამის შემდეგ „იმერთა“ კათალიკოს მაქსიმე II იმერეთის დესპან ბ. გაბაშვილს სწერდა, რომ „*შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, მეფემან ჩვენმან თავისი ცდით შეიერთოს*“.³

ქუთაისიდან ზურგამაგრებულმა ლევანმა და მანუჩარმა აქტიური მუშაობა გააგრძელეს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. 1789წ. თებერვლისათვის, „*და შემდგომად ორის თვისა კაცია დადიანის გარდაცვალებისა*“⁴ სათანადო ვითარება შეიქმმნა და იმერელმა გვირგვინოსანმაც არ დაახანა და სამეგრელო დალაშქრა. გრიგოლმა და მისმა მომხრეებმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაწიეს. მეფემ გავლენიანი ოდიშარი დიდებულები გადაიბირა და მთავრის ტახტზე მანუჩარი დაამტკიცა. დავით მეფის ზემოხსენებული წერილით ლევან შარვაშიძის იმერეთში ვიზიტი 1789წ. მაისითაა დათარიღებული, ხოლო წერილში, რომელიც 14 ივნისსაა შედგენილი, მანუჩარის შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. პირიქით, მეფე ამბობს, რომ აფხაზთა სათხოვარი გრიგოლისათვის დადიანობის ჩამორთმევაზე „*მანამდის ვსთხოვე დაცადება, ვიდრემდისცა ვითარცა რუსეთის უმაღლესმან კარმან ინებოს, ამ საქმის ნება მათი არს*“.⁵

რა თქმა უნდა, სანქტ-პეტერბურგის გადასაწყვეტი ჯერ არ იყო სამეგრელოს მთავრის დამტკიცებისა თუ გადაყენების საკითხი. აშკარაა, რომ ნ. დადიანის ცნობა გრიგოლის ჩამოგდებასა და დავით მეფის წერილი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მეფემ

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 173.

² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია..., გვ. 132.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 281.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

⁵ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

დაფარა, რომ მანუჩარს ხელი შეუწყო ძმის ტახტის უსამართლოდ დაკავებაში. როგორც ჩანს, ქუთაისში, სადაც რუსეთის მოკავშირეობისაკენ მიისწრაფვოდნენ, მიიჩნიეს, რომ, გარკვეულ დრომდე, არ გაემჟღავნებინათ ეს ფაქტი, რათა იმერეთი და მისი მეფე რუსეთისთვის ერგვნებინათ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად, რომელიც ყველა საკითხს სამართლით წყვეტდა, რაზეც მიანიშნებდა რუსეთის ხელისუფლების ნებართვისადმი აპელირება. ამიტომ, იმერეთის მეფის კარზე მიიჩნიეს, რომ უსამართლოდ და თან ერთი კონკრეტული „პარტიის“ თხოვნის გამო გრიგოლის გადაყენება დადიანობიდან მათ ხელისუფლებას არასერიოზულობის სახეს მისცემდა და იმპერატრიცა ეკატერინე II-ს კარიც თავს შეიკავებდა ასეთ პარტნიორთან კავშირისაგან.

მთავრობადაკარგული გრიგოლ დადიანი ლეჩხუმში გაიქცა.¹ ბ. ხორავას აზრით, ეს იყო იმერეთის მეფის საბედისწერო შეცდომა.² დევნილმა მთავარმა შესანიშნავად გამოიყენა დავით მეფისთვის არასახარბიელო საშინაო და საგარეო ვითარება³ და 1789წ. ივლისში იმერეთს დავით არჩილის ძე, სოლომონ II მოეწვლინა მეფედ. ამდენად, გრიგოლს მნიშვნელოვანი წვლილი უდევს იმერეთის ტახტზე დავით არჩილის ძის დასმაში.⁴ ამ გზით, გრიგოლმა მთავრის ტახტი დაიბრუნა და საჭილაოც დაიმკვიდრა: „თავისის სამართლიანის საზღურით, აზნაურით, გლეხით, ტყით, წყლით, ეკკლესიით, თავისის შემავალით სანადიროთა“⁵ თუმცა, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ის ბაგრატიოვანთა ორივე ტახტის მფლობელს ერთდროულად დაუმოყვრდა. გრიგოლმა ცოლად შეირთო ერეკლეს შვილიშვილი, გიორგი ბატონიშვილის (შემგომში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII) ასული ნინო, ხოლო სოლომონს კი თავისი და, მარიამი, მიათხოვა.⁶

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166.

³ საზღვრებთან თურქები იდგნენ და ახალციხის ფაშაც უარყოფითად იყო განწყობილი იმერეთის მეფის მიმართ; მას, ასევე, გართულებული ურთიერთობები ჰქონდა იმერელ დიდებულთა ნაწილთან, რომელნიც დავითს, თავის დროზე გამეფებაში დაეხმარნენ; ერეკლე II-სთან მყოფი დავით არჩილის ძეც ხელსაყრელ დროს ელოდებოდა იმერეთის ტახტის დასაკავებლად (ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166).

⁴ წერილი ლევან დადიანისა არქიმანდრიტ გიორგისადმი. 1816წ. 31 დეკემბერი, — სხეც. დოკუმენტი დ-1508.

⁵ წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა გრ. დადიანისადმი (1789წ. 10 სექტემბერი) — წგნ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წგნ. I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 13-14.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

სავარაუდოდ, ოდიშში დაბრუნებული გრიგოლი სამურზაყანოს საკითხს ყურადღების გარეშე არ დატოვებდა. მისი ძმის ამბიციური სიმამრი დადიანისათვის საიმედო ხელისუფალი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან, სამურზაყანოს ახალი ხელისუფალი ჰყავს:¹ ლევანის ძმისშვილი მანუჩარი, რომელიც გრიგოლ დადიანის ერთგული მოკავშირე იყო და, მოგვიანებით, მისი სიძეც გახდა (ცოლად ჰყავდა გრიგოლის ქალიშვილი ქეთევანი).² 1790-1792წწ. სიგელებში გრიგოლი ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის და თაკვერის მფლობელად იწოდება.³

ვფიქრობთ, სამართლიანია ბ. ხორავას შენიშვნა, რომ აქ „აფხაზეთში“ სამურზაყანო მოიაზრება.⁴ თუმცა, თ. ქადარია ვარაუდობს, რომ მანუჩარი სამურზაყანოს ხელისუფლებაში მხოლოდ 1810 წელს მოვიდა.⁵ ჯ. გამახარიაც ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდს 1757-1810წწ. განსაზღვრავს.⁶ ვ. ზუხბაია კი 1753-1810 წლებით ათარიღებს.⁷ თუმცა, 1753 წლით სამურზაყანოში ლევანის მმართველობის დაწყება არანაირად არ ესადაგება წყაროთა ცნობებს,⁸ სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ მამამისი, ხუტუნია, მხოლოდ 1757წ. დაიღუპა ხრესილის ბრძოლაში. პროფესორი ირ. ანთელავა სამურზაყანოს ხელისუფლებაში მანუჩარის მოსვლას XVIII-ის 80-იანი წლებით ათარიღებს.⁹ ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ამგვარი დათარიღება ისევ ეწინააღმდეგება წყაროებში მოცემულ ცნობებს.

1792წ. გრიგოლ დადიანმა კვლავ დაკარგა მთავრის ტახტი.¹⁰ სოლომონ II სამეფოს შემომტყიცება-გაძლიერებისათვის ზრუნავდა და ისიც, ამ მიზნით, დიდებულთა დამორჩილებას ცდილობდა. სამეგრელოს მთავარი კი თავისი სიძის ამ იდეას ნამდვილად არ იწონებდა და თავი დამოუკიდებელ მთავრად ეჭირა.¹¹ დევნილმა გრიგოლმა ამჯერად თავი სამურზაყანოს შე-

¹ თუმცა, ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ლევან შარვაშიძის მოღვაწეობა 1757-1789 წლებით გვექონდა დათარიღებული (კ. კვაშილავა. სამურზაყანო ლევან შარვაშიძეს მმართველობის პერიოდში, – სდ. ტ. X-XI, გვ. 167-168).

² *Акты*. Т. II. док. №794, გვ. 401.

³ *Акты*. Т. VI, ч. II, გვ. 814.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 166.

⁵ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ..., გვ. 107.

⁶ ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 294.

⁷ ვ. ზუხბაია. სამურზაყანო, გვ. 13.

⁸ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

⁹ И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии..., გვ. 23.

¹⁰ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 167.

¹¹ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 167.

აფარა: „გრიგოლ წარვიდა სამურზაყანო-აფხაზთ შორის და იყო მუნ“.¹ როგორც ჩანს, იქ მისი პოზიციები უკვე საკმაოდ მყარი იყო, ვინაიდან სამურზაყანოელებმა მას დაუჭირეს მხარი და არა ხელახლა გადადიანებულ ლევან შარვაშიძის სიძეს: „შეკრბენ სამურზაყანო-აფხაზნი შესანევენელად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ“.² ვფიქრობთ, რომ ნ. დადიანის ეს ცნობა უარყოფს თ. ბერაძის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სამურზაყანო XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სამთავრო იყო.³ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია საუბარო მხოლოდ სამეგრელოს გავლენის გარკვეულ შესუსტებაზე.

საფიქრებელია, რომ გრიგოლმა მხარი დაუჭირა ხუტუნია შარვაშიძის უმცროსი მემკვიდრეების პოზიციების გამყარებას მათი ბიძის, ლევანის, წინააღმდეგ, რომლის პოლიტიკური ძალაუფლებაც, შესაბამისად, მხოლოდ მის მამულზე გავრცელდა. „კონდომინიუმის“ პრინციპიდან გამომდინარე, გრიგოლი, აშკარად, ვერ ჩაერეოდა სამურზაყანოს მფლობელთა დადგენის საკითხში, რადგან ეს უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა აფხაზეთის სამთავროს მესვეურ შარვაშიძეებში. სამურზაყანოს ლაშქრით მხარდაჭერილმა გრიგოლმა 1794წ. იმერეთში ილაშქრა, სადაც იმხანად სოლომონს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა დავით გიორგის ძის შემოჭრის გამო.⁴ ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ყოფილი მეფე და დადიანი ერთმანეთს დააკავშირა.⁵ თუმცა, მარსილში (ბანძასთან) დაბანაკებულმა გრიგოლმა ამ ლაშქრობით ვერაფერს მიაღწია. ის მალევე დაამარცხეს და ისევ სამურზაყანოში გადავიდა.⁶

სამურზაყანოს ლაშქარი („აფხაზნი“) იმერელ მხედართა რამდენიმე რაზმმა ღამით მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხა.⁷ როგორც ჩანს, გრიგოლი არც თუ ისე მცირე რაოდენობის მხედრობით იყო მოსული, რადგან მეფე შენუხებულა, როცა გაუგია, რომ მას ორ ფრონტზე მოუწევდა ბრძოლა.⁸ უკუქცეულმა აფხაზებმა სამეგრელოს მოსახლეობა გაძარცვეს და სამურზა-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-187.

³ თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი..., გვ. 243.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187; *Акты*. Т. I, დოკ. №695, გვ. 553.

⁵ მოხსენება ზურაბ წერეთლისა იმერეთის დროებითს მმართველობაში, – ნგნ.: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები*. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. ნგნ. I, გვ. 122.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187.

⁷ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187; *Акты*. Т. I, დოკ. №695, გვ. 553.

⁸ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 187.

ყანოში ისინი „დიდითა ალაფითა სავსე“ დაბრუნდნენ. ნიშანდობლივია, რომ ნ. დადიანი „სამურზაყანოსთან“ მიმართებაში ხმარობს ეთნონიმ „აფხაზს“. საფიქრებელია, ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სამურზაყანოელ შარვაშიძეთა ლაშქარი, ძირითადად, აფხაზი მხედრებით იყო დაკომპლექტებული. რადგან, სამურზაყანოს არისტოკრატია, უმეტესად, აფხაზური იყო, როგორც ჩანს, ისინიც აკომპლექტებდნენ მხედართ რაზმებს. ალბათ, მეგრელებისგან, რომლებიც, ძირითადად, დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ, ყალიბდებოდა ფეხოსანთა ლაშქარი.

საყურადღებოა, რომ გრიგოლ დადიანი სამურზაყანოში თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და მას ქელემ-ბეისთან გადასვლა არ დასჭირვებია. როგორც ჩანს, ეს კუთხე ამ პერიოდში საკმაოდ გაძლიერებული ყოფილა, ვინაიდან მანუჩარს არც უცდია მისი ძმის იქიდან გაძევება და ამით მან, ფაქტობრივად, სამურზაყანოზე კონტროლი დაკარგა. თუმცა, სამურზაყანო, ზოგადად, დადიანის გავლენიდან ჯერ კიდევ არ გასულა. სამურზაყანოელი შარვაშიძე მხოლოდ გრიგოლის ხელისუფლებას აღიარებდა და უჭერდა მხარს. 1798წ. სოფ. ოჯოლაში გრიგოლ დადიანი მეფეს დაეხაზა და ოდიშის მთავრის ტახტიც დაიბრუნა.¹ სამურზაყანოზე ისევ სამეგრელოს გავლენა გავრცელდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამურზაყანოელთა მხარდაჭერა გრიგოლ დადიანისადმი იმერეთის მეფის წინააღმდეგ ყოველთვის ერთნიშნა არ ყოფილა. სავარაუდოდ, 1802წ. გრიგოლსა და სოლომონს შორის არსებულ კონფლიქტში, რომელშიც ქელემ-ბეიც ჩაერთო, სამურზაყანოელი შარვაშიძეები, გარკვეულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. ახტალის მიტროპოლიტისადმის იმერეთის მეფის 1802წ. 18 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ აფხაზეთის მთავარს სოლომონთან დაზავება ლევან შარვაშიძის ძმისშვილის, ბეჟანის შუამავლობით მოუხერხებია.²

ქელემ-ბეი ცდილობდა გამოეყენებინა ოდიშის შიდაარეულობები და სამურზაყანოს დაუფლებოდა. ბ. ხორავა ფიქრობს, რომ XVIIIს. 90-იანი წლების მიწურულიდან ამ კუთხეზე ქელემ-ბეის კონტროლი დაწესდა კიდევ.³ დ. ზაქარაია კიდევ უფრო შორს მიდის და ვარაუდობს, რომ ქელემ-ბეიმ სამურზაყანოს მიმართ თავის მიზნებს უკვე 1794წ. მიაღწია.⁴ მკვლევარი ამ მოსაზრების გამყარებას ნიკო დადიანის ერთი ცნობით ცდილობს.

¹ *Акты*. Т. I, დოკ. №34, გვ. 113; **ნ. დადიანი**. ქართველთ..., გვ. 189-190.

² *Акты*. Т. I, დოკ. №756, გვ. 578.

³ **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 172.

⁴ **დ. ზაქარაია**. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში..., გვ. 82.

კერძოდ, აღწერს რა 1802წ. ამბებს, მემატთანე წერს: „გრიგოლი რა შთავიდა ოდიშს, სთხოვა შეწევნა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა შარვაშიძესა, რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი, ვიდრე ღალიძგამდე და მძღავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო-აფხაზეთსა“.¹

ვფიქრობთ, რომ ეს ამონარიდი არ გვაძლევს საფუძველს დავუშვათ აფხაზეთის მთავრის კონტროლი ამ კუთხეზე და მით უფრო 1794 წლიდან. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 1798წ. სამურზაყანო ისევ გრიგოლ დადიანს ემორჩილება. ვფიქრობთ, სწორია ირ. ანთელავა მოსაზრება, რომელიც ამ ციტატაში სამურზაყანოზე ქელემ-ბეის მხოლოდ მინიმალურ კონტროლს ხედავს, რის დამადასტურებლადაც მას სამურზაყანოელთა შარვაშიძეთა მიერ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა მოჰყავს, რომელიც ქელემ-ბეის სანქციის გარეშე განხორციელდა.² როგორც მკვლევარი აღნიშნავს, «совершенно точно можно сказать, что власть Келеш-бея не признавалась в Самурзакано... Н. Дадияни говорит только лишь о влиянии Келеш-бея на самурзаканские дела. Но и это влияние, как видно, было не очень сильное*».³

როგორც ჩანს, ქელემ-ბეგმა მხოლოდ მანუჩარ შარვაშიძის ძმების – ლევანის და ბეჟანის – მიმხრობა შეძლო.⁴ ირ. ანთელავას მოსაზრება სამურზაყანოზე აფხაზეთის მთავრის მინიმალური კონტროლისა დასტურდება ერთი დოკუმენტითაც. კერძოდ, 1805 წლის 20 თებერვლით დათარიღებულ პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვის მოხსენებით ბარათში პავლე ციციანოვისადმი აღნიშნულია, რომ ქელემ-ბეის გავლენის ქვეშ მხოლოდ მანუჩარის ძმები – ბეჟან და ლევან შარვაშიძეები იყვნენ და ამის მიზეზი კი, ავტორის შენიშვნით, გრიგოლ დადიანის ხელისუფლების სისუსტე ყოფილა.⁵ ნ. დუბროვინის შენიშვნით, გრიგოლ დადიანს ემორჩილებოდა აფხაზთა გარკვეული ნაწილი, თუმცა მისი ხელისუფლება მათ მხარეში ძალიან სუსტი ყოფილა, რაც გამონვეული ყოფილა თურქთა მხარდაჭერით.⁶ ბუნებრივია, რომ აქ „აფ-

¹ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

² **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии..., გვ. 83.

* „დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ სამურზაყანოში არ ცნობდნენ ქელემ-ბეის ხელისუფლებას... ნ. დადიანი საუბრობს მხოლოდ ქელემ-ბეის გავლენაზე სამურზაყანოს საქმეებზე. მაგრამ ეს გავლენაც, როგორც ჩანს, არც ისე ძლიერია“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

³ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии..., გვ. 83.

⁴ *Акты.* Т. II, док. №1048, 1049, გვ. 537.

⁵ *Акты.* Т. II, док. №838, გვ. 428.

⁶ **Н. Дубровин.** Закавказье от 1803-1806 года. СПб., 1866, გვ. 141.

ხაზებში“ სამურზაყანოელები იგულისხმებიან, ხოლო „თურქებში“ კი – ქელემ-ბეი უნდა მოვიაზროთ. თუმცა, ნ. დუბროვინის მიხედვითაც არ დასტურდება, რომ სამურზაყანოზე გავლენა ამ დროს დადიანს დაკარგული ჰქონდა. ოდიშის ხელისუფლება სუსტად ვრცელდებოდა ენგურ-ღალიძგას შუამდინარეთში, მაგრამ იქაური მოსახლეობა დადიანს გადასახადებს მაინც უხდიდა, თუმცა შემცირებული რაოდენობით.¹

ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი ცნობაა, რომელიც უარყოფს სამურზაყანოს გამოსვლას სამეგრელოს გავლენიდან, რადგან მოსახლეობა გადასახადებს იხდიდა, ის აღიარებდა დადიანის ხელისუფლებას. როგორც ჩანს, იმერეთის მეფესთან გართულებით და შიდაარეულობებით დაკავებული გრიგოლი დიდ ყურადღებას ვერ უთმობდა სამურზაყანოში მიმდინარე პროცესებს და ამით ისარგებლა ქელემ-ბეიმაც. მათი კავშირის წერილობით გაფორმება არ მომხდარა და ის მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას ეფუძნებოდა.² როგორც პ. ლიტვინოვი იუწყებოდა, ამის მიზეზი ყოფილა ბეჟან და ლევან შარვაშიძეების სურვილი *«иметь полную волю грабить и увозить людей из Дадияни владений»*.³ როგორც ჩანს, აქ, საკუთრივ სამეგრელოში, სამურზაყანოც უნდა იგულისხმებოდეს და ძმები შარვაშიძეები, ქელემ-ბეისა და ოსმალების გავლენითა და მფარველობით, ხელს უწყობდნენ იქ ტყვეებით მოვაჭრეებს.

სიტყვა „მძლავრება“ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც: „*ძალით ერევა, ძლადობას იჩენს; ბატონობს*“.⁴ ხოლო ს.-ს. ორბელიანი კი წერს, რომ „*მძლავრი ესე არს ყოვლით(ა) უშჯულოებით(ა)/უსამართლო(ე)ბითა აღსავსე მეფე*“.⁵ მართალია, „მძლავრობა“ „ბატონობასაც“ გულისხმობს, მაგრამ, ნ. დადიანის ზემოთ ხსენებულ ცნობასთან დაკავშირებით, მას უფრო მოძალადის განმარტება შეეფერება. „მძლავრობის“ ამგვარი გაგებაა მოცემული „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონშიც.⁶ ამასთანავე, „*დილის ლოცვებში*“

¹ Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года, გვ. 141.

² Акты. Т. II, დოკ. №838, გვ. 428.

* „ჰქონდეს სრული უფლება დადიანის მიწიდან ხალხის მოტაცებისა და გაყვანისა“ (თარგმანი ჩვენია – პ.პ.).

³ Акты. Т. II, დოკ. №838, გვ. 428.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. V, თბ., 1958, სვეტი 1214; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. არნ. ჩიქობავას რედაქციით. ნაკვ. II, თბ., 1990, გვ. 758.

⁵ ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ნ. I, გვ. 540.

⁶ „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი. ტ. I. /ლეონტი მროველი.

არის ასეთი მუხლი: „აცხოვნე, უფალო, და შეინყალებნ მოძულენი და მაჭირვებლნი ჩემნი, და მოქმედნი ჩემზედა უსჯულოებისანი, და რომელნი **მძლავრობენ** და მყვედრიან მე...“¹ ამ შემთხვევაშიც, ეს სიტყვა „ძალადობას“ ნიშნავს. ამიტომ, ვფიქრობთ, ქელემ-ბეის „მძლავრებდაცა“ გამოიხატებოდა ორი გავლენიანი სამურზაყანოელი შარვაშიძის მიმხრობაში, რომელნიც სამურზაყანოში ცდილობდნენ აფხაზეთის მთავრის ინტერესების გატარებას და ქელემ-ბეი აქტიურად ენეოდა ტყვეებით ვაჭრობას ამ მხარეში. ამასთან, აფხაზეთის მთავარი აიძულებდა სამურზაყანოს მოსახლეობას მის სამთავროში გადასახლებას.² გადასახლებულ მეგრელებს შემდეგ მონებად (აგირუა) აქცევდნენ.

ეს დოკუმენტი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. აქ ჩანს, რომ იმ პერიოდში სამურზაყანოს ტერიტორია მფლობელის ოჯახის წევრებს შორის ყოფილა დანაწილებული. როგორც ვნახეთ, პირველი პრობლემა უფროსს ლევან შარვაშიძეს შეექმნა, რომელიც იძულებული გახდა თავის ძმისათვის სამკვიდრო დაემტკიცებინა. როგორც ჩანს, ეს „ტრადიცია“ არც მანუჩარის ხელისუფლებაში მოსვლის დროს დარღვეულა და ისიც იძულებული გამხდარა ძმების სურვილი დაეკმაყოფილებინა. ეს კი მნიშვნელოვნად ზღუდავდა მანუჩარის ხელისუფლებას, მით უფრო, რომ მის ორ ძმას ქელემ-ბეი უმაგრებდა ზურგს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავარმა სამურზაყანოს მფლობელთა სახლის ორი გავლენიანი წევრის მიმხრობა შეძლო, ეს მაინც არ იყო საკმარისი სამურზაყანოს სრული კონტროლისათვის, რადგან ხელისუფლება მანუჩარ შარვაშიძის ხელში რჩებოდა და წყაროებით არ ჩანს, რომ ლევანს ან ბეჟანს მანუჩარის ჩამოშორება უცდიათ. ამასთან ერთად, მათ არ შეუცვლიათ სარწმუნოება და კვლავ ცაიშელი მღვდელმთავრის სამწყსოს წევრებად რჩებოდნენ.³

ამრიგად, ლევან შარვაშიძე დიდი ამბიციების მქონე მმართველი იყო, რომელთან კავშირს ესწრაფვოდნენ იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარიც. მან დაარღვია პაპისა და მამის „ტრადიცია“, რომელიც გამორიცხავდა სამურზაყანოს ხელისუფალთა პოლიტიკურ აქტიურობას მათი სამფლობელოს ფარგლებს გარეთ. ლევანის დროს კი ეს შეიცვალა. ამიერიდან სამურზაყა-

ცხოვრება ქართველთა მეფეთა. არჩილის წამება/. შემდგენლები: **მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყოშია.** თბ., 1986, გვ. 143.

¹ *ლოცვანი*. მეოთხე შევსებული გამოცემა. დაიბეჭდა რუსთველ **მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი)** ლოცვა-კურთხევით. რუსთავი, 2000, გვ. 49.

² **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 402.

³ *Акты.* Т. II, დოკ. 838, გვ. 428.

ნოელი შარვაშიძეები აქტიურად მონაწილეობენ მათი სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთით თუ ჩრდილო-დასავლეთით განვითარებულ პროცესებში, რიგ შემთხვევაშიც, თავადაც კი აძლევენ გარკვეულ მიმართულებას ამ პროცესების განვითარებას (სოხუმის ციხიდან განდევნილი თურქების დაბრუნება, სამთავრო ტახტიდან გრიგოლ დადიანის პირველი ჩამოგდება). ამასთანავე, შევეცადეთ განგვესაზღვრა ლევან შარვაშიძის მმართველობის პერიოდი 1757-1790 (არა უგვიანეს 1792 წლისა) წლებით.



ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
გიორგი ქოჩოლაგას წარწერა (XII ს.).¹

¹ მოგვანოდა ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ლია ახალაძემ.

§3. რუსეთის „მფარველობის“ მიღება

XVIII ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე, ლევან შარვაშიძემ, ტოტლებენტან უნაყოფო მოლაპარაკებების მიუხედავად, თავისი საგარეო პოლიტიკური ვექტორი კვლავ ჩრდილოეთისაკენ მიაბრუნა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომში რუსთა აშკარა წარმატებები გამოიკვეთა და, ამასთანავე, იგი იმერეთის საზღვარსაც იყო მომდგარი, ვინაიდან ქართლ-კახეთის მეფე უკვე იმპერატორის „მფარველობის“ ქვეშ იყო. იმერეთის მეფე დავითიც ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას ეწეოდა.¹

ქუთაისში, მეფესთან აუდიენციის დროს, ლევანმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და რუსეთის პროტექტორატის მიღების თაობაზეც გამართა დავითთან საუბარი, რაზეც მეფისგან პირობა მიიღო აფხაზეთისათვის რუსეთის მფარველობის მოპოვების შესახებ.² როგორც დავით მეფე წერდა ბ. გაბაშვილს, აფხაზები ამას აღფრთოვანებული შეხვედრიან.³ თუმცა, იმერეთის ხელისუფლება რუსეთთან მოლაპარაკებებში ჯერ კიდევ 1787 წლიდან აყენებდა აფხაზეთის საკითხს და სანქტ-პეტერბურგს წარმოუჩინდა ამ კუთხის სერიოზულ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.⁴

სამწუხაროდ, წყაროებში დაცული არაა დავითისა და ლევანის საუბრის დეტალები, მაგრამ იგივე ბ. გაბაშვილის დიპლომატიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა საკითხები შეიძლებოდა განეხილათ მათ. სავარაუდოდ, სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგი აისახა იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმე II-ს წერილში ბ. გაბაშვილისადმი: *„შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, მეფემან ჩვენმან თავისი ცდით შეიერთოს და მეფის თანახმა იქნეს რუსეთის ხელმწიფის ერთგულობაზე. აჯობებს თუ არა, თუ რომ ამ საქმეზე მოჰყვება, ერთხმა იქნება მეფისა ჩვენისა შარვაშიძე, აფხაზეთის მთავარი, ვგონებ, დიდ ბედნიერებას მიიღებს. თუ რომ არ უსმინა მეფესა ჩვენსა ერთხმობად რუსეთის ერთგულობა, ბოლოს, ვგონებ, შეინანოს და ახლავ სჯობოს, რომ ჩვენს მეფესთან შეერთდეს, ერთგულობა აჩვენოს რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა. ...მღვთის მადლით და შენევნით დიდი უბედუ-*

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 184.

² ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

³ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 278.

⁴ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 268-269.

რებაც მიიღეს ოსმალთ დიდისა რუსეთისა ზღვით თუ ხმელით. ვგონებ, ესე ყოველი განცხადებულად უწყის აფხაზეთის მთავარმა“¹

რა თქმა უნდა, აქ ძალიან გაზვიადებულადაა მოცემული აფხაზეთის მიმხრობის პერსპექტივა, სადაც პროთურქული ორიენტაციის ქელემ-ბეი მთავრობდა. ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია აფხაზეთის მფლობელის მიერ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ასეთი კარდინალური ცვლილება ხელისუფლებაში მოსვლიდან მოკლე ხანში. რა თქმა უნდა, მღვდელმთავარი მართებულად შენიშნავდა, რომ მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომში საქმე პირველის სასარგებლოდ მიმდინარეობდა და ამას გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა ქელემ-ბეის ორიენტაციაზე. მაგრამ არ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ აფხაზეთის მთავრის მხრიდან რუსეთთან დაკავშირების გზების მცდელობის მოსინჯვაც კი.

სავსებით მართებულად უარყოფდა ირ. ანთელავა ქელემ-ბეის ანტიოსმალობას ამ პერიოდში, ვინაიდან იგი არ ჩანდა 1790 წელს გაფორმებულ ქართველ მეფე-მთავართა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში.² ამიტომ, ვფიქრობთ, აფხაზეთის მთავარი, XVIII. 80-იანი წლების მიწურულს, არ გამოთქვამდა რუსეთთან შეერთების სურვილს და ამას არც ლევანს დაავალებდა. გ. ძიძარიაც მიიჩნევდა, რომ ქელემ-ბეის პროორუსული ორიენტაცია მხოლოდ XIX. დასაწყისიდან ჩნდება.³ ფაქტი, რომ რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებში (მოლაპარაკება ტოტლებენტან, დავით მეფესთან) მხოლოდ ლევანი ჩანს, აშკარად მიანიშნებს, რომ რუსეთის პროტექტორატის მიღებით, იმ პერიოდში, შარვაშიძეთა სახლიდან მხოლოდ მათი სამურზაყანოს შტო იყო დაინტერესებული. შეიძლება ამ მიმართულებით გარკვეული ვარაუდი ზურაბის მიმართაც გამოითქვას, მაგრამ მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ამგვარ მცდელობას ადგილი, ალბათ, ვერ ექნებოდა.

იმერეთის მღვდელმთავარი, იმავე წერილში, მითითებას აძლევდა ბ. გაბაშვილს, რუსეთი იმითაც დააინტერესებინა, რომ აფხაზეთზე კონტროლით, საიმპერატორო კარი მის წინააღმდეგ მებრძოლ ყუბანელებს ზურგს მოუსპობდა.⁴ ამ გეგმის გაგრძელება ჩანს გრიგოლ პოტიომკინისადმი ბ. გაბაშვილის 1789წ. 5 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათშიც: „აფხაზეთი

¹ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 280.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии... გვ. 87-88.

³ Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии... გვ. 32.

⁴ ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 281-282.

დაიდვას თავისუფლად, რომელნიც ოსმალოს ჯლმი[თ დაპყრობილნი] არიან, და ნება მიეცესთ მათ, რომელთაცა საქმე ჩვენ [ვიციტით, რომ მალე აღიორჩევენ ქრისტიანობას და ისინიც, როგორც ჩვენ, [საფარველსა ქვეშე რუსეთი]სასა შემოვლენ და უხლმოდ მორჩილებას მიიღებენ. და ესეც დაიდვას...] რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭრონ,] რომლითაცა თქვენ მალე ნახავთ სარგებელსა ა[რა მცირესა]“.¹

როგორც ვხედავთ, თუკი სამურზაყანო, იმერეთთან ერთად, რუსეთის მფარველობას მიიღებდა, ეს დადებითად იმოქმედებდა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროში პრორუსული ორიენტაციის გამარჯვებაზე, რაც, ამ დოკუმენტში გამოხატულია ფორმულით „მალე აღიორჩევენ ქრისტიანობას“.

სამურზაყანოელ შარვაშიძეთათვის ამ თემამ განსაკუთრებული აქტუალობა მას მერე შეიძინა, რაც 1803წ. 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა სოფ. ჭალადიში ხელი მოაწერა სამფარველო ხელშეკრულებას რუსეთთან, ხოლო 4 დეკემბერს კი, ცაიშელი ეპისკოპოსისა და ოდიშის ნარჩინებულთა თანდასწრებით საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ამგვარად, ოდიშმა შეზღუდული ავტონომიის პირობით რუსეთის პროტექტორატი მიიღო.² რუსეთის ხელისუფლებამ კარგად ისარგებლა ოდიშ-იმერეთის დაძაბული ურთიერთობით დასავლეთ საქართველოში შემოსასვლელად.³ სამეგრელოს მეშვეობით რუსები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიუახლოვდნენ და მნიშვნელოვანი პლაცდარმიც მიიღეს იმერეთის სამეფოზე შეტევისათვის, რასაც საკუთრივ რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტოც აღიარებდა.⁴ ბ. ხორავა მიიჩნევს, რომ სოლომონ II-ს არაშორსმჭვრეტელმა დაპირისპირებამ გრიგოლ დადიანთან ხელი შეუწყო რუსების შემოსვლას დასავლეთ საქართველოში.⁵ მართალია, ეს მწვავე ბრძოლა ნამდვილად იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ვ. პოტოს ზემოთ მოყვანილ შეფასებას, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს მ. დუმბაძის დასკვნა, რომ სამეგრელოში რუსეთის დამკვიდრების მიზეზად უნდა ჩაითვალოს რუსეთის მთავრობის დამპყრობლური პოლიტიკა, „რომელსაც უნდა განეხორციელებია რუსეთისთვის გზის გახსნა შავი ზღვის

¹ მოხსენება იმერეთის დესპან ბესარიონ გაბაშვილისა გრიგოლ პოტიომკინისადმი (1789წ. 5 დეკემბერი), – წგნ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წგნ. I. გვ. 15.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 170.

³ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 230.

⁴ Утверждение Русскаго владычества на Кавказе. Т. I. Тфл., 1901. გვ. 104-105.

⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 170.

აღმოსავლეთი სანაპიროებისაკენ“.¹ თვით რუსი მოხელეების შეფასებით, რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს შეყვანა დადიანისათვის იყო „უკიდურესობა და არა კეთილი ნება“.²

მართალია, გრიგოლ დადიანი სოლომონ II-საგან დაცული იყო, მაგრამ მფარველობისა და „დაცვის“ სანაცვლოდ, შეიზღუდა მისი საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობა, რომელსაც უკვე რუსები აკონტროლებდნენ. დადიანი ვალდებული იყო მთავარმართებელს ან მის მოხელეს დამორჩილებოდა და, ამასთანავე, ოდიშში რუსეთის ჯარი შემოვიდა, რომლის დაბინავება და შენახვა ადგილობრივი მოსახლეობის მოვალეობად იქცა.³ თუმცა, ამ აქტს მაინც ჰქონდა დადებითი მხარეები: ოდიშში შეწყდა შინააშლილობები, ბრძოლა გამოეცხადა ტყვის სყიდვას, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებდა მოსახლეობას, სამთავრო დაცული იყო საგარეო აგრესიისაგან და მოისპო ოსმალეთის გავლენა.⁴ შავი ზღვის სანაპიროს კონტროლით თურქეთი ხელს უშლიდა ევროპასთან საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.⁵ მაგრამ სამეგრელოში არ იყო ერთსულოვანი დადებითი დამოკიდებულება მთავრის ამ გადაწყვეტილებისადმი. არსებობდა დიდებულითა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც რუსეთის შემოსვლას არ მიესალმებოდა.⁶

ოდიშის შესვლა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ მნიშვნელოვანი დარტყმა იყო სოლომონ II-ს შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის. მას დაეკარგა ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობა. 1804წ. 3 იანვარს რუსების ხელში აღმოჩნდა განჯა. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, ამან კიდევ უფრო გააუარესა იმერეთის უკანასკნელი მეფის პოზიციები, ვინაიდან გარედან დახმარების იმედი უკვე აღარ იყო.⁷ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან რუსეთით გარშემორტყმულმა სოლომონმა, მალე მისი მომხრე დიდებულები დაკარგა – მათ დადიანის მხარე დაიჭირეს,⁸ 1804წ. 25 აპრილს ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს რუსეთის იმპერატორისადმი, რომლითაც იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა. სო-

¹ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 17-18.

² მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ., გვ. 148.

³ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 229.

⁴ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 24-25.

⁵ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან. – სინ. ტ. IV, გვ. 846.

⁶ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 30-31.

⁷ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, – ნგნ.: 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნგნ. II, გვ. 299-300.

⁸ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 230.

ლომონმა ტახტის შენარჩუნება კი მოახერხა, მაგრამ მისი ხელისუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მ. რეხვიაშვილის შეფასებით, 1804წ. 25 აპრილის აქტით იმერეთის სამეფომ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, ფაქტობრივად თავისი არსებობა დაასრულა.¹

დასავლეთ საქართველოს ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის იმპერიის მფარველობაში შემოყვანით, რუსეთმა სერიოზულად განიმტკიცა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები რეგიონში. ამიერიდან რუსეთი ამიერკავკასიას ზღვითაც დაუკავშირდა და აზია-ევროპის სავაჭრო-სატრანზიტო გზა ხანგრძლივი ვადით მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.² ამ სტრატეგიული მდგომარეობის დაჭერით სანქტ-პეტერბურგი ამყარებდა თავის პოზიციებსა და გავლენას რეგიონში, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ენიჭებოდა რუსეთისათვის მისი აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

სამეგრელო იყო პირველი პოლიტიკური ერთეული დასავლეთ საქართველოში, რომელმაც რუსეთის მფარველობა მიიღო. მანუჩარ შარვაშიძე აქტიურად ცდილობდა სამურზაყანოზე რუსეთის პროტექტორატის დანესებას.³ ის თავიდანვე გრიგოლ დადაიანის საგარეო პოლიტიკური ორიენტირის მომხრე იყო, თუმცა, საკუთრივ სამურზაყანოში მას, ამ მხრივ, დიდი მხარდაჭერა არ ჰქონია თვით საკუთარი ძმების მხრიდანაც კი. რუსეთი ჯერ თავს იკავებდა სამურზაყანოს საკითხის გადაჭრისაგან, მანუჩარი კი სასწრაფოდ ითხოვდა პოლიტიკურ მხარდაჭერას. მისი პოზიციები იმდენად შესუსტდა, რომ უკვე 1804წ. 20 თებერვალს პ. ლიტვინოვი პ. ციციანოვისადმი მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მისი წერილი გაამხნევებდა სამურზაყანოს მმართველს და დადებითად იმოქმედებდა მისი ძმების გადმობირებაზეც,⁴ ხოლო 1805წ. 4 აპრილს პ. ლიტვინოვი უკვე პ. ციციანოვისაგან ითხოვდა, რათა რუსეთის ხელისუფლებას სასწრაფოდ დაეჭირა მხარი სამურზაყანოს ხელისუფალისადმი, რომელიც რუსებისა და დადაიანის ერთგული იყო.⁵

მანუჩარს რუსეთის მფარველობა ქელეშ-ბეისგან თავდაცვისთვისაც სჭირდებოდა, რადგან შიშობდა აფხაზეთის მთავარს მთლიანად არ დაეჭირა სამურზაყანო. როგორც პ. ციციანოვი პ.

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 261.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ. გვ. 29.

³ *Акты*. Т. II, док. 794, გვ. 401.

⁴ *Акты*. Т. II, док. 838, გვ. 428.

⁵ *Акты*. Т. II, док. 993, გვ. 510.

ლიტვინოვისადმი 1805წ. 3 ივნისით დათარიღებულ წერილში აღნიშნავდა, მანუჩარი ელოდა ქელემ-ბეის თავდასხმას თურქეთის ჯარებთან ერთად.¹ თუმცა, ოსმალეთმა არაფერი მოიქმედა.² სულთანს ადარდებდა საფრანგეთის გააქტიურებული პოლიტიკური და სამხედრო მოქმედება და ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის წარმატებული სამხედრო ოპერაციები ეგვიპტეში, ოსმალეთის აფრიკულ სამფლობელოში.³ ამან კი სტამბოლისა და სანქტ-პეტერბურგის დაახლოებას შეუწყო ხელი.⁴ აფხაზეთის მთავარი განსაკუთრებით გააქტიურდა გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1804წ. 23 ოქტომბერი). ქელემ-ბეი სამურზაყანოს ტერიტორიის ნაწილს უკვე უშუალოდ აკონტროლებდა.⁵ 1805წ. 29 მარტს ნინო ბაგრატიონ-დადიანისა რუსეთის ხელისუფლებას თხოვდა, უზრუნველყო ამ მიტაცებული მიწების დაბრუნება კანონიერი მფლობელისათვის, ანუ სამეგრელოსთვის.⁶ ამიტომაც მანუჩარ შარვაშიძე პ. ციციანოვისადმი 1804წ. 26 ნოემბრით დათარიღებულ წერილში სასწრაფოდ ითხოვდა მისი სამფლობელოზე რუსეთის მფარველობის დაწესებას და ამ მოთხოვნას იმით ამაგრებდა, რომ სამურზაყანოს ოდიშის ძირძველ ტერიტორიად აღიარებდა:

„მნადს, სადაცა უფალი დადიანი გრიგოლ საფარველსა უმაღლესსა შინა შევიდა, ... მეცა ვიყო მასვე მფარველობასა ქვეშე. ვინადგან ქვეყანა ჩვენი (სამურზაყანო – პ. პ.) იყო ზედ-მოკიდებული დადიანისა კერძო ვიდრე აშლილობისა ჟამამდე და არა აქვდა უფლება, არცა უწინარეს და არცა ამას ჟამსა, არცა პორტსა ათმანსა (ოსმალეთი – პ. პ.) და არცა ქელამ-ბეგსა, და მაქვს ნადილი, რათა ქვეყანა დავამორჩილო თქვენსა ბრძანებასა, თანა დადიანის სამფლობელოსა...“

ამ წერილში საყურადღებოა, რომ ყვაპუ შარვაშიძის შთამომავალი სამურზაყანოს მიწა-წყალს ოდითგანვე სამეგრელოს კუთვნილებად მიიჩნევდა. თავად რუსებისთვისაც სამურზაყანო

¹ *Акты*. Т. II, док. 1051, გვ. 538.

² **თ. ქადარია**. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 108.

³ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო..., გვ. 354; **ე. ტარლე**. ნაპოლეონი. თბ., 1996, გვ. 49-63; **А. З. Манфред**. Наполеон Бонапарт. Сухуми, 1989, გვ. 183-192; *История войн*. Иллюстрированный атлас военной истории с древнейших времен до XXI века. Перевод с английского А. Гелогаява и А. Марыняка. М., 2003, гв. 112-113.

⁴ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო..., გვ. 354.

⁵ *Акты*. Т. III, გვ. 176.

⁶ *Акты*. Т. III, გვ. 176.

⁷ *Акты*. Т. II, док. 956, 1046, გვ. 490, 536.

დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მხარე იყო, განსაკუთრებით კი – ქელემ-ბეისთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე. ამასთანავე, სამურზაყანო, ოდიშთან ერთად, მნიშვნელოვანი პლაცდარმის როლს შეასრულებდა აფხაზეთის სამთავროს დაჭერის საკითხში. თუმცა, გაურკვეველი იყო მანუჩარის ორი ძმის საკითხი, რომელთაც, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ სამურზაყანოში და მნიშვნელოვან მამულებსაც ფლობდნენ.¹ როგორც ჩანს, ძმები შიშობდნენ, რომ რუსები მათ მამულებს ჩამოართმევდნენ. მათი დატოვება ქელემ-ბეის მომხრეთა შორის კი რუსეთს არ სურდა.² სავარაუდოდ, რუსებს აშინებდათ ისიც, რომ მხოლოდ მანუჩარისათვის მხარდაჭერა ძმების მხრიდან მძიმე და არასასურველ რეაქციას გამოიწვევდა, რომელიც ხელს შეუშლიდა რუსეთის წინსვლას აფხაზეთისაკენ. ამიტომ, პ. ციციანოვმა მანუჩარს 1805წ. 31 მარტის წერილში რუსეთის პროტექტორატის მიღების პირობად განდგომილი ძმების გადმობირება დაუსახა.³ თვითონ პ. ციციანოვმაც მიწერა წერილი (იმავე 31 მარტს) ბეჟანსა და ლევანს და აღუთქვა, რომ, მფარველობაში შესვლით, ისინი მიიღებდნენ პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას და მათი მამულებიც ხელშეუხებელი დარჩებოდა.⁴

რუსეთის ხელისუფლების „მოწოდების“ შესასრულებლად მანუჩარმა აქტიური მუშაობა გააჩაღა და პირველი შედეგიც უკვე ორ კვირაში გამოჩნდა. 16 აპრილს გენერალი ი. რიკჰოფი მთავარსარდალ პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ ყველა სამურზაყანოელმა თავადმა, მანუჩარ შარვაშიძის დიდი მეცადინეობით, თავი დადიანის ქვეშევრდომად აღიარა.⁵ აქ კი გენერალს, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობის წინაშე თავის გამოჩენა უნდოდა და ამისთვის იცრუა კიდევ. სამურზაყანოს „ყველა თავადი“ ამ პოზიციას არ იზიარებდა, რადგან მანუჩარის ძმების საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი იყო. ლევანი სამეგრელოს მთავარს თავის სიუზერენად არ აღიარებდა და პერმანენტულად ანიოკებდა სამურზაყანოს მოსაზღვრედ მცხოვრებ ოდიშარებს.⁶ ბეჟანი კი მთებში იყო გახიზნული.⁷ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მანუჩარის „აგიტაცია“ საკმარისი არ იქნებოდა იმისთვის, რომ სამურზაყანოელები პრორუსულ ორიენტაციაზე დამდგა-

¹ *Акты*. Т. II, док. 1048, გვ. 537.

² *Акты*. Т. II, док. 838, გვ. 428.

³ *Акты*. Т. II, док. 1048, გვ. 537.

⁴ *Акты*. Т. II, док. 1049, გვ. 537.

⁵ *Акты*. Т. II, док. 1001, გვ. 514.

⁶ *Акты*. Т. II, док. 1037, გვ. 531.

⁷ *Акты*. Т. II, док. 1001, გვ. 514; док. №1037, გვ. 531.

რიყვნენ. საქმე იმაშია, რომ იმ დროს იქ გენერალ ი. რიკჰოფის სამხედრო რაზმი იდგა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქელემ-ბეის მძევლობა-ტყვეობიდან დაეხსნა გარდაცვლილი გრიგოლ დადიანის მემკვიდრე ლევანი.

რუსებმა, სამსაათიანი შეტევის შემდეგ, ანაკლიის ციხე აიღეს და აფხაზეთის სამთავროსაც მიუახლოვდნენ. ანაკლიის ციხე ამ დროს ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთ ძირითად ბაზას წარმოადგენდა.¹ „შიშით შეპყრობილი“ ქელემ-ბეი იძულებული გახდა ლევანი გაეთავისუფლებინა.² როგორც ს. ბრონევსკი წერდა, ანაკლიის აღება დაგეგმილი არ ყოფილა, ვინაიდან იგი ოსმალეთის საკუთრება იყო და ეს თურქეთთან ურთიერთობებს გააუარესებდა, მაგრამ, აფხაზთა მხრიდან რამდენიმე, შესაძლოა, შემთხვევითმა გასროლამ რუსების მხრიდან საპასუხო რეაქცია გამოიწვია.³ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შეტაკება საკუთრივ რუსების პროვოცირებულიც იყო, რადგან გენერალს მთავარმართებლის წინაშე თავის გამოჩენა უნდოდა და, ამისთვის როგორც ზემოთ ვნახეთ, აშკარა ტყუილსაც კი არ ერიდებოდა. ამიტომ იმ მომენტში მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა ამ ავანტიურით გამოწვეულ საგარეო-პოლიტიკურ შედეგებს რუსეთისათვის. მალე რუსებმა ქელემ-ბეის ისევ დაუბრუნეს ანაკლია, თან მიყენებული ზარალიც აუნაზღაურეს (1805წ. 1 ოქტ.).⁴

ზარალის ანაზღაურების ფაქტი ირიბად უნდა ადასტურებდეს ჩვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ანაკლიის დაკავება სწორედ რიკჰოფის პროვოკაციის შედეგი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ უნდა გადაეხადა სანქტ-პეტერბურგს ფინანსური კომპენსაცია აფხაზების (ამ შემთხვევაში, მტრის) მიერ განხორციელებული ერთგვარი შეტევისათვის, რადგან, თუკი გასროლა სწორედ ანაკლიის მცველებისგან განხორციელდა, როგორც ამას ს. ბრონევსკი წერდა, მაშინ რუსები თავდაცვის რეჟიმში აღმოჩნდებოდნენ და, შესაბამისად, მორალურადაც და პოლიტიკურადაც თავისუფლდებოდნენ კომპენსაციის გადახდისგან. ანაკლიის დაბრუნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ განკარგულება მაშინვე გასცა პ. ციციანოვმა, რომელსაც შეეშინდა, რომ ოსმალეთი ამ ფაქტს სათანადო რეაგირების გარეშე არ დატოვებდა.⁵ ამრიგად, „ანაკლიის პრეცენ-

¹ ა. კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა..., გვ. 208.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

³ *Новейшая географическая и историческая известия...*, გვ. 349.

⁴ *Новейшая географическая и историческая известия...*, გვ. 349; *Акты*. Т. II, დოკ. №1054, გვ. 539; *Н. Дубровин*. Закавказье..., გვ. 385.

⁵ *Н. Дубровин*. Закавказье от 1803-1806 года, გვ. 385.

დენტი“ სამურზაყანოელებმა ნათლად დაინახეს ის საფრთხე, რომელიც მათ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, თავს დაატყდებოდათ.¹

შეშინებულმა ლევან შარვაშიძემ, როგორც ჩანს, „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“ და გადანყვიტა ქელემ-ბეის ჩამოშორებოდა. მანუჩარის ცნობით, იგი, მომხრე თავადებთან ერთად, უმოკლეს ხანში რუსეთის მხარდამჭერთა რიგებს შეუერთდებოდა.² რაც შეეხება ბეჟანს, რომელიც მტკიცე ხასიათის პიროვნება ჩანს, ის კვლავ განაგრძობდა ურჩობას. მანუჩარი მას არ ენდობოდა და პ. ლიტვინოვს აფრთხილებდა, რომ ბეჟანი არ შეეშვებოდა დადიანის წინააღმდეგ ბრძოლას და საკუთარი ძმის წინააღმდეგ გალაშქვრისაკენ მოუწოდებდა მას.³ ბუნებრივია, რუსები მას სჭირდებოდნენ სამურზაყანოში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, რითაც შეძლებდა ძლიერი და გავლენიანი ძმების დამორჩილებას და თუკი მათ დაამარცხებდა, ხელში ჩაიგდებდა მათ მამულესაც. მოგვიანებით, მან შეძლო ლევანის და ბეჟანის სამკვიდრო ტერიტორიების დაუფლება.⁴

როგორც პ. ლიტვინოვი იტყობინებოდა, მანუჩარს ბეჟანზე გალაშქრება ჰქონდა გადანყვიტელი. პ. ციციანოვმა ამ ნაჩქარევი გადანყვიტილებისაგან მანუჩარის შეჩერების ბრძანება გასცა, რათა ახალი ძმათამკვლელი ომის გაჩაღებით რუსეთის ინტერესებს ზიანი არ მიდგომოდა.⁵ მით უფრო, რომ თავად პ. ლიტვინოვიც იუწყებოდა, რომ ბეჟანი მალე შემოუერთდებოდა ძმებს.⁶ თუმცა, ეს ასე არ მოხდა. იმ ხანებში ბეჟანის დარწმუნება, საბოლოოდ, მაინც ვერავინ შეძლო. ლევანმა (მანუჩარის ძმა) კი, თანამოაზრეებთან ერთად, მაისის ბოლოს რუსეთისა და დადიანის ერთგულებაზე დაიფიცა.

1805წ. 9 ივლისს ბანძაში სამეგრელოს ახალმა მთავარმა, ქელემ-ბეის ტყვეობაში ნამყოფმა, ლევან V გრიგოლის ძე დადიანმა (1805-1840) რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა.⁷ მაშინ ის მხოლოდ თორმეტი წლის იყო, ამიტომ ოცი წლის მინევენამდე, სამეგრელოს მმართველად დედამისი, ნინო ბაგრატიონ-დადიანისა, დადგინდა.⁸ ცერემონიალს ესწრებოდნენ ოდი-

¹ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 34.

² *Акты*. Т. II, დოკ. №1015, გვ. 520; დოკ. 1050, გვ. 538.

³ *Акты*. Т. II, დოკ. №1015, გვ. 520.

⁴ ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს..., გვ. 97, 100.

⁵ *Акты*. Т. II, დოკ. №1051, გვ. 538.

⁶ *Акты*. Т. II, დოკ. №1051, გვ. 538.

⁷ ზ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 171.

⁸ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 195-196.

ოდშიარი დიდებულები და, აგრეთვე, ლევან შარვაშიძე და მისი ძმისწული მანუჩარი, რომლებმაც, აგრეთვე, იმავე დღეს მიიღეს ფიცი, რომლითაც ისინი იმპერატორ ალექსანდრე I-ს ქვეშევრდომები გახდნენ:

„ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი აფხაზის თავადნი, სამირზაყანოს მპყრობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავად-აზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად-უმონყალესისა რუსთა ხელმწიფისა; ვფიცავთ ყოვლად-ძლიერსა ღმერთს და წმინდას სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამინდლოდ და მისს უდიდებულესობის ურჩობაში და ლა-ლატობაში არას დროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ რომ სხვათაგან ლაღატი ანუ ურჩობა შევიტყოთ, დიახ სწრაფლ შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და თუ როგორც ზემორეთ სწერია ისე არ აღვასრულოთ, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებულნი ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად-უმონყალესი ხელმწიფისა ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამენგრელიოს თვით-მპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველადგან ვყოფილვართ სამენგრელიოს თვით-მპყრობელი თავადი დადიანისა“¹.

აქ რომ უფროსი ლევანი იგულისხმება, ჩანს იმით, რომ ხელმოწერის დროს მისი სახელი წინ უსწრებს მანუჩარისას, ანუ დაცულია უფროს-უმცროსობის ეტიკეტი. ამასთანავე, პ. ლიტვინოვი პ. ციციანოვისადმი მოხსენებაში წერდა, რომ ცერემონიალი ჩატარდა «в присутствии... Абхазских владельцев Левана и Манучара Шервашидзе».² ბუნებრივია, რომ მანუჩარის ძმა ლევანი სამურზაყანოს მფლობელი არ იყო. თუმცა, ხსენებულ ლევანსა და მანუჩართან დაკავშირებით სხვა ვარაუდს გამოთქვამდა ა. ტულუში, რომელიც, მართალია, სწორად ახდენდა ამ ლევანის იდენტიფიცირებას სამურზაყანოს ყოფილ მმართველთან, თუმცა, მკვლევარი ცდებოდა, როცა მანუჩარს მის ბიძაშვილად, და არა – ძმისშვილად, მიიჩნევდა.³ ვერ დავეთანხმებით ა. ტულუშს იმაშიც, თითქოს ლევან სამურზაყანოელი 1805 წლიდან მოკლე ხანში გარდაცვალებული ყოფილიყოს.⁴ როგორც შემდეგ თავში ვნახავთ, იგი ცოცხალია 1812 წლის მოვლენების დროსაც.

როგორც ჩანს, რუსეთმა ხუტუნია შარვაშიძის ორივე

¹ *Акты*. Т. II, док. №1031, გვ. 526-527.

² *Акты*. Т. II, док. №1031, გვ. 526-527.

³ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. *ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი*, გვ. 5.

⁴ ა. ტულუში. შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. *ლევან შარვაშიძის ქართულწარწერიანი ბეჭედი*, გვ. 5.

შტოსთან გადანყვიტა შეთანხმების მიღწევა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შემოყვანა, რითაც, ერთგვარად, სამურზაყანოს „ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობა“ შეინარჩუნა და საფუძველი გამოაცალა ქელემ-ბეისთან შესაძლო კამათს ამ მხარის მფლობელობასთან დაკავშირებით.

ამ აქტში მეფის რუსეთის კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ისტორიული განყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი ვ. პოტო, სავსებით სამართლიანად, სამეგრელოს რუსეთთან შეერთების პროცესის დასასრულს ხედავდა.¹ როგორც ჩანს, პოლიტიკურად, სამურზაყანოს რუსები ოდიშის ნაწილად მოიაზრებდნენ. სწორედ ამიტომ ვერ გავიზიარებთ ირ. ანთელავას მოსაზრებას, თითქოს ამ აქტით რუსეთმა ქვეშევრდომობაში მიიღო სამურზაყანო, რომელიც, მკვლევარის მტკიცებით, „აფხაზეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა არ აღიარებდა ქელემ-ბეის ხელისუფლებას“.²

მ. დუმბაძის შეფასებით, რუსების ხელშეწყობით, სამურზაყანო „შეუერთდა“ ოდიშს.³ თ. ქადარია მიიჩნევს, რომ რუსეთი დაეხმარა სამეგრელოს სამთავროს, მის ერთადერთ დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში, სამურზაყანოს დაბრუნებაში.⁴ თუმცა, როგორც ვნახეთ, რეალურად, საქმე მხოლოდ ამ მხარის შემომტკიცებაში იყო. განსხვავებულ მოსაზრებას აფიქსირებენ ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, რომლებიც პირდაპირ აყალბებენ ამ ისტორიულ ფაქტს და აცხადებენ, რომ სამურზაყანო დამოუკიდებლად მიიღეს რუსეთის „მფარველობა“, ხოლო სამეგრელოს მთავარს, ავტორთა თქმით, მხოლოდ შუამავლის როლი შეუსრულებია.⁵

სამურზაყანოს შესვლამ რუსეთის „მფარველობაში“ ქელემ-ბეი გააღიზიანა. მან გამოსარჩლება სულთნის კარზე ითხოვა. თუმცა, რუსეთი ქელემ-ბეის ამ პრეტენზიებს არაფრად აგდებდა და მათ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად მიიჩნევდა, რაც, ასევე, გამოჩნდა პ. ლიტვინოვის წერილში ა. ი. იტალინსკისადმი, რომელიც იმ ხანებში რუსეთის ელჩი იყო ოსმალეთ-

¹ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Т. I, გვ. 125-126.

² **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 91.

³ **მ. დუმბაძე**. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 215.

⁴ **თ. ქადარია**. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 105.

⁵ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. С древнейших времён до наших дней. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006.

ში.¹ აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მმართველი ნინო უნდობლად ეკიდებოდა ლევან შარვაშიძეს (უფროსს) და მათი ურთიერთობების მოწესრიგებაში პ. ციციანოვი ჩაერია, რომელსაც ნამდვილად არ უნდოდა დაძაბულობის ახალი კერის გაჩენა, რადგან ეს კიდევ უფრო გაართულებდა სხვა აფხაზ დიდებულების გამომოყვანას რუსეთის მხარეზე. მან ნინო დადიანს სთხოვა კეთილგანწყობილება გამოეჩინა ლევან შარვაშიძისადმი.² თუმცა საკუთრივ ლევანმაც გადადგა ნაბიჯი ოდიშის ხელისუფლებასთან დასაახლოვებლად. კერძოდ, მან მხარი დაუჭირა სამეგრელოს პრეტენზიებს ლეჩხუმზე, რომელიც ოდიშ-იმერეთის დავის საგანს შეადგენდა.³

დადიანის სახლის ერთგულებისათვის, ლევან V-მ მანუჩარ შარვაშიძე დააჯილდოვა. კერძოდ, მას გადაეცა ყოფილი აფხაზეთის საკათალიკოსოს მამულებიდან სოფელი ხიბულა 14 კომლით.⁴ ლევან შარვაშიძის მიერ 35 წლის წინ დანყებული საქმე მისმა ძმისშვილმა დაასრულა. „მფარველობის“ მიღებით ქელეშების მცდელობას სამურზაყანოს დასაკავებლად ბოლო მოეღო. ამასთანავე, „აფხაზის თავადებმა“ ოფიციალურად დაადასტურეს, რომ სამურზაყანო დადიანის სამფლობელო იყო და შარვაშიძეებიც ძველიდანვე მათ მორჩილებდნენ. ამ დროიდან დასრულდა ოდიშ-აფხაზეთის „კონდომინიუმი“ სამურზაყანოზე.



ბედიის გაძრის ნანგრევები (1880-იანი წლების ფოტო).⁵

¹ Письмо дсс Литвинова к Италинскому, от 19 июня 1805 года, №230, — *Акты*. Т. II, გვ. 528.

² *Акты*. Т. II, დოკ. №1020, გვ. 522.

³ *Акты*. Т. II, დოკ. №998, 1047, გვ. 512, 537; **ზ. ცინცაძე**. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 89-95.

⁴ *Акты*. Т. II, დოკ. №1033, გვ. 529.

⁵ სურ. №155, — ნგნ. : *აფხაზეთი ფოტოებში, სურათებსა და ჩანახატებში*. XIX საუკუნე. შემდგენელი **თეო გიცბა**. თბ., 2011, გვ. 170.

თავი III. სამურზაყანო 1805-1840 წლებში

§1. სამურზაყანოს მფლობელობიდან – სამურზაყანოს მოურავობამდე (1805-1812წწ.)

რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ შესვლამ ხელი შეუწყო მანუჩარ შარვაშიძის პოზიციების გამყარებას, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი ძმების – ლევანის და ბეჟანის – სახით ძლიერი კონკურენტები ჰყავდა. ჩვენს მიერ უკვე ითქვა, რომ ნიკო დადიანის შენიშვნა სამურზაყანოზე ქელემ-ბეის „მძღაგრებდაცასთან“ დაკავშირებით სწორედ ამ უკანასკნელთა კონტროლში გამოიხატებოდა. თუმცა, რუსული იარაღით დაშინებულმა ლევანმა მალე მიატოვა აფხაზეთის მთავარი, მაგრამ მას რუსული მმართველობის მხარდაჭერით თავი არ გამოუჩენია, პირიქით, მამასთან ერთად შემჩნეული იქნა რუსეთის სანინალმდეგო ქმედებებში, რისთვისაც ორივეს მამულები ჩამოერთვა და ეს მიწები, მათ შორის სოფელი დიდი კოკი, 1810წ. ლევან დადიანმა ერთგული სამსახურისათვის მის სიძეს, მანუჩარს, გადასცა.¹ მანუჩარივე ფლობდა მისი მეორე ძმის ბეჟანის სამკვიდროსაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანტირუსულ ორიენტაციაზე დარჩა.²

მანუჩარის პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ვნახეთ, იმთავითვე, ნათელი იყო და შემდგომშიც იგი სამურზაყანოში რუსეთისა და დადიანის სახლის ინტერესების აქტიური გამტარებლად რჩებოდა. რა თქმა უნდა, მანუჩარის მყარი „პოლიტიკური ორიენტაცია“ პირდაპირ კავშირში იყო მის პოზიციების სიმტკიცესთან. ამასთანავე, მას, როგორც ჩვეულებრივ ფეოდალს, თვალი ეჭირა ძმების სამკვიდრო მამულებზე.

სამურზაყანოს შესვლით რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ, რუსეთის საზღვრები აფხაზეთს უფრო მიუახლოვდა. ქელემ-ბეი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ამ წლების მანძილზე ამიერკავკასიაში მდგომარეობა პერმანენტულად რუსეთის სასარგებლოდ იცვლებოდა, ხოლო თურქეთს უკვე ძალა არ შენევედა რეგიონში საკუთარი ინტერესების დასაცავად. იგი აკვირდებოდა სოლომონ II-ის აქტიურ მცდელობასაც შეენარჩუნებინა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობა და ხელისუფლება. თუმცა, იმე-

¹ ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 99.

² *Акты*. Т. V, დოკ. №597, გვ. 506.

რელი ბაგრატიონის ეს მიზანი სულ უფრო და უფრო უიმედო ხდებოდა.

ამ ვითარებაში აფხაზეთის მთავარი შესანიშნავად გრძნობდა, რომ რუსეთი აუცილებლად მოინდომებდა მისი ქვეყნის დაჭერას, რათა შავი ზღვის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები და კავკასიის მთიანეთი კონტროლქვეშ ჰყოლოდა, რაც, საბოლოოდ, რეგიონიდან ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის ჩამოშორებას გამოიწვევდა.¹ აფხაზეთის ამგვარ ხელსაყრელ გეოსტრატეგიულ მდგომარეობაზე რუსეთს ჯერ კიდევ 1789წ. მიუთითებდნენ იმერეთის სამეფოს მესვეურები.² ამასთანავე, აფხაზეთი რუსეთისათვის მიმზიდველი იყო მისი ბუნებრივი რესურსებითაც, საუკეთესო ხის მასალით გემთმშენებლობისთვის, რომლითაც შესანიშნავად სარგებლობდნენ თურქები.³ ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ დროის საქმე იყო. ამიტომ, ქელემ-ბეიმ, „გონიერმა პოლიტიკოსმა“,⁴ თადარიგი დაიჭირა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად.⁵

ამასთანავე, ის უკვე საკმაოდ ხანშიშესული იყო და სამთავრო ტახტზე საკუთარი მემკვიდრეების ბედიც აღელვებდა. აქ კი საკითხი ძალიან რთულად იდგა. ქელემ-ბეის მემკვიდრედ მიჩნეული ჰყავდა მეორე შვილი, საფარ-ბეი, რომელიც მას სოფ. მუგუძირხვადან გლეხი (ანჰაიუ) ლეიბას ქალისაგან შეეძინა.⁶ თავდაპირველად, ის დაქორწინებული იყო გავლენიანი აფხაზური საგვარეულოს – ძიფშ-იფათა ასულზე.⁷ თუმცა, ეს შეუღლება პრაგმატული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აქტს წარმოადგენდა და მისი ინიციატორი აფხაზეთის მაშინდელი მთავარი, ქელემ-ბეის ბიძა, ზურაბი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVIII საუკუნეში შარვაშიძეთა სამი პირველი პირის ოსმალეთში წაყვანის შემდეგ, აფხაზეთში დიდი გავლენა და, ფაქ-

¹ **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 32.

² **ვ. მაჭარაძე.** ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 281-282.

³ **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 33; **ზ. ნურნუშია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში, გვ. 131.

⁴ **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 400.

⁵ **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 400, 402; **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 32.

⁶ *Утверждение Русского владычества на Кавказе.* Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто.** Т. 3, ч. 2, გვ. 540.

⁷ *Утверждение Русского владычества на Кавказе.* Т. 3, ч. 2, გვ. 540; **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 102.

ტობრივად, პირველობა, ძიაფშ-იფებმა მოიპოვეს. ოსმალეთი-დან დაბრუნების შემდეგ, ზურაბმა ამ საგვარეულოსთან ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, ზემოთ ხსენებული ქორწილი დაგეგმა. სწორედ ამ ქორწინებიდან ჰყავდა ქელემ-ბეის უფროსი ვაჟი – ასლან-ბეი. თუმცა, არც შეუღლება იყო სიყვარულზე დაფუძნებული და არც ქელემ-ბეი, რომელიც აფხაზეთის გავლენიან საგვარეულოთა დამორჩილებას და სამთავროს ერთი ხელისუფლის ქვეშ გაერთიანებას გეგმავდა, აპირებდა ძიაფშ-იფათა გავლენის ქვეშ ყოფნას. იგი მალევე გაშორდა მეუღლეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოლად შეირთო მდაბიო წარმოშობის ქალი. ამან საბოლოოდ გააუარესა ძიაფშ-იფებისა და ქელემ-ბეის ურთიერთობა. როგორც ვ. პოტო და ს. ესაძე აღნიშნავენ, ცოლის ოჯახთან სიძულვილი, აფხაზეთის მთავარს მისი პირმშოს მიმართაც გადაეზარდა,¹ რამაც ხელი შეუწყო საფარ-ბეის გამთავრების შანსის გაზრდას.

ისლამური კანონმდებლობით მთავრის შვილი, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალისგანაც შობილი, კანონიერად ითვლებოდა. თუმცა, მას ეხებოდა გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, იგი ვერ სარგებლობდა მთავრის პოლიტიკური უფლებებით.² ამასთან ერთად, აფხაზებში აკრძალული იყო ქორწინება სოციალურად განსხვავებულ ფენებს შორის.³

ძიაფშ-იფები და ასლან-ბეი არ აპირებდნენ პოზიციების დათმობას. მათ მთავრის წინააღმდეგ შეთქმულებაც კი დაგეგმეს, მაგრამ ქელემ-ბეიმ დროზე შეიტყო ეს ამბავი და შეძლო მისი გაუვნებელყოფება.⁴ ამიტომ აფხაზეთის მთავარმა თადარიგი თადარიგი დაიჭირა და საფარ-ბეი გრიგოლ დადიანის დაზე, თამარზე, დააქორწინა და, თან, ქრისტიანულადაც მონათლა.⁵

ამიერიდან გიორგის (ყოფილი საფარ-ბეი) ზურგს სამეგრე-

¹ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, ч. 2, გვ. 540; **С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 102.

² *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, ч. 2, გვ. 540-541.

³ **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 381.

⁴ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 541; **С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 104.

⁵ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 540-541; **С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 102-103.

ლოს სამთავრო და მისი მფარველი, რუსეთის იმპერია, უმაგრებდა. კ. მაჭავარიანის ცნობით, თვითონ ქელემ-ბეი ფარული ქრისტიანი ყოფილა.¹ ჯ. გამახარია მიიჩნევს, რომ მიტროპოლიტ გრიგოლ ცაიშელის 1822წ. მოხსენებაში დასახელებული „აფხაზეთის მთავარი“, რომელიც პეტერბურგიდან მობრუნებულმა დადიანების მღვდელმა მამა იოანე იოსელიანმა (ის იმპერიის დედაქალაქში 1805-1806 წლებში იმყოფებოდა) მონათლა, ქელემ-ბეი უნდა ყოფილიყო.² კ. მაჭავარიანის ზემოხსენებული ცნობა საინტერესოდ მიგვაჩნია, რადგანაც ავტორი დეკანოზ დავით მაჭავარიანის შვილი იყო და, შესაძლებელია, მამისაგან ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ოფიციალურად არ იყო გახმაურებული და მხოლოდ გარკვეულ პირთა ვინრო წრემ იცოდა. თუმცა, ეს ცნობა წყაროებით ჯერ ვერ დასტურდება და, სავსებით შესაძლებელია, მოგვიანებით შეთხზული ლეგენდაც იყოს. ერთი საისტორიო საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ მამა იოანეს მიერ მონათლული „აფხაზეთის მთავარი“, რომელსაც არ ასახელებს მეუფე გრიგოლი, არის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძე.³ თუმცა, სხვა ცნობით, საფარ-ბეი დადიანების კარის მღვდელს მამა სიმონ ასათიანს მოუნათლავს და მასვე დაუნერია ჯვარი აფხაზეთის მთავრის ძისა და გრიგოლ დადიანის ასულისათვის.⁴

პირველი ცნობა პ. ციციანოვს აფხაზეთის მთავრის რუსეთთან დაკავშირების სურვილის თაობაზე ჯერ კიდევ 1803წ. მიუვიდა დადიანის სახლიდან და ისიც მოახსენეს, რომ ქელემ-ბეი ოსმალეთის სულთნისაგან დამოუკიდებელი იყო.⁵ ს. ბრონევენესკის ცნობით, აფხაზეთის მთავარი იმდენად მყარად და დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, რომ ხონთქრის ბრძანებებს იშვიათად ასრულებდა.⁶ პ. ციციანოვი ძალიან დაინტერესდა ამ წინინადადებით, რადგან აფხაზეთის სამთავრო და ქელემ-ბეი რუსეთისათვის კარგი შენაძენი იქნებოდა.⁷ მან მოითხოვა, ქელემ-

¹ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. С историко-этнографическим очерком Абхазии, გვ. 248.

² **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 368.

³ *Журнальное постановление Грузино-Имеретинской св. Правительствующаго Синода Конторы*, 17 ноября 1822 года, – *Акты*. Т. VI, ч. II. док. №570, გვ. 429.

⁴ **თ. ბერაძე.** სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, — ნგნ.: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. **ილ. ანთელავას საერთო რედაქციით**, გვ. 236.

⁵ *Акты*. Т. II, док. №1045, გვ. 536.

⁶ *Новейшие географические и исторические известия о Кавказе*, გვ. 347.

⁷ **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 401.

ბეის წერილობით გამოცხადება თავისი ეს სურვილი, მაგრამ აფხაზეთის მთავარი ჯერ მხოლოდ ნიადაგს სინჯავდა და ამ მიმართულებით განსაკუთრებულად არ ჩქარობდა.¹ თუმცა, გარკვეული მოლაპარაკებები ქელემ-ბეის წარმომადგენლებსა და ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლებას შორის 1804 წლის I ნახევარშიც მიმდინარეობდა.² მალე აფხაზეთის მთავარსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა გრიგოლ დადიანის შვილის, ლევანის, გამო, რომელიც ქელემ-ბეის ჰყავდა მძევლად. ამასთანავე, რუსები ეჭვობდნენ, რომ აფხაზეთის მთავარი სოლომონ II-სთან ალიანსშიც იმყოფებოდა.³ ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას მოსაზრებით კი, აფხაზეთის მთავარსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის დაძაბულობის წარმოქმნით სამეგრელოს მმართველი ნინო იყო დაინტერესებული.⁴

1806წ. მარტის ბოლოს ქელემ-ბეის ურთიერთობა სულთნის კართანაც დაიძაბა. აფხაზეთის მთავარმა შეიფარა ტრაპიზონელი თაიარ-ფაშა, რომელსაც სახელმწიფო ღალატში ედებოდა ბრალი.⁵ სტამბულმა მისგან მოლაღატის დასჯა მოითხოვა.⁶ ქელემ-ბეიმ „რუბიკონი“ გადალახა და, ფაქტობრივად, თურქეთის წინააღმდეგ აჯანყდა, ვინაიდან მან სულთნის ამ ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადა. ამ ამბების შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ჟაკ ფრანსუა გამბასთან. ფრანგი დიპლომატი წერდა, რომ ქელემ-ბეი და დევნილი თაიარ-ფაშა ყონალები⁷ გამგამხდარან და „რაკი (ქელემ-ბეი – ვ. ვ.) მასთან (თაიარ-ფაშა – ვ. ვ.) სტუმართმოყვარეობის ვალდებულებით იყო დაკავშირებული, რასაც ძალზედ ნმიდად იცავენ აქაური ხალხები, იგი არ და-მორჩილება დივანის⁸ ბრძანებას, თავისი ყონალი არ გაუცია“.⁹

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 401.

² *Акты*. Т. II, დოკ. №783, გვ. 395.

³ *Акты*. Т. II, დოკ. №794, 807, გვ. 400, 413.

⁴ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии..., გვ. 197-198.

⁵ **ბ. სორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 174.

⁶ *Акты*. Т. II, დოკ. №1795, გვ. 872.

⁷ **ყონალი** (თურქ.) – სტუმრობით დამეგობრებული პირი (*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ნაკვ. II, გვ. 1015).

⁸ **დივანი** – ოსმალეთში: სულთნის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დიდგვარიანები და დიდი მოხელეები (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ. 130).

⁹ **ჟაკ ფრანსუა გამბა.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტ. I, გვ. 88; სტუმართმოყვარეობა კავკასიაში და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომლის დაცვა ნმიდა მოვალეობად ითვლება. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ვაჟა-ფშაველას გენიალური პოემა „სტუმართ-მასპინძელიც“ კმარა: „დღეს სტუმარი ეგ ჩემი, თუნდა ზღვა ემართოს სისხლისა, მითაც მე ვერ ვულაღატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა“ (**ვაჟა ფშაველა.** რჩეული. ნგნ. II, თბ., 1970, გვ. 98).

აფხაზეთის მთავარმა იცოდა, რომ სულთნის კარი ამ ურჩობას არ აპატიებდა და, აქედან გამომდინარე, რუსეთის მფარველობა ითხოვა.¹ როგორც ირკვევა, ამ გადაწყვეტილების მიღება მას იმ ხანებში აფხაზეთში მყოფმა მამა იოანე იოსელიანმაც ურჩია.² ამ თხოვნისათვის უფრო მეტი ნდობის მისაცემად, 1806წ. ივნისში რუსეთთან შეერთების საკითხი აფხაზეთის მთავარმა სახალხო კრებაზე გაიტანა.³

აფხაზებში თემი და მისი სახალხო კრება, ფაქტობრივად, საზოგადოების უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანო იყო. იგი აწესრიგებდა სოციალურ ურთიერთობებს, საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნების ქცევის ნორმებს, რაც ადათობრივი სამართლის კანონებით რეგულირდებოდა. სახალხო კრების წევრებს მამაკაცთა უფროსი თაობის წარმომადგენლები შეადგენდნენ და ისინი აყალიბებდნენ „უხუცესთა საბჭოს“, მმართველ ჯგუფს, დემოკრატიული არჩევნების პრინციპით. ამ ყრილობას თავადიც ესწრებოდა, მაგრამ გადამწყვეტი ხმის უფლება მხოლოდ „უხუცესთა საბჭოს“ გააჩნდა.

ქელემ-ბეიმ კრებისგან მხარდაჭერა მიიღო.⁴ თუმცა, რუსეთ-ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ, ფორმალურად, მშვიდობა იყო და ამიტომ პეტერბურგში სულთნის ქვეშევრდომზე პროტექტორატის დამყარება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა.⁵ იმპერატორი ალექსანდრე I ქელემ-ბეის მფარველობას მხოლოდ თურქეთთან კონფლიქტის შემთხვევაში გეგმავდა.⁶ ეს კი არც თუ ისე შორეული პერსპექტივა იყო, რადგან ამ ხანებში უკვე მიმდინარეობდა სერიოზული დიპლომატიური თანამშრომლობა პარიზსა და სტამბულს შორის, რომლის ერთ-ერთი მიმართულება მკვეთრად ანტირუსული იყო.

აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ნაპოლეონმაც 1805წ. 2 დეკემბერს აუსტერლიცთან სასტიკად დაამარცხა რუსეთისა და ავსტრიის არმიები. თურქეთისათვის ეს იმედის მომცემი ამბავი იყო. ამიტომ, რუსეთშიც ხვდებოდნენ, რომ ოსმალეთთან მორიგი შეიარაღე-

¹ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 103.

² Журнальное постановление Грузино-Имеретинской св. Правительствующаго Синода Конторы, 17 ноября 1822 года, გვ. 429.

³ ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 379-380.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 176.

⁵ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 104.

⁶ Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России и его историческое значение, – წგნ.: *Очерки истории Абхазской АССР*. Ч. I. Сухуми, 1960, გვ. 133.

ბული კონფლიქტი გარდაუვალი იყო. ამასთანავე, 1805 წლიდან მიმდინარეობდა რუსეთ-სპარსეთის ომი. სანკტ-პეტერბურგის საქმეები ამიერკავკასიაში გართულდა და ამიტომ „ქელაიმ-ბეგი გაძვირფასდა“.¹ აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში რუსეთის პოზიციების გასამყარებლად, სამეგრელოს და აფხაზეთის ურთიერთობების მოწესრიგება აუცილებელი გახდა.

1806წ. 20 მაისს, ანაკლიაში, რუსეთის შუამავლობით, ქელემ-ბეისა და ნინო დადიანის შერიგება შედგა. ქელემ-ბეი ნინო ბაგრატიონ-დადიანისას პირობას აძლევდა, რომ „...ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შევიდეთ და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე“.²

როგორც ზ. პაპასქირი ვარაუდობს, შერიგების საფასურად სამეგრელოს მმართველმა აფხაზეთის სამთავროსაგან სამურზაყანოს მიმართ პრეტენზიების უარყოფა მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა კიდევ.³ ვფიქრობთ, მკვლევარის ეს მოსაზრება სავსებით საფუძვლიანია, რადგან სამურზაყანოს საკითხი აუცილებლად დადგებოდა მოლაპარაკებების დღის წესრიგში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აფხაზეთის მთავარმა ამ მიმართულებით, თავს დროზე, დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია, ამდენად, ეს მხარე ქელემ-ბეისთვის უკვე ამ ეტაპზე აქტუალური აღარც იყო, რადგან საფრთხე ემუქრებოდა, საერთოდ, როგორც მის სიცოცხლეს, ასევე – მისი ხელისუფლების არსებობასაც.

ქელემ-ბეის თავხედობით აღშფოთებულმა „ბრწყინვალე პორტამ“, თაიარ-ფაშასთან ერთად, მისი დასჯაც გადაწყვიტა და 1806წ. 25 ივლისს აფხაზეთის სანაპიროს ტრაპეზუნდიდან 11 ხომალდისაგან შემდგარი ოსმალეთის ფლოტილია მოადგა. მაგრამ, არც ქელემ-ბეი იჯდა გულხელდაკრეფილი და მტერს სათანადოდ მომზადებული დახვდა. ამიტომ ოსმალები იძულებული გახდნენ უომრად დაეხიათ უკან.⁴

თურქებმა, ამ სამხედრო ოპერაციის წინ, მიზნის მისაღწევად ჩვეულ ხერხს მიმართეს და ამისთვის ფეოდალური ქიშპის გამოყენება სცადეს. ოსმალეთის ესკადრის უფროსმა მანუჩარ შარვაშიძეს სულთნის ფირმანი გადასცა, რომელშიც სამურზაყანოს მფლობელისაგან ქელემ-ბეის წინააღმდეგ ლაშქრით გა-

¹ **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 403.

² *Акты.* Т. III, დოკ. №351, გვ. 192.

³ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 120; **3. Папаскири.** Абхазия..., გვ. 97.

⁴ **Г. З. Анчабадзе.** Князь Шервашидзе-Чачба..., გვ. 15.

მოსვლა მოითხოვა. ანალოგიური ფირმანები სხვა აფხაზ თავადებსაც დაეგზავნათ.¹

მანუჩარი ქელემ-ბეის მიმართ მართლაც არ იყო კეთილგანწყობილი, ამიტომ იგი ნამდვილად არ იყო აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ გალაშქრებისა. მაგრამ, საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე, მან ყოველივე ი. რიკჭოფს აცნობა. რუსმა გენერალმა გაითვალისწინა ის, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის ძნელად მიღწევადი მშვიდობა ახალი დამყარებული იყო და მანუჩარს ამ ოპერაციაში მონაწილეობისაგან თავშეკავება „ურჩია“.²

ბუნებრივია, ი. რიკჭოფმა მართებული გადანყვეტილება მიიღო, ვინაიდან ქელემ-ბეიმ, როგორც ვნახეთ, სამურზაყანო სამეგრელოს მფლობელობაში ცნო და მანუჩარის გამოსვლა მის წინააღმდეგ აფხაზეთის მთავრის მხრიდან აღქმული იქნებოდა, როგორც სამეგრელოს მიერ შერიგების პირობების დარღვევა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის ინტერესებს. ეს კი უფრო ადარდებდა რუს გენერალს, ვიდრე აფხაზეთ-ოდიშის ურთიერთობები. ამასთანავე, თურქების მიერ ქელემ-ბეის ჩამოშორება ხელისუფლებიდან აფხაზეთში ისევ ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის გაზრდას გამოიწვევდა. ეს კი რუსებისთვის ყოველად დაუშვებელი იყო.

მალე დღის წესრიგში დადგა უკვე საკუთრივ მანუჩარისა და ქელემ-ბეის შერიგების საკითხიც, რომელიც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის მშვიდობის დამყარება სრულყოფილი არ იქნებოდა, თუკი მანუჩარი და ქელემ-ბეი არ შერიგდებოდნენ. მალე ეს პრობლემაც, რუსების გავლენით, დადებითად გადაწყდა 1807 წლის დასაწყისისთვის. თუმცა, სამურზაყანოს მფლობელი ბოლომდე მაინც ვერ ენდო აფხაზეთის მთავარს და მისგან ერთ-ერთი შვილი მძევლად მოითხოვა.³ ქელემ-ბეიმ მანუჩარის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამიტომ გასაკვირი აღარც არის, რომ 1807წ. მარტში სამურზაყანოს მფლობელი, თავის ლაშქრით, უკვე თურქების წინააღმდეგ, აფხაზეთის მთავრის მხარდამჭერად გვევლინება.⁴

რუსებისათვის ქელემ-ბეგთან მშვიდობა და მოკავშირეობა მეტად საშური საქმე იყო, ვინაიდან 1806წ. მიწურულიდან რუ-

¹ *Акты*. Т. III, док. №355, გვ. 192.

² *Акты*. Т. III, док. №355, გვ. 192.

³ *Акты*. Т. III, док. №364, 365, გვ. 197.

⁴ *Акты*. Т. III, док. №364, გვ. 197.

სეთ-ოსმალეთის შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა და, ბალკანეთთან ერთად, საომარ მოქმედებათა ერთ-ერთ ფრონტს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროც წარმოადგენდა.

ამ ორი გავლენიანი შარვაშიძის შერიგება, როგორც ჩანს, ბევრისათვის, განსაკუთრებით კი, ალბათ, პროოსმალური ძალებისათვის მოულოდნელი ამბავი ყოფილა. ამიტომ ამ მოვლენიდან მოკლე ხანში, 1807წ. მაისის დასაწყისში, რუსებს საგანგაშო ინფორმაცია მიუვიდათ. კერძოდ კი, გენერალ-მაიორ ი. რიკ-ჰოფს თავადმა ჯაიანმა საიდუმლოდ გაანდო ერთი ცნობა, რომელიც მან აფხაზეთში მცხოვრები მისი ნათესავებისაგან – თავად მაჭუტაძეებისაგან მიიღო. კერძოდ, თითქოს, ქელემ-ბეი მანუჩარ შარვაშიძეს შეთანხმებია ყულევის რუსულ გარნიზონზე ერთობლივ თავდასხმაზე.¹ ეს პიროვნებები, როგორც ირკვევა, რუსი გენერლის სანდო ინფორმატორები იყვნენ და ამიტომ რუსი გენერალს ვერ გაერკვია დაეჯერებინა თუ არა ეს ცნობა.

როგორც ჩანს, ამგვარი შეთანხმება სინამდვილეში არ ყოფილა და, შესაბამისად, არც განხორციელებულა. სავარაუდოდ, ოსმალეთის აგენტები სპეციალურად ავრცელებდნენ ამ ხმებს, რათა დაძაბულობა შეეტანათ აფხაზებსა და რუსებს შორის ურთიერთობებში. თუმცა კი, ქელემ-ბეის მიმართ მაინც დარჩათ ეჭვის საბაბი, რადგან მან არაფერი გააკეთა ყულევის დასაცავად ოსმალთაგან და არც რუსებს მიეხმარა ფოთის ციხის აღებაში, რომლის ხელმძღვანელი კი მისი ნათესავი, შერვან-ბეი შარვაშიძის შვილიშვილი, ქუჩუკ-ბეი იყო.² მას ბათუმის ციხეც ეჭირა.³ რუსები ეჭვობდნენ, რომ აფხაზეთის მთავარი ორმაგ თამაშს ეწეოდა.⁴ თუმცა, ამასთანავე, მან არც თურქებს მისცა საშუალება აფხაზეთის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმისას.⁵

ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, ქელემ-ბეის ასეთი „სახიფათო ნეიტრალიტეტი“ განპირობებული იყო საკუთრივ რუსეთის სიფრთხილით აფხაზეთის საკითხის გადაჭრაში.⁶ რაც შეეხება ეჭვს მანუჩარის მიმართ, ეს სრულიად უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ის აქტიურად უჭერდა მხარს რუსებს და სამურზაყანოელ

¹ *Акты*. Т. III, док. №364, გვ. 197.

² **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 404.

³ **რ. სურმანიძე**. ყადირ შერვაშიძე, გვ. 4; **Г. А. Дзидзария**. Присоединение Абхазии к России и его историческое значение, გვ. 136; **Ю. Чиковани**. Род Абхазских Князей Шервашидзе, გვ. 53 (ტაბ. №6).

⁴ **ბ. სორავა**. აფხაზეთი XVIIIს. მინურულსა და XIXს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში“, გვ. 211.

⁵ **ბ. სორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 176-177.

⁶ **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 404-405.

შარვაშიძეთაგან ყველაზე თავგამოდებული პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსიც კი იყო.

1807წ. 13(25) ივნისს ტილზიტში რუსეთ-საფრანგეთს შორის დროებითი ზავი დაიდო, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა სანკტ-პეტერბურგის პოზიციებს აღმოსავლეთხმელთაშუაზღვაში: რუსეთი იძულებული გახდა, ფლოტი გაეყვანა ამ რეგიონიდან.¹ ამასთან, ორი იმპერიის დაახლოებამ გავლენა იქონია ოსმალეთთან ომის მსვლელობაზეც, რადგან იმავე წლის 12 აგვისტოს, საფრანგეთის შუამავლობით, სანკტ-პეტერბურგსა და სტამბოლს შორის ასევე დაიდო დროებითი ზავი,² რომელმაც კიდევ უფრო დაამძიმა აფხაზეთის მთავრის მდგომარეობა. ჩრდილოეთის იმპერია ჯერ კიდევ ფრთხილობდა ამ საკითხში: რუსეთი, ამჯერადაც, თავს იკავებდა ქელემ-ბეის თხოვნის შესრულებისაგან და არც სამხედრო მხარდაჭერას ჰპირდებოდა ოსმალეთის მხრიდან აფხაზეთზე მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში.³

„ბრწყინვალე პორტამ“ სცადა შექმნილი ვითარებით ესარგებლა და უმართავი და საეჭვო ქელემ-ბეი თავიდან მოეშორებინა. 1808წ. 2 მაისს სოხუმის რეზიდენციაში 61 წლის ქელემ-ბეი მუხანათურად მოკლეს.⁴ ასლან-ბეიმ თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა და ოსმალეთის სულთნის ერთგულება აღიარა.⁵

ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, მიიჩნეულია, რომ ამ დანაშაულის ორგანიზატორები იყვნენ ასლან-ბეი და მისი ნათესავები – ძიაფშ-ფები.⁶ როგორც გ. ძიძარია წერდა, საკუთრივ ას-

¹ **Е. П. Кудрявцева.** Военно-политические союзы России и Турции в конце XVIII – первой трети XIX столетия, – ნგნ.: *Россия и Черноморские проливы (XVIII-XX столетия)*, გვ. 103.

² *Восточный вопрос во внешней политике России.* Конец XVIII – начало XXв. Ответственный редактор Н. С. Киняпина. М., 1978, გვ. 72-73.

³ **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 405.

⁴ ქელემ-ბეის საფლავი დღემდე მიუკვლეველია (**А. Агумаа.** Где могила Келешбея, – გაზ.: «*Эхо Абхазии*». №15, 29.IV.2008, გვ. 10).

⁵ **Г. Анчабадзе.** Абхазская хроника XIX века, გვ. 13.

⁶ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 197; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 405; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 177; **თ. ბერაძე.** სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 236; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 122; **ა. კილასონია.** ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. *ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები*, გვ. 324; *Новейшая географическая и историческая известия о Кавказе. Собранные и пополненные С. Броневским*, გვ. 349; *Утверждение Русского владычества на Кавказе.* Под руководством начальника

ლან-ბეის მომხრე თურქები, რომლებიც აფხაზებს რუსების წინააღმდეგ აქეზებდნენ, აღნიშნავდნენ, რომ მან ქელემ-ბეი მოკლა „ალაჰის ნებით“.¹

სხვა ვარაუდი გამოთქვა ა. ფადეევმა, რომელიც თვლიდა, რომ ეს აქტი დადიანების მიერ იყო დაგეგმილი.² დადიანთა სახლს უკავშირებს აფხაზეთის მთავრის მკვლელობას ს. ლაკობაც, რომლის მტკიცებით იგი შეკვეთილი იყო სამეგრელოს დროებითი მმართველის ნინო დადიანის მიერ და მას ამაში რუსული სამხედრო ადმინისტრაციაც უჭერდა მხარს. აფხაზი მეცნიერის აზრით, სამეგრელოს სჭირდებოდა აფხაზეთში მორჩილი მთავარი, ანუ საფარ-ბეი, ხოლო ი. რიკჰოფი ქელემ-ბეის მტრად მიიჩნევდა.³ ს. ლაკობას ეს „ვერსია“ თანამედროვე აფხაზეთში, არსებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურიდან გამომდინარე, სულ უფრო მისაღები ხდება.⁴

ამასთან ერთად, ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა ნინოს „კრიმინალურ“ ქმედებათა სიას ამით არ ხურავენ და ეყრდნობიან რა სოლომონ II-ს მკურნალი ექიმის, პატრ ნიკოლას ცნობებს, მას მეუღლის, გრიგოლ დადიანის მონამვლით მკვლელობაშიც ადანაშაულებენ.⁵ ამ მკვლევართა „ლოგიკა“ სავსებით ნათელია: ქმრის

штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3, ч. 2, гв. 541; С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, гв. 104; Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России и его историческое значение, гв. 137; Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, гв. 33; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. *Историко-этнографические очерки*, гв. 145; В. В. Анцюпов. История города Сухуми в XIX – начале XX века (1810-1921гг.). Диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Сухуми, 1989, гв. 45-46; Г. Пайчадзе. Абхазия в составе Российской империи (1810-1917). – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*, гв. 217; Г. Анчабадзе. Абхазская хроника XIX века. *Из истории утверждения русского владычества в Абхазии*, гв. 13; З. Папаскири. Абхазия. *История без фальсификации*, гв. 97.

¹ Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, гв. 34-35.

² А. В. Фадеев. К вопросу о феодализме в Абхазии. Сухум, 1931, гв. 35.

³ С. З. Лакоба. Асланбей. Сухум, 1999, гв. 13; О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. *С древнейших времен до наших дней*, гв. 198-201.

⁴ А. Агумаа. Где могила Келеш-бея, гв. 10.

⁵ О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. *С древнейших времен до наших дней*, гв. 197; ნ. დადიანიც წერდა, რომ სამეგრელოში ხმა იყო გავრცელებული მთავრის მონამვლის შესახებ: „იტყვიან გრიგოლისათვის სამსალითა სიკვდილსა“ (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 193); „სამსალა – ნამალი მაკვდინებელი“ (ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 41).

მკვლელ ქალს არც სხვა ადამიანის მკვლელობის ორგანიზება გაუჭირდებოდა, რათა ხელისუფლებაში მარიონეტი მთავარის მოყვანით, აფხაზი ხალხი დაეპყრო. თუმცა, საკუთრივ სამეგრელოს დედოფალი ამას თვითონ პატრ ნიკოლას აბრალებდა.¹

ქელემ-ბეის წინააღმდეგ ორგანიზებული შეთქმულების მონაწილეთა შორის მანუჩარ შარვაშიძის ძმა, ბეჟანიც იყო.² ანტირუსულმა განწყობილებამ ბეჟანი უკვე ქელემ-ბეისთანაც დააპირისპირა. ბეჟანის ქვეშევრდომებიც ასლან-ბეის უჭერდნენ მხარს.³ მიუხედავად იმისა, რომ ის კვლავ ქრისტიანად რჩებოდა, მისთვის მაინც მიუღებელი იყო რუსეთის შემოსვლა აფხაზეთში. თუკი გავითვალისწინებთ, რომ გარკვეული კავშირები იყო ასლან-ბეისა და სოლომონ II-ს შორის,⁴ როგორც ჩანს, სავარაუდოა, რომ ბეჟანიც იმ პოლიტიკოსთა მხარეზე იდგა, რომელთაც დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფე ხელმძღვანელობდა. რუსეთის არმიის ოფიცერი მანუჩარ შარვაშიძე კი აქტიურად იბრძოდა ამ ძალების წინააღმდეგ და, რუსული ადმინისტრაციის მესვეურთა შეფასებით, თავის გამოჩენასაც ახერხებდა ამ „საქმეში“.⁵

საფარ-ბეი შარვაშიძემ, რომელიც მთავრის ტახტის მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა (ის ბზიფის დომენის მფლობელი იყო⁶ და, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე მართავდა აფხაზეთს), გამოილაშქრა ასლან-ბეის წინააღმდეგ. თუმცა, მას საკმარისი ძალები არ აღმოაჩნდა მეტოქე ძმის გასაძევებლად და ამიტომ დახმარებისთვის დადიანებს მიმართა.⁷ წინნომაც, რა თქმა უნდა, სიძეს დახმარებაზე უარი არ უთხრა, მით უფრო, რომ ეს საუკეთესო საშუალება იყო აფხაზეთთან სადაო საკითხების (მათ შორის, სამურზაყანოს საკითხის) მოსაგვარებ-

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ.., გვ. 19.

² *Акты*. Т. III, დოკ. №367, გვ. 199.

³ *Акты*. Т. III, დოკ. №367, გვ. 199.

⁴ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო.., გვ. 382; Г. Анчабадзе. Абхазская хроника XIX века.., გვ. 1 Г. Анчабадзе. Абхазская хроника XIX века. *Из истории утверждения русского владычества в Абхазии*, გვ. 133.

⁵ *Акты*. Т. IV, დოკ. №324, გვ. 243.

⁶ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3, ч. 2, გვ. 544.

⁷ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3, ч. 2, გვ. 542.

ლად.

ქელემ-ბეის მემკვიდრეების ამ დავაში, მთავარმმართველ-მა ივანე გუდოვიჩმა (1806-1809), ბუნებრივია, საფარ-ბეის დაუჭირა მხარი. ვ. პოტოს შენიშვნით, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, გიორგი შარვაშიძის ქრისტიანობას ჰქონდა.¹ თუმცა, მთავარმმართველმა, თურქეთთან დადებული ზავის გამო, მიზანშეუწონლად მიიჩნია აფხაზეთის სამთავროში რუსული შეიარაღებული ქვედანაყოფების გაგზავნა, რათა ოსმალეთთან ხელახალი კონფლიქტი არ დაწყებულიყო.² მაგრამ რუსმა გენერალმა გამოსავალი მოძებნა და, გასაჭირში მყოფ, საფარ-ბეის გარკვეული სამხედრო დახმარება მაინც გაუწია. მისი ნებართვით, 8 მაისს სოხუმისაკენ დაიძრა ოდიშართა და სამურზაყანოელთა ლაშქარი ნიკო დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის ხელმძღვანელობით.³ მართალია, ოდიში, სამურზაყანოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და აქ თითქოს ჩანს რუსეთის სამხედრო ჩარევა აფხაზეთის საქმეებში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ვასალი იყო. მაგრამ ოდიშარ-სამურზაყანოელთა ლაშქრის გაგზავნით, რუსებს შეეძლოთ ოსმალთა პრეტენზიები უკუეგდოთ, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, ყოველივე ეს ადგილობრივ მოსახლეობას შორის მიმდინარე კონფლიქტად წარმოეჩინათ.

დადიან-შარვაშიძის ჯარი მდინარე ბესლეთთან დაბანაკდა, თუმცა სოხუმის ციხის აღება ვერ შეძლო, რადგან სათანადოდ („*არტილერიათა და არცა სხვათა ციხის მოსადგომთა იარაღთა*“) მომზადებული არ აღმოჩნდა. ამასთანავე, ასლან-ბეი (საკმაოდ გაძლიერებული დახვდა მათ, ვინაიდან მის დასახმარებლად, სოხუმში 3 გემით ჩავიდა ქუჩუკ-ბეი შარვაშიძე და 300-მდე ჩერქეზი.⁵ მას ცოლად ჰყავდა ჯიქელი ქალი გეჩბათა საგვარეულოდან და ამიტომ დიდი მხარდაჭერაც ჰქონდა საძების, უბიხეებისა და ადიღების მხრიდან.⁶ ასლან-ბეის მხარეს იყვნენ უმცრო-

¹ *Утверждение Русскаго владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 543.

² *Акты*. Т. III, დოკ. №368, გვ. 200.

³ *Акты*. Т. III, დოკ. №367, 374, გვ. 199, 207-208.

⁴ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

⁵ *Акты*. Т. III, დოკ. №374, გვ. 207-208.

⁶ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии. *С древнейших времен до наших дней*, გვ. 201; გეჩბების საგვარეულო მდ. მზიმთას ხეობის ქვემოწელში ცხოვრობდა (**С. М. Званба**. О Гагре и джигетах, – ნგნ.: **С. М. Званба**. Абхазские этнографические этюды. Составитель, автор биографо-библиографического очерка и ответственный редактор член-корреспондент АН ГССР, профессор *Г. А. Дзидзая*. Сухуми, 1982, გვ. 9).

სი ძმა ჰასან-ბეი და აბჟუის მმართველი ალი-ბეი შარვაშიძე, რომელთაც სძულდათ საფარ-ბეი და შიში ჰქონდათ, რომ ის, რუსების მეშვეობით, აფხაზეთის ხელისუფლებაში მოვიდოდა.¹

მაგრამ ნიკო დადიანსა და მანუჩარ შარვაშიძეს „ხელცარიელი“ უკან გაბრუნება არ უნდოდათ და ასლან-ბეისთან მოლაპარაკებები დაიწყეს ციხის ჩაბარების შესახებ.² თუმცა, ასლან-ბეი, რომელიც საკმაოდ მომძლავრებული იყო, ციხის ჩაბარებას არც ფიქრობდა და ერთადერთი შედეგი ამ მოლაპარაკებისა ის იყო, რომ მოხერხდა ქელემ-ბეის ქვრივის, რებია-ხანუმ მარშანიას და მისი შვილის ბათალ-ბეის გამოხსნა.³ ლევანმა და მანუჩარმა, საბოლოოდ, დამძევლეს „ყოველი აფხაზეთი ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე **ღალიძგა-დადიანის საზღვრამდე**“.⁴

ამ ლაშქრობამ საფარ-ბეის მდგომარეობა ვერ განამტკიცა.⁵ ცა.⁵ არ გამართლდა რუსეთის დახმარების მოლოდინიც. ოსმალეთმა კი სწრაფი რეაგირება მოახდინა ასლან-ბეის საშველად გამოემართა და მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარებაც გაუწია: თუკი სოხუმში 1807წ. 16 ქვემეხი იდგა, ასლან-ბეის დროს მათი რაოდენობა 70 ერთეულამდე გაიზარდა, ხოლო სოხუმის სიახლოვეს რამდენიმე ოსმალური სამხედრო გემი იდგა.⁶ საქმის ამგვარად შემობრუნებამ ასლან-ბეის მხარდამჭერთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა. მის მხარეზე გადადიოდნენ ის აფხაზებიც კი, რომლებსაც, საფარ-ბეის ერთგულების სანაცვლოდ, ლევან დადიანმა და მანუჩარ შარვაშიძემ მძევლები ჩამოართვეს. „ასლან-ბეგ კვალად იმყოფებოდა აყუს ციხესა შინა, გარნა არა აყენებდა ძმასა თვისსა სეფერ-ბეგს და იბირებდა ყმასა მისსა და ანუხებდა“, – წერდა ნ. დადიანი.⁷

საფარ-ბეი დახმარებისთვის ისევ ზუგდიდში ჩავიდა. მან, სამეგრელოს მმართველის რჩევით, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, რუსეთის მფარველობა ითხოვა. ოდიშში მიიჩნევე-

¹ **ბ. სორავა**. აფხაზეთი XVIIIს. მიწურულსა და XIXს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში“, გვ. 213.

² *Акты*. Т. III, დოკ. №374, გვ. 207-208.

³ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

⁴ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197; მდ. ღალიძგა რომ სამურზაყანოს საკუთრივ აფხაზეთისაგან გამოჰყოფდა, ნ. დუბროვინმაც შესანიშნავად იცოდა (**Н. Дубровин**. История войны и владычества на Кавказе. Т. I, გვ. 2)

⁵ **თ. ბერაძე**. სამეგრელოს სამთავრო..., გვ. 237.

⁶ **ბ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 407; **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа**. История Абхазии. Учебное пособие. Сухуми, 1986, გვ. 75; **Г. Пайчадзе**. Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 217-218.

⁷ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

დნენ, რომ საფარ-ბეის მმართველობა კარგი შესაძლებლობა იყო ამ სამთავროსთან საუკუნეების მანძილზე არსებული დაძაბული ურთიერთობებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. ნინომაც, თავის მხრივ, სიძის მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა მთავარ-მმართველ ი. გუდოვიჩს, სადაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ოდიშის ისტორიული უფლებებს არა მხოლოდ სამურზაყანოზე, არამედ – სრულიად აფხაზეთზე და ამით შეეცადა ამ მხარეზე რუსეთის პროტექტორატის დამყარებას.¹

სამეგრელოს მმართველი მიუთითებდა იმაზე, რომ, ისტორიულად, აფხაზეთი „*არს წვერი და მეზობელი ჩვენი და უწინარესვე ხელთა ქვეშე სამთავროთა ჩვენთა მყოფი*“,² და ამის არგუმენტად, აფხაზეთ-ოდიშის ისტორიული თანაცხოვრობის გარდა, ახალი მთავრისა და მისი ქვეშევრდომობის აწინდელი სარწმუნოებრივი მდგომარეობაც მოჰყავდა. მოგვიანებით, ლევანი რუსეთის ხელისუფლების წინაშე მისი ოჯახის დამსახურებად მიიჩნევდა „*შემოყვანა საიმპერიოსა ტახტისად ქვეშე სამთავრო აფხაზეთისა და მთავარი მისი ღალიძგიდგან დაწყებით ვიდრე ჯიქთა საზღვრამდე*“.³

მოცემულ წერილში განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მასში სავსებით მკაფიოდაა დაფიქსირებული სამურზაყანოს სტატუსი, კერძოდ, ის რომ ეს სამფლობელო არ მოიაზრებოდა „*სამთავრო აფხაზეთისა*“-ს შემადგენლობაში და საკუთრვ ამ სამთავროს ტერიტორია მხოლოდ მდ. ღალიძგიდან იწყებოდა.

ნინო ბაგრატიონის თქმით, თუკი ქრისტიანობაზე მოქცეული გიორგი შარვაშიძე რუსეთის მფარველობას მიიღებდა, ეს დადებითად იმოქმედებდა მთელს აფხაზეთურ მოსახლეობაზე: „*მაშინ განაცხადებს სარწმუნოებასა ჩვენსა... ყოველი აფხაზეთი, – ესრედ აღმითქვებს მე ყოველთა აფხაზეთისა თავადთა და აზნაურთა და ხოლო გლეხნი მოსწრაფებით მზა არიან, ვინადგან უმეტესნი ქრისტიანეობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენი*“.⁴ ნინოს წერილში ყურადღებას იქცევს სამურზაყანოს სამართლებრივი სტატუსი – „*ჩვენი სამფლობელო აფხაზეთსა შინა*“. ეს იმას ნიშნავს, რომ, ამ პერიოდში, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთი

¹ **ზ. პაპასკირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 123; **З. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное, гв. 98.

² *Акты.* Т. III, док. №370, гв. 202.

³ *წერილი ლევან დადიანისა არქიმანდრიტ გიორგისადმი.* 1816წ. 31 დეკემბერი, — *სხეც.* დოკუმენტი Ad-1508.

⁴ *Акты.* Т. III, док. №370, гв. 202.

უკვე „აფხაზეთი“ იყო, ვინაიდან იქ აფხაზებიც მოსახლეობდნენ, მაგრამ ეს მხარე მისი სამფლობელოს წარმოადგენდა. თუმცა ამ-კარაა, რომ ნინო დადიანი ძალიან აზვიადებდა არსებულ ვითარებას სიძის სასარგებლოდ. ვ. პოტოს შენიშვნით, აფხაზ წარჩინებულთა უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო გლეხის შვილის გამთავრება,¹ ამასთან, მთავარმართებელს ჰქონდა კიდეც ერთი ცნობა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილმა ქელემ-ბეიმ მთავრობა უმცროს შვილს, ბათალ-ბეის უანდერძა.² თუმცა, იგი დოკუმენტურად ვერ დასტურდებოდა.

ოსმალეთთან კვლავ განახლებული ომის ფონზე (1809წ. გაზაფხული), სანქტ-პეტერბურგმა გადაწყვიტა აფხაზეთზე პროტექტორატის დაწესება. ნათელი იყო, რომ საკითხის გაჭიანურება უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან, საბოლოოდ, დაკარგავდა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილში არსებულ მცირე ნდობასაც კი. ეს კი ისევ სანქტ-პეტერბურგის სამხრეთი სამფლობელოების უსაფრთხოებას აყენებდა რისკის ქვეშ. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, ი. გუდოვიჩმა ნინო დადიანის წერილით „აფხაზეთის მიმართ თუმცა გაუბედავი, მაგრამ მაინც გარკვეული პრეტენზიის სუნი“ იგრძნო, ამიტომ ამ ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შეყვანისათვის სხვა არგუმენტი ჩამოაყალიბა, კერძოდ, ის, რომ ქრისტიანული აფხაზეთი ისტორიულად ფეოდალური საქართველოს ნაწილად ითვლებოდა და, ბოლო დრომდე, ის იმერეთზე დამოკიდებული სამთავრო იყო.³

მკვლევარის დაკვირვებით, აქ რუსეთის შორსმიმავალი გეგმები იგრძნობოდა: იმერეთზე, რომლის ბედიც რუსეთს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ჰქონდა, „დამოკიდებულობაზე“ ხაზგასმით ი. გუდოვიჩი საფუძველს გამოაცლიდა სამეგრელოს პრეტენზიებს აფხაზეთზე.⁴ XIXს. I ნახევარში სამეგრელო რუსეთის აქტიურ მხარდამჭერად გამოდიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის მიმართ რუსებს ბოლომდე სრული ნდობა არ ჰქონდათ და არც ის სურდათ, რომ მომავალში ოდიშის სამთავრო რამენაირად გაძლიერებულიყო. სანქტ-პეტერბურგისათვის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა არსებობა მხოლოდ დროებითი და რუსებისთვის იძულებითი მოვლენა იყო. ქართლ-

¹ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3, ч. 2, გვ. 544.

² *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 542-543.

³ **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 407.

⁴ **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 407.

კახეთის სამეფოს გაუქმებამ სოლომონ II-ს უკვე დაანახა რუსეთის მფარველობის რეალური „შინაარსი“. ჩრდილოელი მეზობელი ისეთივე დამპყრობელი იყო, როგორც ყოფილი სამხრეთელი „მფარველები“ და „პატრონები“ – ოსმალეთი და სპარსეთი. სწორედ ამიტომ იყო სოლომონ II-ს ბრძოლა ასეთი შეუპოვარი. თუმცა, ზოგადად, ი. გუდოვიჩის არგუმენტი მაინც მართებული იყო, როცა ის აფხაზეთს ქართული პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილად განიხილავდა.

1808წ. 12 აგვისტოს გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძემ და მისმა მომხრე აფხაზმა წარჩინებულებმა ხელი მოაწერეს, რუსეთის მფარველობის მისაღებად, „სათხოვარ პუნქტებს“ და იმპერატორის ერთგულებაზეც დაიფიცეს.¹ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ სანქტ-პეტერბურგიდან დადებითი პასუხი აფხაზეთის მთავრის თხოვნაზე 1809წ. შუახანებში მოუვიდა მთავარმმართველ ალექსანდრე ტორმასოვს (1809-1811).² სინამდვილეში, ჯერ კიდევ ი. გუდოვიჩი 1808 წლის 17 ივლისს გენერალ ი. რიკპოვს აძლევდა განკარგულებას, რათა დახმარებოდა საფარ-ბეის, რომლის ქვეშევრდომად მიღებასაც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება აპირებდა.³

საფარ-ბეი მაშინაც არ ფლობდა რეალურ ხელისუფლებას სამთავროში და სამეგრელოში იმყოფებოდა. 1809წ. დასაწყისში დადიანის ლაშქარი მის დასახმარებლად ისევ გაემართა სოხუმისკენ, თუმცა ამჯერადაც წარუმატებლად.⁴

ამ მოვლენების დროს ისევ გამოჩნდა ლევან ხუტუნიას ძე შარვაშიძე, სამურზაყანოს ყოფილი მფლობელი. როგორც ჩანს, ეს აქტიური პოლიტიკოსი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამურზაყანოს მმართველობიდან ჩამოშორების შემდეგ, ცდილობდა ნაკლებად გამოჩენილიყო პოლიტიკურ

¹ *Материалы и записки к вопросу о владельческих и имущественных правах потомков светлейшего князя Михаила Шервашидзе, последнего владельца Абхазии.* Венден, 1913, გვ. 7-9. ელექტრ. ვერსია — <http://www.abkhaziya.org/books/chachba/1810gramota.html>. ამ გამოცემის სათაურში მიხეილის გვარი მოცემულია ფორმით «Шервашидзе». თუმცა, იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიერ გაცემულ სამთავრო „სიგელში“ მოცემულია ამ გვარის მართებული ფორმა «Шарвашидзе». ფორმა «Шервашидзе» ამ კრებულში ჩნდება უკვე XIXს. მეორე ნახევრით დათარიღებულ სამთავრობო დადგენილებებში თუ სახელმწიფო მოხელეების ანგარიშებში.

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 408.

³ *Акты.* Т. III, დოკ. №373, გვ. 206.

⁴ *Акты.* Т. IV, დოკ. №549, გვ. 409.

ასპარეზზე. საეჭვოა, რომ მისი ბუნება ამ პასიურ მდგომარეობას საბოლოოდ შერიგებოდა და იგი, ალბათ, მოქმედებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ელოდებოდა.

ლევანმა, რომელიც, როგორც ვნახეთ, დადიანების მიმართ დიდი სიმპათიებით არასდროს გამოირჩეოდა, გადანყვიტა ახლაც შეტევა მიეტანა სამეგრელოს მთავარზე და მან, ამ ლაშქრობის გამო, რუსულ სამხედრო ადმინისტრაციაში ნინო დადიანის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა, სადაც აღნიშნავდა, რომ საფარ-ბეის დასახმარებლად მიმავალი სამეგრელოს სახალხო ლაშქარი, რომელმაც გზად ლევან შარვაშიძის სამფლობელოზე გაიარა, მოსახლეობისაგან საქონელს, პურს, ღომსა და ღვინოს ითხოვდა გამოსაკვებად.¹ ლევან შარვაშიძის განცხადებით, ამის შედეგად, ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მის ქვეშევრდომებს მძიმე ეკონომიკური ზარალი მიადგათ და იგი ამ ხარჯის ანაზღაურებას ითხოვდა. სამურზაყანოს ყოფილი მფლობელის საჩივარი უყურადღებოდ არ დარჩა და 1809წ. 27 თებერვალს საქმის გამოძიება ი. გუდოვიჩმა იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანს დაავალა. იმერეთის მმართველს საქმის არსში გასარკვევად დიდი დრო აღარ დასჭირდა და ამ გამოძიების შედეგები დ. ორბელიანმა უკვე ახალ მთავარმმართველს, ალ. ტორმასოვს იმავე წლის 12 მაისს უპატაკა. როგორც მან გაარკვია, საქმე ეხებოდა სამეგრელოს ირეგულარულ ჯარს, რომელსაც, როგორც წესი, ლაშქრობისას თან საკვები არ მიჰქონდა და მათი შენახვა იმ ადგილობრივი მოსახლეობის მოვალეობა იყო, სადაც ეს ჯარი დაბანკდებოდა, იქნებოდა ეს საკუთრივ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ. ამის შესახებ ლევან შარვაშიძესაც კარგად მოეხსენებოდა და, ამიტომ, როგორც დ. ორბელიანი შენიშნავდა, საჩივარი უსაფუძვლო იყო და მისი დაკმაყოფილებაც არ შეიძლებოდა.²

ამასობაში ოსმალეთი განაგრძობდა კვლავ ასლან-ბეის მატერიალურ და სამხედრო მხარდაჭერას. 1809წ. ივნისის ბოლოს სოხუმის ნავსადგურს მოადგა თურქული ხომალდი, რომელმაც აფხაზეთის მთავრისა და მისი გარემოცვისთვის ძვირფასი საჩუქრები (ბენვის ქურქები) და ფული ჩამოიტანა.³ ამასთან ერთად, მანუჩარ შარვაშიძემ დ. ორბელიანს აცნობა, რომ ფოთის კომენდანტმა ქუჩუკ-ბეიმ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ

¹ *Акты*. Т. IV, დოკ. №549, გვ. 409-410.

² *Акты*. Т. IV, დოკ. №549, გვ. 410.

³ *Акты*. Т. IV, დოკ. №519, 559, გვ. 202, 390.

ტომებს, რომელთა მმართველი იყო თუშჩი-ოლლი-ბეგი, ასლან-ბეის მხარდასაჭერად ლაშქრობისაკენ მოუწოდა.¹

თავად ქუჩუკ-ბეისაც ამ დროს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. 1809წ. მაისის დასაწყისიდან რუსები ფოთის დაუფლებისთვის იბრძვიან.² მათ მიერ მოპოვებულ პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებათა შესანარჩუნებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად აუცილებელი იყო ჯარის რაოდენობის გაზრდა დასავლეთ საქართველში, მაგრამ ეს არ იყო ადვილი.³ დარიალის ხეობით და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში შეიარაღებული ძალების გადმოსროლა არც ისე უსაფრთხო იყო, რაც 1804წ. მთიულეთის აჯანყებამ უჩვენა და, ამასთანავე, მეტად ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც დიდ ხარჯებსაც უკავშირდებოდა.⁴ ამიტომ რუსეთმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ფოთის ციხეს, რომელიც იმ ხანად ჯერ კიდევ თურქებს ეკავათ.⁵

ჯერ კიდევ 1803 წელს პ. ციციანოვი სანქტ-პეტერბურგს ატყობინებდა, რომ სამეგრელო ფოთის გარეშე არაფერს წარმოადგენდა და მისი თქმით, რუსეთისათვის ამ ციხის დაჭერა გაცილებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვიდრე მთელი ამ სამთავროსი, რომელიც ისევ და ისევ ფოთზე იყო დამოკიდებული.⁶ 1804 წელს რუსეთის ელჩი სტამბოლში ა. ი. იტალინსკი სულთნის მთავრობისთვის იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, სხვადასხვა ნავმისადგომები და ციხე-სიმაგრეები იმათ საკუთრებაში რჩებოდა, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა, ფოთი კი ძველთაგანვე სამეგრელოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თურქეთი მას ისევე უკანონოდ ფლობდა, როგორც გურიაში — ბათუმს და ანაკლიას — სამეგრელოში. აქედან გამომდინარე, ფოთი ოდიშს უნდა გადასცემოდა.⁷

საბოლოოდ, რუსეთმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ოსმალეთისგან უფლება მიიღო ესარგებლა ფოთის პორტით საკუთარი ჯარებისთვის პროვიანტით მოსამარაგებლად.⁸ თუმცა, ეს „იდილია“ დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან რუსებმა პროვი-

¹ *Акты*. Т. IV, док. №519, 559, გვ. 202, 390.

² **ბ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 408; **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 243, შენ. 485.

³ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო, გვ. 345.

⁴ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 263.

⁵ **Н. Дубровин**. Закавказье от 1803-1806 года, გვ. 277-278.

⁶ **Н. Дубровин**. Закавказье от 1803-1806 года, გვ. 278.

⁷ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 263-264.

⁸ **მ. რეხვიაშვილი**. იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 264.

ანტის გარდა, აქედან ჯარების შეყვანაც დაიწყეს და სტამბოლ-
მაც მათ ფოთის კარები ჩაუკეტა.

დ. ორბელიანმა სცადა ფოთის უომრად დაუფლება და ქუ-
ჩუკ-ბეი შარვაშიძეს მიუგზავნა სოსლან და მანუჩარ შარვაშიძე-
ები, ვახტანგ გურიელი და პოდპოლკოვნიკი ერისთავი, მაგრამ
ეს ცდაც უშედეგოდ დასრულდა.¹ ქუჩუკ-ბეი ადვილად დანებე-
ბას არ აპირებდა, რადგან ციხე საკმაოდ გამაგრებული იყო და
თურქებს იქ 600 ჯარისკაცი ჰყავდათ მობილიზებული;² ამიტომ
ფოთისთვის ბრძოლა ხანგრძლივი აღმოჩნდა.

1809წ. ნოემბერში ქუჩუკ-ბეის დასახმარებლად ახალციხის
ფაშა წამოვიდა 9 000 მეომრით. ფაშას გურიის მთავრის მხარდა-
ჭერის იმედიც ჰქონდა,³ მაგრამ გურიელმა იმედები გაუცრუა და
და თავისი ლაშქრით მალთაყვასთან მტერი გაანადგურა. ეს
მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ფოთის ოსმალთა გარნიზონის-
თვის. 1809 წლის 15 ნოემბერს, ქუჩუკ-ბეიმ თავი დამარცხებუ-
ლად სცნო. თუმცა, საქართველოს შავიზღვისპირეთის ამ მნიშ-
ვნელოვანი დასახლებული პუნქტის დაუფლება რუსეთისთვის
მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან 1812 წლის ბუქარესტის სა-
ზავო ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფოთი კვლავ ოს-
მალეთს გადაეცა.

სამურზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე, თავისი
ლაშქრით, ფოთისთვის გამართული ბრძოლებში აქტიურად მო-
ნაწილეობდა. 1809წ. 14 აგვისტოს დ. ორბელიანმა და ლევან და-
დიანმა ფოთის შემოგარენის დაკავება დაავალეს ნიკო დადიანს,⁴
ანს,⁴ რომელმაც ეს ოპერაცია წარმატებით შეასრულა მანუჩარ
შარვაშიძესთან ერთად.⁵ ამ ბრძოლისას მათმა ლაშქარმა 8 ჯა-
რისკაცი დაკარგა, ხოლო 12 — დაიჭრა.⁶ ზოგადად, ფოთისთვის
ბრძოლებში დადიანის ლაშქარმა მნიშვნელოვანი დანაკლისი გა-
ნიცადა.⁷

ნიკო დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის თავდადება, მა-
მაცობამ სარდლობის აღტაცება დაიმსახურა და დ. ორბელიანმა
მთავარმმართველ ალ. ტორმასოვის წინაშე მათი დაჯილდოე-

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIXს. პირველ მეოთხედში, გვ. 408.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 199.

³ მ. დუმბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის სამთავრო-
ების მფარველობაში აყვანა, — სინ. ტ. IV, გვ. 862.

⁴ ავტორი თხზულებისა „ქართველთ ცხოვრება“.

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 199,

⁶ Акты. Т. IV, დოკ. №520, გვ. 331.

⁷ წერილი ლევან დადიანისა არქიმანდრიტ გიორგისადმი. 1816წ. 31 დეკემბე-
რი, — სხეც. დოკუმენტი Ad-1508.

ბის შუამდგომლობა აღძრა.¹ მართალია, მანუჩარი რუსების სამსახურში იდგა და იმპერიას ემსახურებოდა, მაგრამ მას, როგორც ბევრ სხვა პოლიტიკოსს, სწორედ რუსეთი ეგულებოდა იმ გზად, რომელიც აღადგენდა ერთიან საქართველოს. ფოთის გათავისუფლების შემდეგ, მანუჩარმა ყურადღება ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილს – ბათუმსა და აჭარას — მიაქცია.

დამარცხებული ქუჩუკ-ბეი, თავის მეომრებთან ერთად, მშვიდობით გაუშვეს და ის ბათუმში ჩავიდა.² როგორც ჩანს, მანუჩარმა ივარაუდა, რომ ერთხელ სასტიკად დამარცხებული ქუჩუკ-ბეი, ამჯერად უფრო დამყოლი იქნებოდა და მასთან მოლაპარაკებები დაიწყო ბათუმის ციხის რუსებისათვის გადასაცემად. სამურზაყანოს მფლობელის ამ ინიციატივამ რუსების ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ალ. ტორმასოვი ამ გეგმაზე განსაკუთრებულ იმედებს არ ამყარებდა. მთავარმმართველი მოკლე ხანში ახალციხეზე ლაშქრობას გეგმავდა და ფიქრობდა, რომ რუსების მიერ ახალციხის აღება თავისთავად განაპირობებდა ბათუმის ციხის დაცემასაც.³

ამის მიუხედავად, რუსეთის უმაღლესი ხელისუფალი ამიერკავკასიაში მაინც დათანხმდა ამ გეგმის რეალიზაციას იმ მოტივით, რომ ახალციხის კამპანიამდე ბათუმის ციხის მიღება და, თანაც უომრად, რუსეთის საქმისთვის ურიგო არ იქნებოდა და 1810წ. 16 მარტისა და 8 ივნისის საიდუმლო მიწერილობით გენერალ-მაიორ თევდორე სიმონოვიჩს, რომელმაც დ. ორბელიანი შეცვალა, ურჩია, ქუჩუკ-ბეის მისამხრობად არ დაეზოგა არაფერი და, ამასთანავე, მანუჩარ შარვაშიძეც, გეგმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, აუცილებლად დაჯილდოვდებოდა.⁴

ალ. ტორმასოვმა 1810წ. 10 ნოემბერს გაილაშქრა ახალციხის წინააღმდეგ, სადაც სექტემბრის ბოლოდან რუსთა ტყვეობიდან გაქცეული და სამეფო-დაკარგული სოლომონ II იმყოფებოდა.⁵ ამ ოპერაციაში მონაწილეობდა ლევან დადიანი, რომელმაც

¹ *Акты*. Т. IV, დოკ. №523, გვ. 392.

² **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 200.

³ *Акты*. Т. IV, დოკ. №359, გვ. 281.

⁴ *Акты*. Т. IV, დოკ. №359, 1438, გვ. 281, 938.

⁵ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 201-202; **მ. დუმბაძე**. იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის სამთავროების მფარველობაში აყვანა, გვ. 865; **მ. დუმბაძის** სამართლიანი შენიშვნით, იმერეთის სამეფოს გაუქმებაში, რუსებთან ერთად, „თავი გამოიჩინეს“ ოდიშისა და გურიის მთავრებმა. ეს უკანასკნელი, რომელიც ჯერ კიდევ 1804წ., სოლომონ II-სთან ერთად, მიიღეს მფარველობაში, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რადგან დადიანს მფარველობის „პატივი“ უშუალოდ ერგო. 1810წ. აპრილ-ივნისში გურიელის პატივმოყვარეობა დაკმაყოფილდა და ამჯერად რუსეთის ხელისუფლებამ მასთანაც დამო-

„შეიკრიბა სამთავროთ მისით სპანი ოდიშ-აფხაზნი და ლეჩხუმელნი“.¹ ბუნებრივია, აქაც, „აფხაზნი“-ში სამურზაყანოელთა ლაშქარი იგულისხმება, რომელსაც, სავარაუდოდ, მანუჩარ შარვაშიძე სარდლობდა. მაგრამ, ამჯერად, ახალციხის ალების ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა, რადგან „მაშინ გაჩნდა ჯარსა შინა მომსვრელი სენი (ესე იგი ჟამი)“.²

ახალციხის დაუფლების უშედეგო მცდელობამ და თურქთა მიერ ციხისძირის გამაგრებამ, რომელიც გურიის სამთავროს უქმნიდა საფრთხეს, მანუჩარ შარვაშიძის გეგმას უფრო მეტი ღირებულება შესძინა.³

ამ ვითარებაში, ქუჩუკ-ბეის მოუდრეკელობამ მისი ბედი გადაწყვიტა. რ. სურმანიძე ვარაუდობს, რომ რუსებმა ქუჩუკ-ბეი მოკლეს და მკვლევარი ამას 1809 წლით ათარიღებს.⁴ ავტორის ეს მოსაზრება წყაროებით ვერ დასტურდება. პირიქით, იქ ჩანს, რომ 1810 წლის პირველ ნახევარში ქუჩუკ-ბეი ჯერ კიდევ ცოცხალია.⁵ ოსმალებმა მის ადგილზე ლაზი ომარ-ალა ჟორდანიანი დანიშნეს.⁶ იგი ქუჩუკ-ბეის ცოლის ძმა იყო.⁷ როგორც ჩანს, ბათუმელთა ნაწილისათვის ომარ-ალას კანდიდატურა მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან, როგორც მანუჩარ შარვაშიძე 1810 წლის დეკემბერში აცნობებდა თ. სიმონოვიჩის, «*батумские жители, привыкнув иметь над собою владельцев из фамилии Шарвашидзе, из которой был Кучук-бей*».⁸

სამურზაყანოს მფლობელმა მალევე გამოძებნა შესაფერისი კანდიდატურა ბათუმელთა ამ სურვილის „დასაკმაყოფილებლად“. ეს იყო საფარ-ბეის უმცროსი ძმა სოსლან-ბეი, რომელიც ქუჩუკ-ბეის ახლო ნათესავი გახლდათ. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ქელემ-ბეის შვილი, რომელიც მანუჩარს მძევლად ჰყავდა. როგორც მანუჩარი ირწმუნებოდა, მას ჰქონდა გარკვეუ-

უკიდებლად გააფორმა მფარველობის ხელშეკრულება. დადიანი და გურიელი მხოლოდ საკუთარი ვინრო-ფეოდალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ყველა საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი არსებობის გახანგრძლივებას. სოლომონ მეფის წინააღმდეგ, მათ გარდა, აგრეთვე, იმერელ დიდებულთა ჯგუფიც იბრძოდა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის მეთაურობით (**მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ..., გვ. 197).

¹ **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 202.

² **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 202.

³ *Акты*. Т. IV, док. №452, გვ. 339.

⁴ **რ. სურმანიძე**. ყადირ შერვაშიძე, გვ. 4.

⁵ *Акты*. Т. IV, док. №359, 1438, გვ. 281, 938.

⁶ **რ. სურმანიძე**. ყადირ შერვაშიძე, გვ. 4.

⁷ *Акты*. Т. V, док. №127, გვ. 100.

⁸ *Акты*. Т. IV, док. №452, გვ. 339.

ლი ცნობები, რომ ბათუმის ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებდა საფარ-ბეის ძმას. მანუჩარის გეგმით, საჭირო იყო სოსლანის ბათუმში გაგზავნა და ქუჩუკ-ბეის ქვრივზე დაქორწინება.¹ როგორც ჩანს, ბათუმი შერვან-ბეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების საკუთრება ყოფილა. ამიტომაც ციხის მეთაურადაც ოსმალებმა ქუჩუკ-ბეის ახლო ნათესავი გაამნეს. თუკი, მოსახლეობის დიდი ნაწილი მას მიემხრობოდა, ამის შემდეგ ადვილი გახდებოდა ბათუმის დაუფლება.²

რუსეთის ხელისუფლებას მაჰმადიანი სოსლან-ბეის მიმართ გარკვეული ეჭვები გაუჩნდა. რუსებს სჭირდებოდათ დარწმუნება, რომ საფარ-ბეის უმცროსი ძმა ბათუმში ასლან-ბეის საქმეს არ გააკეთებდა, ანუ ისიც არ მიემხრობოდა თურქებს. სოსლან-ბეის „მოსინჯვა“ დაიწყო, რომლის პირველი შედეგებიც 1811წ. 6 მაისს თ. სიმონოვიჩმა აღ. ტორმასოვს უპატაკა: იმ შემთხვევაში, თუკი ბათუმის დაუფლების გეგმა წარმატებით დასრულდებოდა, სოსლან-ბეი ითხოვდა რუსეთის მფარველობას იმავე პირობებით, რა პირობითაც ის მის ძმას გიორგი (საფარ-ბეის) შარვაშიძეს მიეცა (შიდა ავტონომია და მთავრის ხელისუფლების მემკვიდრეობითი უფლება).³

თ. სიმონოვიჩი ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული სოსლან-ბეის სანდოობაში და პატაკაში, საფარ-ბეის უმცროსი ძმის მიმართ, ხშირად ხმარობდა სიტყვას „თითქოს“ (*«быто-мн»*).⁴ ამიტომ, რუსეთის ხელისუფლება ნებას არ რთავდა სოსლან-ბეის ბათუმში გასამგზავრებლად. ამასთანავე, მათ, როგორც ჩანს, აფიქრებდათ ბათუმელთა პოზიცია. რუსებმა წერილობითი დადასტურება მოითხოვეს იმისა, რომ ბათუმელები სოსლან-ბეის მიიღებდნენ. ასეთი სახის წერილი მანუჩარმა 1811წ. ოქტომბერში მიიღო. იგი თ. სიმონოვიჩს 24 ოქტომბერს ნაბაკევიდან წერდა,⁵ რომ მას ჰქონდა ორი გავლენიანი ბათუმელის – იუსუფ-ალას (ქუჩუკ-ბეისა და სოსლან-ბეის სიძედ ერგებოდა) და ომარ-ალა ჟორდანიას – პირობა, რომ მზად იყვნენ სოსლან-ბეი ბათუმის ბეგად ეცნოთ.⁶ მანუჩარი ითხოვდა რუსების ნებართვას, რათა ამ მარჯვე მდგომარეობით ესარგებლა და აპირებდა სოსლან-ბეის ხმელეთით გამგზავრებას ბათუმში.⁷

¹ *Акты*. Т. IV, დოკ. № 582, გვ. 582.

² *Акты*. Т. IV, დოკ. №452, გვ. 339.

³ *Акты*. Т. IV, დოკ. №582, გვ. 582.

⁴ *Акты*. Т. IV, დოკ. №582, გვ. 582.

⁵ წერილი ქართულ ენაზე იყო შედგენილი.

⁶ *Акты*. Т. V, დოკ. №127, გვ. 100.

⁷ *Акты*. Т. V, დოკ. №127, გვ. 100.

რუსული ბიუროკრატიული აპარატის „წყალობით“, თ. სიმონოვიჩმა ეს ინფორმაცია ალ. ტორმასოვს მხოლოდ 3 ნოემბერს შეატყობინა.¹ ახალი მთავარმმართველის მარკიზ ფილიპე პაულუჩისაგან (1811-1812) დადებითი პასუხი ორ კვირაში მოვიდა (15 ნოემბერს). რუსები 1811წ. ოქტომბრიდან თურქეთთან საზავო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და ამიტომ ჩქარობდნენ ბათუმის ხელში ჩაგდებას. თუკი ეს გეგმა წარმატებით დასრულდებოდა, მარკიზი პაულუჩი სოსლან-ბეის მოთხოვნის დაკმაყოფილებას აპირებდა ანუ ის იმავე მფარველობის პირობებს მიიღებდა, როგორც საფარ-ბეის ჰქონდა.²

როგორც ჩანს, სოსლან-ბეისა და მისი მხლებლების ხმელეთით გამგზავრება რუსებმა გაუმართლებლად მიიჩნიეს, რადგან ბათუმსა და მის შემოგარენში, ასევე – ციხისძირშიც, ოსმალური ნაწილები იდგნენ და სრულად აკონტროლებდნენ იმ მხარეს. 1812წ. იანვრის მეორე ნახევარში სოხუმიდან ზღვით გამგზავრებული სოსლან-ბეი 60 ქვეშევრდომთან ერთად უკვე ბათუმში იყო.³

თ. სიმონოვიჩმა მანუჩარ დადიანს დაავალა სანდო პირის გაგზავნა ბათუმში, რათა ვითარება დაეზვერა და, ხელსაყრელ შემთხვევაში, ბათუმი დაეკავებინა.⁴ წყაროებში ამ ამბების შემდეგი გაგრძელება არ ჩანს. სავარაუდოდ, ამ გეგმის რეალიზაციას ხელი შეუშალა 1812 წლის 16 (28) მაისს ბუქარესტში გაფორმებულმა ზავმა, რომელმაც დაასრულა 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი. რ. სურმანიძე სოსლან-ბეის ბეგობას ბათუმში 1811-1812 წლებით ათარიღებს.⁵ მკვლევარის ეს დასკვნა წყაროებით არ დასტურდება, ვინაიდან ზემოთმოყვანილი დოკუმენტი მიხედვით, საფარ-ბეის ძმა ბათუმში მხოლოდ 1812 წლის იანვარში გაემგზავრა.

ამდენად, მანუჩარ შარვაშიძის გეგმა წარმატებით ვერ დავირგვინდა და იმ ხანებში ბათუმი დედა-სამშობლოს ნიაღში ვერ დაბრუნდა, რადგან რუსეთის იმპერიას ჯერ კიდევ ვერ შესწევდა საკმაო ძალა ამ მნიშვნელოვანი რეგიონის დასაუფლებლად. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლის დაბრუნებას კიდევ რამოდენიმე ომი და ათწლეული დასჭირდა. საბოლოოდ, ბათუმი, აჭარასთან ერთად, საქართველოს 1878 წელს შემოუერთდა. მიუხედავად ერთგვარი წარუმატებლობისა, შეიძლება ით-

¹ *Акты*. Т. V, დოკ. №127, გვ. 100.

² *Акты*. Т. V, დოკ. №253, გვ. 183.

³ *Акты*. Т. V, დოკ. №131, გვ. 102.

⁴ *Акты*. Т. V, დოკ. №131, გვ. 102.

⁵ რ. სურმანიძე. ყადირ შერვაშიძე, გვ. 4.

ქვას, რომ მანუჩარის ზემოთხსენებული იდეა იყო პირველი ქმედითი ნაბიჯების გადაგმა XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალთაგან ბათუმის გამოსახსნელად. აღსანიშნავია, რომ ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივა ერთგავრად მიჩუმათებული იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში და, შესაბამისად, იგი ვერ აისახა ისეთ სოლიდურ ნაშრომში, როგორცაა ოთხტომეული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა“, სადაც ერთ-ერთი ქვეთავი ეძღვნება განმათავისუფლებელ მოძრაობას აჭარაში XIX ს. დამდეგს.¹

ფოთისა და ანაპის ციხეების აღების შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთისაკენ გაიხედა, რომლის „მფარველობაში“ მიღების საკითხი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო. 1810წ. 17 თებერვალს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის მფარველობაში მიღებას. აფხაზეთის მთავრად ასლან-ბეი რჩებოდა და საფარ-ბეი იქ შესვლას ვერ ბედავდა. ამ უკანასკნელმა რუსებს სამხედრო დახმარება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო, მაგრამ რუსული რეგულარული ნაწილები ამ დროს სოლომონ II-ს მეთაურობით აჯანყებული იმერლების წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებული, ამიტომ სამეგრელოს მმართველს მოსთხოვეს მინიმუმ 1 000 მეტეხის გამოყვანა, რომლისათვისაც უნდა ესარდლა მანუჩარ შარვაშიძეს, – ალ. ტორმასოვის შენიშვნით „რუსეთის ერთგულ და თავდადებულ“ (*«усердный и преданный России»*) პიროვნებას.² ამ ნაბიჯით მთავარმმართველს ალბათ საფარ-ბეისთვის ხალხის ნდობის მოპოვება უნდოდა. რუსი ჩინოვნიკი ფიქრობდა, რომ თუკი ახალი მთავარი მხოლოდ რუსების მხარდაჭერით შევიდოდა სოხუმში, მას თავისიანად ვერ აღიქვამდნენ, ამიტომ მანუჩარის, აფხაზი თავადის, მონაწილეობა ერთგვარად გაანეიტრალებდა ამ უნდობლობას.

1810წ. 8 ივნისს სოხუმის ციხეს მოადგა რუსული ესკადრა, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი დოდტი მეთაურობდა. ქალაქი სასტიკი ბრძოლის მოწმე გახდა: *«Город, объятый пламенем, представлял собою страшную картину разрушения»*.³ ბრძოლა

¹ ა. სურგულაძე, ფრ. სიხარულიძე. განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. *სელიმ ხიმშიაშვილი*, — წგნ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. ტ. II: V საუკუნე – 1877 წელი. ტომის რედაქტორი – ბ. კახიძე. ბათუმი, 2009, გვ. 280-288.

² *Акты*. Т. IV, დოკ. №532, გვ. 396.

³ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3,

თითქმის ორ დღეს მიმდინარეობდა და იგი სულაც არ ყოფილა ისეთი ადვილი, როგორც ერთ წერილში იმერეთის გავლენიანი დიდებული, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი აღნიშნავდა: „ერთის ხელის გამოკვრით ეიღეს სამს საათს“.¹

10 ივნისს, რუსული ჯარების თანხლებით, საფარ-ბეი სოხუმში შევიდა. დამარცხებული ასლან-ბეი კი მთებში გაიქცა.² რუსების მიერ სოხუმის აღების შემდეგ, თურქებმა, რომლებიც აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, დაიწყეს ქალაქისა და მისი შემოგარენის დატოვება, სადაც მხოლოდ რამდენიმე ათეული ბერძენი და სომეხი – ნახევრად ვაჭარი, კონტრაბანდისტი და ყაჩალი, – დარჩა.³ ასლან-ბეისა და ოსმალო აგენტების პროვოცირებით, 1810წ. თურქეთში აფხაზთა გარკვეული რაოდენობაც გაიხიზნა. გ. ძიძარას შეფასებით, ეს იყო აფხაზ მუჰაჯირთა პირველი ტალღა.⁴

დ. ორბელიანმა გიორგი შარვაშიძეს რუსეთის იმპერატორის მფარველობის სიგელი,⁵ ინვესტიტურის ნიშნები და წმ. ანას სახელობის I ხარისხის ორდენი გადასცა.⁶ საფარ-ბეის მიერ ხელმოსაწერი ფიცის წიგნი ქართულ ენაზე იყო შედგენილი.⁷ ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ამის მიზეზი ის იყო, რომ „აფხაზეთი ქართული ფეოდალური კულტურის ზიარი ქვეყანა

4. 2, გვ. 543.

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 103.

² ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 178.

³ ბ. ხორავა. აფხაზეთი XVIIIს. მიწურულსა და XIXს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში“, გვ. 217.

⁴ Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 34.

⁵ Грамота, данная императором Александром I владетелю князю Георгию Шервашидзе, с просительными пунктами, 17 февраля 1810 г. – წგნ.: *Материалы и записки к вопросу о владельческих и имущественных правах потомков светлейшего князя Михаила Шервашидзе, последнего владетеля Абхазии*, გვ. 5-7. ელექტრონული ვერსია – <http://www.abkhaziya.org/books/chachba/1810gramota.html>.

⁶ Г. Пайчадзе. Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 220; ა. ტულუშის მოსაზრებით, გიორგი შარვაშიძე იყო აფხაზეთის პირველი მთავარი და ეს პოლიტიკური სუბიექტიც რუსეთის იმპერიის მიერ იყო ხელოვნურად შექმნილი (ა. ტულუში. აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის. *არარსებული აფხაზეთის სამთავროს საკითხი*, გვ. 59, 63).

⁷ გიორგი შარვაშიძეს ქართული ენა მცირედ ესმოდა, თუმცა საუბარი არ შეეძლო. ის მხოლოდ აფხაზურ ენას ფლობდა (გ. ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1967, გვ. 29-30; ბ. ხორავა. რუსეთის ბატონობის განმტკიცების მცდელობანი. 1810-1820წწ., გვ. 225).

იყო და მისი კულტურული ურთიერთობის ენა ქართულივე იყო. მაჰმადიანი ქელაიშ-ბეგიც ხომ ქართულ ენას მიმართავდა თავის საკუთარ ბიძა-ძმის შვილებთან ურთიერთობაში,¹ ისევე როგორც სამეგრელოს მთავარსა თუ იმერეთის მეფესთან მიმონერისასა.² აფხაზეთი, მიუხედავად მისი ერთგვარი „გაბარბაროსებისა“, მაინც ქართული სამყაროს ნაწილად რჩებოდა.³

ვ. პოტოს შენიშვნით, რუსების მხრიდან მხარდაჭერილი და საკუთარი ხალხის მიერ მიუღებელი საფარ-ბეის მდგომარეობა ძალიან რთული იყო, რადგან აფხაზეთის სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილი მას არ ემორჩილებოდა.⁴ თუმცა, არც საფარ-ბეი დარჩა მომხრე ქვეშევრდომების გარეშე. როგორც დოდტის პატაკიდან ჩანს, სოხუმის შემოგარენის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი რუსებთან მიდიოდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ითხოვდა.⁵ მიუხედავად ამისა, ასლან-ბეის მხარდამჭერთა ნაწილები ძლიერ აწიოკებდნენ ახალი მთავრის მომხრეებს და მათ დასაშოშმინებლად, 1810წ. დეკემბერში, გიორგი შარვაშიძემ თ. სიმონოვიჩს სამხედრო რაზმის გამოგზავნა სთხოვა.⁶

მანუჩარმა დალაშქრა აფხაზეთი და იქაურ თავად-აზნაურობას ისევ ჩამოართვა მძევლები საფარ-ბეის ერთგულების პირობად, რომლებიც ნაბაკევში ჩაიყვანა. წებელდისა და მისი მფლობელების — მარშანიების — დამორჩილება კი ვერ მოხერხდა.⁷ ამ ოპერაციისათვის ალ. ტორმასოვმა დაჯილდოების პირობა მისცა მანუჩარ შარვაშიძეს.⁸ მაგრამ ეს პირობა, კარგა ხნით, პირობადვე დარჩა. 1811წ. მაისში მთავარმმართველს ნინო დადიანმა მისი ოჯახის სიძის დაჯილდოების საკითხის გადაწყვეტა სთხოვა, რაზეც ალ. ტორმასოვისგან დადებითი პასუხი მიიღო და მანუჩარ შარვაშიძეს პოლკოვნიკის სამხედრო წო-

¹ ქელემ-ბეის ხელწერილი სოსრან-ბეგისადმი (*Акты*. Т. II, გვ. 190).

² **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, გვ. 409.

³ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 130; **3. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное, გვ. 99.

⁴ *Утверждение Русского владычества на Кавказе.* Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора **Потто**. Т. 3, ч. 2, გვ. 544.

⁵ **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, გვ. 34; **Г. Пайчадзе.** Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 220.

⁶ *Акты*. Т. IV, დოკ. №452, გვ. 339.

⁷ *Акты*. Т. IV, დოკ. №576, გვ. 425.

⁸ *Акты*. Т. IV, დოკ. №577, გვ. 426.

დება მიენიჭა.¹

ზემოთ ხსენებული წერილით, აფხაზეთის მთავარი დადიანების სულიერ მოძღვარს მამა იოანე იოსელიანსაც ინვევდა.² ჩანს, მოსახლეობაში უკვე გაჩნდა მოთხოვნილება ქრისტიანობაზე მოქცევისა, როგორც ამაზე ნინო ბაგრატიონ-დადიანისა მიუთითებდა, როცა საფარ-ბეის რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას ითხოვდა. ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, იმ დროს, როდესაც აფხაზეთზე რუსეთის პროტექტორატის საკითხი განიხილებოდა, მთავარმმართველი ალ. ტორმასოვი დაინტერესდა იმ მხარეში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობით, რაზეც 1809წ. 23 დეკემბერს მამა იოანესგან ცნობა მიიღო, რომ აფხაზეთში 6 ტაძარი იყო: ბიჭვინთაში, ზუფუს (ანუ ლიხნიში), მოქეში, ილორსა და ბეღიაში. როგორც დადიანების სულიერი მოძღვარი აღნიშნავდა, ბიჭვინთა საპატრიარქო კათედრას წარმოადგენდა, დრანდა – საეპისკოპოსოს, ზუფუსა და ილორის ტაძრები კი – კარის ეკლესიები ყოფილა.

აქედან მხოლოდ ილორის წმიდა გიორგის ტაძარს ჰყოლია ღვთისმსახური და იქ წმიდა ლიტურგიაც აღესრულებოდა, დანარჩენები კი დაცარიელებული იყო.³ თუმცა, მას, რატომღაც გამორჩენია ის, რომ, დრანდის გარდა, საეპისკოპოსო კათედრებს მოქეი და ბეღიაც წარმოადგენდნენ.⁴ როგორც ჩანს, მან ეს შეგნებულად დაფარა, რადგან შემდგომ რუსებს, ბედიის ან მოქევის საეპისკოპოსოს აღდგენის მიზნით, არ დაეშალათ ცაიშის ეპარქია, რომლის იურისდიქციაშიც იმყოფებოდა თვითონ მამა იოანე. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც ქართული სამეფო-სამთავროების მიზან-მიმართული გაუქმებისა და იმპერიის შემადგენლობაში მათი ინკორპორაციის პოლიტიკას ატარებდა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართაც ჰქონდა გარკვეული გეგმები, რომელიც მისი ავტოკეფალიის შენარჩუნებას, ბუნებრივია, არ ითვალისწინებდა.⁵

სხვათა შორის, მოქეისა და ბედიის ყოფილი ეპარქიები ცაი-

¹ *Акты*. Т. IV, დოკ. №544, გვ. 405; *Акты*. Т. V. დოკ. 127, გვ. 100.

² *Акты*. Т. IV, დოკ. №452, გვ. 339.

³ *Акты*. Т. IV, დოკ. №557, გვ. 416; *Акты*. Т. III, დოკ. 370, გვ. 202.

⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 780, 824.

⁵ **დ. გოგოლაძე**. ცვლილებები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში. – *სინ*. ტ. IV, გვ. 891-892; **ბ. ოდიშარია**. საეკლესიო რეფორმა და რუსეთის პოლიტიკური მიზანი სამეგრელოს სამთავროში (1815-1820წწ). – *ჟურნ.*: „აფხაზეთის მოამბე“. 8, 2004, გვ. 36-49; **ბ. ოდიშარია**. საეკლესიო რეფორმა და რუსეთის პოლიტიკური მიზანი დასავლეთ საქართველოში (1815-1822წწ). – *სდ*. ტ. 7, 2004, გვ. 81-107.

შელი მღვდელმთავრის სამწყსოში ამ საეპისკოპოსო კათედრების მოშლის შემდეგ გაერთიანდა, კერძოდ კი — ცაიშის ეპარქიის მეთაურის მიტროპოლიტ გრიგოლის (ჩიქოვანი) მოღვაწეობის პერიოდში.¹ ეს ფაქტი დასტურდება მისი ანდერძით, სადაც მეუფე გრიგოლი აღნიშნავდა, რომ კაცია II დადიანმა „...*მე დამადგინა ეკლესიისა მოხარისხედ და ვ(ითარც)ა იყო უწინარესვე მწყემსად ხობისწყლის გარმართისა მახლობელობისათვის სამურზაყანო აფხაზთაჲ ვმწყსდი*“.² ასეთივე ცნობა მიაწოდა ცაიშელმა მიტროპოლიტმა საქართველოში შექმნილ რუსულ საეკლესიო ადმინისტრაციას 1822წ. ნოემბერში, სადაც განსაზღვრული იყო ეპარქიის ტერიტორიაც — მდ. ხობსა და მდ. ლალიძგას შორის.³

ამ პერიოდში სამურზაყანოშიც აქტიური ცხოვრება ვითარდებოდა. საფარ-ბეიმ, რომელიც ასლან-ბეის გამო აფხაზეთს ვერ იჭერდა და დადიანების დახმარებაზე იყო დამოკიდებული, ფაქტობრივად უარი განაცხადა სამურზაყანოს მიმართ პრეტენზიაზე, რასაც ადასტურებს მის მიერ ოდიშის მმართველისადმი გაგზავნილ წერილში მოცემული აფხაზეთის მთავრის ტიტულატურა, რომელშიც ის თავის თავს მხოლოდ „*აფხაზთა უშინაგანესი ადგილების*“ მპყრობელად მიიჩნევდა („*მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანესი ადგილებისა და მეშვიდრე ზუფუსა და ნებელისა*“).⁴ ნიშანდობლივია, რომ ნ. დადიანიც, საფარ-ბეგზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ იგი იყო „*შინაგანის აფხაზეთის მთავარი*“.⁵

აფხაზეთში გიორგი შარვაშიძის გამთავრების შემდეგ, დადიანებმა სამურზაყანოს საქმეებისთვის მოიცალეს. როგორც ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აღნიშნავდა: «*мингрельские Дадияны... старались овладеть единоплеменной Самурзаканью*».⁶ ვფიქრობთ, საინტერესო ცნობაა იმათ საყურადღებოდ, ვინც ეჭვის ქვეშ აყენებს სამურზაყანოს ეთნიკური კუთვნილების საკითხს. ამჯე-

¹ **ა. ტულუში.** ცაიშის საეპისკოპოსო. ზუგდიდი, 2001, გვ. 10, 31; მისი გარდაცვალების შემდეგ (1823წ. მიწურული), ეპარქიის მმართველობა შეითავსა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა (დადიანი). იხ.: *История Грузинской Иерархии. С присовокуплением обращения в Христианство Осетии и других Горских народов.* М., 1826, გვ. 66.

² 1823წ. 29 ოქტომბერი. ანდერძი ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლისა. — ნგნ.: **ა. ტულუში.** ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 97.

³ *Акты.* Т. VI, ч. I, док. №570, გვ. 429.

⁴ *Акты.* Т. III, გვ. 204; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 122-123, ხაზგასმა **ზ. პაპასქირისაა,** — კ.კ.

⁵ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

⁶ **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии. Тфл., 1910, გვ. 159.

რად, დადიანს თავისუფლად შეეძლო იქაური საქმეების წარმართვა. 1805 წლიდან ეს მხარე თითქოს ოდიშისთვის ნაკლები პრობლემების შემქმნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. მანუჩარის უმცროსი ძმა ბეჟანი ისევე ანტირუსულ ორიენტაციაზე იდგა და გარკვეულ პრობლემებს ჰქმნიდა: მის უკან ჯერ ქელემ-ბეი, შემდეგ კი — ასლან-ბეი იდგნენ. შესაბამისად, დადიანებს უჭირდათ ბეჟანისა და მისი ქვეშევრდომების კონტროლი. გარკვეული „ავტონომიით“ სარგებლობდა ლევან ხუტუნისა ძეც, რომელმაც 1805წ. მიიღო რუსეთის მფარველობა. ამის მიზეზი იმაში იყო, რომ მას სამურზაყანოში დიდი ავტორიტეტი და გავლენა გააჩნდა („იყო მის ჟამისა დიდ-შემძლე კაცი“¹) და რუსების მიმართაც კეთილგანწყობა გამოავლინა.

1809წ. ნინო დადიანმა ბეჟანი დააპატიმრა, მხარის გამგებლობა კი, მოურავის სტატუსით, მანუჩარ შარვაშიძეს დაუმტკიცა: „სიძე ჩემი შარვაშიძე მანუჩარ მოგართვით და მოგეცით საუმფროსოდ შენ და შენს მომავალს და **სამურავოთ** ს და სამურზაყანოს დიდებულნი თავადნი და გლეხნი ლალიძგიდამ ენგურამდის საზღვარდებულნი; ან გამტკიცებთ და განგამგრცელებთ სრულსა სიყვარულსა თანხმობითა, რათა მიაქციოთ ერნი **ესე სამფლობელო ჩვენი** მართალსა ერთგულებასა და მსახურებასა, ყოვლად მონყალისა, ჩვენისა ხელმწიფისა, ეგრეთვე ჩვენი სახლისა“ (სტილი დაცულია).² ხოლო ნიკო დადიანი ამ მოვლენას ასე გადმოგვცემს: „დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრო და პატიმარ ჰყო ციხესა ჭაქვიჯისასა..., ხოლო ყოველი სამურდაყანო-აფხაზეთი მიათვალა და მიაბარა საუფროსოთ და საგამგებლოდ სიძესა თვისსა მანუჩარ სოლომონის ძე შარვაშიძესა“.³

ამ ცნობებიდან გამომდინარე თ. ქადარია ვარაუდობდა, რომ იმ ხანებში სამურზაყანოს მფლობელი ყოფილა ბეჟანი, რომელსაც ეს სახელო ლევან შარვაშიძესთვის წაურთმევია.⁴ ეს კი ნყაროებით არ დასტურდება, მათ შორის, თ. ჭიჭინაძის მიერ მო-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

² სამურზაყანოს სამოურავოს წიგნი, — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 51-52; ეს სიგელი ოფიციალურად დაამტკიცა გენერალ-მაიორმა დ. ორბელიანმა. საბუთს ხელს აწერენ „ლეჩხუმისა და სხუათა სამთა სამთავროთა მთავარი დადიანი ლეონ“, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ დადიანის ძე, ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი, პოლკოვნიკი თავადი ნიკო დადიანი (ლევანის გარდა, ყველას ხელმონერა მათივე ბეჭდებითა განმტკიცებული).

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 199.

⁴ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 107.

პოვებულ საბუთშიც, სადაც ჩამოთვლილი არის სამურზაყანოს ყველა მფლობელი მანუჩარის ჩათვლით. ასე რომ ყოფილიყო, ნ. დადიანს ეს მხედველობიდან არ გამოჩნებოდა და იგი „ამ უკანონობაზე“ აუცილებლად გაამახვილებდა მკითხველის ყურადღებას.

მანუჩარ შარვაშიძის სამურზაყანოს მოურავად დადგენა ნ. დადიანს 1809 წლის I ნახევრით აქვს დათარიღებული: სამურზაყანოს სამოურავოს დანესებად ის წერს გენერალ-მაიორ ი. რიკჰოფის გარდაცვალებაზე ყულევში 1809წ. 14 იანვარს, შემდეგ კი ჩვენი მემკვიდრე ფოთისთვის ბრძოლებს აღწერს, რომელიც იმავე წლის მაისში განახლდა.¹ ეს თარიღი გაზიარებულია ს. მაკალათიას და თ. ბერაძის მიერ.² არსებობს მეორე დათარიღებაც – 1810წ., რომელსაც მხარს უჭერენ ზ. ცინცაძე,³ ბ. ხორავა,⁴ ზ. პაპასქირი⁵ და თ. ქადარია.⁶

აღრე ჩვენც ამ უკანასკნელი თარიღისკენ ვიხრებოდით.⁷ თუმცა, შემდგომში წყაროების კრიტიკულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, ს. მაკალათიასა და თ. ბერაძის დათარიღების სისწორეში.. ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ნ. დადიანის ცნობები მით უფრო, თუ ის მტკიცდება სხვა საისტორიო წყაროს მეშვეობითაც. კერძოდ, მართალია, მანუჩარისათვის მოურავობის ბოძების სიგელს — „სამურზაყანოს სამოურავოს წიგნი“ — არ უზის თარიღი, მაგრამ ამასთანავე, დოკუმენტში დასახელებული არიან დავით ჩიჩუა და გიორგი ჩიქუანი (ჩიქოვანი): „ჩიჩუა დავით. სახლთუხუცესი. ჩიქუანი გიორგი“.⁸ ამ დოკუმენტის რუსულ თარგმანში დ. ჩიჩუას შესახებ ნათქვამი: «*Чичуа Давыд Салтыкуцев*» (სტილი დაცულია).⁹

აშკარაა, რომ საბუთის მთარგმნელმა პოდპოლკოვნიკმა ენიკოლოპოვმა უხეში შეცდომა დაუშვა და სახელო „სახლთუხუცესი“ დ. ჩიჩუას მამის სახელად აღიქვა. თუმცა, როგორც ირკვევა, დ. ჩიჩუას არ ეჭირა ოდიში ეს თანამდებობა იმ დროს. სამეგრელოს სამთავროში სახლთუხუცესის სახელო ერთ-ერთ უმნიშვნე-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 199.

² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 140; თ. ბერაძე. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 238.

³ ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების.., გვ. 97.

⁴ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 174.

⁵ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 145-146.

⁶ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ.., გვ. 107.

⁷ კ. კვაშილავა. ისტორიული სამურზაყანო, გვ. 143-144.

⁸ სამურზაყანოს სამოურავოს წიგნი, — სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 51-52.

⁹ სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 152.

ნელოვანესი თანამდებობა (XVIII ს. მოყოლებული ვიდრე XIX ს. დამდეგამდე, როგორც ა. ტულუში აღნიშნავს¹) ეკავა გიორგი ჩიქოვანს. ა. ტულუშის გამოთვლით, იგი ამ თანამდებობაზე იჯდა 1777-1810 წლებში.² მკვლევარი ბ. (კ.) კვარაცხელია ფიქრობს, რომ გიორგი უნდა გარდაცვლილიყო 1809 წელს ან 1810 წლის დამდეგს, ვინაიდან 1810 წ. აპრილით დათარიღებულ ერთ საბუთში სახლთუხუცესად მისი შვილი, ოტია ჩიქოვანია დასახელებული.³ როგორც ბ. კვარაცხელიამ გაარკვია, ერთ ხანს ეს თანამდებობა მართლაც ეჭირა დავით ჩიჩუას, მაგრამ ეს უკვე შედარებით გვიან (1816 წ.) უნდა ყოფილიყო.⁴ ა. ტულუში კი XIX ს. ოდიშარ სახლთუხუცესთა ჩამონათვალში ამ პიროვნების ადგილს საერთოდ ვერ პოულობს.⁵ ამასთანავე, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი საბუთიც სახლთუხუცესად გიორგი ჩიქოვანს უნდა ასახელებდეს. მართალია, როგორც ციტატიდან ჩანს, ეს სახელო ორივე პიროვნებისგან წერტილებითაა გამოყოფილი, მაგრამ ის მაინც გიორგის უნდა მიემართებოდეს, ვინაიდან დოკუმენტში თანამდებობა ყოველთვის წინ უსწრებს პირის სახელს. ასე, მაგალითად: „ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდელ მიტროპოლიტი. ბესარიონ დადიანოვი. ყოვლად სამღვდელო ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლი. უფალ პოლკოვნიკი და კავალერი ნიკოლაი დადიანოვი“ (სტილი და ორთოგრაფია დაცულია).⁶ ამდენად, ჩანს, რომ მანუჩარ შარვაშიძე სამურზაყანოს მოურავი 1809 წ. დასაწყისში (მანამდე) გამხდარა.

დ. ორბელიანის მოთხოვნით, წინო დადიანმა ბეჟანი მალე გაათავისუფლა.⁷ იგი, ეტყობა, ხალხის შესაძლო მღელვარებას მოერიდა, რუსებს კი სამურზაყანოს დასამოშმინებლად იმჟამად არ ეცალათ.⁸

მანუჩარის მმართველობის ახალი ეტაპი სწორედ 1809 წ.

¹ ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, – ნგნ.: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში..*, გვ. 247; სახლთუხუცესის მოვალეობაში შედიოდა სახასო (სამთავრო) ყმა-მამულის გამგებლობა და ის მხოლოდ მთავრის წინაშე იყო პასუხისმგებელი.

² ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 247.

³ ბ. (კ.) კვარაცხელია. სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში. თბ., 2009, გვ. 26.

⁴ ბ. (კ.) კვარაცხელია. სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, გვ. 28.

⁵ ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი.., გვ. 247.

⁶ *სამურზაყანოს სამოურაოს წიგნი*, — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 51-52.

⁷ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 199.

⁸ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, გვ. 409.

დაიწყო, როცა მან, დადიანების ხელშეწყობით, შეძლო ხელისუფლების განმტკიცება. თუმცა, მისი სტატუსი დაქვეითდა და ის სამურზაყანოს „მოურავი“ გახდა. მოურავი სამთავროს მოხელე იყო, რომელიც აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული და შეზღუდული სასამართლო უფლებებით.¹ ეს იყო 1805წ. დასრულებული „კონდომინიუმის“ იურიდიული გაფორმება, ვინაიდან სამურზაყანოს ხელისუფალი სამეგრელოს მთავარმა ერთპიროვნულად დაადგინა, რასაც ნ. დადიანიც ხაზს უსვამს: „...თვით ლეონ დადიანისაგან დადგენილი“.² მემატიაზე სუბიექტურია, როდესაც, მხოლოდ ამ უკანასკნელს ასახელებს სამურზაყანოს ხელისუფლად. ნიკოს, რომელიც სამთავრო ოჯახის წევრი იყო, პატივმოყვარეობა ელახებოდა, როცა წინა პერიოდის სამურზაყანოში მისი ოჯახი ერთპიროვნულად ვერ ბატონობდა. მანუჩარისთვის სამეგრელოს ადმინისტრაციული მოხელის თანამდებობის მიცემა ოდიშისადმი სამურზაყანოს უშუალო მიერთებას მოასწავებდა, რადგან ამ მხარემ დაკარგა ერთგვარი განსაკუთრებული სტატუსი სამთავროს შიგნით და იგი სამეგრელოს რიგით პროვინციად გადაიქცა. მ. დუმბაძის ვარაუდით, მანუჩარს მოურავობასთან ერთად, სარდლობაც უნდა შეეთავსებინა და, შესაბამისად, სარდალ-მოურავი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ავტორი იქვე შენიშნავს, რომ საამისო ცნობები ისტორიულ საბუთებში არ მოიპოვება.³ სარდალი მნიშვნელოვანი სახელო იყო სამეგრელოს სამთავროში, ისევე, როგორც, ზოგადად, საქართველოში, ის უშუალოდ ლაშქრის ხელმძღვანელობასთან იყო დაკავშირებული.⁴ თუმცა, რუსეთის „მფარველობაში“ შესვლის შემდეგ, დადიანს არ ჰქონდა საკუთარი ინიციატივით ჯარის შეკრების უფლება, მაგრამ სარდლის თანამდებობა მაინც შემორჩა და იგი წინამძღოლობდა რუსეთის მმართველობის მოთხოვნის საფუძველზე შეკრებილ სამთავრო ლაშქარს.⁵ აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ოდიშის ერთ-ერთ სასარდლოს სწორედ სა-

¹ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, – „მიმოხილველი“, 1, 1949, გვ. 27; ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 250; ლ. გაბისონია. სამეგრელო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია. თბ., 2005, გვ. 119.

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

³ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, გვ. 26.

⁴ ლ. გაბისონია. სამეგრელო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია, გვ. 126-128.

⁵ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, გვ. 26.

მურზაყანო წარმოადგენდა.¹

მანუჩარმა, თავისი მმართველობის უკანასკნელ პერიოდში, ფაქტობრივად, შეძლო თავისი ბატონობა, რაც ერთგვარად იზღუდებოდა მისი დაუმორჩილებელი ძმების ფაქტორით, მთელს, ან უკვე ოდიშის სამოურავოდ ქცეულ, სამურზაყანოზე გაევრცელებინა. თუმცა იგი მაინც იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო, რადგან აქაც, ისევე – როგორც აფხაზეთში, ხელისუფალი ვალდებული იყო მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები სახალხო კრებაზე გაეტანა განსახილველად და იქ მიღებულ გადანყვეტილებებს დამორჩილებოდა. მაგრამ, სამურზაყანოში სახალხო კრებების ავტორიტეტი უკვე XVIII ს. II ნახევრიდან იმგვარი გავლენის არ უნდა ყოფილიყო, როგორც აფხაზეთის სამთავროში. ირ. ანთელავას ვარაუდით, იგი, ერთგვარად, დაკნინებული უნდა ყოფილიყო.² ამასთან, სამურზაყანოც წვრილ სათავადოებად იყო დანაწევრებული, რომელსაც შარვაშიძეები თუ სხვა გავლენიანი საგვარეულოები ედგნენ სათავეში. ისინი გარკვეული ავტონომიით სარგებლობდნენ.

მაღე სამურზაყანოელ შარვაშიძეებში სამურზაყანოს მოურავის წინააღმდეგ ოპოზიციური განწყობილება ჩამოყალიბდა. მის სათავეში იდგა ბიძამისი ლევან შარვაშიძე, ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამურზაყანოს აფხაზეთისა და ოდიშის გავლენისგან ჩამოშორებისთვის იბრძოდა და მისთვის მიუღებელი იყო სამურზაყანოს მფლობელ შარვაშიძეთა დადიანების „მოურავებად“ გადაქცევა. ფოლკლორში შემონახული ცნობებიდან ირკვევა, რომ სამურზაყანოს არისტოკრატიის ნაწილი მოურავის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო.³

მანუჩარის მიმართ ოპოზიციას ისიც ამყარებდა, რომ მის მიმართ უკმაყოფილებას, არისტოკრატიის ნაწილთან ერთად, მოსახლეობაც გამოთქვამდა. როგორც შემორჩენილი ზეპირი გადმოცემებიდან ჩანს, ის სასტიკი, დაუნდობელი ფეოდალი ყოფილა და ქალების დიდად მოყვარული პირველი ღამის უფლებითაც სარგებლობდა. სამურზაყანოს მოურავი ხშირად სტუმრობდა მის ქვეშევრდომ დიდებულთა ოჯახებს, რომელთაც „ძვირფასი სტუმრისა“ და მისი 10-15 კაციანი ამალის გამასპინძლება უხდებოდათ.⁴

„მასპინძლობა“ აფხაზეთში ტრადიციულ მოვალეობას წარ-

¹ ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 248-249.

² ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 145.

³ ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 23-24.

⁴ ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 23-24, 145.

მოადგენდა პატრონის წინაშე, თუმცა, ის მასპინძელი ოჯახის ეკონომიკურ გაპარტახებას ინვევდა, ვინაიდან „ღირსეული“ მასპინძლობის გასაწევად აფხაზები დიდ ხარჯებს სწევდნენ.¹ ამიტომ, როგორც ერთი ფოლკლორული ცნობიდან ვიგებთ, სამურზაყანოს მოსახლეობა, თუკი ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ცდილობდა თავი აერიდებინა ასეთი „სტუმრის“ მასპინძლობისათვის.² თუმცა, იმავე წყაროდან ისიც ირკვევა, რომ მანუჩარ შარვაშიძე რომელიმე სოფელში შესვლისას წინასწარ აზუსტებდა ადგილობრივ მაცხოვრებლებში, თუ ვის შეეძლო მისთვის და მისი ამაღლისათვის მასპინძლობის განწევა.³

მანუჩარი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა გლეხების მიმართ და ტყვეთა გაყიდვითაც იყო დაკავებული.⁴ თ. სიმონოვიჩი შეშფოთებული იყო თურქთა მიერ სამურზაყანოში ტყვეთა სყიდვის გააქტიურებით და მთავარმმართველ ალ. ტორმასოვს სთხოვდა, რათა მას აეკრძალა შარვაშიძისთვის ეს საქმიანობა. მთავარმმართველმა თავისი ჩარევა მიზანშეუწონლად მიიჩნია, რადგან მანუჩარი ამას დაბეზლებად ჩათვლიდა და სამურზაყანოს მოურავისა და სიმონოვიჩის ურთიერთობები გაფუჭდებოდა. ამიტომ, 1811წ. 31 მაისს ალ. ტორმასოვმა თ. სიმონოვიჩს ურჩია, რომ ეს საკითხი პირადად და დიპლომატიურად მოეგვარებინა.⁵

მანუჩარის მონაწილეობას ტყვის სყიდვაში ასევე უნდა ადასტურებდეს მისი ქვრივის, ქეთევანის, „შენირულობის წერილი ცაიშის ტაძრისადმი“, სადაც ნათქვამია, რომ იგი, ლევან დადიანის შუამდგომლობით, ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლს შეჰპირდა, რომ მანუჩარის სულის საოხად ტყვეობიდან გამოიხსნიდა ოთხ ადამიანს, მაგრამ ქეთევანმა მხოლოდ შეპირებულის ნახევრის შესრულება შესძლო და ტაძარს შესწირა ტყვეობიდან დახსნილი ძმები ჯუმაშხია და ხუხუტია, ცოლ-შვილით და რიგვაეები.⁶

მეუფე გრიგოლი ცაიშის ტაძრისა და მისი სამწყსოს დამაშ-

¹ Г. А. Дзидзария. Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века. М., 1976, გვ. 120-121; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки. Второе переработанное, дополненное издание, гв. 499.

² И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 149.

³ И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 149.

⁴ И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 54; ზ. ანჩაბაძე. მანუჩარ შარვაშიძე, – *ქსე*. ტ. 10, გვ. 689.

⁵ *Акты*. Т. IV, док. № 495, гв. 370.

⁶ *შენირულობის წერილი ქეთევან დადიან-შარვაშიძისა ცაიშის ტაძრისადმი*. – *ა. ტულუში*. ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 82-83.

ვრალი მოღვანე,¹ აქტიურად იბრძოდა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. იგი ახერხებდა ხან საკუთარი სახსრებით, ხან კიდევ გავლენით, გატაცებულების უკანვე დაბრუნებას. ყოვლადუსამღვდელოესმა გრიგოლმა საკუთარი თანხებით ტყვეობიდან გამოისყიდა სამურზაყანოელი კუჭუ გელენიძე, რომელიც ეკლესიის მოწაღაბედ დააყენა; ხეთის ეკლესიის მიწაზე დაასახლა ტყვეობიდან დახსნილი სამურზაყანოელი გელენავა; ლევან შარვაშიძემ მას გადასცა „სარჩიმელია სამი მამა-შვილი“, რომლებიც ცაიში დაასახლა.²

წყაროებში შემონახულია მანუჩარის მოღვანეობის ზოგიერთი დადებითი მხარეც. სამურზაყანოს მოურავი ზრუნავდა ტაძრების აღმშენებლობასა და განახლებაზე. 1812წ. მან წამხარში³ ეკლესია განაახლა და მას ღვთისმშობლის ხატი შესწირა. თ. ჭიჭინაძემ ეს ხატი სოფ. კოკის წმიდა გიორგის ეკლესიაში ნახა. ხატზე გაკეთებული იყო შეწირულობის წარწერა:

„ქ. დედაო ღვთისა ჩვენისა მაცხოვრისაო, ქალწულო მარიამ, შენდავე აღვიმსთობ მსახურებად, რომ აღმიღე მონა ესე შენი და მყავ მრავლისა განსაცდელისაგან ხსნილი და კეთილ დღეობასა და ბედნიერებასა შემთხვეული, რომლისათვის კვალადვე მონყალებითმან მოხედვამან შენმან მომცა სული მონასა შენსა შარვაშიძეს მანუჩარს, რათამცა ეკლესია ესე წამხარისა მრავლის წლითგან და მრავლის დღითგან დაცემული და დატოვებული და დარღვეული აღმეშენებინა და განმეახლებინა და ვითარ განვიზრახე, მყის ვინყე განახლებად და მრავლითა ღვანლითა და ხარჯითა გარდავხურე და განვანყობინე შინაგან და გარეგან, ვითარცა ტაძარი ღვთისა და მივიყვანე მწყემსმთავარი ჩვენი და სულიერი მამაჩემი – ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ და ვაკურთხებინე საყდარი ესე სახელსა ზედა ღვანლით შემოსილისა წმიდის გიორგისათა და დავაყენე ხუცესნი მწირველი მლოცველად და მსახურებად ეკლესიისა ამის და შევწირე მოწაღაბე კოჩია ცხადაია თავისი ცოლ-შვილით მსახურათ ამა ეკლესიისა ზედა მღუდელთათვის; ხოლო წმიდა ესე ხატი მოვაჭედინე და დავსდევ ამავ ეკლესიასა შინა სიმრთელედ და მშვიდობად ჩვენდა და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულისა ქეთევანისა და ძეთა ჩვენთა მრავალ-ჟამიერობად ამავე ქვეყანასა შინა და შემდგომ

¹ ა. ტულუში. ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 31.

² გრიგოლ ცაიშელის ანდერძი „ცხადად წარსადგენი უმაღლესი მთავრობისადმი“ – წგნ.: ა. ტულუში. ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 65-66.

³ დღეს სოფ. თავილონის ერთ-ერთი უბანია (თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, – მაცნე, ისტორიის... სერია, №3, 1971).

სიცოცხლისა ჩვენისა მოცემად ჩვენდა რომელს განუმზადე მოყვარეთა თვისთა ამინ წელსა ჩყიბ.¹

ყ-დ წმინდაო დედა ღვთისა შეინყალე ამ ხატის მამკობი მეუნარგია პეპუ“.²

კოკის ეკლესიაშივე დაცული იყო ბარძიმ-ფეშხუმიც, რომელსაც ეწერა: „ქრისტე შეინირე შენსა წამხარისა ამის საკურთხეველისა შინა სირმისა ბარძიმფეშხუმი ჩვენდა ცოდვათა მოსატევებელად და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულის ქეთევანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა სიმრთელედ. ამინ. შარვაშიძე მანუჩარ. წელსა ჩყიბ“.³

მანუჩარის ოპოზიციის გააქტიურების დღეც მალე დადგა. რა თქმა უნდა, ეს უკმაყოფილება ბოლოს მაინც რუსეთის მიმართ უკმაყოფილებაში გადადიოდა, რადგან მანუჩარი რუსების სამსახურში იდგა და მათ ერთგულობდა. 1812წ. 24 ივნისს რუსეთში ნაპოლეონის არმია შეიჭრა. ოსმალეთში მიიჩნიეს, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი რუსეთისაგან დასავლეთ საქართველოს დაიბრუნებდნენ. მით უფრო, რომ ბუქარესტის ზავით, რუსეთი ვალდებული იყო თურქეთისათვის გადაეცა იარაღის ძალით დაკავებული ტერიტორიები. ამის გამო, 1812წ. ბოლოს ოსმალეებმა კვლავ დაიკავეს ფოთი და ახალქალაქი.⁴ სტამბოლი სოხუმსაც ითხოვდა, მაგრამ სანქტ-პეტერბურგმა ამ საკითხში თავისი გაიტანა და როგორც კი ფრანგებმა დატოვეს რუსეთი, სტამბოლს უარი უთხრა ამ ქალაქის გადაცემაზე.⁵ „ბრწყინვალე პორტას“ მოთხოვნები მაქსიმალური იყო და ის რუსებისგან ითხოვდა ვრცელ ტერიტორიას მდ. ყუბანიდან აღმოსავლეთ საქართველომდე.⁶ მაგრამ რუსები დათმობას არ აპირებდნენ და იმით აპელირებდნენ, რომ ეს პოლიტიკური სუბიექტები რუსეთის მფარველობაში საკუთარი ნებით შევიდნენ.⁷

ფოთისა და ახალქალაქის თურქებისათვის გადაცემამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეამფოთა, რადგან აღქმული იქნა, როგორც რუსეთის უკანდახევა. ასეთი განწყობილების

¹ „წელსა ჩყიბ“ -1812წ. – კ. კ.

² თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. წარწერა, გვ. 529-530.

³ თ. ჭიჭინაძე. საქართველოს ისტორიის მასალა. წარწერა, გვ. 530.

⁴ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 52.

⁵ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 53.

⁶ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 139; *Акты*. Т. V, დოკ. №931, გვ. 792-796; **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, გვ. 37; **Г. Пайчадзе.** Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 222.

⁷ *Утверждение Русского владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 545.

გავრცელებას ოსმალები და მათი აგენტებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს. ისინი აცხადებდნენ, რომ რუსეთის იმპერატორმა დასავლეთი საქართველო ისევ ოსმალეთის სულთნის სამფლობელოდ ცნო.¹ ფოთში დაბრუნებულმა ფაშამ ბრძანება გამოსცა, რომ პირველი მითითებისთანავე დაეკავებინათ ოდიში და, ამასთანავე, სამეგრელოს მთავარს შეუთვალა, რომ ამიერიდან ფოთის ფაშა იყო ოდიშის საქმეების გამგებელი.²

შექმნილმა ვითარებამ ლევან V დადიანიც დააბნია.³ საკითხის გასარკვევად მან რუსულ ადმინისტრაციას მიმართა. 1813წ. 16 მარტს ლევან V დადიანმა მთავარმმართველ ნიკოლოზ რტიშჩევს (1812-1816) აცნობა, რომ ოსმალები მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სულთნის ქვეშევრდომობაში დასაბრუნებლად და იგივე ხდებოდა აფხაზეთშიც, სადაც თურქებს უკვე მომხრეებიც გაეჩინათ.⁴ მიუხედავად დიდი ცდისა, ოსმალებმა ვერც დადიანის და ვერც გიორგი შარვაშიძის მიმხრობა ვერ შეძლეს.⁵ თურქთა აგენტები ცდილობდნენ სამთავროებში არსებული შიდაარეულობებით ესარგებლათ, აღვივებდნენ შიდაფეოდალური ქიშპობებს და მხარს ყოველნაირად მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ აქტიური მოქმედებისაკენ პროთურქულად განწყობილ პირებს.⁶ ისინი სამურზაყანოშიც ასევე აქტიურობდნენ. ფოფოთის ციხის ოსმალებისათვის დაბრუნებამ ისევ გააქტიურა ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1811წ. დასავლეთ საქართველოს ნაწილს (იმერეთი, ოდიში, გურია) საშინელი ჭირი და შიმშილი დაატყდა თავს, რომელიც ორ წელიწადს გაგრძელდა და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას.⁷

ეპიდემია ახალციხიდან დაიწყო 1810წ. და მთელს საქართველოში გავრცელდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ დაავადების გამოაშკარავება იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც იმ ხანებში ვერ მოხერხდა ახალციხის გათავისუფლება ოსმალთაგან. იმდენად მძიმე ვითარება შეიქმნა, რომ მშობლები იძულებული

¹ *Акты*. Т. V, დოკ. №928, გვ. 789.

² **მ. დუმბაძე**. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 53.

³ *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები*. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. ნიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 136.

⁴ *Акты*. Т. V, დოკ. №588, გვ. 499.

⁵ **Г. А. Дзидзария**. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, გვ. 37.

⁶ **Г. А. Дзидзария**. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, გვ. 39.

⁷ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

იყვნენ, ოჯახის სხვა წევრების შიმშილით დალუპვისაგან გადასარჩენად, შვილებიც გაეყიდათ.¹ იმერეთისა და ოდიშის მოსახლეობამ აფხაზეთსა და სამურზაყანოს შეაფარა თავი. აქ კი აფხაზებმა და სამურზაყანოელებმა დაიწყეს მათთან შეხიზნული ოდიშარებისა და იმერლების ტყვეებად გაყიდვა. ამ საქმეში მონაწილეობას სამეგრელოს მთავარი მისი ოჯახის წევრებს (ბიძებს – ტარიელსა და მანუჩარს) ადანაშაულებდა.² 1812 წელს ლევანმა სამურზაყანოში ტყვის სყიდვის აკრძალვის თაობაზე საგანგებო ბრძანება გამოსცა და ამ განკარგულების აღსრულებისთვის მთავარმა მის ენგურსგალმა სამფლობელოში ბოქაული მიავლინა, რომელმაც იქ მყოფი იმერელთა ნაწილი მათსავე სახლებში გააბრუნა და ამით დაიფარა გაყიდვისაგან.³

თუმცა, ამით საქმე ვერ გამოსწორდა, რადგან იქ კიდევ დარჩნენ იმერლები, რომლებიც ტყვეთა მსყიდველების სამიზნეობიექტს შეადგენდნენ. ამიტომ 1812 წლის შემოდგომის დასაწყისში⁴ თავად ლევან დადიანმა გადაწყვიტა ამ საქმის მოგვარება: „აღუკრძალოს ტყვის სყიდვა და უსჯულოება სამურზაყანოელთა მათ და ეგონ ქრისტიანად“⁵ მან თან იახლა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი, ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ნიკო დადიანი და მანუჩარ შარვაშიძე.⁶ როგორც ლევანი გრიგოლ წერეთელს წერდა, „მოვიდა სიძე ჩემი მანუჩარ და მითხრა: თუ ახლავე არ უშველეთ, მტყეები (ტყვეები – კ. კ.) დაიყიდაო და კიდევ მრავალი დაიკარგვისო და აფხაზეთ წამობრძანდით“⁷

¹ მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო..., გვ. 417-418;

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 136.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203; მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წ., გვ. 58; ბოქაული სამთავროს პოლიციური აპარატის წარმომადგენელი იყო, რომელსაც ევალებოდა საქმის ადგილზე გამოძიება, მთავრის განკარგულებათა და სასამართლოს განჩინების აღსრულება, აგრეთვე ქურდების დაჭერა (მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური..., გვ. 26; ა. ტულუში. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 248; ლ. გაბისონია. სამეგრელო..., გვ. 113).

⁴ პერიოდი 20 ოქტომბრამდე, რადგან ლევანის წერილში მისი ცოლისძმის გრიგოლ წერეთლისადმი საუბარია მანუჩარ შარვაშიძის მკვლელობაზე (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ლევან V დადიანი დაქორწინებული იყო ზურაბ წერეთლის ქალიშვილზე მართაზე (ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203).

⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტი-

ნიშანდობლივია სამურზაყანოში ჩასული ამ დელეგაციის შემადგენლობა. ეს იყო დადიანის ერთგვარი გზავნილი მისი ქვეშევრდომებისთვის: თუკი, ისინი უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ მის განკარგულებას ტყვის სყიდვის აკრძალვის თაობაზე და მოინანიებდნენ, მაშინ მთავარიც მათ დანაშაულს აპატიებდა, რასაც მღვდელმთავრები დაადასტურებდნენ; მაგრამ, თუ საქმე დაუმორჩილებლობისაკენ წარიმართებოდა, აქ ნიკო დადიანი და მანუჩარ შარვაშიძე ჩაერთვებოდნენ მათი რაზმებით. ლევან დადიანი, თავის ამალასთან ერთად, სოფელ ბედიის მცხოვრებ ხახუბიას სახლში გაჩერდა.¹ საყურადღებოა, რომ სამეგრელოს მთავარი და სამურზაყანოს გამგებლები ლევან შარვაშიძესთან, მის საგვარეულო ციხეში, არ მივიდნენ. მკვლევარი ბ. ხორავა ამ ლევანს შეცდომით მანუჩარ შარვაშიძის ძმასთან აიგივებს.² სინამდვილეში კი მის ბიძაზე, ლევან ხუტუნიას ძეზეა საუბარი. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელისთვის ისინი სასურველი სტუმრები არ იყვნენ და მათაც თავი აარიდეს შესაძლო გართულებებს. ამაზე უნდა მიანიშნებდეს ნ. დადიანის ცნობა, რომ ბიძაშვილებს, მანუჩარსა და ხუტუნია ლევანის ძეს (1780-1847), შორის დაძაბული ურთიერთობა ყოფილა.³

ხახუბიას სახლში, ღამით, მძინარე მანუჩარი, „*კაცი ღირს-სახსოვარი და საქებელი, იმპერატორის პოლკოვნიკი და კავალერი*“, მოკლეს.⁴ ნ. დადიანის თქმით, მკვლელი ხუტუნიას მიგზავნილი ყოფილა.⁵ თუმცა, როგორც ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აღნიშნავდა, სამურზაყანოელები თვითონ ნიკო დადიანს აბრალებდნენ ამ დანაშაულს.⁶ ხალხური გადმოცემით, კი ამ მკვლელობაზე ერისთო ემხვარმა⁷ წააქეზა სამურზაყანოელი გლეხი, რომლის ცოლსაც მანუჩარმა შეურაცხყოფა მიაყენა. ისიც, ასევე, შეურაცხყოფილი ყოფილა სამურზაყანოს მფლობელისაგან და შურისძიება ეწადა.⁸ ერთ-ერთი ვერსიით, ეს გლეხი ყოფილა მაჯკვარაცხელია.⁹ როგორც ისტორიული საბუთებით დასტურდება,

კური საბუთები (1784-1810), გვ. 136.

¹ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

² **ბ. ხორავა.** რუსეთის ბატონობის განმტკიცების..., გვ. 220.

³ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 203; ტაბ. 9. – ნგნ.: **Ю. Чиковани.** Род Абхазских Князей Шервашидзе..., გვ. 60.

⁴ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁵ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

⁶ **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии, гв. 159.

⁷ სხვა ფოლკლორული წყაროთი, ეს იყო შეძლებული გლეხი გეჯი ეზუგბაია (**И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, гв. 149).

⁸ **გ. ანჩაბაძე.** გალის ფენომენი..., გვ. 228.

⁹ **ვ. ზუხბაია.** სამურზაყანო, გვ. 13; **Ю. Чиковани.** Род Абхазских Князей Шер-

მოგვიანებით სამურზაყანოში გაიმართა სახალხო კრება ადგილობრივი თავად-აზნაურობისა და გლეხების მონაწილეობით, რომელმაც გაამართლა მკვლელი.¹ თუმცა იგი მაინც იძულებული გახდა ბზიფის აფხაზეთში გადასახლებულიყო.²

ლევანი და მისი შვილი გამაგრდნენ ბედიის ციხეში, რომელიც „მაგარი იყო და ქებული და არავის აულია იგი ძალისა შემოდგომითა“.³ არც ამ ციხის აღება და არც აჯანყებულ მამა-შვილთან დაპირისპირების საშუალება ლევან დადიანს იმ მომენტში არ ჰქონდა და მანუჩარ დადიანის სამკვიდრო სოფელში, ბარბალოში, გაემგზავრნენ. მიცვალებული იქ დაასვენეს 15 დღის მანძილზე „და იყო დიდი და გამოჩენილი ჩვეულებისამებრ აფხაზთა ტირილი და ვაება“.⁴ საგულისხმო ცნობაა, რადგან აქ ნათლად ჩანს, რომ ნ. დადიანისთვის მანუჩარ შარვაშიძე, ეთნიკურად, აფხაზი იყო. მოურავი ცაიშის ტაძარში დაკრძალეს.⁵

ისტორიოგრაფიაში მანუჩარ შარვაშიძის გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია 1813წ.⁶ თუმცა, ისტორიულ საბუთებში (1812წ. 20 ოქტომბრით დათარიღებული /„ნელს ჩყიბ ოკნობრის კ“/ ლევან დადიანის წერილი გრიგოლ წერეთლისადმი და თ. სიმონოვიჩის 1812წ. 24 დეკემბრის მოხსენება საქართველოს მთავარმართებელ ნ. რტიშჩევისადმი) ამგვარი დათარიღება არ გვხვდება. იქ სავსებით კონკრეტული პერიოდია მოცემული – 1812 წლის შემოდგომა.⁷ ნ. დადიანი ამ ამბებს 1811წ. დასავლეთ

вашидзе. (Историко-генеалогическое исследование), გვ. 61; **В. Д. Авидзба.** Проведение в жизнь крестьянской реформы в Абхазии. Диссертация, представленная на соискание ученой степени кандидата исторических наук. Сухуми, 1968, გვ. 15.

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 145.

² **გ. ანჩაბაძე.** გალის ფენომენი., გვ. 228-229.

³ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁴ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁵ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁶ **ზ. ანჩაბაძე.** მანუჩარ შარვაშიძე, გვ. 689; **ზ. ცინცაძე.** სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 97; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 146; **გ. ანჩაბაძე.** გალის ფენომენი. აქ არც აფხაზთა მტერი და არც ქართველი, გვ. 227; **ნ. თაკალანძე.** მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 91; **ნ. თაკალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 76; **ზ. ქაჯშაია.** სამურზაყანო, გვ. 4; **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 106; **В. Д. Авидзба.** Проведение в жизнь крестьянской реформы в Абхазии, გვ. 15.

⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 136-137; *Акты.* Т. V. დოკ. №569, გვ. 480.

საქართველოში დაწყებულ ჟამიანობასა და მთავარმართებლად ნ. რტიშჩევის დანიშვნას შორის ათავსებს.¹ ნ. რტიშჩევი კი ამ თანამდებობაზე 1812წ. 20 აპრილიდანაა.² მაგრამ, ლევან დადიანის ზემოხსენებული წერილის მიხედვით, მანუჩარი ცოცხალი ჩანს ბუქარესტის ზავის (1812წ. 16 მაისი) დადების დროს („ეს ხელმწიფის და ხვანთქრის გარიგება რომ შეიტყვეს...“³). ვფიქრობთ, მანუჩარ შარვაშიძის დაღუპვის წყაროებში დაფიქსირებული თარიღის რევიზიის საფუძველი არ გვაქვს და ამიტომ ამის თარიღად 1812 წელი უნდა ვადიაროთ.⁴ აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს, ეს თარიღი ბ. ხორავამაც გაიზიარა.⁵ თუმცა, ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ისიც მანუჩარ შარვაშიძის მკვლელობას 1813 წლით ათარიღებდა.⁶

მკვლელობის გამოაშკარავებისთანავე, ლევან დადიანმა გამოარკვია საქმის ვითარება: „ვინც მის სადგომში ფარეში იწვა ჩემი სიძის, ის დავიჭირე, დავკიდე და ვათქმევინე ყოვლისფერი“.⁷ ამ დაკითხვიდან გაირკვა, რომ მანუჩარ კაციას ძისა და ლე-ლევან შარვაშიძის მიერ დაგეგმილი იყო ოდიშის მთავრისა და მანუჩარ შარვაშიძის მკვლელობა, რათა სამურზაყანო ლევანსა და ბეჟანს დაეკავებინათ, ხოლო ოდიში კი – მანუჩარ კაციას ძეს.⁸

თ. ქადარია აღნიშნავდა, რომ 1812წ. შემოდგომაზე ლევან დადიანი ბედიში მანუჩარ შარვაშიძის დასახმარებლად ჩავიდა, რადგან ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბეჟან და ლევან შარვაშიძეები აჯანყდნენ.⁹ მკვლევარის მოსაზრება წყაროებით ვერ დას-დასტურდება, რადგან იქ საუბარია ტყვეების სყიდვის წინააღ-მდეგ ბრძოლაზე და არა – აჯანყებაზე.¹⁰ თ. ბერაძეც სამართლი-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203-205.

² დ. გოგოლაძე. ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ოცეულში, გვ. 923.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 136.

⁴ თ. ბერაძე. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 238; თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის.., გვ. 108-109.

⁵ ბ. ხორავა. რუსეთის ბატონობის განმტკიცების მცდელობანი.., გვ. 220.

⁶ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 179.

⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I.., გვ. 136.

⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I.., გვ. 136-137.

⁹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ.., გვ. 108-109.

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I.., გვ. 136; ნ. დადიანი. ქართ-

ანად მიუთითებს, რომ საქმე ტყვეთა სყიდვის აკრძალვას ეხებოდა.¹ ამიტომ თ. ქადარიამ ცოტათი წინ გაუსწრო მოვლენების აღწერას, რადგან სამურზაყანოელ შარვაშიძეთა აჯანყება მხოლოდ მანუჩარის მკვლელობით დაიწყო.

ამბოხებულთა დასამორჩილებლად ლევან დადიანმა საკუთარი ძალებით გაილაშქრა სამურზაყანოში და მორჩილების ნიშნად ადგილობრივი თავად-აზნაურებისაგან მძევლები აიყვანა.² მაგრამ ლევან შარვაშიძე მოუდრეკელი დარჩა. იგი საკმაოდ მომზადებული და გამაგრებული დახვდა დადიანის ლაშქარს ბედიში.³ ამის თაობაზე ის სამურზაყანოდან 1812წ. 20 ოქტომბერს გრ. წერეთელს წერდა: „ერთ ციხე ბედიის მაკლია აუღებელი და ის მანუხებს“.⁴ მან დახმარება სთხოვა რუსებს, რომელთაც ლევანს გაუგზავნეს ბელეცკის ქვეითთა პოლკის ორი ასეული არტილერიით პოლკოვნიკ მერლინის მეთაურობით.⁵ დადიანის დასახმარებლად წამოემართნენ იმერლები გრიგოლ წერეთლისა და სეხნია წულუკიძის მეთაურობით და გურულები მამია V გურიელის ბიძის, დავითისა, და ვახტანგ როსტომის ძე ერისთავის წინამძღოლობით.⁶

1812წ. დეკემბერში დადიანის ლაშქარი ბედიის ციხის გაღმა დადგა. ციხის ასაღებად შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვით, ჯარი ორ ნაწილად გაიყო: ლევან დადიანი ხელმძღვანელობდა რუსთა, ოდიშართა და სამურზაყანოელთა ნაწილებს. მათ ბედიის ზემოთა მხარე დაიჭირეს; ნიკო დადიანმა კი უწინამძღვრა იმერლებს, ლეჩხუმლებსა და გურულებს. ესენი ქვემოთა მხრიდან მიუდგნენ ციხეს.⁷ ლევანის რაზმელებმა ციხის გარედან და-

ველთ ცხოვრება, გვ. 203.

¹ თ. ბერაძე. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის..., გვ. 238.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 137.

³ Акты. Т. V, დოკ. №591, გვ. 499; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204; თ. ბერაძე. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 238; თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 109.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ტ. II, ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I: იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810), გვ. 137.

⁵ Акты. Т. V, დოკ. №569, გვ. 481; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204; თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 109.

⁶ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204; თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 109.

⁷ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

ინყეს თავდაცვითი ბრძოლები, მაგრამ შემოტევას ვერ გაუძლეს და შიგნით შეიკეტნენ. სამურზაყანოში ატეხილი არეულობით, ბუნებრივია, თურქებმაც მოინდომეს სარგებლობა და, ბეჟანის პირველივე თხოვნაზე, იქ საკუთარი რაზმები მიავლინეს, რომლებიც აჯანყებულებს უნდა დახმარებოდნენ.¹ ვინაიდან ბედიის ციხეზე შემტევთა ძალები გაცილებით ჭარბობდა დამცველებს, ამიტომ მალე ლევანმა დაზავება ითხოვა.² აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების პირობის მიღება მან მხოლოდ ნიკო დადიანისაგან მოითხოვა.³ მანამდე კი, ხუტუნია შარვაშიძემ მოახერხა გაქცევა და წებელდას შეაფარა თავი.⁴

ლევან V-მ ხანდაზმულობის გამო შეინყალა ლევან შარვაშიძე და მისი მეუღლე მარიამ ინალიშვილი,⁵ თუმცა ჩამოართვა ბედია და საზრდოდ სოფელი ფახულანი მისცა.⁶ დადიანმა კი ბედიში, დროებით, ლეჩხუმელების რაზმით ნიკო დადიანი დატოვა, რომელიც ციხის შეკეთებისა და გამაგრების საქმეებს ხელმძღვანელობდა.⁷ საბოლოოდ კი, ლევანმა ბედიში საკუთარი მემკვიდრეები ჩააყენა თავად გიორგი პეტრეს ძე მხეიძის მეთაურობით.⁸ მოგვიანებით, ლევანმა მისი სიმამრის, ზურაბ წერეთლის, შუამავლობით შეინყალა ხუტუნია და იგი, მის ძმებთან ერთად, და ბედიში დააბრუნა.⁹

¹ *Акты*. Т. V, დოკ. №569, 596, გვ. 481, 506.

² **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

³ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁴ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁵ **Ю. Чиковани**. Род Абхазских Князей Шервашидзе (*Историко-генеалогическое исследование*), გვ. 39.

⁶ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 179; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 146; **თ. ქადარია**. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 109.

⁷ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁸ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

⁹ ლევან შარვაშიძის მემკვიდრეთა რაოდენობა, საბოლოოდ, გაურკვეველი ჩანს. ი. ჩიქოვანის მიერ შედგენილ ლევან შარვაშიძის გენეალოგიურ ტაბულაში (იხ.: ტაბულა №9), ხუტუნიას გარდა, ჩამოთვლილია კიდევ 4 ვაჟიშვილი: მანუჩარი (მანჩა) /1796-1863/, ზურაბი /1798-1861/, კაცია (კაც) /1803-1863/, ანტონ (ნარჩო) /1805 — გარდაცვლილია 1884 წლამდე/ (**Ю. Чиковани**. Род Абхазских Князей Шервашидзе..., გვ. 60); მაგრამ სამურზაყანოელ თავადთა მიერ ლევან დადიანისადმი 1815წ. 20 ნომბერს მიცემულ ფიცში დასახელებული არიან ლევან შარვაშიძის ქვრივი მარიამ ინალიშვილი და მისი ძეები მურზაყანი, რომელიც ი. ჩიქოვანის ტაბულაში ვერ მოხვდა, და ზურაბი (**Дж. Гамахария, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии), გვ. 294).

როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ 1846 წლის დოკუმენტიდან ჩანს, XIX ს. I ნახევრის მიწურულისთვის ლევანის შთამომავლები ბედიში ისევ სახლობდნენ. თუმცა, მამისეული მამულიდან ძმებს მხოლოდ სოფლის ნახევარი დაუბრუნეს; მეორე ნახევარი კი ერგო ზურაბ ბოლიხუხუს ძე შარვაშიძეს.¹ ეს იყო ყვაპუს მეორე ვაჟის, ავთანდილის შვილიშვილის შვილი.² სოფელი ფახულანი კი დადიანმა დაქვრივებულ დას და დისშვილებს დაუმტკიცა.³

ბედიის დაკავების შემდეგ, დადიანმა, ბელეგსკის ქვეითთა პოლკის დახმარებით, სამურზაყანოდან თურქები განდევნა,⁴ რომლებმაც ამ მხარეში შექმნილი არეულობით საკმაოდ ისარგებლეს. როგორც მთავარმართებელმა ნ. რტიშჩევმა რუსეთის ელჩს სტამბოლში ა. იტალინსკის აცნობა, მანუჩარის მკვლევობიდან მხოლოდ 5 თვის მანძილზე ოსმალებს აფხაზეთიდან 300-მდე კაცი მოიტაცეს.⁵ აქ „აფხაზეთში“ სამურზაყანო იგულისხმეხმება, რადგან მანუჩარ შარვაშიძის სამფლობელოზეა საუბარი, თუმცა მ. დუმბაძემ რატომღაც ეს ცნობა საკუთრივ სამეგრელოს მიაწერა.⁶ ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ, 1813წ. ზაფხულში ლევან V-მ ბეჟანისთვისაც მოიცალა, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ძმის მკვლევობაში თანამონაწილეობა ედებოდა ბრალად. დადიანი და რუსები ბეჟანის მამულს დაესხნენ თავს, მაგრამ მანუჩარის ძმამ გაქცევა მოახერხა და თავდამხსნელებს ხელთ მხოლოდ მისი მცირეწლოვანი შვილები (ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი) შერჩათ.⁷ თუმცა, ბეჟანის ქვეშევრდორდომი თავადები და აზნაურები დაიმორჩილეს და მათ ფიცი ჩამოართვეს, რომ ხელს შეუწყობდნენ ხელისუფლებას გაქცეული შარვაშიძის, რომელსაც მამული ჩამოერთვა, დაპატიმრებაში.⁸

1815წ. ზაფხულში ბეჟანი დაბრუნდა, მაგრამ იგი შეიპყრეს და დადიანს გადასცეს. იმავე წლის 27 ივლისის წერილით, მისი ბედის გადაწყვეტა მთავარმართებელმა ნ. რტიშჩევმა ოდიშის მთავარს მიაწოდო.⁹ თუმცა, მალე გაირკვა, რომ ბეჟანი არ ერია

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206.

² იხ. ტაბ. №2. – ნგნ.: Ю. Чиковани. Род Абхазских..., გვ. 37.

³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206.

⁴ Акты. Т. V, დოკ. №569, გვ. 481.

⁵ Акты. Т. V, დოკ. №928, გვ. 789.

⁶ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 53.

⁷ Акты. Т. V, დოკ. №592, 596, გვ. 502, 506.

⁸ Акты. Т. V, დოკ. №592, 597, გვ. 502, 506.

⁹ ნ. რტიშჩევის წერილი ლევან დადიანისადმი. ტფილისი, 1815წ. 27 ივლისი. — სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 65-66.

ძმის მკვლევლობაში და მას ცილი დასწამეს. ამიტომ იგი საკუთარ მამულში დასაბრუნებლად ოდიშის მთავრის ნებართვას ითხოვდა, რაც ლევანმა ისევ ნ. რტიშჩევს აცნობა.¹ მთავარმართველმა იცოდა, რომ ბეჟანის მამულები ლევან დადიანს ეჭირა, ამიტომ იგი მოერიდა სამეგრელოს მთავრის განაწყენებას, რომელიც რუსეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო, ვიდრე საეჭვო ბეჟანი და ამიტომ საკითხის გადაჭრის უფლება ისევ დადიანს მიანდო.² თუმცა, იქვე, მთავარმართველმა ლევანს „ურჩია“, ვიდრე დადიანი გადაწყვეტდა ბეჟანის გათავისუფლებას, კარგი იქნებოდა, თუკი დარწმუნდებოდა რუსეთის იმპერატორისა და ოდიშის მთავრისადმი პატიმრის ლოიალობაში.³ ჩანს, ჩანს, ნ. რტიშჩევმა ივარაუდა, რომ ლევანი, რომელიც სამურზაყანოს მის მამულად განიხილავდა და იქ შარვაშიძეების გამგებლობის დაბრუნება ნამდვილად არ უნდოდა, ბეჟანს⁴ არ გაათავისუფლებდა. რუსი გენერალი ხელს უწყობდა მათ შორის დაპირისპირების გაღრმავებასა და გაძლიერებას. ასეთი მდგომარეობა ოდიშს რუსეთის მიძევლად აქცევდა და მომავალში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საკითხსაც გაადვილებდა. მაგრამ, დადიანმა რუსი გენერლის „რჩევის“ უკან დამალული აზრები ამოიცნო და ბეჟანი გაათავისუფლა. ეს „მონყალება“ დადიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის მიმართ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, ლევანის გათვლებით, შეარბილებდა სამურზაყანოელთა უნდობლობას მის მიმართ.



სოფელ ბედიას შემოგარენი.⁵

¹ *Акты*. Т. V, დოკ. №592, გვ. 502.

² *Акты*. Т. V, დოკ. №592, გვ. 502.

³ *Акты*. Т. V, დოკ. №592, გვ. 502.

⁴ ბეჟანი 1840 წლის ივლისში გარდაიცვალა (*Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзакаской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главнокомандующего Закавказским Краем*, — *სქასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 28).

⁵ <http://www.photoforum.ru/photo/607048/framed.ru.html>.

§2. სამურზაყანო ლევან V დადიანის უშუალო მმართველობის ქვეშ (1813-1840წწ.)

სამურზაყანოს სარდალ-მოურავის და ამ მხარის უკანასკნელი მფლობელის, მანუჩარ შარვაშიძის დაღუპვიდან წლისთავზე, 1813წ. სექტემბრისათვის ლევან V დადიანმა, რუსების დახმარებით, შეძლო თითქმის მთელი დალიძგა-ენგურის შუამდინარეთის დამორჩილება.¹ სამურზაყანოელებმა მორჩილება გამოუცხადეს ქეთევან დადიან-შარვაშიძისას, რომელიც მანუჩარის მემკვიდრეების – მცირეწლოვანი ალექსანდრესა და დიმიტრის – მეურვედ დაინიშნა,² მაგრამ დალიძგა-შუამდინარეთში, ფაქტობრივად, საქმეების რეალური გამგებელი ლევან V გახდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევანის უშუალო მმართველობა ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მხოლოდ 1815 წლიდანაა.³ თუმცა, ვფიქრობთ, სამურზაყანოზე ოდიშის მთავრის უშუალო მმართველობა, ფაქტობრივად, უკვე 1812 წლის შემოდგომიდან (მანუჩარ შარვაშიძის გარდაცვალებიდან) დამყარდა. ის მკვლევარები, რომლებიც მხარს უჭერენ 1815 წელს, ეყრდნობიან ლევან დადიანის 1815წ. 20 ნოემბრის განკარგულებას, როგორც სამართლებრივ ფაქტს. მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი სულაც არ ადასტურებს, რომ დადიანი მაინცდამაინც 1815 წლიდან ახორციელებდა სამურზაყანოს უშუალო მმართველობას. ამ მხარის პირდაპირ და უშუალოდ მართვა რეალურად ლევანმა გაცილებით გვიან (XIX ს. 30-იანი წლებიდან) დაიწყო, როდესაც გზიდან ჩამოიცილა უშუალო კონკურენტები – მანუჩარ შარვაშიძის შვილები.

მაღე მისი პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა, ვინაიდან 1815წ. დასაწყისში აფხაზეთის მთავრის, გიორგის, ძმამ ჰასანბეიმ მანუჩარის ქვრივზე გადაწყვიტა დაქორწინება. იგი საამისოდ ქრისტიანად მონათვლასაც კი აპირებდა. მთავარმართებელი ნ. რტიშჩევი არ ენდობოდა ჰასანბეის, რომელსაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა აფხაზეთში და გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა რუსების ძალისხმევით გამთავრებულ გიორგის. ამიტომ იგი შიშობდა, რომ საფარბეის ძმას სამურზაყანო სჭირდებოდა აფხაზეთში გასამთავრებლად, რადგან მას მხარს დაუჭერდნენ

¹ *Акты*. Т. V, დოკ. №597, გვ. 506.

² *Акты*. Т. V, დოკ. №598, გვ. 507.

³ **თ. ბერაძე**. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, — ნგნ.: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები*., გვ. 238.

სამურზაყანოელი აფხაზი თავად-აზნაურები, განსაკუთრებით მისი ნათესავები – შარვაშიძეები. რუსები შიშობდნენ, თუკი ქეთევანი ჰასან-ბეის ცოლად გაჰყვებოდა, ქელემ-ბეის ვაჟი დაეუფლებოდა სამურზაყანოს, როგორც ქვრივის წილს.¹ ამიტომ მთავარმართებელი აფრთხილებდა ქეთევანს, თუკი ჰასან-ბეი შეეცდებოდა სამურზაყანოს დაკავებას, ეს მხარე, ალექსანდრესა და დიმიტრის სრულწლოვანებამდე, სახელმწიფო ხაზინას გადაეცემოდა.²

ეს იყო პირველი ცდა სამურზაყანოზე უშუალო რუსული მმართველობის შემოღებისა. როგორც ჩანს, ალექსანდრე I-ის კარზე უკვე მიმდინარეობდა ამ საკითხის დამუშავება. ქართული სამთავროების ავტონომიური სტატუსის წინააღმდეგ პირველი შეტევა მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის³ (1816-1827) სახელს უკავშირდება, რომელმაც, ფაქტობრივად, დაიწყო გურიის სამთავროს გაუქმების პროცესი,⁴ რაც, საბოლოოდ, 1829წ. დასრულდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში კი რუსი მოხელე კროკი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა უკვე დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროთა არსებობასაც, რადგან, მისი აზრით, ისინი ხელს უშლიდნენ ამ მხარის სრულ დამორჩილებას.⁵

მოგვიანებით, 1840-იანი წლების დასაწყისში, როცა სამურზაყანოს „კუთვნილებასთან“ დაკავშირებით რუსმა ჩინოვნიკებმა „გამოიძიბა“ აწარმოეს, ისინი მთავარმართებლის ზემოთ მო-

¹ *Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его на владение Самурзаканским округом и объяснения составленные в Корпусном штабе противу записки этой, — სეასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 137; *Копия из письма Генерала от Инфантерии Ртищева Княгине Катеван Шервашидзеовой от 19^{го} февраля 1815 года (№218).* — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 149. ამ დოკუმენტებს ჩვენ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში მივაკვლიეთ და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

² *Акты.* Т. V, დოკ. №598, გვ. 507.

³ ა. ერმოლოვი კავკასიელთა მიმართ მკაცრი და დაუნდობელი პოლიტიკის გამტარებელი იყო. სწორედ ამიტომ დაწერა მასზე ალექსანდრე პუშკინმა პოემაში „კავკასიელი ტყვე“ ასეთი სიტყვები: «Смирись, Кавказ: идет Ермолов!» / „ძრწოდე, კავკასო: მოდის ერმოლოვი!“ / (А. С. Пушкин. Кавказский Пленник, – წგნ.: А. С. Пушкин. Сочинения в трех томах. Т. 2. М., 1985, გვ. 21). ა. ერმოლოვის მმართველობის დროს დაიწყო კავკასიის ომი, რომელმაც ნახევარ საუკუნეს გასტანა (1817-1864წწ.).

⁴ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 266.

⁵ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 266.

ტანილ წერილს იმგვარად განმარტავდნენ, რომ თითქოს ნ. რტიშჩევი ზრუნავდა მანუჩარ შარვაშიძის შვილების უფლებებზე, რომ „გარეშე გვარის პირს“ («лицо посторонняго роду») მათთვის ეს მემკვიდრეობა არ წაერთმია.¹ თუმცა, რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლესი პირის სულისკვეთება სავსებით ნათელი იყო. იგი ცდილობდა, არ დაეშვა ასლან-ბეის მომხრეთა გაძლიერება.

ქეთევან შარვაშიძემ თვითონ თქვა უარი სამურზაყანოზე.² ამის საფუძველზე, თ. ქადარიამ მიიჩნია, რომ შემდგარა ჰასან-ბეისა და მისი ქორწინება.³ მაგრამ წყაროებით ეს არ დასტურდება. 1818წ. 4 იანვარს შედგენილ „შენიშულობის წერილში“ ქეთევანი, მხოლოდ თავის ვაჟიშვილებთან ერთად, მანუჩარ შარვაშიძის სულის საოხად, ცაიშის ეკლესიას წირავს მეუფე გრიგოლის მიერ ტყვეობიდან დახსნილ სოფელ ლედგებიეში⁴ მოსახლე ბურდღუნია ქობალიას და ობლად დარჩენილ ბუცა და ნოჩოია ქობალიებს.⁵ ლევანმა იგი მხოლოდ 1823წ. გაათხოვა საფარ-ბეის სხვა სხვა ძმაზე – როსტომ-ბეიზე, რომელიც ქრისტიანადაც მონათლა.⁶ ამის შემდეგ ქეთევანი აფხაზეთში,⁷ სოფელ მერხეულში⁸ (როსტომის მამული⁹) ცხოვრობდა. როგორც ნ. დადიანი წერს, რუსებს ლევანის ეს ინიციატივა არ მოსწონებიათ, რადგან როსტომთან მათ გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ სამეგრელოს მთავრისადმი პატივივისცემის გამო მას ეს აპატიეს.¹⁰

¹ *Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его на владение Самурзаканским округом и объяснения составленные в Корпусном штабе противу записки этой, — სეასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 138.

² **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 109.

³ **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის..., გვ. 109.

⁴ ოდიშში მდებარე „მცირე სოფელი ლედგებიე“ ქეთევანის სამკვიდრო იყო, რომელიც მას მამამ, გრიგოლმა, დაუმტკიცა (*შენიშულობის წერილი ბატონიშვილ ქეთევან დადიანისა ცაიშის ეკლესიისადმი.* – ნგნ.: **ა. ტულუში.** ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 84).

⁵ *შენიშულობის წერილი ბატონიშვილ ქეთევან დადიანისა ცაიშის ეკლესიისადმი,* გვ. 84.

⁶ **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 44; **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 212; **Ю. Чиковани.** Род Абхазских Князей Шервашидзе (*Историко-генеалогическое исследование*), გვ. 42.

⁷ **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 44.

⁸ **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 122.

⁹ **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 345, ფ. 4.

¹⁰ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 212.

ამ ვითარებით ლევანმა ისარგებლა და დისშვილების აღზრდა-მეურვეობა თვითონვე იკისრა.¹ შარვაშიძეთა უკმაყოფილება რომ არ გამოენვია, დადიანი, ოფიციალურად, სამურზაყანოს თითქოს იმპერატორის სახელით მართავდა.² ამიტომ მის წინააღმდეგ ვერც ადგილობრივი შარვაშიძეები გამოვიდნენ და ვერც აფხაზეთის მთავარი.³ მთავარმართველი ნ. რტიშჩევი არ შეეწინააღმდეგა დადიანის აქტიურ მოქმედებებს ამ მხარეში, რადგან რუსეთის მთავრობა მას ოდიშის ნაწილად აღიარებდა.⁴ მკვლევართა ვარაუდით, ლევან V-ის მეურვეობა მანუჩარის მემკვიდრეებზე წინასწარ განზრახული ნაბიჯი იყო.⁵ ასეა თუ ისე, სამურზაყანოზე დადიანის უშუალო კონტროლი დაწესდა და, შესაბამისად, 1810 წელს შექმნილი სამოურავოც გაუქმდა. ლევანი აქტიურად შეუდგა ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში საქმეების მოწესრიგებას, რომელსაც შედეგად მისი უფლებებისა და ხელისუფლების განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა.⁶

პირველი რიგის პრობლემად სამურზაყანოში სხვადასხვა დანაშაულებებთან ბრძოლა რჩებოდა. 1815წ. 20 ნოემბერს დადიანმა გამოსცა დადგენილება „სამურზაყანოსა აფხაზეთა შ-ა მთავრისა მიერ დადიანისა ლეონისა დადგინება ახლად კეთილ მდგომარეობითა საქმეთა მათთა“, რომლითაც იგი კვლავ კრძალავდა ქურდობას, ავაზაკობასა და ტყვეთა სყიდვას. ამ დანაშაულებებში მხილებულებს ოდიშის სამთავროს კარზე გაასამართლებდნენ.⁷ ტყვეთა სყიდვას ხელს უწყობდა ისევ და ისევ ფოთში თურქების ყოფნა. ისინი ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა ეს ვაჭრობა არ შემწყდარიყო. რა თქმა უნდა, ზუგდიდში დამნაშავე სამურზაყანოელთა გასამართლებით დადიანი თავის უზენაესობას უსვამდა ხაზს.

¹ **ზ. ცინცაძე.** სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 97; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 179; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 146; **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 105.

² **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 106-107.

³ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 106-107.

⁴ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 107.

⁵ **ბ. თაკალანძე.** მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 91; **ბ. თაკალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 77.

⁶ **ბ. თაკალანძე.** მიხეილ შარვაშიძე..., გვ. 77.

⁷ **სხეც.** დოკუმენტი დ-2232; რუსული თარგმანი: В Самурзаканскую Абхазию сведеной от Князя Левана Дадиана на порядок благоустроенных дел их (копия), — **სება.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 158-159.

ბრძანების თანახმად, საკუთარ სახლებში უნდა დაებრუნებინათ ჟამიანობისა და შიმშილის გამო გადმობხვენილი იმერელი და მეგრელი გლეხები, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძირითადად, ადამიანებით მოვაჭრეთა მსხვერპლნი ხდებოდნენ.¹ დადიანი ამით არა მარტო ტყვეთა სყიდვას ებრძოდა, არამედ ის, როგორც ფეოდალი, იცავდა იმერელ და ოდიშარ მეზობლებს, რომელთა ყმებიც სამურზაყანოში ბატონყმური წესისაგან შედარებით თავისუფალ მხარეში აღმოჩნდნენ და უკან დაბრუნებაზე უკვე ნაკლებად ფიქრობდნენ.

სამურზაყანოში არსებობდა კიდევ ერთი პრობლემა. კერძოდ, გავრცელებული იყო ქორწინება სამურზაყანოელებსა და აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობას, განსაკუთრებით განსხვავებული სარწმუნოებების ოჯახებს შორის. ამასთან ერთად, ადგილი ჰქონია სისხლით ნათესავთა შორის ქორწინებებსაც, რომელიც აკრძალულია ქრისტიანული რელიგიის მიერ, მაგრამ ნებადართულია ისლამში. როგორც ჩანს, ამას პერმანენტული ხასიათი ჰქონდა მიღებული და ლევანმა, ამ პროცესის რეგულირების მიზნით, ზემოხსენებულ დადგენილებაში შესაბამისი პუნქტი შეიტანა, რომლითაც, მან, ფაქტობრივად, აკრძალა ამგვარი ქორწინებანი: „*არა შეირთოთ რძალი და ანუ ბიცოლა, ანუ სისხლითი ნათესავი, და არა მისცეთ ურწმუნოსა და უნათლავთა ვითარცა თათართა ანუ წარმართთა ცოლი ანუ ასული ანუ თქვენი ანუ ყმის სულნი და დანი*“.² თუმცა, მაჰმადიან აფხაზებზე ქრისტიანი სამურზაყანოელი ქალების მითხოვებას ადგილი ჰქონია XIX ს. მიწურულშიც. ამის შესახებ ი. გოგებაშვილი წერდა, რომ „*აქაური კნია ზები* (იგულისხმება სამურზაყანო — ვ.ვ.) *თავის ქალებს ხშირად ათხოვებენ აფხაზეთში და მახმადიანებს აძლევენ, სადაც თავის ქმრების რჯულზედ იქცევიან*“.³

ლევან V-მ, შესაბამისად, იბრუნა იმ ძალაზეც, რომელსაც, ფაქტობრივად, ეყრდნობოდა მისი ხელისუფლება სამურზაყანოში. ეს იყო რუსული არმია.⁴ სამურზაყანოელები ვალდებულები იყვნენ ხელი შეეწყოთ რუსული სამხედრო ნაწილებისთვის მათ-

¹ **სხეც.** დოკუმენტი დ-2232; რუსული თარგმანი: *В Самурзаканскую Абхазию сведеной от Князя Левана Дадиана на порядок благоустроенных дел их* (копия), — **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 159-160.

² **სხეც.** დოკუმენტი Ad-2232; რუსული თარგმანი: *В Самурзаканскую Абхазию сведеной от Князя Левана Дадиана на порядок благоустроенных дел их* (копия), — **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 159-160.

³ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 316.

⁴ **სხეც.** დოკუმენტი Ad-2232; რუსული თარგმანი: *В Самурзаканскую Абхазию сведеной...*, — **სეასა.** ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 157-158.

თვის ბინისა მიცემითა და საკვების მიწოდებით.¹

1815 წლის 20 ნოემბერს, ნაბაკევეში, ამ დადგენილების შესრულებაზე ლევანმა ადგილობრივი თავად-აზნაურობა დააფიცა. ეს „ფიცის ნიგნი“ ფრიად მნიშვნელოვანი საბუთია თავად-აზნაურობის საგვარეულოთა და მათი განსახლების არეალის დასადგენად. სამურზაყანოელები ფიცს სდებდნენ და ხელს აწერდნენ ჯვრების დასმით: ლევან ხუტუნისას ძე შარვაშიძის ქვრივი მარიამ ინალიშვილი შვილებთან, მურზაყანთან და ზურაბთან, ერთად; ბოლიხუხუ შარვაშიძის (ავთანდილ ყვაპუს ძის შტო) შვილები – ხუხულობა, ზურაბი, მანუჩარი, როსტომი; სორეხ სოლომონის ძე შარვაშიძე; თავადი ანჩაბაძეები: ბოლიხუხუ, თემურყა, უჩნა, თადა, უჩარდია, ერისთუ, ლომკაცი, ხუხულობა, მირზაბეგ, მირზაბეგ,² მანუჩარ, ბურდლუ, დოვლათ და მურზა (ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ვარაუდით, ეს უკანასკნელი, ალბათ, მუსლიმანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, სხვებისაგან განსხვავებით, სახელთან ჯვრის ნიშნის „+“ ნაცვლად, ორწერტილი და ტირე დაუსვამს³); თავადი ჩქოტუა ზურაბი და მისი შვილები: ერისთოუ, მანუჩარ, კაცი; ჩქოტუა კაცი, თემურყა და შარვანი; გუდაველი ბეჟან მარღანია (მიუხედავად ამ ფიცისა, მან მაინც არ მოიშალა ტყვეთა სყიდვა და 1821წ. დააპატიმრეს და ზუგდიდში წაიყვანს⁴); თავადი ემხვარები: ერისთოუ, ლომკაცი, ლევანი, უჩარდია, ტულაფსუ, სერსიყა, თემურყა, ტულაფსუ; თავადი ასლანბეი ინალიშვილი; დიხაზურგელი მარღანიები: ჯამბულათი, ბოლიხუხუ, ხიტუ, ბურდლუ, შარდენი; გალელი მარღანიები: ჯამბულათი, ასლანგერი; ჩქოტუა უჩანა, ასლანგერი, ჯამბულათი, როსტომი; აქურთავეები ცუცკე და ხიტუ; ღვარნკია გეჯილა; ზენობაია ეზუგბაია; თავადი ბეჟან სოლომონის ძე შარვაშიძე.⁵

სამურზაყანოში 1815წ. 20 ნოემბრის ბრძანების შესრულება შეუძლებელი გახდებოდა, თუ არ მოგვარდებოდა წებელდის პრობლემა. ამ კუთხეს ფლობდა თავად მარშანიათა ძლიერი საგვარეულო, რომელმაც საფარ-ბეის მთავრობა არ აღიარა. ამ პერიოდში, ფაქტობრივად, აფხაზეთის მთავრის იურისდიქცია წებელდაზე არ ვრცელდებოდა. თუმცა ეს გვარი ჯერ კიდევ XVII-

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ, გვ. 110.

² როგორც ჩანს, მირზაბეგ ანჩაბაძის სახელსა და გვარს იმ დროს სამურზაყანოში ორი ადამიანი ატარებდა.

³ Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века*, გვ. 666.

⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211.

⁵ სხვც. დოკუმენტი Ad-2232.

XVIII საუკუნეებიდან წინააღმდეგობას უწევდა შარვაშიძეთა გავლენის გავრცელებას მათ სამფლობელოში.¹ ნებელდელი მარშანიები გარკვეულ სირთულეებს უქმნიდნენ სიმშვიდესა და პოლიტიკურ სტაბილურობას ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროში. მათ და სამურზაყანოელ შარვაშიძეებს აქტიური და მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან. იქ ხშირად პოულობდნენ თავშესაფარს ხელისუფლებისგან დევნილი პირები. ამასთან, ეს მხარე გახდა ტყვეთა ვაჭრობის ერთ-ერთი „ცენტრი“. მანუჩარ შარვაშიძე ნებელდელ მარშანიებთან (მაჰმათქირი, ომარი და სხვები) ერთად ვაჭრობდა ტყვეებით.² როგორც სხვა აფხაზი თავადები, ისე ესენიც თავს ამ „ხელობით“ ირჩენდნენ და სამურზაყანოშიც ეწეოდნენ ადამიანთა გატაცებას. თ. სახოკიას ცნობით, მარშანიათა 20-30 კაცისაგან შემდგარი დაჯგუფება დათარეშობდა სამურზაყანოს მთებში, იქ სამურზაყანოელ მწყემსებს ანიოკებდა და მომხდურები, საქონელთან ერთად, მწყემსებსაც იტაცებდა ტყვედ.³

მარშანიათა საგვარეულო, რომლის ერთი შტო ნებელდიდან საკმაოდ მოშორებით, აბჟუის ოლქის სოფ. ჯგერდაში დასახლდა) იმდენად დამოუკიდებლად და ძლიერად მიიჩნევდა საკუთარ თავს, რომ აფხაზეთის მთავარსაც კი არ ეპუებოდა და ტყვეთა გატაცებას ამ სამფლობელოშიც აქტიურად ეწეოდა. მიხეილმა რუსეთის ხელისუფლებისგან 1839წ. იანვარში მოითხოვა დამნაშავე მარშანიათა დასჯა და ჯგერდაში მისი ხელისუფლების გავრცელება.⁴

ამ ვითარების აღმოსაფხვრელად, როგორც ჩანს, 1814წ. გვიან შემოდგომაზე ლევან დადიანმა ნებელდაში ილაშქრა.⁵ ეს სამხედრო ექსპედიცია წარმატებით გასრულდა და ადგილობრივი მარშანიები დადიანს დამორჩილდნენ. ამის გამოხატულება იყო 1815 წლის 29 ნოემბერს, სოფ. ოქუმში, მისოსტ უჩარდიას ძის, სარალაფუ თულაფსის ძისა და ზერეფხუ ომერის ძე მარშანიების ფიცი ლევან V-სადმი. მათ აღნიშნეს, რომ სამურზაყანო დადიანის სამფლობელოა და პირობა დადეს, რომ „ვიყვნეთვე

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 146.

² **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 54; **ზ. ანჩაბაძე.** მანუჩარ შარვაშიძე, გვ. 689.

³ **თ. სახოკია.** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). ბათუმი, 1985, გვ. 365.

⁴ *О притязании Владетеля Абхазии на Абхазское селение Джигерду, — სეასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 345, ფ. 1-3.

⁵ *წერილი ლევან დადიანისა ნიკოლაი ფიოდოროვიჩისადმი.* 1814წ. 3 ოქტომბერი, — **სხეც.** დოკუმენტი Ad-2229.

კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა თქვენის სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნანილს-თანა და ოდიშსა და მასთან მცხოვრებთა და არც შევიწყნაროთლა წინა-აღმდგომნი ვინმე უმაღლესის რუსეთის ტახტისა და თქვენის უგანათლებულესობისაგან გამოქცეულნი ვინმე, და არცა ჩვენგან რაიმე იქნას ავის მოქმედება სამფლოებელოსა რუსეთისა და საკუთრათ თქვენისა ც უგანათლებულობისა სამთავროსა შინა, – არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე...“¹

ამასთან ერთად, თავადი მარშანიები ხაზს უსვამდნენ, რომ „ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან“² რა თქმა უნდა, ამ ჩანაწერს ლევანისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი რუსებს მიანიშნებდა, რომ ამ კუთხეზე მას კანონიერი გავლენა ჰქონდა, რადგან ნებელდა მისი წინაპრების სამფლოებელო ყოფილა. ამიტომ აქ აფხაზეთის მიმართ დადიანის გარკვეული უპირატესობა და შესაბამისი პრეტენზიები იკვეთებოდა, რასაც 1814წ. ერთ-ერთ ხატზე გაკეთებულ მინაწერში დაცული დადიანის ტიტულატურა მოწმობს: „მთავარი და მპყრობელი ოდიშ-აფხაზთა, სვან-ლეჩხუმთა“³ საბოლოოდ, ლევანმა ნებელდელების ფიცისგან ვერ იხიერა. დადიანის მოწინააღმდეგენი თავშესაფარს ისევ ამ მხარეში პოულობდნენ.⁴ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია კმაყოფილებით შეხვდა დადიანის ამ ნაბიჯებს, რომლებსაც რეგიონში სტაბილურობის დამყარებისთვის საფუძველი უნდა შეექმნა. ამიტომ ლევან V-ის 20 და 29 ნომებრის აქტებმა ნ. რტიშჩევის მოწონება დაიმსახურა.⁵

დადიანმა სცადა სამურზაყანოელი თავად-აზნაურობა, რომელიც, ძირითადად, ტყვეთა სყიდვიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა, სამეურნეო საქმიანობით დაეკავებინა. თუმცა, მისი ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და სამურზაყანოში ტყვეთა სყიდვა მაინც ვერ აღიკვეთა. სანამ ფოთსა და ახალციხეში თურქები იყვნენ, ისინი მაინც ახერხებდნენ, რომ ადამიანებით ვაჭრობა შეენარჩუნებინათ. როგორც სამურზაყანოელი თავად-

¹ *Акты*. Т. V, док. №599, გვ. 507-508, ხაზგასმა ჩვენია – კ.კ.

² *Акты*. Т. V, док. №599, გვ. 508.

³ **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 141.

⁴ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

⁵ *Выписка из письма Генерала Ртищева Мингрельскому владельцу Князю Левану Дадыану от 6 марта 1816 года (№38)*, — **სეასა**. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 147-148.

ვადი თემურყვა ანჩაბაძე ადასტურებდა, სამურზაყანოში ტყვე-თა სყიდვის, ქურდობისა და სხვა დანაშაულებების გამო ძალიან მძიმე ვითარება შექმნილა.¹ ეს „ფიცი“, ფაქტობრივად, ქალაღზე დარჩა, რადგან ფიცის დამდებ თავად-აზნაურთა ნაწილი (ბეჟან მარლანია, ბეჟან შარვაშიძე და სხვ.) მაინც აგრძელებდა ამ საქმიანობას.² თუმცა, შესაძლებელი გახდა ტყვეთა სყიდვის მინიმიზაცია სამურზაყანოს ბარის ზონაში, მაგრამ მთიან ადგილებში ვითარება საგანგაშო რჩებოდა, ვინაიდან ხელისუფლების კონტროლი, ბართან შედარებით, ამ ზონაზე მინიმალური იყო.³

ამ დანაშაულებებთან საბრძოლველად ლევან დადიანმა აქტიურად ჩართო სასულიერო წოდება. მაგალითად, ზემო ხსენებული ფიცის დადებას ესწრებოდა ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი, რომელმაც ბოლოში დაამონმა ეს აქტი.⁴ რა თქმა უნდა, სამურზაყანოში ეკლესიის გააქტიურებით, დადიანი საკუთარი ხელისუფლების გამყარებასაც ცდილობდა. მაგრამ, ამავე დროს, მას და მეუფე გრიგოლს კარგად ესმოდათ, რომ ამ კუთხეში ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტება გამოინვევდა ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის მოწყვეტას ქართული სამყაროსაგან. სწორედ ამიტომ ცაიშელმა მღვდელმთავარმა მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია არა მარტო სამურზაყანოში, არამედ საკუთრივ აფხაზეთის სამთავროშიც ქრისტიანობის განსამტკიცებლად.⁵ მეუფე გრიგოლი თავის ანდერძში წერდა, რომ: *„გულმოდმოდგინებით მაქვნდა აფხაზეთის ერნი გარდაქცეულნი სარწმუნოებათაგან რ(ომე)ლიც ხელმისწთომელ იყო ჩემ მიერ ივინი მომეყვანა სარწმუნოებად და მრ(ავა)ლნიცა მოქცეული იქმნენ და მონათლულ“*.⁶

სამურზაყანოელები, რომლებიც გათავისუფლდნენ შარვაშიძეთა მმართველობისგან, არ აპირებდნენ ლევანის ხელისუფლების აღიარებას.⁷ თემურყვა ანჩაბაძე ამის თაობაზე რუსებს პირდაპირ ეუბნებოდა, რომ: *«В сей земле существует безначалие, ибѡ Дадиани не имеет средства к обузданию жителей; и будьте*

¹ *Письмо кн. Темурквѣ Анчабадзе к полк. кн. Бебутову*, – წგნ.: *Акты*. Т. VII, გვ. 396.

² **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211; *Письмо кн. Темурквѣ Анчабадзе к полк. кн. Бебутову*, გვ. 396.

³ *Акты*. Т. VII, დოკ. №325, გვ. 395.

⁴ **Дж. Гамахария, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 666.

⁵ *Журнальное постановление*, გვ. 429.

⁶ *გრიგოლ ცაიშელის ანდერძი „ცხადად წარსადგენი უმაღლესი მთავრობისადმი“*, გვ. 65.

⁷ **ბ. თაკალანძე**. სამურზაყანოს საკითხი..., გვ. 77.

уверены, что ни Дадиани, ниже кто-либо из фамилии Шарвашидзе не могут управлять и распоряжаться здесь*».¹ ამას უკ ფრანსუა გამბაც ადასტურებს: „იგი (სამურზაყანო – ვ. ვ.) დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება“.² ამიტომ სამურზაყანოში დადიანის წინააღმდეგ მღელვარებები არ წყდებოდა.³ მართალია, გიორგი შარვაშიძემ აღიარა, რომ აფხაზეთის „უშინაგანესი ადგილების“ მფლობელი იყო, მაგრამ წარმოუდგენელი იყო, რომ მას სამურზაყანოზე დადიანის კონტროლი მოსწონებოდა.⁴

მ. დუმბაძე მიიჩნევდა, რომ საფარ-ბეი, თავის მხრივ ცდილობდა აფხაზეთზე საკუთარი გავლენის გავრცელებას.⁵ ზ. პაპასქირი გამორიცხავს, რომ დადიანის საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის მთავარი რაიმე კონტრზომებს მიმართავდა, რადგან აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება პირდაპირ დამოკიდებული იყო დადიანის მხარდაჭერაზე.⁶ ზოგადად, ვიზიარებთ რა ამ მოსაზრებას, მიგვაჩნია, რომ გიორგი შარვაშიძე ფარულად მაინც ცდილობდა ევნო ლევან დადიანისათვის და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ძალებს უჭერდა მხარს ოდიშში, მდ. ენგურის ორივე სანაპიროზე. ლევან V-ის უმცროსი ძმა, გიორგი, რომელიც ცნობილი იყო დადიანისადმი დაუმორჩილებლობით, ხშირად აფარებდა თავს აფხაზეთსა და სამურზაყანოში. როგორც ჩანს, ლევანს ეჭვი ჰქონდა, რომ მის ძმას გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძე მფარველობდა.⁷ ამიტომ 1818წ. დადიანმა, სამურზაყანოს პრობლემასთან დაკავშირებით, მისგან ოფიციალური პოზიციის გამოხატვა მოითხოვა. ამისთვის ლევანმა შესაფერისი ვითარებაც შეარჩია. 1818წ. აპრილში აფხაზეთში ისევ ამბოხება დაიწყო. მან თავისი ბიძის⁸ დასახმარებლად ოდიშის ლაშქარი

* „ამ მხარეში ხელისუფლება არ არის, რამეთუ დადიანს არ გააჩნია შესაძლებლობა მოსახლეობის დასამორჩილებლად; და იყავით დარწმუნებულნი, რომ არც დადიანი, და არც ვინმე შარვაშიძეთა გვარისაგან ვერ შეძლებენ აქ მმართველობასა და აქაურობის განკარგვას“ (თარგმანი ჩვენია – ვ. ვ.).

¹ *Письмо кн. Темурквва Анчабадзе к полк. кн. Бегутову*, გვ. 396.

² *უკ ფრანსუა გამბა*. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტ. I, გვ. 112.

³ *მ. დუმბაძე*. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 75.

⁴ *ზ. პაპასქირი*. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 147.

⁵ *მ. დუმბაძე*. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 75.

⁶ *ზ. პაპასქირი*. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის, გვ. 147.

⁷ *სხეც*. დოკუმენტი Hd-10595, Hd-10597.

⁸ აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე ლევან დადიანის მამიდის მეუღლე იყო.

მიავლინა, რომლებმაც აფხაზეთის მთავარს მოწინააღმდეგე თავადები დაუმორჩილეს.¹

ამ ამბების შემდეგ, დადიანმა რუსეთის ხელისუფლებისაგან ოფიციალური კომისია მოითხოვა ოდიშ-აფხაზეთ-სვანეთის საზღვრების დასადგენად.² გიორგიმ, რომელმაც ხელისუფლება ისევ მეგრელთა დახმარებით შეინარჩუნა, იმერეთის მმართველის, გენერალ ვ. კურნატოვსკის თანდასწრებით, 1818 წ. მაისში³ ში³ სამურზაყანო ოფიციალურად ცნო ოდიშის ტერიტორიად.⁴

მოგვიანებით, 1840-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დღის წესრიგში დადგა სამურზაყანოზე დადიანის უფლებების ჩამორთმევის საკითხი, რუსებმა სცადეს ეს ხელშეკრულება ოდიშის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოეყენებინათ იმ აბსურდული მოტივით, რომ თითქოს, გიორგიმ არ იცოდა, თუ რას აწერდა ხელს. პოლკოვნიკი ნ. ნ. მურავიოვი გენერალ პ. ე. კოცეზუს აცნობებდა, რომ ამ აქტის გაფორმების დროს აფხაზეთის მთავარმა არ იცოდა ქართული ენა (რომელზედაც დაიწერა დოკუმენტი) და მის მხარეს წარმოადგენდა მღვდელი მამა იოანე ქავთარაძე („სამეგრელოს მკვიდრი“, როგორც მას ნ. ნ. მურავიოვი მოიხსენიებდა). რუსი მოხელის თქმით, როდესაც გიორგიმ გაიგო, თუ რა შეთანხმებას მოაწერა ხელი ლევანთან, მან მაშინვე გააგდო მამა იოანე აფხაზეთიდან.⁵

ეს იმდენად აბსურდული ცნობაა, რომ, სავარაუდოდ, მისი უშუალო ავტორი და ამ ლეგენდის შემთხვევლი მიხეილ შარვაშიძე უნდა იყოს, რომელიც უშუალოდ დაინტერესებული იყო ოდიშისაგან სამურზაყანოს ჩამორთმევის საკითხით და, შესაბა-

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ.., გვ. 112.

² თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ.., გვ. 112.

³ რუსი ჩინოსნები მაისის ნაცვლად იანვარს ასახელებენ. იხ.: *Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его на владение Самурзаканским округом и объяснения составленные в Корпусном штабе противу записки этой*, — სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 140.

⁴ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем*, — სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 13. დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი და მოიცავს ფურცლებს 10-32.

⁵ *Рапорт Исправляющего должность Начальника III отделения Черноморской Береговой линии, Полковника Муравьева Начальнику Штаба Отдельнаго Кавказскаго Корпуса, Господину Генерал-Майору и кавалеру Коцебу от 27 марта 1841 года (№136)*, — სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 40-41; *Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его..*, — სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 141.

მისად, ტენდენციურიც იყო. ძალზედ საეჭვოა, გიორგი იმდენად გულუბრყვილო პოლიტიკოსი ყოფილიყო, რომ არ სცოდნოდა, რას ანერდა ხელს. მან იმთავითვე მშვენივრად უნყოდა, რაც ხდებოდა ამ შემთხვევაში. საყურადღებოა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მივაკვლიეთ. მხედველობაში გვაქვს მისი წერილი ალ. ველიამინოვისადმი, რომელიც გიორგი შარვაშიძის მიერვეა ხელმონწერილი. ამ დოკუმენტში საუბარია ლევანის უმცროს ძმაზე, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ გიორგი დადიანზე, რომელიც, სამეგრელოს მთავრის ცნობით, აფხაზეთში იმალებოდა. საფარბეი უარყოფს ამას და ალ. ველიამინოვს აცნობს, რომ გიორგი დადიანი სამურზაყანოში უნდა ყოფილიყო. ეს მხარე კი, აფხაზეთის მთავრის, საფარბეის, სიტყვებით რომ ვთქვათ, „**დადიან ლევანის საბძანებელი არის**“.¹

ამდენად, როგორც აქ ნათლად ჩანს, იგი სავსებით კარგად ერკვეოდა ორი სამთავროს საზღვრებში და ენგურ-ლალიძის შუამდინარეთს ლევან V დადიანის საგამგებლო რეგიონად აღიარებდა. ამასთანავე, არსებობს თანამედროვეთა ცნობები, რომ გიორგი შარვაშიძეს ესმოდა ქართული, თუმცა თვითონ ლაპარაკი უჭირდა ამ ენაზე.² აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ცხადი ხდება, ყოველგვარი საუბარი იმაზე, რომ საფარბეი მამა იოანეს მიერ მიზანმიმართულად იყო შეცდომაში შეყვანილი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თუკი მამა იოანეს აფხაზეთიდან გაძევება ამ შეთანხმებას უკავშირდება, ალბათ, მიზეზი ისევ გიორგი შარვაშიძე იქნებოდა, რომელმაც ამ გზით ერთგვარი „განტყვევის ვაცი“ იპოვა მის დაუმორჩილებელ ქვეშევრდომებთან თავის გასამართლებლად. მღვდელი იოანე, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი, როგორც ღვთისმსახური, ბუნებრივია, არ დაუმალავდა აფხაზეთის მთავარს შეთანხმების არსს, თუკი ეს, მართლაც, მის მოვალეობაში შედიოდა. ამიტომ ამ სასულიერო პირის „დამნაშავედ“ გამოყვანა მხოლოდ ცარიზმის მოხელეების მთავარი მიზანი იყო, რომლებიც დადიანისთვის სამურზაყანოს ჩამორთმევის „ლეგალურ“ საფუძველებს ეძებდნენ და, ამასთანავე, იმთავითვე ცდილობდნენ ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამოგდებას. სწორედ ამიტომაც არის ზემოხსენებულ ანგარიშში აგრერიგად ხაზგასმული მამა იოანეს წარმომავლობა – „*სამეგრელოს მკვიდრი*“³ – რაც ზემოთ უკვე

¹ სხეც. დოკუმენტი Hd-10597.

² გ. ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, გვ. 29-30.

³ *Рапорт Исправляющего должность Начальника III отделения Черноморской*

აღვნიშნეთ.

ლევან დადიანის მეცადინეობით მიღწეული შეთანხმება მაქსიმალურად გამოხატავდა და იცავდა სამეგრელოს მთავრის ინტერესებს სამურზაყანოში. ოდიშსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის საზღვარი მდ. ლალიძგაზე დადგინდა.¹ 1821 წელს აფხაზეთში დაწყებული არეულობების ჩასახშობად მიმავალი რუსთა და ოდიშართა საექსპედიციო კორპუსი ლევან დადიანმა მდ. ლალიძგამდე მიაცილა. ეს ხაზგასმით აღნიშნა ნ. დადიანმა თავის თხზულებაში: „თვით მთავარი ჩვენი ლეონ დადიანი მიჰყვა თავის საზღვრამდე ლალიძგამდე“.²

ვფიქრობთ, 1818 წლის აღნიშნული შეთანხმება უნდა ასახულიყო ლევან დადიანის ტიტულატურაშიც, სადაც ოდნავ დაკონკრეტდა 1814წ. დაფიქსირებულ ტიტულში „აფხაზთა“-ს რაობა. კერძოდ, ჩვენს მიერ დადიანების მუზეუმში მიკვლეულ ერთ საბუთში, რომელიც დათარიღებულია 1823წ. 19 მაისით, სამეგრელოს მთავარი მოხსენიებულია როგორც: „ს^ლ ოდიშისა, ლეჩხუმისა და ნანილთა აფხაზეთისათა და სუანეთისა მემკვიდრეობით მფლობელი“.³ ასეთივე ვითარებაა 1824წ. ერთ-ერთ დოკუმენტშიც: „მემკვიდრეობითი მფლობელი და მთავარი მენღრელიისა და რამოდენისამე ნანილის აფხაზეთისა და სვანეთისა“.⁴ ზემოთ აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ორივე მხარე ვალდებული იყო, არ მიეცა თავშესაფარი მეაბოხეებისა და სხვა სჯულის დამნაშავეებისათვის: «...Обязались... не давать пристанища и покровительства разбойникам, грабителям и вообще преступным той или иной стороны*».¹ ამ მუხლით, გიორგი შარვაში-

Береговой линии, Полковника Муравьева Начальнику Штаба Отдельнаго Кавказскаго Корпуса, Господину Генерал-Майору и кавалеру Коцебу от 27 марта 1841 года (№136), – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 40-41; Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его на владение Самурзаканским округом и объяснения составленные в Корпусном штабе противу записки этой, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 141.

¹ *Статистическое описание Закавказскаго края*, გვ. 8; ამ ჰიდრონიმს ე. აიხვალდი გადმოსცემს ფორმით – galasda (ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 221).

² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

³ *დადიანთა ფონდი*, №13, დოკ. №7312, ფ. 8.

⁴ 1824წ. 5 თებერვალი. ლევან V დადიანის ბრძანება ცაიშის ტაძრისათვის თავადთა და აზნაურთა მიერ წართმეული მამულების დაბრუნებაზე კაცია დადიანის და გრიგოლ დადიანის სიგელების დამტკიცების შესახებ. – წგნ.: ა. ტულუში. ცაიშის საეპისკოპოსო, გვ. 98.

„...ვივალდებულეთ... არ მიგვეცა თავშესაფარი და მფარველობა ყაჩაღები-

ძეს მოესპო შესაძლებლობა დადიანის მოწინააღმდეგე სამურზაყანოელთა დასაცავად. დადიანი კმაყოფილი დარჩა და აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება ორ სამთავროს შორის მშვიდობის დამყარების გარანტი იქნებოდა.² ნ. თაკალანძის სამართლიანი შეფასებით, იგი აკანონებდა ლევან V-ს უფლებებს სამურზაყანოზე და შემდგომში აფხაზეთის მთავართან ამ საკითხზე ნებისმიერი დავის წამოჭრისას, ხელშეუხებელს ხდიდა ამ უფლებას.³

გიორგი შარვაშიძის მიერ დადიანთან დადებული ხელშეკრულების შესრულებას არ აპირებდა ასლან-ბეი, რომელიც 1821წ. ისევ გამოჩნდა აფხაზეთში, სადაც ამ დროს ანტირუსული აჯანყება მიმდინარეობდა.⁴ მან მალე მოახერხა თითქმის მთელი აფხაზეთის დაუფლება, გარდა სოხუმის ციხისა, სადაც იმყოფებოდნენ 1821 წლის 19 თებერვალს (ძველი სტილით — 7 თებერვალს) გარდაცვლილი გიორგი შარვაშიძის ქვრივი და შვილები.⁵ რუსებმა თამარ დადიანი-შარვაშიძისა აფხაზეთის დროებით მმართველად დანიშნეს.⁶ როგორც გ. პაიჭაძე მიიჩნევს, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა იქონია სამეგრელოს მთავარმა.⁷ 1821წ. სექტემბრის შუახანებისთვის ასლან-ბეი თავისი ლაშქრით, რომელშიც ჩერქეზებიც იყვნენ, სამურზაყანოსკენ დაიძრა.⁸

სათვის, ქურდებისათვის და საერთოდ დამნაშავეთათვის ამა თუ იმ მხარისა“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

¹ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским краем, — სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 13.

² ნ. თაკალანძე. სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 77.

³ ნ. თაკალანძე. სამურზაყანოს საკითხი, გვ. 77.

⁴ გ. ა. დზივარია. Махаджирство и проблемы истории Абхазии, გვ. 52.

⁵ *Утверждение Русскаго владычества на Кавказе. Под руководством начальника штаба Кавказскаго военнаго округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявскаго. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора Потто*. Т. 3, ч. 2. Тфл., 1904 გვ. 560.

⁶ *Утверждение Русскаго владычества на Кавказе. Под руководством начальника штаба Кавказскаго военнаго округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявскаго. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора Потто*. Т. 3, ч. 2, გვ. 550, 557.

⁷ გ. პაიჭაძე. Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 223.

⁸ *Утверждение Русскаго владычества на Кавказе*. Т. 3, ч. 2, გვ. 560; **К. Мачавარიანი**. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. С историко-этнографическим очерком Абхазии, გვ. 252.

ლევანმა სასწრაფოდ შეყარა ჯარი და აფხაზთა აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნილ იმერეთის მმართველ გენერალ მ. გორჩაკოვს განუცხადა, რომ აპირებდა ასლან-ბეის წინააღმდეგ ბრძოლას, რათა საკუთარი მამული და „ქვრივი და ობლები გადაერჩინა“.¹ ვ. პოტოს თქმით, გენერალი მიხვდა დადიანის ჩანაფიქრს, რომელსაც იმ აფხაზეთის დაუფლება უნდოდა, რომელიც ადრე სამეგრელოს ეკუთვნოდა და ამიტომ დადიანს უფლება არ მისცა გალამქრებისა.² ასლან-ბეიმ კი სამურზაყანოში შექმეჭრა ვერ მოახერხა. მ. გორჩაკოვმა სისხლში ჩაახშო აფხაზთა აჯანყება და მთავრად დასვა საფარ-ბეის ვაჟი დიმიტრი /ომარბეი/ (1821-1822), რომელიც რუსეთში იზრდებოდა და საკმაოდ გარუსებულიც იყო. თუმცა კაცი, რომელსაც რუსი პოლკოვნიკის ფორმა ეცვა, მშობლიური ენაც დავინწყნოდა და, ამასთანავე, დამსჯელ რაზმთან ერთად ჩამოვიდა სამშობლოში, მისმა ქვეშევრდომებმა არ მიიღეს და 1822წ. 28 ოქტომბერს მონამლეს.³

აფხაზეთის ახალი მთავარი გახდა საფარ-ბეის სხვა შვილი

¹ *Утверждение Русского владычества на Кавказе. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора Потто.* Т. 3, ч. 2, გვ. 560.

² *Утверждение Русского владычества на Кавказе. Под руководством начальника штаба Кавказского военного округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявского. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора Потто.* Т. 3, ч. 2, გვ. 560.

³ **А. В. Фадеев.** Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 40; **Г. Пайчадзе.** Абхазия в составе Российской империи (1810-1917), გვ. 224; ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვით დიმიტრი ციციებით გარდაცვალებულა (**ბ. ხორავა.** სახალხო აჯანყებები და რუსეთის მიერ გატარებული სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებები. XIXს. 20-იანი წლები, გვ. 233). თუმცა, ვფიქრობთ, რომ მისი მონამვლა რეალობასთან უფრო ახლოს დგას, რადგან აფხაზეთის ახალი მთავრის, რომელიც პეტერბურგში, იმპერატორის კარზე იზრდებოდა და, ფაქტობრივად, გარუსებულიც კი იყო, მთელი ხელისუფლება მხოლოდ რუსული გარნიზონისა და დადიანის სახლის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული. აფხაზებისათვისაც ის სწორედ დადიანისა და რუსეთის სიმბოლოდ აღიქმებოდა, რაც, ბუნებრივია, მისი ხალხისთვის მიუღებელი იყო. აფხაზებში კი იმ ხანებში დიდი პოპულარობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა დიმიტრის ბიძა ასლან-ბეი, რომელიც, იდგა რა პროოსმალურ პოზიციაზე, ფაქტობრივად, აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ამიტომ, ბიძა-ძმისშვილის სახით, ერთმანეთს უპირისპირდებოდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი პოლიტიკური ორიენტაცია: პირველი, როგორც აღვნიშნეთ, დადიანსა და რუსეთს უკავშირდებოდა, მეორე კი – ოსმალეთსა და, აქედან გამომდინარე, ერთგვარად, დამოუკიდებლობასაც. შესაბამისად, სავსებით რეალურია, რომ დიმიტრი ამ დაპირისპირების მსხვერპლი გამხდარიყო.

– მიხეილი /ჰამუთ-ბეი/ (1822-1864), რომელიც იმ ხანად 11 წლის იყო. თამარი ისევ, დროებით, აფხაზეთის მმართველი გახდა. აღსანიშნავია, რომ ის მიხეილის გამთავრების საკითხს სამურზაყანოდან აგვარებდა, სადაც 1822წ. ნოემბერში იმყოფებოდა.¹ ლევანი, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო, რომ აფხაზეთის მომავალი მთავარი, ანუ მისი მამიდაშვილი მიხეილი, საფარ-ბეივით მორჩილი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ სამურზაყანოელები დადიანის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის, ახალი მთავრის დამტკიცების საქმეში. მაგალითად, რუსულ ხელისუფლებასთან თამარ შარვაშიძის ინტერესებს წარმოადგენდნენ სამურზაყანოელი თემურყვა ანჩაბაძე და აფხაზეთელი თლაბსუ მარღანია.²

1821წ. აჯანყების საბაზი გახდა რუსების მიერ აფხაზეთის მმართველად საფარ-ბეის ქვრივის დანიშვნა. ვ. პოტოს თქმით, რუსების შეცდომა იყო აფხაზეთა სათავეში ქალის დადგენა, მით უფრო, რომ თამარს არ უყვარდა აფხაზები და არც ისინი ყოფილან მის მიმართ კეთილგანწყობილნი.³ როგორც ჩანს, თამარმა მისი ოჯახისთვის აფხაზების ნდობის მოსაპოვებლად, 1823წ. სამურზაყანოში ილაშქრა ამ კუთხის აფხაზეთის სამთავროსათვის შემომტკიცების მიზნით.⁴ ლევანმა იმერეთის მმართველ მ. გორჩაკოვთან იჩივლა მამიდამისის ამ ქმედებების გამო. რუსმა გენერალმა „აფხაზეთისათვის მებრძოლ“ გრიგოლ დადიანის ასულს სამთავროში დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ თამარი, რომელიც ფაქტობრივად მისი ოჯახის მიმართ აფხაზების დამოკიდებულების მძევალი იყო, პოზიციების დათმობას არ აპირებდა. შექმნილ ვითარებაში მ. გორჩაკოვმა 1823წ. 30 მაისს ლევანს უფლება მისცა ძალისმიერი გზით მოენესრიგებინა სამურზაყანოს საქმეები (ნერილი №1594).⁵

ლევანს ეს პრობლემა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა გადაეჭრა.⁶ სამეგრელოს მთავარმაც დაივიწყა აგრესორი მამი-

¹ *Акты*. Т. VI, ч. II. док. №947, 948, გვ. 661.

² *Акты*. Т. VI, ч. I, док. №947, 948, გვ. 661.

³ *Утверждение Русскаго владычества на Кавказе.*, Т. 3, ч. 2, გვ. 550, 558.

⁴ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем*, — *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 13.

⁵ *Записка о действительной и...*, — *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 13.

⁶ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли...*, — *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 13-14, 25.

დის მიმართ ძმისშვილური რიდი და პატივისცემა და მისი ლაშქარი მალევე გააძევა ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთიდან. თუმცა, თამარმა ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე და ისევ შეეცადა სამურზაყანოს შემომტკიცებას, მაგრამ ეს მცდელობაც უნაყოფო გამოდგა.¹ დადიანი მაინც ვერ ახერხებდა სამურზაყანოში ნესრიგის დამყარებას. ამ მხრივ მისი ყველა მცდელობა კრახით სრულდებოდა.² ეს მით უფრო რთული იყო, რომ აფხაზები განაგრძობდნენ სამურზაყანოელთა მხარდაჭერას დადიანის წინააღმდეგ.

1826 წლის მაისში ლევანმა შემოჭრილ აფხაზთა წინააღმდეგ გაილაშქრა და თან აფხაზეთთან საზღვრის გამაგრებითი სამუშაოებიც აწარმოა.³ თუმცა, ამ მხარის დამორჩილება სამეგრელოს მთავრისათვის რთულ საქმედ რჩებოდა. სამურზაყანოელები მაინც არ ემორჩილებოდნენ მის ხელისუფლებას.⁴

ოდიშის მთავარს სამურზაყანოს გაკონტროლება მხოლოდ რუსული ჯარის დახმარებით შეეძლო. 1826 წელს ლევან დადიანის თხოვნით, მთავარმართებელმა ერმოლოვმა ერთი საარტილერიო ქვემეხით შეიარაღებული 300-კაციანი რაზმი გამოაგზავნა.⁵ სამურზაყანოში დროებით მშვიდობა დამყარდა და ადგილობრივები დამორჩილდნენ დადიანის ხელისუფლებას.⁶ ამან ტყვეთა სყიდვის შემცირებაც გამოიწვია.⁷ თუმცა რუსებმა 1826 წელს სპარსეთთან დაწყებული ომის გამო, ეს რაზმიც მალევე გაიწვიეს.⁸ მ. დუმბაძის მოსაზრებით, სამურზაყანოში რუსების ამ რაზმის ჩაყენების მიზანი გაცილებით შორსმომავალი იყო, ვიდრე მხოლოდ დადიანის ინტერესების უზრუნველყოფა. მეცნიერი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ რუსეთი უკვე ემზადებოდა ამ მხარეში თავისი უშუალო ხელისუფლების შემოღებისთვის.⁹

აფხაზეთის სამთავროს ფაქტობრივი მმართველის თამარ დადიანი-შარვაშიძის ლაშქრობებმა მის ძმისწულს – ოდიშის მთავარს ისევ დაანახა სამურზაყანოს საკითხთან დაკავშირებით აფხაზთაგან ახალი გარანტიების მიღების აუცილებლობა. 1827

¹ **ნ. თაკვალანძე.** სამურზაყანოს საკითხი..., გვ. 77.

² *Акты.* Т. VII, док. №325, გვ. 395.

³ **ბ. სორავა.** სახალხო აჯანყებები..., გვ. 238.

⁴ *Акты.* Т. VII, док. №325, გვ. 395.

⁵ *Акты.* Т. VII, док. №325, გვ. 395.

⁶ *Акты.* Т. VII, док. №325, გვ. 395.

⁷ **ა. კილასონია.** ადამიანებით ვაჭრობა..., გვ. 337.

⁸ *Акты.* Т. VII, док. №325, გვ. 395.

⁹ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში..., გვ. 268.

ნლის 21 აპრილს ზუფუელმა თავად-აზნაურებმა ლევან V-ს წინაშე წერილობითი ვალდებულება იკისრეს, რომ ისინი სამურზაყანოში არ ჩაიდენდნენ ძარცვა-ქურდობას და არ შეურაცხყოფდნენ სამეგრელოს მთავრის უფლებას ამ მხარეში: «*Равным образом нам Зуфуйцам ни великому, ни малому, в Вашем Самурзаканском владении, не делать воровства, ни грабежа и нималейше не оскорблять подвластных Вам Одишцев и Самурзаканцев*».¹ ამ დოკუმენტს ლევანის მამიდაშვილმა აფხაზეთის მთავარმაც მოანერა ხელი.² ნ. თაკვალანძე მიიჩნევს, რომ მიხეილის ეს დათმობა პოლიტიკური სისუსტით იყო განპირობებული, რაც, განსაკუთრებით მისი მმართველობის დასაწყისში თვალსაჩინო იყო.³ მაგრამ ამანაც ვერ მოუტანა სიმშვიდე დადიანს. როგორც კი სამურზაყანოელებმა რუსები შორს დაიგულეს, მაშინვე დაეწყო დადიანს გართულებები.

ამ პერიოდში მანუჩარ შარვაშიძის უფროსი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც 1808 წელს დაიბადა,⁴ სრულწლოვანი ხდებოდა და მას მხარის მმართველობაც უნდა მიეღო. მაგრამ სამურზაყანოში მიხვდნენ, რომ ლევანი მის დისშვილებს ხელისუფლებას არ დაუბრუნებდა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, სამურზაყანოს თავად-აზნაურობას თვითონაც არ სურდა როგორც შარვაშიძეთა, ისე – დადიანთა ქვეშევრდომობა. მათ შორის ჩამოყალიბდა გარკვეული დაჯგუფება, რომელიც სამურზაყანოზე იმპერატორის ხელისუფლების უშუალო დამყარებას მოითხოვდა. ამ „პარტიის“ ინტერესებს გამოხატავდა თემურყვა ანჩაბაძე, რომელიც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევდა, «*объяснить*

* „ჩვენ, ზუფუელები, თანაბრად დიდცა და მცირეც, თქვენს სამფლობელოში, სამურზაყანოში, არ ვიქურდებთ, არ გავძარცვავთ და არ შეურაცხყოფთ თქვენს ქვეშევრდომ ოდიშარებსა და სამურზაყანოელებს“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

¹ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли...*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 14; *Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве его на владение Самурзаканским округом и объяснения составленные в Корпусном штабе противу записки этой*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 140. ეს დოკუმენტი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

² *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли...*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 14.

³ ნ. თაკვალანძე. სამურზაყანოს საკითხი..., გვ. 77; ნ. თაკვალანძე. შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიისათვის აფხაზეთში მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში, – ჟურნ.: „აფხაზეთის მოამბე“. №2-3, 1999, გვ. 77.

⁴ იხ. ტაბ. №15. – ნგნ.: **Ю. Чиковани.** Род Абхазских Князей..., გვ. 71.

Самурзакань казне принадлежащею * ».¹

როგორც ჩანს, ამ დაჯგუფებას დაგეგმილი ჰქონდა დადიანის წინააღმდეგ ხშირი არეულობების მოწყობა, რათა რუსეთის ხელისუფლებას იმ მოტივით, რომ სამეგრელოს მთავარს არ ჰქონდა შესაბამისი შესაძლებლობა ამ მხარეში წესრიგის უზრუნველსაყოფად, სამურზაყანო დადიანისათვის ჩამოერთმია. ამ ვითარებაში ისინი აშკარა პროვოკაციაზეც კი წავიდნენ: 1827 წლის ნოემბერში სამურზაყანოელებმა საკუთარი საქონელი დადიანის სანადიროდ განკუთვნილ ნაკრძალში შერეკეს, რომელსაც საგანგებო ყარაული იცავდა.

ეს ტყე მდ. ენგურის ოდიშის სანაპიროზე მდებარეობდა და 8 ვერსით იყო დაშორებული ზუგდიდიდან, ხოლო მდინარის გაღმა ნაპირიდან კი სამურზაყანოელი მარლანიას მამული ესაზღვრებოდა.² დადიანის ყარაულებმა, ბუნებრივია, საქონელი გამოერეკეს ტყიდან. სამურზაყანოელმა მწყემსებმა დახმარებას უხმეს. მათ გამოექომაგა აზნაური მარლანია, რომელიც შეიარაღებული გლეხებით მოვიდა. შელაპარაკებისას სამურზაყანოელებმა დადიანის ყარაული მოკლეს. ამ შემთხვევას წაესწრო ზუგდიდელი აზნაური, რომლის მეზობელიც იყო მოკლული გლეხი. ზუგდიდელმა ამ დანაშაულისათვის სისხლით ზღვევა მოითხოვა. ეს შეკამათებაც ტრაგიკულად დასრულდა: მარლანია სასიკვდილოდ დაიჭრა.³

საბოლოოდ ამ შემთხვევამ სამეგრელოს მძიმე შედეგი მოუტანა: იგი სამურზაყანოელთა და, გარკვეული დროის მანძილზე, აფხაზთა მუდმივი თავდასხმების ობიექტი გახდა.⁴ თავდასხმები თითქმის ყოველდღე და, ძირითადად, ღამით ხდებოდა. ისინი კლავდნენ ან იტაცებდნენ სამურზაყანოსთან მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობას, რომელთაც თურქებზე ყიდდნენ, და მათ საქონელს.⁵

სამურზაყანოელთა მორჩილებაში მოსაყვანად და მშვიდობის აღსადგენად დადიანმა ხელისუფლებისაგან 200-კაციანი რაზმი და ძმების თემურყვა და თადა ანჩაბაძეების, ალექსანდრე მანუჩარის ძე შარვაშიძეს, სესირყვა ემუხვარისა და ჯამბულათ

* „გამოცხადდეს სამურზაყანოს ხაზინის საკუთრებად“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

¹ *Письмо кн. Темуркв Анчабадзе к полк. ин. Бебутову*, გვ. 396.

² *Акты*. Т. VII, დოკ. №326, გვ. 398.

³ *Акты*. Т. VII, დოკ. №326, გვ. 398.

⁴ **მ. დუმბაძე**. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 76.

⁵ *Акты*. Т. VII, დოკ. №326, გვ. 398.

მარლანიას სამურზაყანოდან გაძევება მოითხოვა.¹ როგორც ჩანს, ესენი ამ არეულობების მოთავეები ყოფილან.² პოლკოვნიკმა ვასილი ბებუთოვმა განიხილა ამ პირების საკითხი და მიიჩნია, რომ თემურყვა ანჩაბაძე, რომელსაც თავი არაერთხელ გამოუჩენია რუსეთის სამსახურში, განსაკუთრებით აფხაზეთის 1821 და 1824 წლების აჯანყებების დროს, ანტირუსულად განწყობილ ადამიანად ვერ ჩაითვლებოდა და დადიანი, ვ. ბებუთოვის დასკვნით, მის მოცილებას პირადი უთანხმოების გამო ცდილობდა.³ ლევანმა მაინც მოახერხა თემურყვას 3 წლით რუსეთში გადასახლება, ხოლო მისი ძმა თადა და სესრუყვა (სესირყვა) ემხვარი დააპატიმრებინა.⁴ 1821 წლის აფხაზეთის აჯანყების ჩახშობაში თემურყვა ანჩაბაძის მონაწილეობა ნიკო დადიანსაც აქვს აღნიშნული, როდესაც ჩამოთვლის ხელისუფლების მიერ დაჯილდოებულ სამურზაყანოელებს: „თავად თემურყვა ანჩაბაძე პორუთჩიკობა და პენცია სიკვდილამდის, რომელიც გვემსახურა პერეოჩიკობითა და სხვათა და სხვათა საქციელითა, თავადს შარვაშიძეს ორთა ძმათ, ხუხულობასა და ზურაბს, და თავადს თადა ანჩაბაძეს პრაპორშიკობა“.⁵ დანარჩენების მიმართ ვ. ბებუთოვი უშვებდა, რომ შესაძლებელი იყო ისინი არეულობების მოთავენი ყოფილიყვნენ.⁶

შექმნილი ვითარების შესასწავლად 1828წ. 5 თებერვალს ზუგდიდში იმერეთის მმართველი, გენერალ-მაიორი კარლ ჰესე ჩავიდა. თუმცა, აფხაზები და სამურზაყანოელები მის ყოფნასაც არ ერიდებოდნენ და თავდასხმებსაც ჩვეულებრივ განაგრძობდნენ.⁷ როგორც უკვე აღინიშნა, სავარაუდოდ, მათი მიზანი სწოსწორედ დადიანის უსუსურობის ჩვენება იყო. თუმცა, რუსებმა ეს ისედაც კარგად იცოდნენ: «*Ослушание и неповиновение Самурзаканских князей владетелю Мингрелии кн. Левану Дадиани, были всегда предметом жалоб сего владетеля пред начальством*».⁸

კ. ჰესემ 1828წ. 14 თებერვალს ზუგდიდში სამურზაყანოე-

¹ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

² **თ. ქადარია**. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 113-114.

³ *Акты*. Т. VII, გვ. 396, დოკ. №325.

⁴ **სეასა**. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 46.

⁵ **ბ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211.

⁶ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

⁷ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

* „სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის მიმართ სამურზაყანოელ თავადაზნაურთა მხრიდან გაუგონრობა და დაუმორჩილებლობა, მფლობელის მუდმივი საჩივრის საგანი იყო ხელისუფლების წინაშე“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.)

⁸ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

ლი თავად-აზნაურები დაიბარა. თუმცა მათი ნაწილი დაპატიმრების შიშით რუს გენერალთან არ გამოცხადდა.¹ სავარაუდოდ, ეს ის თავადები იყვნენ, რომელთა გაძევებასაც დადიანი ითხოვდა.

ზუგდიდში ჩასულმა სამურზაყანოელებმა კ. ჰესეს დადიანის მორჩილების პირობა მისცეს.² რაც შეეხება ჯარის დატოვების საკითხს, ლევანს მხოლოდ ერთი ასეული გამოუყვეს და ისიც ზუგდიდში, მის სასახლეში დატოვეს, რადგან, გენერალ ჰესეს მოსაზრებით, ამბოხებულ სამურზაყანოში ასიოდე ჯარისკაცი ვერაფერს გახდებოდა და შესაძლებელი იყო ისინი გაენადგურებინათ კიდეც, რაც უარყოფითად იმოქმედებდა მხარეში რუსეთის პოზიციებსა და, საერთოდ, რუსი ჯარისკაცების სულისკვეთებაზე.³ თუმცა, ამ ასეულის ყოფნა, იმერეთის მმართველის ნიკოლოზ სიპიაგინის მოსაზრებით, სამეგრელოში სამურზაყანოელთა თავდასხმებისათვის შემაკავებელი ფაქტორი იქნებოდა: „*იქმნების მხოლოდ მის თვსა, რამე აღმაშფოთებელთა სამურზაყანოელთა, მხედველთა მათ მახლობარე ჩვენის მხედრობისა, აქედესთ შიში, უკუდგებდნენ ბოროტგანზრახულსა თვთ მნებელობისაგან*“.⁴ გენერალმა ლევანს ძალის გამოყენებით აჯანყების ჩახშობა აუკრძალა და კონფლიქტის მოგვარების საშუალებად მხოლოდ მძევლების ჩამორთმევა მიიჩნია: „*გარნა იარალით მოქმედების ნების დართვათ მათ დამშვიდებისათვს, ჩვენის მხრიდან არ შეიძლება*“.⁵

ლევანმა, როგორც იქნა, დაამარცხა აჯანყებულები, ხოლო მისი მეტოქე, სამურზაყანოს კანონიერი მემკვიდრე, საკუთარი დისშვილი ალექსანდრე, რომელიც ამ დროისათვის სრულწლოვანი იყო, 1829წ. რუსებს ციმბირში გადაასახლებინა.⁶ თუმცა, მან იქ ვერ ჩააღწია და გზაში გარდაიცვალა.⁷ როგორც ჩანს, მისი სი მოშორება დადიანს ძალიან არ გაჭირვებია, რადგან ჯერ კიდევ 1827 წლის დასაწყისში პოლკოვნიკი ვ. ბებუთოვი შეხვდა ალექსანდრეს და მას დადიანის მორჩილებისაკენ მოუწოდა, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.⁸ ა. დიაჩკოვ-ტარასოვის შე-

¹ *Акты*. Т. VII, док. №326, გვ. 397-398.

² *Акты*. Т. VII, док. №326, გვ. 398.

³ *Акты*. Т. VII, док. №326, გვ. 397-398.

⁴ **ნ. თაკვლანძე**. სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 79.

⁵ *Акты*. Т. VII, док. №326, გვ. 398.

⁶ **სეასა**. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 44.

⁷ **ბ. ქავშაია**. სამურზაყანო, გვ. 4.

⁸ *Акты*. Т. VII, док. №325, გვ. 396.

ნიშვნით, ალექსანდრე ბიძამისის ცილისნამების მსხვერპლი შეიქმნა.¹ სავარაუდოდ, ცილისნამებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, ალექსანდრე მანუჩარის ძე საკმაოდ დაუმორჩილებელი პიროვნება იყო, რომელიც გარკვეულ კანონდარღვევებსაც არ თაკილობდა, რასაც ვ. ბებუთოვის მასთან შეხვედრის ფაქტიც ადასტურებს. ცილისნამება რომ ყოფილიყო, ვ. ბებუთოვი ამას აუცილებლად აღიარებდა მის ანგარიშში ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა პირის მიმართ აღნიშნა. ამასთანავე, ერთი საარქივო ცნობით, რომელიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში, ლევანის უფროსი დისშვილი მხილებული იყო მკვლელობასა და სხვა კანონდარღვევებში.²

ამასთანავე, ვფიქრობთ, არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა ალექსანდრე ბიძამისის „ცილისნამების“ მსხვერპლი, როგორც ამას ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აღნიშნავს. თან, როგორც ვნახეთ, ალექსანდრე არც ისე კანონმორჩილიც ყოფილა. აქ მთავარი ისაა, რომ მთავრობამ ლევან დადიანის ბრალდება საფუძვლიანად მიიჩნია. შესაბამისად, რუსეთისთვის სამურზაყანო რომ სამეგრელოსგან დამოუკიდებელი სუბიექტი ყოფილიყო, საეჭვოა, დადიანის ბრალდება ვინმეს ყურად ელო. აქ სავსებით ნათელია, რომ სანკტ-პეტერბურგი ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთს კვლავ ოდიშის ნაწილად მიიჩნევდა. ამიტომაც დადიანის ბრალდებაზე, ვინაიდან ვასალის მიმართ სიუხერენი ჩიოდა, შესაბამისი რეაგირებაც განხორციელდა, ამასთანავე, გრაფი ივ. პასკევიჩი და ბარონი გრ. როზენიც, მანუჩარის შვილებს ლევანის ქვეშევრდომებად აღიარებდნენ.³

ასევე ტრაგიკულად დასრულდა მანუჩარ შარვაშიძის მეორე მემკვიდრის ბედიც. ძმის ბედის შემხედვარე დიმიტრი ხვდებოდა შექმნილ რეალობას და 1833 წელს ისიც აჯანყდა დადიანის ძალმომრეობის წინააღმდეგ.⁴ თუმცა, ეს მისი პირველი გამოსვლა არ იყო ლევანის წინააღმდეგ. საარქივო წყაროებით ირკვევა, რომ ის ჯერ კიდევ 1827წ. არეულობებში მონაწილეობდა და იმ დროიდან აშკარად არ ემორჩილებოდა ბიძამისს.⁵ ეს ფაქტი მთა-

¹ **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии, გვ. 159.

² *Репорт Начальника Отдельного Кавказского Корпуса, Генерал-Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал-Адъютанту, кавалеру Князю Чернышеву от 11 марта 1844 года (№17), – სქასა.* ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 198.

³ *სქასა.* ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 188.

⁴ **თ. ქაღარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 114; **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии, გვ. 159.

⁵ *Дополнение к записке содерожащей опровержение домогательства Князя*

ვარმართველ გრაფ პასკევიჩისთვის ცნობილი იყო.¹ მაგრამ ის მალევე, 1833 წლის 27 თებერვალს, მისსავე სოფელ ქუბურის-ხიდში /*Чубурихиди*/ (ქუბურხინჯი) ლევან დადიანის რაზმელებთან (რომელთაც ტარიელ დადიანი ხელმძღვანელობდა) შეტაკებისას დაიღუპა.² თუმცა, ლევანმა ტრაგიკული შემთხვევა უბედურ შემთხვევას მიაწერა.³ ტარიელი, ო. სოსელიას ვარაუდით, ერთხანს (1832წ.) სამურზაყანოს მმართველიც ყოფილა.⁴ ამ ამბობების დროსაც სამურზაყანოელებთან ერთად, ნებელდელები (დიმიტრი ნებელდელების სიძე იყო⁵) და სხვა აფხაზებიც გამოდიოდნენ. როგორც მთავარმართველი ბარონი გრიგოლ როზენი აღნიშნავდა, სამურზაყანოს არეულობებისკენ სწორედ აფხაზეთიდან და ნებელდიდან აქეზებდნენ.⁶

მანუჩარის ვაჟების მოცილებით, დადიანმა საკუთარ მმართველობას ლეგიტიმურობა შემატა, რადგან სამურზაყანოს მფლობელთა პირველი ხარისხის მემკვიდრედ თვითონ გამოდიოდა, ვინაიდან ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის პირველი განყოფილების 131-ე, 137-ე, 160-ე და 248-ე მუხლებისა და ადგილობრივი ადათის მიხედვით გარდაცვლილის უძრავი ქონება, თუკი მას პირდაპირი მემკვიდრეები არ დარჩებოდა, მთავრის მფლობელობაში უნდა გადასულიყო.⁷ ასეთივე წესი იყო გავრცელებული აფხაზებშიც.⁸ აქედანაც ჩანს, რომ აფხაზები ქართული ფეოდალური კულტურის სამყაროში შედიოდნენ და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ლევან დადიანის ხელისუფლებამ ქართული კანონებითა და აფხაზური ადათებით მიიღო სამურზაყანოს მფლობელობის ლეგიტიმური უფლება. ამიტომ 1835 წელს თ. ტორნაუ აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო,

Дадиани о возвращении ему Самурзакани, – სქასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 188.

¹ *Дополнение к записке, – სქასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 188.*

² *Акты. Т. VIII, док. №301, გვ. 435; სქასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 44.*

³ *Записка о действительной принадлежности владельцу Мингрелии Самурзаканской земли, – სქასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 122-123.*

⁴ **ო. სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან., გვ. 96; თუმცა, ის ერთხანს (1802-1803წწ.) სამეგრელოს მთავარიც კი იყო და, როგორც თ. ბერაძე ფიქრობს, ოტია (II) დადიანის სახელს ატარებდა, მაგრამ რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა (**თ. ბერაძე.** ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური რიგი, გვ. 34).

⁵ **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის., გვ. 116, შენ. 42.

⁶ *Акты. Т. VIII, док. №301, გვ. 436.*

⁷ **ზ. ცინცაძე.** სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების., გვ. 100.

⁸ **Г. А. Дзидзария.** Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, გვ. 122.

რომელიც შარვაშიძეთა მმართველობის დროს, ცალკე სამფლობელო იყო, სამეგრელოსთან ყოფილა მიერთებული.¹ ლევანი სამურზაყანოსაგან მნიშვნელოვან ეკონომიკურ შემოსავალს ღებულობდა. იქაური თავად-აზნაურობა ოდიშის მმართველს, გადასახადების სახით, ყოველწლიურად უგზავნიდა: 2 000 მანეთის ღირებულების საკლავ ძროხასა და შინაურ ფრინველს; დაახლოებით 1 500 მანეთის ღირებულების სხვადასხვა საჩუქარს; შემოსავალს ტყიდან 3 000 მანეთის ოდენობის; საძოვრებიდან – 5 000 მან.; სიმინდის იჯარიდან – 1 500 მან.; ზღვის სარგებლობისათვის – 500 მან.; ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში, სამურზაყანოელები იხდიდნენ ქორწილისა და უბედური შემთხვევისათვის გათვალისწინებულ გადასახადსაც.²

სამეგრელოს მთავრის ხელშეწყობით XIX ს. 30-ანი წლებიდან გააქტიურდა ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობა სამურზაყანოში, რომელიც, მართალია, ქრისტიანულ კუთხედ რჩებოდა, მაგრამ მაინც განიცდიდა სასულიერო პირთა დეფიციტს და ისლამიც იყო მომძლავრებული.³ რა თქმა უნდა, ამას მიზეზი იყო XVII-XVIII საუკუნეების ქართველები, რომელიც ამ მხარეს თავს დაატყდა. ამიტომ XIX ს. 30-ანი წლების დასაწყისში სამურზაყანოსა და აფხაზეთში მიავლინეს მისიონერთა პირველი ჯგუფი არქიმანდრიტ ანტონ დადიანის⁴ წინამძღვრობით, რომელშიც შეშედიოდნენ მღვდელი ვასილ კუცია და ერთი მედავითნე (სოფ. ოქუშში); საბა თოფურია და ერთი დიაკონი (სოფ. გალში); ნიკოლოზ კუპრავა, დავით სვანიძე და მიხეილ გაგუა (სოფ. ნაბაკევში); მარკოზ შონია და მარკოზ არქანია (საბერიოსა და ლეჭარაიეში); დავით ანთელავა (სოფ. დიხაზურგაში); იესე ხოჭოლავა (სოფ. განარჯიას მუხურში); პეტრე ჟღენტი (ილორში); მღვდელი იოანე ჯიქია, დიაკონი ქოიავა, მედავითნე ხოჭოლავა; ბლალორინად იესე მიქაბერიძე დაინიშნა, რომელიც დარჩეულში იჯდა.⁵

¹ Г. А. Дзидзария. Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, გვ. 119; Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 306.

² დავით დადიანის წერილი (1840წ. 21 მაისი), – სქასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 57.

³ Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходо́в, – გაზ.: «Кавказ». №15, 1869, გვ. 3.

⁴ 1833წ. 12 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა, არქიეპისკოპოსმა მოსემ ილუმენი ანტონი არქიმანდრიტად აკურთხა.

⁵ Епископ Кирион. Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX в. и попытка организации в оной миссионерскаго дела в 1831-1834 годах. Каменецк-Подольск, 1902. – სქასა. კირიონ II პირადი ფონდი. საქმე 15, ფ. 7. დოკუმენტი ხელნაწერია და შესრულებულია რუსულ ენაზე. მოიცავს ფურცლებს 1-8.

აღსანიშნავია, რომ ილუმენ ანტონის აფხაზეთში მივლინებას, იქ ქრისტიანობისა აღორძინებისა და განმტკიცების მიზნით, ჯერ კიდევ 1831წ. მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა. იგი აღნიშნავდა, რომ მისი ნათესავი და სამთავრო სახლის წარმომადგენელი მამა ანტონი, რომელიც მოსახლეობაში (მათ შორის – აფხაზებში) ცნობილი იყო, როგორც კარგ მოძღვარი, სანაქებო ქცევისა და ადგილობრივი ენის მცოდნე ადამიანი.¹ როგორც ჩანს, ილუმენი აფხაზურ ენასაც ფლობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მეგრულის ცოდნაზე, ალბათ, მიხეილი ყურადღებას არ გაამახვილებდა. აფხაზეთის მთავარი მოითხოვდა მამა ანტონის მთავარეპისკოპოსად კურთხევას და, შესაბამისად, აფხაზეთის ეპარქიის დაარსებას. თუმცა, მისი თხოვნა ახალი ეპარქიის გამოყოფაზე საქართველო-იმერეთის სინოდმა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირთა ხელმძღვანელობა სამეგრელოს ეპარქიის² კომპეტენციაში დატოვა.³

არქიმანდრიტ ანტონის თანაშემწეებად დაინიშნენ ცაგერის მონასტრის მღვდელმსახურნი: ილუმენები – მამა დავით ახვლედიანი და მამა თეოფანე გაბუნია; მღვდლები – მამა გიორგი ბერიძე და მამა ანდრია გელოვანი; დიაკვნები – მამა პავლე დეკანოზიშვილი და მამა ბასილ ნემსაძე.⁴ როგორც მთავარეპისკოპოს მოსეს 1833წ. 22 ივლისით დათარიღებული ცნობიდან ირკვევა, მიხეილ შარვაშიძეს, აფხაზეთზე ჩერქეზთა მოსალოდნელი შემოსევის გამო, გაუფრთხილებია მამა ანტონი და ამ უკანასკნელსაც იქ გამგზავრებისგან თავი შეუკავებია.⁵

ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობის პირველი დადებითი შედეგი 1832 წლისათვის უკვე სახეზე იყო. ამ დროისთვის ქრისტიანად მოინათლა 1071 სამურზაყანოელი აფხაზი.⁶ ეს ეს იყო ნათელი დადასტურება იმისა, რომ სამურზაყანოელი აფხაზები თავს ქართული სამყაროს ნაწილად აღიქვამდნენ.

¹ **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX в. и попытка организации в оной миссионерского дела в 1831-1834 годах, ф. 1-8.

² 1829წ. ცარიზმმა მორიგი ადმინისტრაციული „რეფორმა“ გაატარა დასავლეთ საქართველოში და ოდიშის სამთავროში არსებული სამი სამღვდელმთავრო (ჭყონდიდი, ცაგერი და ცაიში) გააერთიანა და მას „სამეგრელოს ეპარქია“ უწოდა (**ან. ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ., 2009, გვ. 1099).

³ **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии..., ф. 6.

⁴ **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии..., ф. 7.

⁵ **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии..., ф. 7.

⁶ *Акты.* Т. VIII, док. №172, გვ. 249-250; **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии в первой четверти, ф. 3.

1831 წელს სამურზაყანოში აქტიურად დაიწყო ეკლესიების კურთხევა.¹ ამასთანავე, დღის წესრიგში დადგა ბედიის ტაძრის აღდგენაც, რომელშიც, 1810 წელს ღვთისმსახურება განახლდა, თუმცა მალევე შეწყდა კიდევაც, რადგან 1812წ. ბედიაზე მიტანილი იერიშის დროს, იგი რუსულმა არტილერიამ დააზიანა.² 1832 წელს მიტროპოლიტ დავით წერეთლისა და მისი დის, მართას³ ხელშეწყობით აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, თუმცა ესეც მალევე შეწყდა სამეგრელოს დედოფლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.⁴

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიხეილ შარვაშიძის გააქტიურება სამურზაყანოში შეიმჩნევა XIX. 30-იანი წლების დამდეგიდან, როცა იგი მეტ-ნაკლებად მომაგრდა აფხაზეთის მთავრის ტახტზე.⁵ ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1827 წლის მღვდვარებებში აფხაზეთის მთავარიც იყო ჩართული.⁶ გენერალი კ. ჰესე ნ. სიპიაგინს უპატაკებდა: «*Владетеля Абхазии майора кн. Шарвашидзе запрашивал я о причине побудившей его быть в Самурзакани и наделять там беспорядки*».⁷ როგორც ჩანს, აფხაზეთა ჩართულობა სამურზაყანოელთა მღვდვარებებში მისი ნებართვის გარეშე არ ხდებოდა.⁸ მიუხედავად იმისა, რომ მამამისმა სამურზაყანო ოფიციალურად დადიანის საკუთრებად ცნო, ახალგაზრდა აფხაზი მთავარი ამის აღიარებას არ აპირებდა. ეს ეჭვქვეშ აყენებდა სამურზაყანოზე დადიანის უფლებების ლეგიტიმურობას.⁹ მოგვიანებით იგი წერდა, რომ „*არასოდეს დაუკარგავს იმედი, რომ რუსეთის ხელმწიფე მის უფლებებს სამურზაყანოზე ცნობდა*“.¹⁰

¹ **Епископ Кирион.** Состояние христианства в Абхазии, ფ. 3.

² **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 364.

³ ლევან V დადიანის მეუღლე.

⁴ **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 382.

⁵ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 147; **З. В. Папаскири** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 113.

⁶ *Акты.* Т. VII, დოკ. №326, გვ. 398.

* „აფხაზეთის მფლობელ მაიორს თავად შარვაშიძეს შევეკითხე იმ მიზეზების თაობაზე, რის გამოც ის იმყოფებოდა სამურზაყანოში და შეჰქონდა იქ არეულობა“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

⁷ *Акты.* Т. VII, დოკ. №326, გვ. 398.

⁸ **ნ. თაკვალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 78.

⁹ **ნ. თაკვალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, გვ. 78.

¹⁰ **ნ. თაკვალანძე.** სამურზაყანოს საკითხი..., გვ. 78-79.

ლევან დადიანისა და მიხეილ შარვაშიძის ქიშპობა სამურზაყანოს გამო განსაკუთრებით XIX ს. 30-ანი წლებიდან გააქტიურდა, რაც რუსეთის ხელისუფლებას ძალიან აშფოთებდა. ბარონი გრ. როზენი ამ კუთხეს სამეგრელოს ნაწილად («...в Мингрелии и подвластных ей владетелю местях, к числу коих **реши-тельно принадлежит и Самурзакань**»¹) მიიჩნევდა და ამ მხრივ დადიანს მისი აშკარა მხარდაჭერაც ჰქონდა.² თევდორე ტორნაუ ნაუ კი წუხდა, რომ სამურზაყანო რუსებმა სამეგრელოს მიაკუთვნეს.³ აშკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა უკვე სამთავროების გაუქმებაზე იყო ორიენტირებული. მისთვის ზედმეტი ჩანდა ადგილობრივ მთავართა არსებობა. დადიანი კი იყო რუსების ერთგული, მაგრამ მისი შემდგომი გაძლიერებაც დაუშვებელი იყო.

1832წ. რუსებმა მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, იქ სადაც მდინარე ორ ტოტად იყოფა, თანამედროვე თაგილონის ტერიტორიაზე ათანგელოს ციხე ააგეს და შიგ რუსული გარნიზონი ჩააყენეს.⁴ ათანგელო ჰკეტავდა სამეგრელოში შემოსავლელ გზას და, ფაქტობრივად, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრების კონტროლის მექანიზმს წარმოადგენდა.⁵ მისი მდებარეობაც საყურადღებო იყო, რადგან რუსებმა დადიანს საზღვარი ენგურზე გაუვლეს.⁶ ამ გარნიზონს ხელმძღვანელობდა პოდპოლკოვნიკი გედრიმოვიჩი.⁷ მისი მოვალეობა სამურზაყანოს მეთვალყურეობა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადიანი თავის უფლებებს სამურზაყანოზე მაინც აგრძელებდა: იძლეოდა განკარგულებებს, არჩევდა სამოქალაქო საქმეებს და სხვა.⁸ ვფიქრობთ, რომ ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან ათანგელოში ჯარის

* „სამეგრელოსა და მისი მფლობელის ხელისუფლების ქვეშ მყოფ მინებში, რომელსაც უკვლევლივ მიეკუთვნება სამურზაყანოც“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

¹ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 107.

² Акты. Т. VIII, док. №338, 339, გვ. 453.

³ Ф. Ф. Торнау. Воспоминания кавказского офицера, გვ. 53.

⁴ Ф. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. Т. I, გვ. 161-162; მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 76; მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 268.

⁵ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 76; მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 268.

⁶ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 114.

⁷ Акты. Т. VIII, док. №301, გვ. 435.

⁸ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 78.

ჩაყენების მიუხედავად, იმ ხანებში ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში ლევანის უფლებების შეზღუდვაზე ჯერ კატეგორიულად არ ფიქრობდნენ.¹

როგორც ზემოთ ვნახეთ, 1827 წლის არეულობების დროს, რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარი უთხრა ლევან დადიანს სამურზაყანოში რუსული შეიარაღებული რაზმების დისლოცირებაზე სიმშვიდის უზრუნველყოფისათვის და მხოლოდ ერთი ასეული დაუტოვა მას, ისიც ზუგდიდში. მაგრამ 30-იანი წლების დასაწყისიდან ოდიშის სამთავროში დაიწყო რუსული არმიის ნაწილების რაოდენობის გაზრდა. პირველ რიგში, ეს უკავშირდებოდა შავიზღვისპირა ხაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ჩვენ მიერ მიკვლეულ საარქივო დოკუმენტებში ჩანს, რომ უკვე 1831წ. 21 აგვისტოს რედუტ-კალეში იდგა სამეგრელოს ქვეითთა პოლკის II ბატალიონის შტაბი, გრენადერთა II და მუშკეტერთა IV ასეულები.²

ოდიშის სამთავროში ასევე დისლოცირებული იყო სამეგრელოს ქვეითთა პოლკის მუშკეტერთა V და VI ასეულები.³ მაგრამ მოკლე ხანში ეს ნაწილები იმერეთში გადაისროლეს, თუმცა მალე, 1832წ. 3 თებერვალს პოლკოვნიკმა ტიხარევმა უკან, სამეგრელოში, დაბრუნება მოითხოვა, ვინაიდან ახალი დისლოცირების კლიმატი შედარებით მძიმე ერჩენათ. ამასთანავე, იგი თავის მოთხოვნას იმითაც ასაბუთებდა, რომ აუცილებელი იყო ათანგელოს სიმაგრის გაძლიერება.⁴

წყაროში არ ჩანს, თუ ვისგან ესაჭიროებოდა ამ ფორტს გამაგრება. სავარაუდოდ, საქმე ეხებოდა პოტენციური არეულობების საფრთხეს სამურზაყანოში. ტიხარევის მოთხოვნა ძალიან მალე, 5 თებერვალს, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და რედუტ-კალეში დაბრუნდა მუშკეტერთა V ასეული.⁵

თუმცა, დადიანი თანდათან კარგავდა რუსების მხარდაჭერას სამურზაყანოში. მითუმეტეს, რომ ციხესიმაგრე ათანგელო

¹ სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 6.

² *Рапорты о положении и передвижении войск в Гурии, Мингрелии и Имеретии и сообщения военных столкновениях с горцами*, – სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 311, ფ. 7.

³ *Рапорты о положении и передвижении войск в Гурии, Мингрелии и Имеретии и сообщения..*, – სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 311, ფ. 4-5.

⁴ *Рапорты о положении и передвижении войск в Гурии, Мингрелии и Имеретии и сообщения военных столкновениях с горцами*, – სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 311, ფ. 4-5.

⁵ *Рапорты о положении и передвижении войск в Гурии, Мингрелии и Имеретии и сообщения..*, – სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 311, ფ. 8, 13.

ააგეს ენგურზე და არა – ღალიძგასთან. მიხეილ შარვაშიძემ მიიჩნია, რომ რუსეთის იმპერია სამურზაყანოს აფხაზეთს უბრუნებდა. 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა ილორის მოსახლეობა მის ერთგულებაზე დააფიცა. ეს სოფელი, რომელშიც 70 კომლი ცხოვრობდა, ეკლესიის კუთვნილება იყო და იქაური მოსახლეობა გადასახადს არ უხდიდა არც ოდიშის მთავარს და არც – აფხაზეთისას.¹ მართალია, რუსეთი თანდათან იწყებდა დადიანის უფლებების და გავლენის შეზღუდვას სამურზაყანოზე, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ უპირატესობას მიხეილ შარვაშიძე მოიპოვებდა. ამიტომ ბარონმა გრ. როზენმა 1834წ. 12 ივნისს მკაცრი ტონით მოსთხოვა მიხეილს ამ თვითნებობის აღკვეთა და მისი სამთავროს საზღვარიც მკაფიოდ მიუთითა: *«Я не могу не удивляться, что вы решились на такое самоуправство в чужом владении; ибо известно правительству, что живою границею между Мингрелией и Абхазиею служит р. Галидзга. А как сел. Илори находится на левом берегу оной, то и не может принадлежать к Абхазии»*.²

მთავარმართველმა მოითხოვა, რომ მიხეილს წერილობით გაეუქმებინა ილორელთა ფიცი მის ქვეშევრდომობაზე, დაებრუნებინა მძევლები და მათთვის გამოეცხადებინა, რომ მათი ხელისუფალი იყო სამეგრელოს მთავარი.³ ბარონმა როზენმა აფხაზეთის მთავარს დაავალა მისი ამ მითითებების შესრულება ასახულიყო დოკუმენტალურად და იგი თბილისში გაეგზავნა, საიდანაც მერე სანკტ-პეტერბურგში გადაიგზავნებოდა.⁴

ბუნებრივია, ამ საბუთებში იქნებოდა აფხაზეთის მთავრის აღიარება, რომ ილორი ეკუთვნის სამურზაყანოს, ხოლო სამურზაყანოს მფლობელი კი დადიანია. როგორც ჩანს, საქართველოს მთავარმართველს უკვე დავალებული ჰქონდა შეეგროვებია შესაბამისი დოკუმენტაცია, რადგან სამურზაყანოში რუსული ადმინისტრაციის შესვლის შემდეგ, აფხაზეთის მთავრის პრეტენზიები მისივე სიტყვებითვე ყოფილიყო გაბათილებული.

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 71.

* „მე არ შემძლია გამოვხატო გაკვირება, რომ თქვენ გადანყვიტეთ ამგვარი თვითნებობა სხვის სამფლობელოში; რამეთუ ხელისუფლებისათვის ცნობილია, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვარს მდ. ღალიძგა წარმოადგენს. ვინაიდან სოფ. ილორი მდებარეობს ამ მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ამიტომ იგი შეუძლებელია აფხაზეთს მიეკუთვნებოდეს“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

² Акты. Т. VIII, док. №325, გვ. 449.

³ Акты. Т. VIII, док. №325, გვ. 447.

⁴ Акты. Т. VIII, док. №325, გვ. 447.

მიხეილი იძულებული გახდა ბარონ როზენის „მითითებებს“ დამორჩილებოდა და 1834 წლის 20 ივნისს მთავარმართებლისადმი გაგზავნილ წერილში აფხაზეთის მთავარმა ოფიციალურად აღიარა, რომ მისი ხელისუფლება ილორზე არ ვრცელდებოდა: *«Не отвергая с моей стороны, что селение Илори, как лежащее на левом берегу реки Галидзги, принадлежит к Мингрелии, я, согласно требованию Вашего Высочайшего Высочайшего Представительства, объявляю о сем Илорцам, и объявление это препровождаю для отправления куда следует»* (ხაზგასმულია დოკუმენტში, – ვ.ვ.).¹ მიხეილმა განაცხადა, რომ ეს დასახლებული პუნქტი ლევან დადიანის სამთავროს ნაწილი იყო.² იგივე დააფიქსირა მან 1834წ. 28 ივლისსაც.³ მაშინ, როდესაც მიხეილი ბარონი როზენის წინაშე თავის მართლებით იყო დაკავებული, მისი უმცროსი ძმა ალექსანდრე ნებელდელებთან ერთად სამურზაყანოზე თავდასხმის გეგმაზე მუშაობდა. 1834წ. 25 ივლისს მთავარმართებელმა თამარ შარვაშიძეს ალექსანდრეს თბილისში გაგზავნა „ურჩია“; როზენი კაცია დადიანის ასულს ჰპირდებოდა, რომ მის შვილს არ დააპატიმრებდა.⁴

დროებითი უკანდახვევის მიუხედავად, მიხეილი მაინც არ აპირებდა სამურზაყანოზე ხელის აღებას. მან გადაწყვიტა დადიანის „ციხე“ შიგნიდან გაეტეხა და ამგვარად დაესუსტებინა თავისი ბიძაშვილი. ამ გეგმის განსახორციელებლად, 1836წ. იანვარში მან ცოლად შეირთო ლევან დადიანის სახლიკაცის, გიორგი დადიანის ქალიშვილი ალექსანდრა (ცუცა).⁵ მიხეილის მიზანი ზუსტად იყო გათვლილი – მისი სიმამრი ლევან დადიანის ოპო-

* „ჩემი მხრიდან არ უარვყოფ, რომ სოფელი ილორი, როგორც მდინარე დალიძის მარცხენა სანაპიროზე მდებარე, სამეგრელოს მიეკუთვნება, მე, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ამის შესახებ განუცხადებ ილორელებს, და ამ განცხადებასაც გაახლებთ, რათა გააგზავნოთ იქ სადაც ჯერ არს“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

¹ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли...*, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 14.

² სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 6-7.

³ **ნ. თაკალანძე.** სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა..., გვ. 80.

⁴ *Акты.* Т. VIII, დოკ. №331, გვ. 449.

⁵ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, გვ. 133; **ზ. პაპასეიერი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 149; **3. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 114; **თ. ქადარია.** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 115-116. ცუცად მას შინაურები მოიხსენიებდნენ. იგი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის დედა იყო (**ო. სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ნაწ. III, გვ. 105).

ზიცის ერთ-ერთი მეთაური იყო.¹ მ. დუმბაძის ვარაუდით, გიორგი დადიანმა ხელი შეუწყო ამ ქორწინებას.² შესაძლებელია, მიხეილის მიერ ცუცვას გატაცება, საერთოდ, მომავალი სიძე-სიმამრის მიერ წინასწარ დაგეგმილიც კი იყო, რადგან ლევანი V ამ ქორწინებას არ დაუშვებდა და „გატაცების“ ლეგენდით კი სამეგრელოს მთავარი მას ხელს ვერანაირად შეუშლიდა.

აღსანიშნავია, რომ აქამდე, აფხაზეთის მთავარი უკვე ორჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე დედამისის მიერ აღზრდილი „ჩერქეზი ქალი“ იყო,³ ხოლო მეორე სამეგრელოს თავადის ნიკო დადიანის ასული – მარიამი.⁴ თუმცა, საკუთრივ მიხეილი ორივე ამ ქორწინებას ძალდატანებით თავს მოხვეულებად თვლიდა.⁵ აღსანიშნავია, რომ 1833წ. მეორედ ქორწინება მან თავისი ბიძაშვილის ლევან V-ს ასულ ნინოზე მოინდომა.⁶ აფხაზეთის მთავრის ეს „სურვილი“, თავისი არსით და მართლმადიდებლური ქრისტიანობის მორალიდან გამომდინარე, აღმამფოთებელი იყო, რადგან სისხლის აღრევის ნიშნებს შეიცავდა. ბუნებრივია, მიხეილმა ამის თაობაზე ბარონ გრ. როზენის რისხვა დაიმსახურა.⁷ აფხაზეთის მთავარი სრულიად ურცხვად და თავხედურად აცხადებდა, რომ ეს ქორწინება მეგრელებსა და აფხაზებს შორის მშვიდობის დამყარებას შეუწყობდა ხელს და მთავარმართებელს სთხოვდა, ამ ქორწინებისათვის ხელი არ შეემალა.⁸

ბარონმა როზენმა სამართლიანად არ გაიზიარა საფარ-ბეის შვილის ეს „არგუმენტები“ და ქორწინებაც არ შედგა. მთავარი არ აკონკრეტებდა, როგორ დამყარდებოდა მშვიდობა ორ სამთავროს შორის, თუკი ამას ხელი ვერ შეუწყო ბიძაშვილ-მამიდაშვილურმა ურთიერთობებმა. საეჭვოა, რომ ლევან დადიანი ქალიშვილს მზითევში სამურზაყანოს დაუმტკიცებდა. თუმცა,

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 115.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 84.

³ მას უშვილობის გამო გაშორდა. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 133.

⁴ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 149; 3. Папаскири. Абхазия. История без фальсификации, გვ. 114; თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 115-116.

⁵ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 116.

⁶ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 148.

⁷ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 148-149.

⁸ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 115.

როგორც თ. ქადარია ვარაუდობს, სამეგრელოს მთავარი არ იყო ნინაალმდეგი ამ ქორწინებისა, მაგრამ როზენის, რომელიც, მკვლევრის აზრით, სამეგრელო-აფხაზეთის შესაძლო ალიანსმა დააფრთხო, მკაცრმა ტონმა ისიც საგონებელში ჩააგდო.¹ ვფიქრობთ, მაერთებულა მ. დუმბაძის დასკვნა, რომ ლევანის ამ უარის მიზეზი ორ მთავარს შორის არსებული ახლო სისხლისმიერი ნათესაობა იყო.² ამის გამო მიხეილი იქადნიდა, რომ ლევანს სისხლით აზღვევინებდა აფხაზეთის მთავრის ამ შეურაცხყოფას.³ აფხაზეთის მთავრის მესამე ქორწინებაც საქართველოს მთავარმართველმა უკანონოდ მიიჩნია.⁴ თუმცა, ხელისუფლებამ საბოლოოდ მაინც სცნო ეს ქორწინება, რომელიც საეკლესიო წესებით შესრულდა და ალექსანდრა დადიან-მარვაშიძისას წმიდა ეკატერინეს ორდენი გადასცეს.⁵

ამ ქორწინებამ ლევან დადიანის აღშფოთება მაინც გამოიწვია და მან გიორგი მდივანბეგთუხუცესობიდან გადააყენა.⁶ ნიკო I „დიდი“ დადიანის („ქართველთა ცხოვრების“ ავტორი)⁷ შერისხული მემკვიდრე ჯერ სვანეთში, ხოლო იქიდან კი აფხაზეთში გადავიდა. ამ შემთხვევამ „დიდი“ ნიკოს შთამომავლებსა და სამეგრელოს მთავარს შორის უთანხმოება გაამწვავა, რომელიც სამთავროს არსებობის ბოლომდე გაგრძელდა.⁸

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 114-115.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 84.

³ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 115.

⁴ *Акты*. Т. VIII, დოკ. №338, გვ. 453.

⁵ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 133.

⁶ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 84; მდივანბეგთუხუცესის ანუ მსაჯულთუხუცესის სახელო სამეგრელოში XIXს-ის დამდეგიდან ივარაუდება და პირველად ეს სახელო 1806 წლით დათარიღებულ ერთ შეწირულობის წიგნშია ნახსენები. მდივანბეგების მოვალეობა გასამართლება და განაჩენის გამოტანას წარმოადგენდა. მდივანბეგთუხუცესი მთავრის შემდეგ ყველაზე დიდი მოსამართლე ყოფილა და გავლენითაც პირველი იყო. მსაჯულთუხუცესის სახელო 1806-1834 ნიკო I დადიანს ეჭირა (ა. ტულუში სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 247-248).

⁷ XIXს. I ნახევარში სამეგრელოს სამთავროში ორი ნიკო დადიანი მოღვაწეობდა. ნიკო I იყო ოტია დადიანის შვილიშვილი და ლევან დადიანს მამის ბიძაშვილად ერგებოდა; ნიკო II კი შვილიშვილის შვილი იყო და ნიკო I-ს ერგებოდა ბიძაშვილის შვილად, ხოლო ლევან V-ს კი, შესაბამისად, მამის ბიძაშვილის შვილად (ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 10). ნიკო I-ს ასევე „დიდის“ ეპითეტიტ მოიხსენიებენ, რაც ორი გარემოებით იყო განპირობებული: ა) მისი პიროვნებისა დიდი გავლენითა და ავტორიტეტით და ბ) ის ასაკით უფროსი იყო მეორე ნიკოზე. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, მიხეილის მეორე და მესამე მეუღლეები ერთმანეთის სისხლისმიერი ნათესავები იყვნენ.

⁸ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 84.

1836წ. გაზაფხულზე ოდიშარი თავადების, კაცია და გიორგი ჩიჩუების მეთაურობით სამეგრელოში ლევან V-ის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მიხეილის სიმამრის ძმები.¹ 1836წ. 27 აპრილის წერილით, ბარონმა როზენმა ლევანს გიორგი დადიანის დაპატიმრება და მისი ქუთაისში გაგზავნა დაავალა.² თუმცა მთავარმართებლის განკარგულება სამეგრელოს ხელისუფლებამ ვერ შეასრულა.

ოდიშში დაწყებული არეულობა მალე ენგურ-ლალიძეებს შუამდინარეთსაც მოედო. ამ აჯანყების დაწყება გრ. როზენმა სავსებით სამართლიანად მიხეილ შარვაშიძის მესამე ქორწინებასთან დააკავშირა და პირდაპირ დაადანაშაულა აფხაზეთის მთავარი სამურზაყანოში, რომელიც მთავარმართებლის მტკიცებით, სამეგრელოს მთავარს ეკუთვნოდა, ვითარების არევაში.³

სავარაუდოდ, სიძე-სიმამრს უკვე კოორდინირებული მოქმედებები ჰქონდათ დასახული და სამეგრელოში ხელისუფლების შეცვლასაც გეგმავდნენ. 1836წ. 20 აგვისტოს ლევანის მემკვიდრე დავითი თავის ძმას გრიგოლს სწერდა: „გიორგი დადიან აფხაზეთშია, რევს მიხეილს, ბუნტაობს აფხაზეთი, ქედ-ფიცხულობს და ორივენი მექადნიან სიკვდილს“.⁴

მაგრამ გულხელდაკრეფილად არც ლევან დადიანი მჯდარა. ისიც ცდილობდა მამიდაშვილისთვის საშინაო პრობლემების იმდენად გამწვავებას, რომ მას სამურზაყანოზე ფიქრისათვის დრო არ დარჩენოდა. მიხეილს კი მართლაც რთული ვითარება ჰქონდა სამთავროში. 1827 წელს, ექვსწლიანი გადასახლების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში დააბრუნა ქელემ-ბეის შვილი ჰასან-ბეი, რომელიც თავის დროზე ასლან-ბეის უჭერდა მხარს და ისიც ეწინააღმდეგებოდა საფარ-ბეის გამთავრებას. ეს ის ჰასანია, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მანუჩარ შარვაშიძის ქვრივზე მოინდომა დაქორწინება.

ჰასან-ბეის დიდი ავტორიტეტი გააჩნდა იმ აფხაზებში, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ სამთავროში არსებული ვითარებით.⁵ მოსახლეობის ამ ნაწილის დაშოშმინებას რუსეთის ხელისუფლება ჰასან-ბეის მეშვეობით აპირებდა, რადგან, ერმოლოვის მოსაზრებით, სამშობლოდან 6-წლიანი გადასახლება საკ-

¹ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 28.

² თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 28.

³ *Акты*. Т. VIII, დოკ. №338, გვ. 453.

⁴ თ. ქადარია. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში, გვ. 28-29.

⁵ **Ф. Ф. Горнау.** Воспоминания кавказского офицера, გვ. 52; *ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ*, გვ. 219.

მარისი იყო იმისთვის, რომ მიხეილ შარვაშიძის ბიძას თავი დაენებებინა სამთავრო ტახტზე ფიქრისათვის.¹ ასეთი მოსაზრება საკუთრივ აფხაზეთის მთავარსაც გასჩენოდა და ამიტომ მანაც იშუამდგომლა ბიძის დასაბრუნებლად, მაგრამ ჰასან-ბეი არ აპირებდა მიხეილ შარვაშიძის ერთგული ვასალის როლის თამაშს და ამიტომ XIX ს. 30-იან წლებში ბიძა-ძმისშვილის ფარული დაპირისპირება აშკარა კონფრონტაციაში გადაიზარდა.² ბუნებრივია, ეს ვითარება ხელსაყრელი იყო ლევან დადიანისათვის და ამ დაპირისპირებაში ის ჰასან-ბეის ფარულად უჭერდა მხარს.³

სამეგრელოს მთავარმა შეძლო სამეგრელოსა და სამურზაყანოში ამბოხებულთა დაშოშმინება, მაგრამ დამარცხებული მიხეილი სამურზაყანოში კვლავ არეულობების განახლებაზე ფიქრობდა. იმავე წლის ნოემბერში რუსული ადმინისტრაციისთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის მთავარი სამურზაყანოზე თავდასასხმელად ემზადებოდა და ამ მიზნით მოუწვევია რამდენიმე ასეული ჯიქი, ხოლო მისი ძმა ალექსანდრე კი ისევ ნებელდაში წასულა.⁴ თამარ დადიანი-შერვაშიძისამ რუსებს ოფიციალურად აცნობა, რომ მისი შვილი დადიანის უფლებას სამურზაყანოზე არ ცნობდა და აპირებდა სამურზაყანოელთათვის მძევლების ჩამორთმევას: *«ибо он считает сей округ неправильно присвоенным владетелем Мингрелии»*.⁵ რუსებმა სასწრაფოდ გააძლიერეს სოფ. სოფ. ილორთან დისლოცირებული სამხედრო ნაწილები და, ამასთან, 2 ასეული ენგურთანაც დააყენეს.⁶ ილორთან 500 კაციოთ ლევან დადიანიც მოვიდა თავის მემკვიდრე დავითთან ერთად.⁷ რუსებისა და ოდიშარების ასეთმა სერიოზულმა პრევენციულმა ზომებმა მიხეილს თავისი გეგმის განხორციელებაზე ხელი ააღებინა და იძულებული გახადა ამჯერადაც უკან დახეულიყო. 3 ნოემბერს მან აფხაზეთში განლაგებული რუსული რაზმების სარდალს გენერალ-მაიორ ა. გ. პანცოვსკის განუცხადა,

¹ **А. Пахомов.** Записка об именах князя Георгия Шервашидзе, – იხ.: *ირ. ანთელავა, გ. ძიძარია.* მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, – წგნ.: *საისტორიო მოამბე.* ტ. 7. თბ., 1953, გვ. 233; **ბ. თაკვალანძე.** შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიისათვის აფხაზეთში..., გვ. 77.

² **ბ. თაკვალანძე.** შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 77.

³ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания кавказского офицера, გვ. 65.

⁴ *Акты.* Т. VIII, დოკ. №339, გვ. 453-454.

* „რამეთუ ის მიიჩნევს ამ მხარეს სამეგრელოს მფლობელის მხრიდან უმართებულოდ მითვისებულს“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

⁵ *Акты.* Т. VIII, დოკ. №339, გვ. 453-454.

⁶ *Акты.* Т. VIII, დოკ. №339, გვ. 454.

⁷ *Акты.* Т. VIII, დოკ. №339, გვ. 454.

რომ სამურზაყანოსთან დაკავშირებით მას არანაირი ავი ზრახვები არ ჰქონია და დედამისმაც რუსებს არასწორი ცნობები მიაწოდა.¹ მ. დუმბაძე შეცდომით ვარაუდობდა, რომ სოფელი ილორი, რომელიც მიხეილმა 1834 წელს დაიკავა, მხოლოდ ახლა დათმო.² როგორც აღვნიშნეთ, მან ეს სოფელი იმავე წელსვე გაათავისუფლა.

სამურზაყანოში აფხაზეთ-ოდიშის დაპირისპირება უარყოფითად მოქმედებდა მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. თუკი 100 წლის წინ სამურზაყანო „აღყვავილებული“ იყო, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ორ სამთავროს შორის მუდმივი სამხედრო დაძაბულობისა, თუ დადიანის წინააღმდეგ პერმანენტული ამბოხებების და ტყვეთა სყიდვის გამო იგი მეტად გავერანებული და გაოხრებული ყოფილა. მოსახლეობის უმთავრესი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო, მაგრამ მონეული მოსავალი იმდენად მწირი იყო, რომ მარტო საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თუ ჰყოფნიდათ.³ მეურნეობის ეს დარგი რეგიონისთვის, ძირითადად, ტრადიციული იყო.⁴

უკ ფრანსუა გამბას მონუმენტით, რომელიც სამურზაყანოში 1820-1824 წლებში იმყოფებოდა, აქ დამუშავებული მიწები იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო დარჩენილი მოსახლეობა, 800 ოჯახამდე, ძირითადად, მთიან ზოლში ცხოვრობდა, ბარი კი – დაცარიელებულა.⁵ განსხვავებულ ციფრებს იძლევა ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი. მან კავკასიაში, გამბას შემდეგ, 1825-1826 წლებში იმოგზაურა. ედუარდ აიხვალდის მონაცემებით, სამურზაყანოში დაახლოებით 1 798 კომლი ცხოვრობდა 10 788 მოსახლით.⁶

როგორც ჩანს, ე. აიხვალდის ცნობა გაცილებით სანდო უნდა იყოს, რადგან XIX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, როდესაც სამურზაყანოს ტერიტორია რამდენადმე შემცირებულიც კი იყო, ამ მხარეში 10 100 ადამიანია დაფიქსირებული.⁷ თუმცა, ეს მონაცემებიც, ალბათ, შედარებით მაინც არაზუსტი იქნებოდა,

¹ *Акты*. Т. VIII, док. №339, გვ. 454.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 77.

³ *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 134.

⁴ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 106. წარსულში აქ საფეიქრო მრეწველობა ჰყვავდა. თუმცა XVIII-XIXსს. ეს დარგი სამურზაყანოში დაკნინებული ჩანს. **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 121.

⁵ უკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 122-133.

⁶ ედუარდ აიხვალდი *საქართველოს შესახებ*, გვ. 223.

⁷ **Д. Романовский**. Кавказ и кавказская война, გვ. 258.

რადგან 1867 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამურზაყანოში 22 000 ადამიანი ცხოვრობდა.¹ რუსი მოხელეების გამოთვლებით, XIX საუკუნის 40-იანი წლების I ნახევარში სამურზაყანოში ცხოვრობდა 2 064 — 3 000 კომლი.² თუკი კომლის საშუალო რაოდენობად 4 სულს მივიჩნევთ, მაშინ სამურზაყანოს მოსახლეობა 12 ათასით უნდა განისაზღვროს. სხვა მონაცემებით, 1847 წლისათვის სამურზაყანოში 6-დან 8 ათასამდე სული ცხოვრობდა.³ ვფიქრობთ, ეს ციფრები მთლად ზუსტი არაა. როგორც ირკვევა, შეჭირვებული სამურზაყანოს მოსახლეობა ძირითადად სამეგრელოს სამთავროს შიდა რაიონებისკენ – ნალენჯიხა, ზუგდიდი, მარტვილი და სხვა მიმართულებით გადაადგილდებოდა.⁴ შედარებითი სიმშვიდის პირობებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილი ისევ უკან ბრუნდებოდა, თუმცა XIX საუკუნეში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მეფის რუსეთის მოხელეები მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ.⁵

უშედეგო ძალისმიერი ქმედებების შემდეგ, მიხეილმა სამურზაყანოს დაუფლება ამჯერად უკვე „კანონიერი“ გზით – საქართველოს რუსულ ადმინისტრაციაში საჩივრების გაგზავნით მოინდომა. 1838 წლის აგვისტოში მან მთავარმართებელ გენერალ ევგენი გოლოვინს (1838-1842) სარჩელით მიმართა და მოითხოვა სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრის დადგენა.⁶ აფხაზეთის მთავარი დადიანთა სახლს ბრალს დებდა სამურზაყანოს მიტაცებაში.⁷ მისი მტკიცებით, ლევანს არ ჰქონდა ლეგიტიმური უფლებები სამურზაყანოზე, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოს საზღვარი უნდა გავლებულიყო მდ. ისხურეიზე, ნაცვლად – ღალიძგისა. ამიტომაც იგი ითხოვდა, რომ ეს საქმე იმერეთის სასამართლოს განეხილა.⁸ მიხეილმა ე. გოლოვინი აშკარად მოატყუა

¹ ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა, – წგნ.: ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993, გვ. 62; ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: სიყალბე და რეალობა, – წგნ.: ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა. თბ., 1995, გვ. 81.

² სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 57, 134.

³ Акты. Т. X, დოკ. №256, გვ. 248.

⁴ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 68.

⁵ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 68.

⁶ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 5.

⁷ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

⁸ ნ. თაკალანძე. სამურზაყანოს საკითხი..., გვ. 80.

იმით, რომ სამურზაყანო, თითქოს-და, ბაბუამისს, ქელემ-ბეის, ემორჩილებოდა.¹

ამ მოვლენებამდე ცოტათი ადრე კი აფხაზეთის მთავარმა დადიანის წინააღმდეგ დემარში მოაწყო და სოხუმში სამურზაყანოელ შარვაშიძეებს მოუყარა თავი.² იმავე წლის 20 დეკემბერს იმერეთის მმართველმა გენერალმა იოაკიმე (ეკიმ) ესპეხომ ლევანი ამ სარჩელის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა.³ სამეგრელოს ლოს მთავარმა 1839წ. იანვრის დასაწყისშივე პასუხი გაუგზავნა ე. გოლოვინს, სადაც ვერ მალავდა თავის აღშფოთებას, რომ მისი მამიდაშვილი უსაფუძვლო სარჩელით ცდილობდა სასამართლო პროცესის წამოწყებას, რომელშიც დადიანი დაბარებული იქნებოდა, როგორც იმერეთის რიგითი მოქალაქე. ლევანი ამას მისი ღირსების შელახვად მიიჩნევდა და სამეგრელოს მთავრის საკითხი მხოლოდ საქართველოს მთავარმართებლის კომპეტენცია იყო.⁴ სამეგრელოს მთავარი განმარტავდა, რომ სამურზაყანო მას მემკვიდრეობით ერგო და, ამასთანავე, ამ კუთხეზე მისი უფლებების დასადასტურებლად გიორგი და მიხეილ შარვაშიძეებთან დადებულ 1818-1827წწ. ხელშეკრულებებს იმონებდა.⁵

რუსეთის ხელისუფლება უკვე მომზადებული იყო დასავლეთ საქართველოში ახალი პოლიტიკური სისტემის შესაქმნელად, რაც გულისხმობდა ადგილობრივ სამთავროების გაუქმებასა და პირდაპირი რუსული მმართველობის დამყარებას. ამ პოლიტიკის პირველი მსხვერპლი იმერეთის სამეფო შეიქნა 1810 წელს, 1829 წელს – გურია, ხოლო 1837 წელს მათ ნებელდაც მიჰყვა. ამ უკანასკნელის დამორჩილება მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ნარმატება იყო რუსეთისთვის კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლაში. რუსეთის ასეთ გააქტიურებას ხელი თურქეთთან 1828-1829წწ. ომში გამარჯვებამ და 1829წ. 2(14) სექტემბერს დადებულმა ანდრიანოპოლის ზავმა შეუწყო, რომლის VI მუხლი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და საქართველოს შეეხებოდა.⁶ კერძოდ, რუსეთმა მიიღო მთელი შა-

¹ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სება.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 19.

² **ზ. ცინცაძე.** სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების..., გვ. 97.

³ *დადიანთა ფონდი*, №190, დოკ. №7486.

⁴ *დადიანთა ფონდი*, №190, დოკ. №7486.

⁵ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего.., – სება.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

⁶ **Г. А. Дзидария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 52.

ვი ზღვის სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან წმიდა ნიკოლოზის საგუშაგომდე (შეკვეთილი, გურია) ციხეებით: ანაპა, სუჯუნყალე და ფოთი; ოსმალეთმა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ცნო ქართლ-კახეთი, სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი და ახალციხე), იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი.¹ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1825-1855) ჯერ კიდევ 1829 წელს საქართველოს მთავარმართველ გრაფ ივანე პასკევიჩს (1827-1830) დაუსახა სრულიად ნათელი გეგმა: «*усмирение навсегда горских народов или истребление непокорных*».²

ამ ფონზე აფხაზეთს მთავარმა სამურზაყანოს საკითხის ისევ წამოწვევით რუსებს მშვენიერი „საჩუქარი“ გაუკეთა. მათაც არ დაახანეს და შესანიშნავად გამოიყენეს ეს დავა. მით უფრო, რომ ორი მთავრის ეს დაუსრულებელი დავა, როგორც აღნიშნავდა მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი, დიდ პრობლემებს უქმნიდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის ეფექტურ ფუნქციონირებას.³

მთავარმართველმა ე. გოლოვინმა სამეგრელოს ხელისუფლებისაგან გამოითხოვა ის საბუთები, სადაც ორ სამთავროს შორის საზღვრად მდ. ლალიძგა სახელდებოდა.⁴ ლევანმა საჭირო დოკუმენტები და ცნობები ტფილისში 1839წ. 18 თებერვალს გამოაგზავნა.⁵ კერძოდ, ეს იყო გრიგოლ დადიანის „*სათხოვარი პუნქტები*“ და რუსეთის ხელისუფლების დადგენილება გრიგოლის ქვეშევრდომად მიღების თაობაზე. სამეგრელოს მთავრის ტიტულატურა კი დაფიქსირებული იყო, როგორც „*მფლობელი ოდიშისა, სვანეთისა და აფხაზეთისა*“. ლევანის თქმით, „აფხაზეთში“ იმჟამად მოიაზრებოდა სამურზაყანო, ვინაიდან ამ მხარეში ცხოვრობდნენ სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომი აფხაზები.⁶ გარდა ამისა, წარდგენილ დოკუმენტებში იყო: ლევან და-

¹ Андрианопольский мирный договор между Россией и Турцией (2 сентября 1812 г.), – იხ. ელექტრონული ვერსია: http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Turk/XIX/1820-1840/Mir_adrianopol_1829/text.htm

* „მთიელ ხალხთა სამუდამო დამორჩილება ან დაუმორჩილებელთა განადგურება“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

² Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии., გვ. 52.

³ Акты. Т. X, დოკ. №262, გვ. 254.

⁴ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სებას. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

⁵ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სებას. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

⁶ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии

დიანისა და გიორგი შარვაშიძის 1818 წლის შეთანხმება;¹ 1827 წლის აქტი, ზუფუარ დიდებულთა და მიხეილ შარვაშიძის მიერ ხელმოწერილი;² ამ საბუთებს ლევანმა დაურთო მ. გორჩაკოვის მიერ 1823წ. 30 მაისს გამოგზავნილი წერილი 1594, რომლითაც სამეგრელოს მთავარს უფლება ეძლეოდა ძალისმიერი გზით განედევნა თამარ შარვაშიძე სამურზაყანოდან.³ ვინაიდან ამ დოკუმენტების უმრავლესობა რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი პირების მიერ იყო გამოცემული ან ვიზირებულის, შესაბამისად, ცხადი იყო, რომ რუსეთი სამურზაყანოს უპირობოდ სამეგრელოს ნაწილად მოიაზრებდა. 10 აპრილს ე. გოლოვინმა მას უპასუხა, რომ საკითხის გასარკვევად საგანგებო გამოძიებას დაიწყებდა.⁴

„ჭეშმარიტების“ დამდგენ „გამოძიებას“ უნდა გაერკვია სამეგრელო-აფხაზეთის ნამდვილი საზღვარი. ამ ამოცანის შესრულება, ანუ „ალება ქარტასა ზედა სამძღვართა საშუალ აფხაზეთისა და მინგრელიისა“ ე. გოლოვინმა 1839წ. გაზაფხულზე ტოპოგრაფიის კორპუსის პორუჩიკ პეტროვს დაავალა.⁵ დადიანს ევალეზოდა გამოძიებლისათვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად ყოველნაირად ხელის შეწყობა „სამეგრელოსა შინა ნამეტნავად სამურზაყანოსა შინა“.⁶

გამოძიება მალე დასრულდა და მის საფუძველზე ე. გოლოვინმა 1839წ. 31 დეკემბერს გამოსცა განკარგულება, სადაც ორ მოქიშპე სამთავროს შორის საზღვრად კვლავ მდ. ლალიძგა, მისი სათავედან ვიდრე შავ ზღვასთან მიერთებამდე, დადგინდა.⁷ ამ

Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 22-23.

¹ *Записка о действительной.., – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 24.*

² *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 25.*

³ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 25-26.*

⁴ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.*

⁵ *დადიანთა ფონდი, №96, დოკ. №7487, ფ. 17.*

⁶ *დადიანთა ფონდი, №196, დოკ. №7487, ფ. 17.*

⁷ *სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 6; Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобран-*

დადგენილების შესახებ ლევან დადიანს წერილობით ეცნობა (წერილი №238).¹ უნდა აღინიშნოს, რომ ე. გოლოვინის ეს განკარგულება სავსებით სამართლიანი და ობიექტური იყო.

თუმცა კი, სინამდვილეში, ეს გამოძიება მხოლოდ ფორმალური აქტი იყო, რადგანაც სამურზაყანოს საკითხი პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო.² ამიტომაც, მთავარმართველმა ხუთ თვეში თვითონვე გააუქმა თავისივე ზემოხსენებული განკარგულება და ახალი, რადიკალურად სანინააღმდეგო ხასიათის გადაწყვეტილება მიიღო – სამურზაყანო დადიანს უნდა ჩამორთმეოდა.³ 1840წ. თებერვალში ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი ჩამოაშორეს ოდიშს.⁴ იქ, წებელდის მსგავსად, საბოქაულო დააარსეს, ცენტრით სოფელ ოქუმში. სამეგრელო-სამურზაყანოს საზღვრად კი მდ. ენგური დაადგინეს.⁵

აღსანიშნავია, რომ ლევანი თვითონ ითხოვდა სამურზაყანოში რუსული სამხედრო ადმინისტრაციის დანესებას იქ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.⁶ როგორც ჩანს, ე. გოლოვინმა ამ გარემოებითაც ისარგებლა და ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში რუსეთის სამხედრო ხელისუფლება დაანესა, რომელიც ემორჩილებოდა სამხედრო ოფიცერს (ბოქაულს). თავად სამურზაყანოს ბოქაული კი „შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის“ II განყოფილების⁷ უფროსს დაექვემდებარა.⁸ ამ გადაწყვეტილებას რუსები იმით ამართლებდნენ, რომ მრავალწლიანი არეულობების შემდეგ, მხარეში წესრიგი უნდა დამყარებულიყო.⁹

სინამდვილეში ეს მხოლოდ საბაზი იყო, რადგან მღელვარე-

ной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

¹ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 16.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 77.

³ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 6.

⁴ Акты. Т. X, დოკ. №256, გვ. 248.

⁵ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 20.

⁶ Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 20.

⁷ მოგვიანებით ეწოდა „III განყოფილება“, – იხ.: Акты. Т. X, დოკ. №255, გვ. 248.

⁸ Акты. Т. X, დოკ. №255, გვ. 248.

⁹ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 78.

ბები იქ შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა.¹ სამურზაყანოს პირველ ბოქაულად დანიშნა პორუჩიკი კირილოვი.² XIX საუკუნის 40-იან წლებში სამურზაყანოს ბოქაულის სახელო ასევე ეჭირათ შტაბს-კაპიტან გაბაევს, მაიორს დავიდოვსკის, შტაბს-კაპიტანს აბაშიძეს.³ როგორც ვხედავთ, ამათგან ორი ბოქაული – გაბაევი (გაბაშვილი) და აბაშიძე ქართველი იყო. რა თქმა უნდა, ხელისუფლება იძულებული იყო რეგიონში ქართველი სამხედრო მოსამსახურე მიევლინა, რომელსაც არ გაუჭირდებოდა ურთიერთობის დამყარება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული (მეგრული) წარმოშობის იყო.

მიხეილ შარვაშიძემ კი თავისი სარჩელით ვერაფერი მიიღო. ხელისუფლებამ მას უარი უთხრა სამურზაყანოს გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ეს მხარე, რომელიც აფხაზეთის სამთავროსაგან დიდი ხნის წინ იყო გამოყოფილი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, მას არ ეკუთვნოდა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, გენერალი ევგენი გოლოვინი 1840 წლის 6 ივნისს⁴ პირადად ჩავიდა სამეგრელოსა და აფხაზეთში და ორივე ხელისუფალს აუწყა ოფიციალური სანკტ-პეტერბურგის გადანყვეტილება სამურზაყანოზე საბოქაულოს დანესების შესახებ.⁵ ჩანს, ლევანისთვის ამ ვიზიტის შემდეგაც მთლად ნათელი ვერ შეიქმნა მთავარმართველის ახალი გადანყვეტილების ნამდვილი მოტივი, ამიტომაც ე. გოლოვინმა 1840წ. 12 ივლისის წერილით მას აუხსნა, რომ, თურმე ვერც ერთ მხარეს რუსული ხელისუფლებისათვის მყარად ვერ დაუმტკიცებია სამურზაყანოზე თავისი უფლება.⁶

მიუხედავად რუსული სამხედრო-პოლიტიკური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ამ „ახსნა-განმარტებისა“, მიხეილმა გარკვეული „სარგებელი“ მაინც მიიღო. სამურზაყანოს ჩამოაჭრეს ტერიტორია მდინარე ოხურეიმდე და იგი აფხაზეთის სამთავროს გადასცეს.⁷ აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ზონაში მდებარეობს სოფელი ილორიც, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნა-

¹ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში..., გვ. 269.

² სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 47.

³ Акты. Т. X, დოკ. №257, გვ. 249; დოკ. 262, გვ. 255.

⁴ სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 1.

⁵ *Рапорт командира Отдельнаго Кавказскаго Корпуса Генерал-Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал-Адъютанту и кавалеру Князю Чернышеву*, – სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 109.

⁶ სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 6.

⁷ სქასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 1.

ხეთ, მიხეილიც და მთავარმართველი გრაფი როზენიც დადიანის კუთვნილებად მიიჩნევდა. ამ გარემოებამ ლევანი ალაშფოთა, რადგან ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ე. გოლოვინის მიერ 12 ივლისის ნერილში მოცემულ ახსნა-განმარტებას.¹

აღსანიშნავია, რომ სამურზაყანოსათვის მდ. ოხურეიმდე მიწების ჩამოჭრა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ერთ-ერთი გეგმით არ ივარაუდებოდა აფხაზეთისათვის სოფ. ილორის გადაცემა. იგი სამურზაყანოს ფარგლებში უნდა დარჩენილიყო, რადგან რუსებს იქ სამხედრო გამაგრებები მოეწყობოთ.² თუმცა, ჩვენს მიერ მოკვლეულ საბუთებში არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია შემდგომ ამ გეგმის შეცვლა. ეტყობა, რუსებმა ეს სიმაგრეები სტრატეგიული მნიშვნელობისად არ ჩათვალეს ან მიიჩნიეს, რომ აფხაზეთის სამთავროში დამატებითი ძალების დისლოცირება უფრო ნაადგებოდა მათი პოზიციების განმტკიცებას ამ რეგიონში. მით უფრო, რომ აფხაზეთის სამთავრო, კავკასიის ომის დროს, ხშირად ხდებოდა დაუმორჩილებელ მთიელთა აგრესიის ობიექტი.

ჩვენს მიერ არქივში მიკვლეული საბუთიდან ჩანს, „სამურზაყანოს საკითხის“ „გამოძიებისას“ რუსებს „გაურკვევიათ“, რომ ამ მხარის მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე ყოფილა.³ შესაბამისად, ამ უკანასკნელის დაღუპვის შემდეგ ვინაიდან რეგიონი „უპატრონოდ“ დარჩენილა, იქ, როგორც „ნეიტრალურ მხარეში“, უშუალოდ რუსული ადმინისტრაცია უნდა ყოფილიყო.⁴ ამის დასადგენად რუსებმა დაკითხეს სამურზაყანოელი თავადები⁵ და აზნაურები.⁶

როგორც ჩანს, ესენი იმ ე.წ. „დამოუკიდებლობის პარტიის“

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 7.

² სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 76.

³ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 19.

⁴ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 74-75.

⁵ *შარვაშიძეები* – პრაპორშჩიკი ლევანი, ალმასხანი, მანუჩარი და ანტონი; *ანჩაბაძეები* – შტაბს-კაპიტანი თემურყა, პოდპორუჩიკი ბეჟანი, ერისთუ, ბურდლუ, ლომკაცი, ზურაბი და ბეჟანი; *ემხვარები* – ბესლანგური, ბუტუ, მურზა-ყული, ჯამლეთ, შარახმეტ, ზურაბი, ასლან-ბეი, ომარი, როსტომი, სორენი, მანუჩარი, სოსრან და ბალახუხუ; *ჩქოტუები* – პრაპორშჩიკი ჯამლეთი, პრაპორშჩიკი მახუ, პრაპორშჩიკი ზურაბი, კაცი, ასლან-ბეი, როსტომი, ისლამი და მანუჩარი; *ინალიშვილი* კაცი.

⁶ *მარღანიები* – ჯამლეთი, ბეჟანი, თემურყა და სოსრანი; *აქირთავეები* – ბესლანი, თემურყა, მანუჩარი და ლომკაცი; *ზუხბაიები* – თლაფსუ და სოლომო-ნი.

ნევრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და რომლის ინტერესების გამომხატველად თუ ლიდერად თავადი თემურყა ანჩაბაძე ჩანს. ამ ვარაუდს ისიც ამყარებს რომ საკუთრივ თემურყა ამ გამოკითხულთა შორის იყო. მათ რუს „გამომძიებელ“-ოფიცრებს განუცხადეს, რომ სამურზაყანო არასდროს ემორჩილებოდა აფხაზეთსა და სამეგრელოს და, შესაბამისად, მისი მფლობელები დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ.¹ როგორც ვხედავთ, ეს ძალიან ჰგავს იმ სიტყვებს, რომელიც თ. ანჩაბაძემ ვ. ბებუთოვს ჯერ კიდევ 1827 წელს მისწერა: *«В сей земле существует безначалие... ни Дадиани, ниже кто-либо из фамилии Шарвашидзе не могут управлять и распоряжаться здесь»*.²

რესპოდენტებმა განაცხადეს, რომ ამ მხარის პირველი მმართველი იყო ყვაპუ შარვაშიძე, შემდეგ კი – მურზაყან ყვაპუს ძე, ხუტუნია მურზაყანის ძე, ლევან ხუტუნიათა ძე და, ბოლოს, მანუჩარი. ამ უკანასკნელის დახასიათებისას, სამურზაყანოელმა დიდებულებმა აღნიშნეს: *«В управление округом этим вступил он не наследственно, а при жизни еще двоюродного брата своего Левана, силою завладел оным»*.³ თუმცა, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, რესპოდენტები აქ შეცდნენ, რადგან, როგორც ვნახეთ, მანუჩარი ლევანის ძმისშვილი იყო და არა – ძმა, როგორც ისინი აცხადებდნენ.

საინტერესოა, რომ ამ დაკითხვის შინაარსი მოცემულია ცალკეული კავკასიური კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ კოცებუსადმი შავიზღვისპირა ხაზის III განყოფილების

¹ შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ მურავიოვის ანგარიში ცალკეული კავკასიური კორპუსის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ კოცებუსადმი, №136, 1841წ. 27 მარტი, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 43. დოკუმენტს ადევს გრიფი „საიდუმლო“, შედგენილია ბომბორის სიმაგრეში რუსულ ენაზე და მოიცავს ფურცლებს 40-47.

* „ამ მხარეში ხელისუფლება არ არის, რამეთუ დადიანს არ გააჩნია შესაძლებლობა მოსახლეობის დასამორჩილებლად; და იყავით დარწმუნებულნი, რომ არც დადიანი, და არც ვინმე შარვაშიძეთა გვარისაგან ვერ შეძლებენ აქ მმართველობასა და აქაურობის განკარგვას“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

² Письмо кн. Темуэрквэ Анчабадзе к полк. кн. Бебутову, გვ. 396.

* „ამ მხარის მმართველობას ის მემკვიდრეობის გარეშე შეუდგა, ჯერ მაშინ, როცა ცოცხალი იყო მისი ბიძაშვილი ლევანი, და ძალით დაიკავა ის“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

³ შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ მურავიოვის ანგარიში ცალკეული კავკასიური კორპუსის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ კოცებუსადმი, №136, 1841წ. 27 მარტი, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 43, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 43-44.

უფროსის, პოლკოვნიკ მურავიოვის საიდუმლო პატაკში (№136), რომელიც 1841წ. 27 მარტითაა დათარიღებული.¹ ე. გოლოვინმა კი დადიანებს წერილი 1840წ. 12 ივლისს გაუგზავნა. როგორც ჩანს, რუსებს დასჭირდათ „უკანა თარიღით“ „გაემყარებინათ“ სამურზაყანოს ჩამორთმევის გადაწყვეტილება. მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ ე. წ. „დამოუკლებლობის პარტიის“ არსებობის შესახებ და ეს ფაქტი თავისი მიზნებისათვის გამოიყენეს.

ამგვარად, ცარიზმი ცდილობდა ამ არალეგალური გადაწყვეტილებისათვის „კანონიერი“ საფუძველი მოეძებნა. სამეგრელოს მესვეურებმა, მამა-შვილმა, ლევან და დავით დადიანებმა ამის საპირისპიროდ აღნიშნეს, რომ მათი სიძე მხარეს მართავდა როგორც დადიანთა ქვეშევრდომი და არა როგორც დამოუკიდებელი ხელისუფალი.² მათი განმარტებით, მანუჩარს ამგვარი სტატუსი რომ ჰქონოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება, უფროსობის პრინციპით, მის ძმას – ბეჟანს უნდა მიეღო.³ თუმცა, მამა-შვილის ეს მტკიცება სიმართლეს არ შეეფერებოდა, ვინაიდან სამურზაყანოს მფლობელობის მიღებაში უფროსობის პრინციპი იმთავითვე დარღვეული იყო, რადგან ლევანის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა არა მისი შვილი, არამედ – ძმისშვილი. ამასთან ერთად, ბეჟანი, როგორც ვიცით, ცნობილი იყო თავისი აშკარა ანტირუსული პოზიციით და, შესაბამისად, ხელისუფლება არაფრით დათანხმდებოდა სამურზაყანოს მმართველობაში მის მოსვლას.

ს. მაკალათია ფიქრობდა, რომ სამურზაყანოს ჩამორთმევის ფაქტს ლევანი ძალიან არ აუღელვებია.⁴ მეცნიერის ეს დასკვნა სიმართლეს არ შეეფერება, რაც თავის დროზე სამართლიანად შენიშნა მ. დუმბაძემ.⁵ ლევან დადიანი ასეთ შედეგს არ ელოდა. 1840წ. 20 ნოემბერს მან იმპერატორ ნიკოლოზ I-ს საჩივარი გაუგზავნა.⁶ იგი აპელირებდა იმით, რომ რუსეთთან დადებული

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 42-43, 168.

² *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 27-28.

³ *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главноуправляющего Закавказским Краем*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 27-28.

⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია., გვ. 141.

⁵ მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ., გვ. 78.

⁶ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 1-9.

მფარველობის აქტი მისი სამთავროსა და ხელისუფლების გარანტია იყო და, ამასთანავე, მთელი მისი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის ერთგულებას ადასტურებდა და მას უმაღლესი ხელისუფლებისთვის სამთავროს ნაწილის ჩამორთმევისთვის საბაზი არ მიუცია.¹ ამასთან, იქვე აღნიშნული იყო, რომ ახალი მთავარმართებლის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსეთის იმპერატორის მიერ სამეგრელოს სამთავროზე რუსეთის პროტექტორატის დაწესებას, სადაც სამურზაყანო განიხილებოდა ოდიშის შემადგენელ ნაწილად, ასევე წინა მთავარმართებელთა პოზიციებსაც.² ეს იყო აშკარა ჩივილი რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესს წარმომადგენლის მისამართით.

ლევანი თავის საჩივარში ხაზს უსვამდა სამურზაყანოდან კუთვნილი შემოსავლების დაკარგვას: „ხოლო ჩემგან წართმევი-თა სამურზაყანოსათა, ვაკლივარ სარგებლობასა, რომელიცა მეძლეოდა მე მუნით, და ამით შევმჭიდროვდები ღონისძიებათა შა კმა საყოფელად პირად პირადთა საჭიროებათა“.³ დადიანებმა 1840წ. 21 მაისს ხელისუფლების მიყენებული ეკონომიკური ზარალისათვის მოითხოვეს ყოველწლიური საურავი 10 000 ვერცხლის მანეთის ოდენობით.⁴

გრიგოლ დადიანის შვილი გრძნობდა, რომ იმერეთისა და გურიის ბედის გაზიარება სამეგრელოსაც მოუწევდა. იგი ზემოხსენებულ წერილში დაუფარავად აღნიშნავდა, რომ „მე დავშთები შთავრდომილ უკიდურესსა ურვასა და შიშსა შა რათა არა შემეხნენ ჩემის სამფლობელოს სხუათა ნაწილებთა ზედაცა“.⁵ ეს შიში მით უფრო ცხოველი იყო, რომ მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა ოდიშის სამთავროში შემავალ რაჭის მამულებთან დაკავშირებით, რომელზედაც იმერეთი აცხადებდა პრეტენზიებს.⁶

იმპერატორ ნიკოლოზ I-სადმი მიწერილი წერილის ბოლოს ლევანი აღნიშნავდა, რომ „უკეთუმცა ვითარმე გარემოებითა, შეხვდა საჭიროება რათა განეყოს იგი მენგრელიას და გამოგვერთვას ჩუწნის მფლობელობისგან; მაშინ ჩუწნ, ვითარცა სარწმუნო ქუტმვერდომი თქვენის იმპერატორობითის დიდებუ-

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 2.

² სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 4-8.

³ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 8.

⁴ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 57, 133.

⁵ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 8.

⁶ წერილი ლევან დადიანისა ნიკოლაი ფიოდოროვიჩისადმი. 1814 წლის 3 ოქტომბერი, – სხეც. დოკუმენტი დ-2229.

ლებისა, მზათ ვართ მოგართვათ იგი... ყოვლადუაღუესტესო მონარხო! არა თუ მხოლო სამურზაყანო, არამედ დაშთენილიცა სამფლობელო ჩუჭნი და თვთ ცხოვრებაცა ჩუჭნი მზათ ვართ შემოგწიროთ, თუმცაღა მოითხოვს ამას სარგებლობა თქუჭნის იმპერატორობითის დიდებულეებისა...“.¹

ლევანი „თმობდა“, თუმცა მაინც არ ეთმობოდა სამურზაყანო, მაგრამ, ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ მას, როგორც რუსეთის იმპერატორის მართლაც ერთგულ ქვეშევრდომს, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა, უკვე არც არავინ ეკითხებოდა რამეს. რუსებმა ისედაც კარგად იცოდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში მათი ერთგული მოკავშირე სამეგრელოს მთავარი იყო.² ამ თხოვნა-აჯვებით ლევანი შელახული ღირსების დაცვას ცდილობდა. მაგრამ ეს უკვე, მისი და მისი ოჯახის გარდა, არავის აღელვებდა. ოფიციალურ სანკტ-პეტერბურგს უკვე აღარც სჭირდებოდა დადიანი. რუსეთში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ დროის საქმე იყო.

1840წ. 20 ნოემბერს ლევან V-მ სამურზაყანოს დაბრუნების საქმეში დახმარება სთხოვა გრაფ ი. პასკევიჩს. თუმცა ყოფილმა მთავარმართებელმა მას, როგორც მოსალოდნელი იყო, უპასუხა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მისი კომპეტენციის ფარგლებში არ შედიოდა. რა თქმა უნდა, კავკასიაში ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის ისეთი აქტიური გამტარებლისაგან, როგორც ვარშავის გრაფი იყო, ლევანისადმი დახმარება ნაკლებად სავარაუდო იყო. როგორც წყაროები ადასტურებენ, ყოფილმა მთავარმართებელმა სინამდვილეში კარგად უწყოდა, თუ რამდენად „დამოუკიდებელი“ იყო სამურზაყანო სამეგრელოსაგან, მაგრამ მისთვის უპირატესი იყო იმპერიის ინტერესები, ვიდრე კავკასიის მთებს მიღმა დაკარგული მცირე სამთავროს საზღვრების დადგენის საკითხი. ამიტომ ივ. პასკევიჩმა 1841წ. 19 თებერვალს დადიანთან ამ მიწერილობის შესახებ აცნობა ე. გოლოვინს.³

ამის შემდეგ, დადიანის სახლმა გადაწყვიტა პირდაპირ პეტერბურგში ეძია სამართალი და ისინი სამხედრო მინისტრ, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ჩერნიშევს დაუკავშირდნენ. ლევანმა მას 1842წ. 22 აპრილს წერილი მისწერა,⁴ რომელიც სამხედრო მინისტრს, იმპერიის დედაქალაქში ვიზიტის დროს, დე-

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 7-8.

² Записка о действительной... – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 124.

³ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 48.

⁴ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 82-88.

დამისმა, ნინო ბაგრატიონ-დადიანისამ, იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში გადასცა.¹ ალ. ჩერნიშევმა ე. გოლოვინს 11 ნოემბერს წერილი გამოუგზავნა (№8042) და მისგან სამურზაყანოს საკითხთან დაკავშირებით დასკვნები მოითხოვა, რათა იმპერატორისათვის მოეხსენებინა.² როგორც ჩანს, ნინომ მოახერხა ნიკოლოზ I-თან ამ საკითხზე გასაუბრება და ამ დროს მისთვის ლევანის წერილის გადაცემა. ევგენი გოლოვინმა ალექსანდრე ჩერნიშევს საკმაოდ მოკლე პასუხი გასცა. იგი აღნიშნავდა, რომ სამურზაყანოზე დადიანის სახლის უფლებების მიმართ მისი დასკვნა უარყოფითი იყო.³

მაგრამ ამით დავა არ დასრულებულა. ახალი ეტაპი სამურზაყანოს საკითხის განხილვაში დაიწყო 1842 წლის 21 დეკემბერს მთავარმართებლად გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ნეიდგარდტის დანიშვნის შემდეგ. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც სამურზაყანოს უშუალო მისაკუთრების „კანონიერ“ საფუძვლებს ეძებდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. საქმე რთული აღმოჩნდა ლეგალიზაციისათვის. ამასთან, დადიანების მოთხოვნამ შესაბამისი ანაზღაურების მისაღებად, რაც უკვე რუსებს დღის წესრიგში ედგათ 1840წ. 21 მაისიდან, ახალი მთავარმართებლის აღშფოთება გამოიწვია. როგორც ჩანს, თავიდანვე, სანამ საქმის რეალურ ვითარებაში გაერკვეოდა, იგი ე. გოლოვინის შესაბამისი გადანყვეტილების „სისწორეს“ იზიარებდა. ამიტომ, ალ. ნეიდგარდტი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ხელისუფლებას დადიანებისათვის რაიმე თანხა გადაეხადა, ვინაიდან, მთავარმართებლის რწმენით, რეგიონი დადიანს არასდროს ეკუთვნოდა, როგორც ეს მისმა წინამორბედმა გამოარკვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დასკვნა მთავარმართებელმა სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშევს 1843 წლის მაისში გაუგზავნა.⁴

ვინაიდან დადიანების მხრიდან საჩივრები არ წყდებოდა, ალ. ნეიდგარდტმა ახალი გამოძიება წამოიწყო. მან ამ საქმის არსში გარკვევა „ტიტულარულ სოვეტნიკს“ ფერდინანდ რეის დაავალა, რომელმაც ალ. ნეიდგარდტს 1843წ. 4 და 15 ოქტომბერს ორი მოხსენება წარუდგინა.⁵ პირველში მოცემული იყო დადი-

¹ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 91-92.

² სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 90-93.

³ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 94.

⁴ სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 114.

⁵ *Репорт Титулярного Советника Рея Его Высокопревосходительству, Главнокомандующему Закавказским Краем, Господину Генералу от Инфантерии, Генерал Адъютанту и Кавалеру Нейдгардту*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე

ანის საჩივრის ძირითადი არსი და სამურზაყანოსთან დაკავშირებული მასალების მოკლე მიმოხილვა,¹ ხოლო მეორეში უკვე საკუთრივ ფ. რეის ანალიზი და დასკვნები იყო წარმოდგენილი.² უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უაღრესად საინტერესო საისტორიო ნყაროები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სამურზაყანოში საბოქაულო ადმინისტრაციის დანესების ისტორიის შესწავლისათვის, ჩვენ პირველად გამოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ფ. რეის დასკვნებით, ე. გოლოვინის გადანყვეტილება დადიანისათვის სამურზაყანოს ჩამორთმევის შესახებ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან გრაფი პასკევიჩისა და ბარონ როზენის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ პატაკებში აშკარად ჩანს, რომ სამურზაყანო სამეგრელოს დაქვემდებარებული მხარე იყო და იგი დადიანისგან დამოუკიდებელი არ ყოფილა. შესაბამისად, ფ. რეი უარყოფდა მანუჩარ შარვაშიძის სუვერენულ მართველობას ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, რაც, მისი სიტყვებით, ე. გოლოვინისათვის მთავარ „არგუმენტს“ შეადგენდა. მაგრამ ფ. რეი დადიანების ადვოკატი ვერ იქნებოდა და იგი, პირველ რიგში, კოლონიალური ხელისუფლების ინტერესებს იცავდა და ამიტომაც კარგად ხვდებოდა, რომ ე. გოლოვინის ზემოხსენებული გადანყვეტილება განპირობებული იყო არა იმდენად სამურზაყანოში მშვიდობის უზრუნველყოფის სურვილით, არამედ იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც კავკასიის რეგიონში საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა და უკვე ველარ ითმენდა ადგილობრივი ავტონომიური პოლიტიკური წარმონაქმნების არსებობას. ამიტომ ალ. ნეიდგარდტის ქვეშევრდომიც წერდა, რომ სამურზაყანოს ჩამორთმევა შესაძლებელია, «*ежели таковая мера требует по общим видом управления*».³

აქედან გამომდინარე, ფ. რეი, იცავდა რა რუსეთის იმპერიის ინტერესებს და ღირსებას, ალ. ნეიდგარდტს ურჩევდა, დადი-

357, ფ. 176.

¹ *Записка о притязании Владетеля Мингрелии на Самурзаканскую область*, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 177-185.

² *Дополнение к записке содеожайшей опровержение домогательства Князя Дадиани о возвращении ему Самурзакани*, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 187-189.

* „თუკი ამგვარი ზომები საჭიროა მმართველობის განსახორციელებლად“ (თარგმანი ჩვენია – ვ.კ.).

³ *Дополнение к записке содеожайшей опровержение домогательства Князя Дадиани о возвращении ему Самурзакани*, – სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 188.

ანისათვის ფული მხოლოდ იმიტომ გადაეხადათ, რომ იგი იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი იყო და მისი მოღვაწეობაც სამურზაყანოშიც რუსეთის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ფ. რეის აზრით, ამგვარი გამოსავალი საკუთრივ დადიანის თხოვნასაც დააკმაყოფილებდა და არც რუსეთის „ღირსებას შელახავდა“ ამ „ჩახლართულ და გაუგებარ საქმეში“, როგორც იგი წერდა.¹ რეის რჩევის არსი სავსებით ნათელი იყო, რადგან, თუკი ხელისუფლება სამეგრელოს მთავარს სამურზაყანოს გამო თანხას გადაუხდოდა, პეტერბურგი ამით ირიბად აღიარებდა ე. გოლოვინის გადანყვეტილების სიმცდარეს და დაადასტურებდა, რომ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი დადიანს ემორჩილებოდა. რუსმა ჩინოსანმა ამგვარად გადაჭრა ეს საკითხი და დაიცვა იმპერიის ინტერესებიც, ვინაიდან დადიანს ოფიციალურად თანხას უხდოდნენ არა სამურზაყანოს გამო, არამედ – ერთგული სამსახურისათვის. შესაბამისად, ე. გოლოვინის უსამართლო გადანყვეტილებაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგებოდა.

ალ. ნეიდგარდტიც ფ. რეის რჩევები გაითვალისწინა და იგი, რეკომენდაციების სახით, ალ. ჩერნიშევს გაუგზავნა. მთავარმართებლის წინადადებით, დადიანისთვის ხელისუფლებას უნდა მიეცა ერთჯერადი ფულადი ანაზღაურება და პოლკოვნიკი დავით V დადიანი უნდა აეყვანათ გენერალ-მაიორის წოდებაში და ეს კი უნდა წარმოჩენილიყო ისე, რომ უმაღლესი ხელისუფლება აფასებდა სამეგრელოს მთავრის ღვაწლს რუსეთის იმპერიის ინტერესების დაცვის საქმეში.² როგორც ვხედავთ, დადიანის მიერ მოთხოვნილი ყოველწლიური საური მხოლოდ ერთჯერადი ანაზღაურებით უნდა შეცვლილიყო. ალ. ნეიდგარდტი სავსებით აცნობიერებდა იმას, რომ სამურზაყანოს დაბრუნება დადიანისათვის უკვე შეუძლებელი იყო, რადგან ამ მხარეზე საბოქაულოს დაწესების შესახებ გადანყვეტილება იმპერატორის მიერ იყო ხელმოწერილი.³

¹ *Дополнение к записке содеожащей опровержение домогательства Князя Дадияни о возвращении ему Самурзакани*, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 189.

² *Рапорт Командира Отдельного Кавказского Корпуса, Генерал Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал Адъютанту и Кавалеру Князю Чернышеву*, 1844წ. 11 მარტი, №17, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 201-202. ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

³ *Рапорт Командира Отдельного Кавказского Корпуса, Генерал Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал Адъютанту и Кавалеру Князю Чернышеву*, 1844წ. 11 მარტი, №17, – სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 201.

ამასთან, ის იძლეოდა რეკომენდაციას, დადგენილიყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს შორის ადმინისტრაციული საზღვარი.¹ საქმე იმაშია, რომ, თანხასთან ერთად, 1841 წლის 21 მაისს დადიანებმა გარკვეული დასახლებული პუნქტები (მათ შორის, სოფ. ფახულანი) მოითხოვეს.² ე. გოლოვინმა ფახულანი მათ დაუმტკიცა.³ როგორც ჩანს, მთავარმართებელს ეს აფხაზეთის მთავრისათვის სამურზაყანოს ნაწილის გადაცემის ერთგვარ საპირწონედ დასჭირდა.

კავკასიის მთავარმართებლის მოხსენება 1844წ. 11 მაისს ალ. ჩერნიშევმა ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის წევრებს გააცნო.⁴ ამ სახელმწიფო ორგანომ, რომელიც იძულებული იყო ხელისუფლების პრესტიჟი შეენარჩუნებინა, ძალაში დატოვა ე. გოლოვინის გადაწყვეტილება. თუმცა მან, როგორც ჩვენს მიერ მიკვლეულ საარქივო დოკუმენტში ჩანს, ირიბად ხაზი გაუსვა კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის მიერ მცდარ დადგენილებას, მიხეილისათვის სამურზაყანოს ნაწილის გადაცემის თაობაზე.⁵

კომიტეტმა მხარი დაუჭირა სამეგრელოს მთავრისათვის გარკვეული თანხის გადახდას, ოღონდ დადიანისთვის უნდა განემარტათ, რომ სამურზაყანო რუსეთისათვის წამგებიანი მხარე იყო და, პირიქით, იგი კიდევ უფრო მეტ ხარჯებს მოითხოვდა იქ არსებული რუსული ადმინისტრაციისა და დისლოცირებული სამხედრო ნაწილების შენახვის გამო.⁶ შესაბამისად, დადიანს იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ თანხის რაოდენობის გაზრდას მოახერხებდა. ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება უმაღლესმა ხელისუფალმაც მოიწონა.⁷

ალ. ნეიდგარდტმა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გა-

¹ *Рапорт Командира Отдельного Кавказского Корпуса, Генерал Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал Адъютанту и Кавалеру Князю Чернышеву*, 1844წ. 11 მარტი, №17, – *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 202.

² *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 57.

³ *Акты*. Т. X, დოკ. №257, გვ. 249

⁴ *ჩერნიშევის პასუხი ნეიდგარდტს*. 1844წ. 9 ივნისი, 398, – *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 235.

⁵ *Выписка из журнала Комитета по делам Закавказского Края*. 1844წ. 11 მაისი, – *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 236.

⁶ *Выписка из журнала Комитета по делам Закавказского Края*, – *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 236-237.

⁷ *Краткая записка по делам Самурзакани*, – *სეასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 219. ეს დოკუმენტი (29) 1846წ. 29 აპრილსაა შედგენილი გენერალ-მაიორ ესპეხოს მიერ.

მო, ვერ მოახერხა ამ დადგენილების აღსრულება და მისი განხორციელება უკვე კავკასიაში მეფისნაცვალ გრაფ მ. ვორონცოვს მოუწია.¹ მან 1845წ. მარტში შესაბამისი მოლაპარაკების სანარმოებლად დავით დადიანთან შავიზღვისპირა ხაზის IV განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ალექსი ბრუსილოვი მიაგვლინა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის „დესპანობას“ სხვა დატვირთვაც ჰქონდა, რადგან ა. ბრუსილოვის სახელი იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში კარგად იცოდნენ: ის 1841წ. გურიის აჯანყების ჩამხშობი იყო. ჩანს, მ. ვორონცოვს სურდა დადიანის მოსალოდნელი ვნების ჩახშობა ბრუსილოვთან მოლაპარაკებების დროს.

როგორც ვნახეთ, თავდაპირველად დადიანები ყოველწლიურად 10 000 ვერცხლის მანეთს ითხოვდნენ. თუმცა, ამჯერად დავითმა ა. ბრუსილოვს ყოველწლიურად 5 000 ვერცხლის მანეთი მოსთხოვა.² მეფისნაცვლის დესპანმა, კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილების შესაბამისად, მთავარს „აუხსნა“, რომ მის მიერ მოთხოვნილი თანხა საკმაოდ „დიდი“ იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. პოლკოვნიკმა ლევან V-ის მემკვიდრეს აცნობა, რომ იმპერატორი აპირებდა მისთვის გენერალ-მაიორის წოდების ბოძებასაც, რითაც ის მიხეილ შარვაშიძეს გაუტოლდებოდა. როგორც ა. ბრუსილოვი აცნობებდა მ. ვორონცოვს, დავითი ამ ამბავს გაუხარებია და იგი უფრო მეტად დამთმობიც გამხდარა.³

თუმცა, როგორც ჩანს, მთლად ასეც არ უნდა ყოფილიყო საქმე. მართალია, დავით დადიანმა საპატიოდ მიიჩნია მაღალი სამხედრო წოდების მიღება, მაგრამ იგი პოზიციების ადვილად დათმობას მაინც არ აპირებდა. მან ამ მოლაპარაკებების დღეებში მ. ვორონცოვს მისწერა, რომ რუსეთის ხელისუფლების განმარტება, თითქოს სამურზაყანოს ჩამორთმევის მიზეზი იქ სიმშვიდის დამყარება იყო, სარწმუნო არ იყო, რადგან იმ მხარეში მაინც გრძელდებოდა ქურდობები, ტყვეთა გატაცება და სხვა კანონდარღვევები.⁴

¹ *Акты*. Т. X, док. №262, გვ. 257.

² *От Г. Главнокомандующаго Г^в Военному министру*. 1845წ. 1 აპრილი, №29, – *სქასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 238-241.

³ *От Г. Главнокомандующаго Г^в Военному министру*. 1845წ. 1 აპრილი, №29, – *სქასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 238-241.

⁴ *Докладная записка Наследника и Правителя Мингрельскаго Владения Князя Дадиян Его Сиятельству, Наместнику Закавказскаго Края, Господину Генералу от Инфантерии Геренрал Адьютанту и Кавалеру Михаилу Семеновичу Графу Воронцову*. 1845წ. 19 მარტი, – *სქასა*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 215-217.

ამ სირთულეების მიუხედავად, საბოლოოდ, როგორც ჩანს, ა. ბრუსილოვმა დადიანის დათანხმება მაინც მოახერხა, რის შემდეგაც მ. ვორონცოვმა ალ. ჩერნიშევს 1845 წლის 1 აპრილს შესთავაზა დადიანისათვის მისაცემი ერთჯერადი თანხა 25 000 ვერცხლის მანეთით განსაზღვრულიყო.¹ მეფისნაცვალის მიიჩნევდა, რომ კომპენსაციის გადაცემა დადიანისათვის სავსებით სამართლიანი ქმედება იყო იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც სამურზაყანოსთან დაკავშირებით შეიქმნა.² ეს წინადადება ხელისუფლების მიერ მალევე, იმავე თვის მიწურულს (29 აპრილი) დაკმაყოფილდა.³ 1845წ. დამტკიცებული თანხა დადიანმა მხოლოდ 1847 წელს მიიღო. კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მცდარი შეხედულება იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო სამეგრელოსგან გამოსიყიდა და ამ სახით შევიდა შესაბამისი კომენტარი ამ კუთხის შესახებ ისეთ სოლიდურ განმარტებადებელ გამოცემაში, როგორცაა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“.⁴

ამან მიხეილ შარვაშიძე აღაშფოთა და 1845წ. 22 დეკემბერს საპროტესტო წერილი (109) მისწერა ქერჩში შავიზღვისპირა ხაზის კორპუსის ხელმძღვანელს, გენერალ-ადიუტანტ ა. ი. ბუდბერგს. მისი თქმით, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტი დასცა მის ქვეშევრდომებსა და მთიელ ტომებში.⁵ მიხეილი ითხოვდა, გაეთავისუფლებინათ იგი მთავრობიდან და სამაგიეროდ მისთვის იმერეთში მიეცათ მამული 1 500 კომლით.⁶

1849წ. სამეგრელოს გადაეცა ადრე სამურზაყანოში შემავალი სასაზღვრო სოფლები: დიდი და პატარა კოკი, განარჯიას-მუხური, ორსანტია და შამგონა.⁷ ამით დასრულდა სამურზაყანოელ შარვაშიძეთა და დადიანის სახლის ტერიტორიული დავა, რომელიც 9 წელი გრძელდებოდა.

ეს წყარო პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

¹ *От Г. Главнокомандующаго Г^в Военному министру.* 1845წ. 1 აპრილი, №29, – *სქასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 238-241.

² *Акты.* Т. X, დოკ. №262, გვ. 257.

³ *სამხედრო მინისტრის წერილი გრაფ ვორონცოვისადმი.* 1845წ. 30 აპრილი, – *სქასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 242.

⁴ სამურზაყანო, – *ქსე.* ტ. 9, გვ. 37

⁵ *სქასა.* ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 260-263.

⁶ *ს. ჯანაშია.* გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი, გვ. 8; *С. Эсадзе.* Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 135.

⁷ *ზ. ცინცაძე.* სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 101.

ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა არ ღალატობენ საკუთარ თავს და სამურზაყანოზე რუსული ადმინისტრაციის დანესების თაობაზეც „ახლებურ“ მიდგომას გვთავაზობენ. მათი მტკიცებით, თითქოს 1840 წელს, «**владелец Абхазии доказал свои права на эту область (იგულისხმება სამურზაყანო – კ.კ.) и с этого времени она являлась отдельным приставством***»,¹ რაც სრული აბსურდია.

1840წ. სამურზაყანოელებმა, რომლებიც უკვე რუსული საოკუპაციო-კოლონიალური რეჟიმის პირდაპირ დაქვემდებარებაში იყვნენ, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნებელდის რუსეთისადმი დამორჩილებაში, რისთვისაც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ისინი საგანგებო დროშით დააჯილდოვა.²

ამრიგად, როგორც დავინახეთ, სამურზაყანოს მფლობელობის საკითხი XVIIIს. მთელ მანძილზე გარშემო აფხაზეთისა და ოდიშის სამთავრო სახლებს შორის მუდმივი დავის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ XIXს. 30-იანი წლების დასაწყისამდე აფხაზეთის მთავრები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცდილობდნენ ამ მიმართულებით ფარულად ემოქმედათ. აფხაზეთის მთავრებმა (საფარ-ბეი, მიხეილი) არაერთხელ აღიარეს ამ მხარეზე დადიანის უფლებები. უფრო მეტიც, ლევან V დადიანმა შეძლო შარვაშიძეთა საგვარეულოს ჩამოცილება და სამურზაყანო პირდაპირ დაიქვემდებარა, რასაც ვერ ჰგუობდა ადგილობრივი ელიტა, რის გამოც წლების მანძილზე სამურზაყანო პერმანენტული მღელვარებების ასპარეზად გადაიქცა. მართალია, რუსეთი ამ მხარეს სამეგრელოს შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, მაგრამ იმთავითვე, XIXს. 10-იანი წლებიდან მაინც, უკვე მუშაობდა ამ კუთხეში უშუალო რუსული მმართველობის შემოღების მიმართულებით, რაც საბოლოოდ განახორციელა კიდეც 1840 წელს.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამურზაყანოს უკანასკნელი მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე რუსეთის ხელისუფლების ერთგული იყო – ის აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის (ფოთი, ბათუმი) ოსმალეთის ბატონობისგან გამოსხნის საქმეში. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, სწორედ ის გამოდიოდა იმ ხანებში ბათუმის გათავისუფლების ინიციატივით.

* „აფხაზეთის მთავარმა დაამტკიცა მისი უფლებები ამ ოლქზე და ამ დროიდან იგი ცალკე საბოქაულოს წარმოადგენდა“ (თარგმანი ჩვენია – კ.კ.).

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы*, გვ. 245. ხაზგასმა ჩვენია – კ.კ.

² **С. Басария.** Абхазия в географическом, этнографическом и этнокультурном отношении, გვ. 99.

აფხაზეთისა და ოდიშის დაპირისპირებამ, სამურზაყანოში დადიანის წინააღმდეგ მიმდინარე პერმანენტულმა მღელვარებებმა, ტყვეთა სყიდვამ დააკნინა სამურზაყანოს ეკონომიკური ცხოვრება. მურზაყან შარვაშიძის მოღვაწეობიდან 100 წლის-თავზე ეს კუთხე ძლიერ შეჭირვებული იყო.



სამურზაყანოელი მანდილოსანი.¹

¹ სურ. № 174, — წგნ.: აფხაზეთი ფოტოებში..., გვ. 182.

თავი IV. ისტორიული სამურზაყანოს სოციალური და ეთნო-კულტურული იერსახე

§1. სოციალური ვითარება

აფხაზთა დამკვიდრებამ დალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, ბუნებრივია, ადრე არსებული სოციალური ვითარების ცვლილება გამოიწვია. ეს იყო, ერთი შეხედვით, ერთგვარი მიბრუნება თემური წყობილებისკენ, რომელიც დამახასიათებელია გვიანდელი შუა საუკუნეების აფხაზური საზოგადოებისთვის.¹ თუმცა, სამურზაყანოში დამკვიდრებულ აფხაზთა სოციალურ ყოფას გარკვეული თავისებურებაც გააჩნდა, რადგან იქ მან სამეგრელოს სამთავროსთვის დამახასიათებელი განვითარებული სოციალური წყობის ნიშნებიც შეითვისა. ეს იყო, გარკვეულ წილად, ერთგვარი „შუალედური“ ფორმა, რომელიც, ვფიქრობთ, განაპირობა სამურზაყანოზე აფხაზეთ-სამეგრელოს „კონდონიმინიუმმა“, როცა დადიანი, ამ მხარის ლოიალურობის სანაცვლოდ, ხელუხლებელს ტოვებდა შიდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს. პ. ჭარაია შენიშნავდა, რომ მინათმფლობელობის საკითხში არსებითი განსხვავება არ ყოფილა სამურზაყანოსა და აფხაზეთს შორის.² ჩანს, რომ ამ სფეროში აფხაზების მიერ მეგრელებში არსებული ვითარების სესხება მომხდარა, ვინაიდან პირველნი, ძირითადად მაინც (ყოველ შემთხვევაში, გვიანდელი შუა საუკუნეებში), მესაქონლეობით იყვნენ დაკავებული.

არ მიგვაჩნია დამაჯერებლად ო. სოსელიასა და ქ. ჩხატარაიშვილის მტკიცება, რომ „დასავლეთ საქართველოს ბარის მხარეებში, კერძოდ, სამეგრელოს მსგავსი სოციალური წყობა არსებობდა ე.წ. სამურზაყანოში“.³ თუკი, სამეგრელოში გლახთა ყველაზე უფლებო და უქონელი კატეგორიას წარმოადგენდნენ მოჯალაბეები, რომლებიც ასევე ცნობილი იყვნენ „დოლმახორეების“ სახელწოდებით,⁴ სამურზაყანოში დოლმახორე და მოჯა-

¹ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 131; **З. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 103.

² **პ. ჭ-ა.** მინათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 218.

³ **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, – *სინ.* ტ. IV, გვ. 595, ხაზგასმა ჩვენია – კ.კ.

⁴ **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, გვ. 595.

ლაბე ცალ-ცალკე გვხვდება.¹ ამასთანავე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სამურზაყანოელ მოჯალაბესა და მეგრელ მოჯალაბეს შორისაც თვისობრივი განსხვავება არსებობდა. სამნუხაროდ, აფხაზეთის და, შესაბამისად, სამურზაყანოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რიგი საკითხები, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, წყაროთა სიმწირის გამო მეტად რთული შესასწავლია. მითუმეტეს, რომ ყველაზე ადრინდელი ცნობები ამ საკითხებზე მხოლოდ XIX საუკუნის I ნახევრით თარიღდება.² თუმცა, ორივეგან ძირითადად მაინც, თითქმის მსგავსი საზოგადოებრივი წყობილება ფიქსირდება.³

ს. ესაძე მიიჩნევდა, რომ აფხაზეთის თემების სოციალურ წყობაზე გავლენა იქონია სამმა ფაქტორმა: მთიელებმა, ოსმალებმა და ქართულმა (ქართულ-მეგრული) ქრისტიანულმა საზოგადოებამ.⁴ თუმცა, სინამდვილეში, უფრო სწორი, იქნება თუ ვიტყვით, რომ პირველმა ორმა გარკვეული „კორექტივები“ შეიტანა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული ფეოდალური ურთიერთობისთვის დამახასიათებელ სოციალურ წყობილებაში. როგორც ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, დაბალ სოციალური წყობილების დონეზე მყოფი ჩრდილო კავკასიელთა ჩამონოლისა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების შედეგად, ამ მხარეში „**აღდგა ადრეული ფეოდალიზმი**“ (ხაზგასმა ნ. ბერძენიშვილისაა – კ.კ.), რომელმაც თავისკენ „მიიზიდა“ ბატონყმობით სულშეხუთული ქართული გლეხობა.⁵

ბატონყმობა მძიმე ტვირთი იყო ქართული საზოგადოების მწარმოებელი ფენებისთვის. მან გააქრო თავისუფალი მიწის მუშათა ფენა. მათ შორის გაქრა არსებითი უფლებრივი განსხვავე-

¹ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 503, 513; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 200-201.

² **З. В. Анчабадзе.** Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 46; **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს., გვ. 590-591.

³ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 271.

⁴ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 118.

⁵ **ნ. ბერძენიშვილი.** მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 609-610; ს. ბახია-ოქრუაშვილის სამართლიანი შენიშვნით, VIII-XIII სს. წერილობით წყაროებში არანაირი მინიშნება არაა ქართველებისა და აფხაზების სამეურნეო ცხოვრებაში რაიმე სხვაობაზე, რაც მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ამ დროისათვის, თანამედროვე აფხაზეთის დაბლობ ნაწილში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩამოსახლებული არაქართული მოსახლეობა, ფაქტობრივად, ბუნებრივი ასიმილაციის პროცესში იმყოფებოდა (**С. Бахиа-Окруашили.** Абхазы. Этнографический очерк, გვ. 338).

ბა და ისინი მებატონეთა საკუთრებად იქცნენ, რომელთაც მთელი 30 წლის მანძილზე შეეძლოთ გაქცეული ყმების მოძიება და უკან მობრუნება.¹ შ. ინალ-იფას მოსაზრებით, აფხაზეთს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ ურთიერთობათა განვითარების დონის მიხედვით, შუალედური მდგომარეობა ეჭირა დასავლეთ კავკასიის მთის პატრიარქალურ საზოგადოებებსა და ქართულ ფეოდალიზმს შორის.² ზ. ანჩაბაძე ამ ვითარებას „პატრონყმურ“ წყობილებად აფასებდა, რომელშიც ბატონყმობისა და თემურ ურთიერთობათა ელემენტებიც შეინიშნებოდა.³

მიჩნეულია, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეოდალურ ურთიერთობა „გაახალგაზრდავების“ ერთ-ერთი ნიშანი იყო თემის ინსტიტუტის არსებობა, რომელსაც განსაკუთრებული როლი ჰქონდა აფხაზეთში⁴ და აფხაზეთის საზოგადოება ოჯახურ-გვაროვნულ პრინციპებზე იყო აგებული, სადაც რამდენიმე უმარტივესი ნათესაური კოლექტივი (დიდი ან მცირე ოჯახი) პატრონიმის⁵ შეადგენდა. რამდენიმე პატრონიმია ქმნი-

¹ *საქართველოს ისტორია*. საკითხავი წიგნი. შედგენილი აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით. შემდგენელ-რედაქტორი **გ. მელიქიშვილი**. გამოცემა II. თბ., 1990, გვ. 187.

² **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки. Второе переработанное, дополненное издание*, გვ. 496.

³ **З. В. Анчабадзе**. Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 47.

⁴ **Г. А. Дзидзария**. Социально-экономический строй Абхазского княжества в XIX веке. – წგნ.: *Очерки истории Абхазской АССР*. Ч. I, გვ. 160-161; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან..., გვ. 131.

⁵ მას აფხაზეთში ადგილობრივად „აბიფარა“ („აბ“ – მამა, „იფა“ – ძე, „რა“ – მრავლობითი რიცხვის აფიქსი) ეწოდებოდა (**С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 8). მისი ანალოგები ქართულ სინამდვილეშიც მოიძებნებოდა: „მამანი“ – ხევსურეთში, „ლამზუბი“ – სვანეთში, „თური“ – სამეგრელოში და სხვ. (**А. И. Робакидзе**. От редактора, – წგნ.: **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 4). იგი, ასევე, დადასტურებულია კავკასიის სხვა ხალხებშიც: ოსებში, ყუმიხებში, ადიღეველებში, აბაზინებში, ყაბარდოელებში, ინგუშებში, ჩეჩნებში და სხვებში (**С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 62). ზოგადად, ცნება „პატრონიმია“ სამეცნიერო მიმოქცევაში 1844 წელს შემოიტანა ცნობილმა ჩეხმა ისტორიკოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ფრანტიშეკ პალაცკიმ (1798-1876), რომელმაც ყურადღება მიაქცია მამის ხაზით განვითარებულ ერთგვარ ნათესაურ გაერთიანებას და, შესაბამისად, ჩეხი მკვლევარს მიერ შემოღებული ტერმინი ლათინურად სწორედ „მამისგან მომდინარე სახელს“ ნიშნავს (**С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 55). ი. სემიონოვის განსაზღვრებით, პატრონიმია წარმოადგენდა არა მხოლოდ ოჯახთა გაერთიანებას, ვინაიდან მათ შორის არსებობდა სამეურნეო, სოციალური და იდეოლოგიური ერ-

ქმნიდა „ძმობას“ („აემარა“¹), ყველა ეს ერთეული კი გვარს („აჟვ-
ლა“²). აფხაზური გვარი პატრიარქატისთვის დამახასიათებელი
სანათესაო და საზოგადოებრივი ერთეული იყო.³ ამის შესაბამის-
სი გვაროვნული ტიპის დასახლებებიც, რომელიც სასოფლო
თემს – აქითას წარმოადგენდა.⁴

თუმცა, აფხაზური საზოგადოების ოჯახურ-გვაროვნულ
პრინციპებზე აგების მოსაზრება უარყოფილი იქნა ქართველ
ეთნოლოგთა (ა. რობაქიძე,⁵ ს. ბახია-ოქრუაშვილი) კვლევებით,
საიდანაც ჩანს, რომ აფხაზთა, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავ-
კასიელ და საქართველოს მთიელთა, ყოფაში პატრონიმია წარ-
მოადგენდა ერთი დიდი ოჯახიდან განაყარი ძმების ოჯახებს
(დაახლოებით ხუთი ან მეტი თაობის აგნატები), რომელთა სათა-
ვეში აგნატთა უფროსი თაობის წარმომადგენელი იდგა. უახლო-
ეს ნათესავთა ახლადწარმოქმნილი ოჯახებში ჯგუფს მთელი რი-
გი ერთობლიობის ნიშნები ახასიათებდა: ეგზოგამია, კარგად და-
ცული გენეალოგია აღმავალი ხაზით IV-V თაობამდე, რაც განი-
საზღვრებოდა ნათესაური კატეგორიების უფლება-მოვალეობა-
თა ნორმებით: ტერიტორიული მთლიანობა, რომლის მიხედვი-
თაც განაყარი ოჯახების განსახლება მამისეული სახლის გვერ-
დით ხდებოდა; მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში
ინტერესების ერთიანობა სათავეს უდებდა საერთო კოლექტიუ-
რი შრომის ორგანიზაციასა და მატერიალური ურთიერთდახმა-
რების ფორმების ჩამოყალიბებას; ზოგიერთ დღეობა-დღესასწა-

თობა. მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობდა მამაკაცთა ხაზით წარმო-
მავლობაში ერთი შორეული წინაპრისგან და ამ ეპონიმის სახელს ატარებდნენ
პატრონიმიის წევრები (С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия., გვ. 61).

¹ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*),
გვ. 8.

² С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*),
გვ. 8; Ажәла — 1. თესლი, 2. გვარი, 3. ჯიში (თ. გვანცელაძე. აფხაზური და
ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I, ნაწ. II: აფხაზურ-ქართული ლექ-
სიკონი, გვ. 145).

³ Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. *Историко-этнографические очерки*. Второе перера-
ботанное, дополненное издание, გვ. 405-406, 409; ო. სოსელია, ქ. ჩხატარაი-
შვილი. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
XVIII ს. 40-80-იან წლებში, გვ. 597.

⁴ З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), გვ. 291; Ш.
Д. Инал-ипа. Абхазы. *Историко-этнографические очерки*. Второе переработан-
ное, дополненное издание, გვ. 395-397; ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი. და-
სავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს. 40-
80-იან წლებში, გვ. 597.

⁵ А. И. Робакидзе. Особенности патронимической организации у народов горно-
го Кавказа, – СЭ, №5, 1968, გვ. 93-104.

ულთა (მაგ., აღდგომა) ერთობლივი გადახდის პრაქტიკა. დიდი ოჯახის რეალური ან მითიური ეპონიმი კი საფუძველს უდებდა ამ სოციალური ინსტიტუტის სახელწოდებას, მის იდეოლოგიურ ერთობლიობას. პატრონიმიის რთული სოციალური სისტემა ივარაუდება სოციალური დიფერენციაციის ფონზე.¹ რაც შეეხება საკუთრების ფორმას, აქ გვერდიგვერდ არსებობდა ფეოდალური, სათემო და საოჯახო საკუთრება. პატრონიმიას გვაროვნული ნყობილებისაგან განასხვავებს ის, რომ მისთვის, შესაბამისად, უცხოა ძირითად წარმოების საშუალებებზე გვაროვნული საკუთრება.² ამასთანავე, მიუთითებენ, რომ კავკასიაში სწორედ პატრონიმიამ, და არა დიდი ხნის წინ გამქრალმა არქაულმა გვარმა, უკანასკნელ დრომდე შემოინახა წარმოდგენები მისი ნევრების სისხლისმიერი სიახლოვისა და მათი ინტერესების ერთობლიობის შესახებ.³

აღნიშნული ინსტიტუტი სოციალურ და სტრუქტურულ მიმართებით სამურზაყანოშიც, პრაქტიკულად, ანალოგიურია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, ძირითადად, მეგრული ტერმინოლოგია გამოიყენება და პატრონიმიის სახელწოდებაა „თური“.⁴ მას უკავშირებენ მეგრულ-ჭანურ ძირს „თი“, რაც საზოგადოებრივი უჯრედის ანუ ოჯახის არქაული ფორმა უნდა იყოს, ხოლო „ურ“ – წარმომავლობის ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია. ს. ბახიას მოსაზრებით, „თი“ გვიანდელ პერიოდში უფრო მოცულობითი ხდება და ნათესაობის ფართო ჯგუფზე – „ჩემიანი“ – ვრცელდება.⁵ სამურზაყანოში, ისევე როგორც სამეგრელოში, პირველი რიგის პატრონიმია გამოიხატებოდა ტერმინით „ჯინჯი თური“, ხოლო მოგვიანებით შექმნილს კი – „ახალი თური“.⁶ დიდი ანუ „ჯინჯი“ ოჯახიდან განაყარ ოჯახებს „გმნარყი“ ან „ნარყი“.⁷ სამურზაყანოშიც შედარებით შორეულ ნათესავთა გაერთი-

¹ ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 5-68.

² **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 64.

³ **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 65.

⁴ **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 9.

⁵ **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 9.

⁶ **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 9.

⁷ **С. Бахиа**. Абхазская «Абипара» – патронимия (*Грузино-абхазские параллели*), გვ. 9.

თიანება ჰქმნიდა „ძმობას“, რასაც ადგილობრივად, სამეგრელოს მსგავსად, „ჯიმალობა“ ეწოდებოდა, ხოლო მათი შემდგომი გაფართოება აყალიბებდა „გვარს“.¹

თემი ანუ აფხაზურად „აქითა“ (*ақыта*)² რამდენადმე განსხვავდებოდა საქართველოს სხვა მხარეებში არსებული სასოფლო თემებისაგან და მას განიხილავენ როგორც ერთგვარ შუალედურ რგოლს ფეოდალურ ერთეულსა და ჩვეულებრივ სასოფლო თემს შორის. „აქითას“ ფაქტობრივად ეფუძნებოდა აფხაზთა საზოგადოებრივი წყობილება და, ამასთანავე, ის ერთგვარად ადმინისტრაციულ ერთეულსაც წარმოადგენდა.³ აფხაზებმა „აქითა“, ბუნებრივია, სამურზაყანოშიც დაამკვიდრეს, რაზეც ზოგიერთი ტოპონიმიკური მაგალითიც მეტყველებს: სოფ. მეორე კოპიტის ერთ-ერთ უბანს „გვარამიააქით“ (საგვარამიო, გვარამიების უბანი) ჰქვია.⁴

„აქითა“ ადათობრივ სამართალს ეფუძნებოდა და იგი სერიოზულად ზღუდავდა როგორც თავადების, ასევე მთავრის ხელისუფლებას, რომლებიც სწორედ ამ თემს ედგნენ სათავეში.⁵ ამ ხელისუფალს „ახილაფშუ“ (*ахылашшы/პატრონი, მფარველი, „მეთვალყურე“*) ერქვა, ხოლო თემის წევრებს კი, შესაბამისად, „ახიფში“ (*ахышы/მფარველობის ქვეშ მყოფი*).⁶ თუმცა, გ. ძიძარას განმარტებით, ამ ტერმინს კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა და იგი აღნიშნავდა გლეხებს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა გლეხებზე იყვნენ დამოკიდებულნი.⁷ „ახილაფშუ“ ძირითა-

¹ **С. Бахиа.** Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 8-9.

² აფხაზურად „*სოფელს*“ ნიშნავს (**თ. გვანცელაძე.** აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I. ნაწ. II: აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, გვ. 154; **პ. ცხადაია.** ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის, გვ. 231).

³ **Г. А. Дзидзария.** Социально-экономический строй Абхазского княжества в XIX веке, გვ. 160-161; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки...*, გვ. 395; **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, გვ. 597; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 131; **З. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 103.

⁴ **პ. ცხადაია.** ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის, გვ. 231.

⁵ **Г. А. Дзидзария.** Социально-экономический строй Абхазского княжества в XIX веке, გვ. 160-161; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული., გვ. 132; **З. Папаскири.** Абхазия..., გვ. 103.

⁶ **С. Эсадзе.** Историческая записка, გვ. 119; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки...*, გვ. 496, 503; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის., გვ. 132; **З. Папаскири.** Абхазия..., გვ. 103.

⁷ **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй дореформенной Абхазии, – ნგბ.: **Г. А. Дзидзария.** Труды. Т. I, გვ. 259.

დად თავადები (*аҭаҭа*) და აზნაურები იყვნენ. ამ უკანასკნელთ აფხაზეთის სამთავროში „აამსთა“ (*аамста*) ერქვა,¹ ხოლო სამურზაყანოში კი, ისევე, როგორც სამეგრელოში „ჟინოსქუა“.² მკვლევართა ნაწილს (ირ. ანთელავა, გ. ძიძარია, ა. ოლონეცკი, შ. ინალ-იფა) მიაჩნია, რომ XIX ს. დასაწყისამდე ბზიფის საზოგადოებისათვის „თავადის“ წოდება უცნობი იყო და იგი აფხაზეთში მეგრელებმა, კერძოდ კი, საფარ-ბეის მეუღლის, თამარისთვის სამეგრელოდან გაყოლილმა შინაყმებმა და მოსამსახურეებმა შეიტანეს.³

სამურზაყანოს თავად-აზნაურობას წარმოადგენდნენ: შარვაშიძეები, ანჩაბაძეები,⁴ ემხვარები, ძიპაშვილები, ინალიშვილები, მარლანიები, სოთიშვილები⁵ (სოტისკუა, აფხაზეთის სამთავროში – ჩაბალურხვა),⁶ ჩქოტუები (ჩხოტუები),⁷ ლაკერბაიები, გაბუნიები, აქირთავეები (აქურთავეები), ჭითანავეები, ღვარნკიები, ეზუგბაიები, ზვანბაიები, მიქანბაიები, წიშბაიები.⁸ „*რუსე-*

¹ ანალოგიურად (*аҭҭыста*) იწოდებოდნენ წვრილი აბაზი აზნაურებიც, მსხვილ აზნაურებს ეწოდებოდათ *аҭҭыстаду* (**М. Тхайцухов**. *Абазины. Страницы древней и средневековой истории*, გვ. 250). როგორც ვხედავთ, მათში ფეოდალურ ურთიერთობათა ევოლუცია შორს არ იყო წასული.

² **С. Эсадзе**. *Историческая записка об управлении Кавказом*, გვ. 498; **Г. А. Дзидзария**. **Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века**, გვ. 120; **Ш. Д. Инал-ипа**. *Абхазы...*, გვ. 496; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, გვ. 132-133; **З. Папаскири**. *Абхазия. История без фальсификации*, გვ. 103. კ. მაჭავარიანი წერს, რომ სამურზაყანოელ აზნაურებს ერქვათ „ჟინოსქუა“ – «дети высшего существа», როგორც ის თარგმნიდა, თუმცა არ ამბობდა, რომელი ენიდან იყო ეს (**К. Мачавариани**. *Описательный путеводитель...*, გვ. 315).

³ **И. Г. Антелава, Г. А. Дзидзария, А. А. Олонский**. Из истории крестьянской реформы в Абхазии. – კრებ.: *«Исторический архив»*. Т. 5. М.-Л., 1950, გვ. 400-405; **Ш. Д. Инал-ипа**. *Абхазы...*, გვ. 501.

⁴ ანჩაბაძეებს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ზღვასთან ახლოს რამდენიმე სოფელი ეკუთვნოდათ (**თ. ბერაძე**. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981, გვ. 90).

⁵ სოთიშვილები ჩაბალურხვას (ადილეური წარმოშობის გვარსახელია — **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. *აფხაზთა ეთნიკური...*, გვ. 272) პატრონომიული ერთ-ერთი ნათესაური შტოს წარმომადგენლები არიან, რომელთა ეპონიმიც სოთი ყოფილა (**ს. ბახია-ოქრუაშვილი**. *აფხაზთა ეთნიკური...*, გვ. 283).

⁶ **ი. კვაშილავა**. სამურზაყანოს გვარსახელების..., გვ. 125.

⁷ ეს თავადური გვარი მხოლოდ სამურზაყანოში გვხვდება და სოფელ საბერიოში სახლობენ. გადმოცემით ისინი ჩხეტიძეებისაგან მომდინარეობენ (**ი. კვაშილავა**. სამურზაყანოს გვარსახელების..., გვ. 125; **ვ. ზუზბაია**. *აფხაზეთის თავადური გვარები ქართულია*, გვ. 7).

⁸ „სამურზაყანოს თავადაზნაურობისა და გლეხობის წარმომადგენელთა თხოვნა ოქუმში ქალთა სკოლისა და ოთხკლასიანი სასწავლებლის გახსნის

სეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის“ IV ტომის მიხედვით, სამურზაყანოში სულ 6 თავადური (შარვაშიძე, ანჩაბაძე, ემუხვარი, ინამეშვილი,¹ სატიშვილი,² ჩქოტუა) და 4 აზნაურული (მარლანია, აქირთავა, ლაკირბაია, ზვანბაია) იყო.³

სამურზაყანოელი წარჩინებულები, ზოგ შემთხვევაში, საზიარო მამულებს (მაგ., ტყე) ფლობდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ტყე გინძე-ენერის მახლობლად, რომელიც ოტობაიელ ანჩაბაძეებსა და გუდაველ მარლანიებს ეკუთვნოდათ.⁴ როგორც ჩანს, იქ საკმაოდ ყოფილა ნადირი, რადგან მას თვალი დაადგათვით მიხეილ შარვაშიძემ, როგორც ნადირობის მოტრფიალემ, და აფხაზეთის მთავარმა, მოკლე ხანში, შეძლო ამ ტყის ხელში ჩაგდება.⁵

1870-1880 წლებში აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავდაზნაურთა მიმნიჭებელ სპეციალურ სამთავრობო კომისიას წარედგინა იმ საგვარეულოთა სია, რომელთაც ეს წოდებები უნდა მინიჭებოდათ. თუმცა, საკითხის მოგვარება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა და მისი განხილვა დაიწყო სენატმა, სადაც ეს საკითხი 1910 წლამდე გაგრძელდა. საბოლოოდ, ამ გვარსახელთა დიდი ნაწილი დაუმტკიცებელი ან უარყოფილი აღმოჩნდა.⁶ ერთი ანონიმი ავტორის ცნობით, სამურზაყანოელი თავდაზნაურობა, რომლებიც, უმთავრესად, აფხაზური წარმოშობის არიან, ძირითადად, მეგრულად მეტყველებდნენ.⁷

ცალკეული კავკასიური კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ კოცებუსადმი შავიზღვისპირა ხაზის III განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ნ. მურავიოვის ზემოხსენებულ საიდუმლო პატაკში (№136) ჩამოთვლილია სამურზაყანოელი თავადები და აზნაურები გარკვეული თანმიმდევრობით: თავადები –

შესახებ“. – ნგნ.: *წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი*, გვ. 221-223; ი. **კვაშილავა**. სამურზაყანოს გვარსახელების გეოგრაფიიდან, გვ. 127; *Клятва и подписи князей Самурзаканской Абхазии* (№129), გვ. 294-295; **К. Мачавариани**. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии..., გვ. 311.

¹ როგორც ჩანს, ინალიშვილი უნდა იყოს.

² უნდა იყოს სოთიშვილი.

³ *Географическо-статистический словарь Российской Империй...*, Т. IV, გვ. 423.

⁴ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 118.

⁵ **И. Г. Антелава**. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 118.

⁶ **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზეთის თავდაზნაურული გვარები, — *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*. ტ. XI, გვ. 84; **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები..., გვ. 269.

⁷ *Главнейшие сведения о горских племенах, на которые распространяется деятельность...*, – გაზ. «Кавказ», №44, გვ. 2.

შარვაშიძე, ანჩაბაძე, ემხვარი, ჩქოტუა, ინალიშვილი; აზნაურები – მარლანია, აქირთავა, ზუხბაია.¹ როგორც ჩანს, აქ ერთგავარდ აისახა სამურზაყანოს არისტოკრატიაში არსებული იერარქიული წყობა.

„ახილაფშუს“ მოვალეობას შეადგენდა თემის უსაფთხოების უზრუნველყოფა, ანუ მტრებისაგან თავდაცვა; თემის წევრების ქონების დაცვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფართოდ გავრცელებული ძარცვა-ყაჩაღობის გამო; იგი ვალდებული იყო სისხლი აეღო მოკლული თანათემელის გამო ან ხელი შეეწყო მონინაალმდეგეთა შერიგებისათვის.² ამის სანაცვლოდ კი, „ახილაფშუ“ „ახიფშებისაგან“ მატერიალურ მხარდაჭერასა და ერთგულებას მოითხოვდა.³

„ახიფშებს“ სამურზაყანოშიც, უმთავრესად, გლეხები შეადგენდნენ, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფოდნენ: თავისუფალი – „ფიოში“⁴ (აფხაზეთში – *ანჰაიუ/анхай*⁵) და დამოკიდებული გლეხები: მონინალე (აფხაზეთში – *ამაცურაზკუ/аматцуразкы*⁶), დოლმახორე (აფხაზეთში – *აჰოიუ/аху-уеи*⁷) და მოჯალაბე (აფხაზეთში – *ახაშვალა/ахашвала*⁸).

ფიოში თავისუფალი მეთემე, მიწისმოქმედი იყო და გლეხ-

¹ სეასა. ფონდი 1087, აღნ. 2, საქმე 357, ფ. 42-43, 168.

² С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 498.

³ ზ. ჭ-ა. მიწათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 219; А. В. Гадло. Этнография народов Средней Азии и Закавказья..., გვ. 88-89. იხ. ელ. ვერსია: http://www.gumet.r.info/bibliotek_Buks/Culture/gadlo/10.php.

⁴ გ. ძიძარიას შენიშვნით, ამ ტერმინის გაშიფვრა ვერ ხერხდება (Г. А. Дзидзария. Народное хозяйство и социальный строй дореформенной Абхазии, გვ. 246).

⁵ აფხაზურად: „მეურნე კაცი, მიწისმოქმედი“ (გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 199; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 506).

⁶ აფხაზურად: „კაცი, რომელიც ვალდებულია იმსახუროს/იმუშაოს“ (გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 200; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 513).

⁷ აფხაზურად: „საჭმლის მომზადებელი“ (გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 200; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 512). ზ. ანჩაბაძე აფხაზ „აჰოიუს“ სამურზაყანოელ „მონინალესთან“ აიგივებს (З. В. Анчабадзе. Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века. Тб., 1966, გვ. 49-50).

⁸ აფხაზურად: „ტყვე, მონა“ (თ. გვანცელაძე. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I, ნაწილი II: აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, გვ. 199). ს. ესაძესთან ახსნილია, როგორც «одна голова холостая» (С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 513).

თა სხვა ფენებისაგან განსხვავებით, შედარებით პრივილიგირებულიც კი იყო. იგი ფეოდალის მიწაზე ზის, თუმცა ზოგჯერ საკუთარი – ნასყიდი – მიწაც გააჩნია.¹ შ. ინალ-იფას ვარაუდით, მიწის მესაკუთრეები მხოლოდ ამ კატეგორიის ზედაფენა უნდა ყოფილიყო.² ფიოში-ანჰაიუ გლახთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნი ფენა იყო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ბატონყმური ურთიერთობა იმ მხარეში ნაკლებად განვითარებული იყო.³ მის მოვალეობას შეადგენდა ლაშქარში გამოსვლა და შრომითი და ნატურალური ბეგარის – „ძღვენის“ – გადახდა, რომელსაც „საზირი“ ერქვა.⁴ ამასთანავე, ფიოშს მეზობლისთვის პროდუქტები უნდა მიეტანა მიცვალებულთა მოხსენიების დღეს („შერქი“), როდესაც იშლებოდა საგანგებო სუფრა და იმართებოდა ცხენების ჯირითი („მარულა“) ან, როდესაც მეზობნე მართავდა ქორწილს ან ღვთისადმი მიცემულ აღთქმას ასრულებდა („საღვთო“, „სალორონთო“).⁵ ამის გარდა, მადლიერების ნიშნად, ფიოში ვალდებულებული იყო „მოსაკითხის“ სახით ფეოდალისთვის მიეცა მის მიერ დაკლული საქონლის ნეკნი ან ბარკალი და 1 ბათმანი ღვინო.⁶ ამასთანავე, მემამულეს შეეძლო, როცა მოესურვებოდა, თავის ოჯახთან ერთად სტუმრებოდა ფიოშს. ამ ადათს „სამენძელო“ ან „მაჭკომური“ (სამეგრელოში – „გოჭკომური“) ერქვა.⁷ ამ უფლებით სარგებლობდა, ასევე, მთავარი თავის ქვეშევრდომი თავადებისა და აზნაურების მიმართაც.⁸ ეს „მასპინძლობა“ მეტად მძიმე ვალდებულება ყოფილა, რადგან მასპინძელს „ღირსეული“ სუფრის გაშლა მეტად ძვირი უჯდებოდა.⁹ გეჯი ეზუგბაიაც, რომომელსაც ერთი ფოლკლორული ცნობა მანუჩარ შარვაშიძის მკვლელობის ინიციატორად თუ მხარდამჭერად ასახელებს, სწორედ ფიოშთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.¹⁰ ის შეძლებული

¹ **З. В. Анчабадзе.** Очерки экономической истории Грузии первой половины..., გვ. 49-50; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა..., გვ. 199.

² **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 508.

³ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 504; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 96.

⁴ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 504; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა..., გვ. 199.

⁵ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 504-505.

⁶ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 505.

⁷ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 505; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა..., გვ. 194.

⁸ **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 499.

⁹ **Г. А. Дзидзария.** Ф. Ф. Торнау и его кавказские..., გვ. 121.

¹⁰ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 156.

გლები ყოფილა, რომელსაც თვითონაც ჰყოლია ოცდაათამდე ნაყიდი გლები.¹

რა თქმა უნდა, აღნიშნული მოვალეობა სამურზაყანოელი გლებისთვის განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა XIX ს. I ნახევარში, როცა, როგორც ვნახეთ, სამურზაყანოში მეტად მძიმე ეკონომიკური ვითარება იყო. ამასთანავე, ფიოში ვალდებული იყო ფულადი გადასახადიც (10-დან 30 მანეთამდე) მიეცა მებატონისთვის, თუკი ეს უკანასკნელი მხილებული იქნებოდა რაიმე დანაშაულში ან მკვლელობაში და დაზარალებული მხარისთვის გარკვეული საზღაურის გადახდა დაეკისრებოდა.² თუმცა, ყველა ეს ვალდებულება იყო კომლობრივი და არა – სულადობრივი. დადგენილი წესით, არც ერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება ამ გადასახადის თვითნებური გაზრდის ან შემცირებისა. თუკი ფიოშსა და მებატონეს შორის ამ საკითხზე რაიმე უთანხმოება მოხდებოდა, საქმის გასარკვევად ისინი ავტორიტეტულ პიროვნებებს ან თემს მიმართავდნენ. ფიოშის უფლებები დაცული იყო იმით, რომ, მებატონის ძალადობის შემთხვევაში, მას სხვა თემში გადასახლება შეეძლო.³

როგორც გ. ძიძარიას აზრით, XIX ს. დამდეგისთვის ანჰაიუთა და ფიოშთა სოციალური მდგომარეობა დამძიმდა და ისინი ამ მხრივ, ფაქტობრივად, მებეგრე გლებებს – ამაცურაზკუ-მოინალეებს გაუთანაბრდნენ.⁴ აფხაზი მეცნიერის ამ დასკვნას ო. სოსელიაც იზიარებს.⁵

ნ. დერჟავინის მტკიცებით, აფხაზეთის თავად-აზნაურობა მინის პირდაპირი მფლობელი არ იყო და თავადის თუ აზნაურის სიძლიერე და გავლენა განისაზღვრებოდა იმით, თუ რამდენი ფიოში ცხოვრობდა მის მამულში.⁶ მას ეთანხმება კ. მაჭავარიანიც.⁷ ამიტომ დიდებულები, მათ შორის, შარვაშიძეებიც ცდილობდნენ თავიანთი მონინალმდეგების შესუსტებას მათი ფიოშების მოტაცება-დატყვევებით თუ მიმხრობით.⁸ ამან განსაკუთ-

¹ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 164.

² **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 505.

³ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 119, 505; **Г. А. Дзидзария.** Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, გვ. 121.

⁴ **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй..., გვ. 320-325.

⁵ **ო. სოსელია.** ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა). თბ., 1966, გვ. 80, 83-84.

⁶ **Н. С. Державин.** Абхазия в этнографическом отношении, – *СМОМПК*. Вып. 37. Тфл., 1907, გვ. 28-29.

⁷ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму..., გვ. 321.

⁸ **Н. С. Державин.** Абхазия в этнографическом отношении, გვ. 28-29.

კუთრებულად მძიმე ხასიათი XIX საუკუნის 20-30-იან წლებში მიიღო. სამურზაყანოს თავადაზნაურები ერთმანეთის სამფლობელოებში ძარცვა-ყაჩაღობით იყვნენ დაკავებულები.¹ თუმცა, თავად-აზნაურობა, ფიოშთა მინების გარეშეც, ფლობდა საკმაოდ დიდი მამულებს.² ანჰაიუთა რაოდენობა XIXს. II ნახევარშიც კი გლეხთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 80%-ს შეადგენდა.³ ზ. ანჩაბაძის ვარაუდით, ეს კატეგორია გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდში უნდა ჩამოყალიბებულიყო.⁴ ვფიქრობთ, მკვლევარის ეს მოსაზრება მისაღებია, რადგან სწორედ ჩრდილოკავკასიელთა მოძალების შედეგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება ადგილობრივი სოციალური-ეკონომიკური ურთიერთობების „გაახალგაზრდავება“. აღსანიშნავია, რომ შეძლებული ფიოშები (ანჰაიუები) თავადაც იყვნენ ყმა გლეხთა, დოლმახორეებისა, და მონების მფლობელები.⁵

„მოინალეთა“ კატეგორია, ძირითადად, სამურზაყანოში იყო გავრცელებული.⁶ მათი მთავარი მოვალეობა შრომითი ბეგაგარა და ნატურალური გადასახადი (ლორი ან თხა, ღვინო, მარცვალი და სხვ.) იყო.⁷ მოინალეს პირადი თავისუფლება დაკარგული ჰქონდა და მემამულის მიწაზე იყო მიმაგრებული.⁸ მოინალე ვალდებული იყო ოჯახის ერთი წევრი ბატონის სახლში გაეგზავნა (5-6 დღით) სამსახურისათვის, მაგრამ თუკი ოჯახში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო შრომისუნარიანი, მაშინ ეს ვალდებულება 2-3 დღემდე მცირდებოდა.⁹ სამურზაყანოელ მოინალეებსა სა (აფხაზი ამაცურაზკუების) და გურია-იმერეთის მსახურებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ პირველნი ბეგარას ყოველწლიურად იხდიდნენ, მეორე კი მხოლოდ 2-3 წლის თავზე, მაგრამ პირველთა ეს ვალდებულება შედარებით მსუბუ-

¹ *Письмо кн. Темурквa Анчабадзе к полк. кн. Бебутову*, გვ. 396.

² **პ. ქ-ა.** მიწათმფლობელობა., გვ. 219; **С. Эсадзе.** Историческая..., გვ. 509.

³ **З. В. Анчабадзе.** Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 46.

⁴ **З. В. Анчабадзе.** Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 46.

⁵ **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 513, 515; **Г. А. Дзидзария.** Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы..., გვ. 121.

⁶ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 503; **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке, გვ. 284-285; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში., გვ. 101; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი., გვ. 200.

⁷ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში., გვ. 101; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი., გვ. 200.

⁸ **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა., გვ. 200.

⁹ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 503; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში., გვ. 101.

ქი ჩანდა.¹

გლებთა შემდეგ ფენას დოლმახორეები შეადგენდნენ, რომელთაც მურიეს თქმით, სამეგრელოში მოჯალაბე ერქვათ.² გ. ჯამბურისა მიაჩნია, რომ გლებთა ამ კატეგორიას პირადი თავისუფლება დაკარგული ჰქონდა და მიწაზე იყო მიმაგრებული.³ მამანამდე ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა ს. ჯანაშიასაც, როდესაც ის აპოიუთა კატეგორიაზე მსჯელობდა.⁴ მ. დუმბაძე ვარაუდობდა, რომ დოლმახორეებს, გურია-იმერეთ-სამეგრელოს მოჯალაბეებისაგან განსხვავებით, გარკვეული „პირადი და ქონებრივი უფლებები ჰქონდათ“.⁵ ამგვარადვე ფიქრობდნენ ს. ესაძე და ნ. დერჟავინიც.⁶

დოლმახორეს ოჯახი ვალდებული იყო 3 წევრი სამი დღით გაეგზავნა ბატონთან საველე სამუშაოებზე საკუთარი საქონლით და სამუშაო იარაღით. ამ დროს მათი გამოკვება მემამულის მოვალეობას შეადგენდა.⁷ დოლმახორე ვალდებული იყო ფეოდალსთვის თითო ბიჭი ან გოგო მიეცა. მაგრამ გოგოს მომსახურება ბატონის სახლში სამურზაყანოში, აფხაზეთის სამთავროსგან განსხვავებით, ნაკლებად გავრცელებული იყო.⁸ დოლმახორეს ქალიშვილი ფეოდალთან გათხოვებამდე რჩებოდა. მისი გათხოვებისთვის კი სამურზაყანოელი ვალდებული იყო ბატონისათვის „ხარჯი“ მიეცა, რომელიც 1 ძროხიდან და 10 მანეთიდან 5 ძროხამდე და 50 მანეთამდე მერყეობდა.⁹ ამის შემდეგ დოლმახორეს ქალიშვილი ბატონისგან სრულიად თავისუფალი იყო. ფეოდალს უფლება არ ჰქონდა დოლმახორე თვითნებურად აეყარა ან გაეყიდა ოჯახისაგან მოწყვეტით.¹⁰ თუკი, ასეთ მცდელობას ადგილი ექნებოდა, დოლმახორე ახალ მფარველს ეძებდა.¹¹ ასეთივე შედეგი დგებოდა, თუკი ბატონი გადასახადების გაზრდას

¹ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში..., გვ. 101.

² კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე. ბატონყმობა საქართველოში (მასალები). თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. ტფ., 1927, გვ. 124; მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში..., გვ. 103-104; ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 590.

³ გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი..., გვ. 200.

⁴ ს. ჯანაშია. საენციკლოპედიო მასალა, გვ. 219.

⁵ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ..., გვ. 103-104.

⁶ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, гв. 501; Н. С. Державин. Абхазия в этнографическом отношении, гв. 30-31.

⁷ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, гв. 501.

⁸ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, гв. 502.

⁹ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, гв. 502.

¹⁰ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ..., გვ. 103-104.

¹¹ Н. С. Державин. Абхазия в этнографическом отношении, гв. 30.

მოითხოვდა.¹ თუმცა, მეზატონის უღლისაგან გამოხსნა არც ისე ადვილი იყო და ფულადი სახით ის 100-დან 300 მანეთამდე მერყეობდა.²

დოლმახორეთა ფენის შევსება სამეგრელოში ნაყიდი ყმებით ხდებოდა. სწორედ მეგრელები წარმოადგენდნენ უმრავლესობას ამ კატეგორიაში და, შესაბამისად, დოლმახორეებს ხშირად „აგირუადაც“ („მარგალი“/მეგრელი) მოიხსენიებდნენ.³ როგორც არაერთ ისტორიულ წყაროშია აღნიშნული, აფხაზების ძირითად საქმიანობას ყაჩაღობა და ძარცვა-ტაცება წარმოადგენდა.⁴ ამას იუწყება წმიდა მეუფე გაბრიელიც (ქიქოძე). მისი ცნობით, სამურზაყანოელი აფხაზებიც შრომისადმი დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდნენ. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ ჰყავდა ცხენი მოპარული ან ტყვე გატაცებული, დიდი პატივისცემით არ სარგებლობდა, საშოვარზე მიმავალ შვილს კი დედა ასე ლოცავდა: „ღვთის შენევნით, დღისით და ღამით, ამ ხმლით ბევრი ნადავლი მოგეპოვოს“.⁵ შ. ინალ-იფა აღნიშნავდა, ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ საკუთარი მეურნეობის განვითარებაზე.⁶ აქედან გამომდინარე, სწორედ „მარგალს“ (აგრუას) ეკისრებოდა მინაზე მუშაობა.

ყველაზე უუფლებო ფენას სამურზაყანოში მოჯალაბეები წარმოადგენდნენ, რომელთაც აფხაზეთში „ახაშვალებს“ უწოდებდნენ. ისინი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მოჯალაბეები.⁷ ახაშვალეები ბრძოლებში ტყვედ ჩავარდნილი გლეხებისგან და ტყვეთა სყიდვის შედეგად წარმოიშვნენ.⁸ სწორედ ამით აიხსნება

¹ Н. С. Державин. Абхазия в этнографическом отношении, გვ. 30-31.

² С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 502.

³ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 103-104; გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 200.

⁴ Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 509.

⁵ Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходоов, – გაზ.: «Кавказ». № 14, 1869, გვ. 3.

⁶ Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 509.

⁷ გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 200-201.

⁸ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 501; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, გვ. 514; მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), გვ. 103-104; გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 201.

ბა ის, რომ მათი უმრავლესობა ქართული გვარების მატარებლები იყვნენ. როგორც კ. მაჭავარიანი მონიშნავდა, ისინი ყველაზე მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ.¹ ახაშვალები თითქმის მონები იყვნენ და მათი მესაკუთრის სახლებში ცხოვრობდნენ, რომლებიც მათი შრომით სარგებლობდნენ.² ეს კი გამორიცხავდა მათ მიერ მიწის ფლობას, როგორც ამას ნ. დერჟავინი ამტკიცებდა.³ ახაშვალა ბატონის სრული საკუთრება იყო და ამ უკანასკნელს მისი თავისუფლად გაყიდვა-გაჩუქება შეეძლო.⁴ ახაშვალას დაოჯახების უფლება არ ჰქონდა, დასავლეთ საქართველოს მოჯალაბეს კი ოჯახის შექმნა შეეძლო.⁵ თუკი ბატონი მას დაქორწინების უფლებას მისცემდა, იგი დოლმახორეთა კატეგორიაში გადადიოდა და ბატონისგან მიწასაც ღებულობდა.⁶

გლეხებსა და ფეოდალებს შორის შუალედური მდგომარეობა ექირათ შინაყმებს, რომლებსაც აფხაზურად „აშინაყმა“ (*ашь-накума*⁷) ეწოდებოდათ. ისინი სამინათმოქმედო სამუშაოებისგან გათავისუფლებულები იყვნენ და მათი მთავარი მოვალეობას მებატონის კარზე პირადი მსახურება (ფარეშობა, ხელოსნობა-მოხელეობა და სხვ.), ფეოდალის პირადი რაზმის მოლაშქრეობა შეადგენდა.⁸ ვარაუდობენ, რომ ეს კატეგორია აფხაზეთში XVIII სა-

¹ **К. Мачавариани.** Некоторые черты из жизни Абхазцев. *Положение женщины в Абхазии*, – СМОМПК. Вып. 4. Тфл., 1884, გვ. 61.

² **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 500; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 514.

³ **Н. С. Державин.** Абхазия в этнографическом отношении, გვ. 29.

⁴ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 500.

⁵ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 103-104; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIIIს., გვ. 201.

⁶ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 500; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 514; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 103-104; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIIIს., გვ. 201.

⁷ შ. ინალ-იფა ხაზს უსვამს ამ ტერმინის ქართულ წარმომავლობას (**Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 502).

⁸ *Статистическое описание Закавказского края*, გვ. 35-36; **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 499; **Н. С. Державин.** Абхазия в этнографическом отношении, გვ. 28; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 502; **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, გვ. 593.

უკუნეში – XIXს. დასაწყისში უნდა ჩამოყალიბებულიყო.¹

სამურზაყანოში გავრცელებული იყო „ასასობის“ ინსტიტუტიც. ასასი ანუ სტუმარი იყო ერთი თემიდან მეორეში თავშეფარებულ ან სხვა მხარიდან მოსული ადამიანი, რომელიც რომელიმე აფხაზ ფეოდალთან ან თემთან თავშესაფარს პოულობდა. ასასის მდგომარეობაში იყვნენ თავად-აზნაურებიც და გლეხებიც.² ასასები უმინაწყლონი იყვნენ.³ მათ „მასპინძლის“ მამულში შირადი საკუთრება არ გააჩნდათ და მხოლოდ მფარველის მიერ მათთვის დროებით სარჩოდ მოცემული წყაროებით სარგებლობდნენ.⁴ მ. დუმბაძეს მიაჩნდა, რომ აფხაზურ-სამურზაყანული ასასობა ქართველ მინდობილ-ხიზნობის მსგავსი ინსტიტუტი იყო.⁵ ეს მოსაზრება უარყო გ. ძიძარია,⁶ რომელიც შემდეგ ო. სოსელიამ და ქ. ჩხატარაიშვილმა გაიზიარეს.⁷ ს. ესაძე მიუთითებდა, რომ ასასების დასახლებით მასპინძელ-მფარველები საკუთარი მამულის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ, რადგან პირველები იძულებული იყვნენ საკუთარი ქონება და სიცოცხლე თვითონვე დაეცვათ.⁸ ამიტომ მასპინძელი „სტუმრისგან“ რაიმე საზღაურს არ იღებდა.⁹ ხიზანი კი ვალდებული იყო მფარველი მებატონისათვის ღალა გადაეხადა.¹⁰

¹ **И. Г. Антелава, Г. А. Дзидзария, А. А. Олонецкий.** Из истории крестьянской..., გვ. 404-405; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 502.

² **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 513; **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй..., გვ. 346; **ზ. ანჩაბაძე.** მსხვილი ფეოდალური სენიორიის სოციალურ-პოლიტიკური ევოლუცია XIXს. აფხაზეთში, – *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*. გ. მელიქიშვილის რედაქციით. თბ., 1966, გვ. 453; **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა..., გვ. 596.

³ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 104-105.

⁴ **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй..., გვ. 347-358; **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, გვ. 594.

⁵ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 104-105.

⁶ **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй..., გვ. 346, 348.

⁷ **ო. სოსელია, ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIIIს. 40-80-იან წლებში, გვ. 597.

⁸ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 514.

⁹ **С. Эсадзе.** Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 514.

¹⁰ **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში (*რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*), გვ. 104-105; **გ. ჯამბურია.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIIIს., გვ. 198.

ნიშანდობლივია, რომ სამურზაყანოს სოციალური ფენების ამსახველი ტერმინები (თავადი, ჟინოსქუა, შინაყმა, მოინალე, დოლმახორე, მოჯალაბე) ქართული ენიდან და მისი მეგრული ენა-კავიდან დამკვიდრდა, რაც, ამკარად, ძირძველ ქართულ-აფხაზურ კავშირებზე მიუთითებს. გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდამდე ფეოდალთა კლასი აღინიშნებოდა ტერმინით „აზნაური“, რომელიც გავრცელებული იყო მთელს საქართველოში,¹ ში,¹ მაგრამ, პარალელურად, ცალკეულ კუთხეში იმთავითვე არსებობდა ამ ფენის აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინიც, მაგალითად, მეგრული „ჟინოსქუა“ და აფხაზური „ამსთა“, რაც ზ. პაპასქირის მოსაზრებით, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ცნებები უნდა გაჩენილიყო ადრეულ შუა საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ საქართველო – ეგრისი, აფხაზეთი – ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული საერთო-ქართულ ფეოდალურ სტრუქტურაში.²

განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით „თავად“-„ათაუადის“ მიმართებაში. აქ ამკარად ჩანს, რომ აფხაზეთი იმ ქართული ფეოდალური სამყაროს წევრი იყო, სადაც სათავადოთა სისტემა უკვე გაფორმებული იყო. ამიტომ იქ არ შეიქმნა საჭიროება თავადობისათვის ადგილობრივი სახელწოდება შეექმნათ. ამასთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ ამა თუ იმ პირის თავადის რანგში აყვანა მხოლოდ და მხოლოდ სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა იყო და შესაბამისად სამეფო სიგელით ფორმდებოდა და ამიტომაც აფხაზი თავადებიც საკუთარ თავს საერთო-ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.³

მინათმფლობელობის საკითხი სამურზაყანოში, ზოგადად, აფხაზეთის ანალოგიური იყო.⁴ „აქითაში“, რომელშიც ფეოდალები და გლეხები შედიოდნენ, საერთო სარგებლობაში ტყე და საძოვრები შედიოდა.⁵ საზოგადო საკუთრებას წარმოადგენდა,

¹ XVI-XVII საუკუნეებიდან საქართველოში ფეოდალური კლასის ზედაფენაა თავადობა (გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVIII სს., გვ. 203).

² ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*, გვ. 133; **3. Папаскири**. Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 104.

³ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*, გვ. 133; **3. В. Папаскири**. Абхазия. *История без фальсификации*, გვ. 103-104.

⁴ **С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 506.

⁵ **3. ჭ-ა**. მინათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 219; **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. *Историко-этнографические очерки*, გვ. 395.

აგრეთვე, დაუმუშავებელი მიწებიც.¹ ამგვარი ვითარება შენარჩუნებული იქნა XIX ს. მიწურულშიც.² ენგურ-ღალიძგას შუამდინარეთისაგან განსხვავებით, ოდიშში მიწა თემის საკუთრებას არ წარმოადგენდა.³

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პატრონიმია, ასევე, საერთო კოლექტიური შრომის ორგანიზაციასა და მატერიალური ურთიერთდახმარების ფორმების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ამგვარ ურთიერთდახმარებას სამურზაყანოში „ნოდი“ და „ოსერ-შე“ (მეგრ.: „სავახშმო“) ეწოდებოდა.⁴ სამეგრელოს მსგავსად, აქაც „ნოდი“ ორი სახეობისა იყო: „გედვალერი“ (სავალდებულო) და „უგედვალო“ (არასავალდებულო). ნოდზე მიუსვლელობა მიმწვევი ოჯახის უპატივცემულობად ითვლებოდა.⁵ პატრონიმიის წევრები ერთმანეთს სხვადასხვა საქმიანობებში ეხმარებოდნენ, რომელიც ერთი კონკრეტული ოჯახის ძალით ვერ შესრულდებოდა. სამუშაოებში დაკავებული ადამიანების გამასპინლევა მომწვევი ოჯახის ვალდებულება იყო.⁶

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამურზაყანოში არ იყო ქალაქური ტიპის დასახლებები. მოსახლეობა, უმთავრესად, სოფლებში ცხოვრობდა. ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის მნიშვნელოვან სოფლებად ითვლებოდა ბედია, ფახულანი, ბარბალო (კოკი), საბერიო, ნაბაკევი, ოქუმი, ილორი (მოგვიანებით, აფხაზეთის სამთავროს შეუერთეს), გუდავა, დიხაზურგა. ამათგან შედარებით მრავალრიცხოვანი ყოფილა ბედია, სადაც წმიდა გაბრიელ ქიქოძის ცნობით, 1868 წელს 500-მდე კომლი ცხოვრობდა.⁷ მასთან ერთად, დიდ სოფელს, აგრეთვე, საბერიოც წარმოადგენდა.⁸ ამ კუთხის სხვა სოფლები იყო პატარა კოკი, გაინარჯია-მუხური, ორსანტია და შამგონა, რომლებიც, 1849 წლის 4 იანვრის შემდგომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ.

¹ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом..., გვ. 506-507.

² პ. ჭ-ა. მიწათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 219.

³ უიარალო (კონდრატე თათარშვილი). მშვიდობით! (სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან), — ქართული პროზის სავანძური. ტ. 32. თბ., 2010, გვ. 125.

⁴ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 36.

⁵ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 36.

⁶ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 37.

⁷ Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила, для обозрения абхазских и самурзаканских приходоов, — გაზ.: «Кавказ». №13, 1869, გვ. 3; წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი სამურზაყანოსა და აფხაზეთში იმყოფებოდა 1868 წლის 14 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით.

⁸ Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила..., — გაზ.: «Кавказ». №14, 1869, გვ. 3.

XXს. დასაწყისში სამურზაყანოს უბანში 11 თემი და 69 სოფელი შედიოდა: *გალის თემი* – გალი, რეჩხი, ცხირი; *ოქუმის თემი* – ოქუმი, ჩხორთოლი, ღუმურიში; *ბედიის თემი* – ბედია, კოპიტი, მიშველი, სოჭითავა, ნაჯიხევი, ოხურეი, პატრახუნა, რეკა, სანარდო, სამახარიო, სახახუბიო, საღარნკიე, საჩინო, სანუჟბაო, საგურგულიო, ეშქეთი; *გუდავის თემი* – გუდავა, ჯოკობა, ოხურეი, ტოგონი; *მუხურის თემი* – ბულისხინჯი, ღვანჭკა, ჯანის-ხინჯი, მუხური, ნახინგოვი, ფშაური, ფუნყური, საკენჯიო, ტოგონი, წარჩე; *რეფო-შეშელეთის თემი* – გვალი-ენერი, რეფი, შეშელეთი; *ბარლების თემი* – ბარლები, სიდო, ხიტუს-მუხური; *ნაბაკევის თემი* – ნაბაკევი, ოტობაია, თავილონი; *ჭუბურისხინჯის თემი* – ჭუბურისხინჯი, ჭყონი-ხუმლა, საბაბელოუ, სარაგო, გვანჯია-ზენი; *საბერიოს თემი* – აზანიში, ღალი-ხუმლა, ღვაში-გვერდი, განაცუდუ, დაურჩკელა, დიდი წიფური, ზენი, ყაფიშონა, ლეკუხონა, ლეჭერაია, ნაჯიხურუ, ნანიმერი, ოხოხუ, პორტონახორეი, რტომი, სამირკვალა, საბერიო, სამიქიო.¹

სამურზაყანოს სოფლებისა და მისი მცხოვრებლების შესანიშნავი აღწერა შემონახულია თედო სახოკიას მიერ, რომელმაც ეს კუთხე **XIXს.** 90-იანი წლების დასაწყისში მოინახულა.² ავტორი ხაზს უსვამდა ადგილობრივი და სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების ანალოგიებს,³ რაც, ბუნებრივია, განპირობებული იყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს მოსახლეობის ერთი წარმომავლობით. როგორც საველე ეთნოგრაფიულმა კვლევებმა აჩვენა, სამურზაყანოში აფხაზების ჩამოსახლებას არ გამოუწვევია ადგილობრივი საკარმიდამო კომპლექსის სტრუქტურის ცვლილება.⁴ ამის მიზეზი, ბუნებრივია, ის იყო, რომ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა, ძირითადად, მაინც ადგილზე დარჩა.⁵ ამასთანავე, აქ არსებული დასახლების ტიპი „სოფელი“ თავისი ეკლესიით, სასაფლაოთი, შიდამიმოსვლისა და სამეურნეო გზებით, რომლის მონოგენური უბნები რღვევის პროცესს განიცდიდა, გაცილებით მაღალგანვითარებული იყო აქ მოსული ჩრდილოკავკასიური ტომებისათვის დამახასიათებელი დასახლების ტიპებისათვის.⁶ ქართველებთან ინტეგრაციული პროცესები ერთგვარ გავლენას

¹ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму... გვ. 127-129.

² **თ. სახოკია.** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), გვ. 336-351.

³ **თ. სახოკია.** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), გვ. 343.

⁴ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 69.

⁵ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 362-363.

⁶ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 348.

ორივე ეთნოსის ყოფაზე ახდენდა. თუმცა მაღალგანვითარებული ქართული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ზემოქმედება, ბუნებრივია, უფრო მძლავრი იყო და მათ „ადაპტაციის შედეგად ქართული კულტურისა და ყოფის მრავალი ტრადიციული ელემენტი შეითვისეს... მათ შორის, დასახლების დასავლურ-ქართული ფორმა“.¹ აღსანიშნავია, რომ სამურზაყანოში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, შემორჩა ღვინის შენახვა მარნებში, რაც სავსებით არ ახასიათებდათ ბზიფის აფხაზებს, რომელთაც ამგვარი შენობა საერთოდ არც კი გააჩნდათ.² თუმცა, მარანი ჰქონდათ აბჟუელ აფხაზებს.³ აქაც ჩანს, რომ აბჟუელი აფხაზები უმთავრესად გააფხაზებული ქართველები (ძირითადად – მეგრელები) იყვნენ.



გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერა (X-XI სს. მიჯნა, სოფ. დიხაზურგა).⁴

¹ ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 350.

² С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 16.

³ С. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия..., გვ. 16, 22.

⁴ მოგვანოდა ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ლია ახალაძემ.

§2. სამურზაყანოს ეთნო-კულტურული იერსახე

XVIII. უკანასკნელ მეოთხედში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად თანამედროვე სამურზაყანოს ტერიტორიაზე აფხაზური ეთნიკური ელემენტი გაჩნდა. მართალია, პერმანენტულმა საომარმა მოქმედებებმა, ტყვეთა ტაცებამ, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ნაწილის მიგრაციამ სამეგრელოს შიდა რაიონებისკენ, ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ეთნიკური სურათის ცვლილება გამოიწვია, მაგრამ არც თუ მნიშვნელოვნად, ვინაიდან აფხაზური ეთნოსის მოძალეა ამ მიმართულებით შედარებით სუსტი იყო და აქ ადგილობრივი ქართული (მეგრული) მოსახლეობაც ძირითადად, ადგილზე დარჩა.¹ შედარებითი მშვიდობიანი პერიოდის დადგომის შემდეგ გახიზნული მოსახლეობის ნაწილი უკან მობრუნდა.² როგორც აღვნიშნეთ, უკანდაბრუნების პროცესი მურზაყანის ზეობის დროს უნდა დაწყებულიყო. სწორედ ამან განაპირობა როგორც ამ მხარის ტოპონიმის მეგრულობა, ასევე ზემოთ განხილული ზოგიერთი ადგილობრივი სოციალური ფენის მეგრული სახელწოდება.

დღეს ე. წ. აფხაზური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ჯიუტად ცდილობენ სამურზაყანოს, როგორც მხოლოდ აფხაზური ეთნოსის ძირძველი საცხოვრისის წარმოჩენას. ამ მხრივ საყურადღებოა თ. აჩუგბას მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომი.³ თუმცა, მისი მოსაზრება ამ მიმართულებით განსაკუთრებული „სიახლით“ ნამდვილად არ გამოირჩევა.

სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი ჯერ კიდევ ცარისტულმა რეჟიმმა წამოსწია XIX ს. I ნახევარში. მის მიზანიც იყო სამურზაყანოელთა აფხაზური წარმომავლობის დამტკიცება. ს. ბახია-ოქრუაშვილის სამართლიანი შეფასებით, ეს იყო აბსოლუტურად ხელოვნურად შექმნილი პრობლემა.⁴ ამ პოლიტიკის გაგრძელება იყო ცარიზმის ჩინოვნიკთა მიერ აფხაზეთში მიზნობრივი მიგრაციისათვის ხელშეწყობა, რომელიც ამ მხარეში დასახლების უფლებას სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს აძლევდა, გარდა ქართველებისა.⁵

¹ თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთი., გვ. 242.

² პ. ცხადია. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზონიმის მასალების მიხედვით), გვ. 148-149.

³ Т. А. Ачугба. О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии, – ელექტრონული ვერსია: <http://www.abkhaziya.org/books/samurzagan/samurz1.html>.

⁴ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა, გვ. 56.

⁵ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა, გვ. 64.

ამ საკითხის „გამოკვლევაში“ პირველობა მ. სელეზნევის ეკუთვნის, რომელმაც სამურზაყანოელები ერთმნიშვნელოვნად აფხაზურ ეთნოსს მიაკუთვნა.¹ ამ კურსმა გაგრძელება ჰპოვა ა. ბერჟეს, ს. დუხოვსკის, გენერალ გ. ფილიპსონის ნაშრომებსა და თუ მემუარებში.² ა. ბერჟეს მოსაზრება მალევე გააკრიტიკა დ. ფურცელაძემ, რომელმაც თავის არგუმენტებში ხაზი გაუსვა სამურზაყანოს წარსულს, ისტორიულ ძეგლებს ქართული წარწერებითა და მის თანამედროვე სამურზაყანოელთა სასაუბრო ენას, რომელიც, ავტორის თქმით, მეგრული იყო.³ ნ. ალბოვმა კი სამურზაყანოელთა ეთნოლოგიის კვლევაში არსებითი „სიახლე“ შემოიტანა. მისი მტკიცებით, სამურზაყანოელები იგივე აფხაზები არიან, რადგან, ისევე როგორც აფხაზები, ვაჭრობისადმი ზიზღით განსხვავდებიან მეგრელებისაგანო.⁴

„რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის“ IV ტომის ავტორები აღიარებენ სამურზაყანოელთა „ქართულ წარმომავლობას“, თუმცა აღნიშნავენ, ისინი უფრო აფხაზებს ჰგვანან, განსაკუთრებით სამურზაყანოს დასავლეთი ნაწილის მცხოვრებნი.⁵ რაც შეეხება მოსახლეობის სარწმუნოებრივ მდგომარეობას, „ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ ადრე ისინი ქრისტიანები ყოფილან, თუმცა ამჟამად, ძირითადად, წარმართები არიან.⁶

ცარიზმის ზემოხსენებული პოლიტიკური კურსისა და ამ მიმართულებით ჩატარებული „სამეცნიერო კვლევების“ შედეგი აისახა XIX ს. 60-იან წლებში აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გასატარებლად საგანგებოდ შექმნილი „წოდებრივ-სამინათმოქმედო კომისიის“ აქტებში, სადაც სამურზაყანოელები უაპელაციოდ აფხაზებს მიაწერეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს მეგრელებად მიიჩნევდნენ.⁷ ამ გადანყვეტილების საპასუხოდ პ. ჭარაია წერდა: „სამურზაყანოელები კი იგივე მეგრელები არიან, თუმც ბევრს არა ჰჯერა. ენა, ეს უმთავრესი ნიშანი ეროვნობისა, ამტკიცებს ამას. მთელ სამურზაყანოში მეგრულათ ლაპარაკო-

¹ М. Селезнев. Руководство познанию Кавказа. Кн. 2, გვ. 135-136.

² А. Берже. Краткий обзор горских племен на Кавказе. Абхазское племя (азега), გვ. 6-7; С. Духовский. Материалы для описания войны на Западном Кавказе, გვ. 44; Воспоминания Г. И. Филиппсона, გვ. 208.

³ Дмитрий Пурцеладзе о самурзаканцах (დოკ. №166). – წგნ.: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 328-329.

⁴ Н. М. Альбов. Этнографические наблюдения в Абхазии, გვ. 306.

⁵ Географическо-статистический словарь Российской Империй. Т. IV, გვ. 423.

⁶ Географическо-статистический словарь Российской Империй. Т. IV, გვ. 423.

⁷ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, გვ. 514.

ბენ. იმის დასავლეთ ნაწილში, უფრო მთავორიან ადგილებზე, აფხაზურიც იცინა“.¹ 1869 და 1899 წლებში გამოქვეყნებულ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშებში ნათლადაა დაფიქსირებული, რომ „ილორიდან დანყებული მთელ სამურზაყანოში ბატონობს მეგრული ენა“ და „არავითარი ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ სამურზაყანოელები ეკუთვნიან ქართულ ტომს. სამურზაყანოელები ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე და არა აფხაზურ ენაზე“.²

სამურზაყანოს მოსახლეობა მეგრელებად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილსაც.³ ადგილობრივთა სარწმუნოებრივი ვითარების მიმოხილვისას, ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი თავიდანვე ქრისტიანები ყოფილან, მაგრამ, თავსგადამტყდარი ისტორიული ქარტეხილების გამო, ეს რელიგია შესუსტებულა. თუმცა, ოსმალებს, აფხაზეთისგან განსხვავებით, ისლამის დამკვიდრება მაინც ვერ მოუხერხებია, ვინაიდან სამურზაყანოში არსად მოიპოვება მეჩეთი.⁴ თუმცა, ი. გოგებაშვილი იქვე შენიშნავს, რომ სამურზაყანოელთა სარწმუნოებაში, წარმართობის გარკვეული ელემენტებიც გაჩენილა, რაც სამჭედლოს კულტს უკავშირდება.⁵

აღსანიშნავია, რომ კ. მაჭავარიანმა მხარი დაუჭირა „წოდებრივ-სამინათმოქმედო კომისიის“ შეფასებას.⁶ მისი მტკიცებით, სამურზაყანოელები უმთავრესად აფხაზები იყვნენ, ხოლო ამ მიწა-წყალზე მოხინადრე მეგრელი კი იყო «*выходец из Мингрелии*».⁷ კ. მაჭავარიანმა თავისი „მოსაზრებების“ გამოქვეყნება XIX ს. მიწურულიდან დაიწყო და განსაკუთრებით აქტიურად ამ იდეების პროპაგანდისტის მას თავის გვერდებს უთმობდა ბათუმში გამომავალი შავრაზმული გაზეთი «*Черноморский вестник*», სადაც ის ამტკიცებდა, რომ სამურზაყანოელები, ადათ-წესებით, ენით და სარწმუნოებით, აფხაზები იყვნენ.⁸ ეს გამოცემა,

¹ **პ. ჭ-ა.** მიწათმფლობელობა აფხაზეთში, გვ. 218.

² **ა. თოთაძე.** აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: *სიყალბე და რეალობა*, გვ. 85-86.

³ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 316.

⁴ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 318.

⁵ *ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი*, გვ. 318-319.

⁶ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. С историко-этнографическим очерком Абхазии, гв. 311.

* „გადმოსახლებულია სამეგრელოდან“ (თარგმანი ჩვენია – **კ.კ.**)

⁷ **К. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. С историко-этнографическим очерком Абхазии, гв. 311.

⁸ **К. Д. Мачавариани.** Имеют ли право самурзаканцы называть себя мингрельца-

რომელზედაც თ. სახოკიამ დაწერა „უკაცრავად პასუხია, გაზეთი“, „ნომერი ისე არ გამოვა ამ გაზეთისა, რომ რაიმე უშვერი თრევა-ლანძღვა და უგვანო ჭორიკანული ცილისწამება არ იყოს საქართველოს შესახებ“, სამურზაყანოშიც აქტიურად ვრცელდებოდა.¹ თუმცა, მისი „ნაშრომები“ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისგან უპასუხოდ არ რჩებოდა.² სამურზაყანოელები მხოლოდ აფხაზები იყვნენ ს. ბასარიასთვისაც.³

დეკანოზ დავით მაჭავარიანსა (კ. მაჭავარიანის მამა) და ი. ბარტოლომეის ამ საკითხში, სხვებისაგან განსხვავებით, კატეგორიული მტკიცების ტონი არ ჰქონდათ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ სამურზაყანოელთა ჩვეულებები უფრო აფხაზურთან პოულობდა მსგავსებას, ვიდრე – მეგრულთან.⁴

ზემოხსენებულებისაგან განსხვავებული მოსაზრება სამურზაყანოელთა წარმომშობის შესახებ გამოთქმულია ანონიმი ავტორის მიერ 1868წ. გაზეთში «Кавказ» გამოქვეყნებული ვრცელი მასალა ამიერკავკასიის მოსახლეობაზე, სადაც, მართალია, სამურზაყანოელები ცალკე ტომად არიან მოხსენიებული, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი მეგრელებისგან მომდინარეობენ.⁵ თავის მოსაზრებას ავტორი მთელი რიგი არგუმენტებით ამყარებს: იგი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელები, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თავად-აზნაურობა, ძირითადად მაინც, აფხაზური წარმომშობისაა, უმთავრესად, მეგრულად მეტყველებენ.⁶ მეგრული კი, მისი აზრით, ქართული ენის ერთ-ერთი

მი, – «ЧВ», 1899, №72-75; **К. Д. Мачавариани.** Ответ Самурзаканцу, – «ЧВ», 1899, №101, 102; **К. Д. Мачавариани.** Очерки Абхазии, – «ЧВ», 1899, №224, 229, 233, 254, 279; **К. Д. Мачавариани.** Очерки Абхазии, – «ЧВ», 1900, №31, 34; იბ., აგრეთვე: **К. Д. Мачавариани.** Сухум и Абхазия, – «ТВ», 1879, №250, 252; **К. Д. Мачавариани.** Религиозное состояние Абхазии, – «КВ», 1889, №22, 24.

¹ **თ. სახოკია.** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), გვ. 323-324.

² **ჟუჟუნა.** გაკვრით, – გაზ.: „ივერია“, 140, 4 ივლისი, 1899, გვ. 2; *Голос самурзаканца*, – გაზ.: «ЧВ». 6 მაისი, 1899; ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას მოსაზრებით, «Самурзаканец» წმიდა მღვდელმთავარი ამბროსი ხელაია (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927წწ.) უნდა ყოფილიყო (**Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 726).

³ **С. Басария.** Абхазия в географическом, этнографическом..., გვ. 99.

⁴ **Д. Мачавариани, И. Бартоломей.** Нечто о Самурзакани, – *ЗКОРГО*. Кн. 6, 1864, გვ. 77-78.

⁵ *Главнейшия сведения о горских племенах, на которые распространяется деятельность Общества восстановления Православнаго Христианства на Кавказе*, – გაზ. «Кавказ», №44, გვ. 2-3.

⁶ *Главнейшия сведения о горских племенах*, გვ. 2.

კილოა.¹ აქედან გამომდინარე, იგი კატეგორიულად არ ეთანხმება ა. ბერჟესა და გერმანელი მეცნიერის შნიცლერის მოსაზრებებს, რომ სამურზაყანოელები აფხაზები არიან.² ამიტომ, სამურზაყანოელებს, ავტორის თქმით, საკუთარი საღვთისმეტყველო ენის შექმნაც არ უცდიათ, რადგან ამისათვის, ტრადიციულად, ქართულს იყენებენ.³ იქვე, მას ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაც მოჰყავს: «*Нам известно, что за последнее время духовное начальство поручало одному из самурзаканских священно-служителей перевести на мингрельский язык литургию св. Иоанна Златоуста, но все сословия мингрельскаго и самурзаканскаго населения возстали против этой меры,... а потому почтенный труд переводчика остался без практического применения*».⁴

ანონიმ ავტორს სამურზაყანოელთა ქართველობის დამადასტურებლად ისტორიული ფაქტებიც მოჰყავს. იგი აღნიშნავს, რომ ეს თანამედროვე სამურზაყანო ტერიტორია ჯერ ისტორიული კოლხიდის, მოგვიანებით კი ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა.⁵ ამ მხარის ქართული სამყაროსადმი კუთვნილებას, მისი აზრით, ადასტურებენ ისტორიული ძეგლები, რომელთა შორის უმთავრესად გამოყოფილი აქვს ილორისა და ბედიის ტაძრები, სადაც დაკრძალულია საქართველოს მეფე ბაგრატ III და იქ არსებულ ხატებზე შემონახულია წარწერები, რომ ეს მხარე მეგრელი მთავრების – დადიანების – კუთვნილება ყოფილა.⁶ იმავე გამო-

¹ «...Мингрельский язык есть только наречие грузинскаго» / „მეგრული ენა მხოლოდ კილოა ქართული ენისა“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.)/, – *Главнейшия сведения о горских племенах, на которыя распространяется деятельность Общества возстановления Православнаго Христианства на Кавказе*, გვ. 3.

² *Главнейшия сведения о горских племенах, на которыя распространяется деятельность Общества возстановления Православнаго Христианства на Кавказе*, გვ. 2.

³ *Главнейшия сведения о горских племенах, на которыя распространяется деятельность Общества возстановления Православнаго Христианства на Кавказе*, გვ. 2.

„ჩვენთვის ცნობილია, რომ სასულიერო ხელისუფლებამ ერთ სამურზაყანოელ ღვთისმსახურს დაავალა წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გადათარგმნა, მაგრამ სამეგრელოსა და სამურზაყანოს მოსახლეობის ყველა წოდება წინ აღუდგა ამ საქმეს... ამიტომ მთარგმნელის ეს საპატიო შრომა პრაქტიკული გამოყენების გარეშე დარჩა“ (თარგმანი ჩვენია – ვ.ვ.).

⁴ *Главнейшия сведения о горских племенах, на которыя распространяется деятельность Общества возстановления Православнаго Христианства на Кавказе*, გვ. 3.

⁵ *Главнейшия сведения о горских племенах, на которыя распространяется деятельность Общества возстановления Православнаго..*, გვ. 2.

⁶ *Главнейшия сведения о горских племенах..*, გვ. 2.

ცემაში 1860 წელს დ. ბაქრაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამურზაყანოელები მეგრელებისა და აფხაზების შერევისგან ჩამოყალიბდნენ.¹ თუმცა, ეს დასკვნა არანაირად არ ნიშნავს ახალი ეთნიკური ან სუბეთნიკური ჯგუფის – „სამურზაყანოელის“ – წარმოქმნას.

1892წ. თავისი „კვლევის“ შედეგები წარმოადგინა რუსმა მეცნიერმა ი. პანტიუხოვმაც, რომელიც ჯერ საგაზეთო სტატიის, შემდეგ კი, იმავე წელსვე, ცენზურის ანუ ხელისუფლების ნებართვით, ცალკე ბროშურის სახითაც გამოიცა.² მკვლევარს თავის მიზნად დაუსახავს, სამურზაყანოელთა და აფხაზთა იდენტურობის დამტკიცება და, ძირითადად, მეგრელებისა და სამურზაყანოელების განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ეძებდა. თუმცა, ამგვარი კვლევა აფხაზების მიმართ რომ წარემართა, ალბათ, გაცილებით ობიექტურ დასკვნებს გააკეთებდა.

ი. პანტიუხოვი თავის ნაშრომს იწყებდა იმის განცხადებით, რომ «*Самурзаканью издревле называется страна, лежащая между Абхазией и Мингрелией*».³ ამის შემდეგ ის მკითხველს ამცნობდა, რომ ისტორიული წყაროებით (თუმცა არ აკონკრეტებს ამ „წყაროებს“) სამურზაყანოს ტერიტორიაზე „*რომელიღაც განსაკუთრებულ ხალხს უცხოვრია*“, ხოლო ადგილობრივი ქრისტიანული ტაძრები ბიზანტიელების მიერ ყოფილა აგებული იუსტინიანეს კეისრობის დროს (ახ. წ. Vს.).⁴ საეჭვოა, რომ ავტორს ბედის ტაძარი თვალმოკვრით არ ენახა და ან რამე არ გაეგო⁵ ქართული ხუროთმოძღვრების ამ შედეგის ქტიტორის – მეფე ბაგრატის – შესახებ. ი. პანტიუხოვის შემდეგი განცხადებით, სამურზაყანოელები თავდაპირველად აფხაზურად საუბრობდნენ, თუმცა, მეგრელთა მონოლის შემდეგ, მათ მშობლიური ენა დაივიწყეს და ამჟამად თავს მეგრელებად მიიჩნევენ.⁶

ი. პანტიუხოვს საგანგებოდ ანთროპოლოგიური „კვლევებიც“ ჩაუტარებია, რომლის შედეგაც მან „დაასკვნა“, რომ ამ მხარის მოსახლეობა განსხვავდებოდა ზუგდიდისა და სენაკის მეგ-

¹ *Очерки о Мингрелии, Самурзакани и Абхазии*, – გაზ. «Кавказ», №48-49, 1860.

² **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы, – გაზ. «Кавказ», №77, 1892; **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы. Тфл., 1892.

³ **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы, გვ. 1, ხაზგასმა ჩვენია – ვ.ვ.

⁴ **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы, გვ. 1.

⁵ მით უფრო, რომ ზემოთ მოყვანილი ცნობები სამურზაყანოს შესახებ («*Главнейшие сведения о горских племенах, на которых распространяется деятельность Общества восстановления Православного Христианства на Кавказе*»), როგორც აღვნიშნეთ 1868 წელსაა გამოქვეყნებული.

⁶ **И. И. Пантюхов.** Самурзаканцы, გვ. 2.

რელებისგან. რუსი ავტორის „დასკვნებს“ რაიმე სამეცნიერო ღირებულება რომ ჰქონოდა და სამურზაყანოელებიც აფხაზე-ბად მიგვეჩნია, როგორც მას სურდა, მისი დასკვნები მაინც ადვილად გაბათილდებოდა, ვინაიდან ამ „მკვლევარამდე“ საუკუნენახევრით ადრე ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავდა, რომ აფხაზე-ბი არიან „*მგვანენი მეგრულთა*“.¹ ჩვენი მემატიაანის ეს შენიშვნა კი, მოგვიანებით, უკვე XX საუკუნეში, ანთროპოლოგიური კვლევებითაც დადასტურდა.²

ი. პანტიუხოვისგან განსხვავებით სხვა რუსმა მკვლევარმა, კერძოდ, ა. დიაჩკოვ-ტარასოვმა აფხაზურ ზნე-ჩვეულებებზე, მათში დაცულ გადმოცემებისა და ისტორიული მონაცემების ანალიზით, სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ აფხაზეები ენგური-ლალიძის შუამდინარეთში მოსული მოსახლეობა იყო.³ აი, ნ. დუბროვინისთვის კი სამურზაყანოელები აფხაზეები არიან, თუმცა მან ისიც კარგად იცოდა, რომ სამურზაყანოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. ლალიძგაზე გადიოდა.⁴

XXს. II ნახევრის დასაწყისში ხ. ბლაჟბამ სცადა ტოპონიმიკის მეშვეობით სამურზაყანოელთა ეთნიკური მიკუთვნილობის საკითხის გარკვევა. ავტორის მტკიცებით, ლალიძგა-შუამდინარეთის მთის ტოპონიმიკაში აშკარად გამოიყოფა აფხაზური შრე, ბარის ზონაში კი „ხშირად“ ჩანს ქართული (მეგრული) ნარმოშობის დასახელებანი, ხოლო გალის რაიონში კი ტოპონიმიკაში აფხაზური შრე ადგილს უთმობს მეგრულს.⁵ პ. ცხადაიას შეფასებით, აფხაზ მკვლევარს ვითარება სწორად ჰქონდა შენიშნული, თუმცა ხ. ბლაჟბა არაფერს ამბობდა იმის თაობაზე, რომ სწორედ ქართული ტოპონიმიკური შრეა პირველადი, ხოლო აფხაზური კი გვიანდელია (XVIII. მინურული).⁶ შესაბამისად, აფხაზურმა შრემ კი არ „დაუთმო“ ადგილი, არამედ პირიქით – აფხაზეების მონოლამ გამოიწვია კოდორი-ენგურის შუამდინარეთში მეგრული ფე-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 785.

² მ. აბდუშელიშვილი, ე. ჯავახიშვილი, ლ. შარაშენიძე. კავკასიის ანთროპოლოგიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 7-8; ი. კვაშილავა. სამურზაყანო XIX-XX საუკუნეებში, გვ. 50-51.

³ А. Н. Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия, – *Известия КОИРГО*. Т. 18. Тфл., 1905, გვ. 65; *ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო* (პასუხი „აფხაზური წერილის“ ავტორებს). გ. ბერაძისა და გ. აფაქიძის რედაქციით. თბ., 1991, გვ. 14, 78.

⁴ Н. Дубровин. История войны и владычества на Кавказе. Т. 1, გვ. 2

⁵ Х. С. Бгажба. Некоторые вопросы этнонимии Абхазии, გვ. 301-302; Х. С. Бгажба. Этюды и исследования, გვ. 180.

⁶ პ. ცხადაია. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზონიმის მასალების მიხედვით), გვ. 203-205.

ნის შეთხელება.¹

სამურზაყანოს ტოპონიმის შ. ინალ-იფას „ყურადღებაც“ მიიქცია. თუმცა, ის თავდაპირველად ემხრობოდა, მოსაზრებას, რომლის თანახმად, აფხაზებმა მეგრელებთან ფეოდალური შინაომების პირობებში დაიკავეს კოდორი-ენგურის შუამდინარეთი.² მაგრამ, ს. ბახია-ოქრუაშვილის შენიშვნით, შ. ინალ-იფამ მალე რადიკალურად შეცვალა ეს შეხედულება და თანამედროვე აფხაზეთის მთელი ტოპონიმის აფხაზურად მიიჩნია და, შესაბამისად, სამურზაყანოს ავტოქტონ მოსახლეობად მხოლოდ აფხაზები აღიარა, ხოლო ქართული ტოპონიმები ენგურის მარცხენა სანაპიროდან გადმოსულ მცირემინიანობით შეჭირვებულ მოსახლეობას მიაწერა.³ შ. ინალ-იფა სამურზაყანოს ტოპონიმის აფხაზური შრის პირველადობას ხედავს ზოგიერთი მასალის (ნკელკარი-*აკკარ*,⁴ ერწყარი/ერისწყალი-*კარძ*,⁵ ფოქვეში-*ფაქუქუაშ*, ლუმურიში-*ლუმრიშ*, ჩხორთოლი-*ჩხუართალ*, ლალიძგა-*ალაძგა* და სხვ.) თავისებური ინტერპრეტაციით.⁶ აფხაზი ეთნოგრაფის ამ მსჯელობის სრული უსუსურობა იმთავითვე აშკარა ჩანდა და მისი გაბათილებაც ქართველი სპეციალისტებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ქართველ მკვლევართა დამაჯერებელი არგუმენტაციით, ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმები და ჰიდრონიმებიც (ლალიძგა, ოქუმი, ერისწყალი, წარჩე, ოხურეი, ოხოჯა, ოჯოლორე, ანარია, ნიშონი, ქვიშონი, ვატაფი, ოლიე) უდავოდ მეგრული წარმომავლობისაა და იგი ამ კუთხეში აფხაზთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე იყო შექმნილი.⁷ სხვას რომ თა-

¹ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზონიმის მასალების მიხედვით), გვ. 203-205.

² **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы..., გვ. 42.

³ **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов, გვ. 315, 382-386;

Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 218; **Ш. Д.**

Инал-ипа. Об изменении этнической ситуации в Абхазии в XIXв., გვ. 3; **Ш. Д.**

Инал-ипа. О моем народе, его истории и Отечестве, გვ. 3.

⁴ კურსივით მოცემულია ამ ტოპონიმთა აფხაზური ვარიაციები.

⁵ **პ. ცხადაიას** ტრანსკრიფციაა (**პ. ცხადაია.** ძიებანი კოლხეთის ტოპონიმ-იდან. ნან. I, გვ. 20).

⁶ **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы..., გვ. 382; **პ. ცხადაია.** ტოპონიმის კურსივით ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრეთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, გვ. 68.

⁷ **პ. ცხადაია.** სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, გვ. 36, 39, 47, 140; **პ. ცხადაია.** ტოპონიმის კურსივით ვითარება სამურზაყანოში, გვ. 68-78; **პ. ცხადაია.** ტოპონიმის კურსივით ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრეთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, გვ. 223-233; **პ. ცხადაია.**

საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზონიმის მასალების მიხედვით), გვ. 203-205; **პ. ცხადაია.** ძიებ-

თავი დავანებოთ, ადამიანს ძალიან უნდა უნდოდეს თუნდაც „ჩხორთოლის“ აფხაზურ ტოპონიმად გამოცხადება, რომ აქ ვერ დაინახო ორი მეგრული სიტყვა „ჩხორო“ (ცხრა) და „თოლი“ (თვალი). ხალხური გადმოცემით, ამ ადგილს ეს სახელწოდება დარქმევია ერთი შენობის გამო, რომელიც ცხრათვალიანი ყოფილა.¹ თუმცა, პ. ცხადაიას მოსაზრებით, შესაძლოა ამ ტოპონიმით გამოიხატებოდა უზენესი, მრავალ წყარო-ნაკადულიანი მდინარე ან ადგილი.²

სამურზაყანოში აფხაზური ნარმოშობის ტოპონიმები (აჩიგვარა, აგვაგვერა, ლეკუმხარა,³ პატრახუნა, შაშიკვარა, აკვარიკვა), ძირითადად, მდ. ოხურეისა და ლალიძგას შორის ვიწრო ზოლში (სამურზაყანოსა და აფხაზეთის სამთავროს საზღვართან) არსებულ აფხაზურ „კუნძულებრივი“ დასახლებებში (აგრეთვე სოფლები: აძხიდა, აჯარა, II კოპიტი, ნაჯხეუ, პატრახუნა, რეკი, საჩინო) ფიქსირდება და იქ უკვე აფხაზური ენაც ბატონობდა.⁴ თუმცა, აქაც კი აღმოჩნდა მეგრული ენა შეჭრილი, ვინაიდან ეთნოგრაფებმა უბნის დასახლებებში ქართველური ფორმით აფხაზური გვარის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა (საზუხბაიო, საბუთბაიო, საეზუგბაიო და სხვ.) დაადასტურეს.⁵ ამ ზონაში დასტურდება ხელოვნურ თუ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ობიექტთა ორსახელიანობა (ტოპონიმური სინონიმია), რომელიც ზოგადტოპონიმური მოვლენაა და გამონვეულია გვიან

ნი კოლხეთის ტოპონიმიდან. ნან. I, 20-22; **პ. ბერულავა.** აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., 1951, გვ. 68; **თ. მიზჩუანი.** დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, გვ. 254-255; **თ. გვანცელაძე.** ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, გვ. 49, 53; **ნ. შონია.** ცნობები სოფელ წარჩეს წარსულიდან, გვ. 275-276; **ნ. შონია.** გალის რაიონის ტოპონიმები, გვ. 3; **პ. ოკუჯავა.** კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ჰიდრონიმები და ტოპონიმები თეათინელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე, გვ. 236; **ო. მიქიაშვილი.** აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიიდან (1943-1952წწ.; 1953-1967წწ.) – ჟურნ.: „აფხაზეთის მოამბე“. №5, 2001, გვ. 26; **ვ. ზუხბაია.** აფხაზეთო ჩემო, გვ. 141; **ვ. ზუხბაია.** ენგურიდან-ფსოუმდე, გვ. 6; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 71-72.

¹ **პ. ცხადაია.** ტოპონიმური ვითარება სამურზაყანოში, გვ. 75.

² **პ. ცხადაია.** ტოპონიმური ვითარება სამურზაყანოში, გვ. 75; **პ. ოკუჯავა.** ბედია და მისი შემოგარენი XVII საუკუნეში..., გვ. 16.

³ პ. ცხადაიას მოსაზრებით, ლეკუმხარა „ხეჭრელი“ მეგრულიდანაა შეთვისებული (**პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი..., გვ. 206-207).

⁴ **ი. ყიფშიძე.** რჩეული თხზულებები. თბ., 1994, გვ. 29; **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით), გვ. 206-207; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 70.

⁵ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 68.

მოსული ხალხის მიერ იქ უკვე დაფიქსირებული ტოპონიმების თარგმნით ან, ჩვეულებრივ, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მოქმედ ენებზე თარგმნით.¹ ასეთებია, მაგალითად: პეტრემ წყარი – პეტრეიძის (წყარო, სოფ. საჩინო), ბახვაიძის – ლაბახუაშ წყურგელი (წყარო, სოფ. რეკა), აგრუაკვარა – აგრუაშ ღალ (ღელე, სოფ. საჩინო), მაციაბოხუ – მაციაშ კირდა (ბორცვი, სოფ. საჩინო), ილორგური – ელირნიხა, აგუბედია – გურბედია.² ჯ. გამახარია და ბ. გოგიაც ფიქრობენ, რომ „აგუ“ აფხაზურ ენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.³ ამ მოსაზრებებს არ ეთანხმება ს. ბახია-ოქრუაშვილი, რომელიც ვარაუდობს, რომ „აგუ“ იგივე მეგრული „გური“ (ქართ.: *გული*) უნდა იყოს.⁴

სამურზაყანოს, ისევე როგორც აფხაზეთის, ტოპონიმის „ახლებური“ „ინტერპრეტაცია“ წარმოადგინა აბაზმა ეთნოგრაფმა მ. თხაიციხოვმა, რომელმაც მთელი ეს მასალა მხოლოდ აბაზური (ხოლო, რიგ შემთხვევაში, აფხაზური) წარმოშობისად წარმოადგინა. მკვლევრის თქმით, სოფელ გაგიდას დასახელება, აბაზური გვარიდან „გაგი“ (გაგიევი) მომდინარეობს;⁵ ტოპონიმი „სიდა“ კი აფხაზური სახელიდან „სიტ“ არის წარმოქმნილი. ამ უკანასკნელის ძირი აბაზთა ბაშილბაის ტომს უკავშირდება;⁶ ღუმურიშს კი, თურმე, საფუძვლად აბაზურ-აფხაზურ გვარს გუმბას-გუმიზა-გუმბოვი უდევს.⁷ უნდა ითქვას, რომ აბაზი მეცნიერის ეს „ძიებები“ ელემენტარულ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს.⁸

¹ **პ. ცხადაია.** ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, გვ. 231.

² **პ. ცხადაია.** ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, გვ. 232-233.

³ *Карта Арканджело Ламберти*, – ნგნ.: **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века*, გვ. 838.

⁴ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 71.

⁵ **М. Тхайцухов.** Абазинь. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 156.

⁶ **М. Тхайцухов.** Абазинь. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 156-157.

⁷ **М. Тхайцухов.** Абазинь. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 157-158.

⁸ ამის მერე გასაკვირიც არ არის, რომ, თურმე, სოფ. ტამიშის სახელწოდება აბაზური თემიდან — *ტამ* — მომდინარეობს, ხოლო მოქვისთვის სახელი მიუცია მუკბა-მიქვას აფხაზურ-აბაზურ გვარს (**М. Тхайцухов.** Абазинь. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 155-156). თუმცა, ავტორი რატომღაც გაკვირთავს არ აღნიშნავს ოდიშში მოღვაწე ლათინი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დაფიქსირებულ დასახელებულ პუნქტს – სათამა-

ასეთივე უსუსურია მისი „კვლევები“ სამურზაყანოში დაფიქსირებული ანთროპონიმიური მასალებისა. მან აბაზურად მიიჩნია გვარები: გოგუა, ჭკადუა, ქარდავა, ანთროპონიმს „გუაგუა“-ს.¹ როგორც ვნახეთ ეს უკანასკნელი „გუაგუალას“ ფორმით ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისის საბუთებში გვხვდება — 1621წ. სოფ. თილითში ცხოვრობდა ვინმე „გუაგუალა შარინავა“.² ასევე აბაზურია მ. თხაიციხოვისთვის აფხაზური გვარი არისტაა, რომელიც, ავტორის თქმით, თურმე აბაზური „რისტაა“-დან მომდინარეობს.³ აქაც ამკარაა, რომ „არისტაა“ გვარად ქცეული ქართული სამოხელეო სახელოს — ერისტავი — გააფხაზებული ფორმაა. აბაზი მკვლევარის თქმით, თურმე, გალის რაიონში მცხოვრები ჯიქიების „წინაპრები“ აბაზი ჯანკეტები ყოფილან.⁴ ზოგადად, სავსებით არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი ტოპონიმები მხოლოდ ქართული (მეგრული) წარმოშობისაა.⁵

ბ. ბლაჟბას ზემოთმოყვანილი თეზა ზ. ანჩაბაძემაც გაიზიარა, რომელმაც, თავის მხრივ, დაასკვნა, რომ თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონების ბარში აფხაზებთან ერთად, „ასევე“, მეგრელებიც მოსახლეობდნენ.⁶ თუმცა, მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომში, ზ. ანჩაბაძე ხაზს უსვამს, რომ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ათვისება აფხაზებმა XVIII ს. მიწურულიდან დაიწყეს, მაგრამ, ვინაიდან ამ მხარეში ჩამოსახლებულ აფხაზთა რაოდენობა მეტად მცირე ყოფილა, ამიტომ სამურზაყანოს „აფხაზიზაციის“ პროცესი მეტად შენელებული ტემპებით წარმართულა, რასაც, ავტორის თქმით, დამატებით ბარიერებს უქმნიდნენ სამეგრელოდან ლტოლვილი გლეხები.⁷ მკვლევარი იქვე შენიშნავდა, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა შერეულ აფხაზურ-ქართული იყო, სადაც აფხაზები, ძირითადად, გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ, ხოლო გლეხებში, უმთავრესად, მეგ-

შიას /Satamascia/ (სურ. №6, — *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 66), რომლის გვიანდელი და გააფხაზებული ფორმაცაა *ტამიში*. აქედან გამომდინარე, მ. თხაიციხოვის ზემოთ აღნიშნული მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

¹ **М. Тхайцухов.** Абазини..., გვ. 144, 151.

² *ქსდ.* ტ. III, გვ. 419-435; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 149.

³ **М. Тхайцухов.** Абазини. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 150.

⁴ **М. Тхайцухов.** Абазини. *Страницы древней и средневековой истории*, გვ. 165.

⁵ *გალის რაიონის (სამურზაყანოს) ისტორიული და ეთნო-ლინგვისტური დახასიათება.* — წგნ.: **მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე.** აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება, გვ. 26.

⁶ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), გვ. 229-230.

⁷ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа, გვ. 68.

რელები ქარბობდნენ.¹

ზ. ანჩაბაძის ეს დასკვნა ახალი სიტყვა არ ყოფილა. ჯერ კიდევ XXს. დასაწყისში ნ. ჯანაშია, რომელიც გაზეთში „ცნობის ფურცელი“ წერილებს „ჰამუთ-ბეის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, წერდა, რომ სამურზაყანოში „უმალლესი ნოდება თავად-აზნაურობა იყო აფხაზური, ხოლო გლეხობა თავიდანვე მეგრელები იყვნენ, თუმცა აქა-იქ აფხაზებიც ერივნენ“.² სამურზაყანოში ჩასახლებულ აფხაზთა და მთიელთა ნაწილი დროთა მანძილზე გაქართველდა,³ რამაც, ასევე, განაპირობა ზ. ანჩაბაძის მიერ ნახსენები „აფხაზიზაციის“ პროცესის შეჩერება. ს. ბახია-ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ ამ მხარეში ჩამოსახლების შემდეგ გააფხაზებული ქართველური მოსახლეობა მალევე, უმტკივნეულოდ დაუბრუნდა თავიანთ უძველეს რელიგიურ, მეურნეობრივ საქმიანობას და სხვა ტრადიციულ მეგრულ წეს-ჩვეულებებს.⁴

გარკვეული გამოკვლევები ჩაუტარებია სამურზაყანოს ეთნოგრაფიაში რუს მეცნიერს ლ. სოლოვიოვასაც. მიუხედავად იმისა, რომ ის სამართლიანად აღიარებდა თანამედროვე სამურზაყანოს ტერიტორიაზე აფხაზების გვიანდელ შუა საუკუნეებში გამოჩენას, მიიჩნევდა, რომ აფხაზ-მეგრელთა შერევის შედეგად ამ მხარეში ჩამოყალიბდა ახალი ეთნიკური სუბიექტი – „სამურზაყანოელი“, საკუთარი თვითშეგნებით და მოსაუბრე აფხაზური ენის სამურზაყანულ დიალექტზე, თუმცა, მკვლევრის თქმით, XIXს. მიწურულს ამ „სამურზაყანოელთა“ „ეთნიკური თვითშეგნების“ ცვლა მომხდარა სამეგრელოდან მონოლილი მნიშვნელოვანი მასის მიგრაციის გამო.⁵ მაგრამ, ს. ჯანაშიას აფხაზური ენის სამურზაყანული დიალექტის არსებობა საეჭვოდ მიიჩნდა.⁶ თუმცა, ამავე დროს, ლინგვისტები გამოყოფენ მეგრული ენა-კავის სამურზაყანულ-ზუგდიდურ დიალექტს.

ლ. სოლოვიოვას მოსაზრებას, ერთგვარად, ეთანხმება პ. ცხადაია, რომელიც მიიჩნევს, რომ სამი საუკუნის მანძილზე თანაცხოვრებამ, ყოველდღიურმა კონტაქტებმა, რაც ცხოვრებისა

¹ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа, გვ. 76.

² **ჰამუთ-ბეი.** წერილი აფხაზეთიდან, – გაზ.: „ცნობის ფურცელი“, 15.II.1902.

³ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა..., გვ. 63.

⁴ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 66.

⁵ **Л. Т. Соловьева.** Роль миграционных процессов в этническом развитии Самурзакано, გვ. 5-16, 44; **Л. Т. Соловьева.** Языковые процессы в этноконтактной зоне..., გვ. 45-53; **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 57-58.

⁶ **ს. ჯანაშია.** აფხაზური ენა, – *შრომები*. ტ. III, გვ. 223.

და საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავდა, ბუნებრივად გამოიწვევა ორენოვნება, ორი ენის თანაბრად ფლობა და გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.¹ თუმცა, ვფიქრობთ, სამართლიანია ს. ბახია-ოქრუაშვილის შენიშვნა, რომ რუსი მეცნიერის მიერ წარმოდგენილი სურათი ვერანაირად ვერ მიესადაგება სამურზაყანოში არსებულ ვითარებას და იგი უფრო აბჟუას მხარისათვისაა დამახასიათებელი.²

XIXს. 30-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი მეცნიერი და მოგზაური ფრ. დიუბუა დე მონპერე, რომელიც აღნიშნავდა, რომ სამურზაყანოში ქართველები და აფხაზები თანაცხოვრობდნენ და ორივე ენაზეც საუბრობდნენ.³ XX საუკუნის დასაწყისისთვისაც დაახლოებით ამგვარი ვითარება შენარჩუნდა. სამურზაყანოს მოსახლეობა მეგრული იყო, მაგრამ მას, ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, შეეთვისებინა აფხაზური ენა და ზნეჩვეულება.⁴ როგორც ალ. ცაგარელი XIXს. 80-იან წლებში აკონკრეტებდა, აფხაზური ენა, უმთავრესად, სამურზაყანოელმა მამაკაცებმა იცოდნენ.⁵ თუმცა, სამურზაყანოელი მეგრელი და აფხაზი ქალები და ბავშვები მეზობლების ენას არ ფლობდნენ.⁶ როგორც ჩანს, მეგრელი მამაკაცები ხშირად ურთიერთობდნენ აფხაზ მამაკაცებთან და ეს კონტაქტები, სავარაუდოდ, „პროფესიული“ ხასიათის, ანუ მწყემსობასთან იყო დაკავშირებული. თ. სახოკიას ცნობით, მესაქონლეობას (განსაკუთრებით, წვრილფეხა საქონლისა) სამურზაყანოს შვიდი სოფლის (საბერიო, დიხაზურგა, რეჩხი, ლუმურიში, ჩხორთოლი, ბედია) მოსახლეობა მისდევდა.⁷ თუმცა, სამურზაყანოელები, აფხაზებისაგან განსხვავებებით, მინათმოქმედებითაც იყვნენ დაკავებულები.⁸

¹ **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით), გვ. 211-214; **პ. ცხადაია.** ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის..., გვ. 226.

² **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 69, 72-73.

³ *Фр. Дюбуа де Монперэ о Колхиде* (დოკ. №148). – წგნ.: **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века*, გვ. 313.

⁴ **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, – წგნ.: **ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი.** ისტორიული რარიტეტები, გვ. 7-8.

⁵ იხ.: **პ. ცხადაია.** საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში..., გვ. 211-214.

⁶ **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 70.

⁷ **თ. სახოკია.** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), გვ. 363.

⁸ **თ. სახოკია.** მოგზაურობანი..., გვ. 320-323, 338; **С. Бахиа-Окруашили.** Абха-

სამურზაყანოში აფხაზთა და მეგრელთა ურთიერთობებმა კვალი დააჩნია ადგილობრივთა სარწმუნოებასაც. ისლამის გარკვეულ წილად შემოჭრის მიუხედავად, რეგიონი მაინც მთლიანობაში ქრისტიანული დარჩა. თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობის ტრადიციებში შემოიჭრა და დამკვიდრდა აფხაზებისათვის დამახასიათებელი წარმართობის კულტებიც (მჭედლის გრდემლისადმი თაყვანისცემა, რომელიც აფხაზურ ღვთაება შასშუ აბჟინხასთანაა დაკავშირებული; „აერგი“, რომელიც ნმიდა გიორგის სახეცვლილებას წარმოადგენს და სხვ.).¹ დადასტურებულია, აფხაზთა მიერ მეგრულ კულტთა შეთვისებაც. კერძოდ, ეს ეხება „აქამგარიას“, რომელიც მეგრულ მიქამ-გარიოს ანუ მთავარ ანგელოზ მიქაელსა და გაბრიელს უკავშირდება.² თუმცა, მან აფხაზეთსა და სამურზაყანოში სახეცვლილება განიცადა და იგი იქ მესაქონლეობისა და მწყემსების მფარველად ითვლებოდა.³ ამგვარი „წარმართული“ ინტერვენცია, უმთავრესად მაინც აფხაზებთან უშუალო კონტაქტში მყოფ სამურზაყანოელებში ფიქსირდება. ამიტომაც აღნიშნავდა თ. სახოკია, რომ ეს იყო „სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა“.⁴ მკვლევართა დასკვნით, მესაქონლეობის კულტის ღვთაების განვითარება აშკარად მიუთითებს ქართულ-აფხაზური პარალელების არსებობასა და ურთიერთობებზე.⁵

აღსანიშნავია, რომ სამურზაყანოელებსა და, ასევე, ოდიშართა ნაწილს საძოვრები ენგურის მარჯვენა სანაპიროზეც გააჩნდათ. სამურზაყანოელ მწყემსებს მათთვის მიზარებულ საქონელს სამურზაყანოდან გაცილებით შორს, აუადჰარასა და რინის მიდამოებამდე მიერეკებოდნენ.⁶ აქ აშკარად უნდა ჩანდეს, რომ მათ იქ წინაპართა საძოვრები ეგულებოდათ.⁷ ეს მოსაზრება მით უფრო მისაღებია, რომ აფხაზები თავიანთ საქონელს ჩრდი-

хазы. Этнографический очерк, გვ. 333.

¹ *Из путешествия епископа Имеретинскаго Гавриила...*, – ვაზ.: «Кавказ». №4, 1869, გვ. 3; **С. М. Званба**. Абхазская мифология и религиозные поверья и обряды между жителями Абхазии (Из заметок природного абхазца), – წგნ.: **С. М. Званба**. Абхазские этнографические этюды, გვ. 34-42; **Н. Абакелия**. О местных культовых терминах..., გვ. 356, 360; **თ. სახოკია**. მოგზაურობანი..., გვ. 369-377.

² **თ. სახოკია**. მოგზაურობანი..., გვ. 369-377; **Н. Абакелия**. О местных культовых терминах..., გვ. 356, 360.

³ **თ. სახოკია**. მოგზაურობანი..., გვ. 369-377; **თ. გვანცელაძე**. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის..., გვ. 60.

⁴ **თ. სახოკია**. მოგზაურობანი..., გვ. 369.

⁵ **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 388.

⁶ **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 361.

⁷ **ს. ბახია-ოქრუაშვილი**. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის..., გვ. 360.

ლოეთ კავკასიაში მეირეკებოდნენ.¹

თ. სახოკია სამურზაყანოში ყურადღებას აქცევს დაკრძალვის განსაკუთრებულ წესსაც. კერძოდ, სასაფლაოები მოწყობილი იყო, ძირითადად, ეკლესიების გარეთ, გზის პირებთან გაკაფულ ტყეში, მათ საცხოვრებლებთან ახლოს.² ს. ბახია-ოქრუაშვილის ვარაუდით, ეკლესიებში მხოლოდ ენგურ-ლალიძის შუამდინარეთის ძველი, ადგილობრივი მოსახლეობა იკრძალებოდა, ხოლო მოსულ მოსახლეობას, მათ შორის სამეგრელოდანაც კი, ამგვარი უფლება არ ჰქონდა, ხოლო აფხაზები, ტრადიციულად, საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე იწყობდნენ წინაპართა ძვალთშესალაგს.³ მკვლევრის დასკვნით, ესეც დამატებითი არგუმენტია სამურზაყანოში ადგილობრივ ავტოქტონ მოსახლეობად მეგრელების (ქართველების) მისაჩნევად.⁴

როგორც წინამდებარე ნაშრომის I თავში ვაჩვენეთ, ლალიძე-ენგურის შუამდინარეთი იმთავითვე ქართული ეთნოსის საცხოვრისს წარმოადგენდა და ამ მხარეში აფხაზური ეთნიკური ელემენტი მხოლოდ XVIII ს. მიწურულს გამოჩნდა. ამის შემდეგ აქ ჩამოყალიბდა შერეული მეგრულ-აფხაზური მოსახლეობა, თუმცა, ჯ. ანჩაბაძის საფუძველზე სამართლიანი დასკვნით, „სამურზაყანოს მოსახლეობა ძირითადად მაინც ქართული იყო“.⁵ ა. თოთაძე მიიჩნევს, რომ ისტორიულად ენგურ-ლალიძის შუამდინარეთი ქართველების სამოსახლო იყო და, როგორც მკვლევრის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, XIX ს. II ნახევარში ამ მხარის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების სიჭარბე თვალშისაცემია.⁶ იგივე ჩანს XX ს. დასაწყისის ქართული პრესის, კერძოდ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციებითაც.⁷ ეს ფაქტები ეთნოლოგიურ დადასტუ-

¹ ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 360.

² თ. სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), გვ. 336-339.

³ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 67; ეს წესი უკანასკნელ დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში: ჩერქეზებში, აბაზებში, ჩეჩნებში, ყარაჩაელებსა და სხვ. (С. Бахиа-Окряшвили. Абхазы..., გვ. 336).

⁴ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა, გვ. 67.

⁵ ჯ. ანჩაბაძე. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 2005, გვ. 20.

⁶ ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა, გვ. 62-63; ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: სიყალბე და რეალობა, გვ. 81-85, 89.

⁷ ნ. ირემაშვილი. XX საუკუნის დამდეგის სოციალისტ-ფედერალისტური

რებასაც პოულობს. კერძოდ, საქართველოში ცნობილი 25 000-ზე მეტი გვარიდან, 500-ზე მეტი სამურზაყანოში გვხდება, რომელთაგან დიდი ნაწილი ქართულია, რაც ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების მნიშვნელოვან წილზე მიუთითებს, ხოლო აფხაზური და სხვა ეროვნების გვარები უმცირესობას შეადგენენ.¹ შესაბამისად, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მტკიცება აფხაზთა და მეგრელთა შერევის შედეგად ჩამოყალიბებულ სამურზაყანოელთა ცალკე ეთნიკურ ჯგუფზე, როგორც ამას ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ამტკიცებდა.² თუმცა, სხვაგან ის სამურზაყანოელებს მეგრელებად ასახელებდა.³

ამდენად, ლალიძგა-ენგურს შორის მდებარე მინა-წყალზე ავტოქტონური მოსახლეობის ქართველობას ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ტოპონიმიკური კვლევა-ძიებების შედეგად მიღებული ობიექტური დასკვნები ცხადყოფს.⁴ ადგილობრივად დაფიქსირებული აფხაზური ტოპონიმიკური მასალა მხოლოდ 300 წლის ასაკისაა. აღნიშნული ვითარება არ შეცვლილა ჩვენი საკვლევი პერიოდის მანძილზე, არც მას შემდეგ თითქმის XXI საუკუნის დამდეგამდე. პირიქით, ადგილობრივმა მეგრულმა (ქართულმა) მოსახლეობამ შეძლო დაეცვა საკუთარი ეთნიკური თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, თვითშეგნება). ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო მოსული აფხაზების სოციალური ნყობა, თუმცა მასში გარკვეული კორექტივებიც შეიტანა.

პრესა აფხაზეთის შესახებ. – *სტ.* ტ. V, გვ. 163-166. იხ. ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2002>.

¹ ი. კვაშილაძე. სამურზაყანოს გვარსახელების გეოგრაფიიდან, გვ. 123.

² А. Н. Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия, გვ. 65; *ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო..*, გვ. 14, 78.

³ А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии, გვ. 159.

⁴ ს. ბახია-ოქრუაშვილი. სამურზაყანოელთა ვინაობა.., გვ. 62.

დასკვნა

გვიან შუა საუკუნეებში, შინაომებითა და გარე აგრესიით დასუსტებული ოდიშის შეჭირვებული მდგომარეობით წარმატებით ისარგებლა აფხაზეთის სამთავრომ და შარვაშიძეებმა ყოფილ სიუზერენს მნიშვნელოვანი ტერიტორია ჩამოაჭრეს მდინარე ენგურამდე. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, აფხაზეთის სამთავროს ფარგლებში, ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, ჩამოყალიბდა სამურზაყანოს საუფლისწულო სამფლობელო, შარვაშიძეთა გვერდითი შტოს ხელმძღვანელობით. ამ პოლიტიკურმა ერთეულმა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროს საზღვრებში მხოლოდ რამოდენიმე წელი იარსება. მალე, 1702 წელს სამეგრელომ მდ. ლალიძგამდე ნაწილობრივ აღადგინა თავისი პოლიტიკური გავლენა და რეგიონი დადიანებისა და აფხაზეთის მთავრის ორმაგი გავლენის ქვეშ მოექცა. თუმცა, აქ ოდიშართა უპირატესობა აშკარა იყო, რადგან ადგილობრივ შარვაშიძეთა ხელისუფლება დადიანთა „მხლედ“ ანუ ვასალად დადგა. მათ ევალეობდათ, სამეგრელოს მთავრის დაძახებაზე, ლაშქრად გამოსვლა და გარკვეული გადასახადები. მაგრამ დადიანის ხელისუფლება სამურზაყანოელ შარვაშიძეთა მიმართ, ერთგვარი „კონდომინიუმის“ პრინციპიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო. მას არ შეეძლო სამურზაყანოს საშინაო საქმეებში ჩარევა, მათ შორის, ხელისუფლების შეცვლა. ამ ვითარებამ განაპირობა სამურზაყანოში გვიან შუა საუკუნეების აფხაზეთისთვის დამახასიათებელი მინათმფლობელობის სისტემისა და მასთან დაკავშირებული სოციალური წყობის დამკვიდრება, თუმცა, სამეგრელოს გავლენის გამო, აქ, აფხაზეთის სამთავროსაგან განსხვავებით, გარკვეული თავისებურებებიც შეინიშნებოდა.

ბუნებრივია, შარვაშიძეთა სახლი არ ურიგდებოდა სამურზაყანოში შექმნილ ორჭოფულ ვითარებას და მუდმივად ცდილობდნენ იქ ერთპიროვნულად გაბატონებას. ამ მისწრაფების ნაწილი იყო 1780 წლის რუხის ომიც, რომელმაც წერტილი დაუსვა აფხაზთან ექსპანსიას ენგურს გამოღმა. XVIII ს. მინურულს სამეგრელოს სამთავროს შიდაარეულობებით ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ქელემ-ბეიმ, რომელმაც შეძლო სამურზაყანოს გარკვეულ ნაწილის მიმხრობა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ამ მხარეზე სამეგრელოს კონტროლის სრული დაკარგვა. ამ დროსაც სამურზაყანოელები მათზე დაკისრებულ სადადიანო გადასახადს მაინც იხდიდნენ, რითაც სამეგრელოს მთავრის სიუზერენიტეტს აღიარებდნენ.

სამურზაყანოს ეს ორმაგი დამოკიდებულება 1805 წელს

ფაქტობრივად მოიძალა, როდესაც მხარე რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ შევიდა, ხოლო იმპერატორმა ოფიციალურად დაადასტურა ამ ერთეულის სამეგრელოს სამთავროსადმი კუთვნილება. ამ ფაქტის სამართლებრივი გაფორმება 1810 წელს შედგა, როცა დადიანებმა ისარგებლეს აფხაზეთის სამთავროში არეულობებით და სამურზაყანოს ხელისუფლად, მოურავის სტატუსით, ოფიციალურად დაამტკიცეს მანუჩარ შარვაშიძე, რომელიც მხარეს მართავდა 1790 წლიდან. მისთვის სამეგრელოს ადმინისტრაციული მოხელის თანამდებობის მიცემა ოდიშისადმი სამურზაყანოს მიერთებას ნიშნავდა.

სამურზაყანოს ადგილობრივი ელიტა ვერ ურიგდებოდა მხარის მართველის სტატუსის დამცრობას. ისინი მუდმივად ეურჩებოდნენ სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებას, რომელიც მანუჩარ შარვაშიძის დაღუპვის შემდეგ, ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთს ერთპიროვნულად მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ დადიანმა არაერთხელ დააფიცა სამურზაყანოელი დიდებულები მის ერთგულებაზე და აფხაზეთის მთავრებისგანაც არაერთხელ მიიღო ამ მხარეზე მისი მფლობელობის ოფიციალური დადასტურება, ვითარება მაინც უცვლელი იყო. სამურზაყანოს არისტოკრატია აფხაზეთის მთავრების ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით დადიანის ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა.

სწორედ ამ ვითარებაში, სამურზაყანოს დიდებულთა ერთ ნაწილში, რომელსაც თავადი თემურყვა ანჩაბაძე თავობდა, მომნიშვნა აზრი სამურზაყანოზე რუსეთის იმპერატორის პირდაპირი ხელისუფლების დამყარების შესახებ. რუსეთის საოკუპაციო და კოლონიალური რეჟიმი, რომელიც სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროების ავტონომიურ არსებობას მხოლოდ დროებით მოვლენად განიხილავდა და პერსპექტივაში მათ გაუქმებას გეგმავდა, ბუნებრივია, იგივეს უპირებდა სამურზაყანოსაც, რომლის გარშემო დადიანებისა და შარვაშიძეების მუდმივი დავა ხელს უშლიდა დასავლეთ საქართველოში რუსეთის კოლონიალური სისტემის დამკვიდრებას. სანამ სანკტ-პეტერბურგის პოზიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მყიდვე იყო, მას სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე დადიანის სახით, ამიტომ დროებით ადასტურებდა სამეგრელოს მთავრის იურისდიქციას სამურზაყანოზე. 1840 წლისთვის რუსეთმა საკმაოდ განიმტკიცა პოზიციები რეგიონში, საბაბად გამოიყენა სამურზაყანოზე აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროების დავა და ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში თავისი პირდაპირი მმართველობა შემოიღო. ამასთან, რუსეთმა აქტიურად დაიწყო სამურზაყანოელთა წარმოშობის „მეცნიერული შესწავლა“, რასაც მათი აფხაზობა უნდა დაემტკიც-

ცვებინა. ეს იყო პირველი ნაბიჯი იმ გრძელვადიანი კოლონიური პოლიტიკისა, რომელსაც მომავალში ქართველთა და აფხაზთა ისტორიული თანაცხოვრება უნდა მოეშალა, რათა ორი მოძმე ერი მოსისხლე მტრად ექცია. აღსანიშნავია, რომ უკვე 1843 წელს მთავარმათებლის აპარატში ოფიციალურად აღიარეს ამ აქტის უკანონობა და მცდარობა, თუმცა იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები ამ რეგიონში ამ შეცდომის გამოსწორებას უკვე აღარ ითვალისწინებდა.

ყვაპუ, სამურზაყანოელ შარვაშიძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი, იყო ერთ-ერთ ლიდერი ლალიძგა-ენგურის მიმართულებით აფხაზთა მიერ განხორციელებული ექსპანსიისა, რომლის მიზანს ადგილობრივთა აყრა და გამოთავისუფლებულ მიწებზე აფხაზეთის სამთავროს, კერძოდ, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩრდილო-კავკასიელთა ჩამოსახლების შედეგად გაჩენილი ქარბი მოსახლეობის საცხოვრებლად განთავსება წარმოადგენდა. ყოველივე ეს ფეოდალური შინაომების პრინციპშიც თავსდებოდა და გულისხმობდა მეზობელი ფეოდალის სამფლობელოს ნაწილის მიტაცებით საკუთარი სამფლობელო ტერიტორიის გაზრდას.

მურზაყან შარვაშიძე, რომლის აღმშენებლობითი და პროგრესული მოღვაწეობის გამო მოსახლეობამ ენგურ-ლალიძგის შუამდინარეთს „სამურზაყანო“ უწოდა, ნაკლებად ერეოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების დაპირისპირებაში. ის ორივე სამთავრო კართან მშვიდობიან თანაარსებობას ახერხებდა. მისი მმართველობის დროს ამ მხარეში დაბრუნება დაიწყო ყვაპუს დროს აყრილმა და გახიზნულმა მოსახლეობამ. სამურზაყანოში მშვიდი ცხოვრება მყარდება და ეკონომიკური ვითარების გამოსწორება ხდება. მურზაყანის მიერ დამკვიდრებული პოლიტიკური კურსის უცვლელ გაგრძელებას ადგილი აქვს მისი შვილის, ხრესილის ომში გამირულად დაცემული, ხუტუნია შარვაშიძის ხანაშიც.

ამ პოზიციის გადასინჯვა ხდება სამურზაყანოს მომდევნო მფლობელის – ლევან შარვაშიძის დროს, რომელმაც აფხაზეთისა და სამეგრელოს გავლენისაგან გათავისუფლება დაისახა მიზნად. დიდი ამბიციების მქონე მმართველთან კავშირს ესწრაფვოდნენ იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარიც. ამ დროიდან სამურზაყანოელი შარვაშიძეები აქტიურად მონაწილეობენ მათი სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთით თუ ჩრდილო-დასავლეთით განვითარებულ პროცესებში, რიგ შემთხვევაში კი, თავადაც აძლევდნენ გარკვეულ მიმართულებას ამ პროცესების განვითარებას. ლევანი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გა-


ტარებასაც ცდილობდა. მის სახელს უკავშირდება პირველი კავშირი რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებთან. არ ვიზიარებთ ისტორიოგრაფიაში მიღებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ლევანი სამურზაყანოს მმართველად ჩანს 1810 წლამდე და შევეცადეთ მისი მოღვაწეობის პერიოდი 1757-1790 წლებით განგვესაზღვრა.

რუსეთის სამსახურში ჩამდგარი სამურზაყანოს მომდევნო და უკანასკნელი მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მიწების (ფოთი, ბათუმი) ოსმალეთის ბატონობისაგან გამოხსნის საქმეში. როგორც ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, ის იყო XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ბათუმის გათავისუფლების ინიციატორი. არაა მართებული მანუჩარ შარვაშიძის გარდაცვალების წყაროებში მოცემული თარიღის (1812წ.) რევიზია, რასაც ადგილი აქვს რიგ აფხაზ და ქართველ ისტორიკოსთა შრომებში.

სამურზაყანოს მფლობელები (ყვაპუ, მურზაყანი, ხუტუნია, ლევანი, მანუჩარი) „კულტურულ-პოლიტიკური ქართველები“ იყვნენ და მათ არ გამოუჩენიათ ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროდან მონყვეტის სურვილი. ისინი ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ (გამონაკლისია ლევანი, რომელმაც, მოგვიანებით, ისლამი მიიღო). „აფხაზის თავადებმა“ 1805 წელს ოფიციალურად დაადასტურეს, რომ სამურზაყანო ოდიტგანვე სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა.

აბსოლუტურად უსაფუძვლოა აფხაზ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს, XVIII. მიწურულს მდ. ენგურზე აფხაზეთის „ისტორიული“ საზღვრების აღდგენა მოხდა. საისტორიო წყაროებით და სხვა მასალებით (ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური, მოსახლეობაში გავრცელებული თქმულებებითა და ლეგენდებით) ამ პერიოდამდე ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში აფხაზური ეთნოსის ყოფნა არ დასტურდება. ამ დროიდან ჩამოსახლებულმა აფხაზებმა ვერ შეძლეს ადგილობრივი ეთნიკური ვითარების კარდინალური შეცვლა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, აბჟუას მხარეში. ამასთანავე, კრიტიკას ვერ უძლებს მტკიცება სამურზაყანოელთა ცალკე აფხაზურ ტომად ან საერთოდ ქართველთა (მეგრელთა) და აფხაზთა შერევისგან წარმოქმნილ ცალკე ეთნიკურ ჯგუფად შეფასების შესახებ. „სამურზაყანოელი“ აღნიშნავს მხოლოდ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის მაცხოვრებელი ადამიანს და არა რაღაც ჰიპოთეტურ ლოკალურ ეთნიკურ ჯგუფს. ადგილობრივმა ავტოქტონმა მოსახლეობამ, რომელსაც, უდაოდ, ქართველები (მეგრელები) შეადგენდნენ, შეძლო დაეცვა და შეენარჩუნებინა საკუთარი ეთ-

ნიკური თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, ეროვნული თვით-შეგნება). სწორედ ამან განაპირობა ამ მხარის სახელწოდების – „სამურზაყანო“ – მეგრულენოვანი და არა აფხაზურენოვანი წარმომავლობა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ-ქართული მოსახლეობა ერთმანეთს შეერია, ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთი მაინც ქართულ კუთხედ დარჩა და დღემდე ასეთად რჩება.



ცოლ-ქმარ რაბაისა და ნუგამნირას წარწერა
(XV ს., სოფ. გუდავა).¹

¹ მოგვანოდა ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ლია ახალაძემ.

KAKHA N. KVASHILAVA

**FROM THE HISTORICAL PAST
OF SAMURZAKANO.**

The Turn of XVII-XVIII Centuries – 1840

Summary

At the end of XX century the historical coexistence of Georgians and Abkhaz, of the two peoples closely related in kinship, linked to each other by the bonds of blood, was put on a serious trial. With the support of the Russian Federation the Abkhaz separatists completed triumphantly their a half-century struggle for tearing Abkhazia away from the rest of Georgia.

After the termination of the armed fratricidal opposition of 1992-1993 nearly all the indigenous Georgian population was driven out of Abkhazia, including a considerable part of the inhabitants of Gali district the overwhelming majority of which were Georgians.¹ The cited administrative unit, as is generally known, is basically located on the territory of the historical Samurzakano.

Samurzakano, as an independent feudal estate, leaded by the Sharvashidze Sovereign House originated at the close of XVII century and it also became the name of the historical-ethnologic province. In the second half of XIX century the boundaries of the historical Samurzakano diminished to a certain point because some territories of this estate were passed to Abkhazia (villages: Ilori, Okhurei, Reka, Agubedia – in the present Ochamchira district) and to Samegrelo (villages: Pakhulani, Chale – in the present Tsalenjikha district, Ganarjias Mukhuri – in the present Zugdidi region).

After 1993 the separative power of Abkhazia reduced ever more the territory of Gali district by expanding Ochamchire and Tkvarcheli regions. In particular, village Shesheleti and part of villages Repi and Gindze Etseri were transferred to the possession of Ochamchire region and the settlements of the north-western part of Gali region to Tkvarcheli district. It should be noted that the administrative-territorial unit “Tkvarcheli

¹ According to the All-Union census of the population of 1989, in the Gali district (in administrative confines of Soviet period which included 1 town – Gali, 24 village Soviets with 90 villages out of 79 688 people the Georgians made up 74 712 (93.8%), whereas the Abkhaz were only 627 (0.8%) people.

district” was formed by the Abkhaz separatists. In Soviet times (according to the data of August 1991) Tkvarcheli was not a region centre but a town of a republican subordination.

Curtailling the territory of Gali region of the Soviet period is a consequence of a purposeful policy of the Abkhaz separatists which presupposes a contrived reduction of the number of the displaced persons returning to their native hearts and, correspondingly, of the Georgian “enclave”. A representative of the Abkhazian “Centre of the Strategic Researches” (he is an advisor of the president of the Republic of Abkhazia at the same time) V. Chirikba at one of the meetings in Stambul (June 14-15, 2007) pointed out at the danger for the separative authorities proceeding from the Georgians who returned to Gali district and were supporters of the Georgian statehood.¹ The appraisal of the ideologist of the separatists was exaggerated even though the allegation of the Abkhaz side (V. Ardzinba) about the return of 60 000 Georgians to Gali district manifestly does not correspondent to the facts which is confirmed by the international organizations (M. Frichova’s speech, a representative of “The International Crisis Group” /Brussels, Belgium/ at that very meeting).

Recently the problem of ascertaining the autochthony of the Abkhaz within Gali district too has acquired vital significance for the separative authorities of Abkhazia. According to an Abkhaz historian T. Achugba this problem has been artificially created. This conclusion could certainly be concurred with but for an unambiguous solution of the given problem in favour of the Abkhaz. The urge of the Abkhaz historian “to grab” Samurzakano from the Georgians at all costs is quite obvious. T. Achugba “praise-worthily” continues the path of the historic ignorance beaten as far back as in 1907 by a certain N. Voronov who published a well-known brochure “Abkhazia is not Georgia”. Precisely T. Achugba and suchlike, the ideological successors of N. Voronov and S. Ashkhatsava with their fabrications about “the sole aboriginality” of the Abkhaz on the territory of present-day Abkhazia prepared a historiographic basis for tearing away Abkhazia from the rest part of Georgia and led to a fratricidal war between the peoples connected by close ties of blood and who had lived side by side for centuries.

¹ This fear was felt even more later by the separatists – on the eve of the so-called “presidential elections” of 2009, the visual illustration of which is a general burst of indignation enveloping Abkhazia in connection with a timid attempt of the present authorities to grant the inhabitants of Gali district suffrage. Consequently, the authorities of the “independent” Abkhazia marked the acquisition of “the state independence” by truly blasphemous decree which could be envied even by a former apartheid regime of the South Africa Republic and officially deprived the inhabitants of Gali district of the vote.

As it has justly been noted by a well-known Georgian ethnologist S. Bakhia-Okrushvili, such a statement of question by T. Achugba is motivated by the fear of the Abkhaz separatists and their Russian patrons lest the Georgians should annex this crucial economic and military-strategical region and later on use it as a spring-board for the occupation and absorption of the whole Abkhazia (T. Achugba).

Since the well-known September events of 1993, the inhabitants of Gali district not once have been target of expulsion from their native towns. This is certainly an attempt of the Abkhaz separatists to evacuate this land from the Georgian population. On August 26, 2008, by violating the international law, Russia recognized the so-called “independence” of Abkhazia and to safeguard “the frontier” of the later and to prevent “a possible aggression” on the Russian Federal Security Service (“FSB”) along the Enguri river (which, in fact, had become a Russian-Georgian frontier). The native inhabitants are made to accept “the citizenship of Abkhazia”. All this in perspective is directed at denationalization of the indigenous Georgian population. Under these conditions an impartial scientific study of the historic past of Samurzakano with the aim of ascertaining the historic truth is of an extra value. That is just what conditioned the problems set in the given work.

The chronological limits of the given research embrace the period from the foundation of Samurzakano manor (XVII-XVIII centuries) up to 1840, when in Samurzakano there was established a direct governing of the occupational-colonial regime of the Russian Empire in the form of *Pristavstvo*.¹

The goal of the present research is to study the specifics of the historical development of Samurzakano, the preconditions of the emergence of the Abkhazian ethnos in this region and the subsequent development of the Galidzga-Enguri interfluvium, also the ethno-cultural and social semblance of Samurzakano in the investigated period.

The historical past of Samurzakano has not been an object of a monographic study yet. True, in 2004 I. Kvashilava defended a dissertation on Samurzakano but neither chronologically (the work embraces the period of XIX-XX centuries) nor by the formulation of the problem (the author investigates the ethnography of the region) the cited research has a claim to the comprehensive analysis of the history of Samurzakano. It only superficially considers the key problems of the social and political history of Samurzakano.

¹ An administrative-territorial unit of the Russian Empire in late XVIII – early XX centuries.

The given work is the first attempt to carry a monographic investigation of the historic past of Samurzakano. It is based on various written sources, toponymic, folklore and ethnographic material, in addition to the historiographic data on the investigated problems. The work deals with the historical material and, as far as possible, some information is specified. Furthermore, an interesting (undated) popular historical poem has been introduced into a scientific circulation.

In addition to a monographic research, we are the first to raise, interpret and specify separate issues related to the investigated problems, in particular:

- The institution of a condominium of Odishi and Abkhazia over Samurzakano;
- Some appraisals of the separative activities of Quappo Sharvashidze in the historiography of the recent period are subjected to criticism;
- For the first time more or less competently the activities of Levan and Manuchar Sharvashidze, the lords of Samurzakano, are elucidated, the chronology of certain facts from their political life are specified;
- For the first time Manuchar Sharvashidze's initiative in the liberation of Batumi-town from the Turks at the end of the first ten years of XIX century, which has not been widely considered in the historiography yet, is highlighted;
- The assertion about the establishment of a full control over Samurzakano by Kelesh-Bey, the ruler of Abkhazia, and a withdrawal of this region from the influence of Dadiani are rejected;
- A particular attention is called to the cultural and political make-up of the Samurzakano lords. It is maintained that they conclusively were bearers of the all-Georgian political, national and cultural mentality;
- In the book we have shown that the goal of Tsarist colonial policy was split in centuries-long coexistence of Georgians and Abkhazians for separation these two fraternal peoples. First step in this way was a seizure Samurzakano from Dadiani. In connection to this problem there are discovered some new archival documents in which is shown that by 1843 the apparatus of governor admitted the illegality of seizure of Samurzakano.

The introduction deals with the actuality of the theme investigated

and the advisability of its further research; a brief historiographical sources and the specific scientific literature is carried.

The documentary information about the history of Samurzakano is very scanty. In the first place, it concerns XVII-XVIII centuries. Somewhat better is the situation as regards XIX century, let us take, for example, “*The Acts of the Caucasian Archaeographical Commission*”. This collection comprises documents of interest for the research of the history of Samurzakano. The materials kept in the archives of Georgia are partially published by various researchers (S. Kakabadze, E. Takaishvili, I. Dolidze, Sh. Burjanadze). Some documents are introduced by us into scientific use for the first time to study the history of Samurzakano-Abkhazia. This is, for example, “*The Charter of King Solomon granted to Mariam Japaridze*”, in which, in our opinion, there is an attempt of the Abkhazian principality to withdraw Samurzakano from the political influence of the House of Dadiani. The archive documents are abundantly presented in the works of B. Khorava, T. Kadaria, N. Takalandze, J. Gamakharia and B. Gogia. And yet the further source researchers in this line seem to be promising which is corroborated by some yet unpublished documents discovered by us in the historical archives of the Georgian National Archives, in the archive of Zugdidi Historical-Ethnographical Museum and the National Centre of Manuscripts.

The data of the archival documents are supplemented by the narratives of the travellers and eye-witnesses alongside the memoirs of the officers of the Russian occupational-colonial army. In this respect of a particular interest is the information contained in the memoirs of Jean Chardin, Jacques-François Gamba, Frédéric Dubois de Montpéreux, Eduard Eichwald, F. Tornau and others.

We have analysed the above-mentioned documents and as far as possible have specified some information. For example, our attention was particularly drawn to one passage in “*Voyages*” by Jean Chardin in the Georgian translation by M. Mgaloblishvili. In particular, we were somewhat dubious about the correctness of the translation *les Abcas*. She, like her predecessors (V. Barnov, S. V. Bakhutova and D. P. Nosovich), translated this word as “**Abkhazia**”. But for some reason none of the translators paid any attention to another of the meanings – “**Abkhazians**”. Therefore, according to the version of the translators in the second half of XVII century Pitsunda was outside the borders of the Abkhazian principality. It should be noted such a translation let astray a historian J. Gamakharia who assumed a considerable expansion of the territory of Odishi in the north-west direction. After having referred to the corresponding sources, the historiographical data and having familiarized ourselves

with the text by Jean Chardin in the original¹ we attempted to substantiate the erroneous nature of the translation of this passage by the afore-named translators and to suggest our interpretation according to which we have proved that in the second half of XVII century Pitsunda which was part of the Abkhazian principality, was still populated by Georgians.

Besides that, into the scientific circulation there has been introduced an undated poem which is of indubitable interest. We believe that this poem reflects the events of the second half of XVII century when there was taking place an Abkhazian expansion in the Kodori-Enguri interfluvium.

Of crucial significance for the study of the history of Samurzakano is the work of a well-known Odishi political figure and scientist Niko Dadiani. The significance of the given source is undoubtedly ever so weighty by the circumstance that the author was a contemporary and sometimes even a participant of the occurrences (we mean the events of the first half of XIX century). However, it by no means absolves the researcher from the critical approach to N. Dadiani's work. In this case, it should be remembered that N. Dadiani was a member of the Megrelian Princely House and he was composing his book at the time when the relations between Abkhazia and Samegrelo were particularly stormy because of the Galidzga-Enguri interfluvium. N. Dadiani was insistent on verifying that this region was part of Odishi-Samegrelo. At the same time, it should be noted that in a number of cases N. Dadiani is more precise and concrete than the well-known work by Prince Vakhushki Batonishvili whom our Odishi chronicler follows right up to the second half of XVIII century.

While studying the history of Samurzakano hardly any researcher can pass by the materials (“*Charter*”, “*Inscription*”) which were published by T. Chichinadze in the journal “*Kvali*” in 1897 (№ 20, 28). “*Charter*” is manuscript document received by T. Chichinadze from a representative of Samurzakano Sharvashidzes in village Bedia in 1897. However, it is impossible to determine the date when it was written. The first attempt to ascertain it was made by T. Chichinadze an opinion that the addressee of the document was Viceroy Mikhail Vorontsov. As is generally known, the ruling years of M. Vorontsov, the first Caucasian viceroy, are 1844-1854. Professor I. Antelava believed that 1813 was the upper margin of compiling the document and support of his belief he cited

¹ *Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient, enrichis d'un grand nombre de belles figures en tailles-douces, représentant les Antiquités et les choses remarquables du pays*, – Nouvelle édition, Soigneusement conférée sur trois éditions originales, augmentée d'une Notice de la Perse, depuis les temps les plus reculées jusqu'à, de Notes, etc. par **L. Langlès**. Tome premier. Paris, 1811.

the argument that Manuchar Sharvashidze the source was referring to was considered to be alive. I. Antelava dated the assassination of Manuchar 1813 (in reality Manuchar was killed in autumn 1812). But this argument seems hardly convincing because it means that the author of the document declared Manuchar the last prince of Samurzakano when he was still alive. Therefore, T. Chichinadze's consideration should unconditionally be recognized more reliable. The more so, as during M. Vorontsov's rule there was a heated territorial dispute between the Samurzakanian Sharvashidzes and the prince of Samegrelo. It is manifestly felt that the document speaks about Quappo Sharvashidze's heir's rights to Samurzakano.

Quite interesting for research are the materials the landownership and the social relations in Samurzakano which are accumulated in P. Charaia and S. Esadze's publications.

The issues of the history of Samurzakano are dealt with in historiography mainly in the light of studying the history of interrelations between Odishi and Abkhazian Sovereign Houses or Abkhazia and Western Georgia proper of the corresponding. Thus, in M. Dumdadze's candidate dissertation, devoted to the history of Samegrelo of the first half of XIX century, the life in Samurzakano of this period is explored. It is presented in chapter 6 of the dissertation and takes up only 5 pages. But it can be maintained that it was that very work which marked the beginning of the research of the history of Samurzakano in the Georgian historiography. Later on M. Dumbadze returned to this problem, though the conclusions drawn in his dissertation were left unchanged.

The candidate dissertation of Z. V. Anchabadze also partially touches upon the history of Samurzakano, especially upon the period of Quappo Sharvashidze's rule. The scholar was right in his conjecture that the oppositions of the Georgians (the Megrelians and the Imeretians) put an end to the attempt of the Abkhaz to gain a foothold on the left bank of the Enguri. The other works of Z. Anchabadze are also roughly contiguous to the history of Samurzakano.

I. Antelava gives important information and observations about the activities of Manuchar Sharvashidze, the last ruler of Samurzakano though some of them are very disputable.

